იოსებ ომაძე

ია ანუ ერთგულება

რომანი

გამომცემლობა “რაეო”

თბილისი 2002 წ.

Copyright: იოსებ ომაძე, 2002 წ.
ISBN 99928-30-21-2

სარჩევი

შესავალი;
კარი პირველი. დილა;
I.პერსონალია;
1. სიზმარი;
II. ია და არჩილი;
2. ქსენია;
III. მიყვარს გასეირნება დიდუბის ქუჩებში;
3. ცისვაზი;
IV. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი;
4. ძველი ფოტოგრაფიები;
კარი მეორე. შუადღე;
V. ერთი კრიტიკოსის ფუჭი ფიქრები;
5. ბაბილონის გოდოლი;
VI. კოლაჟი კოლაჟის შესახებ;
6. “ლურჯი ქიმერა”, “ქარის ორეული”;
VII. მიხა;
7. დიანა;
VIII. ია ლიაშვილის ლირიკულ-დრამატული პეიზაჟები;
8. “მხეცი ხარ, გადარეული!”;
კარი მესამე. საღამო;
IX. იზიდა;
9. დიდიმ;
X. ატენი;
10. დიტო;
XI. არჩილის ცხოვრების გზა;
11. არჩილი;
XII. კონტრასტული წყვილადი პორტრეტი;
12. “ხელოვნებაა ჩვენი სულის პური!”;
კარი მეოთხე. ღამე;
XIII. იას დღიურიდან და ჩანაწერებიდან;
13. გზა;
XIV. გუგულა;
14. ვარდო;
XV. არავის უნდა ჰგავდე!;
15. არ გადადო საქმე!;
XVI. რა რომანია ეს?;
16. სამოთხის ბაღი.

ქვეყნიერებაზე ხელოვნება ყველაზე ნაკლებ ეგოისტური ფორმაა ბედნიერებისა.

სვამი ვივეკანანდა (1863-1902), ინდოელი პოეტი და ფილოსოფოსი.

იცით თქვენ, რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი ბედნიერება? მე ეს ბედნიერება ვიპოვე. ის სულდგმულობს შრომით. დანარჩენი ყველაფერი _ ფუჭია. ბედნიერება, რომელსაც გვანიჭებს შემოქმედება მის ყოველგვარ გამოვლინებაში, არის უდიდესი ბედნიერება ადამიანისა.

ვიქტორ ბორისოვ-მუსატოვი (1870-1905), რუსი მხატვარი.

ხელოვნების მიზანი უბრალოა _ მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა.

კოტე მარჯანიშვილი (1872-1933), ქართველი რეჟისორი.

შესავალი

მოთხრობა თუ ნოველა _ ხუხულაა; ზოგჯერ რამდენიმე "ფიცარიც" საკმარისია მის შესაკოწიწებლად, ხოლო რომანი დიდი, კაპიტალური შენობაა _ საძირკვლით, კარკასით, ოთახებით, საკუჭნაოებით, სარდაფებით და ა. შ. ხუხულაში ორი-სამი ადამიანი ცხოვრობს, ზოგჯერ _ ერთიც არა, მრავალსართულიან შენობაში კი _ ბევრზე ბევრი: განსხვავებული ხასიათებით, ცხოვრების ნირით, ბედით...

და განა საოცარი არ არის, რომ ბოკაჩოს, მოპასანის, ო. ჰენრის, პოს, ჩეხოვის, ბუნინის, რევაზ ინანიშვილის მოთხრობები საუკუნეებს გაუძლებს, "რკინაბეტონის" კონსტრუქციის მქონე უამრავი რომანი კი სულ მალე ხდება სამარადჟამო დავიწყების ლუკმა. მაინც ვბედავ და დიდად საძნელო საქმეს შევეჭიდები! ერთგვარი შიშითა და რიდით შევუდექი ამ რომანის წერას... სად მოთხრობა და სად რომანი! რომანი მთელი სამყაროა! მოთხრობა თუ ნაკადულია, რომანი ზღვაა, ზოგი კი _ ოკეანეც! მართალი მოგახსენოთ, დიდი ხნით ადრეც მინდოდა, ამ ურთულეს საქმეს შევდგომოდი, _ რამდენიმე რომანი მქონდა ჩაფიქრებული, _ მაგრამ ვაგლახ! ათეული წლობით გავაჭიანურე. შრომა კი არ მეზარებოდა, _ ვერ ვეგუები ერთ თემაზე, თუნდაც პოლიფონიურზე, დიდი ხნით მიჯაჭვას. ჩემი გარეგნული სიზანტის თუ სიდინჯის, თუ უშფოთველობის მიღმა სხვა რამ იმალება _ სინამ-

დვილეში მე ვარ არა დიდი, ხანგრძლივად და თანაბრად მოგუზგუზე კოცონი, არამედ წამიერად აალებული ასანთი, უცებ რომ აბრიალდება და მალევე ჩაინავ-ლება... ამიტომ მიყვარს მოკლე მოთხრობების წერა. მათზე მუშაობა საშუალებას იძლევა, სულ სხვადასხვა სტილი მოსინჯო, განსხვავებული, მრავალფეროვანი სა-ხესხვაობები მოთხრობისა დააჭაშნიკო: სატირული, ჰუმორული, დრამატული, ტრაგიკული, ლირიკული, ელეგიური და ასე შემდეგ; მოთხრობა-პორტრეტი, მოთხრობა-მონოლოგი, ჩანახატი, სკეჩი, ანეგდოტი, დრამატული სცენა, ფანტაზი-ა... აუჰ, კიდევ რამდენი სახეობა და სახესხვაობა არსებობს მოთხრობისა, ყველას რა ჩამოთვლის!.. და რა ხალისით იწყებ ყოველი ახალი მოთხრობის წერას, შემოქ-მედებითი წვა არ გინელდება, სულ რამდენიმე დღეს ანდომებ მის დამთავრებას (ზოგჯერ ერთ საათსაც არა; იყო შემთხვევები, როცა დღეში ორი-სამი მოთხრობა დამიწერია), რომანის "აშენებას" კი ჩაჯდომა უნდა _ რამდენიმე თვე, მთელი წელი ან ბევრად მეტიც _ თავაუღებელი ჭიდილი ათას პრობლემასთან... გარდა ამისა, რაც მთავარია, საჭიროა "ეპოსური" მსოფლაღქმა, მიდრეკილება ფილოსოფიური განსჯისკენ და დიდი ფორმის გრძნობა თუ ნიჭი; დიდი ნებისყოფა, დიდი შრო-მისმოყვარეობა და საკმარისი თავისუფალი დროც; აგრეთვე ბევრი სხვა რამეც, მა-გალითად, ჯანმრთელობა და ყოველდღიური პურის ფული მაინც... ჰოდა, უზარ-მაზარი სულიერი დაძაბულობისა და გონებრივი შრომის შემდეგ, შეიძლება აღ-მოჩნდეს, რომ ამდენი ძალისხმევა თურმე ტყუილად გაგიწევია _ რომანი არაფ-რად ვარგა!

და მაინც, დავიკმაყოფილე ავანტურისტული ვნება, თავფეხიანად გადავეშვი რომანის შექმნის თავგადასავალში... იქნებ სირცხვილიც ვჭამე _ რას იზამ, აქამდე ჩემზე ღირსეულნიც ბევრნი დამარცხებულან.

თავიდან მინდოდა, "ექსპერიმენტული" რომანი შემექმნა მონტაჟურ-ასოციაცი-ური პრინციპით; საბოლოოდ გადავწყვიტე, შემომეთავაზებინა ერთგვარად "ნაჯ-ვარი", კოლაჟი: ყოველ ახალ თავს იწყებს "კამერტონი" _ "მოსამზადებელი მასა-ლები", რომლებიც რომანის დაწერის "სამზარეულოს" პირველი ეტაპია და, ჩვეუ-ლებრივ, საბოლოო ტექსტის მიღმა რჩებიან (პერსონალია, ანკეტა, ლირიკული ჩა-ნახატი, ამონარიდი დღიურიდან, ფსიქოლოგიური პორტრეტი და სხვა); ამგვარ შესავალ ნაწილებს (ისინი დავნომრე რომაული ციფრებით) მოსდევს განსხვავებუ-ლი შრიფტით ნაბეჭდი "ძირითადი" ტექსტები (მათ ავღნიშნავ არაბული ციფრე-ბით). ამ განსხვავებული ხასიათის ნაწილებს შორის უშუალო კავშირი შეიძლება არც იყოს, არსებობდეს მხოლოდ ასოციაციურ-ემოციური გადაძახილი.

მშვენივრად მომეხსენება: ყოველი ნაჯვარი არ იძლევა სასურველ შედეგს, უფრო ხშირად ჯორივით უნაყოფოც კი გახლავთ; მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ცდა ბედის მონახევრეა...

კარი პირველი. დილა

I . პერსონალია

1. **ია ლიაშვილი,** 50 წლის, მხატვარი.
2. **არჩილ (ენუქი) ქინურიძე,** იას ყოფილი ქმარი, 60 წლის, მხატვარი.
3. **კესანე ქინურიძე,** იასა და არჩილის შვილი, 30 წლის.
4. **დათუნა ქინურიძე,** იასა და არჩილის შვილი, 28 წლის.
5. **ქსენია ქინურიძე-ქინძმარაშვილი,** არჩილის და, 62 წლის.
6. **ვარდო ქინურიძე-ქიჩმაჩიძე,** არჩილის და, 48 წლის.
7. **ბაკურ ქიჩმაჩიძე,** ვარდოს შვილი, 23 წლის.
8. **იასონ ტორონჯია,** კესანეს ქმარი, 35 წლის.
9. **მაკა,** კესანესა და იასონის შვილი, 10 წლის.
10. **შიოლა ლიაშვილი,** იას მამა, 77 წლის.
11. **მაგდანა,** შიოლას ცოლი, იას დედინაცვალი, 62 წლის.
12. **დიანა,** არჩილ ქინურიძის მეორე ცოლი, 45 წლის.
13. **გია ფირფილაძე,** მხატვარი, იას მეგობარი, 51 წლის.
14. **დიდიმ დიმპიტაური,** მხატვარი, იას მეგობარი, 50 წლის.
15. **ქეთინო მზექალაძე,** მხატვარი, იას მეგობარი, 50 წლის.
16. **ირმა პატაშურაძე,** მხატვარი, იას მეგობარი, 50 წლის.
17. **ელენე შველიშვილი,** მხატვარი, იას მეგობარი, 50 წლის.
18. **ესმა ჭყავაძე,** მხატვარი, იას მეგობარი, 50 წლის.
19. **დავით კუტიპურაშვილი,** მხატვარი, იას მეგობარი, 50 წლის.
20. **დიტო დაბლატოტაძე,** მხატვარი, არჩილის მეგობარი, 60 წლის.
21. **ბიქტორ მეხვილაძე,** მხატვარი, 60 წლის.
22. **ზოია ზუზუნაშვილი,** დიანას მეგობარი, 45 წლის.
23. **ალფეზ უფასეიშვილი,** მხატვარი, 78 წლის.
24. **შალვა შალითაშვილი,** ხელოვნებათმცოდნე, 52 წლის.
25. **გვარამ ვარამაისძე,** მწერალი, 45 წლის.
26. **თიკო ტიკინაშვილი,** ჟურნალისტი, 23 წლის.
27. **დიმიტრი კენკებაური,** ტაქსის მძღოლი, 55 წლის.

1. სიზმარი

იამ გაიღვიძა თუ არა, მაშინვე მაგიდის ელექტროლამპა ჩართო და მაღვიძარა საათს შეხედა. გუშინ უამრავი საქმე ჰქონდა, გვიან დაწვა დასაძინებლად; ძალიან დაიღალა, მაგრამ მრავალწლიანმა ჩვევამ თავისი ქნა _ ექვსის ნახევარზე გაეღვიძა მაინც... ადგომის დროა, დღეს ბევრად მეტი და უფრო სახლაფორთო საქმე უნდა მოასწროს. ნეტა უკვე გასული იყოს დღევანდელი დღე _ ეს ბავშვური ნატვრა ღიმილს ჰგვრის... ჭირივით ეზარება თბილი საწოლის დატოვება, მაგრამ თავს სისუსტის გამომჟღავნების უფლებას არასდროს აძლევს _ ურყევი კანონი აქვს: თვით ცნება "სიზარმაცე" მისთვის არ არსებობს!

უცებ მაღვიძარა საათის ზარი ჩაირთო, გაბმულად აწკრიალდა. დააჭირა ღილაკს თითი, გააჩერა ზარი, ხელი ისევ საბანქვეშ შეაცურა და თვალები მილულა _ ერთ წუთს იქნება ასე გაყუჩებული და მერე ადგება...

...საოცარი შვება და სიმსუბუქე იგრძნო: ხელები გაშალა და იატაკიდან ოდნავი არეკნიც საკმარისი გახდა, რომ ჰაერში აჭრილიყო. ლაღად მიფრინავდა, შემხვედრი ჰაერი ნაზად ეალერსებოდა სახეზე, თმებს მეგობრულად უწეწავდა. თვალებგაფართოებული მიჰქროდა ია, ქალაქის თავზე დასრიალებდა; ხან მარცხნივ გაუხვევდა, ხან _ მარჯვნივ; ხან ზევით აიჭრებოდა კაშკაშა მზისკენ და ძალაუნებურად თვალებს ხუჭავდა, მერე ქვევით დაექანებოდა, სიმსუბუქისა და თავისუფლების გრძნობა ბედნიერების ღიმილად გამოსჭვიოდა მის პირისახეზე... რა კარგია ასე ფრენა, რა სიამეს ჰგვრის ამ სიმაღლიდან ქალაქის ხილვა: ნაირფერადი სახურავების ზღვა, ავტომობილები ძლივს მიღოღავენ ქუჩებში, ადამიანები ჭიანჭველებივით ფუსფუსებენ... რა მშვენიერია, რა თვალწარმტაცია ეს ხედი; უნდა კარგად დაიმახსოვროს, რომ მერე დიდი, პანორამული სურათი შექმნას _ ასეთი დიდებული ტილო ჯერ არავის გაუკეთებია! რა თამამად, რა მხიარულად მიჰქრი _ რასაც გინდა, იმას იფიქრებ, საითაც გინდა, იქით გაფრინდები; გულს ამო სიმღერა გივსებს და მთელი ხმით უგალობ საკუთარი ბედნიერების გრძნობას _ ხარ შეუბოჭავი, უზრუნველი, ყველა ჭმუნვა და დარდი იქ, ქვევით დატოვე, მოუსვენრად მოფუთფუთე ადამიანებთან, მათი ჯახირ-ცოდვილობა ამ სიმაღლიდან ამაო გეჩვენება და სასაცილოც კი...

წამით ივიწყებ, რაოდენი ტკივილი, გულაცრუება, სისასტიკე, გაუტანლობა, სიხარბე, შუღლი და ქიშპობა განფენილა იქ; ყოველივე ეს უაზრობად გეჩვენება, გიკვირს, როგორ იცლიან ამგვარი უაზრობისთვის ან როგორ შეიძლება გულის მოფხანა უკეთურობით...

ჰოდა, თუ ხარ თავისუფალი, ოცნების ფრთები გამოგესხა, მაშ შემოჰკარ ფრთა ფრთას, გაიჭერ შორს, შორს! რა წარმტაცია თეთრ ღრუბლებს ზევით ნავარდი! წამში გადაუარე მთა-ქედებს, ლურჯთვალა ზღვასაც შესცინე, კუნძულების კრიალოსანიც გადათვალე და აჰა! _ ზღაპრული იტალია, სანატრელი იტალია გამოჩნდა! რამდენჯერ გიოცნებია: მოგევლო ლაციოს, ტოსკანის, უმბრიის, ლომბარდიის მთა-ველები, მოგენახულებინა საოცარი ქალაქები, ეკლესია-მონასტრებსა თუ მუზეუმებში თავმოყრილი უკვდავი შედევრები ჯოტოსი, მაზაჩოსი, მიქელანჯელოსი, რაფაელოსი, ლეონარდოსი, ბოტიჩელის, ტინტორენტოსი, ტიციანო ვეჩელიო-

სი, ჯორჯონესი, კარავაჯოსი და ვინ მოთვლის კიდევ ფუნჯის თუ საჭრეთლის დიდოსტატებს და ხუროთმოძღვრებს, რომლებიც არნახული სიუხვით შვა იტალიის მადლიანმა მიწამ... ათასჯერ ათასი რამ გაქვს აქ სანახავი, გიჭირს არჩევა, მაგრამ შენ უკვე ბებერ რომს დასტრიალებ თავს _ პალატინის ბორცვს გადაევლები, წმინდა პეტრეს ტაძრის გუმბათს შემოუფრენ გარშემო, ვატიკანის სასახლეების დარბაზებში გაინავარდებ, შემდეგ... შემდეგ უთვალავ ტაძარს, სასახლეს, ბაღს, შადრევნებით დამშვენებულ მოედანს უნდა ესტუმრო და გული გწყდება, რომ ყველაფრის სანახავად ალბათ მთელი დარჩენილი ცხოვრების წლებიც არ გეყოფა...

უცებ ფრთები რაღაც ჯადოსნური ძალით უცხო ბაღში გადაგასრიალებენ _ რა ცოცხალია აქ ყველაფერი, რა მოძრავი, უცნაურად მომხიბვლელი, მრავალფეროვანი და გამაოგნებელი! ანრი რუსოს ერთ-ერთ ეგზოტიკურ სურათში ხომ არ მოხვდი? რამდენი სანახავად საამო, ნაყოფით დახუნძლული ხეა! ლამაზი და კეთილია აქ ყოველი ცხოველიც _ დიდებულად ფაფარგაშლილი ლომი და საზეიმოდ აჭრელებული ვეფხვი, ფარშევანგები კეკლუცად შლიან ცისარტყელურა მარაოს, ხეთა ტოტებზე მხიარულად ხტიან ანცი მაიმუნები, უზრუნველად დაფრინავენ გულწითელა ფრინველები და დიდ-დიდი, ფრთახატულა პეპლები... ედემის ბაღში ხომ არ მოხვდი? აჰა, აგერ ხე დახუნძლულა მწიფე ნაყოფებით, ეს ხომ არ არის სიცოცხლის ხე? თუ მოწყვეტ და დააგემოვნებ, უკვდავებას ეზიარები! სულ ახალგაზრდა იქნები და მარად დატკბები ამ მშვენიერების ხილვით... მარად უმზერ მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს, შენთვის მუდამ იხასხასებს ბალახი, იჩუხჩუხებს ნაკადულები, იგალობენ ჩიტუნები, ნაზი სურნელით გაჯერებულ ჰაერს მარად ნეტარებით შეისუნთქავ და ვერასდროს იგრძნობ ვერც _ დაღლას, ვერც _ შიშს, ვერც _ გულგატეხილობასა და უიმედობას... აჰა, აგერ მეორე, კიდევ უფრო მიმზიდველი ხე _ ალბათ ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა _ რა ლამაზ-ლამაზი ნაყოფი ამკობს, ამან ხომ არ აცდუნა ევა? რა იქნება, შენც რომ ერთი, მხოლოდ ერთი ლოყაწითელი ნაყოფი მოწყვიტო... შენც ხომ ქალი ხარ, ცნობისწადილი გძლევს...

გაიწვდინა ხელი, მოწყვიტა ნაყოფი, მოუთმენლად ჩაკბიჩა და... გამოეღვიძა...

უჰ, ეს როგორ დაემართა, ჩასძინებია! საათს შეხედა _ ათი წუთიც არ გასულა. ახლა უკვე ცხადში გაიწვდინა ხელი, ფანქარი აიღო და ფურცელზე ორი სიტყვა დაწერა: "სამოთხის ბაღი".

რა ხარბი გახდა ამ ბოლო დროს! სიზმარიც კი უნდა სურათის თემად გამოიყენოს... იმდენი ჩანაფიქრი დაუგროვდა, რომ ეშინია _ თუ არ ჩაიწერა, შეიძლება, შემდგომ გადაავიწყდეს; თუმცა, ეს ბოლო თემა იმდენად ახალი და უჩვეულოა მისთვის, იმდენად მიმზიდველიც, რომ ალბათ აღარ დაახანებს და უპირველესად მას დაამუშავებს... დიდი სიამოვნება მოელის...

დრო გახსოვდეს, დრო!..

იამ ხელის მკვეთრი მოძრაობით მოიცილა საბანი და წამოხტა.

II. ია და არჩილი
(რომანის ესკიზი)

არჩილ ქინურიძე თითქმის ოცდაათ წელს იყო მიტანებული, როცა უკვე აღიარებულ, მეტად ნიჭიერ მხატვრად იცნობდა საზოგადოებრიობა. ადრე დაიწყო გამელოტებაც; მოსული ტანის, ქორისთვალება, დიდცხვირა; მუდამ ხალისიან, მეგობარ-ამხანაგებისა და მოლხენის მოყვარულ ახალგაზრდას ქალებიც წყალობდნენ...

ერთხელ მასთან მიიყვანეს ახალსკოლადამთავრებული მორცხვი გოგონა, _ ია, _ ნახე ერთი, ნიჭი თუ აქვს; თუ ღირს, მხატვრობის გზას გაჰყვეს, ხატვაში მოამზადე, ფერწერაშიც წაამეცადინეო.

კდემამოსილ, ყვავილივით ნაზ ქალიშვილს თავბრუ დაეხვია: ძალიან მოსწონს მხატვრის სურათები, არჩილის პიროვნებაც დიდების შარავანდედით შემოსილი წარმოუდგენია. იმდენად მოხიბლულია, რომ ბუნებრივ მორიდებულობას სძლია და ცდილობს, როგორმე მოაწონოს თავი... არჩილი ცოლის თხოვნას არ აპირებს, მას დიდი ამბიციები და დიდი გეგმები აქვს ხელოვნებაში და სად სცალია ოჯახის პრობლემებისთვის... მაგრამ, როცა შეატყო, თვითონაც შეუმჩნევლად ღრმად შეტოპა ქალიშვილთან ურთიერთობაში, თითქმის იძულებულია, ძველი გადაწყვეტილება დააგდოს და ია ითხოვოს. დედ-მამა კარგა ხანია, აღარ ჰყავს, გათხოვილ დებს მისთვის არ სცალიათ (ოჯახური საქმეები ორივე დას აწეწილი აქვს: ერთი ქმარს გაეყარა, მეორე სამ ბავშვს მარტო უვლის _ ქმარი ციხეშია)... ერთი სიტყვით, მხატვარი კმაყოფილიც დარჩა, რომ, ასე ვთქვათ, მომსახურების საქმე _ ჭამა-სმა, გარეცხვა-დაუთოება და სხვა _ ამიერიდან მოგვარებული ჰქონდა, ცოლი ალღოიანი და გამრჯე გამოდგა.

მალე გოგო შეეძინათ, მერე _ ბიჭი.

აუარებელი საქმის მიუხედავად, ყოჩაღი ია ყველაფერს ასწრებს და სამხატვრო აკადემიასაც, თუმც გაჭირვებით, მაინც ამთავრებს.

თვითონ არჩილი ძველებურად არაფრით იზღუდავს თავს: ნადირობა-თევზაობა მეგობრებთან ერთად, ხანგრძლივი მივლინებები შემოქმედებით სახლებში (ბალტიისპირეთი, სენეჟი, ყირიმი...), საზღვარგარეთ მოგზაურობა (პოლონეთი, ბულგარეთი, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი...), გამოფენებში მონაწილეობა... ლხინი და დროსტარებაც უყვარს, მაგრამ, მრავალი კოლეგისგან განსხვავებით, მთავარი მის ცხოვრებაში ყოველთვის საქმეა _ ფერწერა; მარად დაძაბულად, ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს.

ზოგჯერ იას ნამუშევრებიც გამოკრთება ხოლმე გამოფენებზე, მერე და მერე _ ნაკლებად, ბოლოს კი საერთოდ აღარ იღებს ხელში ფუნჯს... ქმარ-შვილის მოვლა-მომსახურებას გადაჰყვა, საკუთარი თავისთვის ვერ იცლის. არჩილი უკიდურესი ეგოცენტრიკოსი გამოდგა: ცოლს არაფრად აგდებს, არც შვილებს აქცევს ყურადღებას _ მხოლოდ საკუთარი საქმით და პიროვნებით არის დაკავებული. ცოლის მორიდებულ თხოვნაზე, ცოტა წამეშველე ზოგჯერო, გაკვირვებით აცხადებს: "მე ხომ ყოველმხრივ უზრუნველვყოფ ოჯახს მატერიალურად, სხვა საქმეში ნუ გამრევთ,

თორემ შემოქმედებას მოვცდები და ვეღარც ფულს შემოვიტან ოჯახშიო". დაცინვით მიუმღერებს ხოლმე ცოლს: "შენ არჩილის მორჩილი ხარ, შენ არჩილის აჩრდილი ხარ!" ძლიერ მოსწონს საკუთარი ხუმრობა და ხშირ-ხშირად იმეორებს ქირქილით. ია ცდილობს, აშკარად არ გამოხატოს თავისი უკმაყოფილება, ითმენს, ქმარი კი ეშხში შედის და დროდადრო ახალი ვარიანტების შეთხზვით ერთობა: "შენ არჩილის ჩრდილი ხარ, შენ არჩილის ჩრჩილი ხარ!"

არჩილს კარგი თვისებებიც აქვს, მაგალითად, გადაჰყვება მეგობარ-ამხანაგებს, უანგაროდ ეხმარება ახალგაზრდა კოლეგებსაც, რომ გამოჩნდნენ, გამოფენა მოაწყონ, ზოგ გაჭირვებულს ხელს უმართავს კიდეც... არ არის გულგრილი საზოგადო ჭირ-ვარამის მიმართ... მაგრამ... საკუთარი ოჯახის წევრთა მიმართ კი _ ემოციურად ყრუა! ვერ ამჩნევს მათ მისწრაფებებს, არც ცდილობს დაინახოს _ არც ცოლის, არც შვილების... ის დიდი მხატვარია და ეგღა აკლია, საკუთარი ძვირფასი დრო დაუთმოს ვიღაც მზარეულ ცოლს და თუნდაც შვილებს...

ერთხელ გრიპი მძვინვარებდა ქალაქში, ავადმყოფ პატარა ქალიშვილს გართულება ჰქონდა, ია იყო ერთ გაწამაწიაში, მღელვარებაში... ქმარს შეეხვეწა, ცოტა მომეხმარე, ვეღარ ავუდივარ ამდენ მოზღვავებულ საქმეებსო _ ექიმია მოსაყვანი, წამლებია მოსატანი, შეშა, ღუმელი მისახედი; ცალკე კიდევ საჭმელია გასაკეთებელი, ჭურჭელი დასარეცხი, თეთრეული და სხვა რამეც აღარ აქვთ სუფთა... არჩილმა კარები გამოიჯახუნა: მე მასეთი რამეებისთვის არ მცალია, პერსონალური გამოფენისთვის ვემზადები და ათასი სხვა საქმეც მაქვსო...

მათი ბიჭი, დათუნა, ბავშვობიდანვე განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა. მამის კვალს გაჰყვა _ სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთხელ არჩილმა ამრეზით უთხრა, შენ ვინ ხარ, რას წარმოადგენ, გინდაც კარგი მხატვარი გახდე, ჩემი ფეხის მტვერიც არ იქნებიო _ გული აიცრუა ფერწერაზე, არქიტექტურულ ფაკულტეტზე გადავიდა, მამის სახელოსნოსკენ გზა დაივიწყა.

ბიჭს შინ გული არ უდგება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მამამისი თბილისშია _ დილიდანვე გადის სახლიდან და გვიან ბრუნდება... სრული გაუცხოება მამასთან _ არჩილი უმიზეზოდ უყვირის ხოლმე, უხეშად ექცევა, აგინებს _ თავს მოგჭრიო...

გოგომ, კესანემ, სკოლა დაამთავრა თუ არა, მაშინვე სახლიდან გაიპარა, მეხუთე კურსის სტუდენტს ცოლად გაჰყვა!

იას ამდენი განცდების გამო ლამის ფსიქიკური აშლილობა დაემართა... ვერც იმას იტანს, რომ ქმარი მას თრგუნავს, აბუჩად იგდებს მის პიროვნებას.

ბიჭმა პოლონელი გოგონა გაიცნო, ცოლად ითხოვა და სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ კრაკოვში წავიდა მასთან ერთად. იამ სცადა ფერწერას დაბრუნებოდა, რის სურვილიც ყოველთვის დიდი ჰქონდა, ახლა კი ექიმმაც ურჩია. არჩილს აღიზიანებს, რომ ცოლს ოჯახის გარდა რაღაც სხვა ინტერესიც გაუჩნდა ცხოვრებაში, სულ უფრო ღვარძლიანად დასცინის: "ჩურჩუტი ხარ თუ ჩერჩეტი? შენ არჩილის ჩონჩორიკი ხარ!"

არჩილმა მასზე ბევრად ახალგაზრდა ქალთან გააბა კავშირი, იასთან განქორწინდა და სხვა ბინაში გადაბარგდა _ ახალ ცოლთან...

ია მარტო დარჩა. ქალიშვილთან თუ წავა ხოლმე შვილიშვილის სანახავად. არჩილის ხელში ძველი მეგობრები აღარ აკითხავდნენ, ახლები ვერ შეიძინა, ამ ბოლო დრომდე იყო ასე; ახლა ხშირად დადის გამოფენების დასათვალიერებლად, ნელ-ნელა განაახლა ურთიერთობა ნაცნობ-მეგობრებთან.

ერთხელაც სახელოსნოში ავიდა...

წინა დღით, შინისკენ რომ მოდიოდა, აღმართში აჩქარებულმა გულისცემამ შეაჩერა... მიმოიხედა, მოეწონა ერთი მოტივი: ზევით, მამადავითის ძირისკენ მიმავალი ქუჩა, ორმხრივ ჩარიგებული სახლები, სახლების წინ _ ხეები, გამვლელ-გამომვლელნი; ირგვლივ თოვლი დევს და თეთრად ასპეტაკებს სახურავებს, მესერთა თავებს, ტროტუარებს.... ამ თოვლის კონტრასტი აგურის წითელ კედლებთან, ხეთა შავ ტანებთან...

იშოვის ფუნჯებს, საღებავებს, ტილოს (ხეირიანი სახელოსნოში ვერაფერი ნახა _ არჩილს წესრიგი მაინცდამაინც არ უყვარდა და არც ცოლს უშვებდა დასალაგებლად).

გააკეთებს ესკიზს, შემდეგ _ სურათს, მოეწონება. მერე მოუნდება მეორის გაკეთება _ მეხსიერებაში შემორჩენილი შემოდგომის ხატი _ თბილი ფერები, მშვიდი გარემო, სიმყუდროვე და უშფოთველობა ზამთრის დადგომის წინ... სურათი _ "შემოდგომა ჩემს ქუჩაზე", დიდი გატაცებით მუშაობს.

ერთ დღეს ძალიან დათბება: მზიანი დღეა, ბეღურები ხალისიანად ჭყიპინებენ, თოვლი თითქმის სულ გაიპარა, მხოლოდ ჩამოგრძელებული მბრწყინავი ლოლუები იცრემლებიან... ჩაუჯდება ახალ სურათს _ მუშაობის ეშხში შევიდა, ძველი აბეზარი ფიქრებისთვის ადგილი აღარ რჩება! ეს სურათიც _ "გაზაფხული" _ კარგი გამოუვა, გრძნობს, რომ ბევრად უკეთესია პროფესიულად, ვიდრე წინა ორი სურათი, მაგრამ პირველი _ "ზამთარი ჩემს ქუჩაზე" _ მაინც გამორჩეულად უყვარს, სასტუმრო ოთახში დაჰკიდებს. ვინც მასთან მოდის, ყველა კითხულობს, ვისი ნამუშევარიაო, უკვირთ, როცა გაიგებენ ავტორის ვინაობას.

მეგობრები ურჩევენ, მხატვართა საგაზაფხულო გამოფენაზე გაიტანოს სამივე სურათი. ბუნებრივად დაიბადა სურვილი კიდევ ერთი სურათის _ "ზაფხული" _ შექმნისა. ამჯერად სოფელს გაიხსენებს, არდადეგებზე ბებიასთან რომ ჩადიოდა ხოლმე _ მდინარე, ალვები და წნორები წისქვილთან; მეორე პლანზე _ სიმწვანეში ჩაფლული წითელკრამიტიანი სახლები, ფერდობზე შეფენილი ნახირი, ცისფერი მთები...

ოთხივე ტილო დიდი წარმატებით სარგებლობს საგაზაფხულო გამოფენაზე. ჯერ არ უნდოდათ გამოფენა, არ იცნობდნენ მხატვარს, მერე ყოფილი ქმრის ამხანაგები ჩაერივნენ საქმეში (შემთხვევით გადაეყარა მათ გალერეის წინ _ ადრე ბევრჯერ უქეიფიათ იას ოჯახში), დაეხმარნენ და იმდენი ქნეს, ოთხივე სურათი დააკიდებინეს.

გამოფენის დახურვის შემდეგ "ზამთარს" შინ წაიღებს, "შემოდგომას" შეიძენს სამხატვრო ფონდი (ბჭობა იყო _ ოთხივე შევიძინოთო, მაგრამ არ ქნა უმრავლესობამ: სხვა მხატვრებს ეწყინებათ, მათი ერთიც არ შევისყიდოთო?), "გაზაფხულსა" და "ზაფხულს" _ ვიღაც კერძო კოლექციონერი კარგ ფასად. მერე სულ ნანობს _

რად მინდოდა ის ფული, ნეტა სურათები მქონოდა შინო (თუმცა იმხანად ძალიან უჭირდა).

ასე დაიწყო იასთვის შემოქმედებითი ციებ-ცხელება. ჩაება სამხატვრო ცხოვრებაში, განაახლა ურთიერთობა ნაცნობ მხატვრებთან, შეიძინა ახალი მეგობრებიც...

სულ უფრო ინტენსიურად მუშაობს, ინტერესთა უმთავრესი სფერო _ პეიზაჟი.

მისი სურათებისთვის დამახასიათებელია ერთდროულად ემოციურობაც და თავშეკავებულობაც.

რთულ ამოცანებს ისახავს, მუშაობს წარმოსახვით პეიზაჟებზეც და ასრულებს ნატურიდანაც.

ათი წლის დაძაბული და მეტად ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის შემდეგ მეგობრები დაიყოლიებენ მისი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენის გამართვაზე.

განსაკუთრებით ეხმარება იას უახლოესი მეგობარი _ გია ფირფილაძე...

2. ქსენია

ისევ გამაყრუებელი ზარის ხმა...

ჩერდება, კვლავ რეკავს...

იამ გაახილა თვალები და მაღვიძარას გამოსართავად წაიღო ხელი, მაგრამ შემდეგ მოისაზრა, რომ ამჯერად ტელეფონის ზარმა გააღვიძა.

საათს შეხედა _ ათი წუთით ისევ ჩასძინებია.

_ ალო, გისმენთ!

"_ _ ნეტა ვის დავჭირდი ასე დილაუთენია? _ _".

_ მე ვარ, მე! _ გაისმა ყურმილში მაღალი ხმა.

იამ ვერ იცნო, ყურმილში ისეთი ტკაცატკუცი და შიშინი ისმოდა, არც იყო გასაკვირი.

_ ბოდიში, რომელი ბრძანდებით?

_ როგორ ვერ მიცანი, ქალო, ქსენია ვარ, ქსენია! _ შიშინი უცებ შეწყდა და უკმაყოფილო ხმა ამჯერად ძალიან მკაფიოდ გაისმა.

ქსენია? ასეთ ნაცნობს ვერ იხსენებს, ნომერი ხომ არ შეეშალა?

_ ბოდიში, რა ნომერზე რეკავთ?

_ ია არ ხარ შენ? _ კითხვითვე უპასუხა ხაზის მეორე ბოლოდან მოსაუბრემ. _ ქსენია ვარ, არჩილის და...

იას გაკვირვებისგან ცოტა ხნით ხმა წაერთვა... არჩილის და!

ია არჩილს ათი წლის წინ გაეყარა და მას შემდეგ ყოფილი ქმრის უფროსი და არამცთუ ერთხელაც არ უნახავს, არც გახსენებია როდისმე.

_ ჰო, ქსენია, როგორ ხარ, რამ გაგახსენა ჩემი თავი? _ ია ამ მოულოდნელი სატელეფონო საუბრიდან კარგს არაფერს ელოდა, მაინც ცდილობდა, არაკეთილგანწყობა ღიად არ გამოემჟღავნებინა.

_ როგორ ვიქნები შენგან დავიწყებული!

“_ _ რა პრეტენზიული, თან წუწუნს ჩვეული ხმა აქვს, რა გაუძლებს ახლა ამის მოთქმას! _ _”.

_ დიდი უსიამოვნო ამბავია ჩვენს თავს... _ პაუზის შემდეგ განაგრძო ქსენიამ. _ არ ვიცი, როგორ ვუშველოთ ამ საქმეს...

იას ვერაფრით გამოეცნო თითქმის დავიწყებული პიროვნებისგან, რომელთანაც დიდი ხანია, აღარაფერი აკავშირებდა, ასეთ უდროო დროს დარეკვა... ან მისი ტელეფონის ნომერი საიდან აქვს? თუმცა, ათი წლის წინათაც ხომ იგივე ნომერი ჰქონდა... იამ საათს შეხედა: ექვს ათი წუთი აკლდა. წამოდგა, ცალი ხელით უხერხულად იცვამდა ტანზე, თან უსმენდა მისთვის უსიამოვნო საუბარს.

_ აბა, ქალო, ჩემი კანდიდი მილიციაში ზის... მოუკვდა დედა, წარმოიდგინე, რა დღეში ვართ... ხუთი ათას მანეთს გვთხოვენ, ერთი მანქანის ფულს...

_ კი მაგრამ, რა მოხდა? _ იას უნდოდა ეკითხა, ვინ არის ეს კანდიდიო, მაგრამ დროზე დააჭირა კბილი ენას. ვერაფრით გაიხსენა ქსენიას შვილთა სახელები, მაგრამ ის კი ახსოვდა, რომ ორივე გოგო იყო...

“_ _ ქსენიას ქმარს კი, თუ არ ვცდები, პლატონი ერქვა... თუ პროკლე?.. სად გამოქექეს ეს უცნაური სახელები? იქნებ ქსენიას შვილიშვილს ჰქვია კანდიდი? ჩემზე კარგა ხნითაა უფროსი, სავსებით შესაძლებელია, მოზრდილი შვილიშვილი ჰყავდეს... _ _”.

_ სადღაც პისტოლეტი უშოვია, ამბობს, ამხანაგმა მათხოვაო, მეორე უბნის ბიჭებთან ჩხუბი მოსვლიათ და კანდიდს რამდენჯერმე უსროლია...

_ რამდენი წლისაა კანდიდი?

_ ჩვიდმეტის... ორ თვეში თვრამეტის გახდება.

_ დაშავდა ვინმე?

_ მადლობა ღმერთს, ყველაფერი უსისხლოდ ჩათავდა. ის ბიჭები კი აცეკვა კანდიდმა: ფეხებთან ესროდა და როგორც კარგი ჯამბაზები, ისე ხტოდნენო...

_ აბა, რას ერჩიან?

_ იმათგან ერთი მინისტრის მოადგილის შვილი ყოფილა, გაქცეულა და დაურეკია მაშინვე მამამისთან... ათ წუთში მოვარდა თურმე მილიცია და კანდიდი და მისი ორი ძმაკაცი შეაგდეს მანქანაში. მილიციაში დაკითხეს, ის ორი ბიჭი მეორე დღეს გამოუშვიათ, ხუთას-ხუთასი მანეთი წაართვეს მშობლებს, კანდიდი კი დღემდე ზის... იარაღის უკანონო ტარებას, საზოგადოებრივ ადგილას სროლას, მოქალაქეთა სიცოცხლისთვის საშიშ ქმედებას და... რა ვიცი, კიდევ რაღაცეებს აბრალებენ... სოკრატი სად არ მივიდა, ვინ არ შეაწუხა... ხუთ ათას მანეთს ჯერჯერობით ფეხს არ უცვლიან... შენი ხათრითო, ეუბნებიან, ქვეყანა გიცნობს, ანგარიშს გიწევენ, რომ აღარ მუშაობ, თორემ ორი ამდენი დაგიჯდებოდაო...

“_ _ ჰო, სოკრატი... _ სოკრატი ჰქვია ქსენიას მეუღლეს _ უნივერმაღში სექციის გამგედ მუშაობდა _ ფული ჩეჩქივით ჰქონდა, რა გახდა მისთვის ხუთი ათასი? _ _”

_ სოკრატი როგორაა, ძალიან განიცდის?

_ განიცდის, აბა არა?!. _ ხაზგასმით გაიკვირვა ქსენიამ და ტყვიამფრქვევივით დააყარა: _ ორი წელია, აიძულეს, წამოსულიყო სამსახურიდან. რევიზია დაეცა და ქრთამი მოსთხოვეს, ოცდახუთი ათასი. სად ჰქონდა სოკრატს მაგდენი, ივაჭრეს და თხუთმეტი ათასზე შეთანხმდნენ... ათი ათასი მაშინვე მისცა, _ აგარაკი გავყი-

დეთ, _ ხუთი ათასიც ისესხა და ვალს ახლაც ვიხდით... სამუშაოდან მაინც წამოვიდა, არ ღირდა იქ გაჩერებაო, ამბობს. ახლა ეძებს შესაფერის ადგილს, მაგრამ იქაც ფული სჭირდება, შენ ჩემზე კარგად იცი... ყოველნაირ სამუშაოზე ხომ არ წავა, ურჩევნია, უსაქმოდ იყოს, თუ წესიერი ადგილი არ გამოჩნდა. ამასობაში საპენსიო ასაკმაც უწია. მაგის პენსია ეყოფა ამხელა ოჯახს? ორი ქალიშვილი გათხოვილი მყავს, მაგრამ მაინც ჩვენი ხელის შემყურენი არიან, ეს ნაბოლარა კანდიდი კიდევ, თვე არ გავა, რამე შარში არ გაეხვიოს... ამას წინათ მეზობლის მანქანა გაიტაცეს ბიჭებმა, გაისეირნეს, მერე უნდა უკან დაებრუნებინათ. მოხდა ავარია და... ჩემი კანდიდი არაფერ შუაში იყო, უბრალოდ ჩაუჯდა მანქანაში, არც იცოდა, ვისი იყო, ჰოდა, ყველაზე უფრი ის დაზარალდა _ წარმოგიდგენია, ფეხი მოიტეხა, ორი თვე საავადმყოფოში იწვა. რომ იცოდე, რა გადავიტანეთ... გამომძიებელს ფული _ ცალკე, დამტვრეული მანქანის პატრონს კიდევ _ ცალკე... მართალია, ჩემი კანდიდი შემთხვევით ჩაუჯდათ მანქანაში, მაგრამ, ხომ იცი, როგორც ხდება, ბიჭებმა გაინაწილეს მანქანის რემონტის ხარჯი... ახლა ახალი ვალიც დაგვემატა... რა წყალში ჩავვარდეთ, არ ვიცი...

“_ _ ფული უნდა! რა გულუბრყვილო ვარ, რატომ მაშინვე ვერ მივხვდი?_ _”

_ არჩილს ალბათ შეატყობინეთ, რა თქვა?

_ მანქანა გაყიდეთ და გაისტუმრეთ ვალებიო, ასე გვიპასუხა იმ უსვინდისომ, წარმოგიდგენია? სოკრატი ორმოცი წელია, მანქანით დადის, ახლაც, უმუშევარი კი არის, მაგრამ ყოველდღე წასასვლელ-მოსასვლელი აქვს, სულ ტაქსით ხომ ვერ ივლის? არჩილს ძალიან ვემდური... საზღვარგარეთ მიდი-მოდის, ფული არ იცის, სად წაიღოს... ჩვენთვის არ სცალია... პრემიებსაც აძლევენ, უამრავ შეკვეთებს ასრულებს, რა უჭირს, ცოტა დაგვეხმაროს...

ია ხმას არ იღებდა _ არც დავა სურდა და მით უფრო, არც დასტური, ერთადერთი რამ უნდოდა, რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო ეს საუბარი _ უამრავი საქმე აქვს გასაკეთებელი ისედაც და ახლა ქსენიას საზრუნავიც აიკიდოს ზურგზე? მაგის ოჯახს ერთხელაც არ გახსენებია ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში იას ჭირი თუ ლხინი... რა დაავიწყებს იას: ქსენიას ქალიშვილები ზღაპრულ დაბადების დღეებს იხდიდნენ ყოველ წელს, ორმოც_ორმოცდაათკაციან სუფრაზე იას შვილებისთვის ორი ადგილი არასდროს აღმოჩნდა. სოკრატს საერთოდ უყვარდა დროსტარება, ფულში ცურავდა და თვეში სამ-ოთხჯერ მის ოჯახში ძმაკაცები ლხინის სუფრას მიუსხდებოდნენ ხოლმე... ია ქეიფების დიდი მოტრფიალე არ იყო, მაგრამ ერთხელ ზრდილობის გულისთვის მაინც მიეპატიჟა _ მხოლოდ არჩილს მიიწვევდნენ ხოლმე... თუმცა, ქსენიას რას ერჩი, არჩილიც არ გამოირჩეოდა მაინცდამაინც დიდი ყურადღებით იასა და შვილების მიმართ. ამ ათი წლის განმავლობაში, რაც არჩილი ოჯახიდან წავიდა და სხვა ქალი შეირთო, შვილებს არაფრით დახმარებია, იაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

_ ქალო, მისმენ?

_ ჰო, ქსენია... _ გამოფხიზლდა წარსულის ზმანებებისგან ია, ოღონდ ამჯერად აღარ გაუგრძელებია საუბრის ძაფი. ერთი სული ჰქონდა, დაედო ტელეფონის ყურმილი.

_ მომილოცავს, ძალიან მოხარული ვარ...

“_ _ რას მილოცავს? _ რაღაც გამომრჩა მაგის ნათქვამი _ ჩემს ფიქრებში ჩავიძირე... _ _”

_ მადლობელი გახლავარ...

_ მართალია, დღეს ფული ვის მოსჭარბებია... რამდენი სურათი გაყიდე? ამბობენ, სურათებს ხელიდან ტაცებენო...

“_ _ აი, თურმე რა მუცლის გვრემა აწუხებს! _ ჰგონია, გავკეთდი! _ _”

_ არა, ქსენია, სამწუხაროდ, ჩემი გამოფენიდან ჯერ არაფერი გაყიდულა. გამოფენა დღეს იხსნება, თუ გამოჩნდა ვინმე და ერთი სურათი მაინც გაიყიდა, ცოტას ამოვისუნთქავ... მოგეხსენება, პერსონალური გამოფენის მოწყობა რა დიდ ხარჯს მოითხოვს _ სურათებს ჩარჩოები უნდა, აფიშებს, მოსაწვევებს, ტრანსპორტირებას და ათას სხვა მსხვილმან-წვრილმანს, ყველაფერს ფული სჭირდება... მეგობრები რომ არ დამხმარებოდნენ, ნამდვილად ვერ შევძლებდი ამ დიდი ტვირთის აწევას.

_ მაშ სულ ზარალში ხარ და ვერაფერს გაყიდი?

_ რა ვიცი... შესაძლოა, კულტურის სამინისტრომ შეიძინოს ერთი-ორი სურათი, ხელოვნების მუზეუმმა, სამხატვრო ფონდმა...

_ ჰოდა, შენ გენაცვალე, იქნებ ცოტა გადაგრჩეს იმ ხარჯებიდან და... თუ მოცემა გაგიჭირდება, გვასესხე მაინც... ხომ იცი, ნათესავს გაჭირვებაში თუ არ გაუმართე ხელი...

_ რა გითხრა... ჯერ არ ვიცი, შეიძენენ თუ არა... ჩემზე ბევრად ცნობილი, დამსახურებული და სახალხო მხატვრების სურათები იქნება საგაზაფხულო გამოფენაზე, რამდენიმე პერსონალური გამოფენა სხვაც იმართება, იმათაც ხომ პრეტენზია ექნებათ მათი ნამუშევრების შეძენაზე... სურათებს კომისია შეარჩევს, ასე რომ, ჩემს სურათებს ან შეიძენენ ან არა, თანაც, თუნდაც შეიძინონ, ფულს ახლავე კი არ იძლევიან, სულ ცოტა, რამდენიმე თვეს მაინც მომიწევს მოცდა...

ტელეფონის ყურმილში დაძაბული სიჩუმე გამეფდა. შემდეგ ქსენიამ ცივად ამოღერღა:

_ ბოდიში, შეგაწუხე. _ და მოულოდნელად, დაუმშვიდობებლად დადო ყურმილი.

იამ შვებით ამოისუნთქა...

საათს შეხედა _ ათი წუთი დაიხარჯა ლაილაიში...

“_ _ ჰმ, როცა დავჭირდი, გავახსენდი _ და ოდნავი უხერხულობაც არ უგრძვნია, თითქმის უცხო პიროვნებისგან ფულს თხოულობს... _ საკუთარი შვილის ამბავს რომ თავს მახვევს, ჩემი შვილები რატომღა არ იკითხა? თუმცა, არც მე გამხსენებია ქსენიას ქალიშვილები _ ალბათ შვილიშვილებიც ჰყავს... _ ვიგინდარებს არ უნდა შეეჯიბრო, შვილიშვილები მაინც უნდა მომეკითხა... _ _”

წინდა უკუღმა ჩაუცვამს ამ უაზრო ქაქანში... დღეს უსიკვდილოდ უნდა მოასწროს ერთი, დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული ეტიუდის გაკეთება. სხვა უამრავი საქმეც აქვს _ მარტო მისი პერსონალური გამოფენის გახსნა რად ღირს, მერე _ ბანკეტი... თითქოს სამუშაო განწყობა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ არა _ “რკინის კანონი” აქვს: არ გადადოს საქმე! რაც ადრე დასახული აქვს, აუცილებლად უნდა გააკეთოს დათქმულ დროს, არ აქვს მნიშვნელობა, რა ხასიათზე იქნება. დიდი ხანია, გამოცდილებით დარწმუნდა: თუ კარგ პირობებს და შესაბამის განწყობილებას უცადე,

შესაძლოა, სულაც წლები გავიდეს და ერთი სურათიც ვერ შექმნა. თავს ძალა უნდა დაატანო, ნებისყოფა დაძაბო, ჰოდა, ხალისიც, აღმაფრენაც და შთაგონებაც აუცილებლად მოგაკითხავენ... სწორი უთქვამს ვიღაც ჭკვიანს ბრძნული (აღარ ახსოვს, ვის): შთაგონება ზარმაცებს არ სწყალობსო...

ამ ფიქრებშია ია, თან ელექტროჩაიდანს რთავს, მერე მაცივრიდან კარაქი და ყველი გამოაქვს, კარადიდან _ მურაბა, ჭრის პურს... დაალაგა მაგიდაზე ჭიქა და ლამბაქი, დაისხა ჩაი, ჩაიჭრა შიგ ერთი ნაჭერი ლიმონისა... მაშინვე ნერწყვით გაევსო პირი. გონებით კი უკვე ქუჩაში იყო, დიდუბეში, იმ ეზოს წინ, სადაც გლიცინიების გადასარევი ყვავილები უნდა დაეხატა... ცისვაზი _ ასე ჰქვია თურმე ქართულად ამ ჩინურ ლიანას; პოეტური ბუნების იქნებოდა, ვინც ეს სახელი შეურჩია...

სუფრას მოჭუტული თვალით გახედა _ მრგვალ მაგიდაზე განლაგებული მრგვალი საპურე, ასევე მრგვალი, ზომით მცირე ლამბაქი, ლამბაქზე _ ჭიქა მუქი ჩაით, არა, ჩაგდებული ლიმონისგან უკვე საკმაოდ გაფერმკრთალებულით, ასევე მრგვალი _ საკარაქე, საშაქრე, სამურაბე... ცოტას მიდგამ-მოდგამს, მშვენიერი ნატურმორტი შეიძლება გაკეთდეს _ მეტყველი კომპოზიცია ოვალების გადაძახილით, ფერთა თამაშით... რა უბრალო საგნებია, ჩვეულებრივი გარემო, ამ უჯრედებიან ლურჯ სუფრასაც ხომ დღეში რამდენჯერმე უზის ხოლმე და რატომღაც მხოლოდ ახლა დაინახა _ თურმე რა კარგი ნატურმორტი ჰქონდა თვალწინ და ვერკი ამჩნევდა... მხოლოდ ახლა შეამჩნია, როცა სხვაგან იყო თითქოს გონებით _ დიდუბეში, _ თან ეჩქარება... რა დაარქვას? "დილის ჩაი"... "ჩვეულებრივი ნატურმორტი"... "დილის ნატურმორტი"... ნატურმორტი არასდროს დაუხატავს, თუ არ ჩავთვლით სტუდენტობისდროინდელ სასწავლო ნაცოდვილარს... მათგან რამდენიმე მუყაო ახლაც აქვს შემორჩენილი სახელოსნოში, მაშინ ისინი მოსწონდა და იმიტომაც შეინახა... ამას წინათ კი, როცა პერსონალური გამოფენისთვის ემზადებოდა და ყველა კარადებიდან, უჯრებიდან და ყუთებიდან თავისი სურათები სახელოსნოს შუაში იატაკზე გამოალაგა ასარჩევად, სწორედ ის ძველი, ოცდაათი თუ მეტი ხნის წინათ შესრულებული ნატურმორტები ნახა და რა უბადრუკი მოეჩვენა ისინი! რა გაუბედავი, უსუსური ხელით არის შესრულებული, რა პრიმიტიული ხედვაა, არავითარი ფანტაზია და გამომგონებლობა, უსახური ფერი _ ყოველმხრივ შებოჭილი ნამუშევრები... ნუთუ ისინი მოსწონდა ერთ დროს? უნდოდა, მაშინვე დაეხია ისინი და ბუხრისთვის მსხვერწლად გაეწირა, მერე კი შეჩერდა, გაახსენდა კიდევ ერთი თავისი კანონი: არ აჩქარდე! უყურა, უყურა თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში გაკეთებულ სურათებს და იფიქრა: "ვინმემ რომ მაჩვენოს ამგვარი სურათები და მკითხოს, ამის შემქმნელს ნიჭი აქვს თუ არაო, უყოყმანოდ ვუპასუხებ: არა, სრულიად უიმედოა, ამის გამკეთებლისგან რიგიანი მხატვარი ვერასდროს დადგება! სრულიად უსახოა! ერთი ბეწო ნაპერწკალი არ ჩანს თვითმყოფობისა, უბრალო გემოვნებისაც კი... ჯობს, შეეშვას მხატვრობაზე ფუჭ ოცნებას, უკეთეს შემთხვევაში, იმგვარი ვითომ_მხატვარი გამოვა, რომელთა რაოდენობაც უთვლელია და საწყლები, მთელი ცხოვრება იძულებულნი არიან, ორდინარულ, არაფრით გამორჩეულ მხატვრებად დარჩნენ..."

თვითონ კი რა _ ვითომ გამორჩეულია?.. დიახ, იმედი აქვს, რომ კარგი, სხვისი მოსაწონი სურათებიც აქვს შექმნილი, ჰოდა, ამ ოცდაათი წლის წინ რომ სრულიად უფერული და უპერსპექტივო ჩანდა (ყოველ შემთხვევაში, სხვათა, გამოცდილთა თვალში; შესაძლოა, არჩილის დაცინვა ამითაც იყო გამოწვეული), როგორღა მოხდა ასეთი საოცარი და მოულოდნელი ფერისცვალება? ძალიან ნელა "მწიფდებოდა", ძნელად გაეხსნა "სარკმელი", გვიან "დაღვინდა"... ამიტომ კანონი "არ აჩქარდე!" განსაკუთრებით აუცილებელია სხვათა შემოქმედებითი უნარის შეფასებისას... შესაძლოა, მავანი მხატვარი საშუალო ნიჭისად ან უნიჭოდაც კი მიგაჩნდეს (ასევე, სხვებიც ბევრნი იზიარებდნენ ამ აზრს), მაგრამ მოულოდნელი "აფეთქება" მოხდეს, მოერღვეს რაღაც უხილავი შემბოჭავი ზღუდე, რომელიც აფერხებდა მისი ჭეშმარიტი რაობის წარმოჩენას და ამდენი ხნის დამარხულმა პოტენციამ უცებ გაიღვიძოს, გაგაკვირვოს და შემოდგომის გვიანი ყვავილებივით გაგახაროს! ქვეყნიერებაზე მრავალი საოცრება ხდება, მრავალი... თუნდაც განა საოცრება არ არის, რომ მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა უნდა გაიხსნას დღეს, მანამდე კი მრავალმა ადამიანმა თავისი აღტაცება გამოხატა მისი სურათებით? განა ადრე, ოცნებაშიც კი შეეძლო წარმოედგინა ეს?

იამ თავი გააქნია _ ახლა ამგვარი ფიქრების დრო არ არის! აი, ამ ნატურმორტს ხომ არ ჩაუჯდეს ახლავე? ერთ საათში ძირითადად დაამთავრებს... კომპოზიცია თითქმის საბოლოოდ მოძებნილია: მრგვალი მაგიდის დაახლოებით ნახევარი, მაგიდაზე მრგვალი საგნებია განაწილებული... არა, სხვა დროისთვის გადადებს: უპირველესად, ოთახში საკმარისი განათება არ არის და კარგად გათენებას რომ უცადოს, არ ღირს; მეორეც, ელის ადრევე გადაწყვეტილი სამუშაო დიდუბეში, რომლის გადადებაც არ შეიძლება _ ცისვაზი ხანგრძლივად კი ჰყვავის, მაგრამ დღევანდელი კარგი ამინდი შეიძლება, ხელიდან გაგიფრინდეს, ახლა გაზაფხულია და თუ წვიმები დაიწყო... რაც მთავარია, კანონი: "არ გადადო!" ამ "დილის ნატურმორტის" გაკეთება კი ყოველთვის შეიძლება: სად გაექცევა ეს მაგიდა, სუფრა, ლამბაქი და ჭიქა, საპურე, საკარაქე, სამურაბე...

სუფრა არ აულაგებია _ როცა დაბრუნდება, იქნებ ჩანახატის გაკეთება მოასწროს...

კედელზე ჭიკარტით მიკრულ ფურცელზე შემდეგი დღის რიცხვი დაწერა, ქვეშ კი მიაწერა: "დილის ნატურმორტი". შემდეგ ვერ მოითმინა, აიღო ქაღალდის სუფთა ფურცელი და ფანქრით რამდენიმე წუთში მოხაზა კომპოზიცია: მაგიდის კიდე მრგვალად, ზედ _ მრგვალი ფინჯანი ჭიქით და ორი თეფში, საშაქრე, საკარაქე, საპურე, სამურაბე... მერე ნახავს: იქნებ ზოგი საგანი გამოაკლოს ან დაამატოს, ადგილებიც შეუცვალოს.

ფიქრით კი უკვე ქუჩაში იყო, იმ ორსართულიანი სახლის წინ, რომლის შესასვლელსაც ერთ უზარმაზარ თაიგულად ამშვენებდა ცისვაზის ანუ გლიცინიის იასამნისფერი ყვავილები...

სწრაფად ჩაიცვა ლაბადა, ცალ ხელში ჩანთა დაიჭირა, მხარზე პატარა საეტიუდე ყუთი გადაიკიდა, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქაურობას _ ხომ არაფერი ავიწყდება? _ სახლის კარი ფრთხილად გაიხურა და ამწვანებული ეზოს გავლით ჭიშკრისკენ გაეშურა.

III. მიყვარს გასეირნება დიდუბის ქუჩებში

უთვალავია ნოველები თუ ნარკვევები, მიძღვნილი ადამიანთა ტიპებისა თუ გამორჩეული პიროვნებებისადმი, მდინარეებისა თუ მწვერვალებისადმი, ქალაქებისა თუ სოფლებისადმი; ტყისპირს ადრიან გაზაფხულზე ამოსულ ყოჩივარდას ან შემოდგომაზე კოცონივით აბრიალებულ თრიმლის ბუჩქს მიაგებენ ქებათა ქებას; ტრიალი მინდვრის შუაგულში ეულად მდგომ მუხას ან კაკალს შეიძლება უძღვნა პოემა ან ლექსი მაინც.

მე კი მინდა, სამ-ოთხ ჩვეულებრივ ქუჩაზე ვთქვა რამდენიმე თბილი სიტყვა, რაკი ისინი ჩემი მეხსიერების სიღრმეებიდან რამდენჯერმე ამოტივტივდა.

ამ მოთხრობას, ჩანახატსა თუ ნარკვევს, _ რაც გინდათ, ის უწოდეთ, _ თავდაპირველად სათაურად ჰქონდა "მიყვარს გასეირნება თბილისის ქუჩებში", შემდეგ იყო სხვა ვარიანტებიც, ბოლოს კი გადავწყვიტე, შემოვზღუდულიყავი მხოლოდ ერთი უბნის _ დიდუბის _ მცირე ნაწილით, მისი რამდენიმე ქუჩით. სხვა უბნებსა და ქუჩებს, იმედია, გამოუჩნდებათ მეხოტბენი და ჩემზე უკეთაც იტყვიან სათქმელს.

ქუჩებს კონკრეტულად არ დავასახელებ, რამდენადაც დიდუბეში "დინამოს" სტადიონის მიმდებარე ქუჩების განზოგადებულ ხატს წარმოვიდგენ. რაკი ამ ქუჩების მდებარეობა გარკვეულია, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ისინი ერთმანეთის პარალელურად მიემართებიან, ყველანი კვეთენ აკაკი წერეთლის სახელობის გამზირს და ქვევით კი _ დიდუბის ქუჩას ებჯინებიან (ნაწილი _ კვეთს).

ვინმე სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ უბნის ქუჩებს _ ევდოშვილის, ვახუშტის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმის და სხვებს _ არ გააჩნიათ რაიმე განსაკუთრებული არქიტექტურული ღირებულება; მაგრამ ეს უბანი უკვე გარდასული ეპოქის პროდუქტია, გარკვეული თავისებურებაც გააჩნია და ამდენად, ისტორიული ღირებულება მაინც აქვს. თუნდაც ის გავიხსენოთ, რომ ფოთის ქუჩის N 35-ში ერთხანს ბინა ჰქონდა ნიკო ფიროსმანაშვილს (ბინა? მეტისმეტი მომივიდა _ კიბის ქვეშ ერთი მოციცქნული სათავსი იყო, სადაც თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა); იქ ის მოინახულა ლადო გუდიაშვილმა. სამწუხაროდ, დღეს ეს სახლი აღარ არსებობს _ დაანგრიეს მეტროს სადგურ "წერეთლის გამზირის" აშენებისას (კიდევ კარგი, შემორჩენილია ამ სახლისა და ეზოში ნიკოს საცხოვრისის დავით კაკაბაძის მიერ გადაღებული ფოტოები, აგრეთვე ლადო გუდიაშვილის ჩანახატი). ალბათ როდისმე მას მიჰყვება მთელი კვარტალი ფოთისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩებს შორის _ გაივლის საბურთალოსა და ნაძალადევის დამაკავშირებელი ფართო ქუჩა. არადა, ამ უბნის ქუჩებს საკუთარი იერი აქვთ, თავისებური ხიბლიც (ჩემთვის მაინც), განსხვავდებიან თბილისის სხვა უბანთა ქუჩებისგან და თუნდაც ამიტომ ღირდა შენარჩუნება და ხელუხლებლად დატოვება ერთი ქუჩისა მაინც... ეს უბანი არ ჰგავს, მაგალითად, XIX საუკუნის ძველი თბილისის ამჟამად რესტავრირებულ უბნებს, სოლოლაკს, ან სხვებს, _ ის თითქოს გარდამავალი საფეხურია მთლად გარეუბანს და ევროპულ ნაწილს შორის _ აქ აქა-იქ ერთ-ორსართულიანი

კაპიტალური სახლებია უფრო უბრალო სახლებს შორის, შუალედებს კი ავსებს ფარდულები, კიბეები, მესრები და თუთით, ალუბლით, ბროწეულით, ვენახით დამშვენებული მომცრო ეზოები... (საერთოდ, თბილისური ეზოები ცალკე თემაა _ ძალზე მრავალფეროვანი და საინტერესო).

დიდუბის ქუჩის სულ ბოლოში ვცხოვრობდი თითქმის სამ ათეულ წელიწადს და დღეში რამდენჯერმე გავივლიდი ხოლმე ამ უბანში. ამას წინათ, აქედან ვარკეთილის დასახლებაში საცხოვრებლად გადასვლიდან 10 წლის შემდეგ, ისევ მომიწია ნაცნობ ქუჩებში გავლა. დრო საკმაოდ მქონდა და ნება-ნება დავუყევი წერეთლის გამზირიდან ქვევით, დიდუბის ქუჩისკენ ერთ-ერთ ქუჩას, შემდეგ _ მეორე, პარალელურ ქუჩას, ოღონდ ზევით, წერეთლის გამზირისკენ ავუყევი... და ასე, ვუვლიდი წრეებს _ არც დაღლა მიგვრძნია, არც _ მოყირჭება. ალბათ წარმოიდგენთ, როგორი გრძნობით ვაკვირდებოდი ყოველ ქუჩას, სახლს, ეზოს, ხეს... ეზოებში ვიჭვრიტებოდი და თითქოს კიდეც ვცნობდი ყველაფერს და მაინც ვეღარც ვგრძნობდი, ახლებურად ვხედავდი, როგორც ჯერაც უნახავს. ბევრს რასმე მხოლოდ ახლა ვამჩნევდი. დროდადრო ვჩერდებოდი, ვიდექი კარგა ხანს, ქუჩის ცვალებად ცხოვრებას ვაკვირდებოდი. ყველაფერი ჩვეულებრივი იყო, ყოველდღიურობის მონოტონურობით დაღდასმული... ქუჩა თავისი ჩვეულებრივი, ჩვეული ცხოვრების მდინარებას მიჰყვებოდა, მაგრამ ამაშიც თურმე რა პოეზია ყოფილა, მხოლოდ ახლა რომ ვხედავდი...

დიახ, რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ და უცებ უამრავმა ხატებამ წამოყო თავი _ დიდი ხნის წინათ გარდასული და თითქოს დავიწყების სქელი მტვრით დაფარული ბევრი რაღაც გამახსენდა, რაც ახლა ვეღარ ვიხილე და გული დამწყდა... ნუთუ ეს ქუჩებიც, ეს სახლებიც ისე გაქრება, რომ კვალსაც არ დატოვებენ? რას იზამ, დრო მიქრის, დროის ტალღა მიგვრეკავს მხოლოდ ცალმხრივ _ წინ, წინ, წინ! _ უფრო მაღალი სახლებისკენ, უფრო დიდი სისწრაფეებისკენ... მხოლოდ ხსოვნა თუ გაგვახედებს უკან და ნაწილობრივ დაგვანახვებს წარსულის გაფერმკრთალებულ ხატებს... ცხადია, ეს ქუჩები განწირულნი არიან და მინდა, ჩემს ემოციურ აღწერაში მაინც შემოვინახო მათი სურნელი _ XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში გაშენებული ამ უბნის ხიბლი. გაგეცინებათ ალბათ, ამ ვიწრო, თითქოსდა შეუხედავ ქუჩებს რას მისტირისო, მათ კი ჩემს თვალში ნამდვილად აქვთ განსაკუთრებული ფასი და სწორედ ამან ამაღებინა ხელში კალამი.

დიახ, ლამაზია მრავალსართულიანი სახლები, კარგია, რაღა თქმა უნდა, მრავალოთახიანი კეთილმოწყობილი, ჭერმაღალი ბინა, სინათლე და სისუფთავე, მტერმოყვარეს რომ საკადრისად მიიღებ და შენი ოჯახის წევრებიც ყველანი ფრთებს გაშლიან, მაგრამ... მაგრამ, რა ვქნა, გული მწყდება და ძლიერ განვიცდი, რომ მალე პირისაგან მიწისა აღიგვება თუნდაც ეს ერთი პაწია, კოპწია ეზო...

ხომ ძნელი ასაწერია ადამიანი? გარეგნობა, ხასიათი, მდგომარეობა... მე რომ მკითხოთ, არც ქუჩის აღწერა არის ადვილი. რა არის ქუჩა? ქუჩა _ ეს არის სახლები (სულ სხვადასხვანაირი, სხვადასხვა დროს აშენებული), მოასფალტებული ფილაქანი, რომელზედაც დასრიალებენ ავტომანქანები, ორი ტროტუარი, რომელთაც ზევით-ქვევით ტკეპნიან ეგრეთწოდებული ქვეითნი ანუ ფეხით მოსიარულენი; ეს

არის სხვადასხვა _ გაზის, წყლის, ელექტრო, კავშირგაბმულობის, კანალიზაციის და სხვა _ გაყვანილობა (ზოგი _ ჰაერში გამოკიდებული, ზოგი _ მიწაში ჩამარ-ხულ-დამალული) და დიდუბის ქუჩების მუდმივი ბინადარნი _ ხეები!

ჰო, კიდევ _ ქუჩას დროდადრო ეკუთვნის აგრეთვე: წვიმა, ქარი, ნისლი, მზისა თუ მთვარის შუქი, ლამპიონებით გაჩირაღდნება და სიბნელეც... ცვალებადია ქუ-ჩა, ჯერ დღე-ღამის სხვადასხვა საათზე რაოდენ განსხვავებულია იგი; გაზაფხუ-ლის ქარიან ამინდში სხვა იერი აქვს, შემოდგომის წვიმა კი სულ სხვაგვარად ხა-ტავს... წვიმაც კი რამდენნაირია, ვინ მოსთვლის... ორი ერთნაირი დღეც კი არ ახ-სოვს ალბათ ყოველ ქუჩას. მუდმივი ცვალებადობა _ აი, მისი კანონი. განა მხო-ლოდ ამინდი ან წელიწადის დრონი თუ დღე-ღამე ცვლის ერთმანეთს, წლიდან წლამდე ქუჩაში მიმავალი ხალხიც იცვლება _ ჩაცმულობით, მოდით, ასაკითაც... ხეებიც ყოველწლიურად იზრდებიან, სახლებიც კი "ბერდებიან" _ ძველდებიან და ხუნდებიან, ცვივათ შელესილი კედლებიდან ბათქაში, საწვიმარი მილები იჟანგე-ბა, იხვრიტება, დამპალი ფოთლებითა და ნაგვით იჭედება (ვხედავ: სამწუხაროდ, დიდუბეში სახლების შესაკეთებლად არავინ იცლის, ალბათ სახსარი არ ყოფ-ნით)... ზოგი სახლი "შექეიფიანებულია" _ გადაქანებულა, ბზარებიც გასჩენია; ეზოში შესასვლელი რკინის ჭიშკრები დროს და უხეირო, დაუდევარ მძღოლებს დაუჭეჭყავს და წესიერად აღარც იხურება. ტროტუარების გასწვრივ ჩარიგებულია ხეები _ უმეტესად აკაცია, თეთრი აკაცია, _ ასე უწოდებენ მას, თუმცა ტანი მუქი აქვს, დაღარულ-ხორკლიანი; ზამთარში ტოტებიც შავად აქვს გაფარჩხული, მათში ქარი სისინებს, ბოძებზე გაბმულ მავთულებს ეხლება... და არცთუ იშვიათად ადრე გაზაფხულზე ქუჩაში გამოჩნდება საგანგებო სატვირთო ავტომობილი, იქიდან გადმოვლენ ნაჯახ-ხერხით შეიარაღებული მუშები, გადაბელავენ გადაზრდილ ტოტებს და ამ მანქანითვე სადღაც წაიღებენ... მერე ისევ ამოიყრის, ამოსკდება მწვანე ნაზარდი _ აკაცია სწრაფად იზრდება _ და ერთ-ორ წელიწადში ისევ იწყ-ებს ყვავილობას. ოჰ, რა სჯობს, გაზაფხულობით რომ აკაციებჩარიგებულ ქუჩას მიუყვები და ხარბად იყნოსავ-ისუნთქავ ახალგაფურჩქვნილი თეთრი ყვავილების საოცარ სურნელს... ზოგი ხე ისეა დახუნძლული თეთრი ყვავილების "მტევნე-ბით", რომ აკაციის წვრილი ფოთლები თითქმის აღარც ჩანს. და გიკვირს, საიდან აქვს ამ შეუხედავ, "მურიან" ხეს ან ამდენი შინაგანი ძალა და ენერგია ყვავილობის ასეთი "აფეთქებისთვის", ანდა ასეთი საამო სურნელი... შეჩერდები ერთი ასეთი "დედოფლის" ქვეშ, დგახარ სურნელით გაბრუებული, ყოველივე საფიქრალი სადღაც ქრება და მხოლოდ ფუტკრების გაბმულ ბზუილს უგდებ ყურს... მერე, თუკი შეგიძლია, მიწვდე, ახტები, თეთრყვავილებიან მცირე ტოტს მოტეხავ, ერთს დაყნოსავ ხანგრძლივად, შემდეგ ბავშვობას გაიხსენებ, ყვავილს პირისკენ გააქანებ და გაღეჭავ _ საამო მოტკბო გემო აქვს.

აგერ ერთი თელაც გამოერია აკაციების რიგში _ ძველთაძველი, სულ სხვა იე-რის და ლაზათის _ ხშირტოტება, მუქვარჯიანი, გამორჩეულჩრდილიანი. ერთ დროს თბილისის ქუჩებში თელა მრავლად იდგა, მერე რაღაც სენი შეეყარა და თითქმის პირწმინდად გადახმა _ თითო-ოროლა თუ გადაურჩა აქა-იქ ავადმყო-ფობას და ერთ-ერთი ახლა ამ ქუჩას ამშვენებს.

დაუღალავად ვტკეპნი ტროტუარს... ქუჩა სავსეა შორეული თუ ახლობელი ხმებითა და ხმაურით: ყრუ გუგუნით ქუჩის სიმფონიისა, რასაც Eეხლართება ხოლმე ხან მუსიკის ხმა, ხან გაცხარებული დიალოგი, ხან სიმღერა და ხან სროლის ხმაც _ გააჩნია, რას უყურებენ ტელევიზორში ან რას უსმენენ რადიოში იმ ფანჯრის უკან, რომლთანაც გაივლი ამ დროს.

აი, პირველი სართულის ამ ფანჯარაში, მახსოვს, მოწყობილი იყო თოჯინების პატარა გამოფენა: ზანგი ბიჭუნა, საწოლში წამომჯდარი ცეროდენა დედოფალა; კიდევ ორი, საკმაოდ დიდი დედოფალა იჯდა ფანჯრის რაფაზე ერთმანეთის პირისპირ და დაუხამხამებლად იცქირებოდნენ მრგვალი, გრძელწამწამა თვალებით; წინ ეწყოთ წითელი პლასტმასის სათამაშო სერვიზი, კედელთან კი იდგა ყველაზე დიდი დედოფალა _ ყვითელი გაჩეჩილი თმებითა და ცისფერი, ფართოდ გახელილი, გაკვირვებული თვალებით, განზე გაწეული გაშეშებული ხელებით... როცა ამ ფანჯრის წინ ბესიკსა და დათუნასთან ერთად ჩავივლიდი, ყოველთვის კარგა ხნით გამაჩერებდნენ აქ და ძლივს დავძრავდი ხოლმე ადგილიდან...

აგერ კიდევ ერთი გამორჩეული ეზო: რკინის ჭიშკარი, მერე აქეთ-იქიდან ერთსართულიანი, ერთმანეთზე უწესრიგოდ მიშენებულ-გადაბმული სახლებით შემოსაზღვრული ვიწრო და გრძელი ეზო. ჭიშკრის ცალ მხარეს მიწიდან ამოზრდილა ბებერი გლიცინიის ანუ ცისვაზის მსხვილი, დაგრეხილი ტანი, ადის მაღლა და იქ ათასად იტოტება და ერთმანეთში იხლართება. ნაწილი ამ ლიანის ლერწებისა ჭიშკრის თავზე თმებივით ჩამოშლილა, უმეტესი ნაწილი კი ეზოს ზემოდან მიუყვება და თალარს ჰქმნის... ო, რა ზღაპრული აყვავილება იცის გაზაფხულზე ამ ცისვაზმა! იისფრად როგორ აქაფდება მისი უთვალავი ყვავილი, სულ დაფარავს ყველაფერს, _ გგონია, ახლა წალეკავს ყოველივეს, _ გადმოსჩქეფს ჭიშკრის თავიდან; ეზოში თუ შეხვალ, ზევით ცას ვერ იხილავ, მხოლოდ ყვავილების მოსკდენილ ზღვას... დგახარ და შესცქერი სილამაზის ამ მოზღვავებას, შენც სიხარულისა და სიამის მოწოლას გრძნობ... ამ ეზოში ერთი ცეროდენა გოგონა, სახელად მარიანა, ცხოვრობდა, ჩემი უმცროსი ბიჭის, დათუნას, თანაკლასელი; ის გოგონა, ახლა ალბათ გაზრდილი, თავის ეზოზე უკეთესს და უტურფესს რას გაიხსენებს? და ამ სილამაზესაც, სამწუხაროდ, სამარადჟამოდ გაქრობა უწერია... როდისმე მარიანა აქ გაივლის, აღარც ძველი ქუჩა დახვდება, აღარც ნაცნობი სახლები და აღარც ოცნებასავით მოგონებებში დარჩენილი ცისვაზის ყვავილებით დაჩრდილული გრძელი ეზო. მაგრამ მაინც ბედნიერი იქნება, რადგან, სინანულთან ერთად, ამ სილამაზის მოგონება მაინც მასთან იქნება მარად...

ნუთუ ყველაფერი ლამაზად გვეჩვენება, რაც უკვე გარდასულია ან გაქრობა აწი ემუქრება?

კიდევ ერთი მოგონება... გული დამწყდა, რომ ამ ქუჩაზე ჩავიარე და ვეღარ დავინახე მოხუცი მარტოხელა ქალი, რომლის პაწაწკინტელა ოთახის კარი პირდაპირ ქუჩაში გამოდიოდა. ეს კაფანდარა, ძალიან გამხდარი ქალი ყოველდღე ჯერ საგულდაგულოდ ჰგვიდა თავისი ბინის წინ ტროტუარს, შემდეგ საპნიანი წყლით მორეცხავდა და ტილოთი მოამშრალებდა-მოასუფთავებდა. დღეში რამდენჯერმე... აი, ეს უხაროდა ცხოვრებაში, რომ მისი საცხოვრისის წინ ათიოდ მეტრზე ყოველთვის გაკრიალებული ყოფილიყო ტროტუარი. იქნებ მას ბევრი სხვა რამეც

ახალისებდა და უადვილებდა ცხოვრების ჭაპანის ზიდვას, არ ვიცი. სხვას, შესაძლოა, ახირებად ჩაეთვალა მოხუცის თავგამოდებული გარჯა, მე კი ნამდვილად პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული ამ ჩუმი, ფუსფუსა მოხუცი ქალის მიმართ და ახლა, როცა მას ვეღარ ვხედავ, უფრო ვგრძნობ, რომ ისიც ამ ქუჩის ნაწილი იყო....

ისევ ძველთაძველი, ერთ-ორსართულიანი სახლები _ დამტვერილები, დიდი ხნის შეუკეთებელნი; იშვიათად თუ სამსართულიანი გამოერია, როგორც წესი, პირველი სართული სანახევროდ მიწაშია ჩამალული. მოსაღამოვდა და ამ ნახევრადსარდაფებში სინათლე აანთეს, მოჩანს ხოლმე განათებული ოთახის კუნჭული. ზევიდან ჩავცქერი უცხო ხალხის უცხო ცხოვრებას და ვისწრაფვი, მალე მოვაცილო ცნობისმოყვარე მზერა და გზა განვაგრძო.

სხვა სახლებშიც სიბნელის დადგომასთან ერთად ან დარაბებს აფარებენ ან სქელ ფარდას. იმითღა ვერთობი, რომ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მეორე სართულის ფანჯრებში ვათვალიერებ, ვის როგორი ჭაღი აქვს _ ორ ერთნაირს ვერ ნახავ.

მახსოვს, ერთხელ ასე სიარულში ვათვალიერებდი ნაირ-ნაირ ჭაღებს და ერთ ადგილას შევჩერდი _ სხვა რამემ მიიპყრო ჩემი ყურადღება. საკმაოდ დიდ, ფართო ფანჯრებში (ფარდები ბოლომდე იყო გაწეული) მოჩანდა კედელი, რომელზედაც მიჯრით იყო ჩამოკიდებული სურათები: პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები... რა თქმა უნდა, ამ სურათებს მთლად კარგად ვერ ვხედავდი, წვრილ დეტალებს ვერ ვარჩევდი, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ ამ კედელზე ერთიმეორეზე უკეთესი სურათები ეკიდა, კოლექციის შემგროვებელს კარგი გემოვნება ჰქონდა. ალბათ დიდხანს მოუნდა ამ საქმეს, მთელი კედელი ჭერამდე მთლიანად, იყო გადაჭედილი სურათებით _ შუალედების გარეშე.

ღამის ქუჩა სულ სხვანაირია... თუ არ გეჩქარება და ნელ-ნელა ჩაუვლი, დაინტერესებული მზერით დანახული ქუჩა საოცრად ლამაზია. ტყუილად კი არ არსებობენ მხატვრები, რომელთა საყვარელი მოტივი სწორედ ღამის ქუჩის განუმეორებლობის ასახვაა _ განათების ეფექტები ნაცნობ გარემოს ჯადოსნურად გარდაქმნის, იდუმალ, მომხიბვლელ იერს ანიჭებს. სანახევროდ სიბნელეში ჩაძირული სახლების ფანჯარათა გაჩირაღდნებული, თბილი მართკუთხედები, ქუჩის ფარნების სინათლით ალაგ-ალაგ გამოტაცებული კედელთა ფრაგმენტები, ზევით კი _ სახურავების ღამურას ფრთებივით ტეხილი კონტური გამოჩნდება ჩალურჯებული ცის ფონზე (ცა მაინც უფრო ნათელია). დიახ, ქუჩა ბნელია, ალაგ-ალაგ გაცისკროვნებული ლამპიონთა ბრდღვიალით. გამვლელთა თითქოს მოჩვენებებივით მოვლენილი ფიგურები _ სიგარეტები-ციცინათელები გაიციალებენ ხან აქ, ხან იქ; ქალთა ფეხსაცმელების რიტმული პაკუნი; ხეების მუქ სილუეტებს შორის ხან იკარგება, ხან თვალისმომჭრელად შემოგანათებს მიმქროლავი ავტომანქანის გიზგიზა ფარები; ერთ მანქანას მეორე მოსდევს, შემდეგ მესამე უსწრებს _ არის წითელ-ყვითელ შუქთა ერთი ორომტრიალი, ათინათები შუშებზე, რასაც ემატება ძრავების გუგუნი, საბურავების შრიალ-შიშინი ასფალტზე; გზაჯვარედინთან, აკაკი წერეთლის გამზირის გადაკვეთაზე, წითელ-ყვითელ-მწვანედ თვალს გიკრავს შუქნიშნის ბრიალა თვალი...

გამზირზე _ ჭიატი ნეონის რეკლამებისა, როგორც წესი, მოშლილნი რომ არიან (ზოგან კი წითელ ასოებში რატომღაც ლურჯი ასოც არის გარეული), ციებიანივით ცახცახებენ ან კონვულსიურად ხტიან, ქრებიან და ინთებიან... რახრახით ჩაიქროლებს გაჩირაღდნებული ტრამვაი, მიაჩაქჩაქებს ქალაქის ეს "გემი" ქუჩის მდინარებაში მგზავრებს, რელსებზე უსიამოვნოდ დაიღრჭიალებს მოსახვევში მისი რკინის ბორბლები...

ღამით განსაკუთრებით გრძნობ, რომ ქუჩა დინამიურია _ მოძრაობს, ცოცხლობს, ფუთფუთებს, ასე, ღამის 10 საათამდე; მერე კი ნელ-ნელა ჩაკვდება ყველაფერი, მოძრაობა წყდება, იშვიათად თუ გაიშრიალებს მანქანა _ უკვე თითოეული მათგანის სოლო ხმაურია (ადრე, დღისით, ქუჩა მრავალხმიანია).

არა, მაინც შინ გირჩევნია უკვე, განათებულ ოთახში, ჩვეულ გარემოში, გაწყობილ სუფრასთან _ მოშივებული ხარ!

ფეხს აუჩქარებ, აქეთ-იქით აღარ იცქირები, კედლებზე მოძრავი ჩრდილების ცეკვა აღარ გიტაცებს...

მაინც ვიტყვი:

მიყვარს გასეირნება დიდუბის ქუჩებში!

3. ცისვაზი

ია დაღმართში დაეშვა.

ისეთი ციცაბოა ეს ოხერი, სულ ფეხქვეშ უნდა იცქირო, რომ რაიმეს ფეხი არ წამოკრა, არადა, რა მშვენიერი გადასახედია აქედან! ბინდბუნდში იკვეთება დაღმართში ჩარიგებული სახლები, ხეები... სახურავები თანდათან ითქვიფება შორეთში.

ადრიანი დილაა, უკაცრიელ ქუჩაზე გარინდებულა ირგვლივ ყოველივე; კაშკაშა, ნათელი დღე იქნება, თუმცა ქოლგა მაინც უნდა წამოეღო: ჯერ აპრილის დასაწყისია, ამინდს ვერ ენდობი, შესაძლოა, სულ ორიოდ საათში ქარმა დაქროლოს, ღრუბლები გადმოდენოს დასავლეთიდან, ცა გადაამუქოს და უცებ ატყდეს ისეთი მეხთატეხა და შემდეგ წარღვნასავით შმაგი წვიმა წამოუშინოს, რომ განანოს _ რატომ წინდახედული არ ვიყავი და ქოლგა შინ დავტოვეო. ორმოცდაათი წლის ქალია უკვე, ეგრე იოლად ვეღარ იტანს წვიმაში დასველებას. დღეს ალბათ გადარჩება _ უამინდობის წინ რამდენიმე საათით ადრე გულთან წვრილ-წვრილ ჩხვლეტებს გრძნობს ხოლმე, ამიტომ წამალი მუდმივად უდევს ჩანთაში.

სანამ დაღმართს შუამდე გალევდა, სწრაფად გათენდა.

ია გაჩერდა და წუთით გარშემო მზერა მიმოავლო: ჩრდილოეთით, მყინვარწვერის სპეტაკი შუბლი ცხადად იკვეთება ცის ფონზე; ლურჯი კავკასიონის მძლავრ ზურგს თეთრად მბრწყინავი მწვერვალების ქარავანი მიუყვება; უფრო ახლოს _ ჩამუქებული რუხი ქედები, მზის სხივთაგან ჯერ მიუწვდომელნი; აღმოსავლეთით _ ალიონის მწიფე ატმისფრად მოღუდღუდე ცა; მის ქვევით _ მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ _ ცისფერ-ნაცრისფრად გაწოლილი ქალაქი: სახლები, სახურავები, კედლები, ცისკენ აშვერილი მაღალი მილები, მახათას ბლაგვი მთა...

ია შებრუნდა და ახლა მამადავითსაც ააყოლა მზერა _ ხე-ბუჩქნარით დაფარული კალთები მომდგარი მზით სადაცაა კიდევ უფრო ახასხასდება...

რა მდიდარი ფერადოვნებაა, რა მრავალგვარ ფორმებს არჩევს, რამდენი კარგი სურათის გაკეთება შეიძლება! ამ ბოლო დროს ძალიან ხარბი გახდა, "გაუმაძღარი": თითქოს სულის საცავში დაგროვილმა სახეების, განცდების, გამოცდილების "მარაგმა" რაღაც უხილავი ჯებირი გაარღვია და ჯიუტად მოითხოვს მხატვრული სიმწიფის რეალიზაციას, განსხეულებას სურათებად. თვითონაც უკვირს, რა ემართება: საითაც კი გაიხედავს, ყველგან სურათის თემას ხედავს, თითქოს აქამდე ბრმას, ახლა თვალი აეხილაო; ალბათ ასი სიცოცხლეც და ასი ადამიანის ენერგიაც არ ეყოფა, რომ ყველაფერი მოასწროს... უნდა იჩქაროს! მოუნდა, იქვე დარჩენილიყო და აღმართის ეტიუდი გაეკეთებინა; მერე იფიქრა, აქ დღეში ორ-სამჯერ მაინც აივლის-ჩაივლის, ეტიუდის გაკეთება სხვა დროს იყოს, ახლა გეგმის შეცვლა არ ღირსო. ადრე ზერელედ უყურებდა აქაურობას, ვერაფერს ხედავდა ღირსშესანიშნავს, აქამდე რატომ ჰქონდა თითქოს დახუჭული თვალები? საერთოდ, გვიან ჩაწვდება ხოლმე ყველაფერს, ხანგრძლივი დრო სჭირდება... აი, თუნდაც მისი ყოფილი ქმარი, არჩილი... თითქმის ოცი წელი იცხოვრეს ერთად, უკვე ცხრა წელზე მეტია, რაც განქორწინდნენ და მხოლოდ ახლა, ნელ-ნელა ხვდება მის ნამდვილ რაობას და ალბათ იმასაც ბოლომდე ვერა. თუმცაღა, შესაძლებელი არის კი ნებისმიერი ადამიანის, თუნდაც ყველაზე ახლობლის, ბოლომდე შეცნობა? არჩილის ბუნების გაგებაში კი ყველაზე მეტად დაეხმარა ყოფილი ქმრის ნამუშევრები, მისი დამოკიდებულება საკუთარი შემოქმედებისადმი... გამორჩეული ნიჭი და იმავდროულად ამ დიდი ნიჭის რაღაც წვრიმალებზე დახურდავების უჩვეულო უნარიც... მისი მხატვრული პოტენციის მხოლოდ მეათედი თუ იხარჯება ბუნებრივად, ალალად, ყოველგვარ გამორჩენაზე ფიქრის თუ სხვა, "პრაგმატული", უკეთ თუ ვიტყვით, კონიუნქტურული გარემოებების გარეშე. აი, ამ მცირე ნაწილმა _ ჭეშმარიტმა, ნაღდმა შემოქმედებამ _ ასე მოხიბლა ამ ოცდაათზე მეტი წლის წინ ნორჩი ია; თავიდანვე საინტერესო, ძლიერი ინდივიდუალობა ეტყობოდა არჩილის ნამუშევრებს, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ჩანდა ხან იმპრესიონისტების პოეტიკის გავლენა, ხან ვან გოგის დაძაბული ექსპრესიის, ერთი პერიოდი კი მზიური, ხალისიანი მატისი იყო მისი ღმერთი... დიახ, გემრიელი, ჭეშმარიტად არჩილისებური ფერთა ზეიმი იყო მის სურათებში და სხვათა ფეროვანი გამის თუ მანერის გავლენა სულაც არ უშლიდა ხელს, რომ მაშინვე გეცნოთ: ეს არჩილის მიერ შექმნილი ტილოა! შემდგომ არჩილი თანდათან გათავისუფლდა ნიჭიერი "შეგირდობისგან", მთლიანად საკუთარ ფეხზე დადგა, სულ უფრო ღრმა ინდივიდუალობას იძენდა... სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში, არჩილი თითქოს უკან-უკან წავიდა, სულ უფრო იშვიათი ხდებოდა მის შემოქმედებაში "საკუთარი" ხმით ნამღერი სურათები. არჩილი ძალიან ნაყოფიერი მხატვარი იყო, მაგრამ მისი "პროდუქციის" მეტი ნაწილი ან მოდას უხდიდა ხარკს, ან აქტუალურ თემას, ან დამკვეთის მოთხოვნილებას; არცთუ იშვიათად პოპულარობის მოპოვების იაფფასიან, დაბალი გემოვნების ხერხებსაც მიმართავდა, გარეგნულ ეფექტებს ეხარბებოდა... ფული ვის არ სჭირდება, არჩილს კი ბავშვობიდანვე სანატრელი არასდროს ჰქონია კარგი ჭამა--სმა და დროსტარება _ შეძლებულ ოჯახში გაიზარდა. როცა დედ-მამა გარდაეცვა-

ლა, უკვე ცნობილი მხატვარი იყო და საკმაო შემოსავალიც ჰქონდა, ამდენად, არც ახლა უჭირდა: ვარდისუბანში, თითქმის მამადავითის მთის ძირში, საკუთარი სახლიც აიშენა _ დიდი სახელოსნოთი და გარაჟით; პირველი ავტომანქანა ხომ მამამ უყიდა ჯერ კიდევ სტუდენტს, შემდეგ, სულ უფრო უკეთესებს, უკვე თვითონ იძენდა. ერთი ეს იყო, რომ ჩაცმა-დახურვას არასდროს გადაჰყოლია, ყოველთვის ძალიან უბრალოდ ეცვა და არც სხვა მხრივ ზრუნავდა დიდად თავის გარეგნობაზე. მაგალითად, ხშირად ნახავდით წვერგაუპარსავს, მოდიდან გამოსულ, ყავლგასულ ტანსაცმელ-ფეხსაცმლით მოსილს _ იფიქრებდი, საკმაოდ გაჭირვებულიაო. საერთოდ, მეტად წინააღმდეგობრივი ხასიათი ჰქონდა. უყვარდა ფული, ამავე დროს ეხმარებოდა დამწყებ მხატვრებს; ენამწარე, დაუნდობელი, კოლეგების გამკილველი, იცავდა იგივე ახალგაზრდა მხატვრებს, ეხმარებოდა გამოფენის მოწყობაში, შეკვეთების მოღებაში... არც დარიგებებს იშურებდა _ ყველას ეხმარებოდა, გარდა... იასი! თითქოს იაც არ იყო მხატვარი, სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ცოლის მოკრძალებული მცდელობა, იშვიათად მაინც ხელი მოეკიდა ფუნჯისთვის... დავუშვათ, მართლა მიაჩნდა, რომ ცოლი უნიჭო იყო, ზრდილობის გულისთვის მაინც მიექცია ცოტაოდენი ყურადღება ან არ დაეცინა მაინც...

იას ბუნება ვერ იტანდა უქმად ყოფნას _ აქტიური, მიზანსწრაფული ქმედება მისი ცხოვრების წარმმართველი ძალა იყო. მხატვრობაში მუშაობას ვერ ახერხებდა ოჯახური მდგომარეობის გამო და მთელ თავის ენერგიას ორი შვილის გაზრდასა და ქმრის მოვლას ახმარდა; არც ქმრის ნათესავების და მეგობარ-ამხანაგების პატივისცემა ავიწყდებოდა... მთელი ოცი წელიწადი ციბრუტივით ტრიალებდა, დღესა და ღამეს ასწორებდა, რომ ოჯახში ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო; განსაკუთრებით ცდილობდა, არჩილს შემოქმედებით მუშაობაში ხელი არ შეშლოდა და... უცებ არჩილმა ოჯახი მიატოვა! ნუთუ თითქმის ათი წელი გავიდა, რაც ის ქმარს გაშორდა? თითქოს გუშინ მოხდა ყოველივე... ერთ დღეს არჩილი გაუჩინარდა, არ ჩანდა ჯერ ერთი კვირა, მერე _ მთელი თვე, ორი თვეც... არჩილმა ადრეც იცოდა ასე, ხანგრძლივი დროით გადაკარგვა: ხან ნადირობას ან თევზაობას გადაჰყვებოდა, ხან _ ძმაკაცებთან დროსტარება გაიტაცებდა... უყვარდა შემოქმედებითი მივლინებით გამგზავრება მხატვართა კავშირის საგზურით _ სენეჟში, ყირიმში, ლადოგის ტბაზე, ბალტიისპირეთში... იყო ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთში, ერთხელ პარიზშიც მოახერხა ჩასვლა, მეორედ _ ესპანეთში... და ყველგან მარტო მიემგზავრებოდა, იასთვის არასდროს შეუთავაზებია, ტურისტულ მოგზაურობაში ერთად წავიდეთო, მაშინაც კი, როცა ბავშვები წამოიზარდნენ და მათი მცირე ხნით დატოვება სავსებით შესაძლებელი იყო, თუნდაც ნათესავებთან... იამ ყოველთვის იცოდა არჩილის ადგილსამყოფელი, ბოლო შემთხვევაში კი არჩილი საერთოდ გაუფრთხილებლად წავიდა. წავიდა და დაიკარგა...

ბოლოს, იამდე მოაღწია ხმებმა, რომ არჩილი ქალაქში გამოჩნდა, ერთ ქალთან დაბინავდაო... იმასაც ამბობდნენ, სწორედ ამ ქალთან ერთად იყო არჩილი ორი თვე სოჭშიო.

იმ დროს იას უძილობა დასჩემდა. მართალია, იგი უკვე კარგა ხანია, მიჩვეული იყო არჩილისგან უყურადღებობას, მაგრამ მაინც მძაფრად განიცადა ქმრის მხრიდან ასეთი აგდებული მოპყრობა... შვილების სანახავად მაინც მოსულიყო...

ერთ წელიწადში ია და არჩილი ოფიციალურადაც განქორწინდნენ. არჩილმა სახლი დიდი სახელოსნოთი იას დაუტოვა, ასევე თავისი სურათების მოზრდილი ნაწილიც, რომლებიც ადრე ცოლს აჩუქა (როცა იას არჩილის რომელიმე სურათი განსაკუთრებით მოეწონებოდა, გასაყიდად არ ემეტებოდა და ქმარს თხოვდა, ეს სურათი მე მაჩუქეო _ ფიქრობდა, მომავალში არჩილის მუზეუმის მოწყობაზე...). საკვირველი ის იყო, რომ დანარჩენი სურათების წასაღებად არჩილის ახალი ცოლიც _ დიანა _ მობრძანდა...

იამ დაღმართი ჩაათავა და ჩავიდა თუ არა მელიქიშვილის ქუჩაზე, ბედზე, დაბარებულივით, ტაქსის მწვანე ლიფლიფა გამოჩნდა _ ხელი აუწია.

იას გაუხარდა: შოფერი დარბაისლური გარეგნობის ხანშიშესული კაცი იყო _ მას ამ ასაკშიც შერჩა ქალური შიში თუ არა, მორიდება მაინც უცხო მამაკაცების მიმართ.

_ გამარჯობა... დიდუბეში, "დინამოს" სტადიონთან! _ უთხრა მძღოლს და უკანა სკამის საზურგეზე შვებით გადაწვა. _ გორის ქუჩა ხომ იცით?

მძღოლმა თავის დაქნევით უპასუხა სალამზე და მანქანა რბილად დაძრა:

_ მთელ ქალაქს ხუთი თითივით ვიცნობ, ქალბატონო! ათ წუთში ადგილზე მიგიყვანთ... დღეს კარგ ფეხზე ავდექი, თუ არ ვცდები, თქვენ მხატვარი ბრძანდებით...

_ დიახ...

იას ესიამოვნა, უკვე უცხო ხალხიც მცნობსო, იფიქრა, მეორე მხრივ, მძღოლის ენაწყლიანობა მაინცდამაინც არ ეპიტნავა _ ტაქსის შოფრები რა მოლაყბეები არიან ყველანიო. გრძნობა-გონებით კი უკვე გორის ქუჩაზე იყო, ერთი უბრალო, ერთსართულიანი სახლის წინ იდგა და ეზოში შესასვლელ რკინის შავ ჭიშკარს ზევიდან თაღად მოდებულ ცისვაზის იასამნისფერი ყვავილების ზღვას აკვირდებოდა...

მძღოლმა სარკეში თვალი შეავლო იას დაძაბულ სახეს:

_ საეტიუდე ყუთით მივხვდი. ჩემი უმცროსი ბიჭი სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. _ ისევ ხანმოკლე მზერით შეხედა, გაიღიმა: _ დღეს საგაზაფხულო გამოფენა იხსნება, თქვენ თუ მონაწილეობთ? არ დაესწრებით?

მანქანა უკვე ვარაზისხევით ჩადიოდა გმირთა მოედანზე, იას უჩვეულო და უცხოც მოეჩვენა ადრიანი დილის დაცარიელებული მოედანი; ასეთი ის არასდროს ენახა, ჩვეულებრივ ხომ აქ უამრავი მანქანისგან ტევა არ იყო, ჭიანჭველების ბუდესავით ფუთფუთებდა და ნაირფერი მიმქროლავი მანქანების ზღვა წამდაუწუმ კალეიდოსკოპურად უცვლიდა სახეს...

_ ერთი წუთით შეაჩერეთ თუ შეიძლება, _ თხოვა მძღოლს, ჩანთიდან ამოღებულ ბლოკნოტში ფანქრით ჩანახატის კეთებას შეუდგა, თან მძღოლის კითხვას პასუხობდა: _ საგაზაფხულო გამოფენაზე ორი პეიზაჟი მივიტანე, ბევრი მონაწილეა და მხოლოდ ერთი მიიღეს... დანარჩენი ჩემი სურათები პერსონალურ გამოფენაზე იქნება.

_ როდის იქნება, ქალბატონო?

_ დღეს... დღეს იხსნება სამ საათზე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში, ათონელის ქუჩაზე.

_ დიახ, ვიცი... აუცილებლად მოვალ ჩემს ბიჭთან ერთად...

მძღოლი მართლაც საუბრის დიდად მოყვარული გამოდგა. გზაში ერთ წუთს არ გაუჩერებია პირი: იას აუწყა, რომ პროფესიით ინჟინერ-მშენებელია; ხუთი წელი იმუშავა სხვადასხვა მშენებლობაზე, მერე თავი დაანება, ამ საქმიანობას რატომღაც გული ვერ დაუდო _ ამქვეყნად ყველაზე უფრო საჭის ტრიალი იტაცებდა ბავშვობიდანვე, მანქანა ცოცხალ არსებასავით უყვარს, ვერ ეგუება ერთ ადგილზე ჯდომას ან დგომას; მოთხოვნილება აქვს _ მის გარშემო იყოს მოძრაობა, იცვლებოდეს გარემო, ადამიანები; არ სწყინდება ქალაქში დილიდან ღამემდე ხეტიალი, ახალ-ახალ ადამიანებთან შეხვედრა... თითქმის ზეპირად იცის მთელი ქალაქი, მისი ყველაზი მივარდნილი კუთხე-კუნჭულები და მაინც ზოგჯერ ახალი, მისთვის უცნობი შესახვევის თუ ჩიხის აღმოჩენით ხარობს...

ია ბლოკნოტში ახალ ჩანახატს აკეთებდა (ჩვევა ჰქონდა: ყველგან და ყოველთვის ჩანახატების ალბომს და ფანქარს არ იცილებდა): მარცხნივ _ მძღოლის სილუეტი, მანქანის სამზერი მინის იქით მოჩანს ქუჩის ხედი...

სანამ ადგილზე მივიდოდნენ, ეს ჩანახატიც დაასრულა. მართალია, მანქანის რწევაში დიდად დახვეწილი არ გამოუვიდა, მთავარი მაინც კომპოზიციური იდეის აღნიშვნა იყო, მისი დამუშავება და დახვეწა უკვე შინაც შეიძლებოდა. უხაროდა, სიახლეს მიაგნო, და რამდენი ასეთი სიხარული აქვს უკვე განცდილი... უფრო დიდი სიამოვნება კი წინ ელის, როცა ჩანახატების საფუძველზე ფერწერული ესკიზებისა და შემდეგ სურათის შექმნას დაიწყებს _ რამდენი ვარიანტი ამოტივტივდება, ფანტაზია კი სულ ახალ-ახალ სვლებს სთავაზობს და ზოგჯერ უჭირს კიდეც მათგან არჩევანის გაკეთება. ამიტომ ჩვევად ესეც აქვს: სურათის რამდენიმე ვარიანტს აკეთებს, ხშირად საკმაოდ განსხვავებულებსაც.

მოუთმენლობამ შეიპყრო _ რას ნახავს (თუმც კი, რა თქმა უნდა, ეს წინასწარ იცის _ და მაინც!), როგორი გამოუვა ეტიუდი? თან გულში საკუთარ თავს დასცინის (თან მძღოლს ელაპარაკება): "შე ოხერო, ამ ბებერ ქალს (აქ კი ცოტა გადააჭარბა) დილაუთენია რა ესკიზის კეთება აგიტყდა, საქმე გამოგელია?" _ თან ფიქრობს, მძღოლი ირონიულად ხომ არ უყურებს მის ამგვარ ამჩატებას? არა, ხნიერი მძღოლი სერიოზული და განათლებული კაცი ჩანს, თან, ეტყობა, მტკიცე ხასიათისაა _ თავის მოწოდებას მიენდო, უყვარს შოფრის საქმიანობა. ამბობს:

_ ზოგს უკვირს, როგორ მიატოვე "პრესტიჟული" პროფესია _ ინჟინრობაო, მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევ... მუსტაფასა და ვირის ამბავისა არ იყოს, ყველას თავისი აზრი აქვს და თავისი გზაც ცხოვრებაში.

როდესაც "დინამოს" სტადიონს გასცდნენ და აკაკი წერეთლის გამზირიდან გორის ქუჩაზე გაუხვიეს, მძღოლმა იას თხოვნით მანქანა ნელა წაიყვანა. თუმცა, ცისვაზის აყვავებული "მტევნებით" დახუნძლულ ეზოს შესასვლელს შეუძლებელი იყო, გასცდენოდი _ შორიდანვე თვალს ახარებდა დიდი, იასამნისფერი, კაშკაშა ლაქა რუხი ქუჩის ფონზე.

მანქანიდან გადმოსულმა იამ საათს დახედა _ გაუკვირდა, ჯერ შვიდი საათი არ იყო შესრულებული. ქუჩაზე მოპირდაპირე მხარეს გაჩერდა და ცისვაზით დამშვენებულ ჭიშკარს დააკვირდა.

_ აქ უნდა იმუშაოთ? _ ჰკითხა მანქანიდან გადმოსულმა მძღოლმა.

_ დიახ, საათს, საათნახევარს წავიმუშავებ, მეტი დრო არ მაქვს.

_ რვა საათისთვის ხომ არ მოგაკითხოთ?

_ თუ არ შეწუხდებით... დიდად მადლობელი ვიქნები.

_ კეთილი.

როცა მანქანის ხმა მიწყდა, ქუჩას საოცარი სიჩუმე და სიმშვიდე დაეუფლა.

ცარიელი ქუჩა. გრილა. შორს დამგველი ქალი რიტმულად იქნევს ცოცხს, ხმა კი არ ისმის... ამომავალი მზის ნათელი სხივები ადგება სახლების მეორე-მესამე სართულებს (უფრო მაღალი სახლები აქ არც არის), ხეთა წვეროკინებს ანთებს... რა სიმყუდროვეა! ქვევით, გამზირზე, კანტიკუნტად გამავალი მანქანების ხმა და აკაციის ჯერაც შიშველ ტოტებზე ბეღურების ჭყიპინი თითქოს ხაზს უსვამენ ადრიანი დილის სიწყნარეს.

იამ საეტიუდე ყუთი გახსნა, გამართა ფეხებზე, პალიტრაზე საღებავები გამოწურა და მუშაობას შეუდგა. ტილოზე ჯერ ნახშირით მოხაზა მთავარი კონტურები, შემდეგ კი სწრაფი, ენერგიული მონასმებით შეუდგა ფერთა ძირითადი მასების გადმოცემას...

ეტიუდზე მუშაობასთან თანადროულად, მისდა უნებურად გონებაში ამოტივტივდა ფიქრები, ფიქრები...

"_ _ ქუჩაზე ჩარიგებული სახლები... რამდენი ხელი შეეხო ამ აგურებს, რამდენმა ხელმა ჩასვა ფანჯრის ჩარჩო, მინები, რამდენ ხელს დაურგავს ეს ხეები, დაუსხია წყალი... _ რამდენ ვინმეს გაუვლია ამ ქუჩაზე _ სამსახურში, პაემანზე, სკოლაში, სასეირნოდ... ზოგიც _ წაუსვენებიათ სამარადჟამოდ... _ რამდენ ფაეტონს ჩაუქროლია, რამდენ არღანს დაუჩივლია, რამდენი ღიღინი და ომახიანი სიმღერა მოუსმენია ამ ქუჩას, რამდენი სიხარულისა თუ მწუხარების ცრემლიც დაპკურებია: ჯერ _ მიწას, მერე _ რიყის ქვებით მოკირწყლულ, შემდეგ კი _ ასფალტდაგებულ ფილაქანს... _ _".

რა უცნაური ფიქრები აეკვიატა _ სურათზე უნდა იფიქროს და არა ათას სხვა რამეზე, თუმცა... თუ ამგვარი ფიქრებით და გრძნობებით არ არის დამუხტული სურათი, ის რა სურათია! მხატვრის გულის ფეთქვა თუ არ ჩანს პეიზაჟში, მისი ემოციური განცდა, ისე გარემოს ასახვა იქნება მექანიკური, ცივი, არაფრისმთქმელი... და საჭიროა კი ამგვარი "ცარიელი" სურათის შექმნა? სიტყვა "შექმნა" სრულებით არ უხდება უღიმღამო, უსახურ ნაცოდვილარს, თუნდაც ფორმალურად, ტექნიკურად ის მაღალ დონეზე იყოს გაკეთებული...

ტილოზე თანდათან გამოიკვეთა: ერთსართულიან ჩამუქებულ, ძველ სახლებს შორის ძალზე ვიწრო და გრძელი ეზოა, ალბათ ერთი მსუბუქი მანქანა თუ გაეტევა; ეზოს სიღრმეში ამოზრდილა ცისვაზი _ მისი მსხვილი, შავად დაღარული ტანი მაღლა, 3-4 მეტრის სიმაღლემდე, თითქმის შვეულად აზიდულა, შემდეგ ერთმანეთზე მიჯრილი ერთსართულიანი სახლების სახურავების დონეზე ეზოს შესასვლელისკენ თარაზულად მოემართება, მრავლად იტოტება აქეთ-იქით და იასამნისფერი ხასხასა ყვავილების "მტევნების" ზღვა ფარავს ზევით, ცისკენ ასახედს... მართლაც ცისვაზია, მარჯვედ შეურჩევიათ ქართული სახელი გლიცინიისთვის, ჩინელი სტუმრისთვის. მთელი ეზო, ძველთაძველი, ქუჩის მტვრით დაფარული დაბალი სახლები როგორ გაალამაზა ცისვაზმა! ქუჩაში გამვლელი არ შეიძლება,

არ მიიზიდოს ამ ცისფერმა გაცისკროვნებამ, წუთით მაინც არ შეაჩეროს... გული სიამით აევსება და ცოტა ხნით მაინც ყოველგვარ საზრუნავ-საფიქრალს დაავიწყებს...

იას დაძაბულობისგან გამკაცრებულ სახეზე ბოლოს ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის და იმედგაცრუების ნიშანიც გამოჩნდა _ ადარებდა რა მის მიერ შესრულებულ ეტიუდს ნატურას, ცხადად ხედავდა: რამდენად უღონო იყო მისი ნათითხნი, რამდენად უხეში ფერებში, რამდენად ღარიბი გამომსახველობით, როგორ აგებდა სინამდვილესთან!

დიახ, დამარცხდა, ამაში დასარწმუნებლად მხატვრის გაწვრთნილი თვალიც არ იყო საჭირო, მაგრამ იამ ისიც იცოდა, რომ ნატურასთან შეჯიბრში ყოველთვის მარცხდები, ამიტომ უაზრობაა, შეეცადო, ზუსტად გადმოიტანო ტილოზე ყველაფერი, რასაც ხედავ; დიდი-დიდი, რასაც ამ გზით მიაღწევ, მეტ-ნაკლებად ნატურალისტურ ასლს, შენ კი უნდა გადმოსცე ის ემოციური მუხტი, რომელიც აღიძვრის შენს სულში; ამიტომ მონა კი არ უნდა იყო ნატურისა, არამედ თავისუფალი "გადმომთარგმნელი", შეეცადო პირობითად მთავრის, შენი აზრით, წარმოჩენას. (ეს მარტივი, ცნობილი ჭეშმარიტება იამ საკმაოდ გვიან აღმოაჩინა). აი, აქ კი გამოჩნდება მხატვრის სახე _ როგორ, რა სახის პირობითობას მიმართავს _ ეს მის ინდივიდუალობაზეა დამოკიდებული და ხშირად ქვეცნობიერად ხდება... ამიტომ იას გულაცრუება ეტიუდის მიმართ დროებითი იყო _ შინ მისული სულ სხვა თვალით შეხედავდა და უფრო სწორადაც შეაფასებდა, ახლა კი თვალწინ ნატურა ჰქონდა და, ცხადია, ეს უშლიდა ხელს, ობიექტური დასკვნა გამოეტანა _ ეტიუდი ამ "შეჯიბრში" ყოველთვის მარცხდება. თუ საჭიროდ მიიჩნევდა, შინ კიდევ დაამუშავებდა ეტიუდს, დახვეწდა, იქნებ ზოგი რამ შეეცვალა კიდეც _ ერთგან ფერის დისონანსს "ჩააქრობდა", მეორეგან _ გაამარტივებდა, ან პირიქით, მეტ დეტალიზაციას მიმართავდა... მეტწილად კი ერჩია, ეტიუდისთვის ხელი აღარ ეხლო, ყოველ შემთხვევაში, ძირეულად გადამუშავებას გაურბოდა, რათა სიცინცხლე და უშუალობა არ დაჰკარგოდა. თუკი რამ იყო შესაცვლელ-გადასამუშავებელი, ჯობდა, შემდგომ ამ ეტიუდის საფუძველზე უფრო მოზრდილი ზომის სურათზე განეხორციელებინა, სადაც სრული თავისუფლებით შექმნიდა ახალ რეალობას. სურათს მნიშვნელოვანწილად შეთხზავდა, _ საბოლოო ვარიანტში, შესაძლოა, თავდაპირველი საწყისი მოტივიდან საკმაოდ შორს წასულიყო. არ იყო გამორიცხული, რომ მომავალ სურათში სხვანაირი ჭიშკარი ჩაესვა, ვიდრე ნატურაში იყო, ან სხვაგვარი სახლები, სხვანაირი ხეები განელაგებინა; ეზოში, ვთქვათ, წითელი მანქანა გაეჩერებინა, ყვითელი ან ლურჯი _ ქუჩაში... არც გამვლელ-გამომვლელნი იქნებოდნენ ზედმეტნი _ მოთამაშე ბავშვები ან კედელთან ჯოხზე დაყრდნობილი, მზეს მიფიცხებული, მთვლემარე მოხუცი; გაღებულ ფანჯარაში _ ოთახის ყვავილები და ლამაზი ქალიშვილის სახე... არა, ადრიანი დილის იერი შეუნარჩუნდება სურათს საბოლოოდ, ამიტომ მხოლოდ მეეზოვე და თითო-ოროლა გამვლელი იქნება შესაფერისი. თუმცა, ვინ უშლის, შეიძლება "დღის" ვარიანტიც გააკეთოს, ცხადია, სხვაგვარი განათებით, ბევრ სხვა რამესაც შეცვლის...

აჰა, ეტიუდი დასრულებულია; იამ ფრთხილად მოხსნა სადგარიდან ეტიუდი, ერთხელ კიდევ დააკვირდა, თავი გააქნია: "რაც არის _ არის!" შეინახა, ყუთი და-

ხურა, დაკეცა, მხარზე გადაიკიდა და ქუჩას დაუყვა. ერთი ეზოს შესასვლელი მოეწონა და ჩაიხატა, შემდეგ რამდენიმე სხვაც, სულ სხვადასხვანაირნი, ხეებიც _ აკაციები, ჭადარი, თელა; ცაცხვიც ყოფილა, ცხენისწაბლიც... მომავალი შეთხზული პეიზაჟისთვის _ დიდუბის ქუჩის სინთეზური ხატისთვის _ დამხმარე მასალად გამოადგება.

ერთ ადგილას გავლისას მოულოდნელად პირდაპირ ქუჩაში გამომავალი განიერი, ფართოდ გაღებული კარიდან ხორხოც-სიცილი მოესმა. ფეხი შეანელა და შემდეგ შეჩერდა კიდეც. სახატავი რვეულიც მოიმარჯვა (აქ ალბათ დიდი ხნის წინათ კერძო საბაყლო, სარძევე ან სხვა ამგვარი მაღაზია თუ იყო), მაგრამ ჩანახატის გაკეთება მაშინვე გადაიფიქრა: თხელი, ნახევრად გამჭვირვალე ფარდის უკან მკაფიოდ გაარჩია გრძელი, ფარდაგგადაფარებული ტახტი, ტახტზე კუბოში ჩასვენებული მოხუცი კაცის თავთან სანთლები ენთო. კედელთან, სკამებზე მსხდომი ოთხი-ხუთი ახალგაზრდა ღამეს უთევდა მიცვალებულს და, ეტყობა, დროის გასაყვანად მხიარული ამბების მოყოლით თავს იქცევდა...

საჩქაროდ გასცილდა იმ კარს...

ამ სცენის ჩანახატი ხომ არ გააკეთოს?.. არა, გული არ მიუწევს...

ერთი მისი მეგობარია, _ დავით კუტიპურაშვილი, _ იმას მაინც უამბობს ნანახს. საკმაოდ უცნაური მხატვარია _ სულ ტრაგიკულ და კოშმარულ სცენებს ასახავს... პანაშვიდები (კედელთან მსხდომი შაოსანი ქალების რიგი), გასვენების პროცესია ქუჩაში (აუცილებლად _ თავსხმა წვიმაში), სასაფლაოს ხედი, მაღალი, თალხი ფერის სახლებით შემოზღუდულ ეზოში ბავშვებს სახრჩობელა გაუმართავთ და კატის ჩამოკიდებას აპირებენ... საოცარია, ცხოვრებაში არ არის ცხვირჩამოშვებული, კუშტი, სახელოსნოში რა ემართება?

მალე ისევ ჩაუღრმავდა ჩანახატების კეთებას და უსიამოვნო გრძნობაც გაეფანტა. დაღლას არ გრძნობდა, თავისუფლად, დაუძაბავად მუშაობდა და დიდ სიამოვნებასაც განიცდიდა... მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა მის გარშემო შემოჯარული ცნობისმოყვარე ბავშვები შეამჩნია..

საათს დახედა _ ცხრის ნახევარი გამხდარა!

გაიხედა: შორიახლო ნაცნობი ტაქსის მძღოლი გაჩერებული მანქანის კარს ზურგით მიყრდნობოდა და გაზეთს კითხულობდა.

ია მივიდა და ბოდიში მოუხადა.

_ რას ბრძანებთ! _ გაიღიმა მძღოლმა და სათვალე მოიხსნა. _ თუ გნებავთ, განაგრძეთ მუშაობა, მოვიცდი.

იამ არაფერი უპასუხა, სასწრაფოდ ჩაჯდა მანქანაში.

გზად ისევ და ისევ ფიქრები აეკვიატა....

“_ _ ეს დედაბერი რომ დილაუთენია გავრბივარ ეტიუდის გასაკეთებლად, ჭკუა სად დავკარგე? _ გულის ჭია კი გავახარე, კმაყოფილი ვარ, კარგად ვიმუშავე, მაგრამ საბოლოოდ რა აზრი აქვს ამ ფაცურ-ფაციფუცობას? _ სურათი ან გამოვა ან არა, თუგინდ შედევრი გამოვიდეს, ვის რად უნდა? _ უცნაური ქალი ვარ... _ ან რა დროს ჩემი რომანტიკული ცაში ფრენაა, ვერ დავეტევი დედამიწაზე? _ გათხოვება მაინც რამ მაფიქრებინა შვილიშვილების პატრონს, ქალო, თვალები გაახილე! _ არა, საკუთარ თავს არ ვიცნობდი თურმე... _ რა ხარბი ვყოფილვარ, სიცოცხლით

გაუმაძღარი! _ მეორე, სხვა ხმა კი მეუბნება: დიახაც, ასეთი უნდა იყო! _ თუ მართლა ცოცხალი ხარ და არა ცოცხალი ლეში, ბოლო წუთამდე უნდა გაფორიაქებდეს სურვილები, ეს ხომ ბუნებრივია! _ ჩემს ქალიშვილს კი ჰგონია, უკვე მის მოახლედ ვარგივარ მხოლოდ, ყველაფერი მას უნდა ვანაცვალო _ უკიდურესი ეგოისტია, ზოგჯერ მგონია, ჩემი შვილი არ არის _ რა დამავიწყებს: ერთხელ რომ მხატვართა ჯგუფთან ერთად სამოგზაუროდ წავედი და დაბრუნებულს რა ელდა მეცა: ჩემი და არჩილის საუკეთესო სურათები გაზიდული დამხვდა! _ ჩემს ნამუშევრებზე იმდენად არ დამწყდა გული (სულ მგონია, რომ უკეთეს და უკეთეს სურათებს შევქმნი), როგორც არჩილისაზე; განსაკუთრებით მისი რამდენიმე საუკეთესო სურათი ახლაც თითქოს თვალწინ მიდგას... _ იმ დონისას არჩილი ვეღარ აკეთებს; მთავარი კი მაინც სხვა არის, ჩემთვის ძვირფას მოგონებებთან იყვნენ ის სურათები დაკავშირებულნი... _ _”

როცა დიმიტრი კენკებაურმა (ასე ერქვა თურმე ტაქსის მძღოლს) ია შინ მიიყვანა, ამჯერად მგზავრობის საფასური არაფრით გამოართვა. იამ შინ შეიპატიჟა, ფინჯან ყავას მაინც მოგართმევთო, მაგრამ ამ წინადადებაზეც თავაზიანი უარი მიიღო, თქვენ დასვენება გჭირდებათ, მეც საქმეს ვეშურებიო; ოღონდ იმის პირობა კი დადო, რომ მოკლე ხანში შვილთან, მომავალ მხატვართან ერთად ესტუმრებოდა, რათა არჩილის ადრეული პერიოდის სურათები დაეთვალიერებინა (ამ სურათებზე და არჩილზე გზაში მოუყვა იამ, როცა მის ოჯახურ მდგომარეობაზე ჩამოვარდა საუბარი)...

IV. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი

1. გვარი *ლიაშვილი*
   სახელი *ია* მამის სახელი *შიოლას ასული*
2. სქესი *მდედრობითი*
3. დაბადების წელი, რიცხვი და თვე *1938 წ. 19 იანვარი*
4. დაბადების ადგილი *ქ. თბილისი*
5. ეროვნება *ქართველი*
6. სოციალური წარმოშობა *მოსამსახურე*
7. პარტიულობა _
8. ხართ თუ არა ალკკ წევრი _
9. განათლება *უმაღლესი, თბილისის სამხატვრო აკადემია, ფერწერის ფაკულტეტი*
10. რომელ უცხო ენებს და სსრკ ხალხთა ენებს ფლობთ *ქართულსა და რუსულს ვფლობ თავისუფლად, ფრანგულად ვკითხულობ და ვთარგმნი ლექსიკონით.*
11. სამეცნიერო ხარისხი, სამეცნიერო წოდება _ (*იყო დამსახურებული დიასახლისი!* _ ავტორის შენიშვნა)
12. რომელი სამეცნიერო შრომები და აღმოჩენები გაქვთ _
    (*აღმოაჩინა საკუთარი თავი მხატვრობაში!* _ ავტორის შენიშვნა)

13. შრომითი მოღვაწეობის დაწყებიდან შესრულებული სამუშაო _
(*გაზარდა ორი შვილი, შექმნა რამდენიმე ასეული ფერწერული ტილო...* _ ავტორის შენიშვნა)
14. საზღვარგარეთ ყოფნა, თვე და წელი, რომელ ქვეყანაში, რა მიზნით _
(*ოცნებით _ იტალია! რომი, ფირენცე, სიენა, ლუკა, პიზა, პადოვა, რავენა, ბოლონია, ფერარა, ვენეცია, მილანო, ჯენოვა, ნაპოლი, პალერმო...* _ ავტორის შენიშვნა)
15. მონაწილეობა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სხვა არჩევით ორგანოებში _
16. რომელი სახელმწიფო ჯილდოები გაქვთ მიღებული _
17. გაქვთ თუ არა პარტსაყვედურები _ როდის, ვინ, რისთვის და როგორი საყვედური გაქვთ მიღებული _
18. სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულება
არასამხედროვალდებული
19. ოჯახური მდგომარეობა მარტოხელა (*ყოფილი მეუღლე _ არჩილ ქინურიძე, დაბადებული 1928 წელს, გაეყარა 1979 წელს; ქალიშვილი _ კესანე ქინურიძე, დაბადებული 1959 წელს, ოჯახით ცხოვრობს ცალკე; ვაჟიშვილი _ დავით ქინურიძე, დაბადებული 1960 წელს, ოჯახით ცხოვრობს ცალკე* _ ავტორის შენიშვნა)
20. სახლის მისამართი *თბილისი, მთაწმინდელის III აღმართი, N 19, ტელეფონი N 44 44 44 პასპორტის სერია XI_თ N711021* ვინ და როდის გასცა *ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიაღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ 1982 წლის 19 თებერვალს*

10 აპრილი , 1985 წ.

პირადი ხელმოწერა . . . . . .

4. ძველი ფოტოგრაფიები

ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა...

ახალგაზრდა ქალის თავდაჯერებული ხმა:

_ ქალბატონი ია ბრძანდებით?

_ დიახ...

_ დილა მშვიდობისა, მე თიკო ტიკინაშვილი ვარ, გაზეთში მიდის კორესპოდენცია თქვენი პერსონალური გამოფენის შესახებ და სურვილი გვაქვს, თქვენი ფოტო დავურთოთ....

_ თქვენ საიდან გაიგეთ...

თიკომ არ დააცალა:

_ გამოფენის შესახებ ერთმა თქვენმა მეგობარმა გაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგეს დაურეკა... იქნებ მოახერხოთ ფოტოს გადაღება, უახლოეს ნომერში გაუშვებდნენ.

_ სამწუხაროდ, ფოტოს გადასაღებად დღეს ვეღარ მოვიცლი, ოთხ საათზე ჩემი პერსონალური გამოფენა იხსნება. მანამდე...

თიკომ ისევ შეაწყვეტინა:

_ მაშინ შინ მოძებნეთ, რაღაც გექნებათ აუცილებლად, ოღონდ ძალიან ძველი არ იყოს.

_ ფოტო აუცილებელია?

_ ძალიან გთხოვთ, ეს ხომ თქვენთვისაც კარგი იქნება.

ია მიხვდა, რომ ისე ადვილად ვერ დაიხსნიდა თავს უცნობი ქალიშვილის დაჟინებული შემოტევისგან, შესაძლოა, აბეზარი პიროვნება შინაც მოსდგომოდა და დაჰყაბულდა:

_ კეთილი, მოვძებნი და თუ რამე შესაფერისი ვნახე...

_ წინასწარ გიხდით დიდ მადლობას, თქვენს გამოფენაზე მოვალ, აუცილებლად წამოიღეთ ფოტო, გელით!

იამ დადო ყურმილი და ამოიხვნეშა _ კიდევ ერთი სახლაფორთო საქმე გამოუჩნდა. შეხედა კედლის საათს... სად აქვს შენახული ფოტოები? საწერი მაგიდის ყველა უჯრა გამოქექა, შემდეგ კარადებიც არ მოასვენა და მერეღა გაახსენდა, რომ სხვადასხვა დროის ფოტოები, პირადი წერილები, საბუთები, ათასგვერი საქმიანი ქაღალდები, ქვითრები _ საოჯახო არქივი _ ერთხელ მომცრო სკივრში ჩაალაგა, სკივრი კი სახელოსნოში აიტანა მეორე სართულზე, როცა არჩილი ოჯახიდან წავიდა. სახელოსნოს კლიტეც მაშინ დაადო, რადგან რამდენიმე სურათის დაკარგვა შენიშნა: სამი იას ნამუშევარი გაქრა, ოთხიც _ არჩილისა, იქნებ მეტიც... ალბათ კესანეს ოინები იყო, სხვას არავის ჰქონდა სახლის გასაღები...

აათავა ჭრიჭინა ხის ბნელი კიბე, სახელოსნოს კარი გააღო და შევიდა. მიიხედ-მოიხედა, დღეს დილით გაკეთებული ეტიუდი "ცისვაზი" კედელთან მიაყუდა _ მერე მიხედავს. სახელოსნო თითქოს დაცარიელებული უნდა ყოფილიყო, მისი ასზე მეტი სურათი ხომ გამოფენაზე იყო წაღებული, მაგრამ ალბათ ორი იმდენი კიდევ ერთმანეთზე მიჯრით იყო მიწყობილი ერთ-ერთ კედელთან _ გადარჩევის შემდეგ "დაწუნებულნი"; თუმცა ამათგანაც ბევრზე დასწყდა გული, მათი გამოფენაც არ იქნებოდა ურიგო. რას იზამ, საგამოფენო დარბაზი მეტს ვერ დაიტევდა. ალბათ იმ დროსაც მოესწრება, როდესაც სამხატრო გალერეაში გამართავს პერსონალურ გამოფენას; აი, იქ კი სრულად შესძლებს, წარმოაჩინოს თავისი ნაშრომნაღვაწი... თუმცა, მეტისმეტი ხომ არ მოსდის? ღირს კი რამედ მისი ნაწვალებ-ნაჯაფარი? ახლანდელი გამოფენის მოწყობაზეც ძლივს დაითანხმეს მეგობრებმა, ისეთმა შიშმა აიტანა ამის გაფიქრებაზეც კი... განსაკუთრებით გიამ შეუნთო ცეცხლი, არ მოასვენა, არ მოეშვა _ რა გინდა, ორგანიზაციულ საკითხებს მთლიანად მე მოვაგვარებ, სურათების ჩარჩოებში ჩასმასაც მე მივხედავ, ეტიკეტებს და მისთანებს; სურათებიც ერთად შევარჩიოთ, ერთად შევადგინოთ სურათთა კატალოგი; ტრანსპორტსაც მოვახერხებ, კატალოგისა და მოსაწვევი ბარათების დაბეჭდვასაც, ოღონდ შენ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მომაწოდეო. მართლაც, ძირითადი ტვირთი იას გამოფენის მოწყობისა გია ფირფილაძემ ზიდა, მისმა უახლოესმა და ერთგულმა მეგობარმა, თუ მეტმა არა... მართალია, გიას ორი მეტად ენერგიული და საქმიანი დამხმარეც გამოუჩნდა _ იას ვაჟი, დათუნა და იას გასაკვირად _ ბაკუ-

რი, არჩილის დის, ვარდოს, შვილი. ორივე ახალგაზრდა საკუთარი სურვილით მონდომებით ირჯებოდა ათასი მსხვილმან-წვრილმანის მოსაგვარებლად (დათუნა საგანგებოდ ჩამოვიდა ამ დროისთვის პოლონეთიდან, სადაც უკვე კარგა ხანია, ცხოვრობდა ცოლ-შვილთან ერთად _ მეუღლე პოლონელი ჰყავდა); იას გამოფენაზე გასატანი სურათები საგულდაგულოდ გადაზომეს, ჩარჩოები დაამზადებინეს, სურათები საბოლოოდ გაამზადეს ჩამოსაკიდებლად. გია მათთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებდა, მით უმეტეს _ იაც...

სახელოსნოს ერთ კედელზე არჩილის ადრინდელი ნამუშევრები ეკიდა, 15-20 წლის წინ შექმნილები, _ უკვე მერამდენედ გადათვალა (ბოლო დროს დასჩემდა ეს უცნაური მოთხოვნილება, როცა რამდენიმე სურათის დაკარგვა შეამჩნია) _ 22 სურათი იყო: 6 პორტრეტი, მათ შორის _ ავტოპორტრეტი, 3 იას და 1 დიანას პორტრეტები, 7 ნატურმორტი და 10 პეიზაჟი. როგორც ყოველთვის, ახლაც კარგა ხნით შეჩერდა მათ წინ; გარინდებული, დაუსრულებლად უყურებდა და სულ სხვადასხვაგვარი ფიქრები და გრძნობები აფორიაქებდა მის სულს... ერთი რამ აკვირვებდა და მისთვის აუხსნელი რჩებოდა: როგორც მისი ახლანდელი ნამუშევრები ძალიან განსხვავდება ადრეულისგან (თვითონაც კი ვერ იფიქრებდა, რომ მისთვის ასეთი წინსვლა შესაძლებელი იყო, უფრო სწორედ, ძირეული ნახტომი, საოცარი ფერისცვალება!); ასევე, არჩილის ძველი და ახალი ნამუშევრებიც თითქოს სულ სხვადასხვა მხატვრის გაკეთებული იყო... ოღონდ, სამწუხაროდ, არჩილი უკან-უკან წავიდა, თითქოს ამოწურა შემოქმედებითი მარაგი _ ზედაპირულობის, ნაძალადევობისა და ამიტომ სიყალბის იერი მიიღო მისმა ბოლოდროინდელმა ნამუშევრებმა; ის კი ვერ გრძნობს ამას, _ ია კი ოცდაათი წელია იცნობს და მუდმივად აკვირდება არჩილის სურათებს, არ ჰგონია, რომ ცდებოდეს შეფასებისას... ბევრი სხვა ვერ ხედავს ამ დეგრადაციას, ტაციობა აქვთ არჩილის სურათებზე, მოდას თუ აჰყოლიან! ია კი აქ ჩამოკიდებულ ნებისმიერ სურათს არ გაცვლის არჩილის მთელ ბოლოდროინდელ პროდუქციაზე _ თუნდაც 100 სურათი მისცენ!.. ჩანს, დიანაც იასავით ფიქრობს, ოჰ, რა თვალი აქვს, არაფერი შეეშლება! ვინ არ მიაგზავნა არჩილის ამ სურათების საყიდლად, მათ შორის ყველაზე მეტად იას პორტრეტები უნდოდა _ საოცარია! მაგრამ იას ფიქრადაც არ გაუვლია, მათ შელეოდა... მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ყოველ ამ სურათს უკანიდან მიწერილი აქვს: "საყვარელ იას არჩ ქინ" _ არც თარიღი, არც მძიმე ან წერტილი... აქედან გამქრალი სურათები, შესაძლოა, სწორედ დიანას წყალობაა _ ალბათ შეუჩნდა კესანეს... საკვირველი ის არის, არჩილის მიერ შესრულებული დიანას პორტრეტი რატომ არ წაუღო კესანემ? თითქოს გუშინ იყო: კარგად ახსოვს, როგორ მოიხიბლა არჩილის მიერ შეკვეთით შესრულებული დიანას ამ პორტრეტით, თხოვა ქმარს, ჩემი დაბადების დღე მოვიდა და მაჩუქე ეს სურათი, დიანას სხვა გაუკეთეო. მართლაც, არჩილმა მეორე პორტრეტიც გააკეთა დიანასი, სხვანაირად, ისიც კარგი გამოვიდა _ დიანა კმაყოფილი დარჩა... კიდევ რამდენიმე თავისი პორტრეტი შეუკვეთა დიანამ არჩილს და ბოლოს თვით მხატვარიც მთლიანად "იყიდა"... მაინც, რა ქვეცნობიერი ძალა უბიძგებდა იას, რომ დროდადრო ქმრისთვის ეთხოვა, ეს სურათი მე მაჩუქეო? ალბათ განსაკუთრებით რომ მოეწონებოდა არჩილის ნამუშევარი, ენანებოდა მისი სხვის ხელში გადასვლა _ გაყიდვაზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი, გამოფენებზეც კი

მხოლოდ იმ პირობით ატანდა ქმარს ნაჩუქარ სურათებს, რომ შემდგომ აუცილებლად დაებრუნებინა სახელოსნოში. იცოდა, არჩილი თავმოუბმელი კაცი იყო, თავის სურათებს არ უფრთხილდებოდა (იმის მიუხედავად, რომ საკუთარ ნაღვაწზე ფრიად მაღალი წარმოდგენა ჰქონდა!), ფანტავდა აქეთ-იქით და პერსონალური გამოფენისთვის გაუჭირდებოდა საუკეთესო ნამუშევრების შეგროვება _ ამასაც ითვალისწინებდა ია. თან ყოველი სურათი ხომ მის თვალწინ იბადებოდა, თითქოს თვითონაც მონაწილეობდა მათ შექმნაში... კესანე, კესანე, რამ მოგაფიქრებინა მამის საუკეთესო სურათების გაყიდვა, თანაც ქურდულად... იას რამდენიმე სურათიც მათ მიაყოლა... მართალია, ოჯახი თავისას მოითხოვს, მაგრამ არც ისე უჭირს კესანეს, რომ მის დაუკითხავად სახელოსნოდან მალულად გაიტანოს და გაყიდოს დედისთვის ძვირფასი სურათები... თავხედი! შინ მაინც დაეკიდა, საკუთარ სახლში... საოცარია, კესანეს ხომ სამხატვრო სასწავლებელი აქვს დამთავრებული, მხატვრების ოჯახში გაიზარდა და საიდან აქვს ასეთი ემოციური სიყრუე _ ერთი ბეწო სიყვარული არ აქვს იასთვის სათაყვანებელი სამყაროსადმი... მისთვის სულ ერთია, დაბადების დღის აღსანიშნავად მშვენიერ, გამორჩეულ სურათს მიუტან საჩუქრად თუ ელექტროუთოს ან იატაკის საპრიალებელს... ადრე იამ რამდენიმე თავისი ნამუშევარი აჩუქა და, ეტყობა, ყველა გაყიდა. ნუთუ დედის საპატივცემულოდ არ შეეძლო ნაჩუქარს მაინც არ შელეოდა?

გაბრაზებულმა იამ შეატყო, რომ კედელზე სურათებს კი უყურებდა თითქოს, მაგრამ ვეღარაფერს ხედავდა, კესანეს მიმართ აგორებული აღშფოთება თვალებს უბინდავდა _ ნუთუ საკუთარი შვილი ისეა დაბრმავებული, რომ ვერ ხედავს, რაოდენ ტკივილს აყენებს დედას _ ეს სურათები ხომ იასთვის ისეთი ძვირფასია, უდიდესი სიხარულის და სიხალისის მომტანი, ათასი მოგონების აღმძვრელი და მხოლოდ თუნდაც მისი ხილვა რა სიამეს ჰგვრის...

დროა, საქმეს მიხედოს...

ია კუთხეში მიდგმულ ხის ძველებურ, მოჩუქურთმებულ კიდობანთან მივიდა და პატარა ბოქლომი გააღო. ეს კიდობანი არჩილმა საიდანღაც მოიტანა _ მთაში მორიგი წოწიალისას შეხვედრია და უყიდია. ნამდვილი სამუზეუმო ნივთია, ალბათ კესანემ არ იცოდა მისი ფასი, თორემ აუცილებლად გააქრობდა, ან იქნებ ვერ გაბედა წაღება, მასში ხომ საოჯახო საბუთები ეწყო... თუმცა, რომ სცოდნოდა არჩილის გრაფიკული ჩანახატების აქ არსებობა, ბევრს ჩუმად ამოაცოცებდა, მე შენ გეტყვი, დანაკარგს ადვილად მიხვდები: რამდენიმე ასეულია, შესაძლოა, ათასამდეც... არჩილს ერთი კარგი ჩვევა ჰქონდა (საინტერესოა, ახლაც აქვს?): მისი ხელი თითქმის მუდმივად რაღაცას ხატავდა, უპირატესად ზეპირ ჩანახატებს აკეთებდა, ხანდახან _ ნატურიდანაც: პეიზაჟს, პიროვნებას, საგანს... ამასთანავე, არასდროს ცდილობდა, ერთგვარად მაინც სიზუსტე დაეცვა, ოდნავ თუ მიამსგავსებდა ნატურას _ ჩანახატი უფრო ფანტაზია იყო დანახულ თემაზე, მოტივის თავისუფალი ვარიაცია... დანახული მხოლოდ ბიძგს აძლევდა საკუთარი ხილვების ქაღალდის ფურცელზე გადასატანად. არცთუ იშვიათად, შემდეგ იწყებდა ახალ-ახალ "გათამაშებას" გაკეთებულისა, ახალ ვარიანტებს ქმნიდა უკვე ზეპირად. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ შემოქმედებაშიც არჩილი ძირითადად წარმოსახვას ეყრდნობოდა და ამიტომ "ამოსავალი წერტილი" სურათის შექმისას თუნდაც მავანის სუ-

რათი ყოფილიყო, მაგალითად, მატისის, საბოლოოდ ტილო ცხადად გამოვლენილ არჩილისეულ ინდივიდუალურ ხელწერას ატარებდა... ვერ ისვენებდა, ყველაფერში და ყველგან ხედავდა იმპულსებს შინაგანი წიაღიდან ხატების ამოსატივტივებლად; "გარედან გაღიზიანება" ხშირად არც სჭირდებოდა, საკმარისი იყო, ხელში ფანქარი დაეჭირა და უკვე "თავისით" იქარგებოდა ფურცელზე მორიგი ნახატი _ ერთი, მეორე... მეათე... იასაც ხომ არ გადასდო ეს ქმედების, მარადიული და უწყვეტი შემოქმედებითი წვის წყურვილი? არჩილი კვირაში ერთ მოზრდილ სახატავ ალბომს მთლიანად ავსებდა ჩანახატებით, ხანდახან _ ერთ დღეშიც კი. მრავალი ამ ჩანახატებიდან იას ძალიან მოსწონდა, მიაჩნდა, რომ მათში არჩილის სახე უფრო უშუალოდ, უფრო მკაფიოდ და უკეთესად ჩანდა, ვიდრე ფერწერაში (ფერწერაში ზოგჯერ ბოლომდე არ მიენდობოდა თავის გრძნობას, ნაკლებ უშუალო იყო _ ანგარიშს უწევდა სხვადასხვა გარეშე გარემოებებს). ია კარგა ხანია, აპირებდა არჩილის ჩანახატების ერთი ნაწილის მინიან ჩარჩოებში ჩასმას და კედელზე დაკიდებას; რატომღაც ვერ მოაბა თავი... თუმცა, იქნებ ასე დატოვება სჯობს _ როცა მოეხასიათება, გადაათვალიერებს, ერთხელ კიდევ გაუკვირდება, რაოდენი სტიქიური ოსტატობა მჟღავნდება ამ თითქოსდა დაუდევრად გატარებულ ხაზებში... როგორ არ მობეზრდება ერთი მოტივის ათასნაირად შეტრიალება, თუნდაც ერთი ტიპაჟის ან საგნის დაუსრულებელი დამუშავება-გათამაშება... ალბათ მუდმივი დაძაბული შრომა მოითხოვდა არჩილისგან დროდადრო განტვირთვას, ამიტომ გარბოდა ხოლმე შინიდან _ სამოგზაუროდ, სანადიროდ ან ძმაკაცებში დროის სატარებლად... ამიტომაც ვერ იცლიდა ოჯახისთვის, ცოლსა და შვილებს "ვერ ხედავდა", ალბათ ხელის შემშლელ, შემაფერხებელ გარემოებადაც კი აღიქვამდა _ და ბოღმას ღვარძლიანი სიტყვების გადმოფრქვევით იქარვებდა... ია ამას გვიან მიხვდა, ძალიან გვიან...

იამ მაჯის საათს დახედა და შეეშვა ჩანახატების თვალიერებას, ფოტოგრაფიებიანი სავსე ქაღალდის პარკების ამოლაგება დაიწყო. ჰო, რას ეძებდა? ფოტოს გაზეთისთვის...

ერთ პარკში მხოლოდ შვილების ბავშვობისდროინდელი ფოტოები ეწყო: კესანე, დათუნა, კესანე და დათუნა ერთად... აგერ მას ხელში უჭირავს საბანში გახვეული ჩვილი კესანე _ პატარას სახე ძლივს მოუჩანს, გარშემო მთელ ეზოში კი თოვლი დევს, თეთრი, ფაფუკი... დათუნა მაშინ ჯერ არ იყო დაბადებული... ნეტა იმ დროს! იაც რა ახალგაზრდაა, თვითონაც თითქმის ბავშვია _ ოცი წლისაც არ არის...

აგერ ისევ დათოვლილი ეზო, იას ამჯერად თბილ საბანში გახვეული დათუნა უჭირავს, იღიმება, თვალებს ჭუტავს მზის სხივებისგან, გვერდით კი პატარა კესანე დგას, დედას პალტოში ჩაფრენია ცალი ხელით და სადღაც გვერდზე იყურება... რა კარგი იყო კესანე მაშინ, რა გადასარევი თვალები ჰქონდა; რამდენს გამოუთქვამს იასთვის აღტაცება, ასეთი ლამაზი ბავშვი არ გვინახავსო... კესანე ბავშვობიდანვე მიეჩვია, რომ ყველა მას შესციცინებდა, ქათინაურებს იყო დაჩვეული და, ცოტა არ იყოს, ამპარტავანიც კი გახდა, თავნება და მომთხოვნი ქალიშვილი გაიზარდა... თუმცა ისეთი მომხიბვლელი აღარ იყო, როგორსაც ყველანი მოელოდნენ _ თითქოს კარგი ნაკვთები ჰქონდა, თვალებიც მშვენიერი, მაგრამ საერთო იერს

თითქოს აკლდა რაღაც, _ შინაგანი სითბო თუ ხიბლი... მარად კუშტი, ცივი გამომეტყველება აქვს... ტანითაც ვერ დაიკვეხნის, _ იაზეც კი დაბალია, _ ვერც ფეხების სიკოხტავით... ტანით დედას დაემსგავსა... სამაგიეროდ, დათუნა გაიზარდა ნამდვილი გოლიათი: თითქმის ორი მეტრის სიმაღლისაა! ვაჟკაცური გარეგნობის და, რაც მთავარია, დისგან ხასიათითაც დიდად განსხვავდება (გასაკვირველია, და-ძმა როგორ არაფრით ჰგავს ერთმანეთს!) _ ბევრად რბილია, გულისხმიერი, სხვისი ჭირის გულთან ახლოს მიმტანი... ამიტომაა, რომ კესანესგან განსხვავებით, უამრავი მეგობარი ჰყავს და დედინაცვალთანაც კი მშვენიერი დამოკიდებულება აქვს... საოცარია, მხოლოდ მამასთან უჭირს ურთიერთობა....

იას ახლა ის ფოტო ეჭირა ხელში, სადაც მთელი ოჯახი იყო ერთად გადაღებული _ ალბათ ერთ-ერთი ბოლო ამგვარი სურათი... კესანე თვრამეტი წლის არც იქნება, რატომღაც უკმაყოფილოდ მისჩერებია ობიექტივს; დათუნა თექვსმეტიოდე წლისაა, აწოწილია, ყველაზე ერთი თავით მაინც არის მაღალი, საულვაშეზე შავი ღინღლი დაჰფენია; ია კი მაინც რა ახალგაზრდაა! გულიანად იცინის, თეთრი კბილები ანათებს... არჩილიც იღიმება, უბზინავს მელოტი თავი...

აი, კიდევ ერთი, ბევრად ადრინდელი ფოტოსურათი: იას ბედნიერი ღიმილით ხელი შემოუხვევია წელზე მაისურის ამარა ქმრისთვის და ეხუტება; ბავშვები იქვე დგანან, ერთი _ მარჯვნივ, მეორე _ მარცხნივ და ისინიც ცელქი ღიმილით იცქირებიან ფოტოაპარატის ობიექტივში... სურათს უკან არაფერი აწერია, სადღაც აგარაკზეა გადაღებული, ზაფხულში... როდის? დათუნა სულ პატარაა, კესანე 6-7 წლის იქნება... ისევ: ნეტავ იმ დროს! არჩილიც იღიმება, უკმაყოფილო არ ჩანს, მაგრამ... ია დაჟინებით აკვირდება სურათს და ცდილობს, გაერკვეს მაშინდელ საოჯახო ყოფაში. ოჰ, რამდენი საზრუნავი ჰქონდა, დაფიქრებისა და განსჯისთვის დრო არ რჩებოდა... თუ... თუ გვიან გამოერკვა, გვიან "დამწიფდა" მისი გონება, ისევე, როგორც გვიან "დაღვინდა" მხატვრობაში?.. ისე იყო ჩართული ყოველდღიურობის ორომტრიალში, რომ საკუთარი თავისთვის არ ეცალა, გაზეთებსაც კი ათასში ერთხელ თუ გადაათვალიერებდა, ტელევიზორიც თითქმის არ არსებობდა მისთვის, წიგნებზე ხომ მხოლოდ ოცნება შეეძლო: შვილები რომ დაიზრდებიან, მაშინ წავიკითხავ ყველაფერს, დღედაღამ წიგნი მეჭირება ხელშიო... კანტიკუნტად თუ ეცნობოდა პოლიტიკურ, მხატვრულ თუ სხვა სიახლეებს და სიმართლე რომ ითქვას, არც ჰქონდა ამის დიდი სურვილი... თითქოს ავტომატურად მიედინებოდა ცხოვრება, ჩვეული რეჟიმით, ყოველგვარი გააზრების გარეშე, თავისთავად, როგორც თავისთავად იზრდებოდნენ ბავშვები _ "ჰერმეტიზირებული" იყო საკუთარ საოჯახო ნაჭუჭში... რა მიამიტი იყო, რა ვარდისფერი სათვალით უყურებდა ცხოვრებას, სამყაროს... და თავისებურად ბედნიერიც იყო! ძალიან გვიან მიხვდა ქვეყნიერების სირთულეს, სიჭრელეს, სისასტიკესაც კი... ახლა ძალიან სწყინს, რომ თურმე გაუნათლებელი იყო ბავშვების აღზრდაში, _ მარტო იყო, არავინ ჰყავდა დამრიგებელი და ჭკუის მასწავლებელი, გამოცდილების გამზიარებელი, _ ეს კი მთელი მეცნიერება ყოფილა, რთული და ძნელი, რომელზედაც წარმოდგენაც არ ჰქონია... ახლა კი აღზრდიდა კარგად შვილიშვილებს, მასთან რომ იყვნენ, მაგრამ ვაგლახ!.. მაინც, მაინც უნდა შეძლებოდა, შვილები უკეთ გაეზარდა... უფრო ქალიშვილზე სწყდება გული... რატომღაც ვაჟიშვილთან ყოველთვის უფრო ახლოს იყო, ვიდრე

ქალიშვილთან... დიახ, ხვდება ახლა, რა შეცდომებიც დაუშვა, მაგრამ რაღა დროს! კი, ბევრი რამ მოაკლო შვილების სულიერ აღზრდა-ჩამოყალიბებას, მაგრამ ბუნებასაც რომ თავისი გააქვს?! "მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?" თავგადაკლული დედა იყო, ამან კი ხშირად, შესაძლოა, ეგოცენტრიზმი წარმოშვას, რის საუკეთესო მაგალითიც, სამწუხაროდ, მისი საკუთარი შვილია... კესანეს ის "მოახლედ" მიაჩნია _ დედა ვალდებულია, მისთვის ყოველივე საკუთარი დაუთმოს, მისი "მონა" გახდეს... "რას ჰკარგავ დროს მაგ სურათების თხაპნაზე, ვის რად უნდა შენი ნაცოდვილარი? საქართველოში ათასზე მეტი მხოლოდ დიპლომიანი მხატვარია, არ არის საკმარისი? დროს ტყუილად ნუ ჰკარგავ, ჯობს, წამომყვე ბაკურიანში, მე მარტოს გამიჭირდება ბავშვის მოვლა; შენც არ გირჩევნია, ეს ცხელი ზაფხული მთაში გაატარო? თუ მაინცდამაინც არ იშლი, იქ იმუშავე, ლამაზი პეიზაჟების მეტი რა არის!" იამ არაერთხელ გამოსცადა, როგორც "იმუშავებდა" იქ _ ამოსუნთქვის საშუალება არ ექნებოდა: საჭმლის კეთება დღეში სამჯერ, გაუთავებელი სარეცხი, თვით კესანე კი მაკას ასეირნებს ტყეში, ხანაც პარკში მიჰყავს გასართობად, ყოველ საღამოს _ კინოში... და მაინც _ დედის გული დამთმობია _ ისევ წაჰყვებოდა, მაგრამ, საუბედუროდ (თუ საბედნიეროდ?), მაღალმა წნევამ შეაწუხა, ექიმმა არ ურჩია მთაში წასვლა... როგორ გაუბრაზდა კესანე, დედის გალანძღვაც კი იკადრა... არჩილი? კი, თითქოს უყვარდა შვილები (ვის არ უყვარს?), მაგრამ უპირველესად ყოველთვის საკუთარი თავი ახსოვდა (კესანე დაემგვანა ამ მხრივ _ კვიცი გვარზე ხტისო!). ეგონა, რომ თუკი საკმარისი ფულით უზრუნველჰყოფდა ოჯახს, ამით მისი მოვალეობა ცოლ-შვილის მიმართ ამოწურული იყო, მეტი არაფერი მოეთხოვებოდა _ არც ყურადღება და სითბო, არც ყოველდღიურ საზრუნავში დროდადრო მაინც ჩართვა, თუნდაც ერთობლივად გართობა ან სადმე წასვლა. ერთი-ორჯერ კი მართლა "ჩაერთო" შვილების აღზრდაში, იას ახლაც ტანში აზრიალებს, როცა ახსენდება... ერთხელ დათუნამ სკოლაში იცელქა, ვიღაც ბიჭთან იჩხუბა; კლასის დამრიგებელმა მშობელი დაიბარა, თანაც აუცილებლად მამა მოვიდესო. საკვირველება მოხდა _ არჩილი მართლაც მივიდა შვილის სკოლაში _ პირველად თავის სიცოცხლეში! შინ დაბრუნებულმა კი დათუნას სცემა, თან ისე სასტიკად, რომ ბიჭის ღრიალზე მთელი ქუჩა შეიყარა... უკვე მოზრდილი ბიჭი იყო დათუნა, 12-13 წლის და იმდენად იმოქმედა მასზე მამის მოულოდნელმა სისასტიკემ, რომ სახლიდან გაიქცა. კიდევ კარგი, შორს არ წასულა, ამხანაგთან გაათია ღამე... იას მაშინ ცხარე დავა-კამათი ჰქონდა ქმართან, არჩილი ამას არ მოელოდა და მთლად გადაირია, _ კინაღამ ერთმანეთს დასცილდნენ. მეორე დღეს არჩილი ძმაკაცებთან ერთად სანადიროდ წავიდა, ერთი კვირა არ გამოჩენილა და ამ ხნის განმავლობაში იას წყენა გაუნელდა, დათუნას კი _ არა... იას მამასთან, შიოლა პაპასთან _ წავიდა და შინ დაბრუნებაზე ვერაფრით დაიყოლიეს; მხოლოდ იმ შემთხვევაში მოდიოდა ხოლმე, თუ არჩილი ქალაქიდან წასული იყო... რამდენიმე წლის შემდეგ ძლივს შერიგდნენ მამა-შვილი... იქნებ ჯობდა, მაშინ გაყრილიყვნენ, ყოველ შემთხვევაში, იმ სულიერ ტკივილს გადაურჩებოდა, რომელიც მასში რამდენიმე წლის შემდეგ არჩილის დიანასთან მოულოდნელმა გადაბარგებამ გამოიწვია... ახლა რომ უფიქრდება და კარგად აწონ-დაწონის ყოველივე მომხდარის შედეგებს, საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამჯერად გა-

მართლდა ძველი, დარტყმის შესამსუბუქებლად თუ გულის მოსაფხანად შექმნილი ანდაზა: “ცუდს კარგიც მოსდევსო”... მართლაც, საბოლოოდ ყველაფერი მშვენივრად აეწყო: არჩილის წასვლის შემდეგ დათუნა აღარ იყო უწინდებურად დაძაბული, სწავლასაც უმატა; კესანე კი უკვე ცალკე ცხოვრობდა (იასავით ადრე გათხოვდა) და დედის ტრაგედია გულთან ახლოს არ მიუტანია _ ორიოდე სანუგეშო ან გასამხნევებელი სიტყვის თქმა აზრადაც არ მოსვლია... მის მიმართ ქალიშვილის ამგვარი გულცივობა იასთვის მოულოდნელი არ იყო, მაგრამ გული მაინც ეტკინა... მერე და მერე, თანდათან შეეგუა ახალ მდგომარეობას და საბოლოოდ კმაყოფილიც კი დარჩა, რომ თავისუფლებას ეწია. მაშინ კი, სულ მალე, პირველი შვილიშვილის _ მაკას _ გაჩენამაც ერთგვარად გაუქარვა დარდი და ახალმა საზრუნავმა და სიხარულმა არჩილის სახე სადღაც შორს, ძალიან შორს განდევნა; იმდენად შორს, რომ თვეები გავიდოდა და ყოფილი ქმარი ერთხელაც არ გაახსენდებოდა. რაც მთავარია, გარკვეული დროის შემდეგ ია მხატვრობას დაუბრუნდა...

ეს ასე მოხდა: ერთხელ ია შინ იყო და ფანჯრიდან გასცქეროდა ხვავრიელ თოვას, გადათეთრებულ გარემოს, მუქ სახლებს, შიშველ ხეთა სილუეტებს... გაახსენდა არჩილის ზამთრის პეიზაჟები, რომლებიც ასე მოსწონდა და უცებ მოუნდა, თვითონაც გადაეტანა ტილოზე ეს სილამაზე, ოღონდ ცოტა სხვანაირად... მაშინვე სახელოსნოში ავიდა; ვერაფერი იპოვა _ ვერც საღებავები, ვერც პალიტრა, ვერც სხვა რამ _ ფუნჯები, გამხსნელები, ტილო ან მუყაოს ნაჭერი მაინც...

მაშინვე გაიქცა სამხატვრო კომბინატში (ძალიან მოწადინებული იყო, თორემ სხვა დროს არაფრით გამოვიდოდა სახლიდან _ გაუჭირდა მოყინულ-დათოვლილ ქუჩის დაღმართში ჩაბობღება და მერე კი, საკმაოდ დატვირთულს, _ უკან დაბრუნება); იქაური ნაცნობ-მეგობრების დახმარებით მასალები ბლომად იშოვა, მათ შორის _ ქარხნულად დაგრუნტული, ტილოგადაკრული მუყაოს ფურცლები. შინ დაბრუნდა თუ არა, გათოშილმა, არც ღუმელი დაანთო, არც წაიხემსა, მაშინვე დაიწყო ფანჯრიდან დანახული ხედის ეტიუდის წერა... დღე მოკლე იყო და სწრაფად, გატაცებით მუშაობდა _ ეშურებოდა, დაღამებამდე დაემთავრებინა და ძირითადად მოასწრო კიდეც!..

მეორე დილით კრიტიკული თვალით შეხედა ნამოღვაწარს, ზოგი რამ არ მოეწონა და ცხელ გულზე შესწორება დაიწყო, მაგრამ შემდეგ შეჩერდა და სწორადაც მოიქცა _ მუშაობის გაგრძელებით საქმეს გააფუჭებდა: ჯერ ერთი, ეტიუდი ეტიუდად უნდა დარჩენილიყო, უშუალობა და სიცინცხლე არ უნდა დაჰკარგოდა; თუკი დასრულებული სურათის შექმნა სურდა, ახალი, მოზრდილი ტილო უნდა აეღო და თავიდან დაეწყო მუშაობა; მეორეც, გუშინდელი დღე განუმეორებელი იყო, ახლა აღარ თოვდა და მზიანი დღის შუქი და ჩრდილები, ნათელი თოვლი და მუქი სახლები თუ ხეები სულ სხვანაირ განწყობას ბადებდა მასში... ამიტომ ახალი ეტიუდის შესრულებას შეუდგა, სრულიად განსხვავებული განწყობისა და ტონალობის, სხვაგვარი ფეროვანი გამისაც... შემდეგ პირველი ეტიუდის საფუძველზე სურათი მართლაც შექმნა; ეს სურათი შემდეგ მის მეგობარს, მწერალ გვარამ ვარამაისძეს აჩუქა. დიდად გაიხარა იამ, როცა ეს სურათი გამოფენაზე გამოსატანად გვარამისგან ინათხოვრა ერთი კვირის წინ და ის შიში არ გაუმართლდა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა: ხომ არ გამოჩნდებოდა კარგა ხნის წინ შესრულებული

სურათი “ზამთარი ჩემს ქუჩაზე” სუსტი? საბედნიეროდ, მისი პირველი სერიოზული ნამუშევრის ხილვამ სასიამოვნოდ გააკვირვა და გაახარა. მართალია, ახლა ამგვარ მოტივს ცოტა სხვანაირად შეასხამდა ხორცს, უფრო თავისუფალი და გაბედული ხერხებით _ საკმაო გამოცდილება დაუგროვდა და ტექნიკურადაც ბევრად დაოსტატდა, რაც მთავარია, ცხოვრებისეული და ემოციური სიმდიდრე, გემოვნება და შეფასების უნარი გაცილებით მეტი ჰქონდა, მეტი შეეძლო ეთქვა... მაგრამ ამ ადრინდელ ნამუშევარს, ერთგვარად გაუბედავსა და მოუხეშავს, ნედლსაც კი, რაღაცნაირი ხიბლი ჰქონდა...

აგერ კიდევ ფოტოები... დედამისი... რა ნაღვლიანი მზერა აქვს, თუმცა იღიმება _ ამქვეყნიდან წასულების ხილვა ფოტოზე ალბათ უნებურად ამგვარ აღქმას იწვევს... მამამისი... შიოლა ლიაშვილი, როგორც საერთოდ სჩვევია, აქაც ამაყად გაჯგიმულია... ია სკოლის ამხანაგებთან ერთად... რომელ კლასშია? ჰო, უკან აწერია: “VIII3 კლასი”... რა გამხდარია, სულ მთლად ბავშვია... ქეთინო მზექალაძე კი როგორ გამოირჩევა ყველასგან _ ლამაზი გოგო იყო, მაღალი, შხვართი! ნიჭიერიც! მშვენიერ ლექსებს თხზავდა, დიდებულად კითხულობდა, მღეროდა, ხატავდა... მასზე სწრაფად მათემატიკაში ამოცანებს ვერავინ იყვანდა... ბედი არ გინდა, რატომ უნდა დარჩენილიყო გაუთხოვარი?.. იასთვის მათემატიკური საგნები, ფიზიკა და ქიმია მუდმივი თავის ტკივილის მომგვრელი იყო ყოველთვის. თვითონაც არ იცოდა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდგომ რა გზას დაადგებოდა ცხოვრებაში; ცოტა ხატვა ეხერხებოდა და ცხონებულმა ბიძია ანდრომ, დედის ძმამ, იას მშობლებს ერთი ამბავი დააწია: ბავშვს მხატვრობის ნიჭი აქვს, რატომ გინდათ, ერს ერთი ნიჭიერი ხელოვანი დააკლოთ, რა იცით, იქნებ გამოჩენილი მხატვარი დადგეს და თქვენ კი გინდათ, ფრანგული ენის მასწავლებელი გამოვიდეს და თავის ჭეშმარიტ მოწოდებას უღალატოს, ნიჭი მიწაში დამარხოსო. მოჰკიდა ხელი და ია ნაცნობ მხატვართან, ენუქი, იგივე არჩილ ქინურიძესთან მიიყვანა _ წაამეცადინეო, ფულიც თვითონვე გადაიხადა... ნეტავ რა თვალით შეხედა ბიძია ანდრომ იას თითო-ოროლა, უმწიფარი ხელით გაკეთებულ ჩანახატებს და ფერადი ფანქრებით ნაცოდვილარ რამდენიმე ბავშვურ სურათს, რა დაინახა იქ განსაკუთრებული, ყურადღების ღირსი? თუმცა, ანდრია ბიძია თვითონაც ჩალიჩობდა რაღაცას, პროფესიით ფოტოგრაფი იყო და ფერმწერლობდა კიდეც _ თვითნასწავლი მხატვარი გახლდათ, თავის ჭიას ახარებდა; საკუთარი სიამოვნებისთვის მუშაობდა და სხვა არავითარი პრეტენზია არასდროს გამოუმჟღავნებია... ალბათ მხატვრობაში თავისი ოცნებების განხორციელება იაში დაინახა...

აგერ ბიძია ანდროს მიერ გადაღებული სურათი: ია, თეთრ საქორწინო კაბაში გამოწყობილი, გაღიმებული, დაბნეული და აღელვებული, დახრილა მაგიდისკენ და ხელს აწერს, გვერდით უდგას შავ პიჯაკში და თეთრ ხალათში საგანგებოდ გამოწკეპილი, ჰალსტუხით დამშვენებული არჩილი, გაბრექილი, თუმცა, მასაც სახეზე ერთგვარი გაოცებისა და დაძაბულობის კვალი ამჩნევია... აქვე დგანან ხელისმომკიდენი _ ქეთევან მზექალაძე და არჩილის ძმაკაცი _ დიტო დაბლატოტაძე... ღმერთო, რა დრო გავიდა _ სამ ათეულ წელიწადზე მეტი! ქეთინო თუ გაუთხოვარი დარჩებოდა, ვინ იფიქრებდა... დიტო კი დაოჯახდა, თანაც ორჯერ _ პირველი ცოლი გაეყარა, ქმრის ლოთობას ვერ შეეგუა...

ფოტოებს შორის ქაღალდის გაყვითლებული ნაგლეჯი აღმოჩნდა _ საიდან მოხვდა აქ? იამ გაშალა და წაიკითხა გაკრული ხელით, აჯღაბაჯღად ნაწერი: “ია დიანას მიმიხედე დროზე აჭამე არ ვიცი როდის მოვალ არჩ”. იას გაეღიმა: როგორი დამახასიათებელი წერილია! გაურკვეველი, ძნელად წასაკითხი ხელი, მართლწერის კანონები მისთვის არ არსებობს... სანადირო ძაღლზე უფრო ზრუნავს, შვილებს არც ახსენებს, არც _ ცოლს... ან როგორ არ გაგეღიმება _ მის ძაღლს დიანა ერქვა... არც საკუთარ სახელს აწერს ბოლომდე, არც დროის აღნიშვნა მიაჩნია საჭიროდ... საერთოდ, ახსოვს კი არჩილისგან რაიმე მცირედი ყურადღება მაინც? მაგალითად, წერილზე რომ მიეწერა: “გკოცნი, შენი...” არა, მსგავსი არაფერი ახსენდება. თვით კი უყვარდა ქმარი? იყო კი სიყვარული? თუნდაც პირველ წლებში... მაშინ ამაზე არ ფიქრობდა... იყო, როგორ არ იყო!.. დიახ, ბედნიერება იყო მისთვის ოჯახის შექმნა, შვილების გაჩენა და გაზრდა... რითაც შეეძლო, არჩილს ხელს უწყობდა მუშაობაში... არჩილს ცოტათი მაინც თუ უყვარდა? თავის ძაღლზე მეტად?.. ყოველ შემთხვევაში, იას შინაგანი სამყარო სრულებით უცნობი იყო მისთვის, საერთოდ არ აინტერესებდა იას ფიქრები, სურვილები, ოცნებები... ისე კი გასაკვირია: მხატვარი კაცი, ხელოვანი, როგორ უნდა იყოს მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანის სულიერი სამყაროსადმი ესოდენ გულგრილი? თანაც არჩილს პორტრეტისტის პრეტენზია ჰქონდა. თუმცა, რატომ _ ჰქონდა? ნამდვილად საინტერესო პორტრეტისტად იყო და ახლაც არის მიჩნეული _ თავისებური ხედვით, თვითმყოფი ხელწერით... ბევრს მოსწონდა არჩილის ირონიულ-გროტესკული მიდგომა; განსაკუთრებით დიანა მოიხიბლა არჩილის პორტრეტული ხელოვნებით, რამდენიმე თავისი პორტრეტი შეუკვეთა, ნუთუ მართლა ასე მოსწონდა მისი წვდომა? თუ სხვა აზრიც ამოძრავებდა? აკი ბოლოს მოსტაცა კიდეც არჩილი ოჯახს... მართლაც კარგი, ძალიან კარგი პორტრეტები იყო დიანასი _ ლამაზი, ლაღი, ძლევამოსილი მტაცებლისა... ახლა როგორ შეაფასებდა? ალბათ ახლა სხვანაირად... იმ პორტრეტებში, ცხადია, არჩილმა ბოლომდე ვერ შეძლო დიანას რთული, წინააღმდეგობრივი პიროვნების ჭეშმარიტი, ღრმა სახის შექმნა... როგორც ახსოვს, ძალიან ეფექტური და ლამაზი პორტრეტები იყო დიანასი, _ ჩვეულ დეფორმაციას და გამახვილებას სახისა არ მიმართავდა არჩილი, პირიქით _ ერთგვარად აიდეალებდა კიდეც... ამგვარი “სალონური აკადემიზმი” არჩილისთანა პროფესიონალისთვის არ იყო ძნელი მისაღწევი _ ლამაზი ტყუილით მოხიბვლის ოსტატობაც არ აკლდა... თუმცა, თავისთავად დიანა გარეგნულად ისეთი მომხიბვლელია, ასეთი რამ მის სახეს არც სჭირდებოდა. ამ სახელოსნოში რომ დიანას ერთი პორტრეტი შემორჩა, ალბათ დანარჩენებიც მსგავსი მიდგომით არის შესრულებული... მაშინ ძალიან მოსწონდა, ეტყობა. ხელოვნება ზოგჯერ სხვა არა არის რა, თუ არა ტყუილი, ლამაზი ტყუილი... ალბათ ადამიანის ბუნებაში არის სილამაზის მოთხოვნილება, სრულყოფილების სურვილი და ტყუილსაც იგუებს, თუ ის ლამაზია...

არჩილის მიერ შესრულებული იას პორტრეტებიც ძალიან მოსწონდათ, მათ შორის, რა თქმა უნდა, _ იასაც, თუმცა სულ სხვა მიდგომით იყო გაკეთებული. გარეგნულად ნამდვილად ძალიან მახვილად, ძლიერად აქვს დაჭერილი მსგავსება, დეფორმაციით გამძაფრებული... ახლა რომ უყურებს (ათამდე იას პორტრეტი შექმნა არჩილმა, აქედან იას სამი შერჩა, რამდენიმე კი, იცის, დიანას აქვს), ჰგონია,

რომ შინაგანად მის სამყაროს ვერ ჩაწვდა, უფრო თვით არჩილის ბუნება გამოვ-ლინდა... თუმცა, არჩილს რას ერჩის, თვით მას არ აქვს საკუთარი თავი საკმაოდ შეცნობილი... აი, ოცნებებშიც ვერ წარმოიდგენდა, თუ ამდენ სურათს შექმნიდა და პერსონალურ გამოფენასაც კი მოაწყობდა! ზოგჯერ ჰგონია, მისი სურათები სხვი-სი ნახელავია და ყოველი ახალი ნამუშევრის დაწყებისას ისე ღელავს, თითქოს პირველად აიღო ფუნჯი ხელში... მაგრამ მალევე ისეთი გატაცებით ეფლობა მუშა-ობაში, რომ სულ სხვაგვარი მღელვარება იპყრობს...

რამ ააღებინა ისევ ხელში ფუნჯი თითქმის ორმოც წელს მიტანებულს? იქნებ მარტოობამ... თუ გადატანილმა მწუხარებამ? არჩილის ოჯახიდან წასვლა ისეთი მოულოდნელი იყო, ისეთი ელდადამცემი... საერთოდ, არჩილს არასდროს უდგე-ბოდა ოჯახში გული. არც მაშინ უყვარდა დიდი ხნით ოჯახთან დარჩენა, როცა სა-აგარაკოდ მიდიოდნენ ზაფხულში _ ორიოდ დღეში დაჰკრავდა ფეხს და რაღაც მიზეზით მიატოვებდა ცოლ-შვილს. მოუსვენარი იყო, ერთ ადგილს ვერ ეგუებო-და, ვერ ჩერდებოდა დიდხანს... ვერც ერთ ყაიდაზე მუშაობას შეეჩვია, სტაბილუ-რი სტილი ვერ ან არ გამოიმუშავა, სულ მარად ცვალებადობაში და ძიებაში იყო...

იქნებ ხელოვანისთვის აუცილებელია ამგვარი ცვლილებები _ ცხოვრებაშიც და მხატვრობაშიც? გააჩნია, ვისთვის... ზოგი ერთხელ გამომუშავებული საკუთარი ხელწერის ერთგული რჩება და არც ეს არის დასაძრახი _ ასეთია მისი შინაგანი ბუ-ნება; მას თუ უღალატებს და ექსპერიმენტატორობას დაიწყებს, დამარცხდება. ზო-გი კი მიიჩნევს, რომ ცვლილებების გარეშე ყველაფერი კვდება... აი, მისთვის, იას-თვის, რა საჭირო იყო, ფერწერას დაბრუნებოდა? საერთოდ, რა არის ხელოვნების მასტიმულირებელი, მისი დამბადებელი _ სიხარული თუ მჭვუნვარება?.. მალე მის ცხოვრებაში შეიძლება, კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდეს _ გათხოვებას აპირებს!.. არავინ მოელოდა ამგვარ ნაბიჯს მისგან, თვითონაც... თურმე შინაგანად ავანტურისტი ყოფილა! კესანე გაკაპასდა _ რა დროს გათხოვე-ბაზე ფიქრია ორმოცდაათი წლის ქალისთვის, თავს რატომ იჭრი, სირცხვილით სადღა გამოვჩნდეთო... მამამისი რომ ამ ხნის იყო, როცა დიანა შეირთო? იმას რა-ტომ ვერაფერი შებედა? მაგარი ქალიშვილი ჰყავს იას, ლამის გალანძღა დედა _ შენ ეგოისტი ხარ, ყველა მოიცილე, შენს გემოზე მოიწყვე ცხოვრებაო... მაგრად ეჩხუბა! ალბათ კესანემ იფიქრა, შემოსავალი შემომაკლდება, დედაჩემის სურათებიდან ფული იმდენი აღარ შემომივაო... ბინიდან წილიც შემიმცირდება, თუ სულ არ და-მეკარგებაო... ვაჟიშვილი ბევრად შემწყნარებლურად შეხვდა ამ მისთვის ფრიად მოულოდნელ სიახლეს. რამდენს ფიქრობს ია, აფორიაქებულია ამ ბოლო ხანს და ისევ და ისევ საკუთარ თავს უსვამს ერთსა და იმავე კითხვას: ხომ არ ცდება? იქნებ ქალიშვილი მართალია? თუმცა... ყველას აქვს ბედნიერების უფლება, თუკი, ცხა-დია, სხვას არავის დაზაარალებს. მას კი, ღვთის მადლით, არავის ვალი არ აქვს, პირიქით... მაგრამ იქნება კი ბედნიერი? იქნება! გრძნობს, რომ იქნება, რატომ არ უნდა იყოს? უკვე ვეღარ ძლებს, თუკი გიას ყოველდღე არ ხვდება, ამის გულის-თვის რამდენჯერმე ფუნჯიც კი გადადო გვერდზე _ სულ ერთია, ხეირიანს ვერა-ფერს შექმნიდა, მისი ფიქრები სურათიდან შორს იყო... გიასთან ყოველი შეხვედ-რის შემდეგ კი შემოქმედებითად ისე იყო დამუხტული, რომ ეგონა, ჩემს თავს ვა-ჯობებ, ისეთ სურათს შევქმნიო. და რატომ უნდა თქვას უარი, თუკი გვიან, ძალიან

გვიან, მაგრამ მაინც მოძებნეს ერთმანეთი მან და გიამ, ვის რა დაუშავდება ამით? ორივეს ცხოვრება უფრო ჰარმონიული გახდება, ეს მათ მხატვრობასაც ხელს შეუწყობს _ ყოველ შემთხვევაში, იას უკვე სასიკეთოდ წაადგა, აშკარად ამჩნევს, უკეთესი სურათები გამოსდის... მარტოხელობა არავის არაფერს მატებს... თუ ახალი საზრუნავი მოემატება და ეს ხელს შეუშლის მუშაობაში? იცნობს რამდენიმე მხატვარ ქალს _ შვილი არ იყოლიეს, ზოგი არც გათხოვილა _ ხელოვნებისადმი სამსახურს არაფერი უნდა აბრკოლებდესო... თავი ემოციურად გაიღარიბეს, მარტოხელა ადამიანი იშვიათად ცხოვრობს სრულფასოვანი ცხოვრებით... თუკი ცხოვრებისეული ტვირთი ტანჯვა-წვალებაა, ისიც ერთგვარად ადამიანის სიმდიდრეა, განსაკუთრებით _ ხელოვანისთვის; მისი გადატანილ-განცდილი, ნაფიქრალი _ წყაროა წარმოსახვისთვის; შესაძლოა, ის უშუალოდ არ გადავიდეს ნაწარმოებში, მაგრამ უხილავ სარჩულად, ფონად მაინც ამრავალფეროვნებს, ამდიდრებს მას... გათხოვებამ არ უნდა შეაშინოს, თუნდაც ბევრი ათვალწუნებითაც შეხვდეს ამას... თანაც ბუნებამ დააწესა: ყველაფერი უნდა დაწყვილდეს, რომ ნაყოფი მოგვცეს... იქნებ მართლა ეგოისტურად იქცევა, თავს ტყუილად იმართლებს? თავისი ინტერესები აქამდე არასდროს დაუყენებია იმდენად მაღლა, რომ ვინმესთვის ზიანი მიეყენებინა, ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა აქამდე და იქნებ ახლა ცდება? ახლა რომ უფიქრდება, საბოლოოდ ყველაფერი კარგად აეწყო: არჩილმა მიატოვა, შვილები თავთავიანთ გზას დაადგნენ, ფსიქოლოგიური ტრავმა კარგა ხანია, მოიშუშა... უყვარდა ქმარი და მეტად ძნელი იყო მისგან ღალატის ატანა, მეორეს მხრივ, არჩილი ხომ არად აგდებდა მის სურვილს მხატვრად გახდომისა, მერე კი მარტოობამ უბიძგა, შვება ეძია ადრე დათრგუნული, დროებით მიძინებული მისწრაფების თავისუფლად ფრთების გაშლაში...

ბევრჯერ გახსენებია და ახლაც გულგრილად ვერ იხსენებს: რამდენჯერ სთხოვა არჩილს, მინდა, მოვსინჯო ჩემი ძალები, სადმე რომ წახვალ, მეც წამიყვანე ეტიუდებზე ან აქ, სახელოსნოში ვცდი, პატარა, მარტივი ნატურმორტით დამაწყებინეო... არჩილს სიცილად არ ეყო: საქმე გამოგლევიაო, არა შეჯდა მწყერი ხესაო, ოჯახში ერთი მხატვარიც საკმარისიაო და მისთანანი... როცა არჩილმა შეატყო, იას სურვილი არ უნელდებოდა, აშკარად აბუჩად აგდება დაუწყო, თან უფრო და უფრო ეშხში შედიოდა... ჯერ წაუმღერა: "შენ არჩილის ჩრდილი ხარ!" ეტყობა, მოეწონა საკუთარი მახვილსიტყვაობა, მეორედ სხვაგვარად მოუქცია: "შენ არჩილის ჩრჩილი ხარ!" მერე ორივეს ერთად წაუმღერებდა, ართობდა და ახალისებდა იას განაწყენება... ია ცდილობდა, არაფრად ჩაეგდო ან ხუმრობაში ჩაეტარებინა ქმრის სულ უფრო შეურაცხმყოფელი გამოხდომები, რამაც პირიქით იმოქმედა... ბოლოს, სრულიად აუტანელი რამ აკადრა: "შენ არჩილის ჩრჩილი ხარ! შენ არჩილის ჩონჩორიკი ხარ!" _ და ამას მოჰყვებოდა თავშეუკავებელი ხარხარი... ია კი სადმე კუნჭულში მიიყუჟებოდა და ტირილით იოხებდა გულს... რა დაავიწყებს! საოცარი იყო, ვიღაც უცხო, ახალგაზრდა მხატვრებს ექომაგებოდა, ბევრს ეხმარებოდა შეკვეთების მიღებაში, უშურველად აძლევდა ყოველგვარ რჩევებს, რამდენიმეს სახელოსნოც მიაღებინა... მეორეს მხრივ, არჩილი სრულიად ყრუ იყო იას მიმართ... არად მიაჩნდა, რომ ქალი სუსტია, მას აქვს მოთხოვნილება _ საიმედო დასაყრდენი ჰქონდეს, გვერდით ეგულებოდეს მეგობარი, რომელიც გაიზიარებს მის ტკი-

ვილსაც და სიამესაც, შეუმსუბუქებს წარუმატებლობის სიმწარეს და სრულფასოვნად აგრძნობინებს გამარჯვების სიხარულს... საკუთარ ცოლს სულ არ აქცევდა ყურადღებას, აგდებით უყურებდა, არაფრად მიაჩნდა, არარაობად თვლიდა... რატომ, რისთვის?.. იასთვის სრულიად აუხსნელია არჩილის ასეთი მოპყრობა მის მიმართ, რომელიც წესით მისი ყველაზე ახლობელი ადამიანი უნდა ყოფილიყო... ხანდახან იმასაც კი გაიფიქრებს, ამგვარი ალოგიკური ქმედება ჭკუასუსტობის ნიშანი ხომ არ არის? ყოველ შემთხვევაში, დიდ პიროვნებად კი არა, ჩვეულებრივ ადამიანად როგორ უნდა ჩათვალო ადამიანი, რომელიც ძაღლს უფრო თბილად მოეპყრობა, ვიდრე ცოლს? ნუთუ რამე დაუშავა იამ და ვერ ხვდება? არა... რამდენი იფიქრა და სულ უფრო რწმუნდება, რომ არჩილის შემოქმედება უფრო დიდია, ვიდრე თვით არჩილი, მისი პიროვნება... ციცქნა პიროვნება... თურმე ცხოვრებაში ამგვარი პარადოქსებიც არსებობს. ეს გარემოება მის თვალში არჩილის სურათთა ფასს ბევრად დაბლა სწევს (ცხადია, ჭეშმარიტი ფასი ნაწარმოებისა ყოველთვის ფულით არ გაიზომება). გაორებული გრძნობა აქვს არჩილის სურათებისადმი _ მოსწონს, როგორ არა, განსაკუთრებით, ოცი-ოცდახუთი წლის წინათ შექმნილები, _ ია ხომ მნიშვნელოვანწილად ამ სურათებზე გაიზარდა...

როცა იამ სერიოზულად დაიწყო მუშაობა ფერწერაში, არჩილის მეგობრები დიდად დაეხმარნენ სამუშაო მასალების შოვნაში (რაც ძალიან ძნელი იყო, თუ მხატვართა კავშირის წევრი არ იყავი), გამოფენებზე მისი სურათების მიღებაში, ერთი-ორჯერ სიტყვა შეაწიეს სამხატვრო ფონდის მიერ მისი ნამუშევრების შეძენის დროს... შესთავაზეს, სამხატვრო კომბინატში შეკვეთებსაც მოგიხერხებთო, მაგრამ იამ უარი თქვა _ იქ თემატურ კომპოზიციებს თხოულობდნენ, მას კი ეს სრულებით არ იზიდავდა. ია გრძნობდა, რომ თანდათან პროფესიულად საკმაოდ დაოსტატდა, სხვათა მრავალთა მსგავსად, შეეძლო ამგვარი შეკვეთა აეღო, "მაყუთი მოეღუნა", როგორც არჩილი იტყოდა, მაგრამ შეკვეთილ, უგულოდ გაკეთებულ ვითომ-სურათზე დროისა და შრომის დაკარგვა ენანებოდა; დიდი ოჯახი რომ ჰქონოდა სარჩენი, მაშინ კიდევ იქნებ შესაძლებელი ყოფილიყო ამგვარი ზნეობრივი კომპრომისი... ოჯახი მძიმე ტვირთია, აი, არჩილის დროისა და ენერგიის სამი მეოთხედი, თუ მეტი არა, ამგვარი არაფრისმთქმელი, ყალბი, პომპეზური, უზარმაზარი დაკვეთილი თემატური ტილოების კეთებას ხმარდებოდა. სამხატვრო კომბინატში დიდი კონკურენცია იყო გაჩაღებული ამგვარი შეკვეთების "დათრევაზე" _ უნდა "კარგი ბიჭი" ყოფილიყავი, ვიღაც-ვიღაცეები "წილში ჩაგესვა" და გზა ხსნილი გქონდა. ამ მხრივ არჩილი ბედს არ ემდუროდა: ზოგჯერ ერთდროულად რამდენიმე შეკვეთასაც კი ასრულებდა და მაშინ უნდა გენახათ ორომტრიალი მის სახელოსნოში _ ორი-სამი ამხანაგი მხატვარი ეხმარებოდა დიდი ზომის სურათის დროზე დამთავრებაში... ხშირად ჯერაც საღებავშეუმშრალი კოლექტიური "ნაშრომი", არჩილის მიერ ხელმოწერილი, გადიოდა თემატურ გამოფენაზე და ეს არავის ეთაკილებოდა _ ყველას ოჯახი აქვს, ოჯახს კი რჩენა უნდა... მანქანა ხომ არის საჭირო? სახელოსნო? მასალები? მხატვრისთვის წასვლა-წამოსვლაც აუცილებელია თუ არა? ათასი და კიდევ მეტი სხვა მსხვილმან-წვრილმანი... არჩილიც გაჭირვების ჟამს, როცა მეგობრები "დროში იწვოდნენ", ასევე ეხმარებოდა მათ სურათის მოკვარახჭინებაში და იქიდან "წილი" მასაც ერგებოდა

ხოლმე... აი, ცოლისთვის კი დაცინვის მეტი არაფერი გაუმეტებია... მერე და მერე უფრო გამოჩნდა არჩილის გულნამცეცობა _ როცა გამოფენებზე იას ნამუშევრები გამოჩნდა და თანდათან აღიარებაც მოუტანა, იამდე ხმებმა მოაღწია: შენი ყოფილი ქმარი მთლად კარგად არ ახასიათებს შენს სურათებს, სახალხოდ გაიძახის _ მაგან რა იცის მხატვრობისა, სადიპლომო სურათიც კი მე გავუკეთეო... ეტყობა, არჩილი გააღიზიანა იას წარმატებებმა, იქნებ შეშურდა კიდეც, ეჭვიანობდა _ ჩემზე მეტად როგორ აფასებენ, ჩემს ფრჩხილად არ ღირსო. კი, ერთი მხრივ, თითქოს მართალიც იყო, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სადიპლომო სურათის დასრულებაში მართლაც დიდად დაეხმარა ცოლს _ მაშინ ია ფეხმძიმედ იყო მეორე ბავშვზე და დამოუკიდებლად, შესაძლოა, ვერც მორეოდა; მეორე მხრივ კი რაღა იაზე აუტყდა მწარე ენის ქავილი, სხვებს ცოტას შეხიდებია გინდ სადიპლომო სურათის შესრულებაში, გინდ სხვა რამეში?

აგერ არჩილის კიდევ ერთი წერილი შეუნახავს იას ფოტოებს შორის; ეს წერილი, პირველად რომ კესანეზე იწვა სამშობიაროში, მაშინ გამოუგზავნა, მეტი არც მოუწერია...

“სალამი საყვარელო ია

გუშინ როცა ფანჯარაში დაგინახე სიხარულისგან არ ვიცოდი რა მექნა სულ არ მოველოდი ცოტა კიდე მოშორდები მაქაურობას ალბათ ძალიან მოგბეზრდა მაქ ისეთი გრძნობა მაქ ერთი წელია მანდ ხარ ბავშვი როგორაა რა მოგიტანო გიგზავნი ფულს გკოცნი არჩ”.

არასდროს უყვარდა წერილების წერა, თან მეტად ცუდი ხელი ჰქონდა, ია ძლივს არჩევს, პუნქტუაციასთანაც მწყრალადაა, წერტილი და მძიმე მისთვის არ არსებობს... არც თარიღი დაუსვამს, ხელმოწერაც კი არასრულია. ცხადად ჩანს აგდებული დამოკიდებულება... ახლა ხედავს ამას, მაშინ კი ქაღალდის რაღაც ჭუჭყიან ნაგლეჯზე ამგვარი ნაჯღაბნის მიღებაც ძალიან გაუხარდა... საერთოდ, მისგან ყურადღებით არ იყო განებივრებული... სხვების მიმართ კი ხაზგასმულად თბილიც იყო, ყოველთვის მზად იყო დასახმარებლად, ამიტომ არჩილი უყვარდათ, პატივს სცემდნენ, როგორც პიროვნებას, აფასებდნენ, როგორც ნიჭიერ მხატვარსაც... საოცარია, შეიძლება, ასეთი განსხვავებული იყო შინ და გარეთ? მერე შეიცვალა აგრერიგად, თუ ადრეც ასეთი იყო და ია ვერ ამჩნევდა? შესაძლოა... ია ხომ მისი მხატვრობით მონუსხული იყო, შეიძლება ითქვას, დაბრმავებულიც, ქმარსაც აიდეალებდა კარგა ხანს... იაც შეიცვალა, დრო ყველაფერს ცვლის და მათ შორის _ პიროვნებებსაც... გამოფენებზე ამ ბოლო დროს მხატვრობის ფაქიზი დამფასებელნი გაკვირვებულნი კითხულობდნენ იახ პეიზაჟების ხილვისას: “ნუთუ ეს ლიაშვილის ნამუშევრებია? სულ სხვა ხელია, სულ სხვა დონე!” თითქოს ძალიან გვიან გამოიღვიძა იამ, გვიან აეხილა თვალები ბევრ რამეზე _ როგორი უნდა იყოს მშობელი, რა არის სიყვარული, როგორ უნდა შრომა, რა არის ხელოვნებისადმი სამსახური და მრავალი სხვა რამ კიდევ... გვიან მიხვდა თავის მოწოდებას, მაგრამ ღრმად ჩახვდა კი? იქნებ არჩილი არც ტყუის და მისი სურათები მართლაც ყოფილი ქმრის ადრეული პერიოდის ნამუშევრების უბრალო გადამღერებაა, თუნდაც ნიჭიერად შესრულებული? არის კი ახლა, ორმოცდაათი წლისა, ნაღდი მხატვარი? საკუთარი სათქმელით, საკუთარი ხმით? რომ აიღებს ხელში ძველ თუ თანამედ-

როვე მხატვართა ნამუშევრების ალბომებს, მონოგრაფიებს მათ შესახებ, ღმერთო ჩემო, რამდენი გენიოსია ამქვეყნად მოვლენილი _ აურაცხელი რაოდენობის, მიუწვდომელი ოსტატობის და განუმეორებელი სულიერი სიმდიდრის... რა მრავალფეროვნებაა თემების ნაირგვარობის, ფერის გრძნობის, კოლორიტის, პლასტიკური მოდელირების მიდგომის, სივრცობრივი აგებულების, იდეური პრობლემატიკის გააზრების თუ ათასი სხვა მხრივ _ ღირს კი ამ უკიდეგანო ზღვაში შენი ერთი წვეთის მიმატება? იქნება კი ის რაიმეთი გამორჩეული, ყურადღების ღირსი, შეამჩნევენ? რას იტყვი ახალს, რომელიც ვინმეს არ ეთქვას? ვერაფერს! უკვე ყველაფერი თქმულია, ათასჯერ და ათიათასჯერ გაკეთებულია უმაღლეს დონეზე _ შენ რას ფაფხურობ, რაღაცას ჩირთიფირთობ, გულის ჭიას ახარებ, გგონია, რაღაცას აკეთებ...

მეორე წუთს კი ფიქრობ: ახლა, ჩვენს დროშიც ბევრი სახელოვანი მხატვარია, მათაც ხომ შეეძლოთ, ეფიქრათ _ უკვე ყველაფერი თქმულია ჩვენამდეო და, რა თქმა უნდა, შეცდებოდნენ: ხელოვნება, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ამოუწურავია, ისევე, როგორც ამოუწურავია თვით ცხოვრება, ადამიანები, ბუნება... სწორედ მხატვართა მრავალფეროვნებაა საინტერესო და ყოველი ახალი ჭეშმარიტი ხელოვანი თავისთავადია, სხვას არ ჰგავს არავის და არც შეიძლება, ჰგავდეს... არჩილი რომ გაიძახის, მე მბაძავს, თავისი საკუთარი არაფერი აქვსო, ნამდვილად სასაცილოა... ერთი-ორმა არჩილს უთხრა კიდეც: "ხელოვანი ცარიელ ადგილზე ვერ აღმოცენდება, სხვათა გავლენები გარდუვალია და აუცილებელიც კი, ოღონდ ერთნი მას გადახარშავენ და საკუთარი სახე აქვთ, მეორენი კი მონებად რჩებიან... განა შენ კი აშკარად არ გატყვია ხან _ პიკასოს, ხან _ მატისის, ხან _ მოდილიანის და სხვათა გავლენა? ის მაინც აგვიხსენი, როგორ მოხდა, რომ ია შენ გბაძავს და, არცთუ იშვიათად, შენზე უკეთეს პეიზაჟებს ჰქმნის? თითო-ოროლა პორტრეტიც აქვს და თუ მიჰყვა, არც მაგაში ჩამოგრჩება"... ეტყობა, ამგვარი შეგონება არჩილმა მრავლისგან მოისმინა და ამან თავისი გავლენა იქონია კიდეც _ ამ ბოლო დროს არჩილი შეეშვა იას მისამართით გესლიანი სიტყვების სროლას; ალბათ იმის გამოც, რომ იასგან საპასუხოდ მხოლოდ დუმილი ისმოდა... თუმცა: "არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა" _ არჩილი თავის ზნეს არ იშლის და იაზე ბევრად დამსახურებულ ოსტატებს ძველებურად აგდებულად იხსენიებს...

სულ ერთსა და იმავეს უბრუნდება მისი აზრები, ეტყობა, ძლიერ ღრმა ჭრილობები მიაყენა არჩილმა... წარსული, როგორც წესი, ყოველთვის კარგად გაგვახსენდება ხოლმე, გადატანილი ჭირ-ვარამიც კი თითქოს მიმზიდველი ჩანს _ მეხსიერების ეს თვისება რომ არა, სიცოცხლის განმავლობაში დაგროვილი ტკივილიანი მოგონებანი ადამიანის ფსიქიკაზე დამთრგუნველად იმოქმედებდნენ... კიდევ და კიდავ რწმუნდები: ბუნება ბრძენია! უნდა ეცადო, რაც შეიძლება სრულად ჩაწვდე მას, მის უსასრულო მრავალხმიანობასა და სიღრმეს _ ეს სიამის მომგვრელიცაა და სასარგებლოც, მის სიბრძნესთან მიახლოებაა.. იმიტომაც იტაცებს პეიზაჟი _ ბუნების ხატი და იმავდროულად _ მხატვრის სულის ანარეკლი, მისი როგორც შინაგანი ბუნების, მყარი, უცვლელი მხარეების, ისე ცვალებადი, სურათის შექმნის პროცესში არსებული განწყობის გადმომცემელი... ეს "ძირი", "ფესვი" პიროვნებისა თვითმყოფს ხდის მთლიანად მხატვრის შემოქმედებას, ცვალებადი "ფოთლები"

კი, რომლებიც ნიადაგ ენაცვლებიან ერთმანეთს, ერთ სურათს გამოარჩევს მეორისგან, თუმც იმავე ხელით შესრულებულისგან... ვერც "ფესვსა" და ვერც "ფოთლებს" სხვისგან ვერ ინათხოვრებ _ თუგინდ ვიღაცას მიბაძო, მაინც შენი სული გამოკრთება ნამუშევრიდან; ხერხი თუ მანერა შეიძლება ისესხო სხვისგან, სულს _ ვერ ისესხებ... აი, არჩილის ზოგიერთ ადრეულ ნამუშევარს აშკარად ატყვია მატისით გატაცება, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ისინი არჩილის "შვილებია", მატისისა კი _ "შვილიშვილები"; არჩილის პიროვნება გადაამუშავებს "ნასესხებს"... თვით პიკასოც ვის და რას არ დაესესხა, დაწყებული ანტიკური ხელოვნებითა და აღორძინების მხატვრობის კორიფეებით და დამთავრებული მისი თანამედროვეებით... პრიმიტივისტებით, აფრიკული ნიღბებითა და ქანდაკებებით... და ყოველთვის პიკასოდ რჩებოდა!.. არჩილიც ყოველთვის არჩილად რჩება... კი, კარგ სურათებს ჰქმნის, მაგრამ მაინც დასანანია, რომ შთაგონებას სადღაც გარეშე მხარეს ეძებს, სხვათა ხელოვნებაში, მაშინ, როცა, ბუნებაში, ადამიანებში და საკუთარ თავში ჯობს იგი მოიძიო _ სამივე ამოუწურავია და უძირო... სანამ ახალგაზრდა ხარ და საკუთარი ხმის ძიებაში სხვადასხვა გზებს მოსინჯავ, ბუნებრივია და გარდაუვალიც, ვიღაცის შემოქმედება, ბიძგს აძლევდეს შენს ძიებებს, მაგრამ ეს პროცესი არ შეიძლება მეტისმეტად ხანგრძლივად გაიწელოს _ დგება დრო და მხოლოდ საკუთარი ფეხებით, დამოუკიდებლად უნდა იარო შემოქმედების აღმართში _ საყრდენად სხვათა "ყავარჯნების" გარეშე... ყველაფერი რა მარტივია და ცხადი, როცა შენც ფიქრობ ამგვარ საკითხებზე და სხვების აზრსაც ისმენ, და რა ძნელია პრაქტიკული საქმიანობის დროს არ აჰყვე სხვათა ფეხის ხმას, არ გაგიტაცოს მოდამ, ხმაურიანმა, პრეტენზიულმა მიმდინარეობებმა ან თითქმის ყოვლისშემძლე "ბაზრის" მოთხოვნილებამ! ამ ბაზარს _ ხარბ "ობობას" _ მრავალი საცეცი აქვს: საგამოფენო კომიტეტები თუ კომისიები, ოფიციალური თუ ნახევრადოფიციალური მოთხოვნები და სურვილები თემის, სტილის თუ მანერის მიმართ, კრიტიკოსთა შეფასებები, კოლეგებში გაბატონებული შეხედულებები, ფულიანი ხალხის "გემოვნება" და უამრავი კიდევ სხვა რამ _ ეს გარემო შენზე მოქმედებს, ზეწოლას ახდენს, _ აშკარად თუ ქვეცნობიერად, _ და შინაგანად ძალიან ძლიერი უნდა იყო, რომ მინიმუმამდე დაიყვანო მისი უარყოფითი ზეგავლენა შენს ხელოვნებაზე... ეს აგრესიული გარემო აიძულებს ადამიანებს იყვნენ მორჩილი ტიკინები, პასიურად მიმყოლნი მძლავრი დინებისა _ რასაც ჩასძახებენ, ის უნდა ამოსძახონ _ "ქვევრად" იქცნენ. რა გულუბრყვილო იყო კარგა ხანს! როგორი გულწრფელი და გახსნილი! ახლა პირიქით _ მეტისმეტად თავშეკავებულია, სკეპტიკური, _ ირონიულად უცქერის ბევრ რამეს, რასაც წინათ სერიოზულად აღიქვამდა; ეტყობა, დრომ და გარემოებებმა "კანი" გაუუხეშეს _ ყურადღების ღირსად აღარ თვლის, აღარ წვრილმანდება... დიახ, ძალიან შეიცვალა... თითქოს განზეა გამდგარი _ თავს "გაქცევით" უშველა _ მხატვრობაში იპოვა მშვიდი ნავსაყუდელი... ეს ერთგვარი ლაჩრობაცაა, გრძნობს ამას, მაგრამ ეს მისი ბუნებაა _ შეხლა_შემოხლას და მძაფრ განცდებს ყოველთვის გაურბოდა, ალბათ ამან გააძლებინა არჩილთან ოც წელიწადს და, შესაძლოა, დღესაც მასთან ყოფილიყო, რომ არა მისგან დამოუკიდებლად განვითარებული მოვლენები...

სამწუხაროდ, არ გაქვს საშუალება, შენზე მოქმედი ზეწოლის უამრავი სახეობისგან სრულად განთავისუფლდე, განსაკუთრებით "ფულის ფაქტორისგან"... აი, ახლაც, ძლივს მოხერხდა პერსონალური გამოფენის გამართვა, რამდენი ადამიანი უანგაროდ დაეხმარა, მხატვართა კავშირშიც ირბინეს, რამდენი იჩალიჩეს, რომ რაღაც თანხა გამონახულიყო, გამოეყოთ საგამოფენო დარბაზი, დაბეჭდილიყო უბრალო კატალოგი... გინდა თუ არა, ბანკეტიც უნდა გამართო _ ტრადიციაა! თუ არ გაქვს საშუალება? მაინც უნდა მოახერხო, მერე გინდაც ვალებში ჩაიხრჩო და იშიმშილო... რატომ უნდა იფიქრო ასეთ რამეებზე, დრო და ენერგია ტყუილად ხარჯო? აი, ახლაც _ ეს ფოტო... არა, არ ჩანს შესაფერი, ვერ მიაკვლია... უამრავი ფოტოსურათია და შენ როგორიც გჭირდება, მაინცდამაინც ის ვერ მოძებნე... ძველი ფოტოგრაფიების თვალიერებისას წარსულს ესტუმრა... რატომაა, რომ ადამიანი მეტწილად უკმაყოფილოა აწმყოთი? წარსულს რომანტიკულად შელამაზებულს ხედავს, მომავალს _ ოცნების ფრთებით სურს მიეახლოს... არადა, აწმყოში უნდა შეძლო, დაინახო მშვენიერება! უამრავ სისაძაგლეს ხედავ გარშემო, მათზე თვალს ვერ დახუჭავ, მაგრამ უფრო მეტი კარგი უნდა დაინახო, ისე ცხოვრება არ ღირს. პეიზაჟისტისთვის განსაკუთრებით ძვირფასია ეს თვისება _ ყველგან სილამაზე დაინახო და შეძლო, ეს სხვებსაც აგრძნობინო... იას არ იზიდავს წარსულის იდეალიზაცია _ ისტორიული ჟანრი, არც მომავლის ფანტაზიური ხატები ხიბლავს, _ უყვარს, რაც ახლაა, ამ დღეს არსებობს _ თოვლი, წვიმა, მზიანი დღე თუ მთვარიანი ღამე, გაზაფხულის აყვავებული გარემო თუ გვიანი შემოდგომის ნაღვლიანი ხედი _ გახსენებულიც, წარმოდგენილიც და პირდაპირ ნატურაზე ხილულიც, _ სუყველა ტილოზე თავისებურად ასახული, _ აი, მისი ტკბობისა და შთაგონების წყარო... წარმოდგენილს თავისი ხიბლი აქვს, პირდაპირ ნატურიდან შესრულებულს _ თავისი... ბუნებასთან პირისპირ დგომისას ფერთა და ფორმათა რა ამოუწერავ მრავალფეროვნებას ხედავ, მათ თამაშს, ურთიერთთანხმობასა და დაპირისპირებას, ცალ-ცალკე არსებობასაც და ჰარმონიულ ერთარსად ყოფნასაც... ფანტაზიით შექმნის დროს კი _ თავისუფლება და მოულოდნელი სვლებით ტკბობა გიტაცებს... ორივე მიდგომა უყვარს: ხან _ ერთი, ხან _ მეორე...

ფუი ეშმაკს! როგორ დაავიწყდა: გია სადაცაა გამოუვლის, ის კი ჯერაც ჩაუცმელია!..

იამ საჩქაროდ დაიწყო ყველაფრის სკივრში ჩაბრუნება, შემდეგ თავი დაანება, ამისთვის აღარ ეცალა _ სწრაფად ჩავიდა ქვევით.

გამოაღო ტანსაცმლის კარადა, გადმოიღო რამდენიმე კაბა. მერე უცებ გაახსენდა _ დაბრუნდა და საგულდაგულოდ ჩაკეტა სახელოსნოს კარი.

ისევ სარკის წინ ტრიალი... ძველი კაბები ძალიან მოსწონს, მაგრამ ახლა შეეფერება კი? მეტად მხიარული ფერებია, თანაც თითქმის ყველა კაბა _ მოკლესახელოიანი და გულამოჭრილი. ერთი მაინც მოიზომა. თითქოს არ არის მაინცდამაინც წონაში მომატებული, ყოველ შემთხვევაში, თვითონ არ შეუმჩნევია და არც სარკეში ჩანს... თუ თავს იტყუებს? აბა, რატომ ვერ ეტევა კაბაში? აგერ ერთ ადგილას ოდნავ გაირღვა კიდეც...

იამ თავი გააქნია, სარკეში თავის ორეულს ენა გამოუყო... რა დროს ცელქობაა, სადაცაა, გიაც მოვა... ერთხელ კიდევ შეათვალიერა საკუთარი ტანი _ დიდი ვერა-

ფერი შვილია, ისე რა... მკერდს თითქოს ჯერ არა უშავს... საშუალოზე ოდნავ დაბალიც კი ეთქმის, ტანწერწეტობით ვერ დაიკვეხნის... ფეხები შერჩა კარგი _ კესანეზე ბევრად უკეთესი ჩანს ახლაც... კესანემ სიმაღლეშიც ვერ აჯობა, სახით _ ალბათ... მარად კუშტი გამომეტყველება რომ არ ჰქონდეს კესანეს, ნამდვილად ლამაზი ქალია... ნეტავი სულ რას იბღვირება? თითქოს მთელ სამყაროს მისი დიდი ვალი ჰქონდეს, სულ უკმაყოფილოდ ბუზღუნებს, როგორ უძლებს ნეტავი საწყალი ქმარი? გასაკვირი არ არის? არჩილმა მზრუნველი, რბილი ხასიათის ცოლი მიატოვა, კესანემ კი რით მიიჯაჭვა იასონი? რა დალევს ამქვეყნად პარადოქსებს... ისევ და ისევ აბეზარი ფიქრი არ სცილდება: რატომ არის, რომ წარსულიდან უმეტესწილად კარგი გახსოვს, ცუდი გავიწყდება და გარდასულ ამბებს რატომღაც ტკბილად იხსენებ, თუნდაც გაჭირვების დღეებს... დიახ, ბუნების სიბრძნეა: ცხოვრების გზაზე იმდენი ჭირ-ვარამი გადაგხდება, ყველაფერი რომ გახსოვდეს, დიდ, ძალიან მძიმე და დამთრგუნველ ტვირთად დაგაწვება, მარადჟამ მოჟამული სახით ივლი და გასახარიც კი ვერ გაგიქარვებს დარდს. კესანე, მისი სისხლი და ხორცი, ჯერაც ახალგაზრდაა და იმას რაღამ დაუგროვა ხვაშიადი, რატომ ერთს გაცინებულს ვერ ნახავ? ხასიათი აქვს ასეთი? საიდან? ყველაზე უფრო ის ტკენს იას გულს, რომ მისი შვილია და ასეთი ყრუ გამოდგა დედის მიმართ, ეგოისტურად სურს, დედა მის დანამატად იქცეს, ყმასავით ემსახუროს... ია კი ჯერ არც ისეთი მიხრწნილი ბეხრეკია, რომ აღარ გააჩნდეს არც საკუთარი ინტერესები, აღარც საკუთარი სამყარო...

რას აეკვიატა კესანეს უხიაგ ხასიათზე ფიქრი? შეიძლება, შვილს არ მოსწონდეს მისი ხელოვნება, _ ცხადია, გემოვნებაზე არ დავობენ, _ მაგრამ თუ ადამიანურობა გაქვს, სხვის პიროვნებას პატივი უნდა სცე, მის ღირსეულ მისწრაფებებს ხელს თუ არ შეუწყობ, ბორკილად მაინც ნუ დაედები...

იას არ ახსოვს, კესანე როდისმე დაინტერესებულიყო მისი საქმიანობით, არასდროს უკითხავს, დედა, ახლა რას აკეთებ, რაზე მუშაობო, არც მის სურათებზე დასცდენია კარგი ან ცუდი, მხოლოდ მათი ფასი აინტერესებდა...

ვერც ფოტო მოიძია, ვერც კაბა შეარჩია... ამდენი კაბა აქვს, მართალია, ძველები, მაგრამ დღეს ჩასაცმელად არც ერთი არ მოსწონს... არასდროს ზრუნავდა ასეთ რამეზე (არჩილისგან თუ გადაედო?), წვრილმანად მიაჩნდა და ენანებოდა მასზე დროის დაკარგვა... აგერ ყველა მეგობარი ქალი ეჩიჩინება, ზოგი ლამის ეჩხუბა კიდეც, _ რა არის, ქალო, თავს მიხედე, თმები მაინც შეიღებეო. ჭაღარა გვარიანად მიეძალა, არც აქცევს ყურადღებას. გია ეუბნება, გიხდებაო, ჰოდა, ეს არის მთავარი... საერთოდ, ადრეული ჭაღარა გვარიდან მოსდგამს, კესანეც მას დაემგვანა _ რა ხანია თმას იღებავს... ჩაცმაში კი დედას არ ჰგავს _ გამოპრანჭვა უყვარს... ათასმეერთედ უსვამს საკუთარ თავს კითხვას: ვის დაემგვანა? არჩილი ამ მხრივ ძალზე უპრეტენზიო იყო, უფრო სწორედ _ დაუდევარი. გაცვეთილი, "საშოფრო" ტყავის ქურთუკი ეცვა შინ თუ გარეთ და საკუთარი პერსონალური გამოფენის გახსნაზეც კი აჩაჩულ-დაჩაჩული წარუდგა დამსწრე პატივცემულ საზოგადოებას _ ყოველდღიურად სახმარი ტანსაცმლით... საოცარი კონტრასტი იყო გვერდით მდგომ დიანასთან! არჩილი ყველაფერში ასეთია: მანქანის გიჟია, თვითონვე ამბობს, ფეხსალაგის გარდა, ყველგან მანქანით მივდივარო, მაგრამ არც მანქანას უვლის _ შეხე-

დავდი თუ არა, მაშინვე ურიგო შთაბეჭდილება შეგექმნებოდა მის პატრონზე: მარად ჭუჭყიანი, დაჭეჭყილი, მინგრეულ-მონგრეული, მოუვლელი... სახელოსნო? ყველა კუთხე-კუნჭულში უწესრიგოდ მიმოფანტული სურათები, ჩარჩოები, საღებავთა ტუბები, რაღაც ძველმანები: სოფლური დოქები, ფარდაგები, მინდვრის გამხმარი ყვავილები... ვითომ კოლექციონერობს, მაგრამ ყველაფერს აგროვებს უსისტემოდ და გაუაზრებლად, სტიქიურად. როცა დიანასთან გადაბარგდა, ია რამდენიმე დღე მოუნდა სახელისნოს დალაგება-დასუფთავებას. მხოლოდ ძაღლებს უვლიდა გულმოდგინებით, ყოველთვის ჰყავდა სანადირო, ძვირფასი ჯიშის ძაღლი და თავს ევლებოდა _ შვილებს არ ეალერსებოდა ისე, არც _ ცოლს... ია ვერ იხსენებს, უთქვამს არჩილს ოდესმე მისთვის _ მიყვარხარო ან უბრალოდ, საალერსო სიტყვები, თუნდაც ხუმრობით რაიმე თბილად ნათქვამი... ვერა, ვერ იხსენებს, შესაძლოა, იყო კიდეც, მაგრამ ვერ იხსენებს... იხსენებს მხოლოდ დამცინავ, ღვარძლიან ხითხითს: “შენ არჩილის ჩრდილი ხარ! შენ არჩილის ჩრჩილი ხარ! შენ არჩილის ჩონჩორიკი ხარ!” გარეშენი კი ერთხმად ამბობდნენ: არჩილი მეტად გულისხმიერი, გამგები, თბილი კაციაო...

კართან ზარმა დაიწკრიალა.

ალბათ გიაა!

ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავი დიდ სარკეში და ჭიშკრისკენ გაეშურა.

გია ეზოში შემოვიდა თუ არა, ია, მისთვისაც მოულოდნელად, პატარა გოგოსავით მიაფრინდა მკერდზე და ჩაეხუტა...

მხოლოდ მოგვიანებით, როცა დიდ ოთახში შევიდნენ და იამ მირთმეული ხასხასა, წითელი ვარდების დიდი თაიგული ორ ლარნაკში გაანაწილა, გიამ ღიმილით თხოვა: იქ, კართან, მუყაოს ყუთი დავდე და შემოიტანეო.

თეთრი ყუთი საკმაოდ გრძელი და ფართო გამოდგა (იამ ისიც კი იფიქრა, გაჭირვებისას მისგან რამდენიმე მშვენიერი მუყაოს ნაჭერი გამოვა ეტიუდების გასაკეთებლადო); გახსნა თასმა, ასწია სახურავი და სიხარულის ყიჟინით გიას ისევ ჩაეხუტა _ ყუთში აბრეშუმის თეთრი, იშვიათი სილამაზის მაქმანებიანი კაბა იდო...

ოთახში ვარდების დამათრობელი სუნი ტრიალებდა.

კარი მეორე. შუადღე

V. ერთი კრიტიკოსის ფუჭი ფიქრები

სურათების გალერეაში გახსნილი მხატვართა საგაზაფხულო გამოფენა ერთ თვეს მაინც მოითხოვს სრულფასოვნად აღსაქმელად, _ ალბათ ათასამდე ნამუშევარია გამოფენილი, _ სრულიად განსხვავებული ხელწერით, თემით, ზომით, მასალით... სამ-ოთხსაათიანი დათვალიერება (სანამ საბოლოოდ დაიღლები ემოციურადაც და ფიზიკურადაც) მხოლოდ ძირითადი შთაბეჭდილების სქემატურად გადმოცემის საშუალებას თუ იძლევა.

1. იგრძნობა გატაცება სურათების მეტისმეტად დიდი ზომით, მათ შემქმნელებს ავიწყდებათ, რომ დაზგური სურათი ფრესკა არაა, არც ყველა მხატვარს აქვს მონუმენტალისტის ნიჭი. ამასთანავე, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დიდი ზომის სურათის ხილვა შორიდან ხდება, ამ დროს კი მნახველისთვის მნიშვნელოვანწილად იკარგება ის ფერწერული ეფექტები, რაზეც მხატვარს ამდენი უშრომია.

2. ფერწერულ სურათს უნდა ჰქონდეს მთლიანობა _ ერთი შეხედვისთანვე, წამიერად უნდა დაგატყვევოს, მოგხიბლოს... უმეტესობა სურათებისა დაქუცმაცებულია, თავმოუყრელია _ სწორედ მთლიანობა აკლია... მაგრამ ეს მთლიანობა არც ისე უნდა გავიგოთ, რომ ერთი შეხედვა კმაროდეს მის ბოლომდე აღსაქმელად _ სურათს უნდა ჰქონდეს სიღრმეც, "აისბერგის წყალქვეშა ნაწილი", რომელიც მოითხოვს ხანგრძლივ, ჩაღრმავებულ წვდომას, სულ ახალ-ახალი მხარეებისა და წახნაგების წარმოჩენას; ყოველთვის უნდა დარჩეს რაღაც საიდუმლოც სურათის ხიბლისა, რომელსაც ბოლომდე ვერასდროს ჩასწვდები.

3. მეტისმეტად ბევრია უღიმღამო სურათი, რომელიც სრულიად არაფერს გეუბნება _ ცარიელ კედელს არაფრით სჯობს, პირიქით... (ცარიელი კედელი არ გაღიზიანებს მაინც). არ არის აუცილებელი, სურათი მოგწონდეს მთელი 100%-ით, საკამათო მხარე არ გააჩნდეს, მაგრამ *სიძლიერე* კი უნდა იგრძნობოდეს, მონდომება, გატაცება, წვა _ რაც გინდათ, ის დაარქვით. შესაძლოა, მაძიებელი მხატვარი ბოლომდე ვერ "მოერიოს" ჩანაფიქრს, მაგრამ უნდა ჩანდეს ამ ჩანაფიქრის არსებობა _ "წონა" უნდა ჰქონდეს (და მთლად უკეთესი, თუ განაწყობს, თვით მნახველმა თავისებურად "დაასრულოს" სურათი, წარმოიდგინოს საკუთარი ვარიანტი). როგორც წესი, მხატვრები ელემენტარულად წყვეტენ ამოცანას: იღებენ თემას, მათი აზრით "მომგებიანს" და რაიმე ხერხით _ ტრადიციულით, ნასესხებით, საკუთრივ გამომუშავებულით და ა. შ. _ სულ მოკლე ხანში, იოლად, "თამაშ-თამაშ", ზოგჯერ გამოფენის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრეც, დასცხებენ და უცებ "გამოაცხობენ" სურათს (არცთუ იშვიათად _ მეგობარ-ამხანაგების დახმარებითაც!)... და საღებავშეუმშრალ "ნამოღვაწარს" გამოფენენ კიდეც _ არავითარი ხანგრძლივი ფიქრი, ძიება, წვალება, უძილო ღამეები, ზოგჯერ სასოწარკვეთაც კი...

მერე დაივლის ასეთი "შემოქმედი" გამოფენის დარბაზებს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე იძახის (სხვათა სურათებზე, რასაკვირველია): "ძალიან სუსტი ნამუშევრებია... დაბალი დონეა, უბადრუკი... მთელ გამოფენაზე ორი-სამი სურათი თუა საინტერესო..." "თავდამბლობა" უშლის, თორემ "გულწრფელად" იტყოდა: "თუ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კრიტერიუმებით შევაფასებთ, მხოლოდ ერთი მხატვრის ნამუშევარი აკმაყოფილებს ჭეშმარიტი ხელოვნების მოთხოვნილებებს" (რაღა თქმა უნდა, იმ გამორჩეულში საკუთარ თავს გულისხმობს!).

დადიხარ, დადიხარ უზარმაზარ გამოფენაზე და გაკვირვება გიპყრობს: ნეტა სადაური მხატვრების გამოფენაზე მოვხვდი? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ეს მხატვრები რაღაც უცხო, ჩემთვის სრულიად უცნობი ქვეყნიდან მოვიდნენ _ ვერ ვხედავ ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას, საერთოდ ჩემს გარემოს... ვერ ვგრძნობ ჩემს ფიქრებს, ჩემს სიხარულსა თუ ტკივილს... უემოციო, გულგრილი ხელით შექმნილი ტილოები... სურთ ფონს გავიდნენ წმინდა ფორმალური (ანუ ფორმალისტური) ხერხებით (უფრო მკაცრადაც შეიძლება შევაფასოთ: ოინბაზობით!) _ კომპო-

ზიციური, ფეროვანი პირობითობებით, “მოდური” სტილის ბრმა და უაზრო თაყვანისცემა-გადამღერებით... პირობითობის წინააღმდეგი მხოლოდ უვიცი გაილაშქრებს (უიმისოდ მხატვრობა უღიმღამო ნატურალიზმის ჭაობში ჩაიხრჩობა), იყოს თუნდაც აბსტრაქტული ნამუშევარი, _ მაგრამ რაღაცას ხომ უნდა მეუბნებოდეს ის, რაღაცას მაგრძნობინებდეს? ბოლოს და ბოლოს, ლამაზი, ფერადოვნებით მიმზიდველი მაინც იყოს _ დეკორაციული სიცინცხლით ყურადღებას იქცევდეს, მზერას ახალისებდეს თუნდაც მოულოდნელობით, კომპოზიციური გამომგონებლობით, გადაწყვეტის სინატიფით ან პირიქით _ აღქმის უხეში “შეჯანჯღარებით”... ოღონდ ნუ იქნება ანემიური, “ყრუ”, არაფრისმთქმელი...

დადიხარ, დადიხარ მოწყურებული დიდ უდაბნოში... იშვიათად თუ შეჩერდები გამორჩეულ ნამუშევართან, სიამე გიპყრობს ამ ოაზისში, სულში სიმღერა იბადება და გიხარია _ გახალისებს ნიჭის გამობრწყინებასთან შეხვედრა.

და თუ რამდენჯერმე მაინც დაეწაფები ამგვარი წყაროს გემრიელ წყალს, ღირდა გამოფენაზე მოსვლა!

5. ბაბილონის გოდოლი

_ დავაგვიანეთ, ახლა რაღას დაათვალიერებ, იმდენი ხალხი ირევა, _ სამხატვრო გალერეის ფართოდ გაღებულ კარში შესვლისთანვე დანანებით წარმოსთქვა იამ.

_ არა უშავს, სხვა დროსაც მოვიდეთ, _ უპასუხა გიამ. _ არ გინდა, შენი სურათი ნახო? კარგ ადგილას ჰკიდია.

_ არა, ჯობს, აქედან დავიწყოთ.

იას ჩვეულება ჰქონდა: დარბაზში შესვლისთანვე მარჯვნივ გაუხვევდა ხოლმე და დაუყვებოდა გრძელ, სურათებით დახუნძლულ კედლებს. ასე ჩამოუვლიდა ირგვლივ დარბაზს წრიულად, შემდეგ წაგრძელებული სათავსოს შუაში მოთავსებულ ქანდაკებებსაც დაათვალიერებდა და ახლა მეორედ, თავიდან იწყებდა ექსპოზიციის შემოვლას, ოღონდ ახლა უფრო ხანგრძლივად ჩერდებოდა იმ სურათებთან, რომლებმაც ადრე რაიმეთი მისი ყურადღება მიიპყრეს.

არ გაუვლიათ ორი ნაბიჯი, რომ იას ვიღაც ჯიქურ ეცა და უბოდიშოდ გადაჰკოცნა:

_ უი, ქალო, რა საქორწილედ გამოწყობილხარ, ნამდვილი დედოფალი ხარ, ჭირიმე!

ზოია ზუზუნაშვილი!

“_ _ ფიე, რა სახელია ზოია?! გვარიც ზუზუნებს ყურებში _ ვერ გაიგებ მისას ვერაფერს _ საიდუმლო პიროვნებაა _ ქმარი ჰყავს? შვილები? რას აკეთებს, სად მუშაობს? _ შენზე ვერაფერს გამოაპარებ, ყველაფერი იცის, მისას ვერაფერს გაიგებ _ საიდან აქვს ამდენი თავისუფალი დრო? სადაც კი წახვალ, აუცილებლად იქ დაგხვდება... _ სულ აქეთ-იქით დაძვრება, რაღაც საქმეებს აკვარახჭინებს, უფრო კი ჭორები მიაქვს-მოაქვს _ ყველას იცნობს, ყველაზე ყველაფერი იცის _ უასაკოს უწოდებენ ამგვარ ტიპებს, ვერაფრით მიხვდები, რა ხნისაა _ არც ლამაზი ეთქმის

და არც უშნო _ ყოველთვის გამოპრანჭულია, მოდას ერთი ნაბიჯით წინ უსწრებს _ თუკი ქალაქში გადამყიდველებთან გამოჩნდება ბოლო მოდის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ხელჩანთა, ქუდი ან სხვა რამ, ერთ-ერთ პირველს მას ამშვენებს _ არ გამოტოვებს უნახავს არც ერთ გამოფენას, პრემიერას, სახელგანთქმული გასტროლერის კონცერტს, გამოჩენილი პიროვნების იუბილეს... _ მხოლოდ ერთი რამ ძალზე უშლის ხელს _ ახლომხედველია და ამას საგულდაგულოდ მალავს... _ ეტყობა, ჩემი კაბა მართლა მოეწონა, თვალებით "ჭამს" _ მორჩა, გამოფენის დათვალიერებას გაცლის? _ ლამის უსუნოს და გემოც გაუსინჯოს _ ხელით ხომ ნახევარი საათი სინჯა _ გაუთავებელი ლაქლაქით ლამის წაგჭამოს თავი... _ _"

_ ხომ იცი, მე არაფერი გამომეპარება, არჩილის ნაყიდია, ჭირიმე?.. აბა, ძველი სკივრიდან ამოაძვრინე?.. უყურე შენ, გიას რა კარგი გემოვნება ჰქონია!.. რა დაჯდა, ჭირიმე?.. სადაურია?.. ინგლისური? აბა, მაჩვენე!

"_ _ ზოია, ეტყობა, ლაბადის გახდასაც მიპირებს, ცუდად გახდება, თუ კაბა ძირფესვიანად არ დაათვალიერა... _ რამ დააფეთა, ჩემზე არანაკლები კაბა თვითონაც აცვია დალოცვილს _ მე ეს ერთი ძლივს მეღირსა, მაგას ათამდე მაინც ექნება _ ლამის ჩამიძვრეს კისერში, ჩემი არ ჯერა, იარლიყი თუ პირადად არ ნახა, ღამე რა დააძინებს... _ _"

მშველელად გია მოევლინა, ზოიას გაეხუმრა:

_ ზოია, დღეს აქ ვისი პანაშვიდია?

_ გაგიხმა ენა! _ ზოიამ დაკეცილი ქოლგა მსუბუქად დაჰკრა მკლავზე გიას.

_ აბა, რა ვიცი, სადაც კი პანაშვიდზე მივედი, ყველგან დამხვდი... _ და ისევ შეტევაზე გადასულ ზოიას ხელი მოხვია: _ ბოდიში, ერთი-ორჯერ თეატრშიც შემხვდი... კარგი, კარგი, ქოლგა არ გენანება? გამოფენებს ერთს არ გამოტოვებ...

_ ჰო, როგორ არა, ია თურმე პერსონალურ გამოფენას აპირებს, მე კი მხოლოდ გუშინ გავიგე შემთხვევით, საყვედური არ უნდა ვუთხრა?

იას გაეღიმა ზოიას პრეტენზიაზე _ რომელი ახლო მეგობარი ეგ გახლავს? თანაც გაზეთებში ეწერა მხატვრის კვირეულის პროგრამის შესახებ, რამდენჯერმე ტელევიზიითაც გადასცეს... დავა მაინც არ ღირდა.

_ ბოდიში, ზოია, ხომ იცი, რამდენი სირბილი და ნერვების წყვეტა უნდა გამოფენის მომზადებას, ბევრი რამ გამომრჩა.

_ მერე, შე ქალო, ერთი დაგერეკა, რაღაცაში გამოგადგებოდი... საბანკეტო დარბაზი ხომ არ გჭირდება, ჭირიმე? იაფად მოგიხერხებ, მომსახურება _ უმაღლეს დონეზე, ძალიან კმაყოფილი დარჩები, ჭირიმე. სურათებს გაყიდი ალბათ, ბევრი ხარჯი გექნებოდა და ცოტა ხელს მოითბობ. ქვეყანა ხალხს ვიცნობ, შენ თუ არ დაგეხმარები, აბა ვის?.. კლიენტებს გიშოვნი, ერთმა ისეთმა ადამიანმა მთხოვა, იმაზე უკეთესის ხელში ნამდვილად ვერ მოხვდება, ჭირიმე... ხომ გეუბნები, კმაყოფილი დარჩები... როდის ხსნი გამოფენას?.. დღეს?.. არ გადამრიო! მე მეგონა, დღეს მხოლოდ ეს დიდი გამოფენა იქნებოდა... რომელ საათზე?..

და იას გასაკვირვებლად, ზოია უცებ შეტრიალდა, მხოლოდ ცალყბად ისროლა _ კიდევ გნახავო და სადღაც მოკურცხლა, აზიმზიმებულ ხალხში გაუჩინარდა.

იამ და გიამ შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრეს, რომ ამჯერად ესმა ჭყავაძე გამოჩნდა _ დაბალ-დაბალი, ძალიან

მსუქანი და, კოჭლობის მიუხედავად, _ ფრიად მოძრავი და მეტად ენერგიული, _ გარშემო უვლიდა იას, ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა თავით ფეხამდე, კეთილად უღიმოდა და მისი გრძელთაგრძელი, მდიდრული ჭაღივით მობრჭყვიალე საყურეები (ბროლის?) განუწყვეტლივ ქანაობდნენ, მათი პატრონი კი ხალისიანად, ტყვიამფრქვევივით აყრიდა აღფრთოვანების გამომხატველ სიტყვებს:

_ შენ კი გენაცვალე, ამას ვის ხედავს ჩემი თვალები! გილოცავ და გლოცავ, სულ ასე დამშვენებული და გახარებული მენახე! კესანე და დათუნა როგორ მყავან, იმათ ვენაცვალე!

გამოფენის დათვალიერება ისევ ვერ დაიწყეს. გიამ ერთხანს უსმინა ქალების საუბარს, შემდეგ უთხრა:

_ ბოდიშს მოგიხდით და ცოტა ხნით დაგტოვებთ, ერთი პატარა საკითხი მაქვს მოსაგვარებელი...

ესმა თითქოს ბევრი რამით ჰგავდა ზოიას, მაგრამ რატომღაც ზოიასგან განსხვავებით, იას ნაკლებ აღიზიანებდა მისი უზომო ლაყბობაც და ასევე უზომო ცნობისმოყვარეობაც... პირიქით, ყოველთვის უხაროდა მისი დანახვა _ ამ ოდნავ ჩერჩეტი, ლაქლაქა, მარად მხიარული, კეთილი დაქალისა, რომლისგანაც ყოველი შეხვედრისას იმუხტებოდა ოპტიმიზმითა და სიხალისით... ამჯერად კი საკმაოდ თავშეკავებულად შეხვდა ია _ დღეს განსაკუთრებული დღე იყო მისთვის, დილიდანვე ერთგვარად აღგზნებული, შინაგანად აფორიაქებული იყო... გრძნობდა, იმდენად დაძაბული იყო, რომ, შესაძლოა, პატარა, უმნიშვნელო უსიამოვნო მიზეზსაც კი მისი განაწყენება გამოეწვია, თავს ვერ მორეოდა და ჩვეული თავშეკავება ვეღარ გამოეჩინა... და ახლა ძალიან ცდილობდა, როგორმე გარეგნულად არ გამომჟღავნებულიყო მისი გუნება-განწყობილება და არ ეთქვა, _ ჩემო საყვარელო ესმა, ახლა შენი ლაპარაკის მოსმენის თავი არ მაქვს, მაღიზიანებს, თავი დამანებეო... ესმას ორიოდე გაცვეთილი ფრაზა გაუცვალა, შემდეგ კი ხაზგასმული ყურადღებით დაიწყო, როგორც იქნა, გამოფენის დათვალიერება, იქნებ ესმაც მოვიშორო როგორმე თავიდანო... მაგრამ, რა თქმა უნდა, სასწაულის იმედი ჰქონდა, არაფერი გამოუვიდა... ესმას ადგილზე რომ ყოფილიყო მართლაც ხელოვნების გამორჩეული მცოდნე ან თუნდაც ჭეშმარიტი მოყვარული მხატვრობისა, კიდევ ასატანი იქნებოდა და, შესაძლოა, სიამოვნებითაც კი გაება საუბარი...

ისინი ავთანდილ ჭიჭეგორაძის პეიზაჟის წინ იდგნენ. უზარმაზარი ტილო იყო: მხატვარს აესახა ფართო მინდორი, მინდორსუკან _ მუქი ტყე და შემდეგ, სულ უკანა პლანზე _ მაღალი მთები. სურათი გარეგნულად ოსტატურად იყო შესრულებული, ვერაფერს დაუწუნებდი ტექნიკურად, მაგრამ ათასჯერ და ათიათასჯერ გადამღერებულ მოტივს იმეორებდა _ არც შემოქმედის სული იგრძნობოდა, არც თვითმყოფი ხელი ჩანდა...

_ რას იტყვი, ესმა, შრომა დიდი დაუხარჯავს და შედეგი? _ ყასიდად ჰკითხა იამ ესმას, ეუხერხულა მდუმარედ ყოფნა.

_ კარგია! დიდი ოსტატის ნახელავია!.. _ უპასუხა ესმამ (უფრო კონკრეტულ აზრს, სახელდობრ, რით იყო სურათი კარგი, ესმასგან ვერც მოისმენდი; ჩვეულებრივ, ამგვარადვე აფასებდა ხოლმე მის მიერ დაწუნებულ სურათსაც, მოკლედ და კატეგორიულად: “სუსტია!”). _ გოგო, ხომ არ თხოვდები? ამ კაბამ დაგხატა, ძალი-

ან გიხდება!.. ისეც კოხტა ხარ, მაგრამ კიდევ უფრო დაგამშვენა! _ სხვა თემაზე გადავიდა ესმა და გააბა და გააბა...

ია სანახევროდ არც უსმენდა მის გაუთავებელ ჭიკჭიკს, იმისიც მადლობელი იყო, რომ პასუხის გაცემას არ თხოვდნენ; მხოლოდ დროდადრო ზრდილობისთვის ჩაურთავდა არაფრისმთქმელ სიტყვებს: "მართლა?", "ჰო-ო...", "რას ამბობ!", "მერე, მერე?.."

ესმა ჰყვებოდა თავის მორიგ თაყვანისმცემელზე, სამწუხაროდ, ცოლშვილიანზე, როგორ პირდაპირ ფეხებში ჩაუვარდა მას და მარადიულ სიყვარულს ეფიცებოდა, მაგრამ ესმამ, რა თქმა უნდა, შორს დაიჭირა _ სხვისი ოჯახის დანგრევის ფასად საკუთარ კეთილდღეობას ვერ შექმნიდა... იამ ყურები ცქვიტა: ამ ენაჭარტალამ იას მომავალ გათხოვებაზე ხომ არ მიანიშნა? სურათიდან მზერა მოუსვენრად ერთ ადგილზე მცქმუტავ ესმაზე გადაიტანა; მის დიდ, გულუბრყვილო, ფართოდ დაღებულ, თაფლისფერ თვალებში ვერაფერი ამოიკითხა, გარდა ესმას პიროვნული ფიქრებისა და გრძნობების სხვისთვის გაზიარების სიამოვნებისა... საყოველთაოდ იყო ცნობილი ესმას სისუსტე: ძალიან უნდოდა გათხოვება და ამის გამო ზურგსუკან დასცინოდნენ, ზოგი კი პირშიც უბედავდა გახუმრებას: "ესმა, ჯერ არ მოგიტაცეს? როგორ უძლებ, ამდენი მთხოვნელი რომ გეყოლება, დაიბნევი, არჩევანის გაკეთება გაგიჭირდება, აბა არა?" ერთხელ მავანმა, მუდამდღე მთვრალმა მხატვარმა, ხელი მოხვია და გალერეის უკან, ბაღის ბნელ კუნჭულში გასეირნება შესთავაზა, რაზედაც, რა თქმა უნდა, სასტიკი უარი მიიღო. შემდგომ ესმამ ეს ამბავი ქვეყანას მოსდო, იაკინთემ მაკოცა და ცოლობა მთხოვა, სიყვარულს მეფიცებოდაო. თვით იაკინთეს ესმას მოუზომავი ლაყბობა სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა, ხუმრობდა: ეგ რომ კოჭლი არ იყოს, ისეთი ცქვიტია, მეორე კოსმოსურ სიჩქარეს განავითარებდა და რომელიმე პლანეტაზე მაინც იპოვნიდა საქმროსო...

"_ _ გია რომ იყვეს ახლა ჩემს გვერდით, რა კარგი იქნებოდა _ ესმას სულ არ აინტერესებს გამოფენა, ნეტა რისთვის მოვიდა? _ ეტყობა, შინ ვერ ძლებს მარტო, გართობა უნდა, საუბრებს აყოლებს გულს _ მხატვარი ჰქვია და მაგის ნამუშევარი არც მახსოვს, ბოლოს როდის ვნახე გამოფენილი... _ დაჯექი და იმუშავე, მთელ დროს მხოლოდ ლაქლაქში რატომ ხარჯავ? _ კი, ბატონო, ადამიანს მეტყველება იმიტომ აქვს, რომ სხვას გაესაუბროს, საერთოდ, ადამიანს ლაპარაკი სიამოვნებს, ამ დროს აზროვნებს და აზრის გაზიარებაც ხომ სიამოვნებაა... _ მაგრამ რატომ ხელოვნებაზე არ მესაუბრება, საგამოფენო დარბაზში ამაზე უნდა ფიქრობდე, აბა, სხვაზე რაზე? _ კი, ათასი სხვა რაღაც ახვევია ადამიანს, მაგრამ აქ იმიტომ მოდიხარ, რომ იმ "სხვას" დროებით მაინც გაემიჯნო და მხოლოდ მხატვრობაზე ან თითქმის მხოლოდ მხატვრობაზე იფიქრო _ თუმცა, ესმამ რომ სურათებზე დამიწყოს ლაპარაკი, სულ მთლად აუტანელი იქნებოდა _ არ არის მისი საქმე _ მისგან სურათის შეფასება, თუნდაც საკამათო, ნამდვილი, ღრმა წვდომა, ჯერ არ მსმენია _ შესაძლოა, მავანს კამათისას ნაწილობრივ მაინც არ დაეთანხმო, რაღაც მხარე ან ასპექტი არ გაიზიარო, მაგრამ დავა გიბიძგებს, უკეთ, უფრო მრავალმხრივ დაინახო მთლიანად სურათი _ კამათი უნდა გამდიდრებდეს _ ახლა რომ გია აქ იყოს, ყველაფერს ერთნაირად არ შევაფასებდით, დავაც გვექნებოდა... _ ხშირად გიას ისეთი განსხვავებული, ჩემთვის მოულოდნელი მიდგომა აქვს ხოლმე, მე ყოველ-

თვის ვერ ვუგებ, ყოველ შემთხვევაში, მაშინვე _ ძალიან მკვეთრია შეფასებისას; გაბედული, უჩვეულო არგუმენტები მისთვის ჩვეულებრივი ამბავია... _ მაგრამ უთანხმოების შემთხვევაშიც მისი მოსაზრება საინტერესოდ მეჩვენება, დაფიქრებას მოითხოვს და ხშირად, რაღაც ხნის შემდეგ, ვიზიარებ კიდეც მის შეხედულებას _ მხატვრები ხშირად ვართ კატეგორიულები და მეტისმეტად სუბიექტიურები _ ეს ასეც უნდა იყოს, ეს საჭიროცაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ნებისმიერს არ უნდა ჰქონდეს უფლება, სხვისი ბედი გადაწყვიტოს, აქედან კარგს არაფერს უნდა ელოდე _ მიკვირს, საგამოფენო კომიტეტებში რატომ არიან თითქმის მხოლოდ მხატვრები? _ არაერთხელ თქმულა, რომ მათთან ერთად გამოფენებისთვის სურათებს კრიტიკოსები და ხელოვნებათმცოდნეებიც უნდა არჩევდნენ _ მხატვრები ხშირად მეტისმეტად შეუწყნარებლები არიან _ ალბათ ყველას აჯობებდა, გამოფენებისთვის სურათების შერჩევა საერთოდ არ ხდებოდეს კომისიის მიერ _ მხატვარმა თვით უნდა აირჩიოს, ღირს თუ არა საზოგადოებას წარუდგინოს საკუთარი ნაშრომი, ცხადია, მეგობრებთან აზრთა გაზიარების შემდეგ _ რა გააწყალა გული ესმამ, რას მერჩის? _ თითქოს სულ სხვადასხვა პლანეტების ბინადარნი ვართ, ერთმანეთის არ გვესმის _ ხომ ხედავს, თითქმის არ ვუსმენ, შემეშვი რა! _ გია, სად დაიკარგე? _ მასთან დავაში ბევრი იდეა მომდის თავში _ _ "ალექსანდრე დუშკაშვილი (1940) "ალაზნის ველი" _ ალაზნის ველი ყველას იზიდავს, შეიძლება, ათასმა მხატვარმა თითომ ათასჯერ ნახოს და ათასჯერვე შთაგონებით აივსოს _ ამას ერთხელაც ვერ დაუნახავს _ რა მოსაწყენად ჩამქრალი ფერები აქვს, ჯობს, მალე მოვშორდე _ "ბონდო აფიაშვილი (1939) "ნატურმორტი მზესუმზირით" _ ვან გოგის მორიგი პროვინციული მიბაძვა, მეტი არაფერი, როგორ არ მოყირჭდებათ? _ იყოს, ბატონო, მზესუმზირები, თუნდაც მიბაძვით გაკეთებული, ოღონდ საკუთარი სახეც წარმოაჩინე, რაღაც თავისებურება; როგორ შეიძლება, მხოლოდდამხოლოდ სუსტი ასლი იყო? _ ალბათ თვით მხატვარი ვერ ხვდება ამას, ნუთუ ვერ ხედავს? ან არავინ ეუბნება? _ თქმა ადვილია, მაგრამ, როგორც წესი, Yყველანი თავს იკავებენ: "შესაძლოა, ეწყინოს!" _ შესაძლოა კი არა, ნამდვილად ეწყინება _ თქმა ჯობს თუ უთქმელობა?.. აი, დილემა _ ალბათ მაინც თქმა ჯობს, უფრო იმიტომ, რომ მხატვარს წაადგება, დაანახვებს მის ნაკლს _ მაგრამ ისიც მართალია, რომ, უმეტეს შემთხვევაში, შენიშვნის მარცვალი ფუჭ ნიადაგში ხვდება და ნაყოფს არ იძლევა; ვერც ვერაფერს დაანახვებ და ტყუილად გაანაწყენებ კიდეც... _ კაცმა რომ თქვას, თუ პროფესიონალი ხარ, შენს ნაკლს შენ თვითონ ყველაზე უკეთ არ უნდა ხედავდე? სხვისი თქმა რად უნდა გჭირდებოდეს? _ ამგვარი მიდგომა ყოველთვის არ ამართლებს, ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ადამიანი საკუთარი ნაკლის მიმართ ხშირად ბრმაა _ აგერ კიდევ ერთი ნატურმორტი... _ ("შეხედე, ესმა, რა ორიგინალური ნატურმორტია, ასეთ კარგა ხანია, არ მინახავს... ვინ არის ეს ჯონდო ჯამიაშვილი?") _ რა მსხვილი კონტურული ხაზებით არის საგნები შემოსაზღვრული, არ შეუშინდა მახვილ პირობითობას! _ თანაც ეს ხაზები მომრგვალებული კი არ არის, ყველა თითქოს საგანგებოდ უსწორმასწორია _ უჩვეულო, მძაფრი ექსპრესიულობის მიუხედავად, იგრძნობა დამაჯერებლობაც, ყოჩაღ! _ ტრაგიკული განწყობა _ დრამატულად დაძაბული საგნები თითქოს საკუთარი "კანიდან" ამოხტომას ლამობენ _ "ცივი", ალაგ თალხი, ალაგ მჟღერი ფერები ზოგან "ფეთქდება"

ნათელი “თბილი” ლაქებით _ მთლიანობაში: სინატიფეს თითქოს უარყოფს, სურათი კი მაინც ლამაზია _ არა, მე ასეთი ხაზგასმულად შფოთიანი განწყობა მაღიზიანებს _ მხატვარსაც ალბათ ეს უნდოდა _ მე მგონია, მხატვრობაში, საერთოდ, ხელოვნებაში, სულიერი ტკივილიც კი ნატიფად უნდა გადმოიცეს _ ამ მხატვარმა მაინც დამამახსოვრა თავი _ მეტისმეტად აბეზარია მისი “ყვირილი”... _ ოჰ, რა კარგია, ესმას ვიღაც ნაცნობი შეხვდა _ ბირკასავით ამეწება და აღარ მომცილდა, იქნებ მეშველოს _ არა, დამეწია და ახლა თავის მოსაუბრესაც მაცნობს _ ეს ქალბატონიც მხატვარი ყოფილა _ ჩემზე ხნიერი ჩანს, პირველად გავიგე მისი გვარი და მის შემოქმედებაზეც წარმოდგენა არ მაქვს _ თითქმის არ იფინება თურმე, უფრო თავისთვის მუშაობს _ აბა, რაღა პროფესიონალია? _ ეტყობა, ცნობისმოყვარეა, კითხვები უყვარს... _ (“დიახ, ჩემი სურათი არის... მხოლოდ ერთი, დანარჩენები ჩემს პერსონალურ გამოფენაზე იქნება... ასამდე ნამუშევარი, თითქმის მხოლოდ პეიზაჟები, უფრო ქართლი და თბილისი... ათი წლის განმავლობაში...”) _ რა უშნო ქალია _ თვალები კი ლამაზი აქვს, ცოცხალი, ახალგაზრდა _ რაღაც ფრინველს მაგონებს ცხვირით, იერით... _ ქორია!.. _ პრეტენზიულად პრუწავს ტუჩებს _ კარგი პორტრეტი გამოვიდოდა _ მკვეთრი, დამახასიათებელი ნაკვთები _ სურათებისკენ არც იხედება _ ახალი ჭირი მაკლდა? უნდა, ჩემი ანკეტა შეავსოს? _ (“დიახ, აკადემია დიდი ხნის წინ დავამთავრე, ოცდახუთ წელზე მეტია...”) _ ო, ღმერთო ჩემო, სად დაიკარგე, გია? _ ესმა არ მეყოფოდა, მეორეც დაემატა... _ ზოგჯერ იძულებული ხარ, უზრდელობა გამოიჩინო, კედლისკენ მივბრუნდები, აქ სურათების სანახავად ვარ მოსული _ _ “ალექსანდრე ბაჩალიკაძე (1938) “თბილისი” _ ძალიან ხმამაღალი სათაური აქვს, არადა, ერთი პატარა ქუჩაა ასახული – რომელი ქუჩაა? _ მისი სახელი მაინც დაერქმია _ მანერა ძალიან ნაცნობია, ვის მაგონებს? არ ღირს ახლა ამაზე თავის მტვრევა _ ჯობს, შემდეგი სურათი ვნახო _ რაო, რა გვარი ვარო ახალგაცნობილმა მხატვარმა ქალმა? _ დაღუნაძე?.. მიღუნაძე?.. _ რა უცნაური ფორმის ქუდი ახურავს _ ესმასაც... _ “ორი ქუდი”, ასეთი სახელით საინტერესო წყვილადი პორტრეტი შეიძლება გაკეთდეს _ უხერხული იქნება, თორემ აქვე გავაკეთებდი ორივეს ჩანახატს.... _ კარგად დავაკვირდები, დავიმახსოვრებ.. _ სატირული პორტრეტები? _ არა, მე არა, არჩილი კი გააკეთებდა მშვენივრად _ არ ვიფინებიო, ახალგაცნობილმა, ალბათ ეშინია, არ არის დარწმუნებული საკუთარი სურათების სიძლიერეში _ ამ უზარმაზარ დარბაზში, ამდენ ცნობილ მხატვართან ერთად შენც რომ გადაწყვიტო სურათის გამოფენა, მამაცი უნდა იყო _ თუმცა, ჯერჯერობით დიდად მოსაწონი ვერაფერი ვნახე _ იქნებ თვითონ ვარ თავდაჯერებული და მეტისმეტად ვაფასებ საკუთარს? იქნებ ავყევი მეგობრების ქებას, როგორც ახლა ესმამ წარუდგინა ჩემი თავი ამ ქალს, დაღუნაძეა თუ მიღუნაზე, როგორ უთხრა? “გაიცანით, ჩვენი დიდი მხატვარი, ია ლიაშვილი, დღეს მისი ბრწყინვალე პერსონალური გამოფენის გახსნას ვიხილავთ...” _ ვინ ექაჩებოდა ენაზე ნეტავი? _ თვითონ ესმას ნამუშევრებს, რა ხანია, ვეღარ ვხედავთ გამოფენებზე... _ _”

_ მობრძანდით, აქეთ მობრძანდით, გთხოვთ! _ ისმის ხმამაღალი მოწოდება გრძელი დარბაზის შუა ადგილიდან.

გამოფენის დათვალიერება დროებით უნდა გადადებულიყო. იქნებ მერე უფრო გემრიელად შეძლოს ნახვა გიასთან ერთად... ახლაც შეეძლო, უგულისყუროდ,

ქალთა ლაქლაქში დაევლო დარბაზი, მაგრამ სურათების აღქმა მისთვის ისეთივე სერიოზული საქმე იყო, როგორც მოლბერტის წინ ფუნჯით ხელში დგომა.

აუჩქარებლად გაემართნენ იმ ადგილისკენ, სადაც ერთხელ კიდევ სინჯავდნენ მიკროფონს, უკვე შეგროვილიყვნენ მხატვართა კავშირის ხელმძღვანელნი, გალერეის დირექტორი, კულტურის მინისტრის მოადგილე, კომპარტიის ცეკას კულტურისა და მეცნიერების განყოფილების გამგე, რამდენიმე უხუცესი მხატვარი...

შეჯგუფულ ხალხში ია შეუმჩნევლად დაშორდა ესმასა და ახალგაცნობილ მხატვარქალს... გიაც მოძებნა, ისიც მისკენ მიიკვლევდა გზას და შორიდანვე გაუღიმა, ეტყობა, საქმე მოაგვარა.

_ ვინ არის აი, ის ნაპატივები ბატონი? _ ჰკითხა იამ მიკროფონის გვერდით მდგომ ერთ-ერთ მართლაცდა გამორჩეულად კმაყოფილი, მაძღარი სახის მქონე კაცზე.

_ მართალი გითხრა, მეც პირველად ვხედავ, _ უპასუხა გიამ. _ ხელმძღვანელი ამხანაგი რომ ბრძანდება, ცხადად ჩანს: ლაბადა არ აცვია, არც ქუდი აქვს _ პერსონალური მანქანით არის მობრძანებული და ძვირფასი კოსტუმის გაფუჭებისა არ ეშინია. ვნახოთ ერთი, რას გვეტყვის, რას გვიბრძანებს... შეამჩნიე? სულ სადღაც ზევით იყურება, ნეტა იქ რას ხედავს იქ, მფრინავ ანგელოზებს?

მიკროფონთან მივიდა მხატვართა კავშირის ერთ-ერთი მდივანი ბიქტორ მეხვილაძე _ გამელოტებულ თავზე გვერდიდან გადმოფენილ ნასესხებ თმას წამდაუწუმ ისწორებდა.

“_ _ კარგად ლაპარაკობს, რას ერჩი _ ნიჭიერი ფერმწერი იყო, რად უნდოდა სავარძელი? _ მერამდენე წელია, მისი სურათი სანთლით საძებნელი ხდება გამოფენებზე _ ჭეშმარიტებას ამბობს, ერთფეროვნება დამღუპველია ხელოვნებაში, მაგრამ არც უნიჭო მრავალფეროვნება გვიშველის _ წინათ უარესი იყო, გამოვიდოდა ვინმე დემაგოგი და ხელოვნების დროშის სიწმინდის საბაბით ჩაახშობდა ნიჭიერ მხატვარს _ კაკაბაძე შიმშილითა და ღვარძლიანი ცილისწამებით დროზე ადრე გამოასალმეს წუთისოფელს, ლადო გუდიაშვილი ჯვარს აცვეს უსამართლო ბრალდებებით _ ყველაზე უფრო ძნელია, როცა შრომობ, წვალობ, რაღაცას ქმნი, მერე აყვირდება ვინმე ალფეზ უფასეიშვილი, არაფრით გამორჩეული მხატვარი და გმოძღვრავს, რა უნდა გააკეთო და როგორ, ყველაზე ნიჭიერებს კი ბრალსაც სდებს მავნე მისწრაფებებში, ბურჟუაზიულ გადახრებში, ფორმალიზმში და მავნებლობაშიც კი... _ “ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო”... _ აგერ არ დგას ბატონი ალფეზი გალერეის დირექტორსა და ცეკას წარმომადგენელს შორის? _ ისედაც პატარა იყო ტანად და ახლა სულ დალეულა, ძველებურ რიხსა და ამპარტავნულ ყოყლოჩინობას, ეტყობა, მაინც ვერ ელევა, გაბღენძილი დგას _ ალბათ ოთხმოცი წლის და მეტისაც იქნება და ახლაც “მოღვაწეობს”, ახლაც მაღლა ტივტივებს, მხატვართა კავშირის ერთ-ერთი სექციის მდივანია, არ გაგეცინება? თან რომელიღაც კომისიასაც თავმჯდომარეობს... _ რამდენი ორდენი და მედალი ჩამოუკონწიალებია, რაღაც სამკერდე ნიშნებიც მიუმატებია... მოჭედილი აქვს მკერდი, გენერალია! _ სიტყვა მოითხოვა და რა რიხიანად, თავდაჯერებით ლაპარაკობს, ვერ იტყვი, რომ ამდენი წლები აწევს მხრებზე _ ისევ ძველი წარმოდგენების ტყვეობაშია: “დასავლეთის იდეოლოგიური დივერსია.... ფორმალიზმის ჭაობის დამღუპველი შე-

დეგები... აუცილებელია, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მსოფლმხედველობით ახალგაზრდა მხატვრების აღზრდა... უნდა გავამართლოთ პარტიისა და მთავრობის დიდი ნდობა" და სხვა ამგვარადვე... _ ყველა ცალყბად უსმენს, აქ ნახევარი საუკუნის წინანდელი მუშფაკის მსმენელები ხომ არ ჰგონია? _ უჰ, ძლივს არ მორჩა! _ საერთოდ, რა უბედურებაა ამდენი გაუთავებელი ლაპარაკი _ ბენო დიდებაიძესაც ორატორობის ჭია შეუჩნდა? _ რა დიდ იმედს ამყარებდნენ მის ნიჭზე... _ ვერ გაამართლა, თავისი ადრინდელი მიღწევების გადამღერება არ მოსწყინდა? _ არას ნაღვლობს, მაინც გალაღებულია, მხატვართა კავშირის გამგეობის წევრობა დიდი ამბავი ჰგონია _ სარფიანი შეკვეთებიც არ აკლია, არც სახელი და პატივი... _ ქვეყანას ვერ გაუგებ თავსა და ბოლოს _ პატარ-პატარა ადამიანები ჩირთიფირთობენ, ყველანი თავთავისთვის _ თუმცა, ყველას არ უმართლებს _ აგერ ბექა ბექიაშვილს ვხედავ _ მორიდებულია, სულ სხვების უკან დგება _ რა ღარიბულად აცვია _ გატანჯული სახე _ ყველა ამბობს, ძალიან ნიჭიერიაო, რატომ ხშირად არ იფინება? _ რაც ვნახე, დიდებულია, დიდებული _ ამბობენ, არც სახელოსნო აქვს, ვერც ოჯახს მოეკიდაო _ მეგობრების სახელოსნოებში მუშაობს სამადლოდ, ხან ერთთან, ხან მეორესთან _ შეადარე ბენოს, გინდაც ალფეზს, რა ამაყად, თავდაჯერებით იმზირებიან, დიდ მხატვრებს თამაშობენ _ ბოლოს კი რა დარჩება მათი ნაღვაწისგან? _ საწყალ ბექას ვინ აღირსებს პერსონალურ გამოფენას... _ "ვერ აუწყო ფეხი თანამედროვეობას", ვერ მოერგო... _ რამდენი ხალხი მოგროვილა, სუნთქვაც ჭირს _ გამოფენის დათვალიერება გაჭირდება _ რად გინდა სურათები, უფრო საინტერესოა ადამიანებზე დაკვირვება _ ღმერთო ჩემო, რამდენი განსხვავებული სახეა! _ მეტროში მგზავრობა ამიტომ მიყვარს, ათასგვარ ტიპაჟს შეხვდები, კიდევ უფრო მრავალფეროვანს, ვიდრე აქ _ რამდენნაირი ჯურის, ასაკის, ჩაცმულობის ქალი და კაცი, მოხუცი და ბავშვი... _ ოდესმე იქნებ პორტრეტის ჟანრში უფრო ინტენსიურად ვიმუშაო _ მიზიდავს და ძალიან მეშინია _ ამოუწურავი თემებია _ ამ საგაზაფხულო გამოფენაზე ერთფეროვანი პორტრეტებია _ ორი უკიდურესობა: ან ნატურალისტური სიზუსტე, იგივე ნატურის მონობა, ან ფორმისმიერი თამაში, დეფორმაცია და ფერის პირობითობა; უპირატესად ავტორის ამბიციურობას წარმოაჩენს, მოდელის სახე საერთოდ იკარგება... _ მადლობა ღმერთს, მგონი, დაამთავრეს _ ბიქტორ მეხვილაძე საგაზაფხულო გამოფენას გახსნილად აცხადებს _ ტაში, ტაში, დავუკრათ ტაში და დროზე მოვრჩეთ... _ არ მოველოდი, ძალიან არ გააჯანჯლეს _ ბევრ სიტყვას ბევრი საქმე ჯობს, რა თქმა უნდა, კეთილი საქმე... _ ("გია, მოვასწრებთ გამოფენის ზერელედ მაინც დათვალიერებას? რომელი საათია?") _ _"

VI. კოლაჟი კოლაჟის შესახებ
(სხვადასხვა დროის ჩანაწერები დაუწერელი წიგნისთვის)

"Collage" _ "კოლაჟ" _ ფრანგული სიტყვაა და ლექსიკონის მიხედვით რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია: 1. შპალერის გაკვრა, 2. მიწებება ან დაწებება, 3. ღვინის დაწმენდა და 4. (საუბარში) სასიყვარულო კავშირი.

“უცხო სიტყვათა ლექსიკონში” კი ვკითხულობთ: “კოლაჟი (ფრანგ. Collage _ დაწებება) _ 1. სახვით ხელოვნებაში: ტექნიკური ხერხი _ რაიმე საფუძველზე, ფონზე დაწებება ისეთი მასალებისა, რომლებიც მისგან განსხვავდება ფერითა და ფაქტურით. 2. მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მთლიანად ამ ხერხით არის შესრულებული. 3. (გადატ., წიგნ.). ლიტერატურული მონტაჟი ფორმითა და შინაარსით სხვადასხვაგვარი მასალისა, რომელიც გაერთიანებულია ავტორის ჩანაფიქრით. (ამ რომანსაც, რომელსაც ახლა კითხულობთ, შეიძლება რომანი-კოლაჟი ვუწოდოთ).

აი, კიდევ _ “ქართული საბჭოთა ენციკლოპედია” (ტ. 5, გვ. 577): “კოლაჟი (ფრანგ. Collage, _ სიტყვასიტყვით დაწებება), ტექნიკური ხერხი სახვით ხელოვნებაში; რაიმე ზედაპირზე მისგან განსხვავებული ფაქტურისა და ფერის მასალის დაწებება. კოლაჟი ეწოდება აგრეთვე მთლიანად ამ ხერხით შესრულებულ ნაწარმოებს. კოლაჟს უმთავრესად იყენებენ გრაფიკაში(?) სხვადასხვაგვარი მასალის ერთმანეთთან მოულოდნელი შერწყმისთვის. კუბისტებმა, ფუტურისტებმა, დადაისტებმა კოლაჟი გადმოიღეს(?) ფორმალური ექსპერიმენტებისათვის; ისინი ტილოს აკრავდნენ გაზეთების ნაგლეჯებს, ფოტოსურათებს, ქსოვილის ნაჭრებს და ა. შ.”

სამწუხაროდ, ეს განსაზღვრება, გარდა იმისა, რომ ფრიად არასრულია (დღეს კოლაჟურ ხერხებს, სტილისტიკასა და იდეურ-მსოფლმხედველობრივ ასპექტებს ფართოდ იყენებს კინო, თეატრი, ტელევიზია, ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა დარგი) და ზოგან მცდარიც, მასში არსებითად არ არის დახასიათებული კოლაჟის მხატვრული ბუნება და შესაძლებლობანი.

* * *

კოლაჟი უპირისპირდება ტრადიციულ ფუნჯით ფერწერას და შეიძლება ანტიფერწერად ჩავთვალოთ. მისი დევიზია: სურათის შესაქმნელად შესაძლებელია, გამოვიყენოთ ნებისმიერი მასალა _ ძველი ჟურნალ-გაზეთები, უვარგისი საოჯახო ნივთები, მანქანა-დანადგართა ნაწილები, სიგარეტის ნამწვი, ღია ბარათი, ბანქოს ფურცლები, ნახმარი ლურსმნები, მავთულები და ასე დაუსრულებლად _ ყოველგვარი, მხატვრის ხელში შემთხვევით მოხვედრილი საგანი. კოლაჟისტებს განსაკუთრებით იზიდავთ მუსიკალური საკრავების, კერძოდ, ვიოლინოს, საათის დაშლილი მექანიზმის ნაწილების, სარკის ნამსხვრევისა და ხეიბარი თოჯინის ჩართვა კომპოზიციაში. კოლაჟში სხვადასხვაგვარი “შეუთავსებელი” საგნების “დაჯახება”-დაპირისპირება ზოგჯერ ირონიულ ელფერს იძენს, ზოგჯერ კი ყალბი მრავალმნიშვნელობითა და ცრუსიმბოლურობით ინიღბება.

კოლაჟისთვის დამახასიათებელია: ტრადიციული ესთეტიკური კატეგორიების უარყოფა, ირონიულობა, საგნობრიობის სიმბოლურად გააზრება, ფორმისმიერი “თამაში” და თვითმიზნურობა, რაციონალური აგებულებისა და შემთხვევითობის “შეჯვარება”, გარეგნული ეფექტისკენ მისწრაფება, ლოგიკურისა და ალოგიკურის თანაარსებობა-ჭიდილი, მონტაჟური შეპირისპირება-დაპირისპირება, ნატურალისტური დეტალიზაციის შერწყმა სრულ უფორმობასთან... კიდევ დიდ-

ხანს შეიძლება, ჩამოთვალო კოლაჟის წინააღმდეგობრივი ბუნების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

კოლაჟის შექმნისას მთავარია გამომგონებლობა, მოულოდნელობა, პარადოქსალურობა.

კოლაჟი _ ეს არის ნაწამოები, რომელშიც აზრობრივი და სახეობრივი კავშირები მოცემულია განვითარებად დინამიკაში, დრამატულ კონფლიქტებში. კოლაჟის ტექნიკა იძლევა საშუალებას, "დავაჯახოთ" ერთმანეთს განსხვავებული ფერის, ფაქტურის, მასალის, წარმოშობის, გამოყენების საგნები, მისი ნაწილები _ ხშირად ჩვენს წარმოდგენაში ურთიერთშეუთავსებელი. კოლაჟის გამომსახველობით ხერხებში მთავარია ირონიული ყოვლისქმედება _ ერთ "სურათში" მეზობლობა დიამეტრალურად საწინააღმდეგო, შეუხამებელი საგნებისა, უარყოფა საყოველთაოდ მიღებულისა. გავიმეორებ: კოლაჟისტი უხეშად არღვევს სტერეოტიპებს, "ძალისმიერ დაწოლას" ახდენს მნახველის ჩვეულ წარმოდგენებსა და მოლოდინზე, ჯიქურ უკუაგდებს ყოველგვარ "წესებს", "კანონებს", უგულვებელყოფს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ "ურყევ" ფასეულობებს, აბუჩად იგდებს კრიტერიუმებს _ მხატვრულობისა, ბუნებასთან კავშირისა, აღქმის ფსიქოლოგიასთან შესაბამისობისა და ა. შ., _ უარყოფს მაყურებელზე ემოციური ზემოქმედების აუცილებლობას, ცვლის მას ცნობისმოყვარეობით, გამომგონებლობით... კოლაჟში გამომგონებლობა აღწევს მწვერვალს, მაგრამ ეს არის უაზრობის მწვერვალი, რომლიდანაც ახალი ჰორიზონტი სრულიადაც არ იშლება...

თუკი განცდა, ესთეტიკური ტკბობა, თანალმობა უგულვებელყოფილია, რაღა რჩება იქ ხელოვნებიდან? არის კი ეს ხელოვნება? აქ რჩება ხელოვნების მინიმუმი და ბატონდება ხელოვნურობის მაქსიმუმი. მოვლენა, რომელსაც არ გააჩნია ფესვები, უდღეურია. კოლაჟმა უარი თქვა ყოველგვარ ფესვებზე და ამით საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი თვითონ გამოუტანა... მაგრამ კოლაჟისტს მისი ნამუშევრის ანტიხელოვნებად მონათვლა სულაც არ ადარდებს. ერთმა კოლაჟისტმა თქვა: "აქ არ არის ესთეტიკა, არის აქცია"... მაგრამ ეს აქცია ფუჭია: კოლაჟი მონოლოგია, მიმართული თითქმის ცარიელი დარბაზისადმი, რომელშიც თითო-ოროლა სნობი ზის... არც ეს ანაღვლებს კოლაჟისტს _ იგი აქტიურია, შემტევი და თავხედიც კი: მისი ჭკუით, "აუქმებს", "ძველმოდურად" აქცევს ფერწერას, უკიჟინებს მას დრომოჭმულ ტრადიციონალიზმს, ცოდვად უთვლის პროგრესის კუდში ჩანჩალს... საერთოდ, მოდერნისტების აზრით, "ტრადიციულმა" მხატვრობამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები და უვარგისია თანამედროვე მხატვრის რთული შინაგანი სამყაროს, განცდების სიღრმისა და მრავალფეროვნების წარმოსაჩენად, _ ის უნაყოფოა, სასაცილო და უაზროც კი, _ ანაქრონიზმია. ავანგარდი საზეიმოდ აცხადებს: "ძველი ტიპის ხელოვნება მოკვდა!"

* * *

აი, ქართველ მხატვართა ერთ-ერთ საგაზაფხულო გამოფენაზე გამოტანილი ონისე ჩხართვაძის (1948) კოლაჟური ნამუშევარი "სარკე": მუქყავისფერ, თითქმის შავ ყუთში ჩაყრილია: ცენტრში _ ავტომანქანის ძრავის გასარეცხი სითხის დაჭეჭყილი წითელი ბალონი, გარშემო კი უსისტემოდ მიწებებულია სარკის ნამსხვრევე-

ბი, ბურბუშელა, ხის ნაჭრები, ყოველივეს კი აგვირგვინებს უნიტაზის წყლის ჩამოსაშვები თეთრი ფაიფურის სახელური ფოლადის ძეწკვით. ყუთში, რომელიც ჩარჩოს როლსაც ასრულებს, ქვემო ნაწილში ალაგია დამსხვრეულშუშიანი სამედიცინო შპრიცები (გატეხილნი _ ალბათ იმიტომ, რომ ვინმეს აზრად არ მოუვიდეს მათი მოპარვა და დანიშნულებისამებრ გამოყენება; თუმცა, სავარაუდოა სხვა მიზეზიც _ ცნობილია კოლაჟისტთა მისწრაფება დეფორმირებული ან დამტვრეული საგნების, მათი ნამსხვრევების თუ ნაწილების კოლაჟში გამოყენებისადმი, რაც ხაზს უსვამს ტრადიციული სურათისგან განსხვავებას _ ფორმის რღვევას). ყველა ეს საგანი თუ მათი ფრაგმენტები (გარდა შპრიცებისა) მიწებებულია მწვანე ფონზე ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე _ შეიძლებოდა, ფონი სხვა ფერისა ყოფილიყო, ბალონი _ ლურჯი, სახელური _ შავი, უფრო დიდი ან მცირე და ასე შემდეგ. ასევე, შეიძლება ნებისმიერი საგნის ან თუნდაც რამდენიმეს ამოღება ან გადაადგილებაAდა ვერავინ მიხვდება, რომ "სურათში" სიცარიელე გაჩნდა ან გაუმჯობესდა თუ გაუარესდა რამე. შეიძლება, რა თქმა უნდა, სხვადასხვა საგნების დამატებაც, გააჩნია, ვის რა ფანტაზია შეაწუხებს _ ეს თვისება ძალზე დამახასიათებელია კოლაჟისთვის: ვერ დაადგენ, როდის არის ის "დასრულებული"...

* * *

კოლაჟის დაბადება-ჩამოყალიბების პერიოდად მიჩნეულია XX საუკუნის 10-იანი წლები; პირველი ნამუშევრები დაკავშირებულია სახელგანთქმული მხატვრების _ პაბლო პიკასოსა და ჟორჟ ბრაკის სახელებთან. 1912 წელს პარიზში გამართულ გამოფენებზე გამოჩნდა მათი ნამუშევრები, რომლებიც უცნაური ფორმით გამოირჩეოდა _ ფერწერულ ტილოზე ალაგ-ალაგ დაწებებული იყო სულ სხვადასხვა საგნები: გაზეთებისა და აფიშების ნაგლეჯები, ქაღალდის ფული, ქსოვილთა ნაჭრები და ასე შემდეგ. ამ საგნების მეშვეობით ყოფიდან თვით "რეალობამ" შეაბიჯა სურათში და ფუნჯით შესრულებულ საგნებთან ერთად შექმნა თავისებური "ცოცხალი" ნატურმორტი. სიახლეს მსწრაფლ გამოუჩნდნენ მიმდევრები, ახალი მოდა პარიზიდან ეპიდემიასავით მოედო მთელ ევროპას და მსოფლიოსაც. კოლაჟის პრაქტიკა საოცრად ნაყოფიერი გამოდგა, უპირატესად რაოდენობრივად. კოლაჟური ტექნიკით შექმნილ ნამუშევრებს დღესაც მრავლად შეხვდებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ გამოფენებზე. კოლაჟის სწრაფ და საყოველთაო გავრცელებას ალბათ ყველაზე მეტად ხელი შეუწყო XX საუკუნის დასაწყისში ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფურჩქვნილმა ხელოვნების "ინდუსტრიალიზაციისა" და კომერციალიზაციის პროცესმა, რომელმაც მხატვრობის გარდა მოიცვა ხელოვნების სხვა დარგებიც: თეატრი, კინო, ესტრადა, ლიტერატურა და სხვა. კოლაჟს შეეძლო, მაქსიმალური მობილურობით დაეკმაყოფილებინა ხელოვნების ბაზრის სურვილები და მოთხოვნები, მით უმეტეს, რომ ნამუშევრის მხატვრული დონე, "ხარისხი" უგულვებელყოფილი იყო.

* * *

სურათში ტრადიციულად საგნის სუბიექტურად თუ ობიექტურად ასახვის მაგივრად კოლაჟურ ნამუშევარში პირდაპირ საგანია შემოჭრილი _ აგრესიულად, თავხედურად.

კოლაჟს ახასიათებს მექანიკურობა, ეკლექტურობა. და თითქოს მეტაფორულად ასახავს მის შინაგან არსსო, კოლაჟში ძალზე ხშირად ვხედავთ სხვადასხვა დაშლილ მექანიზმთა ნაწილებს (საკერავი მანქანისა, ველოსიპედისა, საათისა და ა. შ.) _ მექანიკურად, შემთხვევითად შეერთებულებს. პარადოქსი: მატერიალურობის აგრესიული აპოლოგეტიკა გადაზრდილია საგნობრიობის პაროდირებაზე _ ჩვეულებრივია კოლაჟში ჩართული, ისედაც ძველთაძველი, ყავლგასული საგნის დაჭეჭყვა, დამსხვრევა, დაჭმუჭვნა, საგნის ფრაგმენტი ან ნაწილი მთელის ნაცვლად _ კოლაჟი არის პაროდია საკუთარ თავზე! და ისევ: კოლაჟი სახისმეტყველებითი გადმოცემის მაგივრად გვაძლევს მატერიალურობის აბსოლუტს, თვით საგნებს ნატურალური სახით, მეორეს მხრივ კი _ ვხედავთ სრულ იგნორირებას გარემო სინამდვილისა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები უკავია შემთხვევითობას, ქაოსს; სიტყვით კოლაჟისტი აცხადებს პრეტენზიას მოწინავეობაზე, ულტრათანამედროვეობაზე და საქმით კი ვხედავთ მის ცხოვრებისგან "გაქცევას" _ სინამდვილის "ნატურალური" ატრიბუტები ნიღბავენ ნაწარმოების აშკარა ანტირეალისტურობას. კოლაჟური ნაწარმოები, "რევოლუციურობის" მიუხედავად, არ არის აქტიური, არ ერევა ცხოვრებისეულ ორომტრიალში, "არ კადრულობს" უშუალო, გულითად საუბარს მაყურებელთან, ქედმაღლურად სნობისტურია _ გაურბის სინამდვილეს, ცხოვრებას, ადამიანებს...

კოლაჟისტი ირონიულად დასცინის რეალობას!

როგორც წესი, ირონიამ უნდა გააცამტვეროს ნეგატიური მოვლენა: სიმახინჯე, უაზრობა, აბსურდი... კოლაჟური ირონია კი პირიქით _ თვითირონიად იქცევა, თან კაცი ვერ გაიგებს, კოლაჟური პოეტიკის დასაცავად თუ უარსაყოფად, რადგან ნიჰილიზმი, აბსურდული უარყოფა ისე მძლავრად არის გამჯდარი მასში, რომ მის არსად ქცეულა, საკუთარ თავსაც უარყოფს... კოლაჟი ირონიულია ტრადიციული ფასეულობების მიმართ და თვით იწვევს ირონიას; საგნებითაა სავსე და... უსაგნოა! დიახ, უსაგნოა. რა არის კოლაჟის საგანი? საგნის ძლევამოსილება და უსუსურობა _ ძლევამოსილება ფორმალურად და უსუსურობა ფაქტობრივად, სინამდვილეში. არ არის გასაკვირი, რომ კოლაჟურ-პოპარტული "ხელოვნების" "განვითარება" საბოლოოდ მივიდა "თვითგანადგურებადი" ნაწარმოებების შექმნამდე!

* * *

რაც შეეხება ირონიას კოლაჟში, ეს მრავალასპექტიანი თემაა და გაკვრით ისევ შევეხები.

ირონია ზოგს თამაშად, გართობად, არასერიოზულ საქმედ მიაჩნია. მახსოვს, 1982 წელს გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" მიერ ჩატარებულ ანკეტაზე თანამედროვე ქართული პოეზიის შესახებ, ზოგიერთმა მონაწილემ, ჩემის აზრით, სრულიად დაუმსახურებლად, სერიოზული ყურადღების ღირსად არ ცნო ე. წ. "ირონიული პოეზია" თანამედროვე ქართულ პოეზიაში და დაუპირისპირა დანარ-

ჩენ "ნამდვილ" პოეზიას. რა თქმა უნდა, ეს გემოვნების საკითხია და ვერავის გაამტყუნებ მისი კერძო მიდრეკილება-მოსაზრების გამო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ობიექტური თვალთახედვით მათი პოზიცია, რბილად რომ ვთქვათ, ცალმხრივია. ირონიული პოეზია ყოველთვის არსებობდა და იარსებებს კიდეც, ხოლო თუ მას ზოგჯერ ვსაყვედურობთ, ეს შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ მის მხატვრულ დონეს კონკრეტულ შემთხვევაში და არა პრინციპულად ირონიული პოეზიის არსებობის უფლებას ან მის თანასწორუფლებიანობას სხვა ჟანრებთან.

მივუბრუნდეთ ირონიას კოლაჟში.

ირონია, ჩვეულებრივ, სკეპტიკური, გამჭრიახი თვალის უნარია, იმ მზერისა, რომელიც გარეგნულს იქით ხედავს შინაგან "ზამბარებს", ყოველ მოვლენაში ამჩნევს არაერთგვაროვნებას, წინააღმდეგობრიობას. მოკლედ რომ ვთქვათ, ირონია დიალექტიკური თვალთახედვის ნაყოფია. ირონიისთვის ყოველი "ცხადი" ჭეშმარიტება ფარდობითია, პირობითია. კოლაჟური ირონიისთვის კი ჭეშმარიტება საერთოდ არ არსებობს, ჭეშმარიტება და ტყუილი ტოლფასოვანია, მათ ვერ გაარჩევს კაცი. ასევე კოლაჟისტისთვის პრინციპულად არ არსებობს "კარგი" და "ცუდი", "საკუთარი" და "სხვისი"... მაგალითად, ის არა მარტო "სესხულობს" მზამზარეულ საგნებს, არამედ თავისუფლად ახდენს სხვათა ნამუშევრების "ციტირებას" და ამით პაროდიულად "ადაბლებს" მათ (განსაკუთრებით ამოჩემებული აქვთ ლეონარდოს "ჯოკონდა"). როგორც აღვნიშნე, კოლაჟისტი არ ანსხვავებს მშვენიერსა და უშნოს, ამაღლებულსა და ჩვეულებრივს: კოლაჟში "თანაარსებობენ" "ჯოკონდას" გამოსახულება და დაგლეჯილი ფეხსაცმელი, თოჯინა და სიგარეტის ნამწვი... განსხვავებული ხასიათის შემადგენელი კომპონენტების ექსცენტრიკული "ერთიანობა" "მრავალხმიანობას" კი იძლევა, მაგრამ ჰარმონიული სიმღერის ნაცვლად კაკოფონია გვესმის. როგორც ჩანს, ეს არის სწორედ კოლაჟისტის მიზანიც...

თავდაპირველად კოლაჟის სიძლიერე იყო ირონიულობა, უარყოფის მწვავე, პოლემიკური ფორმა, მაგრამ როცა თვით კოლაჟი აპლომბით ცდილობს თანამედროვე ხელოვნების იდეურ-მხატვრული პრობლემატიკა ასწიოს, ის თვით ხდება სასაცილო. ერთია, როცა ცირკის მასხარა ღრუტანიან რეზინის "ორფუთიანს" ეჯაჯგურება და ვითომ ვერ წევს, მეორე კი _ როცა ჯუჯა კაცუნა დიდ სიმძიმეს მთელი სერიოზულობით ეჭიდება ასაწევად. უნდა სავსებით გავიაზროთ კოლაჟის მოკრძალებული შესაძლებლობები და გავითვალისწინოთ ის "ტვირთი", რომლის "აწევაც" მას შეუძლია.

კოლაჟის ირონია ნიჰილისტურია, ყოვლისმომცველად უარმყოფელია, უპირატესად კი მშვენიერების, ჰარმონიის, ამაღლებულის წინააღმდეგ არის მიმართული, ამიტომაც არაპროდუქტიულია, არაფრის მომცემია. თუკი საერთოდ ირონია ამახვილებს მზერას, განსხვავებული კუთხიდან ხედვით ახლებურად და ამიტომ უფრო სრულად, "სტერეოსკოპულად" გვიჩვენებს მოვლენასა თუ საგანს, მოდერნისტული ირონია დამანგრეველია, ფუჭია.

* * *

კოლაჟი არ არის "შენების" პროცესის შედეგი, იგი ნგრევის მცდელობაა მხატვრობის ათასწლეულობით ნაგები შენობისა: "ხელოვნება არასდროს არის აგრესიული" (ანატოლი ეფროსი). კოლაჟისტი უარყოფს ტრადიციულ ესთეტიკურ კატეგორიებს, სილამაზე და სიმართლე მას თავისებურად ესმის: მისთვის მშვენიერება ანტიესთეტიკურობაშია, სიმართლე _ სინამდვილის ჭეშმარიტი ასახვის უარყოფაში. კოლაჟისტი სურათს შეგნებულად ხდის გამომწვევად მიუღებელს ჩვეულებრივი, ნორმალური აღქმისთვის _ ჰქმნის *ანტისურათს,* ცდილობს, მნახველი გააოგნოს უჩვეულობით, მოულოდნელობით... ამიტომ ხშირად რაც უფრო ამაზრზენი და ზიზღის მომგვრელია კოლაჟისტის "ნაწარმოები", მით უფრო "ფასეულია"... ნუ გაგიკვირდებათ კოლაჟისტის "შედევრზე" მიწებებული ან სხვა ხერხით დამაგრებული არა მარტო გაბრტყელებული დაჟანგული ვედრო, დაჭეჭყილი ცარიელი კონსერვის კოლოფი, სარკის ნამსხვრევი, ხეიბარი თოჯინა, არამედ მკვდარი ვირთხაც და (ბოდიში!) ექსკრემენტებიც კი... და რაც უფრო მიუღებელი, უადგილო, ულოგიკო და ესთეტიკურად გაუმართლებელია კოლაჟისტის "სვლა", _ ხერხი, მასალა, _ პარადოქსალურად მით უფრო "მხატვრულია", მისი "ლოგიკით", "ნაწარმოები". ამგვარი "შედევრები", რა თქმა უნდა, ამამაღლებელ ემოციურ ზემოქმედებას ვერ ახდენენ, პირიქით! სანაცვლოდ, შეგიძლიათ მოისმინოთ კოლაჟის ავტორთა და "დამფასებელთა" ბუნდოვანი და მაღალფარდოვანი სპეკულაციური ფსევდოფილოსოფიური საუბარ-დისკუსიები "ახალი ხელოვნების" თანამედროვეულობაზე, მხოლოდ მის უნარზე ასახოს ჩვენი ქაოსური, კატაკლიზმებითა და გაურკვევლობით აღსავსე დროება, ფეხი აუწყოს კოსმოსის ათვისებას, ფიზიკის საოცარ მიღწევებს, ახალ ტექნოლოგიებს და "ახალ აზროვნებას"...

* * *

კოლაჟი ზოგჯერ გაუბრალოებულია, გამარტივებულია _ აღებულია ერთი საგანი და მასზეა ჩატარებული გარდაქმნის "ექსპერიმენტები": დაჭეჭყვა, დამტვრევა, ათასგვარი სხვა სახის დეფორმაცია; უფრო ხშირად _ მეტისმეტად გადატვირთულია ნოეს კიდობანივით _ მთელი ან დაზიანებული საგნების (ან მათი ნაწილების, ფრაგმენტების) უთავბოლო თავმოყრა _ კონტრასტების, დისჰარმონიის, დაპირისპირებების "სამყარო"... კოლაჟი თავისი შინაგანი წყობით, აღნაგობით, ტენდენციებით, შინაარსით, იდეით _ დისკრეტულია, წყვეტილია, გახლეჩილია, დანაწევრებულია, ჰარმონიულ ერთიანობას მოკლებულია; მისი სივრცე ულოგიკო, ნახტომისებური უცაბედი გადასვლებით _ სიცარიელეებით, ნახვრეტებით, ღრმულებით, ამობურცვით, მჩხვლეტავი წვეროებით _ გაურბის სირბილეს, მდოვრე გადასვლებს... თუკი ეს უკანასკნელი აქვს _ გართულებულად, პოლემიკურად გაბათილებულია ღრმა ნაპრალებით _ "ჭრილობებით", "წყლულებით", უსწორმასწორო ნაჭდევებით, უფორმო მინატმასნებით (ხშირად _ განსხვავებული მასალის, ფაქტურის, ფერის...); ალაგ-ალაგ ზედაპირს შმაგად ჭმუჭვნის რაღაც უხილავი, ბოროტი, იდუმალი ძალა, ტალღებად ჰკეცავს, ამტვრევს; "ტრანსცედენტური ძალები" მიკრულ საგნებსაც წეწენ-ხევენ, აჩენენ მასში უფორმო ნახვრეტებს, ამოგლეჯენ სიცარიელეებს მოხეულ-მოფხრეწილი კიდეებით; დარტყმებით ჩაჭყლე-

ტილ-დეფორმირებული, ზოგჯერ გაგლეჯილიც, ადგილები ჰგავს აფეთქებებით გადათხრილ ბრძოლის ველს, მოფენილს განადგურებული იარაღ-საჭურვლით... ხან რომელიღაც უცხო პლანეტის უსიცოცხლო პეიზაჟს წარმოგვიდგენს, ხან _ ნაგავსაყრელის მინი-მოდელია, ხან _ ჰალუცინაციებით დატანჯული პარანოიკის ბოდვის ნაყოფი, ხანაც _ საგნების განადგურებისადმი დაუოკებელი ლტოლვით შეპყრობილი აგრესიული ბავშვის უმწეო ნაცოდვილარი...

ეძებო შთაგონება სანაგვეზე და არა ცხოვრებაში _ არის თუ არა ეს ხელოვნების პროფანაცია?

* * *

კოლაჟის გამომსახველობითი საშუალებებისა და შესაძლებლობების შესწავლა არ არის რთული, ხოლო რაც შეეხება მისი იდეური და ისტორიულ-სოციოლოგიური ფესვების ყოველმხრივ და სრულყოფილ დახასიათებას, ის კაპიტალურ მონოგრაფიულ დამუშავებას მოითხოვს, _ კოლაჟი ერთ-ერთი დამახასიათებელი გამოვლინებაა მოდერნიზმისა, რომელიც, როგორც ცნობილია, ურთულესი საკვლევი ფენომენია, აღსავსე წინააღმდეგობრიობებით. არ შეიძლება კოლაჟი მარტივად, ფორმალიზმის ერთ-ერთ გამოვლინებად მოვნათლოთ, ასე ადვილად "დავამარცხოთ" და მოვხსნათ მისი სერიოზული შესწავლის პრობლემა. კოლაჟის წარმოშობა და ფუნქციონირება გარკვეული ისტორიული, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, იდეურ-ფილოსოფიური და სხვა ობიექტური გარემოებებით იყო განპირობებული, მისი პრობლემატიკის ჩახლართული გორგალი მოიცავს გამოჩენილ მხატვართა, ხელოვნებათმცოდნეთა, ესთეტიკოსთა, მწერალთა, ფილოსოფოსთა მთელ წყებას. იყო თუ არა კოლაჟი XX საუკუნის მხატვრული ცნობიერების კანონზომიერი მოვლენა, მდგრადი "სტატუსი" ჰქონდა, თუ შემთხვევითი და წარმავალი მოვლენა იყო? ალბათ კოლაჟის გამოჩენა არ იყო შემთხვევითი, XX საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრიობის ცნობიერებაში მომწიფდა იმის პირობები, რომ კოლაჟი დაბადებულიყო და ის ადრე თუ გვიან აუცილებლად წარმოიშობოდა... კოლაჟი დღესაც გვხვდება გამოფენებზე, მაშინ, როცა უამრავი დღემოკლე ფორმალისტური მიმდინარეობა ამჟამად მხოლოდ ხელოვნების ისტორიკოსებს თუ გაახსენდებათ. ასე რომ, ზოგიერთთა შეხედულება, თითქოს კოლაჟის წარმოშობა დაკავშირებული იყოს შემთხვევითობასთან _ პიკასოსა და ბრაკის ხუმრობასთან _ საფუძველს მოკლებულია. როგორც უკვე აღინიშნა, კოლაჟის დაბადება XX საუკუნის დასაწყისში დროის ობიექტურმა მოთხოვნამ განაპირობა. ეს დროება იყო "გარდატეხის პერიოდი" მსოფლიო-ისტორიული განვითარების პროცესში, როცა "თავდაყირა დგებოდა" სოციალური ცხოვრების მდოვრე მდინარება, როცა თვისებრივი ცვლილებები აზანზარებდნენ საზოგადოებრივ აზროვნებას, როცა აინშტაინმა გადატრიალება მოახდინა ფიზიკაში და ფარდობითობის პრინციპი შეიჭრა არა მარტო ზუსტ მეცნიერებებში, არამედ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებზეც მოახდინა უდიდესი გავლენა _ დაწყებული ფილოსოფიით და დამთავრებული ეთიკითა და ესთეტიკით... კოლაჟში ასახვა ჰპოვა სამყაროს მთლიანობის, ერთიანობის იდეის რღვევამ _ წესრიგის, კანონზომიერების

ადგილს იკავებს ქაოსი, აუცილებლობისა _ შემთხვევითობა, კანონისა _ თვითნებობა... ამდენად კოლაჟში აირეკლა გარდამავალი ეპოქის დაბნეულობაც და მომავლის შიშიც, ტკივილიც და ირონიაც, იდეალის წყურვილი, განახლების სურვილიც და ანტიესთეტიკურ უკიდურესობებში გადავარდნაც... კოლაჟი თავისი ეპოქის შვილია და თავისებურად ასახა კიდეც მისი ზოგიერთი ნიშანი. კოლაჟის ეკლექტიზმმა აირეკლა თანამედროვე ცნობიერებისა და ესთეტიკური აზროვნების ეკლექტიზმი _ ხელოვნების ბუნების, დანიშნულების, მომავლის და ა. შ. შესახებ შეხედულებათა სიმრავლე და მრავალფეროვნება.

* * *

XX საუკუნის დასაწყისში დრო-სივრცის ახალი გაგება, ახლებური გააზრება მოხდა არა მარტო მეცნიერებაში, არამედ ხელოვნების სხვადასხვა დარგებშიც _ თეატრში, არქიტექტურაში, სახვით ხელოვნებაში, პოეზიაშიც კი... ახალი წარმოდგენების, ახალი ცნობიერების შესაბამისი ხორცშესხმა ხელოვნებაში მოითხოვდა ახალ "ენას", ახალ ხერხებს, ახალ მასალასაც.

კოლაჟში გამოყენებული "მოცულობრივი" ფაქტურა, ახალი "ზერეალობა", ავანგარდისტების ჩანაფიქრით, შესაძლებელს გახდიდა ყოველი მხატვრული ინდივიდუალობის ყველაზე რელიეფურად წარმოჩენას (ავანგარდისტები ხომ ჰიპერტროფირებული ინდივიდუალისტები იყვნენ თავით ტერფამდე). სინამდვილეში კი რა მოხდა? "შემოქმედის" პიროვნული სახის სრული წაშლა კოლაჟურ "ხელოვნებაში" _ აქ საკუთარი "მეს" წარმოჩენა _ ამაოა!

* * *

მავანნი ამტკიცებენ, რომ კოლაჟში "მოთავსებული" საგნების ერთობლიობა რაღაც შინაარსის შემცველია, რომ მას აქვს ქვეტექსტი, ის რთული მხატვრული ნაწარმოებია და მისი გაგება ყველას ხვედრი არ არის... კოლაჟის "მხატვრულობის" შეფასება საკმაოდ უმადური საქმეა, რამდენადაც მისი მოცოდვილება ნებისმიერ მსურველს შეუძლია (ვიცი, ამ აზრს ზოგი არ გაიზიარებს) _ არ არის აუცილებელი არც სკოლის გავლა, არც მხატვრული ნიჭი და არც უამრავი სხვა რამ, რაც საჭიროა ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად: მნიშვნელოვანი სათქმელი, საზოგადოებრივი ტემპერამენტი, გემოვნება, ფანტაზია და სხვა. აქვე შევნიშნავ, რომ ფანტაზია *პროდუქტიული* უნდა იყოს, ე, ი. რაღაცის მნიშვნელოვანის გამომსახველი, თორემ კოლაჟისტთა ჭარბი "ფანტაზიურობა", ჩემის აზრით, ჭეშმარიტი ფანტაზიის აშკარა გაუფასურება, მისი ფუჭი ხარჯვაა. თუმცა კოლაჟისტები იჭაჭებიან, რათა როგორმე დაფარონ მათი ნამუშევრების უსახობა, ერთფეროვნება, და რაც შეიძლება ექსტრავაგანტური, "ფორსირებული" ხერხებით დაგვარწმუნონ ფანტაზიის სიმდიდრეში, ისინი საწინააღმდეგო შედეგს აღწევენ... შესაძლოა, კოლაჟის ყველაზე დიდი ცოდვა ის არის, რომ საოცრად მოსაწყენი ხელოვნებაა, _ ადრევე ამოწურა თავისი შესაძლებლობანი (თუკი ჰქონდა ისინი საერთოდ), _ და ამ მხრივ უკან იტოვებს სურრეალისტთა ნამუშევრებსაც კი, რომლებშიც სამყაროს რეალური სუ-

რათი ავადმყოფურად დეფორმირებული და გაყალბებულია, მაგრამ მაინც შეიძლება მიიპყროს ყურადღება ამაზრზენი უჩვეულობითა და პირქუში ფანტაზიურობით (სალვადორ დალის შემოქმედება ამის ყველაზე უკეთესი მაგალითია).

კოლაჟში არსებული "ქვეტექსტების" აღქმამდე საქმე ჩვეულებრივ არ მიდის, რადგან თვით ფორმა ამგვარი "ქვეტექსტების" წარმოჩენისა აშკარა არამხატვრულობას გაჰკივის თავისი ნატურალიზმით _ კოლაჟისტი თვით საგანს გვაჩეჩებს და თავხედურად ცდილობს, დაგვარწმუნოს საკუთარ ღრმა აზროვნებაში, _ ნამუშევრის მეტაფორულობაში, სიმბოლურობაში და სხვა. კოლაჟისტის "ნატურმორტული" მიდგომა სრულიად უძლურია, ასახოს სამყაროს მრავალფეროვნება და სიმდიდრე და არც ცდილობს ამას. სამაგიეროდ, გვთავაზობს დაშიფრულ "იდეებს" სრულიად არამხატვრული, "სუპერნატურალისტური" სამოსელით და ყოველივე ამას, შემზარავად უსიცოცხლოს, ასაღებს თანამედროვე საფეხურად ხელოვნების განვითარებაში.

* * *

კოლაჟიდან განდევნილია ადამიანიც და ბუნებაც, რომლებიც ჭეშმარიტი ხელოვნებისთვის შთაგონების უშრეტ წყაროს წარმოადგენდნენ საუკუნეების მანძილზე _ დეჰუმანიზაციის ცოდვა აწევს მხრებზე. სრულიად ბუნებრივია, რომ კოლაჟისტების თითქმის ერთადერთი ჟანრია ნატურმორტი, შედგენილი უმთავრესად ყავლგასული, სიძველისგან ფორმადაკარგული და დაზიანებული საგნების ან მათი ნაწილებისგან; ჩვეულებრივია პაპიროსის კოლოფი, ასანთის ღერები, საათის მექანიზმის ნაწილები, ფოტო, ღია ბარათი, კონსერვის ქილა, ქსოვილის ნაფლეთი, საკრავის ფრაგმენტი, გაურკვეველი წარმომავლობისა და დანიშნულების ნაჭრები, ნაგლეჯები და ა. შ. მნახველებს ტყუილად კი არ ებადებათ გამოფენებზე კოლაჟების ხილვისას ერთი და იგივე ხუმრობა: რომელ სანაგვეზე მოიძია ნეტავ მხატვარმა ეს ნაყარნუყარიო.

კოლაჟისთვის დამახასიათებელია "ტექნიციზმი უკუღმა": თუკი მანქანა-დანადგარში ჩვენ გვიზიდავს ნაწილების ლოგიკური განლაგება, ურთიერთგანპირობებულობა კონსტრუქციული გააზრებულობისა და მუშაობის ეფექტურობისა, კოლაჟში პირიქით, უარყოფილია მთლიანობა, ჰარმონია, ლოგიკურ კავშირებს ცვლის შემთხვევითობა; კოლაჟისტის თვალსაზრისით, რაც უფრო შემთხვევითია კოლაჟის შესაქმნელად გამოყენებული მასალა, რაც უფრო უსისტემო, მოულოდნელია ნივთთა მეზობლობა, რაც უფრო უცნაურ, გაუგებარ, გამოუცნობ შედეგს ვიღებთ _ მით უკეთესი.

XX საუკუნის ინდუსტრიული დროების "ტექნიციზმის" სულის არეკვლა კოლაჟში თითქოს ახალ ყოფას, ახალ შეგრძნებას, ახალ აზროვნებას ასახავს ასევე ახალი ტექნოლოგიური და სტილური ხერხებით, ახალი "ხედვით"... მაგრამ კოლაჟი ვერ გახდა ახალი ცხოვრების დაძაბული რიტმების, ახალი დინამიკური დროების მხატვრული კვლევისა და ასახვის საშუალება. ამის მიზეზი მრავალია: სპეციფიკური, შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობები, ფორმალური ამოცანებით შემოსაზღვრა, მსოფლმხედველობითი ხასიათის შეზღუდულობა, სინამდვილის რეალური სახის ასახვის უგულვებელყოფა... რაც მთავარია, კოლაჟში

ძნელია (თითქმის შეუძლებელია) მხატვრის გულისნადების, მისი ტკივილისა თუ აღმაფრენის, წუხილისა თუ სიხარულის, განსჯის, ფიქრის ემოციური სისავსით გადმოცემა... კოლაჟი ხომ ირონიული ანტიპოდია ფერწერისა, გამომწვევად დასცინის ლირიზმს, მგრძნობელობას და უმეტესწილად _ სილამაზესაც.

ამიტომაც, შესაძლოა, კოლაჟი არც იმსახურებს ამდენ განსჯას _ ის კრიტიკის გარეშე დგას!

* * *

შეიძლება, მხატვარი ფიქრობდეს, რომ კოლაჟის შექმნისას მასში ჩააქსოვა მოუშორებელი ფიქრები, გაქარწყლებული ოცნებების ტკივილი, რაღაცის მოლოდინი და ა. შ. და ამის გადმოსაცემად იყენებს ნატურალურ "ნაგლეჯებს" რეალობისა, მაგრამ სხვებისთვის ჩანაფიქრი რომ ვერ გაუზიარებია? თუმც, ალბათ არც სურს, რომ გაუგონ _ კოლაჟი ფორმალური, თავისთავში ჩაკეტილი, თვითმინური "ვარჯიშის" შედეგია. მხატვრისა და მისი ნამუშევრის მხილველის ურთიერთობა ჰგავს ყრუთა დიალოგს. კოლაჟისტი უგულვებელჰყოფს შემოქმედის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე...

პარადოქსული მოვლენა _ კოლაჟი XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა როგორც ხელოვნების დემოკრატიზაციის, მასისთვის, "ყველასთვის" მისაწვდომობის მოთხოვნილების შედეგი, სინამდვილეში კი იგი ელიტური, "რჩეულთათვის" განკუთვნილი, დაშიფრული ხელოვნება-რებუსი გახდა, სრულიად უცხო, გაუგებარი ხალხისთვის.

* * *

კოლაჟი თავისი არსით არის ანტითეზა რეალობისა; "სხვა რეალობა" კი არა _ ანტირეალობაა: კოლაჟი ხედვის მახვილი, უჩვეულო რაკურსი (შესაძლოა, თავისი ექსტრავაგანტურობით _ გამაღიზიანებელიც) კი არ არის, ის ფაქტიურად უპოზიციო (მხოლოდ ნეგატივიზმი, ძველი მიდგომის ტოტალური უარყოფა ვერ ივარგებს პოზიციად), უკონფლიქტო (აგებულების მოჩვენებითი შეურიგებლობისა და კონტრასტული დაპირისპირების მიუხედავად) და უპრობლემო, "თვალებდახუჭული", უაზრო ყვირილია.

კოლაჟი ხელოვნების ნაწარმოებს კი არ წარმოადგენს, ეს არის "ობიექტი" _ შეკრული, ჰერმეტულად ჩაკეტილი სამყარო, რომელსაც არ აქვს "გაგრძელება" ბუნებაში, სინამდვილეში. ის "ფანჯარა" კი არ არის ობიექტურ რეალობაში, არამედ დამოუკიდებელი, ხელოვნურად კონსტრუირებული ფენომენი, რომელიც უანალოგოა, (თუ არ ჩავთვლით ნაგავსაყრელს!). კოლაჟისტი სურათის შექმნისას თავიდან იცილებს ნატურის "დესპოტიზმს" (რაც თავისთავად მისასალმებელია), იგი "აბსოლუტურად" თავისუფალია (სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, საღი აზრისგანაც)... კოლაჟისტი ქვეცნობიერად გრძნობს "სინამდვილიდან გაქცევის" ცრუფილოსოფიური სპეკულაციის სისუსტეს, ამიტომ, ინტელექტუალური "სრულფასოვნების" დასადასტურებლად, ნამუშევარში რთავს გაზეთთა ფრაგმენტებს, საკ-

რავებისა და საათის მექამიზმის ნაწილებს და სხვა ამგვარ "სიმბოლურ" ნიშნებს, რომლებმაც უნდა დაადასტურონ სურათის "სიცოცხლისუნარიანობა", აქტუალობა, თანამედროვეობასთან შესაბამისობა... ამასთანავე, კოლაჟი სნობისტურად ქედმაღალი რჩება, ანტიდემოკრატიულია; როგორც თავის თავში შეყვარებული ადამიანი, ის მაყურებელთან დიალოგს კი არ მართავს, მხოლოდ თვითონ ლაპარაკობს, თანაც მაყურებლისთვის "უცხო ენაზე".

კოლაჟის თაყვანისმცემლებთან კამათისას შეიძლება მოისმინო უამრავი მახვილგონივრული (უპირატესად _ სოფისტური) დასაბუთება კოლაჟის მნიშვნელობისა, ღრმააზროვანი ფილოსოფიერი მსჯელობანი კოლაჟის უნივერსალობაზე, ნოვატორულ ხასიათზე, აქტუალობაზე, შესაბამისობაზე თანამედროვეობის დინამიკური სულისადმი და ა. შ., მაგრამ როგორ შეიძლება გააქარწყლო ის უცილობელი გარემოება, რომ ტრადიციული, "მოძველებული" ხერხებით შესრულებულ ფერწერულ ნამუშევრებთან (ცხადია, მაღალი დონისა) კოლაჟი ახლოსაც ვერ მივა უშუალო ესთეტიკური ზემოქმედებით _ განცდის ინტენსივობით, სიმდიდრით, სიღრმით. ეტყობა, ამგვარი კრიტერიუმებიც ზოგიერთთათვის "მოძველდა"...

* * *

საგნები, რომლებიც ყოველდღიურად გარს ერტყმიან ადამიანს და შეადგენენ მის ჩვეულ გარემოცვას, _ გაზეთი, საოჯახო ნივთები, საკრავები და ა. შ., _ ასახულნი დაზგურ სურათებში, მაყურებელში განსაკუთრებულ ემოციურ გამოძახილს იწვევენ. ამიტომ არის, რომ ნატურმორტი და ინტერიერი, როგორც ფერწერის ცალკე ჟანრები, ასეთი სიყვარულით სარგებლობს ხელოვნების დამფასებელთა და მოყვარულთა შორის (გაკვრით აღვნიშნავ, რომ ყოფითი სურათები ანუ ჟანრი, მარინა, ინტერიერი, ბატალური და ისტორიული ჟანრებიც, სამწუხაროდ, თითქმის მთლიანად გაქრა ჩვენს გამოფენებზე), ხოლო ფერწერაში მოდად გადაქცეული ალეგორიულ-სიმბოლური სტილისტიკით საყოველთაო გატაცება საკმაო ერთფეროვნებას იწვევს. ალბათ ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი საგნებით გაჯერებული კოლაჟის შემოტევისა გამოფენებზე.

უემოციობა, გრძნობის უგულვებელყოფა _ აი, კოლაჟის მთავარი ნაკლი... არ ჩანს რაიმესადმი თანაგრძნობა, ზნეობრივი განსჯა, ოცნება (ნაგულისხმევი მაინც), _ რა უყვარს, რას უარყოფს, რისკენ მოუწოდებს? კოლაჟში უხვად არის დახვავებული ადამიანის გარემომცველი საგნები (ხშირად დეფორმირებული, სახეშეცვლილი) ან საგანთა ფრაგმენტები, მაგრამ სულ არ ჩანს ადამიანი _ მისი სამყარო, ჭმუნვა თუ ნეტარება, ფიქრი თუ საქმე, _ არ ჩანს ცხოვრება, ლტოლვა სიკეთისა და მშვენიერებისკენ...

ერთნი ფიქრობენ, რომ კოლაჟში აირეკლება აპოკალიფსური ხედვის ნეგატივიზმი, მეორენი, უმთავრესად მხატვრები, აღფრთოვანებულნი უზიარებენ "უმეცართ", როგორი "ულტრათანამედროვე" ხედვით არის გაკეთებული ესა თუ ის "შედევრი"... ვინ არის მართალი ამ პოლარულად ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებში?

საგანი კოლაჟში პრეტენზიულია, სურს იყოს ფსევდომნიშვნელოვანი, ლამობს გახდეს რეალობის "ნიშანი", საგნის მეშვეობით აბსტრაქტული იდეის პირობითი გამოხატულება. ამგვარი ცრუფილოსოფიური "დაშიფრულობის", "იეროგლიფურობის" გამო კოლაჟი არსებითად დიდად არ განსხვავდება აბსტრაქტული ხელოვნებისგან, რომლის ანტიპოდსაც თითქოსდა წარმოადგენს თავისი ფორმისმიერი ხერხებით. სინამდვილეში ორივე რეალობის და რეალიზმის უარმყოფელია.

ამრიგად, რეალური ფორმებისადმი მიმართვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს რეალისტობას და შეიძლება, გამოყენებულ იქნას მისტიკურის, ირაციონალურის, ქვეცნობიერის და ა. შ. გადმოსაცემად, ე. ი. კოლაჟში გარეგნული იერი ცრურეალობისა ნიღბავს შინაგან არსს _ ფარულ შიშს რეალობის მიმართ, მისდამი უნდობლობას, აბუჩად აგდების, გაბიაბრუების მცდელობას _ უარყოფას ცოცხალი სინამდვილის ოპტიმისტური ასახვისა და მის სანაცვლოდ საყოველთაო "ნატურმორტიზაციას": მკვდარი, დეფორმირებული, დახეული, დაჭეჭყილი და ა. შ. საგნების გაბატონებას... ეს აგრესიული შიშია _ "მკვდარს" სურს, დათრგუნოს "ცოცხალი"!

კოლაჟში გამოყენებული საგნების ბანალობა (გაზეთის ნახევი, სიგარეტის ნამწვი, კონსერვის ცარიელი ქილა და ა. შ.) ან გამომწვევი "რაფინირებულობა" (საკრავების, განსაკუთრებით _ ვიოლინოს, ნაწილები), როგორც უკვე აღვნიშნე, ნიღბავს ფარულ შიშს რეალობის წინაშე და ამ ნამდვილი არსის დაფარვის მიზნით აბსურდული დაცინვით ცდილობს სინამდვილის დისკრედიტიზაციას, მის გაუფასურებას, მისდამი უნდობლობის ჩაგონებას; ცდილობს ინდივიდუალისტური ცნობიერების, მარტოობის, გარიყულობის პესიმისტური სულისკვეთების, სისუსტისა და აგრესიულობის, არასრულფასოვნების კომპლექსის დაფარვას გარეგნული დარდიმანდობითა და უზრუნველობით. აქედან _ ზოგჯერ თვითირონიაც, როგორც თავდაცვითი კომპლექსი; კოლაჟისტს თითქოს რცხვენია, გამოამჟღავნოს სილამაზით, პოეზიით, საერთოდ მშვენიერებით ტკბობის გრძნობა (თუნდაც ეს გრძნობა კრიტიკული ფორმით იყოს გამოვლენილი); აქედანვეა _ მოჩვენებითი ინდიფერენტულობა, გულგრილობა _ რას იხმარს მასალად და როგორ... თითქოს ამას მნიშვნელობა არ ჰქონდეს. კოლაჟისტი ხაზგასმულად უარყოფს შემფასებლის, მსაჯულის პოზას, "ანტიკრიტიკოსია", სინამდვილეში კი ის ნიჰილიზმით გაჟღენთილი კრიტიკოსია საღი აზრისა, ნორმალური გემოვნებისა, სილამაზის ტრადიციული აღქმისა... ამის დასტურია ტრადიციული ესთეტიკური ფასეულობების ბრმა და აგრასიული უარყოფა, მისდამი უკიდურესი ნეგატივიზმი _ სიმახინჯის, ნგრევის, დაშლის აპოლოგია (სიკვდილის გაღმერთება, ძალადობის ფილოსოფია)... უკიდურეს ზღვარს მიაღწია სუბიექტურმა თვითნებობამ, სინამდვილის ასახვისადმი ზურგის შექცევამ _ "აბსოლუტური თავისუფლების", სრული შეუზღუდველობის, ყოვლის ნებადართულობის ანარქისტული ყივილი... აქედან _ არასრულფასოვანი, ყავლგასული, ფორმადაკარგული საგნები, დაჭეჭყილი, დამახინჯებული: მათ ერთობას _ სურათ-კოლაჟს _ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ: "მეორედ მოსვლის შემდეგ"...

* * *

შეიძლება თქვან, რომ რეალობიდან აღებული დეტალი, ცალკე გამოტანილი ან უცხო, შეუფერებელ გარემოში მოხვედრილი, ახალ შეპირისპირებათა წყალობით სხვანაირად აღიქმება _ მახვილად, უფრო გამძაფრებულად, უფრო სრულად და ახლებურად... მაგრამ კოლაჟისტი ასეთ კეთილ და კეთილშობილურ მიზანს არ ისახავს, მას პრინციპულად არ სურს რაიმეს გააზრება, "აუცილებლობა" მისთვის მიუღებელია, მიაჩნია, რომ შემთხვევითობა, თავისუფალი "თამაში" სულაც არ ვნებს სათქმელის გადმოცემას... თუმცაღა, აქვს კი მას რაიმე სათქმელი?

შეიძლება შეგვედაონ აგრეთვე, რომ რეალობა თავისთავად იმდენად მძლავრი, ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველია, რომ მისი ფრაგმენტიც კი უდიდეს შთამბეჭდავ ეფექტს ახდენს. სწორია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს დეტალი, ნაწილი შერჩეულია, გააზრებულია, შეთანადებულია რაღაც სათქმელის გადმოსაცემად, იდეის წარმოსაჩენად ე. ი. თუ ეს დეტალი და ამ ადგილზე *აუცილებელია* და არა სუბიექტური თვითნებობით ან შემთხვევით არის ჩართული კომპოზიციაში... კოლაჟი უარყოფს ტრადიციულ მოთხოვნას: სურათს ვერც უნდა მიუმატო რამე და ვერც გამოაკლო.

* * *

ყოველი მაღალმხატვრული შედევრი წარმოშობს საოცრების ხილვის გრძნობას, რომ ასეთი რამის შექმნა შესაძლებელი ყოფილა. კოლაჟისტების ნამუშევართა ხილვისას ბევრს უჩნდება აზრი, _ არცთუ უსაფუძვლო, _ ასე ხომ მეც შევძლებდი-ო. კოლაჟისტისთვის წარმოუდგენელია სურათზე დიდხანს გულდასმით მუშაობა, ფიქრი, ეჭვი, დაუსრულებელი გადაკეთება-დახვეწა, სრულყოფილების მიუღწევლობით გამოწვეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობის მტანჯველი განცდა...

* * *

დიახ, კოლაჟში სუბიექტური თვითნებობა ბატონობს და, ამის მიუხედავად, თვით მხატვარი, როგორც შემოქმედებითი ინდივიდუალობა, სრულებით არ ჩანს _ აი, პარადოქსი! კოლაჟისტს არსებითად სათქმელი არ აქვს, ამიტომ ახდენს ხელოვნების იმიტაციას, ამიტომაც საკუთარი უსუსურობის, უუნარობის შესანიღბავად ნამუშევრებს ხშირად არქმევს მაღალფარდოვან, ცრუფილოსოფიურ სახელებს: "ამაღლება", "სამყაროს შექმნა", "ომი და მშვიდობა", წარსული და მომავალი" და სხვა.

როგორც ითქვა, კოლაჟში არ ჩანს მხატვრის ინდივიდუალობა; ამას იმით ამართლებენ, რომ თითქოს მასში ასახულია არა პიროვნული, კერძო, "ამ" მხატვრისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ხედვა, არამედ "უნივერსალური", "საყოველთაო" თვალსაზრისი, რომელიც არაკონკრეტულია, "მიუბმელი" გარკვეულ დროსა და სივრცესთან. მეტისმეტად კონკრეტული დეტალებში, ნატურალისტურიც კი მის შემადგენელ ნაწილებში, კოლაჟი პრეტენზიას აცხადებს განზოგადებაზე, თითქოს ის იყოს კვინტესენცია საყოველთაოსი... და ისეთი აზრიც კი გამოსჭვივის, რომ "ამ" კოლაჟის შექმნაში მხატვარი სულაც არ მონაწილეობდა, ის

თავისთავად, მხატვრის განზრახვის გარეშეც კი "არსებობდა" _ მის შემქმნელზე არ არის დამოკიდებული... მისტიკაა! ზეციური ნების გამოვლინება! და ამიტომ _ მისთვის არ არის აუცილებელი ლოგიკურობა, მხატვრულობა და სხვა _ საერთოდ, "ნაწარმი" (კოლაჟური) არ არის მიღებული რომელიმე ცალკე ინდივიდის ფიქრის, შრომის, ფანტაზიის, გემოვნების შედეგად _ ის კრიტიკის გარეშეც დგას, "ღვთიურია". ამიტომ ხშირად კოლაჟის თაყვანისმცემლებთან ნორმალური, ლოგიკაზე დაფუძნებული კამათი ჭირს _ ისინი არ ცნობენ არა მარტო "ძველ" ხელოვნებას, არამედ ყოველივე სხვა "ძველსაც" _ ლოგიკას, გემოვნებას, სილამაზის მოთხოვნილებას და სხვა კრიტერიუმებს. ამიტომაც სამყაროს, საზოგადოების, ადამიანის რაობის შესწავლა, შეცნობა-გაგება მათთვის არაფერია, არარაობაა თვით სინამდვილეც, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ "სინამდვილიდან" აღებული ნივთებით ავსებენ თავიანთ ნამუშევრებს...

კიდევ ერთი წინააღმდეგობა. კოლაჟისტი ჭეშმარიტებას კი არ ეძებს, დასცინის მას თვით "ჭეშმარიტი", "უტყუარი" "ფაქტობრიობით" და საგნობრიობით _ მასალას თითქოს უშუალოდ სინამდვილიდან იღებს, ამავე დროს კი ისტორიულ-სოციალური სინამდვილე მისთვის არ არსებობს! ამიტომ კოლაჟი ღვარძლიანი ირონიაა, გამომწვევი ცინიზმით რომ უარყოფს სხვა თვალსაზრისს.

ერთხელ კიდევ გავიმეორებ: კოლაჟს სურს იყოს თანამედროვე, უფრო მეტიც _ ულტრათანამედროვე, მაგრამ ათვალწუნებით-ამრეზილი დამოკიდებულება მაყურებლისა და რეალობისადმი უცნაურ ფოკუსს უწყობს მას _ კოლაჟი ყრუ და ბრმა არის თანამედროვეობის მწვავე საკითხების მიმართ, იგი დემონსტრაციულად ზურგს აქცევს მათ... გამოდის, რომ ფორმა კოლაჟისა სრულ წინააღმდეგობაშია მის "შინაარსთან", ამიტომ ვერც მიიღება ხელოვნების სრულყოფილი ნაწარმოები; კოლაჟი ერთის მხრივ, უარყოფს საერთოდ ხელოვნებას, იგი "ანტიხელოვნებაა" თავისი ფორმით და პათოსით, მეორე მხრივ კი, ცდილობს დაიკავოს "გაძეგბული" ხელოვნების ადგილი... კოლაჟი აგებულია უამრავი წინააღმდეგობების გადაწვნა-გადახლართვით _ თვითმიზნური "ფოკუსებით" და უზომო პრეტენზიებით, ამაო ცდით _ შემთხვევითობა, ქაოსურობა შეახამოს სიმბოლურ განზოგადებასთან...

* * *

პარადოქსული ბინარული სტრუქტურა კოლაჟისა _ ნატურალური საგნები ან საგანთა ნაწილები პლუს საღებავის უფორმო წანაცხები და ნაღვენთები: თანამედროვე კოლაჟისტი იყენებს პოპარტისა და აბსტრაქციონიზმის ურთიერთგამომრიცხავ მეთოდებსა და ხედვას; ზოგჯერ კომპოზიციაში ჩართულია ფუნჯით ტრადიციულად მოდელირებული საგანი ან ადამიანის სახე... კოლაჟი წარმოადგენს ფრიად ეკლექტურ, შინაგანი წინააღმდეგობებით გაჯერებულ მოვლენას.

კოლაჟი აქტიურია, "ღიაა": მოიცავს მრავალ სხვადასხვა ტექნიკასა და კონცეფციას; როგორც მისი აგებულებაა მრავალკომპონენტიანი, ასევე ინტერპრეტაციების სიმრავლეც აღინიშნება (ჩვენს აზრებსა და შეხედულებებსაც ალბათ ყველა არ გაიზიარებს: შეიძლება გვითხრან, კოლაჟი საკრიტიკებლად ადვილია, მაგრამ გასა-

გებად ძნელიაო...). დიახ, პარადოქსულია კოლაჟი _ თვით მისი ჟანრი და მასში ჩაქსოვილი იდეებიც: მყარი მატერიალურობა, გარკვეულობა, ნატურალური საგნებრიობა და _ გაურკვევლობა, ინტერპრეტაციათა და შეფასებათა სიმრავლე.

კოლაჟი აღსავსეა წინააღმდეგობებით.

რა თქმა უნდა, ყოველ მოვლენაში, საგანში შეიძლება წინააღმდეგობრივობის აღმოჩენა. ამ დებულებით თითქოს კოლაჟის წინააღმდეგობრივობის გამართლებაც შეიძლება, მაგრამ ასე არ არის _ წინააღმდეგობრივობაც სხვადასხვაგვარია. დავანებოთ თავი ანტაგონისტურ და არაანტაგონისტურ წინააღმდეგობრივობებს, რომლებიც უმთავრესად ორ სხვადასხვა ობიექტს ან მოვლენას შორის არსებობს, განვიხილოთ შინაგანი წინააღმდეგობრივობის არსი.

ჩემი აზრით, შინაგანი წინააღმდეგობრივობა შეიძლება ორგვარი იყოს: დადებითი და უარყოფითი. დადებითი შინაგანი წინააღმდეგობრივობა მიმართულია საგნის თუ მოვლენის მთლიანობის, სიძლიერის, სიმდიდრის, წინსვლა-განვითარების უზრუნველსაყოფად, ხოლო უარყოფით შინაგან წინააღმდეგობრივობად უნდა მივიჩნიოთ ისეთი, რომელიც ხელს უწყობს საგნის თუ მოვლენის რეგრესს, გაუარესებას, უკუსვლას, მთლიანობის რღვევას და ა. შ.

უპირველესი წინააღმდეგობრივობა კოლაჟში: უკიდურესი მატერიალიზაცია (საგნების გაფეტიშება _ ადამიანი და ბუნება სავსებით განდევნილია) თანაარსებობს დემატერიალიზაციის აგრესიულ ვნებასთან (ყავლგასული, დამტვრეულ-სახეშეცვლილი, დეფორმირებული საგნები, საგნების დანაწევრებული, დაფხრეწილ-დაგლეჯილი ფრაგმენტები და ა. შ.). რა ვლინდება ამ აქტში _ კოლაჟის შექმნაში _ ტრაგიკული ირონია, ფარსი თუ ნგრევის ინსტიქტის დაკმაყოფილება? თუ სამყაროს მოუწყობლობით, გაუტანლობით, წინააღმდეგობრივობით გამოწვეული სასოწარკვეთილი ამბოხის ექსტრავაგანტური გამოვლინება? თუ XX საუკუნეში ფრიად გამძაფრებული საგნების ადამიანზე "ბატონობის" უღლის მტვრევის ცდა? პარადოქსული კია სულის თავისუფლების მოპოვება ნგრევით...

ორგანული სისუსტეები გადამწყვეტი გახდა კოლაჟის შემდგომი ბედის განსაზღვრაში; მან თავისი განვითარების მწვერვალს წარმოშობის დროსვე მიაღწია და მას შემდეგ სულ ერთ ადგილს ტკეპნის _ ვერც საყოველთაოდ გაბატონდა და ვერც ფერწერა "გააუქმა".

* * *

რამდენიმე სიტყვა პოპარტის შესახებ.

პოპარტი, აბსტრაქტული და კოლაჟური ნამუშევრებისგან განსხვავებით, "ყველასთვის გასაგებია" (მისი სახელიც ხომ აქედან მოდის _ "პოპულარული ხელოვნება") _ ის თავისი ხერხებით პირდაპირი კომუნიკაციური "ხელოვნებაა", მასთან კავშირის დამყარება ადვილია. პოპარტის შემქმნელი უარს ამბობს, იყოს სამყაროს, საზოგადოების ამხსნელი და მსაჯული, სოციალური პიროვნება. რა თქმა უნდა, ეს მოჩვენებითი აპოლიტიკურობაა, სინამდვილეში "საგნობრივად შთამბეჭდავი, მაგრამ აზრდაცლილი სამყაროს სურათი გამომთაყვანებლად მოქმედებს" (ვ. მ. პოლევოის აზრი ჰიპერრეალიზმზე). პოპარტი რეალობასთან, ცხოვრებასთან მიახლოება კი არ არის, არამედ წარმოადგენს ცრუ, მატყუარა, ფარისევლურ სურო-

გატს, რომლის არამხატვრულობა შეურაცხყოფს ნამდვილი ხელოვნების მოყვარულის გრძნობებს. ამ მხრივ პოპარტი აბსტრაქტულ სურათებზე უფრო ამაზრზენ და უაზრო შთაბეჭდილებას ახდენს _ იგი ინიღბება "რეალიზმით", "უტყუარობით", "ჭეშმარიტი სინამდვილით", მაშინ, როცა არაფერი აქვს საერთო ნამდვილ რეალიზმთან. უკიდურესი სულიერი სიმწირე, დეჰუმანიზაცია, ნივთიერი ფეტიშიზმი და პოპარტის სხვა თვისებები ეჭვს არ ტოვებს მის იდეურ რეაქციულობაში, ხოლო გამომსახველობითი ხერხები _ ანტიესთეტიკურობაში. მისთვის სავსებით უცხოა ნამდვილი ხელოვნების ჰუმანისტური პათოსი.

* * *

თუკი წინათ ფერწერაზე დიდი გავლენა ჰქონდა რელიგიას, ლიტერატურას, მითოლოგიას, ფილოსოფიას, არქიტექტურას _ XX საუკუნეში განსაკუთრებით გაძლიერდა ხელოვნების სხვადასხვა დარგის "შემოჭრა" ფერწერაში. ეს გავლენა გამოიხატება არა მარტო თემატურ-იდეურ სფეროზე ზემოქმედებით, არამედ ფერწერის მიერ ფორმისმიერი პრინციპებისა და ხერხების "სესხებით" თეატრიდან, ფოტოგრაფიიდან, კინემატოგრაფიდან, ხალხური ხელოვნებიდან, ე. წ. "პრიმიტიული" ხელოვნებიდან, მუსიკიდან და ა. შ. დაიწყო "შეჯვარება" დაზგური ფერწერისა მონუმენტურ ფერწერასთან, დაზგურ გრაფიკასთან, ქანდაკებასთან, გამოყენებით-დეკორატიულ ხელოვნებასთან, სცენოგრაფიასთან, გამოყენებით გრაფიკასთან (პლაკატი, აფიშა, რეკლამა...). წარმოიშვა "გრაფიკული ფერწერა", ასამბლაჟი ანუ ფერწერა არა სიბრტყეზე, არამედ მოცულობაზე _ ქანდაკებაზე, ნივთზე (ამოჩემებულია საკრავები: როიალი, კონტრაბასი...). მისწრაფება ტილოს, მუყაოს, დიქტის, ფირფიცრის და ა. შ. სიბრტყის "ტირანიისგან" განთავისუფლებისკენ კოლაჟში, პოპარტში და სხვა ავანგარდისტულ მიმდინარეობებში თვითნებობად იქცა. თვით ფერწერაში ურთიერთგამომრიცხავი საწყისების აღრევა, სპეციფიკური გამომსახველობითი ხერხების უგულვებელყოფა _ "სახეობრივი სიწმინდის" დარღვევა _ ხშირად იწვევს ეკლექტიკას, მოკლებულია მხატვრულობას.

* * *

პარადოქსებითაა სავსე XX საუკუნეში ხელოვნების განვითარება _ თავდაყირა დგება ხელოვნების აზრის, მისი დანიშნულების, თვით მისი არსის საკითხი: მშვენიერების მაგივრად _ სიმახინჯე, სიამოვნების, კმაყოფილების ნაცვლად _ ტკივილი, ტანჯვა; განწმენდის, ამაღლების მაგიერ _ დაძაბულობა, დაუკმაყოფილებულობა; ჰარმონიის მაგივრად _ დისჰარმონია... გვაქვს ესთეტიკური კრიტერიუმების ძირეული გადაფასების მცდელობა: რაც საუკუნეთა განმავლობაში მიუღებელი იყო, არამხატვრულად მიიჩნეოდა, ახლა ცდილობენ გააბატონონ; ცდილობენ თვით ხელოვნებაც კი უარჰყონ, გაამეფონ ანტიხელოვნება... მაგრამ ეს ცდა ფუჭია: კაცობრიობამ საუკუნეთა მანძილზე ბუნებრივი განვითარების გზით გამოიმუშავა სახვითი ხელოვნების ენა, რომელიც, დროთა განმავლობაში ყოველგვარი ფორმისეული თუ სტილური ცვალებადობის მიუხედავად, ძირითადად ერთიანია და დამყარებულია ცხოვრების, რეალობის გააზრებასა და ასახვაზე. ადამიანის ბუნება

კონსერვატიულია _ ძნელად ეგუება გამომსახველობითი ენისა და ხერხების რადიკალურ, "რევოლუციურ" შეცვლას.

* * *

კიდევ ერთი პარადოქსი: ერთი მხრივ, კოლაჟისტი უარყოფს "გეგმას", წინასწარ რაციონალურ "ანგარიშს" (ანუ ინტელექტუალურ საწყისს), მეორე მხრივ, უარყოფს მგრძნობელობას, თანალმობას (ანუ ემოციურ საწყისს). რაღა გვრჩება ხელთ? კოლაჟი არ სვამს კითხვებს, კოლაჟი არ პასუხობს კითხვებს _ მაშ, რა არის ის, რისთვის იქმნება? საჭიროა კი "ნაწარმოები", რომელიც ჰერმეტულად ჩაკეტილია საკუთარ "სამყაროში" (ხშირად _ ქაოსურში, შემთხვევითში, გაუაზრებელში), რომელშიც იგნორირებულია ადამიანი _ მისი არსის ზოგადფილოსოფიური, სოციალური, ეროვნული, ისტორიული, ფსიქოლოგიური და ნებისმიერი სხვა ასპექტები?

როგორც ცნობილია, აპოლონიური მსოფლაღქმა _ ნათელი, რაციონალური, გაწონასწორებული, უპირისპირდება დიონისიურს _ საიდუმლოს, ემოციურად დამუხტულს... კოლაჟში თითქოს ორივე საწყისია, ოღონდ პარადოქსულად წინააღმდეგობრივად: არც ნათელია, _ რაციონალურის მიუხედავად და არც ემოციური, _ "საიდუმლოს", შეუცნობელის მიუხედავად. შეიძლება ითქვას, რომ კოლაჟმა აპოლონიური და დიონისიური საწყისებიდან ორივესგან მხოლოდ "ნეგატიური" აიღო.

* * *

აგრესიული საგნობრიობის მიუხედავად, კოლაჟი თითქმის სრულიად ემიჯნება რეალობას, ცხოვრებას, _ "ავტონომიური ზონაა" ხელოვნებისა და პარადოქსულად ლამობს სინამდვილის "ძალმომრეობას" გაექცეს თვით სინამდვილიდან აღებული საგნებით. კოლაჟისტი ფუნჯს კი არა, თითქოს თვით უშუალოდ საგნებს აძლევს "ლაპარაკის უფლებას", "თვითგამოხატვის საშუალებას", მაგრამ რის ფასად? თვითგანადგურების, ნგრევის, დაშლის ფასად... სუპერკონკრეტულობა, ზერეალობა _ და ნამდვილი რეალობიდან გაქცევა... ნატურალური საგნების პირდაპირი შეტანა სურათში კოლაჟს ხელოვნებას აშორებს, მის ძირეულ სპეციფიკას _ გარდასახვის პრინციპს _ უარჰყოფს და ამიტომ რეალობის არსს არ შეესაბამება, ღალატობს მას; ამით კოლაჟი აბსტრაქციონიზმს ენათესავება, ორივე რეალიზმის ანტიპოდია.

დიახ, კოლაჟი გაქცევაა რეალობიდან თუ ახალგაზრდული ჯანყი, შინაგანი თავისუფლების მოპოვება და ყველაფრის ცდის ექსტრავაგანტური სურვილის დაკმაყოფილება? მაგრამ აბსოლუტური თავისუფლება ხომ ქიმერაა და კოლაჟური "თავისუფლება" კი _ აბსურდი?

* * *

რეალისტური ხელოვნების ქვაკუთხედებია: ხასიათი, სახე, სახისმეტყველება. რა სჭირდება სურათს? გარემო, გმირი, მოქმედება, აზრი, გრძნობა, ავტორის პოზიცია. შეიძლება, რომელიმე კომპონენტი გარეგნულად აკლდეს, მაგალითად, გმირი, თუნდაც "წმინდა" პეიზაჟსა ან ნატურმორტში, მაგრამ ის ხომ მაინც არსებობს, თუმცა "კულისებსმიღმა" რჩება _ ეს გმირი თვით მხატვარია: მისი გრძნობა, მიდგომა, გემოვნება და ა. შ. იგივე შეიძლება ითქვას ყველაზე ფანტაზიურ სურათზეც.

მხატვარი, თუკი ის ნამდვილი შემოქმედია, ყოველთვის ცდილობს, შექმნას თავისი სამყარო, ის ღმერთკაცია, აღმაშენებელია, აქვს იდეალი, რომელიც გამოსჭვივის მის თუნდაც ოცნებით შექმნილ ფანტაზიურ ნაწარმოებში... კოლაჟისტიც ცდილობს, შექმნას, მაგრამ ქმნის ანტისამყაროს, ანტიხელოვნებას, თავდაყირა აყენებს ლოგიკას, აზროვნებას, _ ანორმალურია: მშვენიერების მაგიერ _ სიმახინჯე, თბილი, მთრთოლავი გრძნობის მაგიერ _ ფორმისმიერი ვარჯიში, რომელიც თვითმიზნურია და არ არის მიმართული დასრულებული, სრულყოფილი ფორმის მისაღწევად, რადგან სრულყოფილება თავისებურად ესმის...

როცა ხელოვანი დაამთავრებს თავის ნალოლიავებ ნამუშევარს, მას აუცილებლად უჩნდება გრძნობა: ზოგს _ სიხარულისა, გამარჯვებისა, შექმნის, შენების აღტყინებით კმაყოფილება, ზოგს _ სევდა, წუხილიც კი, რომ სამუშაო დასრულდა, ხელოვანიც შინაგანად "გამოცარიელდა"., "გამოიწურა", მაგრამ ამგვარ კაეშანს ახალი იდეების, ახალი შთაგონების წინათგრძნობა და სიხარულიც ახლავს თან... ზოგიც ფრიად უკმაყოფილოა, რომ რაც სურდა, იმას ვერ მიაღწია: ამასთანავე ერთნი ჩამოყრიან ყურებს, მეორენი _ მეტი ძალისხმევით ეკვეთებიან სამუშაოს, დაუღალავად ეძებენ ახალ, უკეთეს გადაწყვეტას...

კოლაჟისტი? განიცდის კი იგი ასეთ რთულ, წინააღმდეგობრივ, ზოგჯერ სიხარულით ამტაცებელ, სიამით გამაბრუებელ, ზოგჯერ მტანჯველ, მაგრამ მაინც მშვენიერ წამებს? ეს ყველაზე უკეთ თვით კლაჟისტებმა უწყიან... მაგრამ, რამდენადაც ემოციურობა კოლაჟიდან პრინციპულად განდევნილია, უნდა ვიფიქროთ, რომ კოლაჟისტი ამგვარ გრძნობათა ცვალებადობას, საერთოდ მგრძნობელობას _ მოკლებულია... თანაც, კოლაჟი პრინციპულად დაუმთავრებელია.

კოლაჟი ოპოზიციაშია კულტურის ჰუმანისტურ ტრადიციასთან, იგი უარს ამბობს სამყაროს მართალ და მრავალმხრივ აღქმაზე, უპირისპირებს მას ქაოსურ, შემთხვევით, სუბიექტურად "მოწესრიგებულ" უფორმობას (საგნობრიობის მიუხედავად).

ფანტაზია, ინტუიცია, 'მოგონილი" და უჩვეულო სულაც არ არის კოლაჟისტის თუ მისი ანტიპოდის _ აბსტრაქციონისტის _ პრივილეგია, იგი რეალიზმის არსენალშიც არის, საკმარისია, ნებისმიერი დიდი შემოქმედის ხელოვნება გავიხსენოთ.

კი, მხატვარს ხანდახან მოუვლის "ხუშტური" _ მოუნდება ხოლმე "თავისი ქერქიდან ამოხტეს", რაღაც ექსტრავაგანტური ჩაიდინოს, _ ისიც ხომ ადამიანია, მასაც აქვს ზოგჯერ სურვილი "აწყვეტილი" ფუნჯით ლაღად გაინავარდოს ტილოზე ან თუნდაც ათასგვარი ხარახურისგან "ააწყოს" კომბინაციები, "გაითამაშოს". ამგვარი რამ სრულიად მოსალოდნელია და დასაშვებიც, მაგრამ როცა მხატვრის სულიერ_ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების დიდი ნაწილი კოლაჟურ ან აბსტრაქციონისტურ "სამზარეულოში" მუშაობას ხმარდება, ეს უკვე ნაკ-

ლებ მოსაწონია, რამდენადაც ნამდვილი ხელოვნების ხარჯზე ხდება პარაზიტული მოვლენის "გაფურჩქვნა".

* * *

კოლაჟისა და სურრეალიზმის ანტიპოდი _ აბსტრაქციონიზმი, რომელშიც ზეიმობს საგანთა გამოსახულების სრული გაუქმება, _ ავანგარდისთვის დამახასიათებელი მედლის მეორე მხარე იყო. ორივენი კიდევაც უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს და ამავე დროს ერთიან ფრონტსაც ჰქმნიდნენ რეალისტური ხელოვნების წინააღმდეგ; ორივე ფლანგიდან შეუტიეს რეალიზმს, მაგრამ უკიდურესი აგრესიულობის მიუხედავად, ვერ შეძლეს ტრადიციული ფერწერის გაუქმება-განდევნა; მათ მხოლოდ გაამდიდრეს ახალი, არაშაბლონური მიდგომით ხელოვნების მთელი რიგი დარგები.

* * *

კოლაჟი სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. ალბათ მის არსში არის თვისებები, რამაც "გააძლებინა", გადაარჩინა გადაშენებას.

იყოს კოლაჟიც _ თუკი მას არ ექნება პრეტენზია, გასწიოს დაზგური სურათის მაგივრობა. კოლაჟის პრინციპებით დაზგური სურათის შექმნა ავარჯიშებს მხატვრის კომპოზიციურ და კოლორისტულ შესაძლებლობებს, უვითარებს ექსპერიმენტებისკენ მიდრეკილებას, მაგრამ კოლაჟი, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლის ნამდვილ, რეალისტურ დაზგურ სურათს. კოლაჟზე მუშაობა კარგია, როგორც დამხმარე საშუალება და არა ძირითადი სფერო ძალთა გამოყენებისა. გარდა ამისა, კოლაჟი ერთგვარი თამაშიცაა, გამომგონებლობის, ფანტაზიის სასინჯი ქვაც _ ვარჯიშიც და გართობაც. "კარნავალიზაციის", არასერიოზული მიდგომის გამართლება ალბათ იმითაც შეიძლება (და ნაწილობრივ ახსნაც მისი ხანგრძლივი არსებობის მიზეზისა), რომ თანამედროვეობის დაძაბულ ემოციურ პირობებში ადამიანი ეძებს სტრესული დატვირთვებისგან განთავისუფლების შესაძლებლობას... თამაში თავისთავად ყოველთვის მიმზიდველია და უჩვეულოსკენ ადამიანის ლტოლვაც სრულიად გასაგებია, _ სხვაგვარ ემოციურ ატმოსფეროში გადართვა, დაძაბულობის თამაშით, იმპროვიზაციით მოხსნა კეთილისმყოფლად მოქმედებს ადამიანის განწყობაზე, მისი პიროვნების დინამიზმსა და სიმახვილეზე...

ამიტომ გამოფენებზე დროდადრო გამოჩენა კოლაჟისა, პოპარტისა, ასამბლაჟისა, აბსტრაქტული სურათისა და სხვა სახის ავანგარდისტული ნამუშევრებისა სულაც არ არის დასაგმობი და გამართლებულია თუნდაც ეთიკური მოსაზრებით _ რაც ერთს არ მოსწონს, შესაძლებელია, სხვისთვის აღფრთოვანების საგანი იყოს; მაყურებელს არ უნდა წავართვათ არჩევანისა და საკუთარი შეფასების გაკეთების უფლება.

* * *

მიუხედავად კოლაჟის მიმართ გამოთქმული კრიტიკისა, უნდა ისიც ითქვას, რომ მას ერთგვარი დადებითი წვლილიც მიუძღვის ხელოვნების წინაშე.

კოლაჟი თავისი ფორმისმიერი, სტილური და ა. შ. შეუზღუდველობის, "გახსნილობის" გამო ადვილად "შეეჯვარება" ნებისმიერ მხატვრულ მოვლენას, მიმდინარეობას, მასალას. ზომას და ა. შ. მისი პრინციპები და "პოეტიკა" შეიჭრა სცენოგრაფიაში, ტანსაცმლის, ქუდების, ფეხსაცმლის, ჩანთების მოდელირებაში, დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების მრავალ განშტოებაში (კერამიკა, შუშა, მეტალოპლასტიკა, ხეზე კვეთა, ქსოვილების გაფორმება და მრავალი სხვა), დაზგურ, წიგნის და გამოყენებით გრაფიკაში (აფიშა, პლაკატი, რეკლამა და ა. შ.), ინტერიერისა და ექსტერიერის გაფორმებაში, არქიტექტურაში და სხვა; ხშირად კოლაჟი "სტილური დანამატია", "გარნირია" სხვადასხვა მიმდინარეობის ფერწერაში, გრაფიკასა და ქანდაკებაში, კოლაჟურმა "მონტაჟმა" შეაღწია მწერლობაში (პოეზია, პროზა, დრამატურგია, ესეისტიკა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, მემუარისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა), თეატრსა და კინოში, ტელევიზიაში, მუსიკაში, ფოტოხელოვნებაში, ვიტრინების, გამოფენების და ა. შ. გაფორმებაში...

კოლაჟი _ უნივერსალური გასაღებია ჩვენი თანამედროვეობის მუსიკისა, მუსიკისა ფართო გაგებით: სულ სხვადასხვა საგნებით ავსებული ჩვენი ბინა, ჩვენი წარმოდგენები, ჩვენი აღქმა გარემოსი, თუნდაც ქუჩის კალეიდოსკოპი, ცვალებადი რაკურსები _ სახეები, მანქანები, სახლები, ხეთა რიგი და ა. შ. _ თვით ჩვენი აზროვნებაც "კოლაჟურია"... კოლაჟმა ურბანისტულ პოეზიაშიც მოიკიდა ფეხი: მრავალი ცნობილი პოეტის ლექსში ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნავენ "კოლაჟურად" დამონტაჟებულ უამრავ სხვის თემას, სტროფს, შედარებას, გააზრებას, ფარულ თუ აშკარა ციტირებას... და მაინც ლექსი ამ ავტორისაა, ნაღდი ლექსია და არა შემთხვევითი ნაწილებისგან შეკოწიწებული "ნაწარმოები".

ასე რომ, როგორც ჩანს, კოლაჟი შემთხვევით არ გამხდარა XX საუკუნის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფენომენი _ კოლაჟმა ალბათ კონცენტრირებულად ასახა ერთიანი, მთლიანი, ჰარმონიული მსოფლაღქმის რღვევა... სამყარომ ადამიანის თვალში დაჰკარგა მთლიანობა. ადრე იმდენად არ ჰქონდა მნიშვნელობა, შემოქმედის სამყარო შემოფარგლული იყო საკუთარი სოფლით თუ კუთხით, ამ სოფლის "მოდელზე" მას შეეძლო საყოველთაო, გლობალური ფილოსოფიური საკითხები განეხილა, ახლა კი ზოგჯერ მთელი მსოფლიოა აღებული გმირთა სამოქმედო ასპარეზად და მაინც ავტორის მსოფლაღქმა მთლიანობას მოკლებულია, "დახლეჩილია", "დაბზარულია" _ კონტრასტულ წინააღმდეგობათა ჭიდილში კალეიდოსკოპური სიჭრელით ერთმანეთს ცვლიან ურთიერთდაუკავშირებელი ეპიზოდები, მოვლენები... ქაოსი _ გარეგანი, ქაოსი _ შინაგანი...

გვეუბნებიან, რომ, კოლაჟში ასახვა ჰპოვა სამყაროს მთლიანობის, ორგანული ერთიანობის რღვევის განცდამ: წესრიგს იკავებს ქაოსი, კანონზომიერებას _ თვითნებობა და ამდენად კოლაჟში აირეკლა გარდამავალი ეპოქის დაბნეულობა, ტკივილიც და ირონიაც, იდეალის წყურვილით პარადოქსალურად არაესთეტიკურ უკიდურესობაში გადავარდნაც... თავისი ეპოქის შვილია და ნეგატიურად და ცალმხრივად აირეკლა კიდეც ეს ეპოქა _ ანარქია, დაშლა, რღვევა...

რა შეუძლია მოგვცეს დღეს კოლაჟმა? კატაკლიზმის მოლოდინი, სამყაროს ტრაგიკული გახლეჩა... კი, ბატონო, მაგრამ ჩვენი მხატვრების კოლაჟებზე ვერაფერს ამას რომ ვერ აღვიქვამთ? ვხედავთ განუკითხავ თამაშს, ფორმისებრ ვარჯიშს

_ თოჯინებს, პლაკატის, გაზეთის ნაგლეჯებს, ფოტოს, დამტვრეულ, დაჭეჭყილ საოჯახო ნივთებს და ა. შ., მეტნაკლები "ოსტატობით" ურთიერთგანლაგებულს... იშვიათია მხატვარი, რომელიც შეძლებდა, კოლაჟში შთაებერა მაღალი აზრი და მძაფრი ემოციურობა.

* * *

ხშირად კოლაჟის თაყვანისმცემლები მის წარმოშობას ამართლებენ აბსტრაქციონიზმზე ნეგატური რეაქციით _ აბსტრაქციონიზმმა მოაყირჭა თავი საზოგადოებას, ვეღარ აკმაყოფილებდა მას და მის შემცვლელად მოგვევლინა მისი ანტიპოდი _ კოლაჟი. სინამდვილეში კი აბსტრაქციონიზმიცა და კოლაჟიც ერთდროულად დაიბადნენ და ერთიცა და მეორეც სასიკვდილო განაჩენს უწერდნენ ნამდვილ ხელოვნებას, "აუქმებდნენ" ჭეშმარიტი ხელოვნების უნარს, მხატვრულად ასახოს ცხოვრება, სახეობრივად გადმოსცეს სინამდვილე მთელი მისი სირთულით, წინააღმდეგობრივობით, სილამაზით, გვიჩვენოს ადამიანი და გარემო, მათი მრავალმხრივი და არცთუ მარტივი ურთიერთდამოკიდებულება და ა. შ. ამიტომ, აბსტრაქციონიზმის დარად, კოლაჟიც ასახავს მათი შემქმნელების შეხედულებებს ყოველივე არსებულის აბსურდულობასა და უაზრობაზე, ადამიანის უუნარობასა და უილაჯობაზე _ ახსნას სინამდვილე და მიზანსწრაფულად და გამიზნულად შეიცნოს და შეცვალოს იგი. ცნობილია: შემდგომ მოხდა კოლაჟის "გადაზრდა" პოპარტს, ჰიპერრეალიზმს, ფოტორეალიზმსა და "ახალი საგნობრიობის" მრავალ სხვა მიმდინარეობაში, რომლებმაც პრინციპულად ახალი არაფერი თქვეს. მათთვისაც იგივე პრეტენზია გახლავთ დამახასიათებელი _ "ყველაზე ბანალური რეალობის ასახვა", "ვიზუალურად ეტყუარი, უცვლელი ფაქტისადმი ერთგულება" _ წინააღმდეგ ძველი, "სუბიექტური" ხელოვნებისა, რომელიც "დეფორმაციას" უწევდა რეალობას, "ძალადობდა" მასზე.

* * *

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ? არის თუ არა კოლაჟი ხელოვნება, საჭიროა თუ არა ის? როგორც ჩანს, ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია _ გააჩნია, ვინ მიმართავს კოლაჟის ტექნიკას, რისთვის და როგორ, _ ამაზე იქნება დამოკიდებული შედეგიც. ის დაზგური ნამუშევრები კი, რომლებსაც ვხედავთ ჩვენს მხატვართა გამოფენებზე, დიდი ხნის წინ განვლილის პროვინციულ გადამღერებად გვეჩვენება. უფრო ნაყოფიერი ჩანს კოლაჟის გამოყენება სცენოგრაფიაში, დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში, ტანსაცმლისა და სხვა საგნების მოდელირებაში, რეკლამაში, გამოფენების გაფორმებაში და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ფერწერას გააჩნია ამოუწურავი შესაძლებლობანი, "ჩვეულებრივი" ფერწერული სურათი ზოგიერთ მხატვარს ბანალური, მოძველებული ეჩვენება და დროდადრო ჰფენს ხოლმე გამოფენებზე კოლაჟებს, მაგრამ ცუდად ითვალისწინებს მის თავისებურებებს, შესაძლებლობებსა და მხატვრული ცხოვრების პირობებსაც _ კოლაჟი მას ნაკლებ შეესაბამება, მჩატეა, "ფუყეა". მაშ, რატომ მიმართავს კოლაჟს? ალბათ ამის მიზეზია როგორც მისი მხატვრული პი-

როვნების “თანამედროვეულობის”, “მოწინავეობის”, “ძიების” წყურვილის ჩვენება, ისე მნახველის გაოცების, განცვიფრების სურვილი, დაცინვაც, ჰუმორი, სანახაობრიობისადმი მიდრეკილებაც...

ჩემი შეხედულება ასეთია: სერიოზული ფერმწერი ენერგიას, ფანტაზიასა და დროს არ დახარჯავს კოლაჟის შესაქმნელად... მაგრამ ამ შეხედულებიდან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ მე პრინციპულად წინააღმდეგი ვარ კოლაჟური და ნებისმიერი სხვა ექსპერიმენტული ნამუშევრის გამოჩენისა გამოფენებზე. ჯერ ერთი, კოლაჟი, როგორც ჩანს, შემთხვევითი და ეფემერული მოვლენა არ გახლავთ, რაც მტკიცდება მისი თითქმის ასწლიანი ისტორიით და ამჟამადაც ფართოდ გავრცელებით მთელ მსოფლიოში; არსებობს მის თაყვანისმცემელთა და დამცველთა დიდი არმია, განსხვავებულ შეხედულებას კი პატივი უნდა ვცეთ; მეორეც, აკრძალვა ცუდი, უვარგისი არგუმენტია, ჭეშმარიტებას სხვაგვარი დაცვა სჭირდება; მესამეც, დიალექტიკა მოითხოვს, რომ მხატვრული ცხოვრების სისრულისთვის საჭიროა, გამოფენებზე იყოს სულ სხვადასხვაგვარი მიდგომით შესრულებული ნამუშევრები _ ერთფეროვნება ხომ დამღუპველია ხელოვნებისთვის, ხოლო რამდენიმე თუნდაც კოლაჟური, აბსტრაქტული და ა. შ. სურათი არაფერს გააფუჭებს. კოლაჟი გამოფენაზე თუნდაც იმიტომ უნდა დაუშვა, რომ აჩვენო მაყურებელს ტრადიციულისგან, ჩვეულისგან სრულიად განსხვავებული, უცხო მიდგომა, რომელშიც, მართალია, არის პოლემიკური გამოწვევაც “კარგი გემოვნების” მიმართ, სტანდარტების უარყოფაც, ირონიული გადააზრება ძველი წარმოდგენებისა... უფრო ხშირად კი კოლაჟი გამოფენაზე რიგითი მაყურებლისთვის წარმოადგენს ატრაქციონს, გაუგებარ, უკეთეს შემთხვევაში _ გასართობ რებუსს, დამაინტრიგებელს თავისი უჩვეულობით: ბრჭყვიალებს შუშის ნამსხვრევი, მხიარულ ათინათს ისვრის სარკის ნატეხი, ნამდვილ თოჯინას გაკვირვებით გაუშლია ხელები, რას “გვეუბნება” ლანჩაახეული ფეხსაცმლის დაღებული “ხახა”? ამგვარი “შენჯღრევა” მაყურებლისა საჭიროა, გაუმძაფრებს მას სხვა ნაწარმოებთა აღქმას.

ბოლოს კი ერთსაც ვიტყვი.

რა თქმა უნდა, კოლაჟს არ ძალუძს მაღალი, დიდი ხელოვნების გაუხუნარი ნიმუშის შექმნა.

წარმოვიდგინოთ, რომ ფერწერულ გამოფენაზე უცებ გაქრა რომელიმე ჟანრი, ვთქვათ, პორტრეტი ან პეიზაჟი... დააკლდება თუ არა გამოფენას (და უფრო ზოგადად _ ხელოვნებას) ჩვენს აღქმაში რაიმე? ცხადია, ვიგრძნობთ ცალმხრივობას, რაღაც სიცარიელეს. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ გამოფენებზე გაქრა კოლაჟი, შეამჩნევს კი ამას ყველაზე გულმხურვალე კოლაჟისტიც კი? არა მგონია...

5. “ლურჯი ქიმერა”, “ქარის ორეული”...

_ სად დაიკარგე, _ ჰკითხა გიას იამ, _ რა საქმე გქონდა ისეთი?

_ ხომ იცი, შენი გამოფენის გახსნას აუცილებლად უნდა დაესწროს ოფიციალური წარმომადგენელი. მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობა აქ იყო და მეც ვისარგებლე ამ გარემოებით. ადრევე ვიყავი შეთანხმებული, ახლა კი მაინც შევახსე-

ნე, შენს გამოფენას მხატვართა კავშირის სახელით გახსნის ბიქტორ მეხვილაძე... კარგი ბიჭია, ერთ დროს ვმეგობრობდით, არც ურიგო მხატვარია...

_ მერე, რაღად უნდოდა ხელმძღვანელის სკამი, ეს ხომ უამრავ დროს ართმევს ალბათ! _ წამოიძახა იამ.

_ რა ვიცი... ყველას თავისი მიზანი აქვს ცხოვრებაში. რასაკვირველია, ბიქტორს თავისუფალი დრო შემოქმედებითი მუშაობისთვის თითქმის არ რჩება, სამაგიეროდ აქვს უამრავი სხვა რამ: დიდი სახელოსნო, ემსახურება პერსონალური მანქანა, ურთიერთობა აქვს "მაღალი" წრეების უამრავ წარმომადგენელთან და შეუძლია, მრავალი ისეთი საქმის სულ იოლად მოკვარახჭინება, ჩვენ რომ ვერაფრით შევძლებთ... "დიდ" ხალხში ტრიალი, დელეგაციების მიღება-გაცილება, საზღვარგარეთ მოგზაურობა, თუნდაც სახელოსნოების, ავტომანქანების, უცხოური ავეჯის და სხვა რამის განაწილება მხატვრებს შორის, უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა, ათასგვარი მსხვილმან-წვრილმანი პრივილეგიები და სხვა და სხვა... ალბათ იტაცებს ასეთი ცხოვრება.

_ ყველა მაგ წარმავალ სიკეთეს მე მირჩევნია, ერთი გემრიელი სურათი გააკეთოს, სამარადჟამოდ რომ დარჩება, _ თქვა იამ.

_ რას იზამ, ყველა შენსავით იდეალისტი არ არის, _ უპასუხა გიამ. _ აგერ თვითონ მოდის კიდეც...

მართლაც, მათთან სწრაფი ნაბიჯით მივიდა ბიქტორ მეხვილაძე. მანამდე იას ახლოს არასდროს ენახა, ბევრად მაღალი და მოსული ტანის გამოდგა, ვიდრე ადრე ეგონა. ცოცხალი თვალები ნაპატივებ სახეზე კეთილად უღიმოდნენ. მიესალმა იას და ხელი მოწიწებით, რბილად ჩამოართვა.

_ წინასწარ გილოცავთ პერსონალურ გამოფენას, _ კეფიდან ნასესხები თმის სწორებით უთხრა იას. _ თქვენს სურათებს კარგა ხანია, მივაქციე ყურადღება გამოფენებზე. დღეს მინდოდა, განსაკუთრებული სიამოვნება მიმეღო და დარწმუნებული ვარ, უფრო ღრმა შთაბეჭდილებასაც ვეზიარებოდი, _ მოგეხსენებათ, პერსონალურ გამოფენაზე თავმოყრილი სურათების ხილვა სულ სხვაა... სამწუხაროდ, ახლახან შემატყობინეს: საღამოს ცეკაში თათბირს უნდა დავესწრო აუცილებლად... ამ კვირა დღეს რა ცეცხლი უკიდიათ, არ ვიცი... ბოდიშს ვიხდი, დიდად ვწუხვარ... თქვენს გამოფენას ამ დღეებში უეჭველად მოვინახულებ. წარმატებას გისურვებთ, ერთხელ კიდევ ბოდიშს ვიხდი, ნახვამდის...

_ გამოფენის გახსნაზე ვინღა მოვა? _ იკითხა იამ ბიქტორის წასვლის შემდეგ. _ იქნებ ვინმეს დაავალა?

გიამ ვერ მოასწრო პასუხის გაცემა, ირმა პატაშურიძე გამოეცხადათ _ მხატვარი, იას ჯგუფელი სამხატვრო აკადემიაში, მეტსახელად რომ ყველა "გიჟპოეტას" ეძახდა, ბევრნი _ პირშიც... მართლაც, ქალბატონი ირმა პოეტობდა კიდეც და იმდენი იჯახირა, ლექსების ერთი მომცრო კრებული გამოსცა რამდენიმე წლის წინ, რომლითაც დიდად ამაყობდა.

_ გამარჯობა, გოგო, გამარჯობა, გია... _ გადაჰკოცნა ორივე და მერე იას მიუბრუნდა: _ გოგო, შორიდან მოგკარი თვალი, მერე, რა ხანია, გეძებ, მინდა, ლექსი განახო, პირადად შენ რომ მოგიძღვენი, შენი გამოფენის გახსნაზე უნდა წავიკითხო... რა იყო, ქალო, ვერ გატყობ, რომ გაგიხარდა, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?

_ დიდი არაფერი, მეხვილაძეს უნდა გაეხსნა ჩემი გამოფენა და თათბირზე გამოიძახეს... ახლა არ ვიცი...

_ მაგას მე მოვაგვარებ, _ დაამშვიდა გიამ, _ ახლავე მოვძებნი შემცვლელს.

_ ვერავისაც ვეღარ ნახავ, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მთელი ჩვენი ხელმძღვანელობა გაიკრიფა, _ თქვა ირმამ. _ მაგათი ნამუშევრები გამოფენაზე სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვი და სხვების კიდევ, ბოდიში და, ფეხებზე ჰკიდიათ. ერთი ალფეზა დარჩა, ეგ კიდევ ფაფხურობს რაღაცას... თავის სურათთან დგას და ხალხის ლაპარაკს უსმენს ჩუმად.

_ ფუი! _ აიბზუა ცხვირი იამ, _ კიდევ უსმენს?

_ არა, შენ სხვანაირად გაიგე, _ გაეცინა გიას, _ ახლა სხვა დროებაა, დასმენებს ყავლი გაუვიდა... ყველაზე გამოჩენილ მხატვრებს სისხლს უშრობდა, ფორმალისტები და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის დამნერგავები არიანო და აკადემიის პროფესორობაც დაატოვებინეს მაგან და მისნაირებმა ლადო გუდიაშვილსა და დავით კაკაბაძეს... ახლა ალბათ აინტერესებს, მის სურათზე რას ლაპარაკობენ.

_ ერთი ხელისგულის ოდენაა, სურათია ეს? _ თქვა ირმამ.

_ კი, მეც ვნახე... _ უპასუხა გიამ. _ სურათის ფასი მარტო სიდიდით არ გაიზომება, უამრავი შედევრი დიდი ზომებით არ გამოირჩევა... ალფეზის ნამუშევარს ნამდვილად ეტყობა პროფესიონალის ხელი, ესაა და ეს. სხვა მხრივ სანიმუშოდ "საშუალოა", არაფრით გამორჩეული, _ ნატურალისტურთან მიახლოებული ხელწერა, ასე ვთქვათ, "სტანდარტული", ბანალური, სამაგიეროდ, აქტუალური, "იდეურად გამართულია", "დღევანდელობის მოთხოვნების შესატყვისი", _ ირონიულად დაასრულა გიამ.

_ მაინც, რა ჰქვია მის სურათს? _ დაინტერესდა ია.

_ რა მნიშვნელობა აქვს? თუნდაც "მოწინავე მუშის პორტრეტი"...

_ გია, რატომ ხარ ესეთი უსამართლო? _ განაწყენდა რატომღაც ირმა. _ მას სულ სხვა ხედვა აქვს, სხვა ხერხებით მუშაობს, თავის თემას ამუშავებს, შენ ხომ არაფერს გიშავებს?

_ ღმერთმა კეთილად მოახმაროს ყველაფერი, რაც აქვს თავისი... _ ისევ გაიღიმა გიამ და ხელები გაშალა.

_ შენი ირონია, რომ იცოდე, უადგილოა. ბატონი ალფეზი სულაც არ არის ისეთი, შენ რომ გგონია. იცით, როგორ დამეხმარა, როცა დამსახურებული მხატვრის წოდებაზე წარმადგინეს? დიდი გულისხმიერება გამოიჩინა... ახლავე დაგიმტკიცებთ... ია, მივალ და დაველაპარაკები, ნახე, თუ არ დავითანხმო.

_ რაზე, რაზე უნდა დაითანხმო? _ გაუკვირდა იას საუბრის ასეთი შემოტრიალება.

_ შენი გამოფენის გახსნაზე!

_ გაგიჟდი? ეგ მაკლდა სწორედ!

_ რატომ, რა მოხდა? სხვას მაინც ვერავის იპოვი ახლა, ჰოდა, შენთვის სულ ერთი არ არის, ვინც იქნება? ოთხმოც წელს კი უკაკუნებს ბატონი ალფეზი, მაგრამ ძალიან დაუზარელი კაცია..

გიასაც არ ეხატებოდა გულზე ალფეზ უფასეიშვილის უბრალოდ მისვლაც კი იას გამოფენაზე, არამცთუ მხატვართა კავშირიდან ოფიციალურ პირად დასწრე-

ბა... მერე ალბათ მოუწევთ მასთან ერთად სამახსოვრო სურათის გადაღება, საუბარი... მაგრამ ირმამ იმდენი უჩიჩინა იას, რომ ალფეზის მიწვევით არაფერი დაშავდებოდა, თანაც სხვა გამოსავალი საერთოდ არ იყო _ იძულებული გახადა, მის წინადადებას დათანხმებულიყო...

_ კარგი, კარგი, ირმა, გენაცვალე, იყოს ეგ ალფეზია თუ ანესტეზია...

_ ხუთ საათზეა ხომ გახსნა? უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზში?.. ახლავე გავიქცევი, ახლავე, ბატონი ალფეზიც არ დაგვეკარგოს! _ წაიჟღურტულა გახარებულმა ირმამ და მისი ასაკისთვის უჩვეულო სიმკვირცხლით "საპატიო დავალების" შესასრულებლად გაეშურა.

_ რა ახარებს ნეტავი? _ გაუკვირდა იას.

_ ბოდიშს ვიხდი, ია, ირმა შენი მეგობარია, მაგრამ გულახდილად უნდა გითხრა: ეგეც ალფეზივით უფერული მხატვარია და იმიტომ იბრძოდა ასე მედგრად, რათა ოფიციალური აღიარებისთვის მიეღწია, _ თქვა გიამ. _ ისე კი, საკვირველია, რა კრიტერიუმებით ანიჭებენ მხატვრებს წოდებებს? ირმას ნამუშევრები ათასში ერთხელ თუ გამოჩნდება გამოფენებზე, ერთი პერსონალური გამოფენაც არ ჰქონია... ან რაში სჭირდება დამსახურებული მხატვრის წოდება?

_ კარგი რა, გია, რას ერჩი, ყველა თავის ჭიას ახარებს... დრო რამდენი გვაქვს, მოვასწრებთ გამოფენის შემოვლას?

_ ერთი საათი, ცოტა მეტი, შეგვიძლია დავყოთ აქ... საიდან დავიწყოთ?

_ საიდანაც გინდა... აქამდე რის ნახვაც მოვასწარი, მოსაწონი დიდი ვერაფერი ვნახე.

"_ _ ჯონდო ფერხაძე (1960) "ლურჯი ქიმერა" _ რაღაც აბსტრაქტული აჯაფსანდალია _ ფერით მაინც იყოს მიმზიდველი _ _ ლერი ჯანაიძე (1959) "კომპოზიცია" _ გემოვნება ჩანს, თითქოს საინტერესო კომპოზიციური სვლაც მოუძებნია _ მხოლოდ გარეგნულ შთაბეჭდილებას ახდენს _ თვითმიზნურია _ კი, ბატონო, იყოს კაბაზე ეგ ნახატი არ თუნდაც სამზარეულოს მუშამბაზე, მაგრამ სურათად? _ სიღრმე არ ჩანს, "ზეამოცანას" რომ უწოდებენ _ ეტყობა, მხატვარს არაფერი აღელვებს, ცივი გონებით ახდენს თავისი შესაძლებლობების დემონსტრაციას _ მეც, მაყურებელი, "ცივი" ვარ, არ განვიცდი ემოციურ გამოძახილს, მხოლოდ სინანულს, რომ ნიჭი "ფუჭად მუშაობს" _ _ პეტრე ქუხილაშვილი (1961) "ქარის ორეული" _ თითქმის მონოქრომული _ გრაფიკული მიდგომა _ მეტისმეტად მკვეთრი კონტურები _ გადატვირთულია რაღაც დაკლაკნილი ფიგურებით _ ირონიულ-გროტესკული დეფორმაცია _ აქაც იგივე კითხვა: რისთვის გაისარჯა? რა ამოცანის გადასაწყვეტად უწვალია ამდენი? რას ემსახურება ეს ოპუსი? _ ჩვენ რაღას გვაწვალებს ტვინის ფუჭი ჭყლეტით _ ("გია, ვინ არის ეს ქუხილაშვილი? მოგწონს?") _ ჩემთვისაც დასანანია, ნიჭი ჩანს, გააზრება კი ნაკლებად _ თუმცა... გააზრებაც ხომ ნიჭის შემადგენელი ნაწილია _ _ მარიამ თავშავიშვილი (1948) "კომპოზიცია" _ რა უბედურებაა ამდენი კომპოზიცია? _ აქაც: დიდი შრომა და უღიმღამო შედეგი _ არც ღირს გაჩერება, სრულიად უფერულია _ _ თომა მეგრიძე (1953) "ქალის ფიგურა" _ კიდევ ერთი ირონიული სტილიზაცია, ამჯერად "პრიმიტივისტული" _ ეს არ არის ფერწერა, უფრო გრაფიკაა, გრაფიკისთვის კი აკლია სიმახვილე _ საერთოდ, აკლია თავისუფლება, შებოჭილობას, გაუბედაობას ვხედავ _ ვერ მოერია მარტივ ამოცანას _

_ რაჟდენ კუპრიძე (1941) “დღე. ელეგია” _ პროფესიულ დონეზე გაკეთებული პეიზაჟია _ განა ეს საკმარისია? _ ამ სურათსაც რაღაც აკლია, “მარილი”... _ აკლია სული! _ მღელვარება, თრთოლვა, გატაცება _ _ თემურ გაგაშიძე (1947) “ჩიტი” _ აქვს ფერმწერის თვალი, მაგრამ... _ არც ამას აქვს სათქმელი _ დიდად სამწუხაროა _ ლამაზი ლაქაა კედელზე, მერე რა? _ განა ეს საკმარისია ფერწერისთვის? ეს არის საქმის ნახევარი _ _ ოტია დათუკაიძე (1946) “კომპოზიცია” _ (“გია, ხომ არ იქნება გადაჭარბებული, თუკი ამ გამოფენას საგაზაფხულოს კი არა, კომპოზიციების გამოფენას ვუწოდებთ? ნუთუ ამ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავს პროფესიონალ მხატვრებს უწოდებენ, არაფერი აღელვებთ? ექსპერიმენტი კარგია, ოღონდ შედეგი?”) _ _ თინათინ ყაჭიძე (1937) “პეიზაჟი” _ გამოცდილი მხატვარია, თუმცა სხვა დროს მისი უკეთესი ნამუშევრებიც მინახავს _ ემოციადაცლილი, უდარდელი ადამიანის მოცალეობისას ნათხიპნი _ თუ უბრალოდ დაიღალა ან დაიცალა? _ რომც მაჩუქოს, ამ სურათს შინ კედელზე ვერ დავკიდებ _ ან რა არაფრისმთქმელი სახელია “პეიზაჟი”? ისე ვერ მიხვდები, რომ პეიზაჟია? _ თავისუფლად შეეძლო ამ სურათისთვის დაერქმია “კომპოზიცია”... _ _ ზურაბ ზავრიკაშვილი (1940) “თუთიყუში” _ მის სურათებს შორიდანვე ვცნობ, იმდენად განსხვავებულია სხვათაგან _ საკუთარი ხელწერა კარგია, მაგრამ მისი მონაც არ უნდა იყო, ერთ ადგილზე ტკეპნა არ არის მოსაწონი... _ რამდენჯერ შეიძლება, თუთიყუში დახატო? რით დაიმსახურა ამ ფრინველმა ესოდენ გამორჩეული პატივი? _ ან რად გინდა ეგზოტიკაში გადავარდნა, შენს გარშემო ლამაზს ვერაფერს ხედავ? _ _”

_ გია, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, მხატვრები საქართველოში კი არ ცხოვრობენ, სადღაც ღრუბლებს ზევით დაფრინავენ ზეცაში... ქვეყანას, ადამიანებს ვერ ამჩნევენ... დიახაც, კარგია ცაში ნავარდი, მთლად მიწიერიც არ უნდა იყო, ამაღლებულს, ოცნებას და თუნდაც განყენებულ, წარმოსახულ ფორმებს თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ იმ ზეციური სიმაღლიდან ხანდახან ქვევითაც რომ გადმოიხედო, სინამდვილეს ეზიარო, არ იქნება ურიგო... გეთანხმები, კიდევ უკეთესია, ხალხში გაერიო, გაიხედ-გამოიხედო, მისი ფიქრი და ოცნება გაითავისო... ვინმე იტყვის, რა მეტისმეტად პათეტიკურად ლაპარაკობ, შეეშვი ლოზუნგების ენით ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების რახარუხსო, მაგრამ მე იმას ვამბობ, რისიც მჯერა.

ამ დროს მოცქრიალდა ირმა, თვალგაბრწყინებულმა ახარა იას, ყველაფერი მოგვარებულიაო, მერე ჩართო ჭორის გაუთავებელი კონვეირი: ვიღაც მისი ნაცნობის ქალიშვილზე წვრილად და გულის გამაწვრილებლად მოჰყვა, რომ თურმე 15 წლისა ყოფილა და სახლიდან გაპარულა, სიძე-ბატონი კი, _ იმ საცეკვაო წრის ხელმძღვანელი, სადაც დაიარებოდა ეს გოგო, _ მასზე 15 წლით უფროსია...

“_ _ რაში მაინტერესებს, ვინ როგორ გათხოვდა, მით უმეტეს, ჩემთვის სრულიად უცნობი, მე აქ სხვა რამისთვის მოვედი _ ვატყობ, გიაც ვერ უძლებს ირმას გაუთავებელ ტიკტიკს... _ თავს უშველა, ნაცნობ მხატვარ კაცთა ჯგუფს შეუერთდა... _ მე რაღა ვქნა?.. ახლა სხვა ამბავს ჰყვება... _ კახაბერ ენაძეს, უკვე შვილიშვილების პატრონს, მორიგი საყვარელი გაუჩენია, რუსეთის რომელიღაც სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდა გოგო, ახალსკოლადამთავრებული... ვითომ მენატურედ ჰყავს, თურმე კარგა ხანია, მის სახელოსნოში ცხოვრობს, ცოლი კი ბაიბურში არ

არის... _ მე რომ ვთხოვო, ნეტავ თუ “მათხოვებს”? _ შიშველი ნატურა, რა ხანია, არ დამიხატავს, არადა ძალიან მაინტერესებს, ახლებურად მინდა ვსინჯო, ნეტა რა გამომივა? _ _”

ირმა ლაქლაქებდა დაგემოვნებით, მთელი ეშხით...

“_ _ ნუთუ ეს ქალი მხატვარია? _ ნუთუ ლექსებსაც წერს? _ რა საოცრება არ ხდება ამ ქვეყანაზე! _ _”

ია კიდევ ერთი, ამჯერად სასაცილო საოცრების მხილველიც გახდა.

ირმა პირს არ აჩერებდა და თან უცნაურად იწმაწნებოდა, თითქოს რომელიღაც ველური ტომის ცეკვას ასრულებდა.

_ რა დაგემართა? _ ჰკითხა იამ.

_ რა ვქნა, გოგო, ერთ ადგილზე ვერ ვჩერდები, წელზე რაღაც მაწუხებს... ვერ გავიგე, რა მჭირს, დილიდან ვერ ვისვენებ, დავიტანჯე... რამე ხომ არ ჩამიძვრა შიგნით? მეშინია!.. მოდი, აქ, კუთხეში მოვეფაროთ, ნახე ერთი...

_ კარგი, ჰო... მიდი... აქა? _ იამ ხელი შეუყო ლაბადის ქვეშ და თითებით ზურგის მხარეს წელზე დაკუთხულ სიმაგრეს მიაკვლია. _ რაღაც საგანი ჩანს... რა უნდა იყოს?

_ უიმე, შენი ჭირიმე, იქნება რამენაირად მომაცილო, დავიტანჯე... არა, ჯობს, შენ ჩამომეფარო და მე ვცდი... მეტი აღარ შემიძლია... ხომ არავინ მოდის?

ირმა თითქმის ორად მოიკეცა, დაიკვანწა, მოხრილმა კაბის ქვეშ ხელი შეაცურა და ცოტაოდენი ჯახირის შემდეგ... გამოაძვრინა ხის სარეცხის სამაგრი! სახე დაუმშვიდდა და წამოიძახა:

_ ჯანდაბა ჩემს თავს, დილას გასაშრობად გაფენილი ტრიკო ჩამოვიღე თოკიდან, ეტყობა, ჩაცმისას სიჩქარეში ჩამყვა...

ია გადაფიჩინდა სიცილით, მერე უთხრა:

_ მოიცა, სხვა რაღაც კიდევ გაქვს _ აქ, კისერთან... მოიცა, ვნახო... თეთრი ნაჭერია, მოვაძრო?.. პატარა თეთრი ნაჭერია.

_ უი, გოგო, ეგ იარლიყია, სვიტრი ქიმწმენდაში მქონდა ჩაბარებული და მოძრობა დამავიწყდა... მოაძრე, რა!

_ სვიტრი არ გაირღვეს, ჯობს, ჩაგიკეცავ, რომ არ გამოჩნდეს, შინ შენ თვითონ მოაძერი. ნაღდი პოეტი ხარ _ გონებადაფანტული!

“_ _ თუ კიდევ გააგრძელა თავისი ლაილაი, მთელი ჩემი მოთმინების მიუხედავად, იძულებული ვიქნები, მეც გიასავით გავექცე... _ ცნობისმოყვარე, თავმოუბმელი... _ თავისი საქმეები მოუგვარებია და სხვისაში ეჩხირება _ თუმცა, რას ვერჩი, აცაბაცა კია, მაგრამ ხომ დამეხმარა _ _ ზურაბ გიგილაური (1959) “მთა” _ მთის მეტს ყველაფერს ჰგავს _ პატარა ბავშვის ხელს ბაძავს? _ _ გუგა მელიკაშვილი (1946) “ქვები” _ ნეტა ვინაა ეს გუგა, ქალია თუ კაცი? ოსტატის ხელი ეტყობა და მით უფრო საწყენია, რომ დროსა და ენერგიას ასეთ წვრილმანში ხარჯავს _ გამოკვეთილი, ცხადი, მკვიდრი მონასმი, სიმშვიდე, სიმტკიცე _ მაინც ცოტაა სურათისთვის... _ ნუთუ თემები გამოილია? _ ქვები... კი, ბატონო, იყოს თუნდაც ქვები გამოსახული, ივარჯიშე, ითამაშე, გამოფენაზე რაღას გამოგაქვს? _ ამას ჰქვია წვრილთემიანობა _ ეს იგივეა, სიმძიმეების აწევაში მსოფლიოს ჩემპიონი სცენაზე გამოვიდეს და 15-20კილოგრამიანი შტანგა აწიოს... _ (“ჰო, რა თქვი, ირმა?”) _ მად-

ლობა ღმერთს, გვარამ ვარამაისძე შემოგვხვდა ისევ _ კინაღამ შევეჯახეთ ერთმანეთს, რა ყურადღებით ჩაღრმავებია სურათს... _ ("გამარჯობა გვარამ! ირმას ხომ იცნობ? _ კარგად, კარგად, ცოტას კი ვღელავ, რა თქმა უნდა... _ აუცილებლად, აუცილებლად!") _ რა სასიამოვნო პიროვნებაა, მაგასთან ყოველი შეხვედრა კეთილ განწყობას გიტოვებს... გამშვიდებს... _ _"

ბატონი გვარამ ვარამაისძე _ მაღალი, გამხდარი, შუახნის კაცი, აკაკი კუკაბაძის სურათის, უკეთ რომ ვთქვათ, კოლაჟის _ "კომპოზიცია N17" _ წინ იდგა თვალმოჭუტვით.

_ კოლაჟი... კოლაჟების დიდი მოსავალია ამ გამოფენაზე, არ მოველოდი. თქვენ რას იტყვით, ქალბატონო ია?

_ სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს... გამოფენა ჯერ ბოლომდე არ დამივლია, მაგრამ წინასწარვე შემიძლია ვთქვა: ერთფეროვანია, ცნობისმოყვარეობასაც კი არ აღმიძრავს... რა უნდა თქვა კოლაჟში ახალი? ან გინდაც ეს შეძლო, იქნება ეს რაიმეთი საინტერესო? ჩემთვის _ არა.

_ რატომ? _ მოულოდნელი სიცხარით ჩაერთო საუბარში ირმა. _ თუკი ის არის, ესე იგი, საჭიროც ყოფილა, ვიღაცის ახირებით კი არ არსებობს, არამედ ობიექტური მოთხოვნილების გამო. აბა, ამდენი ხალხი ტყუილად ცდება და შენ ჭკვიანი ხარ და ისინი _ სულელები?

_ თქვენი ლოგიკით გამოდის, რომ, მაგალითად, თუ ჭლექი არსებობს, ის საჭიროც ყოფილა, _ გაეცინა გვარამს.

გვარამის ირონიით შეფერილმა ნათქვამმა ირმას მოულოდნელი აფეთქება გამოიწვია:

_ თავხედი! _ მიაძახა გვარამს, მიტრიალდა და თითქმის სირბილით გასცილდა მათ.

_ ბოდიში, არ მეგონა, თუ ასეთი ფიცხი იყო და უწყინარი ხუმრობა მასზე ასე იმოქმედებდა... _ დამნაშავე ღიმილით წარმოსთქვა გვარამმა.

_ არაფერია, ბატონო გვარამ, ხან ასე იქნება, ხან ისე, _ დაამშვიდა იამ და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი: _ გამოფენის ნახევარი დავათვალიერე უკვე და ჯერ ჩემთვის საინტერესო თითქმის ვერაფერი ვნახე... ვბერდები თუ რა არის, ბუზღუნის პერიოდი დამეწყო... თუნდაც აი, ამგვარი კოლაჟები უამრავი მინახავს... არ მობეზრდათ?

_ დილიდან ვარ ამ გამოფენაზე, ერთი სამჯერ მაინც დავიარე თავიდან ბოლომდე და მეც იმედგაცრუებული დავრჩი. სხვა დროს ბევრად ორიგინალური და დასამახსოვრებელი ნამუშევრები იყო. ალბათ ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიც არის, რომ ჩვენი ცნობილი მხატვრების დიდი უმრავლესობა რატომღაც არ ფენს თავის ნამუშევრებს... არ ვიცი, რა მიზეზით: სერიოზული არაფერი აქვთ შექმნილი თუ აქ გამოტანას არ კადრულობენ და პერსონალური გამოფენისთვის ინახავენ?.. ამ კოლაჟზე რომ ბრძანეთ, ბევრი მინახავს ამნაირიო, ერთმანეთის მიბაძულობით აკეთებენ და შედეგიც შესაბამისია... სხვანი კიდევ, ღმერთო ჩემო, ვის არ ბაძავენ, ვისი ნამუშევარი არ მოგაგონდება, თანაც უფრო ხშირად პირდაპირ "ტრანსპლანტაციას" აკეთებენ განთქმული ოსტატის მანერის, ხერხის თუ ფერწერული გამისა... აქ ნახავ "მოდილიანისაც", "მონესაც", "ლეჟესაც", "მატისსაც", და ყველაზე ხში-

რად კი _ “პიკასოს”... ათამდე დათვლი. პირდაპირ, გაუაზრებლად, ხელის აუკანკალებლად იპარავენ ფრანგთა “აპრობირებულ” მანერებს და ჰგონიათ, იოლად მიაღწევენ წარმატებას, მაგრამ სული? სულს ხომ ვერ გადმონერგავენ! გარეგნული მიბაძვა უსიცოცხლოა; თუ შენი სულის წვა, საკუთარი გრძნობა არ ათბობს უხილავად შიგნიდან ტილოს, ის ცივია, “მკვდარია”... დასანანია, რამდენი ნიჭიერი მხატვარი ვერ იყენებს თავის შესაძლებლობებს, ფუჭი გზით მიდის, იოლად სურს ფონს გასვლა...

ბატონ გვარამსაც უყვარდა ლაპარაკი, ამჯერად ცხარედ მსჯელობდა, _ ეტყობოდა, გულს სტკენდა არსებული მდგომარეობა, _ მაგრამ იას არ ბეზრდებოდა მოსმენა, მადლობელიც კი იყო მისი სიტყვაწყლიანობისთვის.

_ მართალს ბრძანებთ, სავსებით გეთანხმებით... კიდევ გავიაროთ, ეგერ მთელი ჯგუფი რაღაცაზე დავობს.

_ კეთილი, მივიდეთ, იქ არჩილის ორი სურათია, სხვათა შორის, ერთი კოლაჟია, მეორე _ აბსტრაქტული კომპოზიცია. მართალი მოგახსენოთ, არჩილის ბოლო დროის ნამუშევრები მისი ნიჭის შესაფერისი დონისა არ მგონია; ადრე ბევრად საინტერესოდ მუშაობდა.

ია წამით შეცბა არჩილის ხსენებაზე, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და რაღაც რომ ეთქვა, მხოლოდ ეს მოახერხა:

_ “ენუქი ქინურიძე” დაუწერიათ? ყველანი არჩილად იცნობენ...

_ ქართველებში ხშირია ასეთი შეუსაბამობა, _ უპასუხა გვარამმა, _ მეც ბავშვობაში და მერეც, ინსტიტუტში, გურის მეძახდნენ. სკოლის ამხანაგი რომ შემხვდება, ახლაც გურის მიწოდებს... რა თქმა უნდა, ჯობდა, “არჩილ ქინურიძე” დაეწერათ, “ენუქი” კი, შეიძლებოდა, შუაში ფრჩხილებში დაემატებინათ. ისე კი, უკეთესი იყო, სულ არ გამოეფინა ეს ორი... რა ვუწოდო მათ, არ ვიცი.

არჩილის შემოქმედებაზე იასა და გვარამს ადრეც ბევრჯერ ჰქონდათ საუბარი. რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთ გამოფენაზე შეხვედრისას გვარამმა იას უთხრა, თქვენს პეიზაჟებზე წერილის დაწერას ვაპირებო. იამ შინ მიიპატიჟა, აჩვენა თავისი ახალი ნამუშევრები და, რა თქმა უნდა, _ არჩილის ადრეული პერიოდის სურათებიც. მაშინ იამ შეიტყო, რომ გვარამს გამოქვეყნებული ჰქონია წერილი არჩილის შემოქმედებაზე და მხატვარს მისთვის ერთი სურათიც უჩუქებია. გამომშვიდობებისას იამაც აჩუქა გვარამს სურათი. გვარამმა კიდევ რამდენჯერმე მოინახულა იას სახელოსნო მისი შემოქმედების უკეთ გასაცნობად, შემდგომ კი მართლაც დაწერა წერილი, რომელიც იას გააცნო. იას წერილი მოეწონა და გადაწყვიტა, დაერთო იგი თავისი პერსონალური გამოფენის კატალოგისთვის. იმ წერილში ერთგან არჩილის შემოქმედებაზეც იყო გაკვრით საუბარი. თავდაპირველად იას უნდოდა, ის ადგილი ამოეღო, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა: ავტორს ეწყინებოდა და, რაც მთავარია, თვით წერილს დააზარალებდა, დაუკარგავდა დრამატულ მუხტს. ამ წერილის თავისი პერსონალური გამოფენის კატალოგში დაბეჭდვას იამ დიდი გაჭირვებით მიაღწია. მხატვართა კავშირში ირმას პირით მას დაჟინებით სთავაზობდნენ ვიღაც ხელოვნებათმცოდნე ქალბატონს, _ ბევრისთვის დაუწერია და შენც გაგიკეთებს წერილს კატალოგისთვისო, მაგრამ იამ შორს დაიჭირა: წერილი უკვე მზად არის, უკეთესი მე არ მჭირდებაო. “მერე, არა გრცხვენია, საკუთარ თავს რომ აქები-

ნებ საკუთარ მეგობარს?" _ უთხრა ირმამ. "შენ რატომ არ გრცხვენია, რომ, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, ვიღაც შენს მეგობარს მატენი, რომლის შესაძლებლობები ჩემთვის ფრიად საეჭვოა?" "რატომ არის საეჭვო? ძალიან ნიჭიერი ქალია, მხატვართა კავშირის რეფერენტია, ბევრ, შენზე არანაკლებ მხატვარს ბრწყინვალე კატალოგი გაუკეთა..." "ჰოდა, როცა საკუთარ პერსონალურ გამოფენას მოაწყობ, შორს ძებნა არ დაგჭირდება კატალოგისთვის წერილის დამწერისა, მე კი თავი დამანებე!" და სერიოზული დავის შემდეგ იამ მაინც თავისი გაიტანა.

"_ _ არჩილის სურათების წინ მართლაც ხალხი ირევა _ მათში ორი წვერებიანი, გრძელთმიანი ახალგაზრდა გამოირჩევა _ ნეტა რაზე ლაპარაკობენ ასე გაცხარებით? _ საინტერესოა, ფრიად საინტერესო... _ _"

_ ვაჰ, ხოში მაქვს და ვაკეთებ!.. ვთამაშობ! მინდა, ჩემი უნარი, ძალები მოვსინჯო!.. _ ამბობდა ერთ-ერთი ახალგაზრდა, შავგვრემან ლამაზ სახეზე რომ შნოიანად აჯდა კეხიანი ცხვირი და დიდრონ, თაფლისფერ თვალებს ისე აბრიალებდა. თითქოს ეს-ესაა დაუძინებელ მტერს უნდა შეებასო. _ არ მაქვს უფლება? მინდა _ კოლაჟს გავაკეთებ, მინდა _ აბსტრაქტს, ვის რა ესაქმება!

_ აკრძალვებისა და ძალმომრეობის დრო წავიდა, ახლა სხვა სიო ჰქრის! რაც მოგვიტანა მაშინ უხეშმა ზეწოლამ, კარგად მოგეხსენებათ! _ მხარს უბამდა ბოხი ხმით მეორე, ამხანაგზე ბევრად მაღალი, შავბერეტიანი.

_ კი, Bბატონო, რაც მოგესურვებათ, ის აკეთეთ, ვინ გედავებათ, მაგრამ ერთი ეს მითხარით: რაღა სანაგვეზე ეძებთ შთაგონებას, ან მაინცდამაინც სიმახინჯე და სულაც უფორმო, განყენებული ლაქა თუ ხაზი გაღელვებთ? _ ეკამათებოდა მათ სათვალიანი შუახნის მხატვარი დავით კუტიპურაშვილი.

_ ბოდიში და, ეგ პრიმიტიული წარმოდგენებია; კიდევ გეუბნებით: გაახილეთ თვალები, ბიძია, ახლა სხვა დროა! _ თავისას იმეორებდა შავბერეტიანი. _ კოლაჟის სამყაროსა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულება არ არის ისეთი მარტივი და სწორხაზოვანი, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ. გგონიათ, აიღებთ ამას, ამას და ამას, ვთქვათ, ძველი გაზეთის ნაგლეჯს, ფეხსაცმლის ლანჩას, ცოლის დახეულ წინდას, დააკრავთ ჰაიჰარად ფიცარზე ან მუყაოზე და კოლაჟიც მზად არის?

_ არა, ეს სურათები არ არის! _ დინჯად, მაგრამ საკმაოდ მტკიცედ პასუხობდა დავით კუტიპურაშვილი. _ სახვითი ხელოვნება იმიტომ ჰქვია მხატვრობას, რომ საგანი უნდა ასახო და არა მზამზარეული, თანაც ყავლგასული, პასიურად გადმოიტანო და დაატყეპო მუყაოზე, ან რაღაც ლაქები და ხაზები აზილო ერთმანეთში შენი ბუნდოვანი წარმოდგენების გადმოსაცემად...

_ გამარჯობა, დათიკო! _ მიესალმა კუტიპურაშვილს ია (ასე შინაურულად იმიტომ მიმართა, რომ ერთ ჯგუფში სწავლობდნენ სამხატვრო აკადემიაში და ახლაც მეგობრობდნენ). _ გამარკვიე ერთი, რა აქვს საერთო არჩილის ამ ორ სურათს, ერთად რომ ჩამოუკიდიათ? ერთი შეხედვითაც ანტიპოდებია კოლაჟი და აბსტრაქტული სურათი _ ერთში ნატურალური საგნების დესანტია, მეორეში _ საგნის მინიშნებაც არ ჩანს...

_ საერთო ის არის, რომ ორივე კატეგორიულად უარყოფს რეალობის ასახვას, _ უპასუხა დავითმა იას, თან ხელიც ჩამოართვა. _ ორივე შემთხვევაში ვხედავთ გაქცევას სინამდვილიდან...

_ ... მე დავამატებდი: და ხელოვნებიდანაც! _ გვარამმაც ჩამოართვა ხელი დავითს. _ ამ ორ ნაწარმოებს მსოფლმხედველობა აერთიანებს. ეს სახვითი ხელოვნება არ გახლავთ ტრადიციული გაგებით, გეთანხმებით, ბატონო დავით, ეს სხვა რაღაცაა, ხელოვნების ახალი სახეა, ჩვენს საუკუნემდე არარსებული _ კოლაჟიც და აბსტრაქტული სურათიც რაღაც სხვა განზომილებაში გადადის, ტრადიციულ სახვით ხელოვნებასთან კავშირი არ აქვს.

_ ცდებით, პატივცემულებო, სახვითი ხელოვნება გულისხმობს არა საგნების ასახვას, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ, არამედ სახეებით აზროვნებას, სახისმეტყველებას! _ ისევ გააქტიურდა შავბერეტიანი. _ რა შუაშია აქ საგნების ასახვა? გაიხედეთ გარეთ, პატივცემულნო, XX საუკუნე იწურება! თქვენი აზრით, ეს სურათები ხელოვნების შეურაცხყოფაა, _ გაიშვირა ხელი არჩილის სურათებისკენ, _ უკეთეს შემთხვევაში, საერთოდ არ არის ხელოვნება... ეგ თქვენი ნებაა, როგორც გსურთ, ისე იფიქრეთ, მაგრამ სხვასაც მიეცით თავისუფალი აზროვნების უფლება! აი, მაგალითად, რა შეხედულებისა ხართ ლუი არმსტრონგზე, მოგწონთ მის მიერ შესრულებული სიმღერა?

_ მომწონს კი არა, მიყვარს.

_ ახლა წარმოიდგინეთ, რომ ლუი წარსდგა განათლებული მუსიკალური საზოგადოების წინაშე XVIII ან თუნდაც XIX საუკუნეში, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი შესრულება? რა სკანდალი ატყდებოდა, რა აღშფოთება! ეს შეურაცხყოფაა საზოგადოებისა, ეს წარმოუდგენელი, გაუგონარი მკრეხელობაა, ანტიხელოვნებაა, _ დაიწყებდნენ ყვირილს და არა მგონია, გამოჩნდებოდა თუნდაც ერთი დამფასებელი, რომელიც იტყოდა: "ხალხო, ნუ განსჯით ასე ცალმხრივად და სასტიკად, გენიოსს ყველაფრის უფლება აქვსო".

_ თქვენ გინდათ, თქვათ, რომ კოლაჟისტები გენიოსები არიან და ჩვენ უვიცები, ჩამორჩენილები?

_ არა, მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ესთეტიკური შეფასების კრიტერიუმები არ არის მუდმივი: რაც ერთ ეპოქაში ან ერთ საზოგადოებაში, დავუშვათ, სილამაზის თუ მხატვრულობის ეტალონად ან კანონად არის მიღებული, სხვა დროს კი, სხვა საზოგადოებაში, ის შეიძლება მიუღებლად მიიჩნიონ და ხელოვნებას საერთოდ არ მიაკუთვნონ. თქვენ, როსინის, ვერდის და პუჩინის ოპერებზე გაზრდილებს, ჩინური კლასიკური მუსიკალური დრამის წარმოდგენაზე შეიძლება, ჩაგეძინოთ ან კიდევ მეტი _ ვერ გაუძლოთ თქვენთვის უჩვეულო ჰანგებს და გაიქცეთ... ერთ და იგივე ერში და კულტურაშიც კი დროს მოაქვს ესთეტიკური კრიტერიუმების ცვლა და ზოგჯერ _ რადიკალურადაც. ასე რომ, როგორი სურათები მოეწონება ჩვენს მომავალ თაობებს, თუნდაც მესამეს, მეოთხეს, _ ახლა ამის წინასწარ განჭვრეტა ყოვლად შეუძლებელია. მაგალითი: ვის შეეძლო წარმოედგინა XVIII საუკუნეში ისეთი მოვლენა მუსიკაში, როგორიც არის ჯაზის ხელოვნება?

_ ჯაზი ახლაც ბევრს არ მოსწონს...

_ მოგეხსენებათ, გემოვნებაზე არ დაობენ... თქვენ, მაგალითად, მაღალ დონედ ან, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილ მხატვრობად მიგაჩნიათ ამ დარბაზში გამოფენილი სურათების უმრავლესობა, მე კი ისინი მგონია გარდასულ დროთაგან შემორჩენილ ცოცხალ მიცვალებულთა გამოფენა! უკან-უკან მიჩანჩალებთ, ძველ,

მობეზრებულ ჰანგზე უკრავთ... აქა-იქ თუ ჩანს ცოცხალი რაღაცა, სხვა ხელი, თანამედროვე მხატვრობის მიმანიშნებელი ახალი სიტყვა და თქვენ იმასაც აბუჩად იგდებთ, ხელოვნება არ არისო. უფლება რომ გქონდეთ, ამ სურათებით კოცონს გაანთებდით!

_ როგორ გეკადრებათ, ყმაწვილო, ასეთი გაცხარება! _ დინჯად მიმართა დავითმა შავბერეტიანს. _ იქნებ ისიც მითხრათ, ჯიბეში ბენზინი და ასანთი გაქვს გამზადებულიო...

_ ახლა რომ თავს ვიწონებთ დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის სურათებით, თქვენი ლოგიკით, ისინი მაშინ გამოფენებზე არ უნდა დაეშვათ, აკი ორივე აკადემიიდან გამოაგდეს, შიმშილით კინაღამ მოკლეს, ფსიქოლოგიურ წნეხზე რომ არაფერი ვთქვათ...

_ ყმაწვილო, რა შუაშია აქ გუდიაშვილი და კაკაბაძე? _ ახლა გვარამ შეეპასუხა შავბერეტიანს, _ აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ აბსტრაქტულ თუ კოლაჟურ სურათს... ბოდიში, ნამუშევარს სურათს ვერ დაარქმევ. აი, არჩილის ამ წმინდა აბსტრაქტულ, უსაგნო კომპოზიციაშიც თვალი ძალაუნებურად ეძებს რაღაც საგანს, ამ უფორმო ლაქებსა და ხაზებს რაღაც გამოსახულებას ამგვანებს, _ როგორც უნდა ცდილობდე, რეალობას მოწყდე, მას მაინც ვერ გაექცევი, ამის მოთხოვნილება იმანენტურად არის ჩადებული ადამიანის ფსიქოლოგიაში, ასე არ არის?

_ თქვენ ხალიჩა გიყვართ? _ ჰკითხა შავბერეტიანის ამხანაგმა დავითს.

_ რა თქმა უნდა...

_ ძალიან კარგი... დამეთანხმებით, ხალიჩას მხოლოდ სილამაზე კი არა, შინაგანი ენერგიაც აქვს, დამუხტულია დადებითი ენერგიით და ჩვენც გვმუხტავს. ხალიჩა ცოცხალი არსებაა, გვესაუბრება... ხალიჩის ყურება სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, სიცოცხლეს გვილამაზებს და გვიხანგრძლივებს! აბსტრაქტული სურათიც ასევეა!..

_ კეთილი, ვთქვათ თქვენ გაქვთ არჩევანი, _ შავბერეტიანის ამხანაგს მიმართა დავით კუტიპურაშვილმა, _ დავით კაკაბაძის რომელ სურათს დაჰკიდებდით შინ კედელზე _ აბსტრაქტულ კომპოზიციას თუ იმერულ პეიზაჟს?

_ ეგენი ორივე ერთი კაცის გაკეთებულია, როგორ შეიძლება მათი დაპირისპირება? _ გაუკვირდა შავბერეტიანს. _ ორივე თანამედროვე თვალთახედვით არის შესრულებული!..

_ ერთი მეორეს ამდიდრებდა, ხომ მეთანხმებით? _ დაამატა შავბერეტიანის მეგობარმა. _ რაც თქვენ მიგაჩნიათ ცხოვრებისგან მოწყვეტილ ანდა უსაგნო სურათად, ხშირ შენთხვევაში თავისი უჩვეულო, ფანტაზიური იერის მიუხედავად, შესაძლოა, უფრო მართალი იყოს, უფრო ნაღდი, უფრო დამაჯერებელი სინამდვილის არსებითი მხარეების წარმოსაჩენად, ვიდრე ყველაზე "ზუსტი" ასლი...

_ მერე, ვინ ამტკიცებს, ნამდვილი მხატვრობა ზუსტი ასლიაო? _ ამჯერად გვარამ ვარამაისძე შეეპაექრა, _ სულაც არა. თქვენ რატომღაც გგონიათ, რომ XX საუკუნის დაუწყობელი, ქაოსური, დინამიკური და წინააღმდეგობრივი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება შეუძლებელს ხდის ნაწარმოების ნათელი, გარკვეული, მოწესრიგებული და ყველასთვის ცხადი ფორმით შექმნისა... თქვენი აზრით, აბსტრაქციაც და კოლაჟიც წინ აღუდგა სინამდვილის "ძალმომრეობას"' გაგათავი-

სუფლათ დოგმების ზეწოლისგან, მე კი მათში ვხედავ თავისუფლებას კი არა, თავაშვებულობის გამოხატულებას. ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი _ უდიდესი რეფორმატორები მუსიკაში, ეპოქის შემქმნელები _ რევოლუციონერები იყვნენ? ძველი დაანგრიეს და სრულიად ახალი ააშენეს? არა, ბატონო, ისინი ძველს მთლიანად კი არ უარყოფდნენ, ტრადიციას აგრძელებდნენ, შემოქმედებითად ავითარებდნენ...

_ ისე ლაპარაკობთ, თითქოს პოპულარულ ლექციას კითხულობდეთ, თქვენთან კამათი ძნელია, _ ჩაიქნია ხელი შავბერეტიანმა. _ თქვენ თქვენი სიმართლე გაქვთ, სხვას ვერაფერს ხედავთ _ თქვენთვის პიკასოს მაგალითიც არაფერს ნიშნავს...

_ უნდა მოგახსენოთ, რომ პიკასო, მართალია, კოლაჟის "მამაა", მაგრამ ის პიკასოა და პიკასოს კი ყველაფრის კეთების უფლება აქვს! _ ამჯერად შეეპასუხა იაც. _ მეორეც: პიკასო არასდროს ყოფილა მოდის კუდში მიმდევარი, მეთანხმებით?!. ის თვით ჰქმნიდა მოდას... ეს კოლაჟები და აბსტრაქტები მოდის აყოლაა, აბა რა _ ასეთ ექსპერიმენტებს უკვე დიდი ხანია, ყავლი გაუვიდა, ამოწურეს თავისი შესაძლებლობები, ცხადია, თუკი მათ რაიმე სერიოზულ შესაძლებლობებზე შეიძლება ლაპარაკი საერთოდ... იცით, რას ამბობს კამილ სენ-სანსი? ხელოვნების ნიმუშს რომ ჰბაძავ, ჰბაძავ მის ნაკლოვანებებს და არა იმას, რაც მასში ფასეულია, რადგან ფასეული განუმეორებელიაო. თუკი სხვისგან რაღაცას იღებ, სხვისი მიგნებების პასიური ექსპლოატაციით კი არ უნდა შემოიფარგლო, არამედ შენი შემოქმედებითი სახე უნდა გახსნა მასში, სხვისმა ნამუშევარმა შეიძლება მხოლოდ თავდაპირველი იმპულსის როლი შეასრულოს; შემოქმედი უნდა იყო და არა კოპიისტი. იგივე პიკასო ყველგან, ყველგან პოულობდა შემოქმედებით იმპულსებს: ანტიკურ მწერლობასა და ხელოვნებაში, აღორძინების მხატვრებთან, აფრიკის ზანგურ პლასტიკაში და ნიღბებში, პრიმიტივისტთა ნამუშევრებშიც კი. პიკასო სხვისი შემოქმედების ნაყოფს როცა იღებს, მას გარდასახავს ანუ სრულ ტრანსფორმაციას ახდენს... შედეგი? ხელოვნება, აყვანილი კვადრატში! ამას დიდი გაბედულება და გამორჩეული ნიჭი სჭირდება, ამის გაკეთების უფლება ყველას არ აქვს _ ვერ გაქაჩავს! კარგად მოგეხსენებათ, როგორ ეშინოდათ კოლეგებს პიკასოს სტუმრობისა _ მხატვრებს მისი შეშვება სახელოსნოში კატასტროფად მიაჩნდათ: თუკი პაბლო თვალს მოჰკრავდა რაიმე ორიგინალურს, მაშინვე გამოიყენებდა თავის შემოქმედებაში, თანაც ბევრად საინტერესოდ _ "კვადრატში აყვანით"! _ ვიდრე თვით იდეის ავტორი... იმიტომ, რომ საკუთარ, მძლავრ სულს ჩაჰბერავდა, თავისებურად გაიაზრებდა და ახლებური კუთხით გარდაქმნიდა, "ფოტოგრაფიულად" კი არ გადაიტანდა, უკეთ რომ ვთქვათ, კი არ მოიპარავდა, როგორც ბევრ ვაი-მხატვარს სჩვევია. საკუთარი "მუხტი" არ გააჩნიათ და სხვისი ნაღვაწით უნდათ გაანათონ _ უნაყოფო მცდელობაა...

_ ქალბატონო, თქვენი მსჯელობიდან ისე გამოდის, რომ ენუქი ქინურიძეს არ ჰქონია უფლება, თავისუფალი იყოს, ექსპერიმენტმა გაიტაცოს, _ არ ეთანხმებოდა შავბერეტიანი ახალგაზრდა. _ ის ხომ ცნობილი მხატვარია, დამსახურებული მხატვრის წოდება ტყუილად მიანიჭეს?

_ სახალხოზეა წარდგენილი, _ დაამატა მისმა მეგობარმა.

_ რას წარმოადგენს და რა დამსახურებაც აქვს არჩილ, იგივე ენუქი ქინურიძეს, მშვენივრად მომეხსენება, _ ისევ ჩაერთო დავაში გვარამ ვარამაისძე, _ ის ჩემი მეგობარია და ოც წელზე მეტია, მის შემოქმედებას თვალყურს ვადევნებ... არჩილი ნიჭიერი კი არა, ძალიან ნიჭიერია, დიახაც აქვს უფლება ექსპერიმენტებისა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს თვითმიზნური ცდები ცდებისთვის... ის რა მხატვარია, ვინც არ ცდილობს ცხოვრების მრავალფეროვნების სტიქიონში ყველაფერი "დააგემოვნოს", ფანტაზიას, წარმოსახვას გაარღვევინოს ჩვეული, უკვე მობეზრებული! რისკი, სითამამე, _ რატომ უნდა შეიკავო მისგან თავი, შეიზღუდო, უკვე დაღეჭილ-გადაღეჭილით იცოხნო, _ რა სიამოვნებას მიანიჭებს ეს შემოქმედს? მე მიმაჩნია: თუ მიბაძვაა, ბუნებას უნდა მიბაძო, ცხოვრებას უნდა მიბაძო, _ ამოუწურავია ერთიცა და მეორეც! რად გინდა, დალოცვილო, ვიღაცის "მონობა", დასაცინიც გახდე _ უდიდესი და უმდიდრესი მარაგია აგერ შენს გვერდით მოაზროვნე მხატვრისთვის! სამოცი-სამოცდაათი წლის წინ სხვების გაკეთებულს და აგერ უკვე თვით პიკასოს მიერ ნახევარი საუკუნის წინ და უფრო ადრეც მიტოვებულს მაგალითად რატომ იხდი? ჰა, რას იტყვით, ყმაწვილებო?

_ ძალიან ლამაზად და დამაჯერებლად კი ლაპარაკობთ, პატივცემულო, მაგრამ ამ სურათებს რომ ვუყურებ, ყველა თქვენი არგუმენტი კვამლივით იფანტება. აი, თქვენ არ მოგწონთ, მე _ მომწონს! მე არ მჭირდება იმის ანალიზი, რატომ მომწონს, არც მაინტერესებს... სურათი თვითონ ამბობს თავის სათქმელს, ის თავისი შინაგანი სულით უშუალოდ მელაპარაკება, უშუალოდ გადმოედინება ჩემში და სიტყვები და მსჯელობა აქ ზედმეტია.

_ მე კი ეს ნამუშევრები წმინდა ინტელექტუალური თამაშის ნაყოფად წარმომიდგება... აქ მხოლოდ ფორმისმიერი ხერხების ძიებას ვხედავ. თუ მხოლოდ გონებისმიერად მიუდექი და არ გაღელვებს, რასაც აკეთებ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანი სათქმელი თუ არ გაქვს, ვერც მაყურებელს გადასდებ შენს გრძნობებს. შეიძლება, თქვენთვის მოძველდა ეს შეხედულება, მაგრამ ჩამთვის გრძნობის გარეშე და სათქმელის გარეშე ხელოვნება არ არსებობს. თვითმიზნური თამაშის, ატრაქციონების, ექსცენტრული ეფექტების დრო წავიდა, ხელოვნება სერიოზული საქმეა...

_ როგორ, თქვენ ვერ ხედავთ ამ სურათებში სერიოზულ ძიებას? _ აიჩეჩა მხრები შავბერეტიანმა.

_ თქვენც იცით პიკასოს ცნობილი სიტყვები: "მე არ ვეძებ, მე ვპოულობ"... კეთილი, ბატონო, გეთანხმებით, არჩილი მაძიებელი მხატვარია, მოუსვენარი... დავუშვათ, იტაცებს რაღაც უხილავი ჯებირი გადალახოს, საზღვარი, რომლის იქითაც არ იცის, რა არის და გულისფანცქალით ელის ახალს _ ეს არის მისთვის მუდმივი ლტოლვის საგანი, ჯერ უცნობის აღმოჩენა... მაგრამ ეს მისწრაფება თვითმიზნად არ უნდა იქცეს, მით უმეტეს _ წმინდა ფორმალური ხერხების ძიებად. თუ რაღაც ახალი დაინახე, შეიგრძენი, განსხვავებული სათქმელი გაქვს, მისი ყველაზე უკეთ და სრულად გადმოცემის ძიებაში ორიგინალური ხერხებიც ძალაუნებურად მოვა, _ თავისით, ყოველგვარი ჭინთვის გარეშე. თუკი ორიგინალური ხედვა გაქვს ცხოვრებისა, სამყაროსი, _ თავისთავად იქნები ორიგინალური. ყოველი ადამიანი განუმეორებელია და სულ არ სჭირდება ორიგინალობაზე ზრუნვით ტვინის

ჭყლეტა; “მთავარია, იყო გულწრფელი და იქნები ორიგინალურიო”, _ ლევ ტოლ-სტოის ნათქვამს მაინც დაუჯერეთ, თუ ჩემი არ გწამთ.

_ მაშ, თქვენი აზრით, ენუქი ქინურიძის ეს სურათები არ არის ორიგინალური?

_ ჩვენ ერთმანეთს ვერ ვუგებთ... გინდაც ორიგინალური იყოს, მერე რა? მე აქ ვხედავ მხოლოდ გარეგნული ეფექტის მოხდენის სურვილს, მეტს არაფერს. აქ ფორმები “აწყვეტილია”, დაუმორჩილებელია რაიმე მიზნისა თუ აზრისადმი; უშუალობა კი არ არის, არის გამიზნული, გათვლილი ფორმათქმნადობა _ შინაგა-ნად ცარიელია, “ცივია”, ამიტომ ემოციურად ნეიტრალურს მტოვებს... ჩემი შეხე-დულებით, ამაზე დიდი ნაკლი ნამუშევარს არ შეიძლება ჰქონდეს.

_ ერთი სიტყვით, “წმინდა შემოქმედების” ნაყოფია, _ დაეთანხმა გვარამს და-ვით კუტიპურაშვილი, _ უსიცოცხლოა. ცოცხალია მხოლოდ ცხოვრებისეული, _ ეს პრინციპი ჩემთვის არ მოძველებულა.

_ ცხოვრების ძარღვი არ ფეთქავს, დაცლილია ფერ-ხორცისგან... _ გააგრძელა ისევ გვარამმა, _ ამდენად ჩემთვის ზნეობრივადაც გაუმართლებელია მათი შექმნა. ეს სურათები ჩემში მხოლოდ ცნობისმოყვარეობას აღძრავს; ვუყურებ და ვფიქროს: რა რთულად არის გაკეთებული არჩილის ეს ორივე სურათი, რამდენი უჭყლეტია ტვინი, დიდი შრომის ნაყოფია... შედეგი?.. მის აბსტრაქტულ ნამუშევარში ძველი არჩილისგან დარჩა მხოლოდ ფეროვანი გამა, უფრო სწორედ _ კოლორიტი: რუხ-მომწვანო-მოცისფრო, აი, ზოგიერთ ხავსს რომ აქვს ან მღიერს, ხეთა ძველ ტოტებ-ზე და ლოდებზე რომ სახლობს... კი, მაშინვე ვცნობ არჩილის თავისებურ ფეროვან გამას და, მართალი მოგახსენოთ, გული მწყდება და მაღიზიანებს კიდეც, რომ ასე-თი მდიდარი ტექნიკა და ფერის თვითმყოფი გრძნობა იხარჯება ამოჩემებულ მო-დურ... რა ვუწოდო, არ ვიცი... თემა? არა... მიმდინარეობა?.. ბევრი რომ აღარ გავაგ-რძელო, ამგვარ ნამუშევრებში გარეგანი აშკარად ჭარბობს შინაგან სიღრმეს. არჩი-ლის ამგვარი ნამუშევრები არ მომწონს, “ჩემი” სურათები არ არის...

შავბერეტიანი და მისი ამხანაგი ირონიული ღიმილით უსმენდნენ გვარამ ვარა-მაისძის მსჯელობას: “წყალს ტყუილად ნაყავ, პატივცემულო!” _ აშკარად ეწერა მათ სახეებზე.

_ თქვენ გაღიზიანებთ ის, რაც არ გესმით, _ მოურიდებლად შეეპასუხა ბოლოს შავბერეტიანი. _ უზრდელობაში ნუ ჩამომართმევთ და უნდა გაგახსენოთ, როგორ ხვდებოდნენ იმპრესიონისტთა სურათებს, ოფიციალურ გამოფენებზე არ აჭაჭა-ნებდნენ, პრესაში დაცინვითა და ლანძღვით აიკლეს; იგივე ბედი ეწიათ შემდეგ გოგენს, სეზანს, ვან გოგს... ახლა? ახლა მათი სურათები მილიონები ღირს!

_ კი, ბატონო, ამაში სწორი ბრძანდებით, მაგრამ ისინი მეამბოხენი იყვნენ, ახა-ლი, განსხვავებული ხედვა ჰქონდათ... ისინი თავისი დროის ჰაერით სუნთქავ-დნენ. არჩილის სურათებში ხედავთ ამას? სად ხედავთ აქ სიახლეს? რას აკეთებს და რისთვის აკეთებს? პირადად მე ამ სურათებში ვხედავ მხოლოდ მაყურებლი-სადმი უპატივცემულობას, თუ აბუჩად აგდებას არა...

_ კონიუნქტურას ხარკს უხდის, მეტი არაფერი, _ გვარამს სიტყვა ჩამოართვა დავითმა, _ აქ ახალს არაფერს ამბობს. კოლაჟებითა და აბსტრაქციებით დღეს ვე-რავის მოხიბლავ და ვერც გააკვირვებ. დასავლეთში ამგვარი კი არა, აღარც ბევრად მეტი სითამამე მიიქცევს ყურადღებას, მაგალითად, კოლაჟი მკვდარი ვირთხით ან

სხვა საზიზღრობით... როგორ ფიქრობთ, ყმაწვილებო, ესეც ხელოვნებაა? მე მგონი, ანტიხელოვნებაა.

_ ჩვენს საუბარს შეიძლება "ყრუთა დიალოგი" ვუწოდოთ! _ ირონიულად იღიმებოდა შავბერეტიანი.

_ ან "მამათა და შვილთა ბრძოლა"! _ გაეღიმა დავით კუტიპურაშვილს.

_ ერთი ორმოცდაათი წლის შემდეგ... _ დაიწყო და აღარ დაამთავრა სათქმელი გვარამ ვარამაისძემ, რადგან შავბერეტიანმა შეაწყვეტინა:

_ კარგი, ახლა ნუღარ გავაგრძელებთ უნაყოფო დავას, ორმოცდაათი წლის შემდეგ შევხვდეთ და მაშინ გავარკვიოთ მტყუან-მართალი... ბოდიში, მაინტერესებს, თქვენი სურათი მანახვეთ, სად ჰკიდია?

_ ამ გამოფენაზე არ არის, არ გამომიტანია.

_ თუ არ ვცდები, თქვენი ნამუშევარი, კარგა ხანია, არ გვინახავს გამოფენებზე... აფსუს, თქვენი ოქრო სიტყვები რატომ უნდა იყრებოდეს წყალში!

მისმა ამხანაგმაც ჩაიცინა, შემდეგ ორივენი მიტრიალდნენ და ხალხს შეერივნენ.

დავითიც სადღაც გაუჩინარდა.

იამ გიას მკლავში ხელი გაუყარა:

_ გავაგრძელოთ? როდის მოხვედი, რატომ ვერ დაგინახე?

_ ისეთი გატაცებით უსმენდი... კარგა ხანია, შენს გვერდით ვდგავარ. ყველას პირღია მისჩერებოდი შოშიასავით!

_ ჰო, ასეთი ჩვევა მაქვს ბავშვობიდანვე: თუ ვინმე ლაპარაკობს, ყოველ სიტყვას ვყლაპავ, უგულისყუროდ ვერ ვუსმენ. სკოლაში რომ ვსწავლობდი, გაკვეთილებს შინ თითქმის არ ვამზადებდი, მხოლოდ საშინაო დავალებებს ვწერდი _ მასწავლებელი ახალ გაკვეთილს რომ გვიხსნიდა, ერთ სიტყვას არ გამოვტოვებდი, მართლაც შოშიასავით პირდაღებული ვუსმენდი. ახლაც ასე ვარ. ტელევიზორს როცა ვუყურებ, იმავე დროს სხვა რამეზე ლაპარაკი არ შემიძლია, არც _ ფიქრი.

_ რა ვიცი, ირმასაც მასე უსმენდი?

_ ხან _ კი, ხან _ არა! _ გაეცინა იას, _ უფრო მეტი ყურადღებით სურათებს ვესაუბრებოდი.

_ ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო! – გაეცინა გიასაც.

მოცქრიალდა ირმა, გვარამ ვარამაისძეს გამომწვევად ზურგი შეაქცია, იას ყურისკენ დაიხარა და ჩურჩულით ამცნო:

_ დიანა გამოჩნდა... პირდაპირ შენს პეიზაჟთან მივიდა და არ სცილდება!..

VII. მიხა

თუკი რუსთაველის გამზირზე მომიწევს გავლა, დიდი ალბათობა არსებობს, რომ მიხა წირპლაშვილი შემხვდება. მიდის ხოლმე ქუჩაში ამაყად თავაწეული, განუყრელი დიდი, გაქექილი პორტფელით ხელში; გრძლად მოშვებული, წაბლისფერი, ჭაღარაგარეული თმა მხრებამდე სწვდება _ "არტისტია"! თუ შეგნიშნა, მაშინვე ფართედ გაგიღიმებს და შენსკენ გამოეშურება; ხელს გულითადად ჩამოგარ-

თმევს, მოგიკითხავს და გაგიბამს გრძელთაგრძელ საუბარს, უპირატესად _ მხატვრობაზე. მართალი მოგახსენოთ, მხატვრობისა არაფერი გაეგება, სულ მხატვართა შორის კი ვხედავ. ყველა ვერნისაჟს ესწრება, მარად საგამოფენო დარბაზებში დაყიალობს; იმდენად ექსპონატებს არ ათვალიერებს, რამდენადაც სხვებს უყურებს პირში, იქნებ რაიმე აზრი დასცდეთო. კალამი და უბის წიგნაკი ყოველთვის ცალ ხელში უჭირავს, მეორეთი რაღაც-რაღაცით გამოტენილ უზარმაზარ პორტფელს დაათრევს (უპორტფელოდ ის საერთოდ არსად შემხვედრია, ფეხბურთის მაჩზეც კი. რა აქვს შიგ _ ღმერთმა უწყის, ალბათ დი-ი-დი ფუნდამენტური ნაშრომი!). ორსამ მოსაუბრეს გვერდით აეტუზება და მიაყურადებს. თუ პორტფელი ძირს დადო ან, უფრო ხშირად, ლაჯებშუა მოაქცია თავისი განუყრელი თანამგზავრი, ეს ნიშნავს, რომ ვიღაცის შეფასებას, დაკვირვებას ან მოსაზრებას მოჰკრა ყური და მაშინვე თავის უბის წიგნაკში ინიშნავს... ხშირად თვითონაც უბოდიშოდ ჩაერევა ხოლმე საუბარში და უმეტესად ისეთ რასმე მარგალიტს წამოროშავს, რომ მსმენელებს უხერხულ მდგომარეობაში აგდებს _ ასეთ სისულელესთან კამათი შეუძლებელია, მხოლოდ უნდა გაიღიმო, რადგან მიხა თავის "მოსაზრებებს" ყოველთვის რიხით და თავდაჯერებით წარმოსთქვამს.

მიხა გაზეთებში პატარ-პატარა ინფორმაციებს აქვეყნებს სამხატვრო გამოფენების ან მხატვრების შესახებ. ტრაბახობს: რამდენიმე ასეული ნაშრომი მაქვს უკვე დაბეჭდილიო... იმასაც დასძენს, რომ შინ ჯერ გამოუქვეყნებელი 200 მოთხრობა და 800 ლექსი მიდევსო. არ ტყუის, ასეც არის!

დიახ, გაზეთების რედაქციათა ხშირი სტუმარია, ოპერატიულობაში მართლაც ვერავინ სჯობნის _ დღეს რომ გამოფენა გაიხსნება, მეორე დილით მზა კორესპონდენციით ის უკვე რომელიმე რედაქციის კართანაა ატუზული. მისი რამდენიმესტრიქონიანი ინფორმაცია უმეტესწილად "ქრონიკის" განყოფილებაშია გამოჭიმული, ზოგჯერ კუდმოკლე კრიტიკულ წერილსაც მოაცოდვილებს, მაგრამ იმდენად უმწეოს, რომ გაზეთთა მრავლისმნახველი, გამოცდილი სტილისტებიც კი უძლურნი არიან, ბოლომდე ჩაფარცხონ მისი გრამატიკული თუ აზრობრივი უსწორმასწორობანი. ვინც მიხას "შემოქმედებას" არ იცნობს, მისი ნაწერი პაროდია ეგონება: პირდაპირ საოცრებაა, როგორ ახერხებს ერთი ციცქნა წერილში ამდენი კურიოზული შეცდომის, მცდარი გაგება-შეფასების, უადგილოდ ნახმარი სპეციფიკური ტერმინების, მაღალფარდოვანი, გაცვეთილი, უგემური შტამპების, ცუდად გაგებული უცხოური სიტყვების დახვავებას... ხელს ასე აწერს ხოლმე: "მიხეილ წირპლაშვილი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე"... არ გეგონოთ, ტყუის; რომელიღაც ინსტიტუტში ესთეტიკის კურსს კითხულობს მომავალი მშენებლებისა და არქიტექტორებისთვის და წოდება მართლაც მიანიჭეს "ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის"...

საკვირველია, მიხას მდარე, ყოვლად უსუსურ "წერილებს" ხალისით ბეჭდავენ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები. კიდევ უფრო საკვირველი ის არის, რომ მიხას "შემოქმედება" ხელოვნებით დაინტერესებულ საზოგადოებაში სხვადასხვაგვარ შეფასებას იწვევს. ბევრჯერ შევსწრებივარ ასეთ საუბარს:

_ წაიკითხე მიხაკოს წერილი ჩემს გამოფენაზე? სასაცილოზე სასაცილოა! _ ამბობს ერთი.

_ რა არის აქ სასაცილო? აღმაშფოთებელია! _ პასუხობს მეორე. _ როგორ მიეცი უფლება, ასეთი სისულელეები წეროს შენზე? მაგისი უაზრო და ზღვარგადასული ქება-დიდებაც კი შეურაცხმყოფელია!

_ რატომ? ხომ ხედავ, თითო-ოროლა ხელოვნებათმცოდნე გვყავს და ისინიც წლების განმავლობაში ერთ-ორ წერილსაც არ აქვეყნებენ, ეს კაცი კი დაინტერესებულია ხელოვნებით, შრომობს, ავად თუ კარგად საზოგადოებას ინფორმაციას მაინც აწვდის... მე მგონი, მადლობის ღირსია.

_ ბოდიში და, ამდენ ნაგავს რომ ახვავებს, იმისთვის? მაგის "მოღვაწეობა" დანაშაულია!

ერთმა გამოჩენილმა მხატვარმა (რომელსაც, სხვათა შორის, კალამიც მშვენივრად უჭრის და შესანიშნავი წერილებიც აქვს გამოქვეყნებული ხელოვნებაზე) მიხას მოურიდებლად უთხრა:

_ მიხაკო, ჩემო კარგო, აწ და მარადის გიკრძალავ თუნდაც ერთი სტრიქონის დაწერას ჩემს შემოქმედებაზე, გინდაც საქებარისა... და დიდად დავალებული ვიქნები შენგან და ერთ კარგ პურღვინოსაც ვიკისრებ, თუკი საერთოდ შეეშვები წერას!

ამას წინათაც შევხვდი მიხას და ძლივს ვიცანი _ წვერ-ულვაში მოუშვია!

_ ფერწერაში დავიწყე მუშაობა! _ მახარა, _ თვითნასწავლ მხატვართა გამოფენაზე ჩემს მიერ შესრულებული ათი პორტრეტი და ოცდახუთი პეიზაჟია გამოფენილი. როცა მოიცლი, შენს პორტრეტსაც დავხატავ!

მადლობა მოვახსენე, რასაკვირველია, და სასწრაფოდ გავეცალე. მაინც დამაინტერესა და მეორე დღესვე ვნახე გამოფენაზე მიხას ნიჭის ახალი გამობრწყინება... ამოვიოხრე: აბსოლუტურად "ყრუა" ფერის მიმართ, ნახატზე და კომპოზიციაზე მწყრალად გახლავთ _ ასეთი უღიმღამო, "ჭუჭყიანი", ყოველგვარ გამომსახველობას მოკლებული "ფერწერა" ჭეშმარიტად მხოლოდ მიხას შეეძლო შეექმნა!

თუმცა არა, ალბათ ვცდები, ასეთი "მიხები" სხვაც მრავალი უნდა იყოს და, რაც უკვე აღარ მაკვირვებს, დიპლომიან ხელოვნებათმცოდნეთა შორისაც. ყოველ შემთხვევაში, ერთს მაინც ვიცნობ შორიდან _ მამანტი თორგოლაურს, რომელიც ნიჭით არა, მაგრამ პრეტენზიულობით კი აშკარად სჯაბნის მიხას... მამანტი წერილებზე არ ხურდავდება, მსხვილ ნადირზეა დაგეშილი _ უკვე ხუთი მოზრდილი წიგნი გამოსცა ხელოვნების სულ სხვადასხვა საკითხებზე! საოცარია, გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებნი წლობით დაუბეჭდავი რჩება _ სტამბები და გამომცემლობები ჩივიან, ქაღალდი არ გვყოფნისო, და მამანტის მაკულატურა რა მანქანებით გამოდის, ნეტა ეს მაცოდინა! ალბათ რაღაც ჯადოსნური კვერთხი აქვს!

დასასრულ, ერთ რჩევასაც მოგცემთ: თუკი მიხა წირპლაშვილი გადაწყვეტს, გაგაბედნიეროთ და შემოგთავაზებთ პორტრეტის შექმნას, კარგად დაფიქრდით _ გაუძლებს კი თქვენი სახის ხილვას, უკვდავყოფილს მიხას ფუნჯით, თქვენი ოჯახი?!.

7. დიანა

_ გავაგრძელოთ გამოფენის გაცნობა თუ უკვე წასვლის დროა? _ ჰკითხა იამ გიას.

_ რომელი საათია? ნახევარი საათი კიდევ დავყოთ, აქეთ უფრო საინტერესო სურათები გამოჩნდა...

"_ _ პორტრეტები _ აი, ეს მომწონს, ვისია? _ _ ლევან ბაიავა (1950) "რაჟდენი" _ პორტრეტის ჟანრი ოხერია, აქ ყველაზე ძნელია საკუთარი სიტყვის თქმა, განსაკუთრებული ნიჭი და ძალისხმევა სჭირდება _ ეს პორტრეტი დრამატული განცდით არის დამუხტული, მეტიც, ტრაგიზმის ანარეკლიც ვლინდება _ გაბედულად ხმარობს მეტად მახვილ და ამიტომ საფრთხილო იარაღს, დეფორმაციას _ ეტყობა, ეს ხერხი მისთვის იმდენად ორგანულია, რომ სრულიად დაუძაბავად, ბუნებრივად იყენებს _ საინტერესოა: მისი დეფორმაცია არ იწვევს ირონიას, არც გროტესკულია, უფრო ტრაგიკულ ექსპრესიას ემსახურება _ ჩემთვის ამგვარი მიდგომა ნაცნობია: არჩილი! _ არა, არჩილის დეფორმაცია სრულიად განსხვავებულია, იგი ირონიით არ კმაყოფილდება და დაცინვამდე, ზოგჯერ კარიკატურამდეც კი მიდის _ ფერწერაში, გრაფიკისგან განსხვავებით, ასეთი რამ იშვიათია _ გროტესკი ჩემი ბუნებისთვის უცხო მგონია, მე ასე ვერ შევძლებდი _ არა, ალბათ შევძლებდი, მაგრამ სხვანაირად _ იქნებ ნაძალადევი და ამიტომაც არაბუნებრივი, ნაწვალები იქნებოდა? _ უცნაურია, როცა რომელიმე სურათი მომეწონება, მაშინვე გავიფიქრებ ხოლმე: მე ასე შევძლებდი? _ შურით კი არ მომდის, ალბათ ყოველ ადამიანს აინტერესებს, რისი უნარი აქვს _ მეც უნდა ვსინჯო, თუ შემიძლია, ოღონდ ჩემებურად გავაკეთო დეფორმაცია: მეტი გამომსახველობისთვის, ფორმის გასამძაფრებლად _ საინტერესოა, რა გამომივა _ ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ: არც ამ ლევან ბაიავას პორტრეტის მსგავსი გამომივა და, მით უმეტეს, არც არჩილის ნამუშევართა... _ მხატვარი თუ გქვია, ყველაფერი უნდა მოსინჯო, ყველაფერი! _ იქნებ ისე გავგიჟდე, რომ აბსტრაქტული რაღაცაც კი მოვაცოდვილო, რატომაც არა? _ პორტრეტები ცოტა მაქვს, მიკვირს კი: მიყვარს ეს ჟანრი _ აწი მეტი უნდა ვიმუშაო ამ მიმართულებით _ ძნელია, ალბათ გამიჭირდება _ პორტრეტი პეიზაჟზე მეტად მოითხოვს ფეროვან სიმკაცრეს, შეზღუდულ პალიტრას, თავშეკავებას, მეტ "ობიექტურობას", ნაკლებ პირობითობას; ალბათ ამიტომ ვმუშაობ უმეტესწილად პეიზაჟებზე _ იქ უფრო თავისუფალი ვარ, განბორკილი, ლაღი _ ავუღე ალღო _ პორტრეტსაც თავისებური ალღოს აღება სჭირდება, ყოველ მოდელს განსხვავებული მიდგომა, რამდენადაც ორი ერთნაირი პიროვნება არ არსებობს _ თუმცა ეს ეხება პეიზაჟსაც... _ შესაძლოა, პორტრეტები არც გამომივიდეს, მაინც უნდა ვსინჯო _ _ გაბრიელ გაბიაშვილი (1940) "გოგონა და ვაშლი" _ გოგონა კი არა, მოწყენილი კლოუნია _ წარმოსახვით შესრულებული იმპროვიზაციული "თამაშია" _ მომწონს! _ რა თავისუფლად, უშუალოდ არის გაკეთებული! _ "გრაფიკული" ფერწერაა, მკვეთრი კონტურებით, ლოკალური ფეროვანი ლაქებით, ძალიან დიდი გემოვნება და სიზუსტე _ მეც მომინდა მსგავსი რაღაცის გაკეთება! _ მეზღაპრეა, ამავე დროს თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივია _ გოგონას ფიგურა თავისი პლასტი-

კური პოზით უჩვეულოც არის _ ზღაპარი კი არა, უფრო პოეზიაა, პლასტიკითა და ფერით გადმოცემული, ძალიან მომწონს, ყოჩაღ! _ მხატვარი სულ არ ცდილობს, რაღაც ამბავი მოყვეს, აგიხსნას, რისი თქმაც სურს; თხრობა ფერწერაში უმადური საქმეა, უნდა შეძლო, სახისმეტყველებით გადმოსცე _ ეს არის მხატვრობა და მას ყურება და დანახვა უნდა _ უყურე და დატკბი "უბრალო" და დამაფიქრებელი სურათით: როგორ შეძლო მხატვარმა, ეჩვენებინა მთელი დაფარული ფილოსოფიური სისტემა გარეგნული უპრეტენზიობის საფარით... _ სამაგალითო სურათია: თურმე შეიძლება, უბრალო სურათი გააკეთო და ფანტაზიითა და პოეზიით აავსო _ სწორედ ესაა ხელოვნება! _ ("გია, ამ სურათს სიამოვნებით დავკიდებდი ჩემს სახლში!") _ ფანტაზიით, წარმოსახვის განავარდებით არასდროს მიცდია სურათის შექმნა, ყოველთვის ნატურიდან ვმუშაობდი; ცხადია, სურათი მუშაობის პროცესში მეტ-ნაკლებად სცილდება თავდაპირველ ეტიუდს _ ეტიუდის შემდგომ "გათამაშებასაც" თავისებური სიამე მოაქვს _ თავისუფალი ფანტაზიით უნდა ვსინჯო სურათის შექმნა, ვნახო, რა გამომივა... _ _"

_ გოგო, რას მიაჩიჩინდი ამ სურათს, შენს სურათთან მივიდეთ, იქ დიანა, რა ხანია, ტრიალებს, ეტყობა, ყიდვა უნდა! _ უჩურჩულა ირმამ იას ყურში და მის ფიქრთა მდინარებას მიმართულება შეუცვალა.

_ მე აქ დიანას სანახავად არ მოვსულვარ! _ ცოტა არ იყოს, უკმეხად მიუგო იამ; მერე მიხვდა, რომ შეცდა და დაამატა: _ ბოდიში, ცოტა დაძაბული ვარ...

_ ჰო, კარგი, კარგი... _ დამნაშავესავით წაილუღლუღა ირმამ. _ დღეს ვერ ხარ ხასიათზე...

"_ _ საქმე აქვს დალეული... _ მე რაღას მიწყალებს გულს _ არა, დღეს მართლა რაღაც მომდის, თავს ვერ ვიკავებ _ არ უნდა მივაქციო ყურადღება ამგვარ გამაღიზიანებელ წვრილმანებს _ _ გუგული გუგულაშვილი (1950) "ნოსტალგია" _ მოწითალო-მოყავისფრო ღვარები მიედინება თითქოს, რომელშიც ალაგ-ალაგ შეიძლება გაჭირვებით ამოიცნო კაცის თავი, ჩიტის თვალი... _ _"

_ გია, რა არის ეს?

_ რა გითხრა, ამგვარი რამის მეც ბევრი არაფერი მესმის, ბედად აგერ ცნობილი ხელოვნებათმცოდნე გამოჩნდა, გაგვანათლებს... გამარჯვება, ბატონო შალვა!

_ ოჰ, გიას მივესალმები, ქალბატონ იასაც, რასაკვირველია; ასევე ჩვენს ძვირფას ნიჭიერ ხელოვანთ... _ მათ მოწყალედ უღიმოდათ შალვა შალითაშვილი, _ ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, შუახნის, მოსული ტანის, დარბაისლური შესახედაობის კაცი. იას, ირმას, გიასა და გვარამს დიდის ამბით ჩამოართვა ხელი, შემდეგ იას მიმართა: _ ქალბატონო ია, თქვენი გამოფენის გახსნა, თუ არ ვცდები, დღეს არის გათვალისწინებული? უეჭველად ვნახავ, მე თქვენი ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელი გახლავართ! სტატიის დაწერასაც ვაპირებ, დიდი სიამოვნებით შევასრულებ ამ საპატიო მისიას!..

_ არა, ბატონო შალვა, ჩემი სურათები ძალიან უბრალოა, ჯერჯერობით არ არის თქვენი ყურადღების ღირსი...

იას გია შეეშველა:

_ სანამ ჩვენ, ასე ვთქვათ, მოვმწიფდებოდეთ, თქვენი დახმარება გვჭირდება, ბატონო შალვა... აგერ გუგული გუგულაშვილის "ნოსტალგიას" ვერაფერი გავუ-

გეთ _ რას ნიშნავს ეს მეწამულ-მორუხო ნაკადები, რომლებშიც აქა-იქ თითქოს რა-ღაც-რაღაცეებია დანთქმული?

ბატონმა შალვამ მოწყალედ გაიღიმა:

_ ო, გუგულაშვილი დიდი და ღრმა ხელოვანია!. ნამდვილად! არ მეგულება კო-ლექციონერი, რომელიც არ ოცნებობდეს მისი სურათის შეძენას, არ არსებობს მუ-ზეუმი, რომ მის მუდმივ ექსპოზიციაში საპატიო ადგილი არ ეჭიროს!.. მისი სურა-თების სახეობრივი არსი გადმოსცემს ჩვენი დროის დრამატულ დაძაბულობას, გუგულაშვილის სურათები პოეზიაა ფერებში! ეს ოპუსი ან, თუ გნებავთ, ანტისუ-რათი, გახლავთ ძალზე მაღალი კლასის ხელოვნება... აქ ვხედავთ დაუსრულებ-ლის, შემთხვევითის, ნაკლულის აპოლოგიას, როგორც რეალობის ვიზიონერული თუ ქვეცნობიერი წარმოდგენების რეალიზაციას სასურათო საბრტყეზე... ანუ, შე-იძლება ითქვას, ნეორომანტიკული ირონიით დაფეხმძიმებულ პლასტიკური ხა-ტების სახვითი დისკურსის იკონემებს; ბოლოს ყველაფერი აბსოლუტშია ჩამოს-ხმული ობიექტურ, დინამიკურ კვაზიინფანტილურ, მსუბუქად მეტაფორულ-ინ-ფორმაციულ სამყაროდ... ეს სამყარო ტრანსკულტურული ეკლექტიზმით ხასიათ-დება და კარნავალურ ენერგიას ამჟღავნებს: აგერ _ ღვარები, ნაკადები, აგერ _ თვა-ლი, აგერ _ თავი, აგერ _ ხელი... ეს ნაკადები არამიმეტურ ნიშნად არის ჩაფიქრე-ბული ასოციაციური სიგნალების სახით, აგებულია ხელშესახები ანტიმიმეზისუ-რი რეალ-ონტოლოგიური მოდელი ანუ შექმნილია ანტისამყაროს იდეალური ესენციების ფაქტუალიზაცია. იმპროვიზაციულ-ესთეტურ თამაშზე დაფუძნებუ-ლი სამყაროს შექმნის მხატვრული მეთოდი მეტად შრომატევადია _ ძალზე რთუ-ლი სივრცული და ფაქტურულ-ტექსტურული ანსამბლია შექმნილი. იგი სუპერა-ვანგარდის მარგინალურ არეს განეკუთვნება და მასში მისტიკის, ექსტაზისა და ირონიის მეშვეობით მიღწეულია საგანთა დესაკრალიზაცია. იგი მასხრად იგ-დებს, დასცინის ამორტიზირებულ პროვინციულ-სტერილურ, სამეცნიერო-პოპუ-ლარულ ხელოვნებას...

_ ტვინი არ გეღრძო? _ წასჩურჩულა იამ გიას. _ რა ენაზე ლაპარაკობს? უცხო ენათა ლექსიკონი მაინც წამომეღო... ხომ არ დაგვცინის?

_ არა, უფრო თავის პიროვნებას წარმოაჩენს, ნახეთ, რა ბრძნული აზრებით მაქვს თავი გამოჭედილიო, _ უპასუხა გიამ, მერე შალვა შალითაშვილს მიმართა: _ ბატონო შალვა, მართალი მოგახსენოთ, ეს თქვენს მიერ ნაქები სურათი საშინელი მგონია _ გადმოყრილი ნაწლავები... ამაზრზენია! ესაა ხელოვნება, ესაა ფერწერა? თუ რამე გამეგება, ანტიესთეტიკური სურათია, თქვენ ის აღტაცებას როგორ გგვრით?

შალვამ თვალმოჭუტვით ირიბად გახედა “თავხედს”, პასუხის ღირსად არ ჩათ-ვალა; უზარმაზარი გემის ბოგირზე მდგომი შორეული ცურვის კაპიტანივით თავი ამაყად დააღირა, შორეულ ჰორიზონტს გახედა და დაუყონებლივ გაცურა მათგან წვრილ-წვრილ ადამიანებს-ნავებს შორის.

_ ბატონო შალვა, სად გეჩქარებათ, სუფრას ნუ დაგვიწიხლავთ... მოიცა, კაცო, ქათამი უნდა დაგიკლა!

_ მოცლილი ხარ ერთი...

_ ეჰ, გენიოსები ძალიან მგრძნობიარენი არიან უვიცთა კრიტიკის მიმართ... _ ამოიოხრა გიამ, მერე მზრუნველად ღიმილით დაიხარა იასკენ: _ როგორ ხარ? მე პირადად შერყეული ნერვიული სისტემის აღდგენა არ მაწყენდა სანატორიუმში _ გამომასავათა! თუ ასეთივე მაღალფარდოვანი და ღვლარჭნილი ენით დაწერს შალვა შენს გამოფენაზე, ნამდვილად მოსალოცად გექნება საქმე...

_ როცა მაგას დამპირდა, ლამის გულზე შემომეყარა, _ უპასუხა იამ. _ არჩილზე ჰქონდა ერთი წერილი, მახსოვს, ბოლომდე ძლივს წავიკითხე; იმდენი ციტატებით, უცხო ტერმინებით და ბუნდოვანი ფორმულირებებით იყო გადატვირთული, ცხადი აზრი ვერ გამოვიტანე, ვერ გავიგე, რის თქმა უნდოდა. მეორედაც ვცადე წაკითხვა, თან მისი "მარგალიტების" ხაზგასმა დავიწყე, მერე თავი დავანებე _ ყოველი წინადადების ხაზგასმა მომიწია... იმ დროს ხშირად დადიოდა ჩვენთან, უზომოდ აქებდა არჩილის კოლაჟებს და აბსტრაქტულ სურათებს, მაშინ იწყებდა, თითო-ოროლა ჰქონდა გაკეთებული... რა უცნაურია, არა? ვერაფრით მიხვდები, ამა თუ იმ სურათზე ან მხატვარზე საერთოდ მავანი რას იფიქრებს, როგორ შეაფასებს... ზოგი ისეთ რამესაც კი გეტყვის შენს საკუთარ სურათზე, სიზმარშიც რომ არ მოგლანდებია!

_ ახირებულ ადამიანებს რა გამოლევს, _ დაეთანხმა გია, _ ქვეყანა ჭრელია. მე რომ მკითხო, მიხაკო წირპლაშვილის ნაცოდვილარი ჯობს შალვას ნაწერს, თავს მაინც არ აგატკივებს.

_ ახლა ვხვდები, რომ შალვას და მისნაირ "დამფასებლებს" საკმაო წვლილი მიუძღვით არჩილის გზის გამრუდებაში. თუმცა... "რაც მოგივა, დავითაო..."

შალვა შალითაშვილს მოულოდნელად მოხალისე დამცველი გამოუჩნდა _ ირმა:

_ რას ერჩი, ია, ის სტატია არჩილზე მეც წავიკითხე, ძალიან კარგად წერს! თუ ყველა ვერ გაიგებს ბოლომდე, სტატია ხომ მაინც თავისას შვება, პოპულარიზაციას უწევს მხატვრის შემოქმედებას...

_ ზოგის გინება მირჩევნია მაგის ქებას, შალვას ცრუფილოსოფიური აბდაუბდა მოგწონს? _ გია შეეპაექრა ფიცხლად. _ ეს ხელოვნებათმცოდნეობის პროფანაციაა, ჭეშმარიტი კრიტიკის შეურაცხყოფაა! ეს სარეველაა, თავგზას უბნევს ხალხს... პრეტენზიული "მაღალი აზროვნებით" და ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და სხვა სამეცნიერო დარგების სპეციალური ტერმინოლოგიის ჭარბი და უადგილო დახვავებით, ბუქის დაყენებით კი არ უნდა გახვიდე ფონს, ცხადად, ნათლად და გასაგებად უნდა თქვა შენი სათქმელი...

_ უბედურებაც ისაა, რომ სათქმელი არ აქვს და ბუქის დაყენება და თვალებში ნაცრის შეყრაღა დარჩენია, _ დაეთანხმა ია.

_ რა დაგემართათ დღეს? _ გაკვირვებულია ირმა. _ ჯერ გვარამმა, ახლა თქვენ... რატომ გაფიცხდით ასე, არ შემიძლია, ჩემი შეხედულება გამოვხატო?

_ კარგი, ბატონო... _ დაჰყაბულდა გია, ხმაც ოდნაც შეარბილა: _ მაშ ჩემი აზრიც ბოლომდე მოისმინე: შალვას, ბოდიში და, ლაქლაქი საკუთარ თავში შეყვარებული, უზომოდ თავდაჯერებული პიროვნების მონოლოგია... მას სურს, შთაბეჭდილება შეგვიქმნას _ ეს რა ჭკვიანი, სუპერმენი მოაზროვნეა, აფერუმ მის განათლებასა და ნიჭსო. ნიჭი დიახაც აქვს, ოღონდ სპეციფიკური _ დაგაბნიოს, გაგაბრიაბრუ-

ოს: “ნახეთ, რა აზროვნების ტიტანი ვარ, თქვენ ჩემს ნათქვამ სიბრძნეს ვერ ჩასწვდებით, ტყუილად ნუ ეცდებით!” მის მიერ ნებისმიერ მხატვარზე ან საკითხზე დაწერილი წერილი პარადოქსულია _ სრულებით არ ჩანს პრობლემა, მხატვარი, მისი სახე, განუმეორებლობა, სამაგიეროდ მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭიმება ავტორი _ წერილი მისი ავტოპორტრეტია, თან იმდენად რელიეფური, რომ ნებისმიერი ერთი წინადადების წაკითხვაც საკმარისია, რომ შეიცნო ბატონ შალვას აზროვნების სტილი და მისწრაფება...

_ სხვას რომ საყვედურობ, შენ თვითონ რამდენი უცხო სიტყვა იხმარე? _ გაგრძელება არ დააცალა ირმამ ნიშნის მოგებით.

_ მერე, ჩემი თქმულიდან რა ვერ გაიგე?.. გეუბნები: მარტო ფუჭი და არაფრისმთქმელი კი არ არის მაგის “ნაღვაწი”, არამედ მავნეც...

“_ _ კიდევ კარგი, შალვა არჩილის სურათთან დისკუსიაში არ მონაწილეობდა! _ საინტერესოა მაინც, ის ახალგაზრდა ავანგარდისტებს მხარს დაუჭერდა? _ უეჭველად! _ ყოჩაღ მე, არც ახლა ჩავბმულვარ კამათში! უფრო საინტერესოა, მოპაექრეთ აკვირდებოდე... _ არ ღირდა ლაქლაქს აყოლა, მოსმენა ჯობს _ უნდა ეცადო, ყველა მოსაზრებაში რაიმე ფასეული და საგულისხმო დაინახო, თუნდაც ყველაზე მიუღებელი ან ერთი შეხედვით აბსურდული შეხედულება იყოს... _ _”

_ მხატვრობაში ხომ არიან “ჟონგლიორები”, მარტოოდენ ცარიელი ფორმის კულტივატორები, ასეთია შალვაც მის მიერ არჩეულ დარგში. სტილი ხომ პიროვნების წარმომჩენია, ეს დიდი ხანია, საყოველთაოდ ცნობილია, _ ჩაერთო საუბარში გვარამ ვარამაისძე.

გვარამს ირმა ზურგშექცეული უსმენდა.

_ ისე კი, გია ბატონო, საყვედური გეკუთვნის, დროზე ადრე გააქციე ჩვენი უანგარო განმანათლებელი, _ განაგრძო გვარამ ვარამაისძემ. _ აგერ გვერდით მეორე სურათია, მის შესახებ ბატონ შალვას კიდევ უფრო საინტერესო და ძვირფასი აზრების მოსმენა, სამწუხაროდ, აღარ დაგვცალდა.

“_ _ საერთოდ, ქართველებს ირონიულობა ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი _ გვარამსაც გვარიანად აქვს მომადლებული ეს ნიჭი _ ჩემზე დაწერილ წერილს ლირიკული განწყობა ახასიათებს, ალბათ ჩემი ნამუშევრების ხასიათიდან გამომდინარე _ ყოველ მოვლენას თავისებური მიდგომა უნდა, შესაბამისი ემოციური მიმართება _ გვარამ ვარამაისძე არ არის დიპლომიანი ხელოვნებათმცოდნე, მაგრამ მის ნაწერს, უფრო ლირიკულ ესეს რომ წარმოადგენს, ჩემი შეხედულებით, მეტი ფასი აქვს, ვიდრე ზოგიერთი პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნის ნაცოდვილარს _ _ კოსტა კვატაძე (1970) “Homo sapiens” _ ფილოსოფიურად დატვირთულ ტილოს მოველით, რამდენად შეესაბამება რეალური შედეგი პრეტენზიულ განაცხადს, რასაც სურათის დასახელება გულისხმობს? _ ისევ რებუსი: ადამიანის ფრაგმენტები? არა, კაცი ჩანს, სულ მთლად დაშლილიც არაა, ოღონდ უცნაურად დასახსრული _ თითქოს ადამიანი დაანაწილეს და შემდეგ ხელახლა ააწყვეს, მაგრამ “ხელოსანი” გალეწილი მთვრალი იყო: პერსონაჟს თავი დარდიმანდულად იღლიაში ამოუდვია, ცხვირი ხელისგულზე უდევს, ცალი თვალი ლოყაზეა, მეორე თვალი ჭიპის მაგივრად... _ თავის ადგილზე მკლავია ამოზრდილი და მაღლა აწეული გვესალმება _ ერთი ყური თვალის ადგილზეა, მეორე ყური პირის მაგივრა-

დაა... ალბათ ბგერებით იკვებება! _ მთლიანად ფიგურა მარცხენა ფეხზე დგას, მარჯვენა ფეხი კი ხელის მაგივრადაა გამოზრდილი... _ ფერი: საოცრად უგემოვნო, მომწვანო-მოლურჯო-მორუხო _ როგორც ფორმაა სიმახინჯის აპოლოგია, ასევე ფერიც გულისამრევია... _ _"

_ ბატონო გვარამ, მართლაც დანაშაული მიუძღვის გიას, შალვა შალითაშვილის ახსნა-განმარტება კარგად გაგვამხიარულებდა!.. _ შემდეგ იამ უკვე გიას მიმართა სიცილით: _ გრძნობ თუ არას თავს დამნაშავედ?

_ ნამდვილად!.. მზად ვარ, გამოვისყიდო ცოდვა, შალვას ხომ არ მოვუხმო?

იამ, ვითომ შეშინებულმა გიას წინადადებით, ხელები აიქნია, არა, შენი ჭირიმეო, გიამ კი განაგრძო:

_ ჩემზე მეტი დამნაშავე კოსტა კვატაძეა და მათზე უპირველესად კი _ ვინც ამგვარი ტილოს გამოფენაზე გამოსატანად დასტურს იძლევა და ქება-დიდებასაც არ აკლებს... ზოგიერთი ფსიქოპათი რომ მუზეუმებში შედევრებს დანით ჭრის, რა იქნებოდა, აქაც შემოეხედა? ამგვარ სურათებზე მსგავს ქმედებას ვანდალიზმად არ ჩავთვლიდი, პირიქით!

_ შენ თუ არ მოგწონს, სხვას მოსწონს! _ ისევ შეეპაექრა ირმა. _ ამ სურათსაც ჰყავს დამფასებელი, ისე კი არ დაჰკიდებდნენ აქ!

_ ყველაფერს გაფიცებ, გულახდილად მითხარი: ამ სურათს დაჰკიდებდი შენს საძინებელ ოთახში? _ შეეხვეწა გია ირმას. _ ამის შემყურე, მშვიდად დაიძინებდი თუ კოშმარები შეგაწუხებდა?

_ სურათს სულაც არ ჰქმნიან ტკბილად დასაძინებლად! _ ისევ შეეპასუხა ირმა. _ არც საჭმლის უკეთ მოსანელებლად... გვეყო დაშაქრული სურათები!..

_ ჰო, კარგი, კარგი, მართალი ხარ, ხელებს ვწევ მაღლა, _ შეაწყვეტინა გიამ. _ შენი ვირიდან ჩამობრძანება ნამდვილად ჩემს ძალებს აღემატება, _ დაამატა ისე, რომ ირმას არ გაეგონა.

"_ _ შიო შავშაშვაშვილი (1930) "ბაღში" _ ფიგურებია მთავარი _ მოუხეშავი და დაძაბული, დისჰარმონიულიც კი, მაგრამ პლასტიკურად მეტყველი _ ემოციურად გადამდებია _ _ ელენე შველიშვილი (1938) "ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა" _ ელენე, ჩემი ელენე!.. _ _"

_ გია, შეხედე, რა კარგი პეიზაჟია ელენესი!

_ მეც მომწონს... რა მშვენივრად შეუკვრია კომპოზიცია: მაღლა ადის ქუჩა, შემდეგ _ მამადავითის ეკლესია ფერდობზე და სულ ზევით _ ფუნიკულერის ზედა სადგური! ნატურიდან ჩანს შესრულებული, რუსთაველის გამზირიდან.

_ იქ ისეთი ხალხმრავლობაა, ნეტა როგორ მოახერხა? _ გაუკვირდა იას.

_ ა, ბატონო, ამ სურათითაც შეიძლება დარწმუნდეთ: ტრადიციულ ფერწერაშიც ამოუწურავი შესაძლებლობებია! _ გვარამ ვარამაისძის ამ სიტყვებში ცხადად იგრძნობოდა, რომ ირმასთან პოლემიკას განაგრძობდა, თუმც უშუალოდ მას არ მიმართავდა. _ ნახეთ, რა უპრეტენზიოდ წერს, უშუალოდ, არ ცდილობს "ახალი სიტყვა" თქვას, მაგრამ თავისთავად გამოსდის ასე. არ არის აუცილებელი, გამომწვევად "მეამბოხე" იყო, თავს იწონებდე ფოკუსებით... ნახეთ, რა ლამაზი სურათია, როგორი გემოვნებით არის შეხამებული ქუჩის ნაცრისფერთან მანქანების ფერად-ფერადი ლაქები, ჩამორიგებული შიშველი ხეები სახლთა გასწვრივ, მამა და-

ვითის თეთრი ტაძარი მტრედივით ჩამჯდარა მომწვანო-მორუხო ფერდობების "ბუდეში"... ისეთი სურათია, მასზე ლაპარაკი გსიამოვნებს, ყურებაც არ მოგწყინდება.

_ დიახ, მეც მსიამოვნებს ელენეს სადა, დახვეწილი ფერწერა _ რაღაც შინაურული, მშობლიური იგრძნობა... ხომ ჩანს, რომ ელენე თბილისზეა შეყვარებული, ეს აშკარად ჟონავს, მიუხედავად იმისა, რომ ფერწერა თავშეკავებულია, არ ყვირის, "ხმადაბლა" მღერის, _ დაეთანხმა გია.

_ ელენე ძალიან მიყვარს! მისი სურათებიც! _ ვერ ფარავდა აღტაცებას ია. _ ძალიან გამიხარდა მისი სურათის გამოჩენა... აი, ვუყურებ და სულ არ მიჩნდება სურვილი, რაღაც ნაკლოვანებები ვეძებო, ერთიანად მომიცვა გრძნობამ _ მომწონს!

"_ _ ოჯახის ქალია, წყნარი, რამდენი საქმე აქვს აკიდებული! _ ხელოვნებისთვის ვერ იცლის ისე, როგორც პროფესიონალისთვისაა საჭირო _ მაინც ახერხებს რაღაცის გაკეთებას _ ქალბატონო ირმა, სახეზე გატყობ: არ გეპიტნავა ელენეს ქება... _ უამრავი თავისუფალი დრო გაქვს, შენ კი ზევით-ქვევით დაშტრიკინობ, რატომ არ ჩანს გამოფენაზე შენი სურათი? _ ელენემ კი მოახერხა _ შესაძლოა, დიდი მხატვარი არ გახლავთ, მაგრამ თავისი საყურადღებო სათქმელი მასაც აქვს _ ყოველ შემოქმედ ადამიანს აქვს თავისი გამორჩეული სათქმელი... _ ელენეს სურათში იგრძნობა მხატვრის სიყვარული თავისი პროფესიისადმი, პროფესიული კეთილსინდისიერებაც _ საერთოდ, ძალიან საყვარელი და გულისხმიერი ქალია _ რა დამავიწყებს: როცა მარტო დავრჩი, გიას გარდა მხოლოდ ელენემ მოიცალა ჩემთვის მაშინ _ თანაგრძნობა, თბილი სიტყვა, გამხნევება _ მან მიბიძგა: "ფერწერას დაუბრუნდი! ესაა საუკეთესო წამალი!" _ როგორ მამხნევებდა: "მახსოვს, რა მშვენიერი ეტიუდები გქონდა, გააგრძელე, კიდევ უკეთესის შექმნა შეგიძლია! შენ მათ არ აფასებ... შენი ნაჩუქარი ერთი ეტიუდი შინ მიკიდია, ხშირად ვუყურებ და სულ იმას გავიფიქრებ ხოლმე: "ცოდვა არ არის, ასეთი ნიჭის პატრონი არაფერს აკეთებდეს!" _ შემაგულიანა, გიამაც შემიძახა... _ ელენესთან ერთად გავედით პირველად პლენერზე; ახლაც მახსოვს: კვირადღე იყო, მაისის მიწურული _ ელენეს სხვა დღეს არ შეეძლო, ქმარი მუშაობდა და ორ ბავშვთან სხვას ვერავის დატოვებდა _ ძალიან გვიან გათხოვდა და ორი შვილის გაჩენა მაინც მოასწრო _ ჩემი გულისთვის უფრო წამოვიდა, თვითონაც მონატრებული იყო ფერწერას; ნელ-ნელა ჩაერთო, მშვენივრადაც გააგრძელა... _ უამრავი საქმე ჰქონდა ოჯახში, ყველაფერი გადადო... _ რამდენი იმუშავა ჩემსავით მოწყურებულმა, მერე სხვებიც ავიყოლიეთ... _ რა თბილი ატმოსფერო იყო, სხვებს უყურებდა და ბევრს სწავლობდა... _ გამოფენაზე გამოტანილი ეს სურათი აკვარელით გაუკეთებია _ სახელოსნო არ აქვს და იძულებულია, ზეთის საღებავებით მხოლოდ პლენერზე იმუშაოს, შინ კი გუაშითა და აკვარელით დაკმაყოფილდეს... _ თუმცა, იქნებ ეს უკეთესიცაა? ელენეს შემოქმედებით ბუნებას ყველაზე უფრო სწორედ აკვარელის ნაზი ფერწერა შეეფერება _ ნამდვილად კარგი გამოსდის: თბილი, ლირიკული _ ალბათ მე ასე ვერ შევძლებდი... _ მიყვარს მრავალჯერ გადაკეთება, აკვარელში კი აუცილებელია ფუნჯის სიზუსტე, თუ ოდნავ მაინც შეცდი, მთელი შრომა წყალში გადაგეყრება _ არა, ჩემთვის აქ იმდენად ტექნიკური სირთულე კი არ არის მთავარი, რაღაც სხვა... _ მე აქ სხვა მუხტს ჩავდებდი და ამიტომ სხვანაირად გავაკეთებდი _ ჩემი ტემპერამენ-

ტი უფრო ზეთის საღებავებს ჰგუობს, ჩემი ფერწერის “ტემპერატურა” უფრო მაღალია, დაძაბული, “ღონიერი”... _ _”

_ ია, სანამ წავალთ, არ გინდა, ნახო, შენი სურათი სად დაკიდეს? მე მგონი, კარგ ადგილზეა, _ შესთავაზა გიამ, მაგრამ არ დასცალდათ. იას ორი მეგობარი ქალი გადაეხვია: ჯერ ელენე შველიშვილმა გადაჰკოცნა, შემდეგ _ ქეთინო მზექალაძემ...

ღიმილი, გაბრწყინებული თვალები, ერთმანეთის მოკითხვა _ თითქოს მრავალი წელი ჩამოიბერტყეს მხრებიდან, ისევ ის მოკისკისე, ხალისიანი, უდარდელი ქალიშვილები არიან, როგორებიც ოცდაათი წლის წინ იყვნენ აკადემიაში სწავლის დროს! გია და გვარამი უყურებდნენ მათ და ღიმილს ვერ იკავებდენ.

_ ისე როგორ მომეპარეთ, რომ ვერ შეგამჩნიეთ? _ იას მზერა გადაჰქონდა ქეთინოდან ელენეზე და პირუკუ.

_ ჩვენ უფრო ხალხს ვათვალიერებდით, ვიდრე სურათებს, ბევრად საინტერესოა, რამდენ განსხვავებულ ადამიანს ნახავ! _ წამოიძახა ქეთინომ. _ რაღად გინდა პორტრეტების თვალიერება, აგერ ცოცხალი სახეები, ბევრად მრავალფეროვანი, მიმზიდველი... მართალია, ყველა არა!

იამ გადაიკისკისა: ისევ ის ქეთინოა _ ფიცხი, თავშეუკავებელი, უშუალო ემოციურ გამოძახილს წამიერად ავლენს...

_ ელენე, გილოცავ, დიდებული აკვარელია! რა თავისუფლად და ზუსტად არის გაკეთებული, დიდოსტატის ნახელავია! _ შემდეგ იამ ქეთინოს მიმართა: _ შენ რაღას შვები? ძველებურად პეიზაჟებზე მუშაობ თუ რამე სიახლე გამოჩნდა? პორტრეტებზე ხომ არ გადახვედი, სახეების თვალიერება ტყუილად გიყვარს?..

_ არა, ჩემი მარადი სიყვარული პეიზაჟია! _ ისევ ხმამაღლა წარმოსთქვა ქეთინომ, _ ეს არის ჩემი სტიქია, სხვა რამ არც მიზიდავს და არც გამომდის. აგერაა გვერდით ჩემი სურათიც, ვერ შეამჩნიე?

“_ _ ქეთევან მზექალაზე (1938) “ბებრისციხე” _ როგორ ჰგავს სურათი ავტორს: მოცახცახე, ნერვიული, ათრთოლებული ფუნჯით ნაწერი, უშუალო... _ სამწუხაროდ, ეტიუდურ მანერას ვერ გასცილდა ან, შესაძლოა, შეგნებულად ვერ გასცილდა _ მისი სხვა ნამუშევრების მსგავსად, ესეც პატარა სურათია, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით ნამღერი _ იმპრესიონისტული მიდგომა, პირველი შთაბეჭდილების უშუალო გადმოცემა _ ქეთინო იქ ჩერდება, საიდანაც მე ვიწყებ: ჩემთვის ეტიუდი უფრო საძირკველია, რომელზეც შემდგომ სახელოსნოში ვაგებ სურათის შენობას _ მე არ მაკმაყოფილებს ეტიუდის სტადიით შემოზღუდვა თუ შემოფარგვლა, თუმცა ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ჩემი ეტიუდი მირჩევნია მისსავე საფუძველზე შესრულებულ სურათს... _ ისე კი, რა თქმა უნდა, ზოგადად სურათი უფრო მაღალი დონეა, ეტიუდის დახვეწით, გაღრმავებით, ძიებით გამდიდრებული _ ქეთინო ვერ ჰგუობს სხვაგვარ, საკუთარისგან განსხვავებულ მიდგომას _ მიკვირს: როგორ შეიძლება, სხვაგვარი ხედვის ასეთი შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო? ერთგვარი გონებაშეზღუდულობის გამო ხომ არ ემართება? _ თვითონ ეტიუდში ბოლომდე იხარჯება, მე არა, ამისთვის გაკილვა არ არის არაფრით გამართლებული _ თვითონ მოურიდებელია, პირში მთქმელი, ცოტა მეშინია კიდეც მისი! _ და მაინც მიყვარს! _ თითქმის მთლად გასთეთრებია თმები, იღებავს, მაგრამ უხეიროდ _ რა გამხდარია, როგორ უბრწყინავს შავი თვალები, თითქოს ნაკვერჩხლები-

ა! _ ელენესაც მოსძალებია ჭაღარა, მაგრამ, ეტყობა, თმების შესაღებად არ სცალია ან არ სურს _ შინაგანადაც როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ქეთინო და ელენე! _ ელენე: რა წყნარად, უშფოთველად დგას, არც ხმას აუმაღლებს ლაპარაკში _ მოსუქებულა, როგორ უხდება ღიმილი, მშვენიერი კბილები თეთრად ელვარებს _ ქეთინო: ხრინწიანი ხმა, მოუსვენარი ჟესტიკულაცია, შავგვრემან, ასკეტივით გამხდარ სახეზე თხელ ტუჩებს გაჩერებულს ვერ ნახავ _ აი, წყვილადი პორტრეტი თუ გინდა გააკეთო, უკეთეს განსხვავებულ მოდელებს ვერც ინატრებ _ კარგი, ეფექტური ეტიუდია "ბებრისციხე", მაგრამ მაინც ეტიუდია, მე ბოლომდე არ მაკმაყოფილებს _ მეტისმეტად კამერულია, ბევრი რამ შემთხვევითია მასში _ ქეთინო თავისი ბუნებით ისეთია, რომ სურათს აღარ უბრუნდება გადასამუშავებლად ან თუნდაც შესასწორებლად _ მე პირიქით, სულ გადაკეთების, გაუმჯობესების ჭია მღრღნის... _ _"

_ უყურე, უყურე, გოგო, ის უსირცხვილო დიანა ჩვენსკენ მოდის!.. თავხედი!..

ქეთინოს ამ ცხარე ჩურჩულს იამ ყურადღება არ მიაქცია; შინაგანად ზამბარასავით იყო დაჭიმული _ ერთხანს არ უყურებდა დიანას მოახლოებას, მაგრამ თითოეული ნერვით გრძნობდა... მერე ძალაუნებურად მაინც გაექცა მზერა...

"_ _ რა ლამაზი ქალია, თვალშისაცემად გამორჩეული... არ არის გასაკვირი, რომ არჩილი დაიმონა! _ რა შესაშურად ჯიშიანი ტან-ფეხი აქვს, რა ამაყად, თავდაჯერებით მოაბიჯებს, ნამდვილი დედოფალია!.. _ ხასხასა წითელი ხავერდის კაბა კოცონად ანთია _ წითელი ჩანთა ხელში _ ლაბადა არ აცვია, ქმარმა მოიყვანა მანქანით? _ მისი გრძელი ტანის ყოველი ნაკვთი დიდებულად და მედიდურად თამაშობს, კაბის ქვედა ბოლოს რხევის რიტმს აყოლილი... _ _"

დიანა პირდაპირ იასკენ მოემართებოდა... ია თვალს ვერ წყვეტდა და თითქოს რაღაცამ უბიძგაო (მეგობარი ქალების ჯინაზე: სეირის ყურება გინდათ?) ახლოს მოსული დიანასკენ შემხვედრი ნაბიჯი გადადგა და გადაჰკოცნა...

იას დაქალები განცვიფრებულნი უყურებდნენ იასა და დიანას წყნარ, გულდინჯ საუბარს.

"_ _ დიანა... ნადირობის მფარველი ქალღმერთი... ალისფერი პომადა ბუნჩულა, სავსე ტუჩებზე, ძვირფასი სუნამოს ნაზი, დამათრობელი სურნელი _ გაფრენილი შავი წარბები, დიდი, მომწვანო-მოლურჯო თვალები... _ რაღაც მონღოლურიც აქვს ოდნავ ფართო სახის ნაკვთებში და ესეც ძალიან შვენის! _ ყორანივით შავი, მბზინვარე, გრძელი და სწორი თმები ბრილიანტისქვებიანი განიერი სარჭით დაუჭირავს _ თმებში სისხლისფერი ვარდი უნდა ჰქონდეს გარჭობილი და საოპერო კარმენი იქნება; ერთი ეგაა, შავგვრემანი კი არა, თეთრყირმიზია, მისი სახე თითქოს ანათებს! _ ხავერდოვანი, ღრმა ხმა, ბევრი პროფესიონალი დიქტორი რომ ინატრებდა, რბილი და იმავდროულად შინაგანი სიმტკიცით აღსავსე _ გამორჩეულად მაგარი ხასიათი აქვს _ შეუძლია, ძლიერი პიროვნებაც კი დაიმონოს _ მისი თავდაჯერება და სითამამე ბუნებრივია, უხდება კიდეც; სხვისი მსგავსი ქცევა უტიფრობად და თავხედობად აღიქმებოდა _ პაექრობაში ვერ მოუგებ, შეუძლია, შავი თეთრად გაასაღოს _ მიზანსწრაფულია, ჭკვიანი, საკუთარ ძლიერ ნებას სხვას ადვილად ახვევს თავს... _ ეტყობა, ცხოვრებამ ბევრი რამ ასწავლა _ ზედმეტს არ იტყვის, იცის, როდის და რა უნდა თქვას, როგორ მოიქცეს... _ თურმე კესანესთან

ხშირი ურთიერთობა ჰქონია; კესანესგან ამის შესახებ არაფერი მსმენია, იყურე შენ იმ კუდიანს! _ ეტყობა, კესანე მამასაც სცინცლავს ფულს... _ დიანას მშვენიერი თვალები: ასეთი დაძაბული მზერა იშვიათად შემიმჩნევია: ყოველ წამს ზვერავს გარემოს, აკვირდება ხალხს, არაფერი გამოეპარება მის გამჭოლ მზერას _ აანალიზებს სიტუაციას, მახვილი მზერით მსჭვალავს მოსაუბრეს და ცდილობს, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები განსჯითა თუ ქვეცნობიერად აღიქვას _ ძლიერი ინტუიცია აქვს: ჩემს მზერას რომ შეეჯახა, მიხვდა, რომ მე გავუძელი "წნეხს", მისი "შემოტევა" ჩემზე უნაყოფო იქნება... _ ტყუილად კი არ ამბობენ ჩემზე მეგობრები, გვიან მივხვდით, მამაკაცური ხასიათი გაქვსო _ გარეგნულად არ შეიმჩნია, მაგრამ მე ვიგრძენი, როგორ იძულებული გახდა, შეგუებოდა "მარცხს" _ მე ხაზგასმულად რბილად ველაპარაკები, ის კი მაინც არ ტყუვდება, მიხვდა, რომ საბოლოოდ შეუვალი დავრჩი: "მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა"... _ კი, უნდა დავაფასო: მახვილი თვალი აქვს, ესმის ხელოვნების არსი და შეუმცდარად აფასებს სურათებს _ იცის ყადრი ნაღდი ნამუშევრის _ მოსაწონია მისი გემოვნება... _ იმიტომ კი არა, რომ განსაკუთრებით აქებს ჩემს სურათს, ამ გამოფენაზე რომ არის, თუმცა სასიამოვნოა ქათინაურის მოსმენა... _ დიახ, საერთოდ ვისთვის ვმუშაობთ, ვწვალობთ, განვიცდით მხატვრები? ხალხისთვის? ხალხი ჭრელია... ალბათ თითო-ოროლა ჭეშმარიტი დამფასებლისთვის _ უმრავლესობისთვის ხელოვნება საერთოდ არ არსებობს _ მე ვიცნობ პიროვნებებს, რომლებისთვისაც მუსიკა, ნებისმიერი მუსიკა, უბრალო ხმაურად აღიქმება... მაგალითად, კესანე, ნეტავ საიდან გამოვიდა ასეთი უჯიშო? _ მნიშვნელოვანწილად მხატვრები ისევ ჩვენი სიამოვნებისთვის ვმუშაობთ, ჩვენ კმაყოფილებას ვგრძნობთ თვით პროცესით შემოქმედებისა _ ერთმა მწერალმა რომ აღნიშნა, ტკბობა შენების ვნებაშია და არა აშენებულის ყურებაშიო, არც მთლად მასეა საქმე; მაშინ მუზეუმებში და გამოფენებზე კაციშვილი არ ივლიდა, არც კერძო კოლექციონერები იარსებებდნენ _ ხომ ვივსებით სიამით, როცა საყვარელი მხატვრების სურათებს ვათვალიერებთ! _ ამბობენ, დიანას დიდი და ძალიან კარგი კოლექცია აქვს სურათებისო _ მათგან მარტო სხვადასხვა მხატვრების მიერ შესრულებული დიანას პორტრეტები ოცდაათამდე ყოფილა! _ საინტერესო იქნებოდა ნახვა _ მათგან ბევრია თურმე ნიუ! _ იშვიათია ცნობილი მხატვარი, რომ მისთვის დიანას თავისი პორტრეტი არ შეუკვეთიაო _ ბოროტი ენები იმასაც კი ამბობენ, რომ ადრე, ოღონდ მავან ცნობილ ოსტატს მისი პორტრეტი შეესრულებინა, სეანსების პერიოდისთვის საყვარლადაც კი გაუხდებოდაო; პირველმა ქმარმა ამდენი ვერ აიტანა და სწორედ ეს გახდა მიზეზი გაყრისაო _ ახლა სხვაგვარადაა: ბევრი მხატვრისთვის საამაყოა, თუკი დიანა დათანხმდება პოზირებას _ ამ ბოლო დროს თვით დიანამ მოსინჯა ძალები ფერწერაში _ თვითნასწავლ მხატვართა გამოფენებში რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა და მაშინვე ყურადღებაც მიიპყრო: მისი ნამუშევრები გამოირჩევა თამამი პირობითობით, იგრძნობა პიროვნული სიძლიერე და ორიგინალური აზროვნება _ ჰო, ძალიან ძლიერი პიროვნებაა... _ მის ლაპარაკში შეუვალი, კატეგორიული ტონი ჭარბობს _ ფსიქოლოგიურად ძლიერ ზემოქმედებას ახდენს, აგრესიულია, თრგუნავს მოსაუბრეს _ მარტო სილამაზის გრძნეული ძალა კი არ გიმონებს, ძლიერი ნებისყოფა და გონება _ ყველაფერი ბუნებამ უბოძა, უშუალოა, არ თამაშობს! _ განათლებულია, ნიჭიერი, გამჭრიახი, მი-

ზანსწრაფული და ამავე დროს ფრთხილიც _ ყოველთვის აღწევს დასახულ მიზანს _ ჩემთან ვერ გაშალა ფრთები, ატყობს! _ მკვეთრად მოხაზულ სავსე ტუჩებს ერთგვარი თრთოლვაც კი შევნიშნე, თვალები დაძაბულად უბრწყინავს... _ ისეთი ნიუანსები შეამჩნია ჩემს სურათში, შინაგანი ალღო აქვს, მისგან კარგი ხელოვნებათმცოდნე დადგებოდა... _ არადა, ღმერთო ჩემო, რამდენი ვინმე ტყუილად აწვალებს კალამს და მკითხველსაც... _ ნეტავ არჩილი თუა მასთან ბედნიერი? _ თვითონ არჩილი არ უხსენებია, თავაზიანია _ დიანა არჩილის სურათებს თითქმის არ ჰყიდის, განსაკუთრებით ადრინდელი პერიოდისა, იცის მათი ფასი და თუნდაც ამით არის პატივისცემის ღირსი _ ცდილობს, არჩილის ადრე გაფანტული სურათები სხვადასხვა პიროვნებებისგან შეისყიდოს _ ამბობენ, თუ ფული დასჭირდა, ქმარს ასლს აკეთებინებს ან, უფრო ხშირად, ვარიანტს, უკეთესს თვითონ დაიტოვებსო _ საოცარია, აბსტრაქტულ სურათებსა და კოლაჟს ქმრისა დიდად არ სწყალობსო _ თუმცა, ეტყობა, იმის ქალური ალღო კი შეუმცდარი აქვს, რომ არჩილის შემოქმედებაში უხეშად არ ჩაერიოს _ იცის, არჩილი ჯინიანია, მასთან "ჭიდაობა" არაფრით იქნება გამართლებული, მეორე მხრივ, არჩილი მაინც განიცდის სხვათა გავლენას: მეგობარ-ამხანაგების, "მოდის"... _ "წმინდა" ფერწერა ფუჭია, მიკვირს, ამას ვერ ხვდება _ ცხოვრებისა თუ გარემოს ასახვა, მისი აზრით, "ფოტოგრაფის საქმეა" _ მართლაც მიკვირს არჩილისგან ასეთი პრიმიტიული მსჯელობა _ უკიდურესობას ყოველთვის ცალმხრივობა მოსდევს _ აბსტრაქტული სურათი ან კოლაჟი, რაგინდ მაღალი ოსტატობით იყოს შესრულებული, მაინც "მკვდარია" _ თუმცა, ისიც მართალია, რომ "მკვდარია" თუნდაც ამ გამოფენაზე გამოტანილი ბევრი პორტრეტიც, პეიზაჟიც და სხვა... _ ასე იყო ადრეც და ასეა ახლაც, ასე იქნება მომავალშიც... _ დიანა სასიამოვნო მოსაუბრეა, საინტერესოა მასთან აზრთა ურთიერთგაზიარება, ბევრ რამეში საერთო შეხედულება გვაქვს... _ თითქოს თავისუფლად, ჩვეულებრივად ვსაუბრობთ და მაინც შინაგანად დაძაბული ნერვი თრთის ორივეში, ამას ცხადად ვგრძნობ... _ _"

როცა დიანამ დამშვიდობების ნიშნად ყველას თავი დაუკრა და განაგრძო ექსპოზიციის დათვალიერება, ირმა მაშინვე მოურიდებლად ეცა იას:

_ დიანა შენთან ტყუილად არ მოვიდოდა, შენი სურათის ყიდვა ხომ არ შემოგთავაზა?

_ არა, _ მოკლედ მოუჭრა იამ.

_ რა არა, რატომ მიმალავ?

_ მე არავისთან არაფერი მაქვს დასაფარავი და დასამალავი.

_ ორიოდე გროშს თუ იშოვი, მაგაში რა არის ცუდი? _ მზრუნველი იერით არ ჩერდებოდა ირმა.

_ ხომ გითხარი, მასეთ რამეზე არ გვისაუბრია, შენც გვერდზე არ იდექი? თავს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდებს და არც მე ჩამაგდებს... _ რაც შეიძლებოდა აუღელვებლად ცდილობდა პასუხის გაცემას ია.

იასთვის უსიამოვნო საუბრის დასრულება ქეთინოს დამსახურება გახლდათ, წამოიძახა:

_ გარეთ უნდა გავიდე, რომ არ მოვწიო, არ შემიძლია! რამდენიმე წუთში დავბრუნდები...

_ ჩვენც წამოვალთ, _ საათზე დაიხედა გიამ. _ იას გამოფენა ნახევარ საათში უნდა გაიხსნას.

_ დავაგვიანებთ? _ შეწუხდა ია.

_ არა, ნუ გეშინია, ათ-თხუთმეტ წუთში სეირნობით მივალთ იქამდე.

რუსთაველის გამზირზე გამოვიდნენ: ხალხით აზიმზიმებული, ჭრელი ქუჩა საგამოფენო დარბაზის დახუთული გარემოდან გამოსულთათვის საოცრად ცოცხალი და მიმზიდველი ჩანდა. შემდეგ ცოტაც გაიარეს და ხელმარცხნივ ჩაუხვიეს _ ქუჩის გუგუნიდან ბაღის სიმყუდროვეში; ახლადშეფოთლილი ცხენისწაბლისა და ჭადრების ქვეშ, დანაყილი აგურით წითლად მოხრეშილი ბილიკით დაღმართში მისეირნობდნენ.

“_ _ სურათი ხომ ხელოვნების ნაწარმოებია და მაინც სინამდვილის ხილვას არაფერი სჯობს _ ყველაზე ერთფეროვანი გარემოც კი ამოუწურავია, რომელი გენიოსის ფუნჯი შეძლებს ასეთივე ძლიერ ზემოქმედებას ჩვენს გრძნობასა და გონებაზე; რა სუსტი და უძლური ხარ, როცა სინამდვილის პირისპირ დგახარ, როგორ უნდა გადმოსცე მხოლოდ ამ ფორმებისა და ფერების სიმდიდრე კი არა (ამას მეტნაკლებად დახელოვნებული ყოველი პროფესიონალი შეძლებს), არამედ ბევრად მეტი: ის საიდუმლო, დაფარული აზრი, რომელიც ბუნების ნებისმიერ გამოვლინებაში ძევს, მის მცირე ნაწილშიც კი... _ აქა-იქ მყუდრო კიდეებში მწვანედ ამოწვერილი ქორფა ბალახი ხასხასებს, უზარმაზარი ჭადრების ნათელი ტანები, აკაკის ხეთა ჯერაც შიშველი, მუქი ტოტები, მწვანე რაკეტებივით ლურჯ ცას დამიზნებული მაღალი, წერწეტა კვიპაროზები _ ფრთების ტყლაშუნით თავზე გადაგვიფრენენ მტრედები _ მზიანი, თბილი დღეა, წითელ ბილიკზე ხეთა რტოებისგან დაფენილ მაქმანივით ჩრდილებზე მივაბიჯებთ _ შორს, ბაღის ხეთა ნახევრადშიშველ რტოებში, გამოსჭვივის ქალაქის სახლთა სახურავებით რუხ-წითლად აჭრელებული ფერდობი... _ _”

წინ ქეთინო, ელენე და გვარამი მისაუბრობდნენ, მათ მიჰყვებოდნენ ია და გია, ირმა კი ხან წინ მიმავლებს ეწეოდა, მცირე ხნით ერთვებოდა საუბარში, შემდეგ შეანელებდა ნაბიჯს და ახლა იასა და გიას ლაპარაკს უგდებდა ყურს.

_ ია, ტელევიზიიდან იქნებიან? _ ირმამ დრო იხელთა და სიარულში მოხერხებულად ჩაეკვეტა იასა და გიას შორის.

_ არ ვიცი, მივალთ და ვნახავთ... ძალიან გინდა, ეკრანზე მოხვდე?

_ რატომ არ უთხარი დიანას, რომ დღეს შენი პერსონალური გამოფენა იხსნება? _ ვერ ჩერდებოდა ირმა. _ ხომ იცი, როგორი მოყვარულია და დამფასებელი მხატვრობისა, მათ შორის _ შენისაც.

_ სწორედ მაგიტომ, _ ჯიბრზე უპასუხა იამ, გუნებით უკვე თავის გამოფენაზე იყო, აღიზიანებდა ირმას აქტიურობა. _ უჩემოდაც მშვენივრად გაიგო ყველაფერი და უკვე მოინახულა კიდეც.

_ რას მელაპარაკები! _ წამოიძახა ირმამ.

_ დიანასგან ეგ გიკვირს?

_ არა, შენგან მიკვირს, რომ ასე მშვიდად ლაპარაკობ და საერთოდ, მშვიდად ხვდები ყველაფერს.

_ მაინც რას?

_ როგორ, შენთვის არაფერია, რომ არჩილი დაჰკარგე?

_ ათ წელიწადში, გენაცვალე, მაგაზე დიდ დანაკარგსაც შეეგუები...

"_ _ როგორ უნდა აუხსნა ამ ჩიტირეკიას (ან საჭიროა კი?): პირიქით, მადლობელი ვარ დიანასი! მან ხომ გამანთავისუფლა... _ თვითონ ვერაფრით გავწყვეტდი შემბორკავ ჯაჭვს და ალბათ არც ფერწერას დავუბრუნდებოდი _ ჩემს წინაშე დიანას თუ რაიმე დანაშაული მიუძღვის, სულ ერთი ბეწო, არჩილის დანაშაულთან სახსენებლადაც არ ღირს _ სავსებით კმაყოფილი ვარ ჩემი დღევანდელი მდგომარეობით, ჭეშმარიტად ბედნიერი, რადგან შემოქმედებითი შრომის საშუალება მაქვს, სხვა დანარჩენი კი ჩემთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია _ თუმცა, არა, კიდევ მეტი ბედნიერება წინ მელის; გათხოვება და საყვარელ ადამიანთან ახლოს ყოფნა და ურთიერთობა ბევრად სავსეს გახდის ჩემს ცხოვრებას _ იმედი მაქვს, კიდევ უფრო უკეთეს სურათებს შევქმნი, ეჭვიც არ მეპარება _ ძალების ისეთ მოზღვავებას ვგრძნობ, საოცარია! _ რამდენი ჩანაფიქრი მოსკდა ნიაღვარივით და ყოველდღიურად ახალ-ახალი ემატება, თოვლის ზვინივით მატულობს და სადაცაა თან დამიტანს! _ ჰოდა, გაიგებს კი ირმა, ყველაფერი რომ ავუხსნა? _ არც ღირს ამაზე ლაპარაკი... _ _"

_ მე, მაგალითად, როცა გამოფენაზე ვარ, _ ჰყვება გია, _ ქეთინოსი არ იყოს, სურათებზე არანაკლებ დამთვალიერებლებზე დაკვირვება მიყვარს. რამდენი თავისი ახალი კაბის დაქალებისთვის დასახარბებლად მიდის, კოპწიაობს... ქალები ერთმანეთს ათვალიერებენ, ჩაცმა-დახურვით თავს იწონებენ... დღეს კინაღამ სიცილით მოვკვდი: ერთი ჩემი მეგობარი, მისი სახელის თქმა არ მინდა, ყველანი იცნობთ, თავის ცოლს ეუბნება: "შე შობელძაღლო, ერთი საათია, გიყურებთ შენ და შენისთანებს, სულ ზურგით რომ დგახართ სურათებისკენ, რისთვის მოხვედით აქ, ერთმანეთის ახალი საყურეების სანახავად? მითხარი აბა, ეს სურათი ვისი ნამუშევარია? არ გრცხვენია, მხატვრის ცოლი ხარ, ინტელიგენტობაზე დებ თავს და გამოჩენილი მხატვრების ხელწერასაც ვერ ცნობ, შინ რომ მივალთ, შენს დაქალებს საათობით ელაპარაკები ტელეფონით, ვის რომელი მკერავის შეკერილი კაბა ეცვა, რა ეკეთა და რა ეკიდა...

_ რა ენა გაქვს, რა ენა! _ შეუტია გიას ირმამ ვითომ ხუმრობით, თუმცა იგრძნობოდა, რომ საკმაოდ გაღიზიანებულიც გახლდათ. _ ზურგსუკან ქილიკი რა ვაჟკაცის საქმეა? ავი ხარ, ავი!

_ ზურგსუკან რათა? _ შეეპასუხა წინ მიმავალი გვარამი, _ პიროვნება არ დაუსახელებია, თანაც, რაც გასაკიცხია, უნდა ვაქოთ? ავი კი არა, სამართლიანია.

ირმამ პასუხი არ გასცა, მხოლოდ სახე დაემანჭა _ შენ არ გელაპარაკებიო.

_ თუ საჭიროა, ავიც უნდა იყო, აბა როგორ? _ მკლავზე ჩუმად ხელს უჭერს იას გია, თან ეღიმება ირმას გაბღუზვაზე და კიდევ უფრო აბრაზებს: _ ავ კაცს ყველა ერიდება, პატივსაც სცემს! ავებისაა ქვეყანა, ქვეყანა კი დუმაა _ თალე და ჭამე, თალე და ჭამე!..

_ რა უშნო ხუმრობა იცი! _ ირმამ ფეხს აუჩქარა და წინ მიმავალ ქეთინოს დაეწია.

"_ _ როგორ ვთქვა სირცხვილით... _ კესანე თეატრში ან კონცერტზე ისე არ წავა, თუ ახალი კაბა არ ჩაიცვა _ სტუმრად არ უყვარს მაინცდამაინც სიარული და არც

სტუმართა მიღება _ სტუმრად არ წავა კაბით, რომელიც მანამდე ერთხელ მაინც ჩაუცვამს _ ის კი არა, პანაშვიდზეც კი ფეხს არ გადგამს... _ რა თქმა უნდა, რომელ ქალს არ სიამოვნებს ახალი ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი, მაგრამ შინ იმდენი ჩასაცმელ-დასახურავი აქვს, ერთი მაღაზიის გასახსნელად რომ იკმარებს, ეს ნორმალურია? _ მამამისი სულ სხვანაირი იყო, ფეხებზე ეკიდა, რა ეცვა და ეხურა, თავისი პერსონალური გამოფენის გახსნაზეც კი გაზინთლული "საშოფრო" ტყავის ქურთუკით გამოიჭიმა; ვერავინ დამიჯერებდა, რომ ახალი მშვენიერი კოსტუმი არაფრით ჩაიცვა... _ მე კი მიბრიყვებდა და ახლა როგორ აცვია, ერთი მანახა... _ რა კარგია ბაღში სეირნობა... _ ჩიტები ჭიკჭიკებენ, უხარიათ გაზაფხულის დადგომა, ახალ ბუდეებს იშენებენ... _ რა ლურჯი ცაა, თუ ასეთი დარი იქნა, იქნებ პლენერზეც გავიდე ერთი დღით მაინც... _ აჰა, ბაღიც განვვლეთ, ახლა ქუჩასაც მშვიდობით გადავკვეთთ და რკინის ლამაზ ჭიშკარში შევალთ... _ პატარა კოხტა ბაღსაც გავივლით მშვენიერი ძველებური შენობის წინ და ასევე ძველებურ მასიურ კარსაც შევაღებთ... _ ნეტა ვინ დამხვდება იქ? ცოტა ადრე უნდა მოვსულიყავი, იქნებ სურათების გადაკიდება იყოს საჭირო... _ თუმცა, ისეც მოესწრება ეგ თუნდაც გამოფენის გახსნის შემდეგ _ ვნახოთ, ალბათ ყველაფერი კარგად იქნება... _ დიანას უკვე მოუსწრია ჩემი გამოფენის მონახულება, რატომ? _ ადრე, სანამ თითქმის სულ შინ ვიჯექი, არ მაინტერესებდა არც მეზობლების ამბები, არც ქვეყნიერებისა საერთოდ, ვიყავი ჩემთვის, ოჯახის ნაჭუჭით შემოზღუდული _ მყოფნიდა პატარ-პატარა საოჯახო სიხარული: ბავშვმა პირველად გაიარა რამდენიმე ნაბიჯი დამოუკიდებლად!.. პირველი კიჭი ამოუვიდა, კუჭი წარამარა ეშლება!.. პირველი სიტყვა თქვა, რა საყვარლად ღუღუნებს!.. სადარდებელი: ბავშვს მაღალი სიცხე აქვს!.. ბავშვმა თითი გაიჭრა!.. წაიქცა და ცხვირიდან სისხლი წასკდა!.. _ ახლა? ახლა პირიქით, ყველაფერი უნდა გავიგო, ყველაფერს ვაკვირდები: ყურები მაქვს დაცქვეტილი და თვალები დაჭყეტილი! _ ასე მახასიათებს ირონიულად გია _ ჭეშმარიტებას სად გაექცევი: მხატვრობამ მზერა გამიმახვილა... _ _"

_ მადლობელი ვარ, გია, რა მძიმე კარი ყოფილა!

_ მხატვრობის კარი მძიმეა!

VIII. ია ლიაშვილის ლირიკულ-დრამატული პეიზაჟები
(მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენის კატალოგს დართული წერილი)

შინ, დიდ ოთახში, ერთ-ერთ კედელზე გვერდიგვერდ მიკიდია ორი ნაჩუქარი სურათი: ერთია არჩილ (ენუქი) ქინურიძის "ზამთარი თბილისში", მეორე _ ია ლიაშვილის "ზამთარი ჩემს ქუჩაზე". ორივე ჩემს საყვარელ სურათთა რიცხვს მიეკუთვნება. ამ ორ სურათს მსგავსი სახელები აქვს, მოტივიც ერთი და იგივეა გამოსახული, მაგრამ ზერელე შეხედვითაც ჩანს, რომ სრულიად განსხვავებული მიდგომით არიან შესრულებული. არჩილ ქინურიძის ტილოს გროტესკის მიჯნამდე მისული ირონიულობა მსჭვალავს: წაფერდებული "ნაქეიფარი" სახლები, თოჯინებს მიმგვანებული, თოვლში მობღლარძუნე ძაღლები, მხიარულად მოგუნდავე

ბავშვები... საგნები და ფიგურები გვარიანად სტილიზებულ-დეფორმირებულია, გამოკვეთილია მკვეთრი კონტურებით. ამის მიუხედავად, ეს ტილო ჭეშმარიტად ფერწერული ნამუშევარია, თუმც ერთგვარად მკვეთრი, "გრაფიკული" იერით. ია ლიაშვილის "ზამთარი ჩემს ქუჩაზე" არანაკლებ ექსპრესიულია, ოღონდ გამომსახველობის მთავარი ფუნქცია ფერს ენიჭება _ ძირითადი ემოციური დატვირთვა მასზე მოდის და არა ნახატზე. არჩილ ქინურიძის სურათში თუ ირონიული თამაშია, ტილო შედარებით "ცივია", გონებისმიერად შეთხზულია, ხისტი აქცენტებით და დაძაბული რიტმებით, ია ლიაშვილის სურათში ფერთა ლირიკული თამაშია, მეტია უშუალობა და სიწრფელეც, თუმცა ერთგვარი დრამატიზმიც იგრძნობა _ თეთრისა და მჟღერი წითელი, ლურჯი, ყვითელი ფერების გვერდით შიგადაშიგ შავიც ძალუმად იჭრება _ ცხადია მხატვრის ფეროვანი გამის პირობითობა. და ეს კი არ გვაღიზიანებს, გვაჯერებს, სიამეს გვგვრის, რადგან მთლიანობაში მაინც ჰარმონიულობა, ხალისიანი განწყობილება მეფობს. ერთი კია: ემოციური სიხალისე, სისხლსავსე ფერადოვნება არ არის მიღწეული ფერთა გამძაფრებით. დიახ, ია ლიაშვილის სურათები ყოველთვის ეფექტურად ლამაზია და აქ რაღაც ჯადოქრობაა: გასაკვირია, როგორ ახერხებს მხატვარი ქალი ასეთი ძალით დამუხტვას ფერისა? რომ დაუკვირდე, ცალ-ცალკე აღებული ფერები არც ისე ცინცხალია, მაგრამ ერთმანეთთან მიმართებაში მყოფნი, მთლიანობაში რა ძლიერად ჟღერენ! ძლევამოსილად მქუხარებენ, მღერიან, ელვარებენ! რა სიამეს გვანიჭებენ! ყოველ სურათს თვალს ვერ მოწყვეტ, დიდებულია! ცხადი, მკაფიო, ზოგჯერ კაშკაშა დეკორაციულობა ყოველთვის დიდი გემოვნებით არის "დაბალანსებული" და არასდროს გვაღიზიანებს ჭყეტელა, მყვირალა ფერადოვნებით, არასდროს ვგრძნობთ ნაძალადევ "ესთეტიზაციას". მხატვრის Fფიქრი და გრძნობა უშუალოდ, თუმც ბევრი ძიებისა და შრომის შედეგად, ორგანულად აისახება ტილოზე და ისეთი ბუნებრივი, უშუალო იერით, თითქოს სურათი ერთი ამოსუნთქვით, იმპროვიზაციულად იყოს შექმნილი. დიახ, მხატვარი-მოაზროვნეა ია ლიაშვილი, იგი ყოველ ტილოს ფილოსოფიური გააზრებით ქმნის; ეს ფიქრი და განსჯა, რაც დრო გადის, სულ უფრო ღრმა ხდება. მხატვარს არ აინტერესებს პასიურად გადმოტანა ხილული ხედისა, თუნდაც დიდად მომხიბლავისა, ის მას "ამღერებს" ან "ზღაპრებს აამბობინებს" კიდეც... ამის მინიშნებები ჩანს ზოგიერთ ბოლოდროინდელ სურათში და ალბათ ეს სუბიექტური პოეტური "გადათარგმნა" ნატურისა მომავალში მეტ და უკეთეს ნაყოფს გამოიღებს.

ია ლიაშვილის პეიზაჟი ქვეტექსტებით არის დამუხტული, არ არის მარტოოდენ ბუნების ხედი, თუნდაც ლამაზი და მიმზიდველი; მასში მოუსვენრობა, დაძაბულობაც კი იგრძნობა, _ გარეგნული სტატიკა შიგნიდან "ფეთქდება" ცხოველი გრძნობით, მოუსვენარი სულით; მხატვრის მღელვარე ფუნჯი თითქოს კი არ წერს, ძერწავს მთა-ველს, მდინარეს, ხეებს, ქვებსა და ცას... ჩამოქნის მათ მთრთოლავი და, ამავე დროს, ღონიერი, ძლიერი (მაგრამ _ არა ნერვიული!) მონასმებით _ საღებავთა მიმღელვარე, "ქარიშხლიანი" ნაკადებით... და ამიტომ ყველაფერი თითქოს ცოცხალია, ფეხადგმულია... დიდი, კოსმოსური ძალების ჭიდილი იგრძნობა პეიზაჟში, რაღაც მოუსვენრობით არის შეპყრობილი მხატვრის მიერ შექმნილი სამყარო: დინამიკური, მშფოთვარე რიტმები, კონტრასტულ ფერთა დაძაბული "ჭიდი-

ლი”... ბოლოს მაინც უმაღლეს ჰარმონიას ემორჩილება ყოველივე _ პეიზაჟი მთელი ხმით მღერის! ბუნება თავისი განსაკუთრებული ცხოვრებით ცხოვრობს; ის ისეთივე ლამაზია და დაუდგრომელი, როგორც მშვენიერია და დაუწყნარებელი ადამიანი, ისეთივე სიხარული და ტკივილი მსჭვალავს მის არსს. თვით ახლო, საშუალო და შორი პლანების თანმიმდევრული ერთმანეთში გადადინება-მონაცვლეობა და ერთიანობა, ფაქტურული თუ ფეროვანი განსხვავებულობის მიუხედავად _ საერთოდ სურათის მთელი არქიტექტონიკა, კომპოზიციურ-სტრუქტურული აგებულება და ნატიფი ფეროვანი გაორკესტრება, _ როგორც ითქვა, მთლიანობაში მაინც ჰარმონიას ჰქმნის. ვგრძნობთ: მხატვრის გარშემო უკიდეგანო სივრცეა, მისი თვალი კი არ ემორჩილება იმას, რასაც ხედავს _ წარმოსახვით თუ ოცნებით ფრინველივით ლაღად აიჭრება მაღლა, სულ მაღლა და ბევრად შორს გაიხედავს, ვიდრე მიწაზე დარჩენილი უამრავი სხვა ადამიანი... მხატვარი გლობალურად აზროვნებს, _ ფართო მასშტაბით, _ მის პეიზაჟებში ზევით ცაა _ მსუბუქი, ნათელი, ღრმა, ქვევით კი მიწაა _ მყარი, ისიც დიდი და უსასრულო, ფერადოვანი და კეთილი. ერთი სიტყვით, სურათში ყოველთვის ღია სივრცეა, გახსნილი სამყაროა, ლაღად სუნთქავს გარემო, სიხალისე და სიკეთეა განფენილი მასში; ამავე დროს დაძაბულობაც იგრძნობა, რაღაც თვალით უხილავი “ბრძოლის” გამოძახილი... მახვილი, ემოციური სახეობრიობა, “დუღილი” შერწყმულია თბილ გრძნობასთან _ პეიზაჟები (აშკარა პირობითი ენის მიუხედავად) ცოცხალია, ნაღდია (უფრო დამაჯერებელი და ემოციურად შთამბეჭდავი, ვიდრე ნატურალისტური “სიზუსტით” შესრულებული ზოგიერთი მხატვრის ნახელავი) _ სავსეა სინათლითა და ჰაერით, სუნთქავს, ფეთქავს და ჩვენც გვმუხტავს ამაღლებული და თან დრამატული გრძნობით, გვახალისებს და გვატკბობს. მხატვარი ემოციურად და ფსიქოლოგიურად მუხტავს პეიზაჟს და ამას ახერხებს იმიტომ, რომ თვით არის შეყვარებული სამშობლოს თითოეულ გოჯ მიწაზე, თვით არის ძალიან მგრძნობიარე სილამაზისა და სიკეთის ყოველი გამოვლინების მიმართ; მისი სული პირთამდე სავსეა ადამიანებისადმი სიყვარულით და თანაგრძნობით (მხატვრის პიროვნების გარეგნული უშფოთველობა და გაწონასწორებულობა ნუ მოგვატყუებს!) და ეს დამოკიდებულება ცხადად აირეკლება ბუნების ასახვისადმი მიმართებაშიც.

ია ლიაშვილის პეიზაჟებს გვერდზე გულგრილად ვერ ჩავუვლით: ისინი მაგნიტივით იზიდავენ ჩვენს მზერას, გრძნეული ძალით მიგვაჯაჭვავენ მათთან და ავსებენ ჩვენს სულებს მათრობელი, ჟრუანტელის მომგვრელი გრძნობით... მისი სურათების წინ დგომა არ გვბეზრდება; გადამდებმა ემოციურობამ – ერთ-ერთმა უძლიერესმა და იდუმალი ძალის მქონე თვისებამ _ გამოარჩია მხატვარი ქალის პეიზაჟები ბოლო დროის გამოფენებზე და ბევრი თაყვანისმცემელიც შესძინა. აქამდე თითქმის სრულიად უცნობი, თუმცკი არცთუ ახალგაზრდა მხატვარი საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგა როგორც სავსებით ჩამოყალიბებული, მნიშვნელოვანი, თვითმყოფი ხელოვანი, ამასთანავე მუდმივ, დაძაბულ ძიებაში მყოფი. მან ჯერჯერობით პეიზაჟის ჟანრში გამოავლინა თავისი ფერწერული შესაძლებლობები, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მომავალში გაეღვიძოს ინტერესი სხვა ჟანრების მიმართაც. ამაზე მიანიშნებს ბოლო დროს შექმნილი რამდენიმე ნატურმორტი და ადრეული პორტრეტი (ისინი მხატვარმა არ ჩათვალა საჭიროდ საჯაროდ გამოე-

ფინა). იმედია, მომავალში ახალ ჟანრებში ინტენსიური ძიების შედეგად ია ლიაშვილის შემოქმედება ხელოვნების მოყვარულთა წინაშე გამრავალფეროვნებული და გამდიდრებული წარსდგება.

დიდადაც რომ ცდილობდე, კარგად და ზუსტად დაახასიათო მხატვრის შემოქმედება, მაინც ერთგვარად ყალბი, არასრულყოფილი გამოგდის, იმიტომ, რომ, უკეთეს შემთხვევაში, არსის ნაწილის წარმოჩენას თუ ახერხებ მხოლოდ: ხელოვანის რთული სამყაროს სიტყვებით ადექვატურად გადმოცემა შეუძლებელია _ და ამიტომ მის ჭეშმარიტ სახეს ძალაუნებურად თუ არ ამახინჯებ, აუბრალოებ და ამარტივებ მაინც _ ანალიზისას სიტყვების ნაკადში სიმდიდრე იკარგება...

ამიტომ ჯობს, უპირველესად პირველწყაროს მივმართოთ, _ ია ლიაშვილის სურათებს, _ თქვენ გელით მის 100 რჩეულ სურათთან შეხვედრის სიხარული.

გვარამ ვარამაისძე

8. “მხეცი ხარ, გადარეული!”

_ ია!.. ია!.. ია!..

ყველა მხრიდან მისკენ გამოეშურნენ გაღიმებული სახეები: ესმა ჭყავაძე, დათუნა, ბაკური, სხვები და სხვები...

იასთან მისვლა ყველას დაასწრო მისმა შვილიშვილმა, ათი წლის მაკამ _ სირბილით მიეჭრა და ჩაეხუტა! ია დაიხარა, ხელები მოხვია მხრებზე, შვილიშვილს თავზე აკოცა, მერე თმებს ლოყით მიეკრა _ თბილმა ტალღამ აიტაცა, უზომო სიამით აევსო მკერდი; ისუნთქავდა ბავშვის საყვარელ სუნს, აქეთ-იქით ანანავებდა მაკას გამხდარ, სუსტ მხრებს... წუთით აღარც გამოფენა ახსოვდა, აღარც _ სტუმრები... მერე მაკას ჩანთიდან ამოღებული ქაღალდის პარკი გაუწოდა:

_ აბა, თუ მიხვდები, რა არის შიგ...

_ ნუგა, ნუგა! _ აღტაცებით ტაში შემოჰკრა მაკამ, თვალებგაბრწყინებული დიდედას ისევ მიეკრა, ისე ჩაყო ხელი პარკში...

როცა იამ თავი ასწია და მიიხედ-მოიხედა, გაუკვირდა: რამდენი ხალხი მოგროვილა!

ესმა ჭყავაძე ცქმუტავს, ადგილზე ვერ ისვენებს; ხან ერთ ჯგუფთან მივა ადამიანებისა, ხან _ მეორესთან, თვალანთებული, ღიმილით პირგახეული, ყველგან შუა საუბარში ჩაერთვება, უბოდიშოდ გამოხატავს თავის გრძნობებს, თუმც ხშირად სულ უმნიშვნელო ამბებზე... გიამ ვერ მოითმინა:

_ უყურე ერთი, ესმა რა ამბავშია! დღეს ალბათ მაგის დღეობაა!

ირმამ მაშინვე მიახალა:

_ მაინც არ იშლი შენსას! რატომ დასცინი?

_ სიტყვამ მოიტანა, თორემ ესმა შენზე არანაკლებ მიყვარს, _ უპასუხა გიამ. _ მიდი და ჰკითხე, თუ ოდესმე გასჭირვებია, ვინ ეხმარებოდა უპირველესად, გია თუ ირმა?

ამ დროს იას მამა, შიოლა ლიაშვილი, მოფრატუნდა მათთან, ყველას ძველებურად, როხრეხა ხმით მიესალმა, ხელი მაგრად ჩამოართვა, ია კი გადაჰკოცნა. საკმაოდ მობერებულა, თუმცა არ იმჩნევს, თვალები კი ისევ ისე უბრწყინავს დაფანჩული, გაჭაღარავებული წარბებქვეშიდან და თეთრი თმების ფაფარიც ამაყად ყალყზეა დამდგარი, როგორც ახალგაზრდობაში (ძველ ფოტოებზეც ყველგან ასევეა, ოღონდ იქ მუქი თმა აქვს). ახოვანი ქმრის გვერდით მოკუნტულა იას დედინაცვალი მაგდანა _ თხუთმეტი წლით უმცროსია ქმარზე და მათ შორის ასაკობრივი სხვაობა გარეგნულად წაშლილია. ერთი ეგაა, მუქ წაბლისფერ თმებში მხოლოდ თითო-ოროლა თეთრი თმა გამორევია სამოცი წლის ქალს... მორიდებით ჩამოართვა ხელი იას, მიულოცა გამოფენის გამართვა, იამ ისიც გადაჰკოცნა, მერე თბილად მოიკითხა.

_ ეჰ, როგორ ვიქნებით, ძველებურად... _ მუქი თავსაფარი გაისწორა მაგდანამ (ძმის გარდაცვალების შემდეგ სულ შავებში დადის).

მოვიდა შვილიც _ დათუნა ქინურიძე, _ შავულვაშა, ძალიან მაღალი და ტანწვრილი ბიჭივით, დედას პატაკს აბარებს:

_ ყველაფერი რიგზეა, კატალოგები გუშინ გამოვიტანე სტამბიდან, მაგიდაზე დევს დასარიგებლად; თუ რომელიმე სურათის გადაკიდებას მოისურვებ, მოგვიანებით გავაკეთოთ, ახლა უკვე გამოფენის გახსნის დროა.

ბატონი ალფეზიც მოსულა _ დარბაზის კუთხეში სურათებს გულდასმით ათვალიერებს; იამ დათუნა გაგზავნა მასთან, მობრძანდით, დაგვდეთ პატივი, გამოფენის გახსნის წინ რამდენიმე სიტყვა გვიბოძეთო.

ხალხი მიდი-მოდის, ირევა ერთმანეთში, ზუზუნ-ყაყანში დროდადრო ხმამაღალი შეძახილი და სიცილიც გამოერევა.

_ ოჰ, როგორ ვერ შეგამჩნიე! _ ჰკოცნის ია მულიშვილს, ბაკურ ქიჩმაჩიძეს. არჩილის უმცროსი დის, ვარდოს, ერთადერთ შვილს მხატვრობის ნიჭი აქვს, აკადემიაში დამამთავრებელ კურსზე სწავლობს ქსოვილების მხატვრული გაფორმების სპეციალობაზე, მაგრამ ფერმწერობაზე ოცნებობს. ბიძა, არჩილი, ვითომ პატრონობს, თითქოს ეშინია, რომ ვარდოს ხელში მისი ნიჭი დაიღუპება... ბოლომდე ეყოფა კი გულისხმიერება და მოთმინება?

იას თავდაპირველად გაუკვირდა დათუნასა და ბაკურის დაახლოება (თუმც მამიდაშვილ-ბიძაშვილი იყვნენ), უკმაყოფილება მაინც არ გამოუმჟღავნებია, მერე და მერე კი დიდად კმაყოფილიც იყო _ ბაკური მშვენიერი ბიჭი გამოდგა (საკვირველია _ ვარდოს შვილი!). მიუხედავად ასაკით სხვაობისა (დათუნა ბაკურზე ოთხი წლით უფროსია) და იშვიათი შეხვედრებისა (დათუნა უკვე თითქმის ოთხი წელია, პოლონეთში ცხოვრობს პოლონელ ცოლსა და ორ შვილთან ერთად), მათი მეგობრობა სულ უფრო მტკიცდებოდა. ახლაც, როცა დათუნა საგანგებოდ ჩამოვიდა დედის პერსონალური გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით, ბაკური მაშინვე მხარში ამოუდგა და თითქმის მთელი სიმძიმე ამ შრომატევადი ღონისძიებისა გიასთან ერთად ამ ორმა ახალგაზრდამ იტვირთა (ია წინააღმდეგი იყო დათუნას პოლონეთიდან გამომგზავრებისა _ სატელეფონო საუბარში უთხრა, აქ უშენოდაც მოვუვლით ყველაფერსო, ძალიან ძვირი დაგიჯდება აქ ჩამოსვლა, ოჯახის პატრო-

ნი ხარ და ამგვარი ფუფუნების უფლება არ გაქვსო, მაგრამ დათუნამ თავისი არ დაიშალა _ ბავშვობიდანვე ჯინიანი იყო!).

ბაკურის გვერდით იას სიძე _ იასონ ტორონჯია _ გამოჩნდა, სიდედრს გადაეხვია.

_ გამარჯვება, იასონ, მე მეგონა, მაკა კესანემ მოიყვანა, იმას ვეძებდი... როგორ ხარ?

_ მომილოცავს, ჩემო ია, ეს ერთი და სხვა მრავალი! _ პასუხობს იასონი და აგრძელებს: _ ბრწყინვალე გამოფენაა, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა: დღესდღეობით შენისთანა ორიგინალური და ძლიერი მხატვარი ქალი-პეიზაჟისტი სხვა არ მეგულება... კესანეს სულ ვეხვეწები, სად არის დედაშენის სურათები, კედლებზე რატომ არ ჰკიდებ-მეთქი.... არ მიჯერებს!

იამ მშვენივრად იცის, ქალიშვილის ბინის მაგივრად სადაც ჰკიდია მისი სურათები, ერთხელ შემთხვევით საკომისიო მაღაზიაშიც კი ნახა მიტანილი გასაყიდად... იასონს არაფერს ეუბნება, არ უნდა გული ატკინოს _ ბუნჩულა კაცია, თვინიერი, უკვირს კიდეც, როგორ უძლებს კესანეს ხუშტრუკიან ხასიათს... საკუთარ თავსაც ვერ გამოუტყდება _ სიძისადმი მეტი პატივისცემის გრძნობით არის გამსჭვალული, ვიდრე ქალიშვილისადმი... ია თავზე ხელს უსვამს გვერდზე მიხუტებულ მაკას და მამამისს ეკითხება:

_ კესანე?

_ ბოლო წამს სადღაც წავიდა, გადაუდებელი საქმე მაქვსო... _ ია ატყობს სიძეს, რომ ბოლომდე სიმართლის თქმა უჭირს, მაინც არ ჩაეძიება და მაკასთან ერთად გიორგი კენკებაურისკენ მიემართება. ტაქსის მძღოლის გვერდით შავგვრემანი, ტანმორჩილი ყმაწვილი დგას.

_ კიდევ გამარჯობა, _ მიესალმა ია გიორგის, _ ეს ჩემი შვილიშვილი, მაკა გახლავთ!

_ გამარჯვება, გამარჯვება, _ უპასუხა გიორგიმ, _ ეს კი ჩემი უმცროსი ვაჟია, ისიც გიორგი, აკადემიაში მესამე კურსზეა, მოქანდაკე უნდა გახდეს...

_ სასიამოვნოა, _ ხელი ჩამოართვა იამ მამა-შვილს, _ კარგი ფერმწერები საქართველოში ძალიან ბევრია, კარგი მოქანდაკეებიც გვყავს, მაგრამ შედარებით ცოტა...

_ რა ვიცი, ფერწერაშიც ცდილობს რაღაცას, ისე, თავისთვის ხატავს, წერს კიდეც... _ ამბობს გიორგი და დამორცხვებულ შვილს ღიმილით შესცქერის. _ მაგის ამხანაგებმა უკვე ზოგმა თავისი გამოფენაც მოაწყო, ეს კი ძაან მძიმეა, არ ვიცი, მისგან რა გამოვა.

_ რა ეჩქარება, მე აგერ ორმოცდაათი წლის ქალი ვარ და პირველად გავბედე პერსონალური გამოფენის მოწყობა.. ისიც აქეთ-იქიდან შემიჩუჩხუნეს, არ მომასვენეს და დავყაბულდი.

_ ახლანდელი ახალგაზრდები სულსწრაფები არიან...

_ აღიარება ძალიან კარგია, სტიმულსაც გაძლევს ყოველმხრივ, მაგრამ, ჩემი შეხედულებით, მთავარი მაინც მუშაობაა, ყოველდღიური დაძაბული შრომა. ბევრნი ამას გვიან ხვდებიან... თუ რაღაცის გამკეთებელი ხარ, აღიარება თავისით მოვა, მა-

გაზე არ უნდა იფიქრო, დრო ფუჭად არ დაკარგო... თქვენი ბიჭი სერიოზული ჩანს, ფერწერაში რა უფრო იტაცებს?

_ რა ვიცი, შენ უთხარი, გოგა.

შვილმა ისეთ დაბალ ხმაზე თქვა რაღაც, რომ იამ ვერაფერი გაარჩია.

_ ცოტა რიხიანად, თავისუფლად ილაპარაკე, ჩემო გიორგი, ჩვენ ხომ კოლეგები ვართ... თამამად, თამამად! თავხედობა, ცხადია, არ არის მოსაწონი, ყველაფერს ზომიერება ამკობს, ამავე დროს კი შემოქმედი თამამიც უნდა იყოს, უეჭველად! რაც მთავარია, თამამი ხელი უნდა გქონდეს, თამამი აზრი, ოცნების უნარი და თამამი გადაწყვეტილების მიღებისაც არ გეშინოდეს... არა უშავს, თუ დამარცხდები, დამარცხების გარეშე ვერც გაიმარჯვებ! გამარჯვებას მიაღწევ მხოლოდ დიდი შრომით, თუ, რასაკვირველია, ნიჭიც არ გაკლია... ბოდიში, _ დაიხედა მაჯის საათზე იამ, _ გამოფენის გახსნის დროს გადასცდა, ნუთუ ბატონი ალფეზი ასე გაიტაცა ჩემი სურათების თვალიერებამ?.. კიდევ ბოდიში, იმედი მაქვს, სხვა დროს განვაგრძობთ საუბარს, ცხადია, თუ შენთვის საინტერესო იქნება _ ახალგაზრდებს დარიგება არ მოსწონთ, მეც ასეთი ვიყავი... ჩემს მულიშვილს გაგაცნობ, ისიც აკადემიაში სწავლობს, უფრო სწორედ, უკვე ამთავრებს, იქნებ იცნობ კიდეც... ბაკურ, ერთი წუთით მოდი აქ...

იამ ორი მომავალი ხელოვანი ერთმანეთს გააცნო, თვითონ კი გიასკენ გაემართა, რომელიც დამსწრე საზოგადოებას მოუწოდებდა, დარბაზის შუაში შეკრებილიყვნენ.

_ ია, ლაბადა გაიხადე, მშვენიერი ახალი კაბა ტყუილად ჩაიცვი? _ ჩააცივდა ირმა, მაგრამ დარბაზში საკმაოდ გრილოდა და გიას რჩევით, იამ მხოლოდ წინ ჩაიხსნა ლაბადა.

ამასობაში ბატონი ალფეზიც დადგა მათ გვერდით, სათვალე გამოიცვალა და ახალგაზრდული რიხით დაიწყო:

_ ამხანაგებო! ჩვენს დიად ქვეყანაში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიღწევები განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი მშობლიური პარტიისა და მთავრობის მიერ ბრძნულად შემუშავებული პროგრამის მიზანსწრაფულ განხორციელებასთან. მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური იდეებით აღზრდაში უდიდესი როლი ენიჭება კულტურისა და ხელოვნების ფრონტის მუშაკებს...

გია იას ყურისკენ დაიხარა:

_ მაგრად გაუტია აი! ყველგან ფრონტი და ბრძოლა ელანდება...

_ ილაპარაკოს, _ უპასუხა იამ, _ მგონი, ჩვენს გარდა, არავინ უსმენს.

სულ მალე აღარც იას ჰქონდა თავი, ბატონ ალფეზის ოფიციალური, პათეტიკით გამსჭვალული ფრაზების რახარუხისთვის ყური დაეგდო...

“_ _ როგორი კუშტი სახე აქვს, მედიდური თვითკმაყოფილებით აღსავსე იური, თითქოს ის იყოს ქვეყნიერების ჭიპი _ რა მოწყალედ გვმოძღვრავს, თვალს გვიხელს და ჭეშმარიტების გზაზე გვაყენებს _ თუმცა, მე არ ვიყავი, ერთი წუთის წინ რომ იგივეს ვაკეთებდი? _ არჩილი გააკეთებდა ალფეზის კარგ პორტრეტს _ საოცარია, როგორც კი ვინმეს სახე საპორტრეტოდ მომეწონება, მაშინვე არჩილიც გამახსენდება, რატომ? _ რამდენი ადამიანი მოსულა გამოფენის გახსნაზე _ ყველანი

ათასი ძაფით არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, დღეს კი ყველა ეს ძაფი ამ დარბაზში ჩემთან იყრის თავს, ალფეზი კი თითქოს სხვა პლანეტაზეა... _ მე ვცდილობ, არც ერთი სამხატვრო გამოფენა არ გამომრჩეს უნახავი და ვიცი: ხვალ-ზეგ და შემდეგაც თითო-ოროლა დამთვალიერებელი თუ მოვა აქ, მათგან უმეტესობა შემთხვევით შემოივლის... _ ბაკურმა რა მშვენიერი აფიშა გააკეთა გამოფენისთვის შენობის შესასვლელთან _ ასეთივე, ოღონდ მომცრო, მთელ ქალაქში გაუკრავთ _ ტელევიზიიდანაც მოსულან, დღეს საღამოს საინფორმაციო გადაცემის კულტურული ცხოვრების ქრონიკაში აჩვენებენ ბატონ ალფეზის ბრძნული გამოსვლის ნაწყვეტს მაინც _ ალბათ მეც მთხოვენ მცირე ინტერვიუს _ თუ არ დავიბენი ბრინჯივით _ რა უნდა ვილაპარაკო? _ მხატვარი სურათებით "ლაპარაკობს" _ პროჟექტორების შუქს როგორ უძლებს ალფეზი? _ ფოტოკორესპოდენტიც აჩხაკუნებს აპარატს _ ყვავილები ვინ მომცა? ისე ვარ დაბნეული, ვეღარ ვიხსენებ _ ვარდების კალათიც მოუტანიათ _ ლარნაკებში: ვარდები, მიხაკები, ნარგიზები... _ სამადლობელი სიტყვა უნდა ვთქვა... _ ნეტა ბატონ ალფეზის თავდაჯერება მომცა... _ ("მაკა, ხომ არ მოგწყინდა? ცოტაც მოითმინე...") _ ბავშვს კი არა, დიდებსაც მთქნარებას მოგვგვრის... _ მადლობა ღმერთს, ვგონებ, დააყენა საშველი _ _"

_ ამხანაგებო!.. _ ბატონმა ალფეზმა ხანგრძლივი პაუზა გააკეთა, ყურადღებას ითხოვდა ახმაურებული ხალხისგან. _ ამხანაგებო!.. დასასრულ, მინდა ვთქვა, რომ ია ლიაშვილისგან მომავალში ჩვენ მეტს და უკეთესს მოველით; ჩვენ გულწრფელად ვურჩევთ, მეტი ყურადღება დაუთმოს აქტუალურ თემებს, ჩვენი ხალხის თავდადებულ ბრძოლას ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი წყობილების ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების წარმოსაჩენად... ამას მოითხოვს Yყოველი ჩვენგანისგან პარტია და ხელისუფლება და ჩვენი ვალია, გავამართლოთ ეს დიდი ნდობა! მხატვართა კავშირის სახელით ვულოცავთ ქალბატონ იას ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენის გახსნას და ვუსურვებთ დიდ წარმატებებს შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში!..

ბატონმა ალფეზ უფასეიშვილმა დარბაზს მიმოატარა მზერა, მისი სათვალის შუშები ცივად ირეკლავდნენ ელექტრონათურების შუქს:

_ ვინმეს ხომ არ სურს გამოსვლა?

_ მე მინდა მივესალმო! _ მაშინვე წინ გამოხტა ირმა. ლაბადა გაუხდია, საკმაოდ სრულ ტანზე შემოსკდომაზე ჰქონდა ცისფერი აბრეშუმის კაბა. ჩახველებით ჩაიწმინდა ხმა, ყელი კოხტად მოიღერა და თამამად დაიწყო:

_ საყვარელო ია! ჩემი გრძნობები გამოვხატე ლექსით, რომელსაც ახლა წაგიკითხავთ! _ და ზეპირად, ხმამაღლა, წამღერებით გააგრძელა: _

ია ლიაშვილს!

ქალი კი არა, ქარიშხალი ხარ,
ლამაზ შორეთში მიმავალი ხარ!
სიამის ჩიტი სულში ფართხალებს,
როცა შევყურებ ნატიფ ნახატებს!
ბევრი გვყავდეს შენისთანა ნეტავ,

ვინც გაიგო საიდუმლო ხეთა,
ვინც მთა-ველებს ფუნჯით ეფერება,
ტკბილი მღერით ფილტვი ებერება!
გაზაფხულია, ჰყვავის ბუნება,
გულს უხარია, მღერის გუნება,
ვაშა ჩვენს იას, ქება-დიდება
დიდებულ ნიჭის ამობრწყინებას!

რა თქმა უნდა, ირმა პატაშურიძეს ტაში ზრდილობიანად დაუკრეს და სანამ იგი იასთან მიიჭრებოდა და გადაჰკოცნიდა, გიამ მოასწრო იასთვის წაჩურჩულება:

_ ირმა რომ ჩიტებს აფრენდა, კარგა ხანია, ვიცოდი, მაგრამ ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ თურმე ფილტვები ხშირ-ხშირად გებერება...

იამ პირზე ხელისგული მიიდო ღიმილის დასაფარავად, მისულ ირმას მოეხვია, დიდი მადლობა მოახსენა. ალფეზ უფასეიშვილმა "ღონისძიების" სადავეები ხელიდან არ გაუშვა:

_ კიდევ თუ სურს ვინმეს, თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიაროს? _ და გვარამ ვარამაისძეს მიმართა: _ გთხოვთ!

_ არა, ბატონო ალფეზ, ჯერი მანდილოსანს დავუთმოთ, _ გვარამმა შენიშნა, რომ ქეთინოც აპირებდა რაღაცის თქმას.

_ ჩემო საყვარელო ია!.. _ ხმადაბლა დაიწყო ქეთინომ. _ ძალიან ვღელავ, ძალიან განვიცდი, ჩვენ ხომ ოცდაათ წელზე მეტია, ვმეგობრობთ და დღეს შენი დღესასწაული შენი მეგობრების დღესასწაულიცაა, შენი გამარჯვება ჩვენი, ყველა ახლა აქ მყოფის გამარჯვებაცაა! რამდენი გამოფენა იმართება, მათ შორის _ პერსონალურიც, თვლა არ აქვს და გულახდილად მინდა გითხრა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება სწორედ ამ გამოფენამ მოახდინა ჩემზე _ გაოგნებული ვარ! საიდან ასეთი სითამამე? სულ არ მოველოდი, არადა, თითქოს კარგად ვიცნობდი შენს შემოქმედებას... გიგანტური ნახტომებით გაიჭერი წინ, მხეცი ხარ, გადარეული!.. ვინ იფიქრებდა, სრულებით გამოიცვალე! საიდან ეს სიძლიერე, თავისუფლება, ეს, ასე ვთქვათ, მამაკაცური ხელი, თანაც ღონიერი კაცის?! რა თამამად წერ, გოგო, რა ქაჯურად და რა კარგი გამოგდის! შენი ფერები მაგიჟებს, ფერის შენი გრძნობა... რა თავისუფლად, დაუძაბავად წერ, არტისტულად _ აი, ეს შენი თავისუფლება მომწონს, მომწონს, რომ საკუთარ ნებას ასე უშუალოდ, ოსტატურად გადმოსცემ და გვაჯერებ... გოგო, სულ არ ჰგავხარ შენს სურათებს! ალბათ დიდხანს აგროვებდი ამ შინაგან ენერგიას, უზარმაზარი მუხტი გაქვს... შენი სურათები ვულკანის გავარვარებულ ლავასავით მოედინება, გვწვავს და გვხრუკავს... არა, გვათბობ, შენი გულის სიწრფელით და სიყვარულით გვათბობ, თვითონ კი მშვიდი ხარ, გაწონასწორებული, შენ აღელვებული არ მახსოვხარ... ალბათ მეტყვი: "რომ იცოდნენ, ზოგჯერ რა ფიცხი ვარ! ოღონდ დიდი თავშეკავების უნარიც მაქვს და ამ გარეგნულ უშფოთველობას ხალხი შეცდომაში შეჰყავსო"... მართალი ხარ, შენში დიდი კულტურაა, ინტელექტის და გრძნობის იშვიათი ჰარმონიული შერწყმა, ურომლისოდაც მხატვრის შემოქმედება შეუძლებელია. მე მინდა, ერთი შეხედვით ძალიან მი-

ამიტი კითხვა დაგისვა, შეიძლება, ბევრს გაეცინოს კიდეც... როგორც ვთქვი, ოცდაათ წელზე მეტია, გიცნობ, ვამაყობ, რომ შენი მეგობარი ვარ, ჰოდა მითხარი, ია: როგორ ახერხებ, რომ შენი სურათი სხვათა ნამუშევრებისგან ასე გამოირჩევა? საოცარია, შენი წითელი _ შენია; სხვებსაც ხომ აქვთ გამოყენებული წითელი ფერი, მაგრამ შენი წითელი სხვანაირია... შენი ლურჯიც გამორჩეულია, მწვანეც... თუ მე ასე მეჩვენება? ზოგი მხატვარი ცდილობს ორიგინალობის მიღწევას ამოჩემებული ფეროვანი გამით... მაგალითად, სხვადასხვა ინტენსივობის ცისფერს ჭარბად იყენებს თითქმის ყველა შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა, რას ჰქმნის _ ნატურმორტს, თემატურ სურათს, პეიზაჟს თუ პორტრეტს... როგორი სანახავია ცისფერი სახე ლამაზი ქალისა?.. შენ მრავალფეროვანი ხარ, არ ღალატობ ნატურის ფერს, არ გაქვს ამოჩემებული გამა; ამის მიუხედავად, მარტო ფეროვანი გადაწყვეტით, კოლორიტით შეუცდომლად ვცნობ, რომ სურათი შენი შექმნილია... შენს წითელს მაშინვე ვცნობ, ლურჯსაც, ყვითელსაც და სხვებსაც... აი, შენს ზამთარს ყოველთვის გამოვარჩევ... ზამთრის თემა ძალიან მომგებიანია, ვინღა არ ასახავს... შენს ზამთრის პეიზაჟებს ავსებს ენერგია და ქალური სინატიფე _ ეს ორი თითქოს შეუთავსებელი საწყისი... ბევრი რომ არ გავაგრძელო, თითქმის ყველა შენი ნამუშევარი ძალიან მომწონს... ერთ რამესაც დავამატებ: აქ, შესასვლელშივე, შენი შვილების ბავშვობისდროინდელი ორმაგი პორტრეტია. ძალიან კარგი ჰქენი, რომ გამოფინე. თუ არ ვცდები, ორი ათეული წელი და მეტიც იქნება გასული მისი შექმნიდან; მას შემდეგ შენ ძალიან შეიცვალე, ნამდვილი ოსტატი გახდი და, ცხადია, ეს პორტრეტი აღარ გაკმაყოფილებს... მაგრამ ამ ადრეულ ნამუშევარს მაინც რაღაც სხვანაირი ხიბლი აქვს... მე სურვილი მაქვს, რომ განაგრძო პორტრეტულ ჟანრში მუშაობა, მე მგონი, უნდა სცადო მაინც... მე პირადად გულისფანცქალით დაველოდები შენს მომავალ პერსონალურ გამოფენას, რომელსაც შენს მიერ შექმნილი პორტრეტებიც დაამშვენებს. შენისთანა ნაყოფიერი მხატვარი ყოველ წელს უნდა აწყობდეს გამოფენას, ყოველ წელს უნდა გაგვახარო, შენ გენაცვალე... გილოცავ ამ ბედნიერ დღეს, გკოცნი ბევრს!..

შემდგომ ალფეზ უფასეიშვილმა სიტყვა მისცა გვარამ ვარამაისძეს.

_ მეგობრებო! დღეს ჩვენ დიდი ზეიმი გვაქვს, დიდი სიხარული გვეწვია _ ქალბატონ იას პირველი პერსონალური გამოფენა იხსნება. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ხელოვნების დამფასებელთათვის. ამ დარბაზში, საუბრისას, ურთიერთ აზრთა გაზიარებისას, ხშირად გაიგონებდით: “რა ძლიერი ხელი აქვს!” დიახ, თუ შემოქმედი ხარ, ხელი ძლიერი უნდა გქონდეს, სიმტკიცე და დავდაჯერებულობა უნდა იგრძნობოდეს და, რაც მთავარია, თვით უნდა იყო ძლიერი, ნება გქონდეს ძლიერი, რომ შენს ხედვაში, მის სისწორეში, სიმართლეში, მხატვრულ დამაჯერებლობაში სხვებიც დაარწმუნო... უნდა გქონდეს უნარი, შეგწევდეს ძალა, რომ შენი აღტაცება ნახულით, მისი ფერებისა თუ ფორმებით ტკბობა სხვებსაც გადასდო. ეს არ არის მაყურებელზე ძალადობა, თავკერძოობის გამოვლინება _ მხატვარი თვითდამკვიდრებისთვის კი არ იღვწის თუ იბრძვის, მას სურს, ჩვენც დაგვაჯეროს თავისი გრძნობის სიწრფელეში, აღმოჩენა შემოგვთავაზოს... დიახ, აღმოჩენა, აღმოჩენა უპირველესად საკუთარი სულისა, საკუთარი ხედვისა, თორემ რასაც აქ ვხედავთ, ამ გამოფენაზე, ამ სურათებზე, ეს პეიზაჟები

ჩვენც ბევრჯერ გვინახავს, კარგად ნაცნობია ბევრი ჩვენთაგანისთვის... ნაცნობიცაა და ახლად აღმოჩენილიც ქალბატონ იას მიერ _ და ეს აღმოჩენა ჩვენთვისაც საინტერესოა და მიმზიდველი, იმიტომ, რომ ნიჭიერი ადამიანის თვალი და სული იგრძნობა _ *ასეთნაირად* დანახული ჩვენთვისაც აღმოჩენაა. ამ სურათებში, შეიძლება ითქვას, ორი, ორგვარი რეალობაა: ერთი _ ობიექტურად არსებული და მეორე _ მხატვრის მიერ წარმოსახული. ერთიანობაში, ერთობლიობაში ეს იძლევა მხატვრულ ეფექტს. ქალბატონი ია მიჰყვება ხელოვნებაში ძველთაძველ და მარად ახალ გზას... ხელოვნების ენაა ასეთი და ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი ცდილობს, იაროს თავისი და ამავე დროს ჩვეული გზით: ჯერ ფეხი აიდგას სხვათა მიერ გაკვალულ-დატკეპნილ, ათასგზის ნავალ გზაზე, შემდეგ კი, როცა მუხლში ძალას იგრძნობს, ახალი, ძნელად სავალი მიმართულებით იაროს... აქ საუბარში ვან გოგი ახსენეს, შეიძლებოდა, ბევრი სხვაც დაგვესახელებინა, ვისაც წვლილი მიუძღვის ქალბატონ იას, ასე ვთქვათ წვრთნაში, დავაჟკაცებაში _ ეს ნორმალური, საყოველთაოდ აღიარებული და ძალიან შედეგიანი ხერხია, მთავარია, მარადი მოწაფეობის ბედი არ გაიზიარო. ვიცი, ზოგიერთი ქირქილებს: მოძველებული ფერწერაა, მასე ვინღა მუშაობს, პროვინციალიზმია, ვიღაც-ვიღაცეების გადამღერებაო. რა თქმა უნდა, ამ შეხედულებას ვერ გავიზიარებ, პრინციპულად ვერ გავიზიარებ... მთავარი გარეგნული რაღაც მსგავსება კი არ არის მანერაში, ფეროვან გამაში, თემაში და ასე შემდეგ, მთავარია შინაგანი განწყობა, განუმეორებელი სული, რასაც ვერ ისესხებ. ვან გოგის ტილოები ტრაგიკული განცდითაა დამუხტული, ქალბატონ იასთან პირიქით _ ცხოვრებით, გარემოს ხილვით და გააზრებით ტკბობაა; ქალბატონ იას სურათებში სიცოცხლის ზეიმია, _ ცინცხალი, ახლადდაბადებული, ნორჩი, მფეთქავი, ახალგაზრდული ძალითა და მჩქეფარებით დამუხტული დილაა სამყაროსი... მაგრამ ამავე დროს _ არა იდილია... სითამამე, განბორკილება, ერთგვარი გამოწვევაც კი არის... გაბედული შავი ფერია ბევრი, რაღაც დრამატული ქვეტექსტი, დაძაბული "სარჩული" _ ყველაფერი პოეტურად, ლაკონიურად და მეტყველად! ძალიან ძნელია ამის მიღწევა _ დიდი ნიჭის გარდა, დიდი ფიქრი და დიდი შრომაც უნდა ჩადო, რომ გაბედული ფერთა შეხამება უხეშობაში, ვულგარულობაში, ჭყეტელობაში არ გადაიზარდოს _ სურათი თეატრალურ-დეკორაციულ ესკიზს არ უნდა დაემგვანოს... სიძლიერეცაა, როგორც აქ აღნიშნეს, და ქალური სინატიფეც, ამაზე ბევრი შეიძლება ილაპარაკო, მაგრამ რა საჭიროა? _ ამის აღწერა შეუძლებელია... ჰო, ერთი რამის აღნიშვნა არ დამავიწყდეს... ქალბატონ იას პეიზაჟები, ბევრი ადამიანის შეხედულებით, _ მე თვითონ არაერთგზის მომისმენია ასეთი აზრი, _ ჰგავს არჩილ ქინურიძის სურათებს... შესაძლოა, მაგრამ ქალბატონი ია მის ეპიგონად არ შეიძლება მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, სასაცილოც იქნებოდა იმის მტკიცება, რომ უნდა სავსებით გამოირიცხოს ისეთი მნიშვნელოვანი მხატვრის გავლენა, როგორიც არჩილ ქინურიძეა _ და, როგორც ვთქვი, ბევრი სხვისაც _ ქალბატონ იას მხატვრული სახის ჩამოყალიბებაზე: ორი ათეული წლის განმავლობაში მის თვალწინ იბადებოდნენ არჩილის სურათები, ეს ხომ კარგი სკოლა, მეორე აკადემია იყო! მეორე მხრივ, უეჭველია, რომ ქალბატონ იას შემოქმედებას სრულიად სხვა მხარეს აქვს მიმართული გრძნობათა ვექტორი, რაიც მის სურათებს სრულიად განსხვავებულ სახეს, თვითმყოფ იერს ანიჭებს: თუ არჩილთან გროტესკია, დე-

ფორმაციაა წამყვანი, ქალბატონ იასთან _ ლირიზმი, გულწრფელობა, უშუალობა და ამასთანავე _ დრამატიზმიც... არის ფორმის პირობითობა, ნახატის პირობითობა, კომპოზიციის პირობითობა _ და არის ფერის პირობითობა; ქალბატონი ია მეტ-ნაკლებად ყველა ამ პირობითობას მიმართავს, უფრო მეტად კი _ ფერისას, უფრო ფერით "აზროვნებს" და ამბობს სათქმელს... მთავარი კი მის შემოქმედებით ბუნებაში არის ის, რომ თუმცა მის მიერ გადმოცემული რეალობა ადვილად იცნობა, ის არ არის პირდაპირ "გადმოტანილი", თუნდაც მეტ-ნაკლები პირობითობით, _ ის თავისუფალია: თავისებურად წარმოსახავს, თითქოს პოეტურად იხსენებს _ ლამაზად, ფერადოვნად და სადღაც სევდითაც... ქალბატონი ია მთელი ხმით მღერის, იგი ვერ ჰგუობს სხვა საღებავებს _ მხოლოდ ზეთი, ძლიერი მონასმი, უპირატესად კორპუსულად წერა, თუმც არც მეტისმეტი მოსდის (როგორც ერთ ჩვენს ცნობილ მხატვარზე ამბობენ, მის სურათზე საღებავი ისე სქლად არის დადებული, რომ კიბესავით შეგიძლია ზევით ასვლაო). მაშ სად არის საწყისი? ვან გოგი? ფოვისტები? ექსპრესიონისტები? ვლამინკი? სხვები და სხვები? ყველა ერთად და, რაც მთავარია, ქალბატონ იას განუმეორებელი სული, ის მძლავრობს ყოველ აქ გამოფენილ სურათში და ჩვენც გვიმონებს! ეს მონობა პირადად მე დიდ სიამეს მანიჭებს და ვისურვებდი, კიდევ მრავალჯერ, კვლავ და კვლავ, მოვხვედრილიყავი ქალბატონ იას ფუნჯის ძლევამოსილების ტყვე... დიდი მადლობა, ქალბატონო ია!..

დადგა იას სამადლობელი სიტყვის თქმის დროც. ია ჯერ გაფითრდა, შემდეგ წამოწითლდა... გიამ წასჩურჩულა:

_ მიდი, შეუტიე!..

იამ ღრმად ჩაისუნთქა...

_ ძალიან მიჭირს ლაპარაკი, ძალიან ვღელავ... რატომ უკვირთ ჩემი, _ როგორი გაწონასწორებული ჩანხარ ყოველთვის, ცივსისხლიანი ხარო? რა თქმა უნდა, მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ისევე განვიცდი ყველაფერს, სიხარულსაც და წყენასაც, კარგსაც და ცუდსაც, როგორც სხვები; ჩემი გარეგნული უშფოთველობა ნურავის შეაცდენს, ვეთანხმები ქეთინოს. რა ვიცი, იქნებ არც ღირდეს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ როცა შემოქმედებითად მუდმივად დამუხტული ხარ, რაღაცას წვალობ, აკეთებ, ათასჯერ გადააკეთებ და ზოგჯერ რაღაცას მართლაც აღწევ კიდეც და კმაყოფილებას განიცდი, სად გცალია წვრილმანებისთვის... ათასგვარი მითქმა-მოთქმისთვის... გინდაც მავანის ჩემს მიმართ არასწორ ქმედებას რომ ვხედავ, ვცდილობ, ყურადღება არ მივაქციო, _ მე ჩემს ცხოვრებაში, ჩემი ჭკუით, ერთი მთავარი საქმე მაქვს და რაც კი შემაფერხებელი იქნება მისი ჯეროვნად განხორციელებისთვის, უბრალოდ ვიცილებ თავიდან... შეიძლება, ჩემი ნათქვამი პრეტენზიულობაში და საკუთარ თავზე გაზვიადებულ წარმოდგენაში ჩამითვალოთ, მაგრამ გულწრფელად გეუბნებით: თუკი რაიმე უგვანო მხვდება ცხოვრებაში, ვცდილობ, მიმტევებელი ვიყო, არ გავღიზიანდე ზომაზე მეტად, ირონიული თვალით შევხედო, შინაგანად გავიცინო ადამიანურ სისუსტეზე _ და მივუტევო... აქ ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ჩემს მიმართ, მადლობელი ვარ, დიდად კმაყოფილიც, რომ ტყუილად არ ვშრომობ, ვიღაცას სიამოვნებას ვანიჭებ, რაღაცას ვქმნი... რა ვიცი, იქნებ ტყუილად ვფაფხურობ, დიდი ვერაფერი შვილი იყოს ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი, ერთი რამ კი გულწრფელად შემიძლია ვთქვა: არასდროს არაფერი გამიკეთებია გულის

კარნახის გარეშე, ჩემი შინაგანი ძახილის გარეშე; ყოველთვის იმას ვაკეთებდი და ისე ვაკეთებდი, როგორც მე მიმაჩნდა საჭიროდ, როგორც მე თვითონ ვგრძნობდი, რომ ასე და მხოლოდ ასე უნდა მოვქცეულიყავი... ცოტა დაულაგებელი ლაპარაკი გამომივიდა, ბოდიშს ვიხდი... მინდა უღრმესი მადლობა გიძღვნათ ჩემი დაფასებისთვის და აქ მობრძანებისთვის, თბილი და გულითადი სიტყვებისთვის, რომლითაც შეაფასეს ჩემი მოკრძალებული შემოქმედება... რა თქმა უნდა, დიდი მადლობა მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობას, მის ფერწერის სექციას, აგრეთვე მასპინძლებს _ ამ მშვენიერი, მყუდრო საგამოფენო დარბაზის მეპატრონეთ თუ მფლობელებს, არ ვიცი, უკეთ როგორ ჯობს თქმა... განსაკუთრებული სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით ვიხსენებ ჩემს მასწავლებლებს სამხატვრო აკადემიაში, აგრეთვე ჩემს მეგობარ მხატვრებს, რომელთა გვერდიგვერდ ბევრი მიმუშავია სახელოსნოებშიც და პლენერზეც და მათი მხარდაჭერისა და რჩევების გარეშე ძლიერ გამიჭირდებოდა რაიმეს მიღწევა... მიხარია, რომ რამდენიმე მათგანი დღეს აქ გვესწრება: ირმა პატაშურიძე, ქეთინო მზექალაძე, ელენე შველიშვილი, ესმა ჭყავაძე, დავით კუტიპურაშვილი, გია ფირფილაძე... განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო რამდენიმე ადამიანის ღვაწლი ამ გამოფენის მოწყობაში: უპირველესად, ეს გახლავთ გია ფირფილაძე _ შეიძლება ითქვას, მაგის დაჟინებული რჩევით თუ თხოვნით თუ აკვიატებით (არ ვიცი, როგორ გამოვხატო სიტყვებით) გავბედე პერსონალური გამოფენის გაკეთება, ლომის წილიც ამასთან დაკავშირებული ათასგვარი მსხვილმან-წვრილმანი პრობლემების მოგვარებაში სწორედ მან იკისრა; ვაჟკაცურად ამოუდგნენ მას გვერდში და აგრეთვე ძალიან დიდი დრო, ენერგია, ფიქრი, მონდომება შეალიეს ამ საქმეს ბაკურმა და დათუნამ... მადლობელი ვარ ბატონ გვარამ ვარამაისძისა, რომელთან ურთიერთობაც მამდიდრებს და ძალას მმატებს... დიდი, დიდი მადლობა ყველას, სიტყვები არ მყოფნის... მადლობელი ვარ!

ერთსულოვანი ტაშის შემდეგ ალფეზ უფასეიშვილმა გამოფენა გახსნილად გამოაცხადა და დარბაზი ამოძრავდა, აზიმზიმდა, აყაყანდა... მომცრო მაგიდასთან მიმჯდარ იას დაესივნენ _ ყველას უნდოდა, კატალოგი ჰქონოდა იას ავტოგრაფით. ოციოდე წუთში დარბაზში მყოფი საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორია შესამჩნევად შეთხელდა, ორი-სამი ათეული ადამიანი თუ დარჩა. იას საშუალება მიეცა, ექსპოზიციის საბოლოო ვარიანტი გულდინჯად დაეთვალიერებინა. თან ახლდნენ გია, დათუნა, ბაკური, ირმა პატაშურიძე და მაკაც, რომელიც დიდედას ერთი წუთითაც არ შორდებოდა. გუშინდელს შემდეგ, როცა ძირითადად დაიკიდა სურათები კედლებზე, დღეს დათუნასა და ბაკურის მეცადინეობით ბევრი რამ სასიკეთოდ იყო შეცვლილი. განსაკუთრებით ბაკურ ქიჩმაჩიძეს აღმოაჩნდა კარგი გემოვნება და ალღო ექსპოზიციის საუცხოოდ გააზრებისა, გიამ დიდად შეაქო. სამწუხაროდ, რამდენიმე საუკეთესო სურათიდან, რომლებიც იას კესანესთან ეგულებოდა, დათუნას დიდი მეცადინეობის მიუხედავად, ერთის მოტანაც ვერ მოხერხდა _ კესანესთან ისინი არ აღმოჩნდნენ...

_ თუ გაყიდა, ის მაინც მოეხერხებინა, მფლობელთა მისამართები ჩაეწერა! _ გაბრაზდა ია.

_ კესანესგან არა, მაგრამ მაინც გავიგეთ, სად არის ამჟამად რამდენიმე სურათი, _ დაამშვიდა დათუნამ. _ დღეს ალბათ ვერა და ხვალ მაინც მოვიტანთ ხუთ სურათს, მათთვის ადგილებიც გვაქვს გათვალისწინებული...

_ მართლა? როგორ გაიგეთ?.. სად არის?

დათუნას გაეცინა:

_ ძალიან უბრალოდ, ისინი დიანას საკუთრებაა, მანვე შემოგვთავაზა, გათხოვებთ გამოსაფენადო... ერთი საათი იქნება, რაც აქ იყო. სამწუხაროდ, ეს სურათები კატალოგში ვერ შევიდა.

_ მე კამფეტებს დამპირდა, გამოგიგზავნიო! _ წამოიძახა მაკამ და დიდედას დიდრონი გაცინებული თვალები შეანათა. იამ ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი.

_ მაკას ძალიან ეფერებოდა, აკოცა, რა ლამაზი ხარ, ჩასაყლაპიო, _ ამბობს დათუნა, მერე ბავშვს მიმართა: _ ძალიან კი ნუ გაიპრანჭები, კანფეტების ჩრჩილო!

დარცხვენილი მაკა დიდედას ეკვრის გვერდზე.

“_M _ რა ალერსიანია, თბილი, გარეგნულადაც მამასავით ქერაა, ცისფერთვალება _ _”

_ ამ სურათის წინ დიდხანს იდგა, _ გააგრძელა საუბარი დიანაზე დათუნამ, _ მკითხა, ახლა თუ მუშაობს პორტრეტებზეო. მე ვუთხარი, ამჟამად, რამდენადაც ვიცი, პეიზაჟების შექმნით არის გატაცებული-მეთქი. მასთან ერთად ზოია ზაზუნაშვილიც იყო, იმან მთხოვა, გამეგო, პორტრეტის შეკვეთას თუ მიიღებ.

_ გოგო, დიანას უნდა, მისი პორტრეტი გაუკეთო! _ წამოიძახა ირმა პატაშურიძემ. _ იაფად არაფრით დათანხმდე, ყელამდე ფულებში ცურავს!

_ ქმარი აღიარებული პორტრეტისტი ჰყავს, რად უნდა დიანას ჩემი მოცოდვილებული პორტრეტი, _ უპასუხა იამ.

_ ჰო, დედა, შენთან პატარა საქმე მაქვს, დანარჩენებთან დიდი ბოდიში, ხუთიოდე წუთით დაგტოვებთ... _ დათუნამ ია გვერდზე გაიყვანა: _ ალბათ ადრევე უნდა მეთქვა, მაგრამ ხალხი გეხვია და შესაფერისი დრო ვერ მოვიხელთე... შენს მოსვლამდე აქ, როგორც იცი, დიანა და ზოია მოვიდნენ...

_ ზოიას საიდან იცნობ?

_ პირველად ვნახე, თვითონ გამეცნო. თავიდანვე არ მომეწონა, საშინლად ბევრს ლაპარაკობდა, მაგის ლაქლაქისთვის სად მეცალა. გამოფენის დათვალიერება მთხოვა, მითხრა, იამ გამოგვგზავნაო, უნდა წინასწარ ვნახო სურათები და თუ კარგი კლიენტები გამოჩნდა, შეგატყობინებთო...

_ მე არ გამომიგზავნია...

_ მომატყუა?.. ჰო, დაათვალიერეს ექსპოზიცია, სურათების დაკიდება თითქმის დამთავრებული გვქონდა, მერე დიანა წავიდა, ზოია კი დარჩა. მე მათ ყურადღებას არ ვაქცევდი, საქმე მქონდა დარჩენილი, გამოფენის გახსნამდე მის მოთავებას ვჩქარობდი, ჰოდა, ზოია მოვიდა ჩემთან და მითხრა, ჩემი და კესანეს ბავშვობისდროინდელი წყვილადი პორტრეტი რომ არის, იმას რამდენად გაყიდის დედაშენიო. მე ვუთხარი, ის არ იყიდება, ოჯახში უნდა დარჩეს-მეთქი...

_ ეგ სურათი შენია, მე ანდერძით დაგიტოვებ, რომ კესანე არ შეგედავოს...

_ დიდი მადლობა... მაშინ აი, ამ პეიზაჟზე მეკითხება, ატენის სიონი რომაა გამოსახული, იმას რამდენად აფასებსო. რა ვიცი-მეთქი, იქნებ არც იმას ყიდის, მოვა ცოტა ხანში და პირადად დაელაპარაკეთ-მეთქი. მაინცო, ჩამაჯინდა, დაახლოებით მაინც გეცოდინება, რა ეღირებაო... მაშინვე მივხვდი, დიანას მოგზავნილი იყო. მე ვუთხარი, კიდევ გეუბნებით, არ ვიცი-მეთქი, იქნებ ვერც შეელევა-მეთქი. კიდევ დიდხანს მეჭიდავა და ბოლოს, რომ არ მომეშვა, გავბრაზდი, _ საქმე მქონდა სასწრაფო, _ 2000 მანეთი ეღირება დაახლოებით, თუკი გაყიდა-მეთქი...

_ გაგიჟდი, დათუნა?

დათუნას გაეცინა.

_ იმანაც შეიცხადა, მასეთ სურათში მუზეუმი ან გალერეა დიდი-დიდი ხუთას მანეთს გადაიხდის, თანაც ღმერთმა უწყის, როდისო, მერე იქიდანაც დაგიქვითავენო. მე ვუთხარი, საზღვარგარეთ მასეთ ნამუშევარში 5000 დოლარს და მეტსაც მისცემენ-მეთქი... მოკლედ, ხუთჯერ წავიდა და ისევ დაბრუნდა, ალბათ დიანას ხვდებოდა ან ურეკავდა, არ ვიცი. ბოლოს მითხრა, დედაშენს გადაეცი, ეგ სურათი არავის მისცეს, ფასზე შევთანხმდებით, ჩვენ ხომ ცივილიზებული ადამიანები ვართო. წავიდა და თხუთმეტ წუთში დაბრუნდა, ათას ხუთას მანეთზე არ დათანხმდებაო?.. საქმეს ვეშურებოდი და თავიდან მოსაშორებლად ვუთხარი, დათანხმდება, თუკი საერთოდ გაყიდის-მეთქი. ისევ წავიდა, მეგონა, თავიდან მოვიცილე, გავიხედე _ ისევ გამომეცხადა: თუ გაყიდის, აგერ ათას ხუთასი მანეთი, სურათს გამოფენის დახურვის შემდეგ წავიღებო... მაგიდაზე დადო ეს შეკვრა და გაიქცა... რა ვქნათ?

_ რას ამბობ, დათუნა, ფასი გააორმაგე, თუ მეტი არა. კი მენანება, მეც არ ვარ უკმაყოფილო "ატენის სიონით", თანაც წარსულის მოგონებებს მიცხოველებს... დიანას მართლაც შეუმცდარი ალღო აქვს, ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნამუშევარია.... რას იზამ, მხატვარი უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ მხოლოდ თავისთვის კი არა, უფრო სხვებისთვის მუშაობს. მაგ სურათის ეტიუდიც და ესკიზიც მაქვს, სულ ვაპირებდი რაღაცეების სხვაგვარად გადაწყვეტას, განსხვავებული ვარიანტის შექმნას, სხვანაირად, ახლებურად... ეგ სურათი რომ არ გაყიდულიყო, იმდენი ჩანაფიქრი მაქვს, ალბათ მაგ სურათის ახალ ვარიანტზე აღარ ვიმუშავებდი, ახლა კი ძალაუნებურად მომიწევს ამისთვის დროის გამონახვა. ახლა ბევრი ხარჯი გვაქვს და ეგ ფული ნამდვილად ზედმეტი არ იქნება...

_ ძალიან კარგი...

_ ეგ ფული შენია, დათუნა, შენ საკუთარი ფული დაახარჯე ამ გამოფენის გამართვას, უკან, შინ აღარ გინდა დაბრუნდე? სხვებს არავის არაფერი უთხრა; თუ კიდევ ვინმეს სურათის ყიდვა მოუნდება, შენთან გამოვგზავნი _ შენ ჩემი ფინანსური დირექტორი ხარ! _ დათუნას მოხერხებულობით გაკვირვებულმა იამ შვილს ლოყაზე აკოცა. _ წავიდეთ ახლა...

"_ _ რა უცნაური ბიჭია! სრულებით არ მოველოდი _ საიდან ასეთი მარიფათი? _ ძალიან ბლაყვი მეგონა, უხერხემლო, მოუხერხებელი _ პოლონეთში ხომ არ გაიწვრთნა? _ მე ყოველთვის სუსტი ნებისყოფითად მიმაჩნდა და მისი ჯინიანობა, რომელიც ბავშვობაში ახასიათებდა, ამის დადასტურებად _ სულ მეცოდებოდა, რომ გაიზრდება, ყველა მაგას დაჩაგრავს-მეთქი, ვფიქრობდი _ სხვებთან დამყო-

ლია, ოჯახში კი გაკერპდება-ხოლმე _ ძალიან კეთილი კია _ რამდენჯერ მოიყვანა შინ უპატრონო ძაღლი, ხანაც კატის კნუტი _ ერთხელ ზაზუნა მაყიდვინა _ არჩილმა ყოველთვის გადაუყარა ცხოველები... _ დათუნა ხან მარკებს აგროვებდა, ხან ასანთის კოლოფებს, ღვინის ბოთლის ეტიკეტებს, კონსერვის ქილებზე შემოკრულ ქაღალდებს... _ ცოტა ნელია, საქმეს ზანტად აკეთებს, მაგრამ კეთილსინდისიერად და საფუძვლიანად _ თუ დაიწყო საქმე, თან გადაჰყვება _ ჩემი გამოფენაც რა მშვენივრად ააწყო _ მოფიქრება არ გინდა? ჯერ გეგმა შეადგინა, რამდენიმე ათეული ვარიანტი ჩამოწერა _ გიაც კი განაცვიფრა პედანტური სიზუსტით, ყველა მსხვილმან-წვრილმანი გაითვალისწინა _ ცალკე ტექნიკური საკითხები, ცალკე ორგანიზაციული საკითხები _ სრული სია ადამიანებისა, "საჭირო ხალხისა", ვისაც რაიმე როლის შესრულება შეუძლია გამოფენის წარმატებით გამართვაში _ ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები, შორეული, ახლობელი _ საერთო საქმეა, ძმებო და დებო! _ თუმცა ნათესავებში არ გაუმართლა... _ გვარამ ვარამაისძე მან მირჩია კატალოგის შესავალი წერილის ავტორად _ ტელევიზიაში ვიღაც-ვიღაცეები შეაწუხა, გაზეთთა კორესპონდენტები _ სურათთა მყიდველებს, კოლექციონერებს ეძებს... _ მშვენიერი დარბაზი იშოვა გამოფენისთვის, ყოჩაღ! _ გიასაც მოუწია სირბილი... _ უამრავი ფული ყოფილა საჭირო, თუნდაც ბანკეტის გამართვა თქვი... _ ათამდე სურათის საჩუქრად დარიგებაც მომიწევს... _ ხარჯებზე მე არაფერს მეუბნებიან, ეგ შენი სადარდებელი არ არის, მაგაზე ფიქრით ნუ გაიწყალებ ტვინს, შენ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეც ბევრი გაქვსო... _ ყოჩაღ, მართლა არ მოველოდი მისგან ასეთ დაწყობილ და გააზრებულ მოქმედებას _ რასაც გადაწყვეტს, შეასრულებს კიდეც _ ეს არ არის ჯინიანობა, უფრო მიზანსწრაფულობაა _ გაჭირვების ტალკვესია დათუნა, ყველაფერს მოახერხებს, არაფერი გამორჩება, ვერც ვერაფერს გამოაპარებ, გამჭრიახია _ მიკვირს, სულ სხვადასხვა ყაიდის ხალხთან ურთიერთობის ალღოც გამოიჩინა _ მამამისთან კი რატომ ვერ მოახერხა? _ დათუნა რა მშვენივრად ხატავდა, მხატვრობა კი არ ისურვა _ არჩილის სახელოსნოში არ შედიოდა, მამასთან ურთიერთობა უძნელდებოდა _ არქიტექტორი გახდა და ამბობენ, ურიგო ხელოვანი არ არის, ძალიან აფასებენ ახალგაზრდობის მიუხედავადო... _ არჩილის გამო სახლიც კი შესძულდა _ იქნებ ყმაწვილი რომ იყო, ახალგაზრდული მაქსიმალიზმის გამო? _ რამდენი ვეხვეწე, ცოტა ხნით ხარ ჩამოსული და ჩემთან იცხოვრე, შენს სახლში-მეთქი და ვერაფრით დავითანხმე _ ბევრი საქმე აქვს, დაღლა ეტყობა სახეზე _ პოლონეთში დატოვებული ოჯახიც ადარდებს _ ერთი შვილიშვილი მაინც ჩამოეყვანა, როგორ გამახარებდა _ მხოლოდ სურათებით ვიცნობ ორივეს... _ მართალია, საქმეზე ჩამოვიდა, მაშინ ცოლიც უნდა წამოსულიყო _ ეს ოხერი ფული, ფული... _ თუ რამე დამრჩა, გავატან _ ჯინიანი კია, იუარებს, მაგრამ უნდა დავიყოლიო რამენაირად _ ვეტყვი, ფოსტით მაინც გადმოგიგზავნი-მეთქი... _ _"

_ ია, ბანკეტზე რამდენი კაცი იქნება? _ ჰკითხა ირმა პატაშურიძემ.

ია ფიქრებიდან გამოერკვა, თურმე ჯგუფთან ერთად კედლის გასწვრივ მიდიოდა ნელ-ნელა, ვითომ ექსპოზიციას ათვალიერებდა, სინამდვილეში კი თითქმის ვერაფერს აღიქვამდა.

_ ოცამდე იქნება ალბათ, შენც იქ იქნები და დაითვალე, თუ ასე გაინტერესებს, _ უპასუხა იამ, ცდილობდა, გაღიზიანებას არ გაეჟონა ხმაში: ახლა ეგ აკლია, ყველას ანგარიში აბაროს, რა მაგის საქმეა?

_ ალფეზ უფასეიშვილი ხომ მიიწვიე? _ არ ეშვებოდა ირმა.

_ ალფეზი? რომელი ჩემი ძველი მეგობარია...

_ რა გაგიკვირდა, გოგო, ალფეზი ამ ხნის კაცია, არ დაგზარდა და მოვიდა, გამოფენა გახსნა... საერთოდ, პატივსაცემი პიროვნებაა... საჭირო კაცია, სიტყვას შეგაწევს დამსახურებული მხატვრის წოდებაზე წარდგენისას, საზღვარგარეთ წასვლისას... გამგეობის წევრია, ცეკაშიც გაშინაურებულია... წოდებას რომ მიიღებ, შენს შემოქმედებას სხვა წონა ექნება და სურათებსაც მეტი ფასი დაედება...

იას კინაღამ წამოსცდა, წოდება კი გაქვს უკვე რა ხანია, მაგრამ შენს სურათებზე დიდი გაწევ-გამოწევა ჯერ არ შემიმჩნევიაო... თავი დროზე შეიკავა _ მაინც მეგობარია, მისი ჭკუით იაზე ზრუნავს; ისე კი ჯობდა, მაინცდამაინც არ შეეწუხებინა თავი...

_ ერთი კაცით მეტი იქნება თუ ნაკლები, რა მნიშვნელობა აქვს? ხარჯი ხარჯია, არ წააგებ, იცოდე! ხომ თანახმა ხარ?

ირმას ნათქვამზე იამ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო _ მასთან მიიჭრა ბიჭურად თმაშეკრეჭილი შარვლიანი ქალიშვილი და საკმაოდ უბოდიშოდ მიმართა:

_ ქალბატონი ია ბრძანდებით? მე თიკო ტიკინაშვილი ვარ, საღამოს გაზეთიდან, დღეს დილით ტელეფონით გელაპარაკეთ... თქვენი ფოტო თან გაქვთ? სახელდახელო ინტერვიუც მინდა გთხოვოთ...

_ გამარჯობა, გენაცვალე... სამწუხაროდ, სხვა ფოტო ვერ ვნახე, აი, ეს, კატალოგისთვის გადაღებული სურათი თუ გამოგადგებათ...

_ რა გაეწყობა. არა უშავს, ივარგებს. რამდენიმე კითხვაც მაქვს: თქვენი ბიოგრაფია მოკლედ, თქვენი შემოქმედება... როდის დაიწყეთ ხატვა, როგორ მუშაობთ, რა გინდათ თქვათ თქვენი სურათებით...

_ მოკლედ როგორ მოგახსენოთ, ბიოგრაფიული მონაცემები კი ამ კატალოგშია მოტანილი... რაც შეეხება ჩემს შემოქმედებას, მასზე შეგიძლიათ ამავე კატალოგში მოთავსებულ წერილში წაიკითხოთ... კიდევ უკეთესი იქნება, თუკი გამოფენას დაათვალიერებთ; აქ ასი სურათია გამოფენილი და ისინი ყველაზე უკეთ გეტყვიან ყველაფერს.

_ ას ოთხი სურათია, _ დააზუსტა ამ დროს მათთან მისულმა გიამ.

_ ბოდიში, სამწუხაროდ, არ მცალია, სულ ნახევარი საათით ვარ მოსული, სხვა გამოფენებზეც უნდა მოვასწრო მისვლა... დიდი მადლობა!

თიკომ ნაჩუქარი კატალოგი მხარზე გადაკიდებულ მოდურ შავ ჩანთაში ჩადო, ბლოკნოტი და კალამი მოიმარჯვა და სურათებს ჩამოუარა.

_ ნიძლავს ვდებ, ხუთ წუთში ეგ მომხიბლავი არსება დარბაზში აღარ იქნება, _ თქვა გიამ. _ ხვალ-ზეგ ბედნიერება გექნება, რასაკვირველია, თუკი გაზეთების შეძენას არ დაზარდები, იხილო ხელოვნებათმცოდნე გოგონას ინტერვიუ შენთან, რომელიც სინამდვილეში არც მიგიცია.

_ რატომ ამბობ მასე? _ ჩვეულებისამებრ მაშინვე პირში ეცა ირმა. _ რა იცი, რას დაწერს?

_ კარგი, ჯერ იმაზე დავდოთ ნიძლავი, რომ ხუთ წუთში ეგ ქალბატონი აქ აღარ იქნება, მერე სხვაზე, თუ გინდა.

_ რაზე დავნიძლავდეთ? _ არ დაიხია უკან ირმამ.

_ თუ მოვიგე, აღარასოდეს დამიწყო დავა, თუ შენ მოიგებ, შენი თანდასწრებით დავმუნჯდები, მხოლოდ შენი ნებართვით ამოვიღებ ხმას.

_ კარგი, თანახმა ვარ, დანიშნე საათი?

_ როგორც იქნა, ერთადერთხელ დამეთანხმე და...

_ რამდენი წუთი დარჩა? _ მოუთმენლად შეაწყვეტინა ირმამ.

_ სამი წუთი... _ საათზე დაიხედა გიამ, _ მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი დავის საგანი დროზე ბევრად ადრე აორთქლდა... ნაწყენი რომ არ დარჩე, სხვა რამეზეც დავნიძლავდეთ, გინდა?

_ ოჰ, კარგი ერთი... ხმა ხომ ჩამაწყვეტინე, ახლა კიდევ რაღაცას, უფრო უბედურს მოიგონებ... _ უგუნებოდ უპასუხა ირმამ.

_ არა, ნუ გეშინია. თუ მოიგებ, შენი წინა წაგება გაბათილდება, მერე მეჩხუბე, რამდენიც გინდა, თუ ისევ წააგებ _ შენთან მოვალ სახელოსნოში და შენს ერთ სურათს მაჩუქებ... მე თვითონ ამოვარჩევ!

_ იჰ, რა კარგი ხარ! სულ ათი-თორმეტი სურათი მაქვს და იქიდანაც ერთი გინდა, წამღლიტო?

_ შენ ისე ნაყოფიერი ხელოვანი ხარ, მაგის გეშინია, გენაცვალე?

_ შენი დასაცინიც გავხდი?

_ აბა, რატომ გაქვს ასე ცოტა ნამუშევარი? აგერ იას რამდენიმე ასეული დაუგროვდა, აქედან ასი ამოვარჩიეთ _ მე და ბაკური ვეხმარებოდით და მაინც გაგვიჭირდა, ბევრი კარგი სურათი იყო... იას გული დასწყდა, რამდენიმე გამოფენას ეყოფოდა კიდევ. შენ კი სულ რამდენიმე სურათი გქონია, ისინიც ალბათ კაი ხნის წინანდელი... ხომ ხედავ, გენაცვალე, როგორ ვზრუნავ შენზე: წააგებ და ზედმეტ ლაპარაკსა და აქეთ-იქით წოწიალს შეეშვები, ჩაუჯდები, კვირაში ერთ-ორ სურათს შექმნი... დიდ მადლობასაც მეტყვი. ჰო, წლის ბოლოს ერთ გემრიელ პერსონალურ გამოფენას გამოაცხობ... სერიოზულად გეუბნები: ორგანიზაციულ საკითხებზე თითს არ გაგანძრევინებ, ყველაფერს მე მოგიგვარებ, გამოცდილება უკვე მაქვს...

_ ჰო, კარგი, კარგი, ბევრს მე ვლაპარაკობ თუ შენ? _ შეაწყვეტინა ირმამ. _ რაზე დავნიძლავდეთ?

_ რაზე და, მე ვამბობ, ორი-სამი დღის შემდეგ გაზეთში გამოქვეყნდება საუბარი იასთან, რომელიც, ცხადია, არ შემდგარა, შენც მოწმე ხარ. იმ შედეგრში ყველაფერს თავდაყირა დაყენებულს ვიხილავთ: ერთობ პრიმიტიული კითხვები იქნება და იას "პასუხები" ხომ მთლად შედეგრები: სრული უცოდინარობა იას შემოქმედების თავისებურებისა, მხატვარიც გულუბრყვილო, გაცვეთილი, არაფრისმთქმელი სიტყვებით პასუხობს...

_ მაგარი ფანტაზია გქონია, მომილოცავს! თანაც ავი, ღვარძლიანი...

_ არა, გენაცვალე, ერთი და ორი მსგავსი შემთხვევა მინახავს? გუნდ-გუნდად დაფრინავენ გამოფენიდან გამოფენაზე. ჩიტირეკია, თავმომწონე ნორჩი ქალბატონებია, ყოველთვის აცვიათ ბოლო მოდის მიხედვით და ხშირად ერთი ნაბიჯი-

თაც კი წინ უსწრებენ... მათი მამიკოები ფულის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივიან, დიდ თანამდებობას, ხომ იცი, ყველაფერში დიდი პრეტენზიულობაც თან სდევს, ამაყად ამცნობენ ყველას: "ჩემი შვილი ხელოვნებათმცოდნეა!" აბა როგორ! გავლენიანი მამიკოს წყალობით ხელოვნებათმცოდნის დიპლომს დაითრევენ, ორსამ წიგნს გადაფურცლავენ და ჰგონიათ, რომ "ყველაფერში ერკვევიან"... თვითონ ხომ ატალახებული აქვთ ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა კარები, მშობლებს და "წონიან" ხალხს აკლებული ჰყავთ სატელეფონო ზარებით: "ყურადღება მიაქციეთ, ძალიან ნიჭიერია, თან ხომ იცით, ვისი შვილიც არის!" ეს ბოლო არგუმენტი ხშირად ჭრის და ბეჭდავენ ხელისგულის ოდენა მშრალ კორესპოდენციებს რუბრიკაში "ხელოვნების ქრონიკა", შეძლებისდაგვარად "გამომარგლულს" აზრობრივი თუ გრამატიკული შეუსაბამობებისგან... მერე ამ მშვენიერ ქალბატონებს თავი კიტრად მოაქვთ, ზოგიერთი დისერტაციის დაცვასაც კი ახერხებს... და კაცი არ არის, რომ უთხრას: "რა გინდა, შვილო, რომ დაწანწალებ უთავბოლოდ ზევით-ქვევით, ხელოვნების კრიტიკოსობა საშენო საქმე ნაღდად არ არის _ კოჭებში გეტყობა... ლამაზი გოგო ხარ, დროზე გათხოვდი, კარგი შვილები გაზარდე, ეგ არ ჯობს? კი, მოგწონს, შენს სახელსა და გვარს რომ იხილავ გაზეთში ციკნის კუდივით მოკლე წერილის ბოლოში, მაგრამ... ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ მიხვდები, რამდენი დრო დაჰკარგე ფუჭად... თუ დამიჯერებ, მადლიერებით მოიგონებ ჩემს დარიგებას..."

_ ჰო, როგორ არა, ხატვაც მარტო კაცების საქმეა, წერაც და კითხვაც! _ შეეპასუხა ცხარედ ირმა. _ გულთამხილავი ხარ!.. შენ რა იცი, იქნებ მშვენიერი წერილი დაწეროს, წინასწარ აკვიატება უარყოფითი აზრისა როგორ შეიძლება?

_ რა შუაშია აქ აკვიატება? როცა ავადმყოფობის ცხადი სიმპტომები ჩანს, დიაგნოზის დასმა არ არის ძნელი. ხუთი წუთით რომ შეირბენ გამოფენაზე, რა უნდა ნახო, რა უნდა შეიცნო, გაიაზრო, რას ჩაწვდე? მხატვარმა წლები, ათეულობით წლები შეალია დაძაბულ შემოქმედებით შრომას, შენ კი გინდა, თამაშ-თამაშ, თვალის ერთი ზერელე შევლებით გაუგო? ხუთჯერ, ათჯერ უნდა მიხვიდე გამოფენაზე, დილიდან საღამომდე უნდა ათვალიერო და ჩხრიკო თითოეული სურათი, მხატვართან საათობით ისაუბრო, სიქის გაცლამდე იდავო მხატვრებთან, ხელოვნებათმცოდნეებთან, ბევრი იფიქრო და მხოლოდ შემდეგ შეეცადო, საკუთარი დასკვნები გააკეთო... თანაც არც მაშინ ხარ დაზღვეული მცდარი ან ცალმხრივი შეფასებისგან... ხელოვნება უბედური რამაა: ნურავინ დაიკვეხნის, ჩემი შეხედულება ერთადერთი ჭეშმარიტებაა...

_ მერე?

_ რა მერე?

_ მერე, ხომ ხედავ, წინააღმდეგობაში ჩავარდი: მაინცდამაინც შენი შეხედულება იქნება სწორი და სხვა კი, როგორც შენ ბრძანებ, გულუბრყვილო და ტრაფარეტული აზრებით შემოიფარგლება.

_ მენიძლავები თუ არა? თუ გინდა, მესამე რამეზეც დაგენიძლავები: ია ჯერ ირონიული ღიმილით წაიკითხავს წერილს თუ კორესპოდენციას, გაეცინება და გაერთობა კიდეც, მერე გაბრაზდება და დარეკავს რედაქციაში: "ეს რა უვიცი და ტუტუცი ვიღაც გამომიგზავნეთ, თავხედი, გაუნათლებელი; რა სულელური აზ-

რები მომაწერა, არც ელემენტარული ცოდნა აქვს, არც _ ტაქტი, არც _ პატივისცემა მხატვრის შრომისა... რატომ დაბეჭდვამდე არ მაჩვენა ტექსტი ვიზირებისთვის?" მერე პირადად მივა რედაქციაში ქოლგით და რამდენიმე შეუგნებელი თავისა და საკუთარი ქოლგის დაზიანების ფასად თვალნათლივ დაარწმუნებს მათ, რა მოსდევს მხატვრის შრომის დაუფასებლობას...

_ რატომ მივალ ქოლგით? _ სიცილით კითხულობს ია.

_ იმიტომ, რომ უეჭველად საშინელი წვიმა იქნება იმ დღეს, თქეში და წარღვნა... დავნიძლავდეთ?

_ მოცლილი ხარ... _ იასგან განსხვავებით, ირმა არ იღიმება, ეტყობა, ძლიერ განიცადა რატომღაც სახუმარო სანაძლეოს წაგება. _ მე ოცამდე სურათი მაინც მაქვს, შენი შედევრები კი საერთოდ არ მინახავს გამოფენებზე. "ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო", _ არ გაგიგია?

_ გია ფერმწერი კია განათლებით, მაგრამ გრაფიკაში მუშაობს, შენც კარგად იცი... _ გიას მაგივრად უპასუხა იამ. _ რამდენი გრაფიკოსია, შემდეგ რომ ფერწერაზე გადავიდა და პირიქითაც, რა მოხდა ისეთი? ჩვეულებრივი ამბავია... გაიარე ლითოგრაფიულ სახელოსნოში, ჰკითხე ასლანს, ვინ მოღვაწეობს იქ ყველაზე აქტიურად... რამდენიმე ათასი ნახატი აქვს სოუსით, ნახშირით, სეპიით, ფანქრით... შენ წარმოდგენაც არ გაქვს, _ რამდენიმე ათასი! საქაღალდეებში აღარ ეტევა. გამოფენებზე არ ჩანს ხშირად, სწორია, არ სცალია და იმიტომ. ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება გიას კარიკატურები, მეგობრული შარჟები, რამდენიმე ასეული წიგნი აქვს გრაფიკულად გაფორმებული, ბევრი მათგანი _ მრავალი ილუსტრაციით... ფერადი ფანქრებით და პასტელით ნამუშევრებიც აქვს, მეტი რაღა გინდა? სულ ვთხოვ, ფერწერაშიც იმუშაოს, ალბათ დამიჯერებს...

_ კი, ვფიქრობ ხანდახან, მაგრამ დროდადრო წამუშავება მე არ მწამს; თამაშთამაშ საქმე არ კეთდება, განსაკუთრებით _ ფერწერაში... საფუძვლიანი ჩაჯდომა უნდა, სულ მთლიანად, თავფეხიანად უნდა ჩაეფლო ფერწერაში, ბევრი ფულიც გინდა მასალებისთვის და სულ პატარა სახელოსნო მაინც, რომელიც მე არ გამაჩნია... _ სინანულით დაასრულა გიამ.

_ ყველაფერი გამოსწორდება, _ ანუგეშა იამ, მერე ირმას მიუბრუნდა: _ გარდა ამისა, შენ ალბათ არ იცი, ქვრივი ავადმყოფი და და მისი სამი შვილი ჰყავდა მისახედი; დისშვილები ახლა უკვე დიდები არიან, სამივემ უმაღლესი განათლება მიიღო, უკვე მუშაობენ... აღარ უჭირთ და, თუ საჭირო გახდა, ბიძას აქეთ დაეხმარებიან... შენ კი, ირმა, ბავშვები აღარ გყავს პატარები, ბებიაც გახდი, ქმარი კარგ ადგილზე მუშაობს, რატომ ზარმაცობ? ბოდიში უნდა მოგიხადო, ეს ჩემი საქმე არ არის ალბათ, მაგრამ ნიჭიერი ქალი ხარ და... მახსოვს, პლენერზე რომ მივდიოდით ერთად, მშვენივრად გამოგდიოდა კომპოზიციურად, მეც ბევრი რამ ვისწავლე შენგან და ჩვენმა მეგობარმა ქალებმაც... ფერშიც სასიამოვნო იყო, სად არის ახლა იმდროინდელი შენი ნამუშევრები?

ირმამ რატომღაც წაუყრუა.

_ ესმა, აი, გახსოვს, ჩვენ რომ ატენის ხეობაში ვიყავით ეტიუდებზე სამუშაოდ? _ მიმართა იამ ესმას. _ გახსოვს ის ადგილები?

ახლა ისინი იდგნენ იას მიერ შესრულებული რვა სურათისგან შემდგარი პეიზაჟთა ციკლის _ “ატენის ხეობის მოგონება” _ წინ.

_ როგორ არ მახსოვს! იმდროინდელი მოზრდილი აკვარელი ახლაც შემომრჩა, _ თქვა ესმამ. _ მაშინ ძალიან ნაყოფიერად ვიმუშავეთ... ნათელასაც აქვს გაკეთებული ატენის ხეობის მშვენიერი პეიზაჟი... რატომ არ მოვიდა შენი გამოფენის გახსნაზე?

_ არ შეატყობინე? _ იკითხა ირმამაც. _ რა მოხდა თქვენს შორის?

_ დავურეკე, ველაპარაკე... _ თქვა იამ, _ მაგრამ... ამ ბოლო დროს რაღაც მწყრალად არის განწყობილი ჩემს მიმართ...

“_ _ გინდა, ყველაფერი იცოდე? _ შენ ხომ არ გაავრცელე ჭორი, თითქოს მე დამსახურებული მხატვრის წოდებას მანიჭებდნენ? _ ტყუილად გადამკიდე ნათელა _ რამ დაბოღმა, არ ვიცი; კიდევაც რომ მართლა მომცენ, რა ჯანდაბად მინდა ეს წოდება... _ _”

_ მე ნახული მაქვს ნათელა ნარიაშვილის ატენური პეიზაჟი, _ თქვა გვარამ ვარამაისძემ, _ მომწონს, თუმცა სრულებით არ ჰგავს ქალბატონ იას ამ სურათებს.

_ შენ როდისღა მოასწარი ამდენი სურათის გაკეთება, კიდევ იყავი იქ? _ ჰკითხა იას ესმამ. _ მაშინ მე მხოლოდ ერთი სურათის დამთავრება მოვასწარი.

_ მხოლოდ ერთხელ ვიყავი, შენთან და ნათელასთან ერთად, მეტი არ მომეცა საშუალება... ორი ეტიუდი ჩამოვიტანე და ათამდე ჩანახატი. მერე შინ, სახელოსნოში, მათ საფუძველზე ათამდე სურათზე ვიმუშავე... მათგან რვა სურათი ამოვარჩიეთ ამ გამოფენისთვის... როგორი სიამოვნებით ვიხსენებ იმ დროს! სექტემბრის შუა რიცხვები იყო თუ ოდნავ გვიან... აგერ, ხედავთ კიდეც სურათებზე, ძალიან ლამაზი ხეობაა, განსაკუთრებით შემოდგომით... ხეობის კალთები აქა-იქ ტყითაა დაფარული, შუაში ორი ზოლი თუ სარტყელია: ერთი _ მდინარე ტანა მიიკლაკნება, მეორე _ მიხვეულ-მოხვეული საავტომობილო გზაა. ამ საუკუნის დასაწყისში აქ მესამე ზოლიც იყო _ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზისა, რომლის მეშვეობითაც კერძო მრეწველებს აქედან ხე-ტყე გაჰქონდათ... ხეობამ დღემდე ვერ მოიშუშა თითქმის საუკუნოვანი ჭრილობა _ ბევრგან ტყის საფარი ჯერაც ვერ აღიდგინა. ხეობის ზედა ნაწილში კალთები მუქი მწვანე იყო _ წიწვოვნებისგან, ალაგ-ალაგ _ უკვე სიყვითლეშეპარულიც ფოთლოვანი ხეების მომცრო კორომებისა. მშვენიერი მყუდრო, პატარა სოფლებია: ორმოცი, ზემო ბოშური, ყველაანთუბანი... აგერ ბობნევის მომცრო ბაზილიკაა, ფერდობზე დგას _ რუხი კედლები და წითელი სახურავი... რამდენადაც ვიცი, შიგ მოხატულობაა, ჩვენ ვერ მოვახერხეთ მისი ნახვა, ვჩქარობდით. ვერც ატენის სიონის ბრწყინვალე ფრესკები დავათვალიერეთ _ იმედი გვქონდა, რომ შემდეგ კიდევ ამოვიდოდით ატენის ხეობაში და მეტხანს დავრჩებოდით. აგერ ატენის სიონი, ხედავთ, რა ვიწრობია აქ, კლდოვანი ხევის ციცაბოზეა შემოსკუპებული ტაძარი, ადგილი საკმარისი არ იყო და საყრდენი კედელი მოიშველიეს... ზევიდან, მთის ფერდობიდან დავყურებდი; ყვითელი, ნატიფად გამოკრისტალებული ტაძარი თითქოს ანათებდა რუხი კლდეების ფონზე... იგი მცხეთის ჯვრის კომპოზიციას იმეორებს. ზომით უფრო დიდია და ვერ არის ისე კოხტად მორგებული გარემოს, როგორც მცხეთის ჯვარი. მახსოვს, რამდენი ვიფორთხე ფერდობზე, რომ საჭირო ხედვის წერტილი მომეძებნა; ნათელა მეჯიჯღ-

ინებოდა, არ გვცალიაო. მე მაინც მოვასწარი ეტიუდის გაკეთების შემდეგ კიდევ ერთი ეტიუდის დატყეპება. ნაჩქარევად მომიწია, მაგრამ არაუშავს გამომივიდა, შინ რომ ვნახე. მერე იმ ეტიუდით რამდენიმე ვარიანტად სურათი შევქმენი, აი, ეს _ "ატენის სიონი. შემოდგომა." _ ყველაზე უკეთესია. დიანას განსაკუთრებით გამოურჩევია. რაღა დაგიმალოთ და მეც მომწონს... გზა_გზა ავტობუსიდან ჩანახატებსაც ვაკეთებდი, ისინიც გამომადგა...

_ მე რომ მკითხოთ, აქ ბევრი სხვა, არანაკლებ მომხიბლავი სურათებია, _ თქვა გვარამ ვარამაისძემ. _ თითოეული რაღაცით გამოირჩევა, თუმცა, რა თქმა უნდა, ქალბატონ იას ხელი ყველგან მძლავრობს... ძლიერი ხელია, მამრის ხელი _ თავისუფალი, ფართო მონასმებით ნაწერი... აი, ნებისმიერი ტილო ავიღოთ... ლოკალური, მჟღერი ლაქების გაბედული, ოსტატური შეხამებით რა ტემპერამენტიან, მაჟორულ სიმფონიებს ჰქმნის! ახლა ბევრი, ძალიან ბევრი მხატვარი მუშაობს ამ მანერით _ ჩვენთანაც, სომხეთში, აზერბაიჯანში, მთელ მსოფლიოში, _ მაგრამ ერთეულები თუ აღწევენ თავს, ასე ვთქვათ, შიშველ დეკორაციულობას, მხოლოდღა გარეგნულ ეფექტურობას... გულახდილად გეტყვით: ქალბატონ იას სურათები მიტაცებს, მაჯადოებს, ბევრი სხვისა კი, _ თითქოს მსგავსი მანერით შესრულებულნი, _ ნაკლებად მაღელვებს... რატომ? რაში მდგომარეობს აქ საიდუმლოება? სულ ვცდილობ, ჩავწვდე მიზეზს, მაგრამ ბოლომდე ვერ ამიხსნია... მე მგონი, მიზეზი იმალება მხატვრის ბოლომდე შეუცნობელ პიროვნულ თვისებებში: მისი ხედვა, სურათის ფეროვანი თუ კომპოზიციური გადაწყვეტა, ფუნჯის მოძრაობის ხასიათიც კი, განპირობებულია შემოქმედის პიროვნული თვისებებით, მისი ხედვის, აზრისა და გრძნობის განსაკუთრებულობით... ბოდიშს ვიხდი, პოპულარულ ლექციასავით გამომივიდა, მაპატიეთ...

_ საპატიებელი არაფერი გჭირს, ჩემო გვარამ, სავსებით სწორად ბრძანე, _ უთხრა გიამ. _ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: იას დღეს არ დაუწყია მუშაობა, ცოტ-ცოტას ადრეც ახერხებდა რაღაცას, ჰოდა, აი, ის ძველი, ოცი-ოცდახუთი წლის წინ შექმნილი რამდენიმე სურათი რომ შეადარო ამ გამოფენაზე გამოტანილებს _ სრულებით არ ჰგავს! თითქოს სულ სხვა მხატვრის სურათებია! კარგად რომ დაუკვირდე, იმ ადრეულ სურათებში შეიძლება დიდი გაჭირვებით შეამჩნიო იას მომავალი ხელოვნების რაღაც მინიშნებასავით, მაგრამ მთლიანობაში, პირდაპირ ვიტყვი, თვალში საცემია მომჩვარული, გაუბედავი ფერწერა, თუკი მას საერთოდ შეიძლება ფერწერა ვუწოდოთ. ალბათ ნებისმიერი პედაგოგისთვის რომ გეჩვენებინათ, იტყოდა: ტყუილად ნუ იწვალებს თავს, სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი, მაგისგან საშუალო დონის მხატვარიც არ დადგებაო...

_ აბა, იმ საწყალ კორესპონდენტ გოგოს რას ერჩოდი, მთელი ლექცია რომ წაგვიკითხე, ხელოვნებაზე წერა რა მაგის საქმეაო! _ ვერ მოითმინა და წამოიძახა ირმამ.

_ ქალბატონო ირმა, მგონი, შენ ნიძლავი გაქვს წაგებული, უკვე დაგავიწყდა მისი პირობა? _ განგებ სერიოზული იერით დატუქსა ირმა გიამ, შემდეგ ჩვეულებრივ განაგრძო: _ უამრავი შემთხვევა ყოფილა, როცა მომავალ გენიოსებს ახალგაზრდობაში სრულიად უნიჭოდ თვლიდნენ, როგორც ახლა ამბობენ, უპერსპექტივოდ მიაჩნდათ... მაგრამ, ჩემო კარგო, არც ერთი გენიოსი გენიოსად არ ჩამოყალი-

ბებულა უდიდესი შრომის გარეშე... მართალია, გარეგნულად შეიძლება, ისე ჩანდეს, რომ ყველაფერს ძალიან იოლად, ძალ-ღონის დიდი დაძაბვის გარეშე აღწევენ, მაგრამ ვინ ჩაიხედა მათ სულში? ვის შეეძლო, დაენახა ის უდიდესი შინაგანი წვა, რაც მათ გონებაში ხდებოდა? რასაც იამ ამ ათ წელიწადში მიაღწია, ხომ იცი, კატორღული შრომით შეძლო; რა თქმა უნდა, ნიჭი, უნარი რომ არ ჰქონოდა, ამდენი შრომა ფუჭად ჩაუვლიდა, მაგრამ უშრომლად ეს დაფარული ნიჭი დამარხულ, გამოუყენებელ განძად დარჩებოდა... ხომ იცი, შრომამ შექმნა თვით ადამიანი!

_ აღარ მახსოვს, ვინ თქვა? "რომ ანათო, უნდა იწვოდე!" _ თქვა გვარამ ვარამაისძემ.

_ სწორედ მასეა, _ დაეთანხმა გია.

_ აი, რომ ვთქვი, იას სურათები მაჟორული სიმფონიებიაო, ცინცხალი, ფერადოვანი ტილოებია, მეორეს მხრივ, შეხედეთ რა გაბედულად ხმარობს მუქ ფერებსაც, განსაკუთრებით _ შავს!.. ასე ვთქვათ, სევდიანი ინტონაციაც, მინორული გამაც უდევს სარჩულად, მთლიანობაში კი სიღრმე, მრავალფეროვნება გრძნობისა, სადღაც _ წინააღმდეგობრიობაც...

"_ _ მე რომ ასეთი, საკმაოდ მძიმე ცხოვრება არ მქონოდა, ვიქნებოდი მხატვარი? *ასეთი* მხატვარი? ჩემი მაჟორული სურათები, როგორც მათ უწოდებენ, ხომ არ არის უკუქმედება, უკურეაქცია გადატანილი და ნაწილობრივ ახლაც არსებული ცხოვრებისეული სიმძიმისა, მოუწყობლობისა? _ იქნებ არჩილის ცხოვრების წესი, განსაზღვრული მისი პიროვნული თვისებებით, გახდა მიზეზი მისი ხელოვნების უკუსვლისა? _ თუ დაბერდა, ამოწურა თავისი შინაგანი შესაძლებლობები? _ სიბერე, სიბერე... _ არც მე ვარ მისგან შორს... _ ვისთან ვიცხოვრებ? _ ქალიშვილთან? არა! _ სიძე კი მეუბნება, ერთად ვიყოთო, კესანე ხმას არ იღებს... _ ვაჟთან? _ დათუნა შორსაა, სიბერე ახლოსაა... _ რას ვიჭყლეტ ტყუილად ტვინს, გადაწყვეტილია უკვე ყველაფერი _ მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ გვიან მოხდა ყოველივე... _ მაგრამ, ნათქვამია, "სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო!" _ გიას შეეძლო ჩემზე ათი-თხუთმეტი წლით ახალგაზრდა ქალი შეერთო... _ რა სულელი ვარ, რა დროს ასეთი ფიქრებია... _ _"

_ ...ძველთაგანვე ცნობილია: თუ შენს საქმეზე შეყვარებული არ ხარ, კარგს ძნელად შექმნი... _ აგრძელებს თავის აზრს გვარამ. _ მისი სალოცავი ხატია ბუნება, მას ეთაყვანება, _ მხოლოდ ხედს, პეიზაჟს კი არა, ბუნების ყოველ და ყოველგვარ ქმნილებას და მათ შორის, უპირველესად, ადამიანსაც, რაღა თქმა უნდა. არსებობს სხვადასხვა ყაიდის მხატვრები, ამით არის მხატვრობა მრავალფეროვანი და მომხიბვლელიც... იას არ იტაცებს სიმბოლოების თუ მეტაფორების ენა, სუბიექტურად შექმნა "ახალი" სამყაროსი, ოცნებებისა თუ ზმანებების ფანტაზიური ხილვები... აი, შეხედეთ ამ სურათებს: მხატვარი სავსებით კმაყოფილია იმით, რასაც ხედავს, ტკბება სინამდვილის სიმდიდრით, რეალობის ამოუწურაობით... უცებ ვერ ვპოულობ სიტყვებს, რომ აზრი ადეკვატურად გამოვთქვა... დიახ, ის ტკბება გარემოთი, ბედნიერია მისი ხილვით, აღქმით _ ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებს და ბედნიერია, რომ შეუძლია, ეს აღტაცება ტილოზე გადაიტანოს, თავისუფლად გამოხატოს... ამ ობიექტურ სინამდვილეში ის ხედავს უდიდეს განძს, მას საკუთარი თავიც მიაჩნია ამ გარემოს ნაწილად და სავსებით სამართლიანად ისიც ჰგონია, რომ მასაც ამოუ-

წურავი შესაძლებლობები აქვს. ამიტომ მუშაობს ასეთი გატაცებით, ასეთი მოუღლელია მისი ფუნჯი... ამიტომ არის იასთვის ასეთი საყვარელი და მშობლიური ეს მთებიც, ეს მდინარეც, ეს ხე-ბუჩქები და ბალახები, უბრალო ქვებიც კი... ან კლდე და მის ძირში ჩამოშლილ ღორღზე ამოსული ჟოლო, კოწახური...

_ ერთ რამეს დავამატებ ბატონ გვარამის ნათქვამს, _ თქვა გიამ. _ ია ხვალ და ზეგ როგორ იმუშავებს და რას შექმნის _ ვერავინ იტყვის, იმიტომ, რომ ძალიან პლასტიკური, მოქნილი აზროვნება აქვს და მის ნიჭში მრავალფეროვანი შესაძლებლობებია დაუნჯებული... მე მგონი, მისი ენერგიისა და მონდომების პატრონი კიდევ ბევრჯერ გაგვაოცებს, როგორც გაგვაკვირვა ამ გამოფენით: იქნებ ფანტაზიური, წმინდა წარმოსახვითი სურათები შექმნას, პორტრეტის ჟანრში გაგვახაროს, ნატურმორტებს, როგორც ვიცი, ახლაც უმიზნებს...

“_ _ ზოგჯერ მეც არ მჯერა, რომ ეს სურათები ჩემი შექმნილია! _ შიში მიპყრობს _ იქნებ აწი ვეღარ შევძლო ასეთივე დონის სურათების დახატვა? _ ხშირად უცნაური აზრიც ამეკვიატება ხოლმე: როდისმე, ვინ იცის, ხვალაც კი, ხომ მოვკვდები და ეს სურათები კი დარჩება... _ კიდევ უფრო უცნაურად მეჩვენება ფიქრი, რომ შესაძლებელი იყო, ეს სურათები საერთოდ არ გაჩენილიყო, მაგალითად, მშობიარობას რომ გადავყოლოდი ან... ხომ შეიძლებოდა, საერთოდ არ დავბადებულიყავი? _ ხანდახან რა სულელური ფიქრები გიტრიალებს თავში, ვინმეს რომ გულახდილად გაუზიარო, შეიძლება შერეკილადაც ჩაგთვალოს... _ ალბათ სიბერის კარს მივუკაკუნე და ქვეცნობიერად შიში მიპყრობს _ გულუბრყვილოდ ვეკითხები საკუთარ თავს: ნუთუ შეიძლება, მე აღარ ვიარსებო, აღარ ვიყო ამქვეყნად? _ მაშინვე ფხიზელი და მკაცრი რეალობა სასტიკ პასუხს გაძლევს: გაიხედე, ათი ათასი, ასი ათასი კაცი ყოველ წუთს კვდება, მათ შორის რამდენია სრულიად უაზროდ დაღუპულიც... _ თუნდაც მინას ავეტისიანი... _ რა ბრწყინვალე ნიჭის მხატვარი იყო _ სარიანის სკოლიდან გამოვიდა, მაგრამ განსხვავებული, თვითმყოფი ფერწერული განზოგადების საკუთარი ხედვით... _ წმინდა წყლის ფერმწერი, ღვთით ბოძებული ნიჭით: რასაც კი ასახავდა, ემოციური, ტემპერამენტიანი, ნამდვილი ფერწერა გამოსდიოდა, რაც ასე იშვიათია დღეს _ ფერების კონტრასტული, მჟღერი შეთანადებებით, საოცარი გაწონასწორებულობითა და ჰარმონიით _ სრულიად გამორჩეული, არავის ჰგავს _ ცოცხალი (ვაგლახ _ მხოლოდ მეტაფორულად!) დადასტურება ცნობილი ჭეშმარიტებისა: ფიგურაციული ფერწერა ამოუწურავია თავისი შესაძლებლობებით _ დიდი ტალანტი არ აპატიეს: ჯერ სახელოსნო დაუწვეს, სადაც საგამოფენოდ გამზადებული რჩეული სურათები ჰქონდა შეგროვებული, შემდეგ კარგა ხანს “ნადირობდნენ” თვით მხატვარზე, სანამ მანქანა არ დააჯახეს და ბოლო მოუღეს _ ნუთუ შესაძლებელია ასეთი რამ? _ მკვლელმა თუ მკვლელებმა ხომ საკუთარი თავი გაძარცვეს, საკუთარი სულიც... _ ხელოვნება ხომ გაძარცვეს და გაძარცვეს... _ ნუთუ შესაძლებელია, ასეთი საშინელება მოხდეს? წარმოუდგენელია... _ _”

_ რაზე ჩაფიქრებულხარ, ია?.. უკვე მესამედ გეკითხები.

_ რას მეკითხებოდი, გია?

_ რატომ მერყეობ ამდენ ხანს, რატომ არ გინდა, ძალა მოსინჯო პორტრეტშიც?.. აჰა, დარბაზს შემოვუარეთ და ისევ კესანესა და დათუნას წყვილად პორტრეტთან მივედით.

_ რა ვიცი... კარგა ხანია, ვაპირებ, თან ვუფრთხი _ მეშინია...

_ მართლაც მშვენიერი ნამუშევარია! _ თქვა გვარამმა. _ ამ წყვილად პორტრეტში ჯერ არ ჩანს, არც კი იგრძნობა იას მომავალი თვითმყოფი ხელწერა, მაგრამ მაინც კარგია!

_ მაკა, შენს პორტრეტს შევქმნი, გინდა? _ დაიხარა ია მის გვერდზე მოუშორებლად მიტმასნილ_ჩახუტებული შვილიშვილისკენ. _ გამიჩერდები?

მაკამ დაიმორცხვა და თავი ჩაღუნა.

"_ _ ეს წყვილადი პორტრეტი, კესანე და დათუნა... _ რა წვალებით გავაკეთე, რა დიდხანს მოვუნდი, ასჯერ გადავაკეთე; რამდენჯერ მინდოდა, თავი დამენებებინა... _ კარგი ვქენი, გიას რომ დავუჯერე და გამოვფინე ეს ადრინდელი ნამუშევარი _ დანარჩენი სურათები სულ პეიზაჟებია, თანაც გამოჩნდა, საიდან წამოვედი, როგორ დავიწყე... _ ტექნიკური სისუსტეები ცხადად ჩანს, ხელის გაუწაფაობა, მთლიანობაში მაინც არა უშავს _ ასე აღარ და ვეღარ ვიმუშავებ _ სულ სხვანაირია, ჩემი შექმნილი არ მგონია _ ბევრი პეიზაჟი მაქვს გასაკეთებელი, მაგრამ იქნებ პორტრეტზეც ვიფიქრო, ვნახოთ... _ თუ პროფესიონალი ხარ, ყველაფერი უნდა მოსინჯო _ დიდი შრომა მომელის _ _"

_ რა თქმა უნდა, გაგიჭირდება, _ ეუბნება იას გია. _ შენ, ვიცი, სიძნელის არ გეშინია. პორტრეტში სხვა ამოცანები გექნება გადასაჭრელი, სხვა სირთულეები გელის, ეს შენ კარგად იცი, სამაგიეროდ ახალ გამოცდილებას შეიძენ და, დამიჯერე, შენს პეიზაჟებზე მუშაობასაც წაადგება...

_ მეშინია, როგორ არა; ძალიან ძნელია პორტრეტზე მუშაობა, რომ ვერ დავძლიო? ხომ გითხარი, ვუფრთხი, შიგადაშიგ ადრეც მომივლიდა ამის სურვილი და ყოველთვის გადავდე.

_ აი, გრაფიკაში მუშაობა ხომ სასიკეთოდ დაეტყო შენს ფერწერას?

_ კი, ნამდვილად. ჩანახატების კეთება შემიყვარდა კიდეც, გავუგე გემო.

_ გრაფიკას სხვა "ენა" აქვს და სხვა "გრამატიკა", მასთან ზიარება ფერწერასაც ამდიდრებს, როგორც, მაგალითად, მწერალს ამდიდრებს უცხო ენის ცოდნა ან ლექსების შეთხზვა თუნდაც სავარჯიშოთ. ხატვა ყველას სჭირდება, თან მუდმივად, სისტემატურად _ ეს ისეთი ვარჯიშია, რომელსაც ვერაფერი შეცვლის.

"_ _ რაც დრო გადის, მით ნაკლებ მჭირდება ფერწერული ეტიუდები _ ჩემთვის საკმარისია, გრაფიკული ჩანახატი გავაკეთო და შემდეგ სახელოსნოში მის საფუძველზე შევქმნა სურათი _ თუმცა, ეტიუდებსაც თავს არ ვანებებ და არც დავანებებ არასდროს _ ბუნებისგან, ნატურისგან ხაზით, კონტურით სწავლა საკმარისი არ არის, ფერითაც უნდა ისწავლო... _ რაც მთავარია, ცოცხალ ბუნებასთან ურთიერთობას ვერაფერი შეცვლის _ მერე რა, რომ ზოგი მხატვარი შესანიშნავ სურათებს აკეთებდა, ვთქვათ, ფოტოს მიხედვით, მაგალითად, ანრი რუსო, ფიროსმანაშვილი, მორის უტრილო... _ პორტრეტებზე მუშაობა თან მიზიდავს, თან მაშინებს _ მიზიდავს იმით, რომ ვიცი: ბევრ რაღაცას ახალს ვიპოვი, რაც დიდ კმაყოფილებას მომანიჭებს, დამმუხტავს _ "ახალო კონტინენტის" აღმოჩენა მომიწევს _ მუშაობი-

სას ბევრი მიგნება თითქოს თავისთავად მოდის, სპონტანურად, ქვეცნობიერად _ არჩილი, ეტყობა, ამ ბოლო დროს სხვათა ნამუშევრებში ეძებს ხერხებსა და შთაგონებას _ ამიტომ მიისწრაფვის ხოლმე საზღვარგარეთ სამოგზაუროდ _ უვიცობა დიახაც არ არის სატრაბახო, მაგრამ არც ის ვარგა, რომ სხვისი "ტანსაცმელი" მოირგო და იმით გახვიდე ფონს... _ რა გინდა, შინ რომ ვერ ისვენებ და წამდაუწუმ პარიზში თუ ნიუ იორკში გარბიხარ, ჯერ აქ გაიხედ-გამოიხედე, კარგად, გულდაგულ: აღმოუჩენი, რასაც ასე ეძებ, შენს შიგნითაა, შენს სულში, გულსა და გონებაში _ გაასფაქიზე, გაავარჯიშე, გაამეცნიერე _ ამოუწურავ თემებს, მოტივებს აღმოაჩენ შენს თავში და შენს გარშემოც: შენს გვერდით, თვალს მიჩვეულ ადგილებში, საგნებში, ათასჯერ ნანახ ხედებში, ადამიანებში, მოვლენებში... _ _"

_ ისევ რაღაც ფიქრებს გაუტაცნიხარ! _ ეუბნება იას გია. _ ალბათ უკვე გაწყობილ სუფრაზე ზიხარ და ხარბად ათვალიერებ! რა დაგიმალო და მეც ძალიან მომშივდა... არა, ალბათ საჭმელებს კი არა, შენი მომავალი პორტრეტებისთვის მოდელებს არჩევ!

_ მართალი გითხრა, გია, საკმაოდ დავიღალე და მომშივდა კიდეც, ფეხზე დიდხანს დგომაც მიჭირს... სინდისს გეფიცები, ყველაზე უფრო ახლა შინ ვიყო მინდა _ საწოლზე გაშოტილი...

_ ცოტაც მოითმინე: არ გეხუმრები, ნახევარ საათში რესტორანში ვიქნებით, შენს მიერ ბანკეტზე მოწვეულ სტუმრებს, მეგობარ-ამხანაგებს შორის.

_ ვინ მოიგონა ეს ბანკეტობანა... მეჯავრება, დროის ფუჭი ხარჯვაა. ბევრ ხალხსაც ვერ ვიტან, საშინლად ვიღლები.

_ კარგი, ჩვენ წავეთრევით რესტორანში, უკვე გაწყობილ სუფრას ხომ არ გავაცდენთ, შენ კი შინ წაბრძანდი, კიდევ წაიმუშავე, ფერწერის გიჟო!

_ კარგი, ჰო, გეყო ხუმრობა...

_ მაშინ, თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, ჩემი საათი მეუბნება: დროა, ქუდი დავიხუროთ და საბანკეტო დარბაზს მივაშუროთ... მაკა, _ მიმართა გიამ დიდედას მიწებებულ ბავშვს, _ შენც ხომ წამოხვალ?

მაკამ გაიღიმა და იას კიდევ უფრო მიეკრა. იამ მაკას თმებზე აკოცა:

_ წადი, მაკა, და მამიკოს უთხარი, ბანკეტზე მივდივართ-თქო. კესანემ არ ინება გამოფენის გახსნაზე მობრძანება, იმედია, იქ მაინც მოვა. _ მერე გიას უთხრა: _ ერთი სული მაქვს, დღევანდელი ორომტრიალი როდის დამთავრდება.

_ მალე, სულ მალე! _ დაამშვიდა გიამ. _ ნუ განიცდი, ყველაფერი აწყობილია გიტარასავით. საბანკეტო დარბაზს არა უშავს; რა თქმა უნდა, უმაღლესი კლასის რესტორანი არ არის, მაგრამ ჩვენისთანა ჯიბის მქონე ხალხისთვის შესაფერისია. მოწვეული სტუმრების სია ხომ გაქვს? ყველა გაფრთხილებულია, საღამოს შვიდი საათისთვის იქ უნდა გამოცხადდეს, ჩვენ ცოტა ადრე მივალთ. ფული წინასწარ გადახდილია... კიდევ რა გაინტერესებს?

_ არაფერი, არაფერი... იცი რა, მე ელენესთან მივალ, არ გამეპაროს, მეტისმეტად მორიდებულია... დათიკო კუტიპურაშვილს ვერ ვხედავ, როგორ გაგვექცა?.. ელენე ისეთი ქალია, აუცილებლად უნდა წამოვიყვანო, ეყოფა დღედაღამ ოჯახში ფუსფუსი... შენ მამაჩემს და მაგდანას გაბარებ, ეგერ სხედან კუთხეში; მე მანამდე ელენეს დავიჭერ.

ამ დროს იასთან მივიდა დიმიტრი კენკებაური, მოკრძალებით შესთავაზა:

_ ქალბატონო ია, ადრეც მინდოდა მეთქვა და ვერ მოვახერხე, სულ ხალხი გეხვიათ გარშემო... თუ სადმე წასვლას აპირებთ, დიდ პატივს დამდებთ, თუ მიმსახურებთ... აგერ დგას ჩემი მანქანა, ქუჩაში.

_ როგორ შეგაწუხოთ, ბატონო დიმიტრი... ჩემი მეგობარი უნდა მოსულიყო მანქანით...

_ რას ბრძანებთ... ოთხი სული მოთავსდებით თავისუფლად... შემიძლია, შემდეგ უკანვე დავბრუნდე და კიდევ ოთხ კაცს წამოვიყვან.

იას მერყეობას გიამ დაუსვა წერტილი:

_ რაღას ფიქრობ ამდენს, ია, ამ დიდებულ კაცს უარს ვერ ეტყვი. დანარჩენებს მე და ბიჭები მივხედავთ.

გიამ ია, მაკა, ელენე, შიოლა და მაგდანა მიაცილა კენკებაურის მანქანამდე.

_ მაკა, შენ ჩემს კალთაში ჩაჯდები, კარგი? _ უთხრა იამ.

ამ დროს მოგრიალდა თეთრი ფერის ავტომანქანა "ვოლგა", იქიდან გადმოვიდა ახოვანი, ვაჟკაცური გარეგნობის თმაშევერცხლილი მამაკაცი და იას გადაეხვია:

_ მაპატიე, ძალიან დავაგვიანე?.. მომილოცავს! _ შემდეგ გამოაღო მანქანის უკანა კარი და გადმოიღო წითელი ვარდების უზარმაზარი თაიგული.

_ უჰ, დიდიმ, რა მშვენიერებაა! მაკა, ხომ გადასარევია? _ ჩაიხუტა გულში თაიგული იამ. _ იზიდა რატომ არ წამოიყვანე?

_ ხომ ხედავ, წკიპზე მოგისწარი, შინ არც შემივლია, პირდაპირ კასპიდან მოვდივარ, იქ რაღაც პატარა საქმე მქონდა.

_ ვიცი, დაკავებული კაცი ხარ, დაღლილი იქნები...

_ ჩემო ია, სიტყვა სიტყვაა, რომც მოვკვდე, შენს ბანკეტზე თამადობას მაინც არავის დავანებებ! წავედით?

კარი მესამე. საღამო

IX. იზიდა

დიდიმი ადრე დაოჯახდა.

სექტემბრის ერთ დღეს სამხატვრო აკადემიის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი დიდიმ დიმპიტაური აკადემიის შუშაბანდში გაოგნებული შედგა: თვალში ეცა სულ მთლად ნორჩი ქალიშვილი, ალბათ პირველკურსელი, რომელიც ეზოს გაჰყურებდა... მონუსხული დიდიმი თვალს ვერ აცილებდა _ ასეთი ღვთაებრივი, თვალისმომჭრელი სილამაზის ქალიშვილი ჯერ არ შეხვედროდა. ტურფა ქალიშვილებს თბილისში რა გამოლევდა, დიდიმი მისმა სახემ გააოცა _ ქერა თმით შემოფარგლული ძალიან თეთრი პირისკანი თითქოს ნათელს ჰფენდა ირგვლივ; დიდი ლურჯი თვალები-ტბები მოჩრდილული იყო გრძელი წამწამებით...

იმ დღესვე უჩუმრად აედევნა, გაიგო, სად ცხოვრობდა იზიდა (ბიჭებმა უთხრეს მისი სახელი). აკადემიაში სიარული დიდიმისთვის გადაიქცა ნეტარებად და

ტანჯვადაც ერთდროულად. აჩრდილივით დაჰყვებოდა ყველგან, მეცადინეობა სულ მიატოვა. თვალს არ აცილებდა, უკვირდა, ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს საიდან ჰქონდა შეძენილი ასეთი დედოფალივით ამაყად და ღირსებით თავის დაჭერის უნარი, გაწონასწორებულობა და სიდარბაისლე. ყოველ მის მოძრაობას თუ ქცევას, გაღიმებას, თმების ხელებით გასწორებას, სიარულს და თავის უბრალოდ მობრუნებასაც კი დიდიმის თვალში რაღაც განსაკუთრებული ლაზათი ჰქონდა, თავისებური პეწი, განუმეორებელი ხიბლი... იზიდა მხოლოდ ლამაზი კი არ იყო, თუნდაც ძალიან ლამაზი _ ასეთები დიდიმს ერთი და ორი არ ენახა: მხოლოდ სამხატვრო აკადემიაში რამდენ მშვენიერს ჩამოთვლიდი!

ნაცნობი ბიჭების დახმარებით მალე გაეცნო იზიდას. შეატყო, ქალიშვილსაც თვალში მოუვიდა და მალე პირველი პაემანიც დათქვეს. შემდეგ კვირაში ორჯერ მაინც ხვდებოდნენ ერთმანეთს. გულის ფანცქალით ელოდა დათქმულ დროზე ქალიშვილის მოსვლას, მანამდე გულს ვერაფერს უდებდა... გამოჩნდებოდა იზიდა, რაღაც გამორჩეული, ხავერდოვანი ხმით მიესალმებოდა, თან ღიმილი უცისკროვნებდა სახეს... დიდიმი ბორძიკით ძლივს იწყებდა საუბარს, ქალიშვილისთვის პირისპირ შეხედვაც კი არ აკრთობდა, აშინებდა... გრძნობდა, როგორ წამოუჭარხლდებოდა სახე, თუკი ქალიშვილთან ახლოს მოუწევდა ყოფნა; გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, სუნთქვა ეკვროდა... ყველაზე უფრო იმის ეშინოდა, მისი მდგომარეობა გოგოს არ შეემჩნია...

რამდენიმე თვის შემდეგ დიდიმი ცოტა გათამამდა, საახალწლოდ კი ისინი დაქორწინდნენ.

დიდიმი უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

გავიდა რამდენიმე წელი, შეეძინათ ორი შვილი _ ქალიშვილები.

იზიდამ სხვა მხრივაც ივაჟკაცა _ წარმატებით დაასრულა სამხატვრო აკადემია და მისმა სადიპლომო ნამუშევარმა, შესანიშნავი მხატვრული გემოვნებითა და ტექნიკური სრულყოფით შესრულებულმა დიდმა კედლის ფარდაგმა (რომლის შექმნაშიც დიდიმსაც მიუძღოდა წვლილი) არა მარტო ფრიადი შეფასება დაიმსახურა, არამედ მრავალჯერ იყო წარმოდგენილი გამოფენებზეც. საბოლოოდ გობელენმა სამხატვრო აკადემიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზი დაამშვენა. გამოჩნდნენ იზიდასთვის შეკვეთების მიცემის მსურველებიც, მაგრამ მან არჩია, ოჯახისთვის დაეთმო მთელი ყურადღება _ ასე სურდა დიდიმსაც.

იზიდა კიდევ უფრო მომხიბლავი გახდა, _ თუკი შეიძლებოდა, მეტი სრულყოფილების მიღწევა, _ დაქალდა, დასრულდა, დაიხვეწა...

იყიდეს კარგი ბინა, იზიდას გემოვნებით ძვირფასად მოაწყვეს.

იზიდა შეძლებულ ოჯახში იყო გაზრდილი; მიჩვეული იყო გემრიელ ჭამა--სმას, გემოვნებით ჩაცმა-დახურვას, უზრუნველ გართობა-დროსტარებას. ახლაც, დამოუკიდებელი საოჯახო ცხოვრების დროს, თუკი რაიმე საუკეთესო მოდური ტანსაცმელი გამოჩნდებოდა, ერთ-ერთ პირველს მას უნდა ჩაეცვა, არ დაჰკლებოდა არც ერთ "პრესტიჟულ" კონცერტს, ცნობილი მხატვრის გამოფენის გახსნას, წამყვან თეატრებში პრემიერებს, ამასთანავე, ყოველთვის ძვირფასად ჩაცმულ-დახურული იყო... როგორღაც ისე მოხდა, ისეთნაირად მოაწყო საქმე, რომ ბავშვების მოვლასა და სხვა საოჯახო საქმეებში დიდიმის დები და დეიდაშვილ-მამიდაშვი-

ლებიც კი ჯერ ეხმარებოდნენ იზიდას, მერე კი ნელ-ნელა ფაქტიურად მოახლეებად იქცნენ...

დიდიმ?

დიდიმი წელებზე ფეხებს იდგამდა, რომ უზარმაზარ ხარჯს გასწვდომოდა და მაინც ხშირად ვალებში ეფლობოდა. ოჯახი _ იზიდა, ორი ქალიშვილი, სიდედრი და ვინმე დამხმარე კიდევ _ ყოველწლიურად რამდენჯერმე იყო დასასვენებლად გასამგზავრებელი: ზამთარში _ ბაკურიანში, ზაფხულში _ მთისა და ზღვის აგარაკებზე თითო-თითო თვით მაინც (მათთან ერთად დიდიმს არასდროს დაუსვენია, საერთოდ არ იცოდა, რა იყო დასვენება). ოჯახში ყოველდღე ორი-სამი სტუმარი შემოუვლიდათ; თვეში ორ-სამჯერ და მეტჯერაც იზიდა მართავდა დიდ წვეულებას, რომელზეც უამრავი ნაცნობ-მეგობარი იყრიდა ხოლმე თავს... იზიდას უყვარდა ხალხში ტრიალი, ყველგან ყურადღების ცენტრში ყოფნა; თავი დედოფალივით ეჭირა, მის ღიმილს წყალობასავით იღებდა ყველა, იცოდა მთელი ქალაქის ჭორები. ძალიან ადრე გაჭაღარავდა, თმას არ იღებავდა, იცოდა, საოცრად უხდებოდა ჭაღარა. ყოველთვის მოვლილ-ნაპატივები, კოხტად, მოდის კვალობაზე ჩაცმულ-მოკაზმული, მარად კმაყოფილების ნეტარი ღიმილით მშვენიერ სახეზე _ ნათელს ჰფენდა ირგვლივ, თითქოს ეს ქალი ბუნებას თუ განგებას საჩუქრად გამოეგზავნა ყველასთვის, ვინც კი მას შეხვდებოდა, რათა შთაებერა მათთვის სილამაზისა და ჰარმონიის ხილვით ტკბობა...

დიდიმ?

დიდიმმა იმდენი იჩალიჩა, ოჯახისთვის ააშენა საკუთარი ორსართულიანი სახლი _ დიდი სახელოსნოთი, რომელშიც, რომ იტყვიან, ცხენიც კი გაჭენდებოდა, გარაჟით; ეზოში მოწვეულ მებაღე-დეკორატორს გააშენებინა მშვენიერი ყვავილნარი _ თითქმის მთელი წლის განმავლობაში მორიგეობით ჰყვაოდნენ ყოჩივარდა, იასამანი, ათზე მეტი ჯიშის ვარდები, ზამბახები, ტიტები, მიხაკები, კიდევ მრავალი სხვაც...

დიდიმისთვის არ არსებობდა შაბათი და კვირა, არც უქმე დღე _ დღე და ღამე მუშაობდა. შეკვეთებს იღებდა სამხატვრო კომბინატში, უფრო ხშირად ქალაქის გარეთ მოღვაწეობდა _ რაიონულ ცენტრებში თუ სოფლებში აფორმებდა კულტურის სახლებს, ჰქმნიდა ბელადთა პორტრეტებს ხელმძღვანელი ამხანაგების კაბინეტებისა და საზოგადოებრივი დაწესებულებებისთვის, წერდა პლაკატებს და კინოთეატრების სარეკლამო ფირნიშნებსაც კი. მოკლედ, არ ამბობდა უარს ნებისმიერ სამუშაოზე, თუკი ორი კაპიკის შოვნა შეიძლებოდა. შინ იშვიათად ნახავდი, სულ აქეთ-იქით დარბოდა საკუთარი ავტომანქანით, ერთი წუთითაც არ ჰქონდა მოსვენება.

სადიპლომო გობელენი, როგორც ითქვა, იზიდას პირველი და უკანასკნელი ნაშრომი აღმოჩნდა, შემდეგ მას თავისი პროფესია არც გახსენებია. იმის მიუხედავად, რომ ქმარმა სახელოსნოში სამუშაო ადგილი გამოუყო და საქსოვი დაზგაც კი შეუძინა, სახელოსნოს გზა სრულიად გადაავიწყდა, არც დიდიმის შემოქმედებითი საქმეები აინტერესებდა... თუმცა, რა შემოქმედებაზე შეიძლებოდა საუბარი? უკვე ოცდახუთ წელზე მეტი იყო გასული, რაც დიდიმს ერთ გამოფენაშიც კი არ მიუღია მონაწილეობა; როგორც მხატვარი ის არ არსებობდა და არც საზოგადოებ-

რიობა იცნობდა მხატვრად; იცნობდნენ, როგორც საქმოსანს, რომელსაც სარფიანი შეკვეთების "დათრევაში" ბადალი არ ჰყავდა...

დიახ, გავიდა თითქმის ოცდაათი წელი დიდიმის დაოჯახებიდან, მისი ლამაზი ქალიშვილები უკვე დათხოვდნენ კიდეც, შვილებიც ეყოლათ. იზიდა ძველებურად ბრწყინავდა სილამაზით, თითქოს დროის მდინარება მის მშვენიერებას ვერაფერს აკლებდა. დიდიმი იმ იმედით სულდგმულობდა, რომ ადრე თუ გვიან ამოისუნთქავდა, ხელოვნებას მიუბრუნდებოდა, სულის კუნჭულში მინავლებულ შემოქმედებით ნაკვერჩხალს გააღვივებდა...

სახელოსნოში კი ელოდა იზიდას დაუმთავრებელი პორტრეტი, რომელიც მან ოცდახუთი წლის წინ დაიწყო, ბევრი იწვალა, მრავალჯერ გადააკეთა, მაგრამ ვერა და ვერ მიაღწია, რომ იზიდას განუმეორებელი ხიბლი გადმოეცა...

იქნებ მისი მისია ცხოვრებაში სწორედ ის იყო, რომ იზიდას ჩრდილი ყოფილიყო, ყოველმხრივ შეეწყო ხელი ამ გამორჩეული სილამაზის სრული გაფურჩქნისთვის და ეს ქალი იყო მისი ყველაზე საუკეთესო ნაწარმოები?..

9. დიდიმ

_ "ვერიდებოდი ღოლოსა, დამხვდა სოფლისა ბოლოსა"... _ ჩაილაპარაკა იამ, როცა სასტუმრო "საბურთალოს" რესტორნის დიდ დარბაზში შემოსული ალფეზ უფასეიშვილი დაინახა.

გიას გაეღიმა:

_ ნუ აქცევ ყურადღებას წვრილმანებს, დღეს _ განსაკუთრებით.

_ ეჰ, ირმა, ირმა, ნეტა რა გრჯიდა, რომ...

_ ჰო, კარგი, კარგი, _ შეაწყვეტინა გიამ. _ რას იზამ, ასეთად შეუქმნია გამჩენს, ვერ ისვენებს: ცხვირში შეგიძვრება და ყურიდან გამოძვრება. შეეგუე, ბანკეტზე ერთი კაცით მეტი იქნება თუ ნაკლები, მნიშვნელობა არ აქვს... აგერ კესანეც გამოგვეცხადა; რა ლამაზი კაბა აცვია, თვითონაც ყვავილივით მშვენიერია...

კესანემ დედა გადაჰკოცნა, შემდეგ გიას ჩამოართვა ხელი.

_ როგორ ხარ? _ ჰკითხა იამ.

"_ _ არ ვკითხავ, რატომ არ მობრძანდა გამოფენის გახსნაზე _ დღეს მართლაც განსაკუთრებული დღეა და, გარდა ამისა, უკვე ჭკუაც ვისწავლე: საყვედურებს საერთოდ არ აქვს აზრი, მხოლოდ უსიამოვნების გამწვავება და ნერვების წეწვა შეიძლება მოჰყვეს... _ მართლაც, რა ლამაზად აცვია _ ჩემს კაბაზე არანაკლებ ძვირიც იქნება _ ქმრის რამდენი თვის ხელფასი დაუჯდა ნეტა მისი შეკერვა? _ თუ რამდენი ჩემი სურათის ფასი? _ თავს იმართლებს, მკერავთან ვიყავი, პირდაპირ იქიდან მოვდივარ, იმიტომ ვერ დავესწარი გამოფენის გახსნასო _ საკვირველია: კაბებს კარგად არჩევს, გემოვნება ნამდვილად აქვს! მაშ, ჩემი სურათების ფასი რატომღა არ იცის? _ ვის დაემგვანა ნეტავ, მე ჩაცმა-დახურვაზე გადარეული არასდროს ვყოფილვარ _ მამამისიც, რაც თავი მახსოვს, სულ შოფერივით, ტყავის გაზუნტლული ქურთუკით დადის _ თვითონ კი ახალი კაბა თუ არ შეიკერა, არც თეატრში წავა, არც კონცერტზე _ აი, გამოცანა: კესანეს ნიჭიც აქვს, გემოვნებაც და ნებაყოფლო-

ბით თქვა უარი თავის უნარზე _ გამორჩეული მოსწავლე იყო სამხატვრო სასწავ-ლებელში, მეც რა დიდი იმედი მქონდა მისი, მაგრამ... _ აღარც აკადემიაში გააგ-რძელა სწავლა და ფუნჯი და საღებავები საერთოდ დაივიწყა _ რატომ გაიძარცვა სული? _ მხატვრობისადმი სრულიად გულგრილია, ასეთი რამ ანომალიად მიმაჩ-ნია _ არადა, თავისებურად საოცრად გამჭრიახია, მშვენივრად ერკვევა სურათთა ავ-კარგში, თუმცა ემოციურად კი არ აღიქვამს, არამედ ვაჭრის თვალით! _ ზუს-ტად "აფასებს" ესა თუ ის სურათი რა ღირს: "ამას უცებ დაიტაცებენ!" _ ამ თვალ-საზრისით მაინც მოსულიყო ჩემს გამოფენაზე _ რაც ჩემთვის ცხოვრების აზრს წარმოადგენს, მისთვის არაფერია, მხოლოდ ფული, ფული, ფული.... _ გამოფენას უნახავს მაინც არ დატოვებს, გამოფენის დახურვის შემდეგ რა გაუძლებს მაგის შე-მოტევას, გაყიდე სურათებიო _ ის კი არა, რა ხანია, დაუჟინია, სახელოსნო რად გინდა, სახლთან ერთად გაყიდე და ჩემთან გადმოდი საცხოვრებლადო _ საკუთა-რი თავის გარდა, მისთვის ვინმე თუ არსებობს ქვეყანაზე? _ დათუნა რომ საბოლო-ოდ დაბრუნდეს, ბინა არ უნდა?.. _ ("კესანე, მაკა ჩემთან დარჩეს, ჩემს გვერდით დავსვამ...") _ როგორ არ უნდა გაბრაზდე? მაკას ხატვის განსაკუთრებულ ნიჭს ვამ-ჩნევ და დედამისი კი ხელს სრულებით არ უწყობს, მხატვრობა არაფრად მიაჩნია _ გადატვირთა საწყალი ბავშვი: ცეკვაო, გერმანულიო, ცურვა... _ ჩემთან მაინც მო-იყვანოს კვირაობით _ მომანატრებს ხოლმე შვილიშვილს, მაგრამ საყვედურს მა-ინც არ ვეუბნები, მგლის თავზე სახარების კითხვა გამომივა... _ _"

როცა სასტუმრო "საბურთალოს" პირველ სართულზე განთავსებული რესტორ-ნის დიდი დარბაზის ერთ კუთხეში შეკრებილი ორ ათეულამდე ქალი და კაცი გაშლილ სუფრას მიუსხდა, ადგილების დაკავებისას ამტყდარი სკამების ხრიგინი და ცხოველი საუბარი რამდენიმე ხნით შეცვალა მდუმარებამ და დანა-ჩანგლებისა თუ კოვზთა წკრიალმა _ ყველანი გვარიანად მოშივებულები იყვნენ.

ცოტა ხანში წამოდგა გია ფირფილაძე, ჭიქა ასწია:

_ მეგობრებო, გთხოვთ, ერთი წუთით დამიგდეთ ყური... მოგეხსენებათ, ყვე-ლაფერს თავისი წესი და რიგი აქვს ანუ წესრიგი განსაზღვრავს... ჩვენს თავყრი-ლობასაც, როგორც ქართველებს გვეკადრება, სუფრის თამადა სჭირდება. ჩვენს პა-ტარა სუფრას, შეიძლება თამამად ითქვას, ამშვენებს ჩვენი დიდიმი, დიდი დიდი-მი! მოდით, ერთხმად მივულოცოთ მას ჩვენი დღევანდელი სუფრის თამადობა, მით უმეტეს, რომ ისედაც არავის დაუთმობდა ამ პატივს _ უკვე წინასწარ დაუკა-ვებია ადგილი სუფრის თავში! სწორიც გახლავთ, კაცმა იცის თავის საქმე _ "პატენ-ტიან" თამადას კონკურენციას ვერავინ გაუბედავს... დაწვრილებით მის დახასია-თებას ახლა არ შევუდგები, სიტყვა ისედაც გამიგრძელდა; ამჯერად ვადღეგრძე-ლოთ როგორც ჩვენი სუფრის თამადა, მივულოცოთ! ჩვენს წინამძღოლს გაუმარ-ჯოს!..

რასაკვირველია. ყველამ ერთხმად ასწია ჭიქები და მიულოცა დიდიმს თამა-დობა, ბევრმა ფეხზე წამოდგომითა და ჭიქის მიჭახუნებითაც. დიდიმმაც მოკლე სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა, ფეხზე მდგომმა ჭიქა ბოლომდე გამოსცალა და სასმისების ისევ შევსება ბრძანა.

დიდიმ დიმპიტაური ადრევე დაჰპირდა იას, ჩემი იმედი გქონდეს, შენი გამო-ფენის შემდეგ ბანკეტზე მე ვითამადებო.

სხვა პიროვნება იას თამადად ვერც წარმოედგინა.

ჯერ ერთი, მასთან ოცდაათ წელზე მეტი ხნის მეგობრობა აკავშირებდა _ აკადემიაში ერთად სწავლობდნენ, მეორეც, დიდიმი უებრო მომლხენი იყო, სახელგანთქმული ოქროპირი თამადა, მშვენიერი მომღერალი და მოცეკვავეც. მართალია, ამ ბოლო დროს ტანთ საკმაოდ დამძიმდა _ ასოც კილოგრამზე მეტს იწონიდა! _ და წინანდებური სიმკვირცხლისგან მხოლოდ მოგონებაღა დარჩენილიყო, მაგრამ სუფრულ სიმღერებს კი ძველებური ეშხით ასრულებდა. აბსოლუტური სმენა ჰქონდა და ძალიან ლამაზი, ხავერდოვანი მაღალი ბანი. ადრე სულ უჩიჩინებდნენ, ბიჭო, ცოდვაა ასეთი სიმდიდრის ცოცხლად დამარხვა, ესტრადაზეა შენი ადგილი ან რომელიმე ხალხურ ანსამბლში მაინცო; ზოგიერთები კონსერვატორიაში სწავლასაც ურჩევდნენ, შენგან კარგი აკადემიური სკოლის მომღერალი დადგებაო... ვერავინ "შეაცდინა", სამხატვრო აკადემია დაამთავრა. მხატვრობაშიც ნიჭი გამოამჟღავნა, ოღონდ თავისებური! უფრო კომერციული ეთქმოდა: ამხანაგთაგან პირველმა შეიძინა ავტომანქანა, პირველმა აიშენა სახელოსნო, თანაც როგორი! ითხოვა ცოლი _ იზიდა ქიზიყელიძე, ისიც მხატვარი, ოღონდ მხატვრული ქსოვის დარგში... იზიდა ახლაც მომხიბლავია, ვერაფრით იტყვი, რომ უკვე ოთხი შვილიშვილის დიდედაა. აკადემიის დასრულების შემდეგ იზიდას პროფესიით არ უმუშავია, შინ დიასახლისობდა _ ორ შვილსა და ქმარს უვლიდა. დიდიმმა უზარმაზარი სახლი წამოჭიმა ვეძისში, ძვირფასად მოაწყო ოთახები დგამ-ავეჯით, გარშემო მშვენიერი ბაღი გააშენა... მოახლეც ჰყავდა დაქირავებული. თითქმის ყოველ კვირადღეს ოჯახში ლხინის დიდი სუფრა იშლებოდა, დიდიმს, განთქმულ თამადას, მთელი ქალაქი იცნობდა.

ზორბა ტანის, ვაჟკაცური გარეგნობის თამადა წამოიმართა, ჭიქას დასწვდა:

_ აბა, შევუდგეთ საქმიანობას!... მეგობრებო!.. სმენა იყოს და გაგონება!.. მეგობრებო, მიზეზი ჩვენი დღევანდელი თავშეყრისა ყველასთვის ცნობილია _ ჩვენი საყვარელი იას პირველი პერსონალური გამოფენის გახსნას აღვნიშნავთ, რასაკვირველია, დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით... თუმცა, უნდა მოგახსენოთ, ჩემი აზრით, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ბევრი დამეთანხმება, ეს ბედნიერი დღე შეიძლებოდა, ბევრად ადრე, რამდენიმე წლის წინათაც დამდგარიყო. ია იმდენად ნაყოფიერად მუშაობს, რომ თამამად შეუძლია, ყოველ წელს გაგვახაროს პერსონალური გამოფენის მოწყობით. დღეს მხატვრის კვირეული დაიწყო და კიდევ რამდენიმე მხატვრის პერსონალური გამოფენა გაიხსნა; თქვენ საშუალება გექნებათ, ის გამოფენებიც დაათვალიეროთ, ბევრ კარგსა და მოსაწონს ნახავთ, მაგრამ არც მჭირდება დაფიქრება, ისე ვიტყვი: იას გამოფენა მაინც სულ სხვაა! შემომედავებით: გაქვს კი უფლება, ამგვარი რამ საჯაროდ განაცხადოო. მე დღეს, სხვადასხვა გარემოებათა გამო, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი იას ექსპოზიციის გაცნობა, მაგრამ შემიძლია პირდაპირ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ხმამაღლა ვთქვა: იას გამოფენა გამორჩეულია თავისი დონით! ამას არ მალაპარაკებს მხოლოდ მეგობრული გრძნობა ან იას პიროვნული თვისებების პატივისცემა _ ყველას გვიყვარს ია როგორც კეთილშობილი ადამიანი, სპეტაკი, სათნო პიროვნება... არა, მე ობიექტურად ვმსჯელობ იას შემოქმედებაზე, რომელსაც კარგად ვიცნობ _ წლების განმავლობაში მაინტერესებდა, ვაკვირდებოდი... ამ დღევანდელი გამოფენისთვის სურათების

შერჩევაში მეც ვღებულობდი მონაწილეობას გიასა და ბაკურთან ერთად... ორი და სამი, თუ მეტი არა, გამოფენის მოწყობა შეიძლებოდა, იმდენი ნამუშევარი, გადაუჭარბებლად ვიტყვი, შესანიშნავი ნამუშევარი შექმნა ჩვენმა საყვარელმა დამ და მეგობარმა. ჩემი ამდენი ლაპარაკი ალბათ არც არის საჭირო _ ყველანი მხატვრები ხართ, ყოველ შემთხვევაში _ უმრავლესობა, და დამეთანხმებით _ არაფერს ვაჭარბებ... და აი, ასე გაგვახარა ყველანი დღეს, დაგვავიწყა დღენიადაგ საფიქრალ-საზრუნავი, ყოველდღიური ფუსფუსის მომაბეზრებელი ერთფეროვნების მაგივრად შემოგვთავაზა დღესასწაული, მშვენიერი გამოფენა... მოდით, გაუმარჯოს დღევანდელ ბედნიერ დღეს, სიხარულს გაუმარჯოს, მივულოცოთ იას მის ცხოვრებაში ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენა, პირველი გამოფენის გახსნა _ ეს ერთი და სხვა მრავალი, ჩემო ია! ყველა აქ მყოფთაც გილოცავთ ამ დღეს, ამ სასიხარულო მოვლენას!... დავლიოთ ერთი _ გწყალობდეთ ღმერთი!..

თამადა ჯერ დამჯდარი არ იყო ისევ სკამზე, რომ დანა-ჩანგლებისა და თეფშების წკრიალი შეცვალა ლაპარაკმა და მილოცვის წამოძახილებმა; ყველას კი აჯობა ირმა პატაშურიძემ, მოულოდნელად სკამზე მარდად შეხტა ეს არცთუ ახალგაზრდა ქალი და სავსე ჭიქით ხელში იასადმი მიძღვნილი ლექსი არტისტული მგზნებარებით წაიკითხა (მეზობელი მაგიდებიდანაც კი მიაქციეს ყურადღება!).

როცა ზრდილობიანი ტაშით დაჯილდოებული ირმა კმაყოფილი ღიმილით სკამს დაუბრუნდა, დიდიმმა უთხრა:

_ ირმა ჩემო, ცოტა აჩქარდი _ იას სადღეგრძელო წინა გვაქვს, მაგრამ მაინც ჩაგეთვალა.

ირმამ კეკლუცად მიუგო:

_ მე კიდევ ბევრი ლექსი მაქვს!

_ აბა, შენ იცი, თუ გამიჭირდეს, წამეშველე ხანდახან, შენი იმედი მაქვს!_ უთხრა დიდიმმა ღიმილით.

ირმა ირონიას ვერ მიუხვდა და მთლად გაიბადრა:

_ შენ კი რა გითხარი, მაგას დაგამადლი?!.

გიაც ჩაერთო ირონიულ თამაშში:

_ ირმა, ხომ იცი, დიდმა შოთამ რა ბრძანა: ის პოეტი რა პოეტია, ვინც წვრილ ნადირს ხოცავსო... დაწერე ეპოსური პოემა, სათაურს მე გაჩუქებ: “კანალიზაციის პრობლემები ურბანიზაციის საუკუნეში”... მდიდარი, ჯერ აუთვისებელი თემაა!

_ დასაცინი თავი თავად გაბია!

ამ დროს წამოდგა გვარამ ვარამაისძე ჭიქით ხელში:

_ მეგობრებო!.. ჩემთვის ადამიანი და მისი ხელოვნება ერთია, ერთიანია. სხვანაირად ვიტყვი: მანახვე, როგორი ხელოვანია მავანი და გეტყვი, როგორი ადამიანი გახლავთ იგი; ხელოვნება ხომ ადამიანის სულის სარკეა... ახალს არაფერს ვამბობ, საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, ჯერ კიდევ შოთამ ბრძანა: “კოკასა შიგან რაცა დგას...” ქალბატონო ია! მე ყოველთვის აღმაფრთოვანებდა და, შეიძლება ითქვას, მიმონებდა თქვენი მხატვრობა, თქვენი სურათებისთვის დამახასიათებელი კომპოზიციური შეკრულობა, რიტმული სიმწყობრე, მთლიანად არქიტექტონიკური დასრულებულობა; ერთი სიტყვით, გააზრებულობა, ამავე დროს, გახსნილი, აშკარა ემოციურობა ერთობ თავშეკავებული ფეროვანი წყობის მიუხედა-

ვად... ჩემთვის ნამდვილი სასწაულია, როგორ ახერხებთ ამ დროს მჟღერი დეკორაციულობის მიღწევას _ ფერები, ცალ-ცალკე აღებულნი, თითქოს ჩამქრალნიც კი არიან და ერთად აღებულნი კი სადღესასწაულო განწყობას ბადებენ... დიახ, როგორც ბატონმა დიდიმმა აღნიშნა, ქალბატონმა იამ დღესასწაული გვაჩუქა თავისი გამოფენით. მისი ფერწერა განუმეორებელია, ყოველთვის იცნობა. გამორჩეული მელოდიურობა გამოსჭვივის, და ეს განსაკუთრებით მხიბლავს. როცა თქვენს სურათს ვუყურებ, შინაგანად ვთავისუფლდები, საამო სიმსუბუქეს ვგრძნობ, თითქოს რაღაც სიმძიმე მოვიშორე მხრებიდან... დიახ, სულიერ სიმშვიდეს ვგრძნობ, განბორკილებას, ამაღლებას... ისე კი არა, აი, მათი გაგებით რომ ლამაზ სურათს ჩამოჰკიდებენ სამზარეულოში საჭმლის უკეთ მონელების მიზნით... არა, ქალბატონ იას პეიზაჟები სულ სხვა ფიქრებსა და გრძნობებს ბადებს _ ამაღლებულს, ზოგჯერ დამაფიქრებელსაც, _ ერთგვარად მარადიულობას გვაზიარებს... დიდი მადლობა ამისთვის, იმისთვისაც, რომ ხართ საკუთარი მოწოდების ერთგული _ დაამკვიდროთ სილამაზე, მხატვრული სიმართლე. მართალი მოგახსენოთ, დღეს რომ საგაზაფხულო გამოფენა დავათვალიერე, ცოტა ნამუშევარზე შემიძლია ვთქვა, რაც ქალბატონ იას სურათებზე მოგახსენეთ. ჩაიკეტებიან რაღაც ნაჭუჭში, მხოლოდ ტექნოლოგიური და ტექნიკური ძიებებით არიან გატაცებულნი... ვერ გაიგებ, რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ, რა მოვლენებს, რა ცხოვრებას ასახავენ, გარემო არ ჩანს... არც მხატვრის შინაგანი სამყარო, მისი ფიქრი, ტკივილი თუ სიხარული... არადა, მხატვარი ბუნებაში, გარემოში, ადამიანებთან ურთიერთობაში იღებს მაცოცხლებელ იმპულსებს, იმით საზრდოობს მისი შთაგონება... ეს უნდა გაითავისო, ეს უნდა აჩუქო სხვებს, ამისი ყველაფრის შენეული ხედვა, შენი ემოციური გამოძახილი ანახო... შენი პიროვნული სახე ასე უნდა წარმოაჩინო და არა თვითმიზნური ფორმათქმნადობით, უკეთ თუ ვიტყვით _ ოინბაზობით, რომელიც გზაა არსაით, სიცარიელეში... ეტყვი გულახდილად ამას ზოგიერთ მხატვარს და თუ არ გაგლანძღა, ჩამორჩენილობაში და პრიმიტიულ აზროვნებაში მაინც დაგადანაშაულებს... ის კი არ იცის, რომ ნიჭს ფუჭად ხარჯავს. ბოდიშს ვიხდი, სულ სხვა მხარეს წავედი. ერთი სიტყვით, ქალბატონმა იამ იცის თავისი ნიჭის ფასიც და მისი გამოყენების საუკეთესო ხერხებიც, რასაც ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ მის შესანიშნავ გამოფენაზე. მე მინდა, მივულოცო მასაც და ყოველ ჩვენთაგანსაც ამ გამოფენის გახსნა; ეჭვიც არ მეპარება, რომ კიდევ მრავალ სიხარულს გვაზიარებს მომავალშიც ქალბატონი ია... გაუმარჯოს ამ დღეს!

ია ყოველ მომლოცველ-მადღეგრძელებელს მადლობას უხდიდა, თან არ ავიწყდებოდა გვერდით მჯდომ მაკაზე ზრუნვა; თვითონაც მადიანად გეახლებოდათ. სუფრაზე დამსწრეთაც აკვირდებოდა; ჩვევად ექცა, სულ დაძაბული ყოფილიყო _ მზერად ქცეული. ყველა: თავისებური სახე, განსხვავებული ჩაცმულობა (განსაკუთრებით ქალთა), საკუთარი იერი ჭამის, დალევის, ლაპარაკის, კითხვა-პასუხის, სიცილის, თავის მობრუნებისაც კი...

მხოლოდ იასი კი არა, მთელი სუფრის ყურადღება მიიპყრო იას პირისპირ, გვერდიგვერდ მსხდომი შიოლა ლიაშვილისა და მისი ცოლის ურთიერთობამ; ნელ-ნელა შეწყდა საერთო ზუზუნში გადასული საუბრები, კერძების გადაწოდ-გადმოწოდება და ღეჭვაც კი _ ყველა ცოლ-ქმარს მისჩერებოდა, ზოგი _ აშკარად,

სხვები, უფრო მორიდებულნი _ შეფარვით... იამ აღარ იცოდა, რა ექნა: ამ რია-რიაში გამორჩა _ როგორ შეიძლებოდა მათი ერთად მოთავსება... შიოლა სულ ჭიჭყინებდა, ცოლს ხმამაღლა ატრიზავებდა, თითქოს ცოლ_ქმარი მარტონი იყვნენ, _ არაფერი მოსწონდა მისი.

_ ჰე-ჰე-ჰე, უყურეთ _ სულელი! _ ქირქილებდა შიოლა, ფხორავდა ჭაღარა ულვაშებს და ყალყზე დამდგარ ხშირ წარბებს ათამაშებდა, თითით მიუთითებდა მაგდანაზე.

იას დედინაცვალი მაგდანა _ ქმარზე ბევრად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჯანგატეხილი, დაჩიავებული, _ კაფანდარა, ჩუმი, მორიდებული ქალი, _ ხმას არ იღებდა, მხოლოდ ჭამა შეწყვიტა.

_ ჩერჩეტი!.. ჭკუასუსტი!.. _ განაგრძობდა ღვარძლიანად, მოურიდებლად გულის ფხანას შიოლა, _ დაბადებიდან არანორმალური!..

მაგდანამ ვეღარ მოითმინა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

_ ის დღე დაიქცა, შენ რომ შეგხვდი!

ია აწრიალდა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ ამ დროს მშველელად დიდიმი მოევლინა; წამოდგა, სუფრას თვალი მოავლო და ომახიანად დასძახა:

_ აბა, მეგობრებო, ხომ ყველა ჭიქა შევსებულია?!. მეგობრებო, ერთი წუთით მომისმინეთ... ვატყობ, გიას ერთი სული აქვს, წაიმღეროს: "თამადაო, ჩანჩალაო, ღვინო გვასვი ჩქარ-ჩქარაო..." ვაცალოთ აქ დამსწრე პატივცემულ საზოგადოებას ცოტა კუჭის მოტყუება, თორემ ცარიელ სტომაქში ღვინო ვისხათ, რუმბები კი არ ვართ... ცხადია, აქ დასათრობად არ მოვბრძანებულვართ, დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ ბედნიერი შემთხვევის აღსანიშნავად, უნდა ტკბილად ვიჭუკჭუკოთ, ერთმანეთს მოვეფეროთ, მივესიყვარულოთ, დროებით მაინც დავივიწყოთ, თუკი რამ არ მოგვწონს _ სულს გვიმძიმებს ან გულს გვტკენს... რას იზამ, არც ერთი ადამიანი არ გაჩენილა უნაკლო, ყველას ჩვენ ჩვენი ჩიტები გვყავს, როგორც იტყვიან და დღეს ამაზე ნუ ვილაპარაკებთ... მორიგი სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ... მე, თუ იცით, რით ვაფასებ სურათს? არ გაგიკვირდეთ ჩემგან, ასეთ რამეს რომ ვამბობ, სად _ დიდიმ დიმპიტაური და სად _ ნაღდი მხატვრობაო... იქნებ მართალიც ბრძანდებით, მე კი მიმაჩნია, რომ ნაღდი მხატვრობა ყველას საქმეა _ ჩემზე დიდებისაც და ჩემზე პატარებისაც, თუ ეს უკანასკნელები არსებობენ ბუნებაში... რაღაც ვერ ავაწყვე სათქმელი, პირდაპირ ვიტყვი მაშინ: ჩემი საყვარელი და სათაყვანებელი პიროვნების, უპირველესად, ხაზს ვუსვამ, პიროვნების და მერე შესანიშნავი შემოქმედის, ია ლიაშვილის დღეგრძელობა და მზეგრძელობა მინდა ვისურვო. ბედნიერია ია, რომ სიმღერა შეუძლია, უყვარს და გამორჩეულად შეუძლია! იცით, რა არის სიმღერა? მხოლოდ პირის დაღება და თუნდაც ლამაზი და საამო ბგერების წარმოთქმა არ არის; სიმღერა, ჩემი შეხედულებით, ფილოსოფიური კატეგორიაც არის... გამიგეთ? იაკობ ნიკოლაძე რომ მისი მოწაფის ქანდაკებასთან მივიდოდა, ასე შეაფასებდა _ ძალიან მოკლედ და გადაჭრით: "მღერის!" ან "არ მღერის!" კი არ იტყოდა, ეს მოსწონს ან ეს ნაკლი აქვსო... როდენიც თურმე ასე ეუბნებოდა ნიკოლაძეს: "გააკეთე ისე, როგორც არის _ მღეროდეს, ოღონდ უფრო მაღალი ხმით მღეროდეს!" გამიგეთ? იას სურათები მღერიან და ამიტომ არის ია ბედნიერი!.. და ჩვენც, მხოლოდ ჩვენ კი არა, ყველას ბედნიერად ხდის ია მისი სურათების ყურე-

ბისას. ახლა მოდაში შემოვიდა: სურათმა უნდა გაგაოგნოს, განგაცვიფროს, როგორც იტყვიან ხოლმე _ "შოკში ჩაგაგდოს". რას არ იგონებენ, ოღონდ გაგაოცონ, შეგაშინონ ან შეგაზიზღონ და კიდევ რა ვიცი... მაგარი ნერვები უნდა გქონდეს. რაღა ამგვარი სურათის ნახვა და რაღა მუშტის თხლეშა პირისახეში. ათასნაირი რებუსები, ტვინის საჭყლეტი გამოცანები, ოინბაზობა, თამაში... არც _ ფორმა, არც _ შინაარსი, მხოლოდ გაურკვევლობა, ქაოსი... მე კი არ ვაფასებ, კარგია ეს თუ ცუდი, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ პირადად მე ისეთ ნამუშევარს ვაფასებ, რომელიც მღერის, მხატვრადაც იმას ვთვლი, რომელსაც სურათის გაკეთება კი არა, ამღერება შეუძლია. მე ვსვამ ბედნიერი ადამიანის, ჩვენი იას სადღეგრძელოს, ვინც გვატკბობს ჩვენ თავისი განუმეორებელი სიმღერით _ ლამაზი, ომახიანი, დიდებული სიმღერით!.. შენი შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერებას გისურვებ, მათ ცალკე სადღეგრძელო ეკუთვნით... ესეც სადღეგრძელო ორი _ იას ჩემი ამბორი!.. დავლიოთ მეორე _ სიყვარულს ვემონე!

დიდიმმა ჭიქა გამოსცალა, შემდეგ იასთან მივიდა, გადაჰკოცნა, მაკას თავზე ხელი გადაუსვა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

დიდიმსა და იას ტაში დაუკრეს, დაიძრა გულითადი სიტყვების ნაკადი და უკვე აღარავინ აქცევდა ყურადღებას (იას გარდა), როგორ მიუთითებდა ღიმილით შიოლა მაგდანაზე და ქირქილებდა: "შეხედე, შეხედე, როგორ თქვლეფს _ ღორია, ღორი!" მაგდანა უკვე არაფრად მიიჩნევდა ქმრის ჩვეულ ჯიჯღინს, წელში გამართული, საჭმელ-სასმელსაც არ ივიწყებდა და გვერდით მჯდომ ელენე შველიშვილს რაღაცაზე გულითადად ესაუბრებოდა.

"_ _ მადლობა ელენეს... ყველას მადლობა! _ მამაჩემმა იბურდღუნოს, რა ვუყო, აღარავინ უყურებს _ ირმა და ალფეზ რაზე ლაპარაკობენ ასე გაცხარებით? _ კესანეს პირი არ გაუჩერებია, ამ კვირაში არაფერი უჭამია? _ დათუნა და ბაკური დაღლილები ჩანან _ გვარამ და იასონ ტორონჯია რაღაცაზე გულიანად იცინიან, იასონს უყვარს მხიარული ამბების მოყოლა _ მისმა ქალბატონმაც კი ვერ მოაშლევინა ეს ჩვევა _ კიდევ კარგი, იასონი და კესანე ერთად არ მოხვდნენ _ თუმცა... ვხედავ, იასონის დედ-მამა მშვენივრად ატარებენ დროს, ერთად სხედან... _ შვილებიც კარგი ჰყავთ... _ იასონის დაც უნდა დამეპატიჟნა მისი ქმრით, როგორ გამომრჩა... _ გია სადღეგრძელოს თქმას აპირებს, აბა ერთი, რას გვეტყვი? _ _"

_ მეგობრებო!.. ბოდიშს ვიხდი, წინა სადღეგრძელოს წარმოთქმა ვერ მოვასწარი... მე ვერაფერს ვიტყვი იას ისეთს, რაც თქვენ არ გეცოდინებათ. უკვე ოცდაათ წელზე მეტია, ერთმანეთს ვიცნობთ, არც კი მჯერა... ასევე _ ჩვენი პატივცემული თამადა, ელენე, ირმა, ქეთინო, ესმა... ყველანი ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ, მეტიც _ ერთად ვსწავლობდით, ერთად მოვდივართ ათეული წლების განმავლობაში ამ ძნელ გზაზე, რომელსაც მხატვრობა ჰქვია, და დამემოწმებიან თითოეულ სიტყვაში, რომელსაც მე ახლა იაზე მოგახსენებთ... დიდიმმა თქვა, ია ბედნიერი ქალია, რადგან ჭეშმარიტი შემოქმედია, დიდი ხელოვანი კი არ შეიძლება, უბედური იყოსო. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ბატონ გვარამსაც დავემოწმები _ იას შემოქმედება და მისი პიროვნება საოცრად შეესაბამება ერთმანეთს, ერთიმეორეს სრულად ასახავს... დიახ, გახარებული იყავი შენს ლამაზ ოჯახთან ერთად _ შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად. ჩემგან უხერხულიც კი იქნება, ბრტყელ-

ბრტყელი და ლამაზ-ლამაზი სიტყვები დავახვავო... კიდევ ერთს დავამატებ: მეც ბედნიერი ვარ, რომ ხარ ისეთი, როგორიც ხარ და ვისურვებ და შენც გისურვებ _ დარჩი ასეთად!

წამოდგა ფეხზე გვარამ ვარამაისძე, ჭიქა ორივე ხელით დაიჭირა, ჩაახველა:

_ მაპატიეთ, ცოტა შორიდან მინდა დავიწყო... ადამიანის მოქმედებას ზოგი მეცნიერი განიხილავს, როგორც დროში განვითარებულ, მიმდინარე ტექსტს. ადამიანი _ ტექსტი! როგორ მოგწონთ? ახლა ყველაფერში სურთ ვითომ ზუსტი მეცნიერებების მეთოდების დანერგვა, მათ შორის _ ხელოვნებათმცოდნეობაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში საერთოდ, და ეს მიაჩნიათ დიდ მიღწევად, ამ საუკუნის რევოლუციურ გადატრიალებად... მე, მართალი გითხრათ, ცოტა ეჭვით ვუყურებ ამგვარ კატეგორიულობას... ხელოვნების საკითხებში ცალსახა, ერთგვაროვანი პასუხები და შეფასებებიც მაეჭვებს. ხელოვნება ხომ ადამიანის ემოციური ცხოვრების ნაწილია, გრძნობა კი, არა მგონია, რომ მათემატიკური ფორმულებით შეიძლება გამოისახოს და ციფრებით გაანგარიშდეს. შენ რომ ბაზარში ყიდულობ, დავუშვათ, ხუთ კილოგრამ ვაშლს, ის ყველასთვის ვაშლი გახლავთ, ამასთანავე _ სწორედ ხუთი კილოგრამი (თუ წონაში არ მოგატყუეს!), მიუხედავად ასაკისა, სქესისა, ეროვნებისა, სოციალური წარმოშობისა და განათლებისა... ახლა პეიზაჟი ავიღოთ. აქ სულ სხვანაირად გვაქვს საქმე: ზოგს მჟღერი ფერებით შესრულებული მოსწონს, ზოგს, ვთქვათ, თავშეკავებული ფეროვანი გამა ურჩევნია; ზოგი ლირიკული ჟღერადობის პეიზაჟს ამჯობინებს, ზოგი _ ეპოსური სიდიადით აღსავსეს... არიან ისეთებიც, რომლებიც პეიზაჟის მიმართ შედარებით გულგრილნი არიან, სამაგიეროდ _ პორტრეტზე გიჟდებიან... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ხელოვნების საკითხებში კატეგორიული მტკიცება რაიმესი საშიშია. დიდებული მხატვარი იყო გიგო გაბაშვილი, მაგრამ ნიკო ფიროსმანაშვილი არ მოსწონდა, მეტიც _ მისი სურათები ხელოვნების შეურაცხყოფად მიაჩნდა, მათ არავითარი მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათო... ჩვენი შეხედულებით კი _ ნიკო გენიოსია... მაგრამ დავუშვათ, რომ ადამიანის ცხოვრება მართლაც ტექსტია. თუ ამგვარ ადამიან-წიგნს წავიკითხავთ, ჩავფიქრდებით: როგორი ტექსტია მისი ცხოვრება? იყო თუ არა მასში არასტანდარტული, ბუნებრივი? თუ მეტი იყო გარედან თავსმოხვეული, იძულებითი, ტრადიციული? როგორც წესი, აღმოვაჩენთ, რომ ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის ცხოვრება ძალიან არასაინტერესო "ტექსტია"... ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს, როგორც წინდაწინ დაპროგრამებული რობოტი და არა როგორც თავისუფალი, მოაზროვნე ადამიანი, პიროვნება _ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ის წარმოადგენდა სათამაშოს და არა პიროვნებას... არა მხოლოდ მისი მოქმედება, არამედ აზროვნებაც უხეშ არტახებში იყო მოქცეული... სწავლა-განათლება, წიგნები, რადიო-ტელევიზია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამსახური, რა ვიცი, ვინ აღარა _ ცალ-ცალკე და ყველა ერთად _ ზემოქმედებს ჩვენზე, რომ მონა-მორჩილი ვიყოთ... და, შეიძლება წუთისოფელი ისე განვვლოთ, რომ ვერ ვთქვათ საკუთარი სიმღერა, ერთი საინტერესო ფურცელიც კი ვერ მოიძებნოს ჩვენი ცხოვრების "ტექსტში". ახალი რაკურსი ძველი თემისა: "კაცია-ადამიანი?!" ვიყავით კი ადამიანები? თუ მონები ვართ? და რა ძლიერი პიროვნება უნდა იყო, რომ არ ჩაეფლო სულიერ ჭაობში, საითაც ერთიანი ძალისხმევით გვიბიძგებენ ყველანი, არ

უღალატო საკუთარ მოწოდებას, საკუთარ თავს, არ დაჰკარგო მეობა... ქალბატონი ია კი, როგორც აქ აღინიშნა, ბედნიერია, რადგან ცხოვრობს როგორც თავისუფალი ადამიანი და ჭეშმარიტი ხელოვანი. ის ერთგულია თავისი მოწოდებისა, ბევრიც რომ უჩიჩინონ, არ გადაუხვევს საკუთარი ნებით არჩეული გზიდან _ ის თავის ნიჭს პატივს სცემს, არ გაჰყიდის მას, არ დაახურდავებს, არ მოახმარს ყალბი ფასეულობების შექმნას... ამგვარი პრინციპულობის ნიმუში გახლავთ დღევანდელი გამოფენაც; ის შეუძლებელი იქნებოდა ხელოვნებისა და საკუთარი მოწოდების ერთგულების გარეშე... რამდენი ოფიციალური გმირი გვყავს, ვაქებთ, ვადიდებთ... ამდენი ჩაი მოკრიფა, ამდენი რაღაც ჩარხი გამოუშვა... კი, ბატონო, ვცეთ მაგათ პატივი, მაგრამ, მე რომ მკითხო, ჭეშმარიტი გმირი ქალბატონი იაა და იასნაირები... ჩუმად რომ არიან, წყნარად, არავის თვალში არ ეჩხირებიან... შრომობენ პატიოსნად და ქმნიან სხვებისთვის. მე მოხარული ვარ, რომ, ქალბატონო ია, თქვენ იპოვეთ თქვენი გზა, უკეთ რომ ვთქვათ _ თქვენი თავი, საკუთარი სახე; იპოვეთ ერთი შეხედვით ტრადიციულ სფეროში, მიენდვეთ საკუთარი გრძნობის კარნახს და არა გონებისმიერ, რაღაც ნაძალადევ ექსპერიმენტებს... არიან ექსპერიმენტატორებიც, წმინდა წყლის ექსპერიმენტატორები, _ ღმერთმა მაგათაც ხელი მოუმართოს, სასიხარულოა, თუკი წარმატებას მიაღწევენ... მაგრამ განა იას წარმატებაც ძიების შედეგი არ არის? ნახეთ მისი ადრინდელი ნამუშევრები, რომლებიც სახელოსნოში აქვს და შეადარეთ დღევანდელს _ დღევანდელი დონე გამოარჩევს სხვა ცნობილ და აღიარებულ ოსტატთა გვერდითაც კი... აი, ასეთი ექსპერიმენტი მწამს, რომელსაც შედეგი მოაქვს! ქალბატონ იას წარმატება საკუთარი ნიჭის ერთგულებამ მოუტანა. არადა, რამდენი ცდუნებაა ირგვლივ: აქეთ _ "ოფიციალური" ხელოვნების მოთხოვნები, მეორეს მხრივ _ ულტრათანამედროვე მოდის შემოტევა, ავანგარდული მიმდინარეობები, ბაზრის კარნახი, სხვა და სხვა... დარწმუნებული ვარ, არ არსებობს ძალა, რომელიც თქვენ, ქალბატონო ია, თქვენს მიერ არჩეული გზიდან გადაგახვევინებთ; ამიტომ უპირველესად გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, რათა თქვენი მრავალი და მრავალი ჩანაფიქრი და კიდევ უამრავი სხვაც, რომელსაც მომავალი მოგიტანთ, შეძლოთ სრულად განახორციელოთ! მრავალჯერ გაიხარეთ და ჩვენც გაგვახარეთ!..

_ ბატონო გვარამ, რას ჰგავს ეგ? ეს ერთი სადღეგრძელო მაინც უნდა დაცალოთ ბოლომდე, თორემ თქვენს სურვილებს ძალა არ ექნება! _ ხუმრობით მისცა შენიშვნა დიდიმმა.

ამ დროს მოულოდნელად ფეხზე წამოდგა ალფეზ უფასეიშვილი, ჭაღარა ულვაშებზე გადაისვა ხელი და იას ომახიანად მიმართა:

_ ქალბატონო ია! მე მოხუცი კაცი გახლავართ, მრავალ ჭირგამოვლილი, ბევრის მნახველი და არ დამკლებია არც ომი, არც _ შიმშილი და გაჭირვება, უმადურობა და სხვა. ამიტომ ჩემს თავს უფლებას მივცემ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ, რადგან ჩემი ხნის კაცს ტყუილიც დაეჯერება. აი, მე უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ვმოღვაწეობ და ჯერ ვერ გავბედე პერსონალური გამოფენის მოწყობა, უფრო სწორედ, თავი ვერ მოვაბი... ბოდიში, გთხოვთ მომისმინოთ!..

"_ _ რა მკაცრი მზერა აქვს, რა ოფიციალური მიხრა-მოხრა _ რიხიანად კი ლაპარაკობს, დაწყობილად _ სხვა დროს ასეთი არ მინახავს: დადის ყოველთვის მობუ-

ზული, თავი მხრებში აქვს ჩაძვრენილი, შუბლსქვეშიდან იცქირება, ეჭვიანად გზვერავს, დაძაბულად _ ახლა კი ცდილობს, ითამაშოს უბრალო, გულუბრყვილო და პირდაპირი კაცის როლი, მაგრამ ყალბად გამოსდის... _ _”

_ ...მე ქალბატონ იას ვუსურვებ, გაითვალისწინოს ეს კეთილი გულით გამოთქმული შენიშვნები... ჩვენს ერთიან, მტკიცე მხატვართა ოჯახში თქვენ უკვე მოიპოვეთ გარკვეული ადგილი, მაგრამ ჩვენ თქვენგან გაცილებით მეტს მოველით, ამაზე ადრეც მოგახსენეთ გამოფენის გახსნისას. თქვენი ნიჭის პატრონი ვალდებულია, განუწყვეტლივ ისწავლოს, გაიზარდოს არა მხოლოდ მხატვრულად, პროფესიულად, არამედ იდეურადაც, რათა შექმნას ჩვენი დიადი დღევანდელობის შესაფერისი ნაწარმოებები. ამას მოელის თქვენგან თქვენი მეგობრები; ამას მოგიწოდებთ მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობა, ამის დიდი იმედი აქვს ჩვენს ხალხს, რომელიც დაუცხრომელი შრომით აშენებს დიად მომავალს... შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

“_ _ აუჰ! ნაღდად პარტიულ კრებაზე ჰგონია თავი... _ _”

გიამ მიმართა ალფეზს:

_ ალფეზ ბატონო, მომწონს _ მობრძანდით, ჩვენს მოკრძალებულ საზოგადოებას პატივი ეცით, დაგვაფასეთ... თან მშვენივრად ლაპარაკობთ, დაწყობილად, სასიამოვნოა თქვენი მოსმენა... ახლა ერთი ეს გვიბრძანეთ, რატომ არც სამხატვრო ფონდმა, არც კულტურის სამინისტრომ, არც ხელოვნების მუზეუმმა, არც სხვებმა ქალბატონ იას ერთი ნამუშევარი მაინც არ შეიძინეს? თუ მხოლოდ ლამაზი სიტყვებია საკმარისი? ან მხოლოდ იმ მხატვრებს გააჩნიათ კუჭი და სჭირდებათ ჭამა--სმა, სხვა რამეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვინც ხატავს საშვიდნოემბრო დემონსტრაციებზე წითელი დროშების ფრიალს ან პარტიაში საზეიმო მიღებას? ყველას თავის საქმეში გაუმარჯოს, მაგრამ...

_ ვინ რას გეუბნებათ, ბატონო, ხომ ხართ თავისუფალი _ ხატეთ, რაც გინდათ, ვინ გიშლით? _ შეაწყვეტინა ალფეზმა.

_ ვინ გვიშლის? დღეს _ მართლაც არავინ, დღეს დიახაც ვართ თავისუფალი _ ფულისგან! თემატურ სურათებზე რომ დაკვეთებს იძლევით, იქნებ სხვა რაღაც მაინტერესებს, შიმშილით უნდა კუჭი გამიხმეს? გამოფენიდან მაინც შეიძინეთ, მხატვარს სტიმული მიეცემა...

_ გამოფენიდან? ხომ იძენენ!..

_ იქაც ამოარჩევთ თითო-ოროლას...

_ მე რას მერჩი, ბიძია, სამხატვრო ფონდის თავმჯდომარე ვარ თუ კულტურის მინისტრი? ისე, სხვათა შორის, ჩვენში შიმშილით მკვდარი ჯერ არავის უნახავს.

_ როცა ყოველ კაპიკს ითვლი, ბატონო ალფეზ, საღებავები და ტილო ვერ გიყიდია ხეირიანი, მხატვრისთვის იგივე სიკვდილი არაა?

აქ მათ საუბარში სიცილით ჩაერია დიდიმ დიმპიტაური:

_ შენც თავი დაანებე ტილოს გაფუჭებას, წადი, ჩემო ძმაო, და ვაკეში ბობოლებს მაღალი დონის რემონტი გაუკეთე _ მხატვრულად! ერთ წელიწადში მანქანასაც იყიდი, მეორე წელიწადს _ აგარაკს აიშენებ, მერე _ საზღვარგარეთაც იმოგზაურებ საკუთარი მანქანით...

_ არა, შენ გიას არ იცნობ, მთელი ფულით რესტორნებში იგრიალებს და ჩვენ კი ერთხელაც არ დაგვპატიჟებს! _ წამოიძახა ირმა პატაშურიძემ.

“_ _ სირცხვილით როგორ გავამხილო, ზოგჯერ მთელი კვირა თითქმის მშიერი ვარ, პურზე და ჩაიზე გადავდივარ... _ თუ ყველის ნაჭერიც მექნა ან ცოტა კარაქი, უკვე ბედნიერად ვგრძნობ თავს _ კაბა ათი წელია, არ მიყიდია, გიას რომ არ მოეტანა ახალი, რომელიმე ძველი უნდა მომეძებნა ან ყოველდღე სახმარით წამოვსულიყავი _ დათუნა რომ არ მიგზავნიდეს დროდადრო ცოტა ფულს, ვერც მხატვრობისთვის აუცილებელ მასალებს ვიყიდდი და მაშინ ალბათ მთლად შევიშლებოდი ჭკუიდან... _ როგორ გავბედე პერსონალური გამოფენის მოწყობა? _ რამდენი ვინმე შეწუხდა, კეთილ ხალხს რა გამოლევს _ მიკვირს, დღეს დილით რომ ტაქსისთვის ფული არ დამენანა _ დიმიტრი კენკებაურმა რა ყურადღება გამოიჩინა, აუცილებლად ვაჩუქებ სურათს... _ უჰ, სუნთქვა ჭირს, ყაყან-ხმაურს და, განსაკუთრებით, სიგარეტის ბოლს, ვეღარ ვიტან... _ _”

_ დიდიმ, თუ ძმა ხარ, დღეს გინდა, რეკორდი დაამყარო? _ უთხრა იამ თამადას, _ სიგარეტი ხელიდან არ გაგიშვია... შენ და ქეთინომ ლამის არის ბოლით გაგვგუდოთ... ფუჰ, ცოტა შეისვენე!

_ თუთუნი კარგია, ბაღლინჯო და ტილი აღარ გაგეკარება! _ უპასუხა სიცილით დიდიმმა, მაგრამ მაშინვე ჩააქრო სიგარეტი. _ გთხოვთ, ქეთინოს მოვუსმინოთ, ცოტა ხანს დაისვენებს სიგარეტის მოწევისგან.

_ ჩემო საყვარელო, ხომ იცი, როგორ გვიყვარხარ ყველას, _ სკამზე მჯდომარემ მიმართა ქეთინომ იას, _ და შენი დღევანდელი დიდი წარმატება ჩვენი წარმატებაცაა და ძალიან გვახარებს. ეს წარმატება იოლად არ მოსულა, შენ განებივრებული არ იყავი და არც ახლა ხარ კარგი სამუშაო პირობებით, მთელი ოჯახი შენს კისერზე იყო, ერთი ფიზიკურად ნაზი ქალისთვის საკმაოზე დიდი სიმძიმე გადაიტანე... მაგრამ სულით ხარ ყოველთვის ძლიერი, მრავალი სიძნელე ვაჟკაცურად დაძლიე და დღევანდელ დღემდე გამარჯვებული მოხვედი.. დარწმუნებული ვარ, შენისთანა მდიდარი სულის პატრონი ხვალ უფრო დიდ სიმაღლეებს დაიპყრობს... ია ჩემი სკოლის მეგობარიცაა. რაც თავი მახსოვს, მისგან ხმამაღალი სიტყვა არ გამიგონია. მახსოვს, სტუდენტობისას, მერეც, ჩვენი ია როგორი ჩუმი იყო, მოკრძალებული... ჩვეულებრივი სტუდენტი იყო, შემიძლია ვთქვა, უფერულიც კი _ განსაკუთრებით უჭირდა შიშველი ფიგურის აგება, ძალიან წვალობდა... მეცადინეობას ხშირად აცდენდა, პატარა ბავშვები ჰყავდა _ მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ აკადემიას დაამთავრებდა და, მით უმეტეს _ მისგან ნამდვილი მხატვარი დადგებოდა. ჩვენ რომ კინოში დავდიოდით, პაემანზე, ერთმანეთის დღეობებზე, რუსთაველზე დავსეირნობდით, ია ამ დროს შინ გარბოდა... მიკვირდა კიდეც _ რატომ იწვალებს თავს, მიხედოს ოჯახს, დიპლომი რა ჯანდაბად უნდა-მეთქი. თვითონ ხომ სულ ჩაკეტილი იყო ოჯახში, სულიც ჩაკეტილი ჰქონდა _ არავისთან დაქალობდა, უჩუმრად იყო, შეუმჩნევლად... რამდენადაც ვიცი, მეზობლებთანაც კი არ ჰქონდა ახლო ურთიერთობა... თურმე ჩვენს ჯგუფში ყველაზე ნიჭიერი ია იყო, ასე მიმაჩნია დღეს, თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ... ეს ახლა გამოჩნდა, გვიან, _ ხომ გაგიგიათ, “ობლის კვერი ცხვაო...” ძალიან გემრიელი კვერი გამოცხვა, ჩვენდა სასიხარულოდ და იას დღევანდელი მიღწევები უნდა ჩვენთვისაც მაგალითი

იყოს, უნდა შევეცადოთ, ჩვენთვისაც გამოცხვეს გემრიელი კვერი _ სიყვარულის კვერი, სილამაზის კვერი, სიხარულის კვერი... იმედია, კვერს დამიკრავთ ყველანი! ია, ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებ!.. უნდა გაკოცო!..

_ შენ პოეტად დარჩენილხარ!.. მადლობელი ვარ! _ ღიმილით უთხრა იამ მასთან მიჭრილ ქეთინოს და გადაჰკოცნა. _ რა მშვენიერ ლექსებს წერდი, ის ადრინდელი ლექსები მაინც შეაგროვე და გამოეცი...

_ ახლაც ვწერ შიგადაშიგ... ვფიქრობ, ჩემო ია, აგერ უკვე ოცი წელია, ვფიქრობ და ვეღარ მოვაბი თავი. ვაპირებ, წიგნი-ალბომი გამოვცე, თუ მოვახერხე, ალბათ ჩემი სურათების რეპროდუქციებსაც დავურთავ...

"_ _ ახლა ირმა წამოხტა ფეხზე _ ნეტავ მოკლედ მოჭრას _ კიდევ უკეთესი, თუ რაღაც ახალი ფოკუსი არ მომიწყო, ალფეზის დაპატიჟების მსგავსი _ წესით, უნდა გამეჯორა, კარგი ვქენი, რომ თავი შევიკავე _ რა ვქნა, ძველი მეგობარია და, მისი ჭკუით, ჩემთვის კარგი სურს _ კესანე ჩემსკენ მოდის, ნეტა რა უნდა? _ _"

_ დედა, ჩვენ წავალთ, დღეს ძალიან დავიღალე, _ უთხრა კესანემ იას, მერე ქმრისკენ მიბრუნდა: _ ადე, დროზე, დროზე, ხომ გაიგონე, რაც ვთქვი!

იასონს, ჩანდა, არ სურდა თავყრილობის ასე ადრე დატოვება:

_ წავალთ, აბა რას ვიზამთ, ჯერ ადრეა, ვიყოთ ცოტა ხანს... საყვარელი სიდედრი არ უნდა ვადღეგრძელო?

_ ადე, ბევრს ნუ მალაპარაკებ, თავი მტკივა... _ თავისაზე იდგა კესანე.

"_ _ გაძეხი, გენაცვალე, და ყოველგვარი ინტერესი მხატვართა საზოგადოებაში ყოფნისა დაჰკარგე? _ მე კი, ბეჩავს, მეგონა, მაკა შეეცოდა ჩემს ქალიშვილს-მეთქი _ ბავშვი მართლაც დაიღალა, თანაც ამდენ უფროსში კენტად გრძნობს თავს _ მეც ვერ ვაქცევ საკმარის ყურადღებას... _ _"

კესანე არა და არ მოეშვა ქმარს, ეტყობა, მიჩვეული იყო, ყოველთვის თავისი გაეტანა და ახლა იასონის მოულოდნელი წინააღმდეგობა აბრაზებდა. დიდიმი აქაც დროულად ჩაერია, შეეცადა, დაძაბული მდგომარეობის განმუხტვას.

_ კესანე, გენაცვალე, მოდი, პატივი ვცეთ დღევანდელ გამორჩეულ მოვლენას! შენ დედამთილი შეიძლება არც გახდე, თუმცა მაგის შანსი კიდევ გაქვს _ შეთანხმდით შენ და იასონი და ქენით სიკეთე, მაკას ძმა აჩუქეთ... მაკაც მოგეხმარებათ ბიჭის გაზრდაში. ჰო, იმის თქმა მინდოდა, დედამთილი შეიძლება არა, მაგრამ სიდედრი კი უეჭველად გახდები ერთ ათ-თხუთმეტ წელიწადში... ჰოდა, შენს ქმარს რატომ ართმევ უფლებას, პატივი მიაგოს თავის სიდედრს? სხვათა შორის, ის არა მარტო შესანიშნავი პიროვნება და დიდებული მხატვარია, დედაშენიცაა, სხვას რომ თავი დავანებოთ... არ გინდა, შენმა ქმარმა დედაშენი ადღეგრძელოს? გინდა, რა თქმა უნდა, ჰოდა, დაბრძანდი, გენაცვალე, ერთ წუთს გვადროვე... სანამ თქვენ ერთმანეთში შეთანხმდებოდეთ, მანამდე მე პატივცემულ საზოგადოებას ერთ ძველ ანეგდოტს შევთავაზებ... ერთი კაცის სიდედრს ასაფლავებდნენ და მეგობარმა ჰკითხა: "რაა ეს, წვერებცანცარა თხა მიუძღვის წინ სამგლოვიარო პროცესიას, სადაური წესიაო". კაცმა უპასუხა: "ეგ ადგილი მაგ ვაცმა დაიმსახურა კიდეც, მაგან იმსხვერპლა, მაგის რქებმა იმსხვერპლა ჩემი სიდედრიო". გახარებულმა მეგობარმა სთხოვა: "თუ კაცი ხარ, ქენი სიკეთე, ეგ ვაცი მე მათხოვეო". კაცმა მიუგო: "დიდი

სიამოვნებით გათხოვებ, მაგრამ, ხომ ხედავ, ამ ვაცს მამაკაცთა გრძელი რიგი მიჰ-ყვება უკან, იმ რიგში უნდა ჩადგეო”.

საყოველთაო მხიარულებაში იასონმა დრო იხელთა და იას მიმართა სადღეგ-რძელოთი:

_ ჩემმა სიდედრმა კარგად იცის, როგორი გრძნობა მაკავშირებს მასთან, რა და-მოკიდებულება გვაქვს, როგორ ვაფასებ მასაც, მის საქმიანობასაც, ამიტომ აქ ზედ-მეტად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ არ ვაპირებ, ნამდვილად არ ვაპირებ დიდრქე-ბიანი ვაცის შოვნას... ანეგდოტებს თავი დავანებოთ და ერთ ნამდვილ ამბავს გიამ-ბობთ, ჩემი თვალით ნანახს და ჩემი ყურებით მოსმენილს... მეტყევე ინჟინერი ვარ და ხშირად მიწევს მგზავრობა. ამას წინათაც მოვდივარ თბილისში... მორახრახებს დანჯღრეული ავტობუსი დანგრეულ გზაზე, უბედური გადატვირთულია _ მგზავრებს სული გვეხუთება. ისე ვართ გაჭედილი, რომ მძღოლი მანქანას არავის უჩერებს, თუმცა ხალხი ბლომად არის გამოფენილი გზაზე და ხელს გვიქნევს _ კვირა საღამოა, ყველას წამოსვლა უნდა. მოვხრიგინობთ ასე, ჰოდა, ჰოი საკვირვე-ლებავ! მძღოლი უჩერებს მანქანას ერთ შუახნის გამოპრანჭულ ქალს. კარები ძლივსძლივობით იღება და ეს ქალიც, როგორც იქნა, ჯახირით შემოეკვეტა და ენერგიულად დაიწყო “სასიცოცხლო სივრცის” მოპოვება იდაყვებითა და ცხარე სიტყვებითაც. ყველანი განცვიფრებულები ვუყურებთ, ვინ არის ეს თავხედი. “შოფრის სიდედრი ვარ!” _ ამაყად გადმოგვხედა ყველას და მგზავრთა ცნობისმოყ-ვარეობაც დაკმაყოფილდა... ქალბატონო ია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მე მანქანას ყოველთვის გაგიჩერებთ და კარებსაც ჩემი ხელით გაგიღებთ! ღმერთმა ყველას არგუნოს ასეთი სიდედრი!

_ ჯერ მანქანა იყიდე, შე უბედურო, და თამასუქები მერე დაარიგე! _ შეუბღვი-რა კესანემ იასონს. _ დროზე გაინძერი, რა სიყვარულის ბუშტი გაგისკდა დღეს... დროზე გამოადგი ფეხი!

_ შენ არ ადღეგრძელებ დედაშენს? _ შეესიტყვა იასონი.

კესანე უსიამოვნოდ შეიშმუშნა, გაწვდილი ჭიქა უხალისოდ გამოართვა ქმარს...

“_ _ ეჰ, ჰგონია, დედამისი უკვე “ჩამოწერილია”: აღარაფერი სჭირდება, არც მა-ტერიალური, არც სულიერი... _ ამიტომ ყველაფერი მას უნდა შესწიროს _ თითქოს ცოცხალი ადამიანი არ ვარ და საკუთარი ცხოვრება აღარ მაქვს, თითქოს ჩემი პი-როვნება აღარ არსებობს _ ძალიან გულს მტკენს მისი ასეთი ქცევა _ სხვები, ზოგ-ჯერ სრულიად გარეშე ადამიანები, ბევრად გულისხმიერნი არიან ჩემს მიმართ _ მე მხოლოდ მეწველი ძროხა ვარ მისთვის _ მოტყუებასაც არ ერიდება: “გვინდა, შენი სურათები შინ გვქონდეს, განსაკუთრებით მაკას სურს, ყოველდღე ტკბებო-დეს მათი ყურებითო”... _ ჩემი შვილიშვილი კვირაში ერთხელ მაინც არ უნდა მა-ნახოს, არ უნდა მოიყვანოს ჩემთან? _ ერთს არ დარეკავს, დედა, როგორ ხარ, რას აკეთებ, ხომ არაფერი გჭირდებაო... _ ისევ მე გავხდი იძულებული, ბავშვის სანახა-ვად მათთან მივსულიყავი და ერთი სურათიც კი არ აღმოჩნდა იქ, არც ჩემი და არც არჩილისა... _ სულ გაუყიდია! _ ერთი ჩემი სურათი საკომისიო მაღაზიაშიც აღმოვაჩინე შემთხვევით, საკმაოდ მაღალი ფასი ედო _ ფული რომ მქონოდა, ვი-ყიდდი, მომწონდა, არ მემეტებოდა გასაყიდად _ აბუჩად აგდებულად ვიგრძენი თავი... _ _”

კესანე არავის უყურებდა, ორი-სამი სიტყვა წაიბურდღუნა, ღვინო ოდნავ მოწრუპა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

ია ფეხზე წამოდგა, დადგა სამადლობელი სიტყვის წარმოთქმის დროც... გაუჭირდა დაწყება, საერთოდ, არ ეხერხებოდა საჯაროდ ლაპარაკი.

_ მადლობელი ვარ ყველასი თბილი სიტყვებისთვის, კეთილი სურვილებისთვის, ყველანი ძალიან მიყვარხართ... ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მეგობრებს გხედავთ აქ, ყველას უღრმეს მადლობას გწირავთ... ბედნიერი ვარ, ჩემი შვილების და შვილიშვილის აქ ყოფნით... დათუნა მპირდება, რომ ჩემს "პოლონელ" შვილიშვილებსაც მალე მანახვებს... კესანე, აწი მაინც დამპირდი, რომ მაკას შაბათ-კვირას ჩემთან გამოუშვებ... მის პორტრეტს გავაკეთებ...

_ დედა, შენ ყოველთვის დაკავებული ხარ, მაკაც, ხომ იცი, როგორი დატვირთულია... არ მინდა, შეგაწუხო... მივდივართ, იასონ, დამბლა დაგემართა?

_ მოიცათ, სად გარბიხართ, _ წამოდგა ფეხზე თამადა. _ კესანე, ახლა შენ უდღეგრძელებელი როგორ გაგიშვა? არ შეიძლება არაფრით! მაკაც უნდა ვადღეგრძელოთ, შვილს რაღას ერჩი? იასონიც... პატივი დაგვდე, გენაცვალე, პატარა... ია, დიდი ბოდიში, გთხოვ გააგრძელო.

_ იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ ყველამ, ერთხელ კიდევ დიდი მადლობა... _ ია დაჯდა და ღვინო ცოტა მოსვა.

_ ბოდიში მომიხსენებია პატივცემული სუფრისთვის, ქვეყანაზეც ვერ არის ყველაფერი აწყობილი და ჩვენც გვეპატიება... _ განაგრძო დიდიმმა. _ იძულებული ვარ, საპატიო გარემოებათა გამო, სადღეგრძელოთა რიგი დავარღვიო, ასე, ჩემო ბატონო... ჩვენს სუფრას ამჟამად იას შვილები _ კესანე და დავითი _ და ერთი შვილიშვილი _ მაკა _ ამშვენებენ... კესანე ამ სუფრის ჭეშმარიტი მშვენება გახლავთ და ძალიან ვწუხვარ, რომ ასე ადრიანად უნდა დაგვტოვოს... ისინი მინდა ვადღეგრძელო, იას მონაგარი ერთად დავლოცო! კარგი შვილები ჰყავს იას, აგერ თქვენც ხედავთ, კარგი დედ-მამის შვილები... დავითი ამ წვეულების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია, როგორც ჩვენს მშობლიურ პარტიაზე იტყვიან... გამოფენის მოწყობაშიც ლომივით ტრიალებდა, იშვიათი ნიჭი და მონდომება გამოამჟღავნა. დიდი მადლობა მას იას მეგობრების სახელით, იმისთვის, რაც მან მისი დედის სახელის წარმოსაჩენად გააკეთა... ისე, ცხადია, რომ დათუნამ ამით საკუთარი კაიკაცობა წარმოაჩინა _ იას ისედაც მშვენივრად ვიცნობთ ყველანი... იმსიშორიდან, კრაკოვიდან, საგანგებოდ ჩამოვიდა, როცა გაიგო, იას გამოფენა უნდა გაეკეთებინა და თავი არ დაზოგა, რომ ეს ძალზე საჭირო კეთილი საქმე სასიკეთოდ წარმართულიყო. რა თქმა უნდა, მშობლის ამაგს შვილი ვერასდროს გადაიხდის, ეს ყველამ ვიცით... ერთი არაკი მინდა, გითხრათ, ბოდიშს ვიხდი ქალთა საზოგადოების წინაშე, ცოტა ისეთია... შევეცდები, მოკლედ მოგახსენოთ. ძველ დროს ერთი ახალგაზრდა სასწავლებლად გაემგზავრა შორს. მამამისს მხოლოდ წყვილი ხარი ჰყავდა, ძალიან ღარიბი იყო, მაგრამ, როცა შვილს ამგზავრებდა, ერთი ხარი დაკლა და ქეიფით გააცილა. შემდგომშიც, რითაც შეეძლო, შვილს ხელს უმართავდა. შვილმა კარგად ისწავლა და ცნობილ კაცად დაუბრუნდა ოჯახს. გახარებულმა მამამ ისევ წვეულება გამართა და ახლა მეორე ხარიც შეეწირა ამ საქმეს. შვილი ლხინის დროს წამოდგა და თქვა: "მე, მამაჩემო, დიდად მადლობელი ვარ, რომ კაცად მაქციე, რი-

თაც კი შეგეძლო, მეხმარებოდი. მეც, ჩემი მხრივ, ყველა შენს ხარჯს ვიწერდი და აი, დღეს შევაჯამე კიდეც. ამდენი და ამდენი გამოვიდა და აჰა, ორ მაგდენს გაძლევ, მოიხმარე და გაიხარეო", _ ამოიღო შვილმა ფულის დასტა და გაუწოდა მამას. მამამ უთხრა: "მე, შვილო, ეს ფული არაფრად მჭირდება, ისევ შენ გქონდეს, მაგრამ, რომც ამეღო, როგორ ფიქრობ, ჩემი ვალი აღარ გექნებოდა?" შვილმა გაიკვირვა: "ორჯერ მეტს ხომ გიბრუნებო", მამამ კი განაგრძო: "შვილო, შენ რომ პატარა, თითისტოლა იყავი, ხელში გათამაშებდი და ხშირად სიყვარულით ჩიტოზე გკოცნიდი. ახლა, თუ შენ ამითვე გადამიხდი, მაშინ ვალიც აღარ გექნებაო". შვილმა იუარა: "მაგას ვერ ვიზამო". "აბა, მშობლის ამაგს ვერ გადაიხდიო", _ უთხრა მამამ... ასე იყო ეს ძველი ამბავი, ჩემო კარგებო... გაუფრთხილდით თქვენს მშობლებს, გაზარდეთ მოსიყვარულე, კეთილი, განათლებული შვილები და ამით ნაწილობრივ შეძლებთ დედ-მამის ამაგის დაფასებას. მშობლიურ სითბოს და სიყვარულს ვერ შეაფასებ, ვერც სასწორზე აწონი... იას გამოფენა თქვენთვისაც, მისი შვილებისთვისაც, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის თქვენთვისაც გაკეთდა. შეიძლება ზოგიერთი რამის გამეორება გამომივიდეს, მაგრამ მეტსაც ვიტყვი: ეს დიდებული გამოფენა იმდენად იას კი არ სჭირდებოდა ან მის შვილებს, ან მის მეგობრებს, იგი ფართო საზოგადოებას სჭირდება, ხალხს სჭირდება, ქვეყანას სჭირდება, ჩვენს ყოფაში სიკეთისა და სილამაზის დამკვიდრებას სჭირდება... დიდი მადლობა ერთხელ კიდევ ჩვენს დავითს, დათუნას, მის ასეთ კაიკაცობას, მის ოჯახისმამობას _ დარწმუნებული ვარ, ასეთი ბუნების კაცი ბრწყინვალე მამა და ქმარიცაა... მის ოჯახთან ერთად ვადღეგრძელებ, ვისურვებ, მალე მოღებოდეს ბოლო მის გადახვეწას და ფეხი მოეკიდებინოს მშობლიურ მიწა-წყალზე, გაეხარებინოს დედ-მამა... მრავალჟამიერ იდღეგრძელეთ და იხარეთ, ჩვენც გაგვახარეთ თქვენი კარგად ყოფნითა და ცხოვრებაში წინსვლით! იას შვილიშვილებსაც ვლოცავ, მაკა, შვილო, კარგად იყავი, შენი სასიქადულო დიდედის ღირსეული შვილიშვილი გაზრდილიყავი! ჩიტმა ამბავი მომიტანა, რომ უკვე ახლა რაღაც-რაღაცეები გეხერხება თურმე ძალიან... მხატვრობისკენ დიდი მიდრეკილება აქვს, ცხადად ვამჩნევო... ძალიან მიხარია, ჩემო მაკა, აბა შენ იცი! იცი, რა თქვა იამ შენზე? მე ვატყობ, ბუნებით, ორგანულად აქვს ამ ბავშვს ფორმის გრძნობაო; შენი ნახატებიც მანახა, ორი-სამი წლის წინ რომ გაგიკეთებია, შენახული აქვს, შენახული კი არა, შუშაში ჩასმული, გაფორმებული და დიდ ოთახში კედელზე დაკიდებული... მისი საკუთარი სურათები არ ჰქონდა ასეთ პატივისცემაში, გამოფენისთვის მოგვიხდა მათი ჩარჩოებში ჩასმა. ეს უნდა დააფასო და იცი, რით უნდა უპასუხო, რით უნდა გადაუხადო? მე არ გეტყვი, შენ თვითონაც კარგად მიხვდები... შენი ნახატები, როგორც გითხარი, მეც ვნახე და იას სავსებით ვეთანხმები! დანარჩენი შენზეა, შენს მონდომებაზე, შენს სიყვარულზე, შენს მიზანსწრაფულობაზე!.. ყველას გაგიმარჯოთ _ იას შვილებსა და შვილიშვილებს ვადღეგრძელებ! დათუნა, შენს შვილებს სხვა დროსაც ცალკე ვადღეგრძელებ, როცა ჩამოიყვან და ერთ კარგ ლხინს გამართავ!.. ბოდიში, მათი სახელები გამახსენე... ირინე და შიოლა _ ორივე ძვირფასი სახელია! თამადის ძებნა შორს არ დაგჭირდება, იმედია, მიმიხვდი, რასაც გეუბნები!.. იდღეგრძელეთ!.. კესანესა და დათუნას თამადობით ყველა ჩვენთაგანის შვილებსა და შვილიშვილებსაც გაუმარჯოს _ გაეხარებინოთ ჩვენი გულები!.. უჰ, რამდენი ვილაპარაკე, კაცო, მაგარი

გაძლება გქონიათ თქვენც... სათქმელი მაინც კიდევ ბევრი დამრჩა... ესეც სამი _ დავცლი სასმისს! მესამე სადღეგრძელოა _ დასალევად სასახელოა! სადღეგრძელო მესამე _ გადავყლურწოთ სიამით!.. ასე მტერი დაგელიოთ!.. ალავერდს იასონთან გადავდივარ!

_ მადლობელი გახლავართ, ბატონო დიდიმ, _ არ დაახანა პასუხი იასონმა, _ ქალბატონ იას შვილებისა და შვილიშვილების ძვირფასი სადღეგრძელოა. უპირველესად ირინესა და შიოლას ვადღეგრძელებ, _ დათუნას შვილებს, _ შორეულ პოლონეთში რომ იზრდებიან, ქალბატონ იას სული რომ მუდმივად მათკენ მიილტვის, მიფრინავს და შეხვედრის მოლოდინით სუნთქავს... ჩემს მაკას ვადღეგრძელებ, ჩემს ლამაზ და კეთილ ფერიას, მამიკო რომ ლოცულობს ყოველდღე მის ბედნიერებაზე... ჩემს უმცროს ძმას ვადღეგრძელებ, ჩემს საყვარელ დათუნას, ცოლ-შვილთან ერთად, დედ-მამასთან და ყველა კეთილებთან ერთად ჯანმრთელობა და ბედნიერება ნუ მოუშალოს გამჩენმა. ნამდვილი ვაჟკაცია დათუნა, უთქმელი, ჩუმი, უხმაუროდ აკეთებს კეთილ საქმეს, მყარად, გულდაგულ... მაგის დაპროექტებული სახლი თუ სხვა რამ ნაგებობა, ეჭვი არ შეგეპაროთ, იქნება უპირველესად საიმედო, მტკიცე, თანაც ლამაზი, დახვეწილი, ორიგინალური ფანტაზიის ნაყოფი _ ტყუილად კი არ არის მხატვრების შვილი. მე ვთხოვ, როცა შემდგომ ჩამოვა, წამოიღოს რამდენიმე თავისი საუკეთესო პროექტი. ისიც გამიგონია, რომ ამ ბოლო დროს ნელ-ნელა ფერწერასაც ეპარება, ძალიან კარგი გრაფიკული ნამუშევრებიც აქვს, ეს ხომ ადრეც ვიცოდით. მოკლედ, ყველა დარგში და ყველა მიმართულებით წარმატებას, შემოქმედებით ნაყოფიერებას და დიდ სიხარულს გისურვებ; ჩემს თავს და აქ მყოფთ ვუსურვებ, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც შენი პერსონალური გამოფენაც ვიხილოთ, სადაც წარმოჩნდება შენი მრავალმხრივი ნიჭის ყველა მხარე... იცოცხლე, ჩემო ძმაო!..

_ ეგ რა წესია, კესანეზე წინ ადღეგრძელე? _ ხუმრობით უსაყვედურა დიდიმმა.

_ ბოდიშს ვიხდი, თუ რამე შემეშალა, მაგრამ ყველაზე გემრიელი ლუკმა ბოლოსთვის მოვიტოვე, ბატონო დიდიმ. ხომ ხედავთ, თვალებს მიბრიალებს, აბა შენ იცი, ლამაზად ჩაახუჭუჭე ჩემი სადღეგრძელო, თორემ შენს საყვარელ ბორშჩს იმდენ წიწაკას ვუზამ, მოსკოვს დაგანახვებო... სულ ვჯიჯღინებთ ერთმანეთში, ეს კი, მოგეხსენებათ, დიდი სიყვარულის ნიშანია. ხუმრობით ვეპაექრებით ერთმანეთს, დამარცხებული აქ არ არსებობს, იმიტომ, რომ თუ კესანემ მაჯობა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს _ მტერმა ხომ არ მაჯობა, ცოლმა გაიმარჯვა! თუ მე ვაჯობე, რაც ბუნებაში თითქმის გამორიცხულია, არც მას სწყინს მაინცდამაინც, იმიტომ, რომ მისმა საყვარელმა ქმარმა გაიხარა! აი, ასე... მაკა, შვილო, დედაშენს ვადღეგრძელებ, შენს საყვარელ დედიკოს... ჩემზე ვერაფერს მოგახსენებ, სხვები უკეთესად გეტყვიან, დედაშენზე კი შემიძლია ვთქვა, რომ დედა ვარო, მან უნდა დაიტრაბახოს _ ადრე დილიდან შუაღამემდე მხოლოდ შენზე ზრუნვაშია: ჩაცმა--დახურვა, სწავლა-განათლება... იქით _ ცურვა, ახლა კიდევ რაღაცას დაგიმატებს, ვგონებ, კანტის იდეალისტური ფილისოფიის კრიტიკის საფუძვლებს აგათვისებინებს... ხუმრობა იქით იყოს და, რა ეშველებოდა ჩვენს ოჯახს, რკინის ხელით რომ არ წარმართავდეს მას ასეთი მომჭირნე და გამჭრიახი დიასახლისი _ კესანე!.. უყურე კესანეს _ და დასტკბი!.. არ მოგწყინდება! ბაზარში უნდა ნახო, ორმოცდაათჯერ

ჩამოუვლის დახლებს, რომ ხუთი კაპიკი დაზოგოს! უკვე ნაყიდი აქვს რაღაცა, აწონილი და ჩანთაში დაბინავებული, ახლა იწყება ფულთან გამომშვიდობების სამგლოვიარო ცერემონიალი... შორს, ძალიან შორს გადამალულ საფულეს დიდი ჯახირ-წვალების შემდეგ ამოაძვრენს, ეჭვიანად ათჯერ გაიხედ-გამოიხედავს, დაზვერავს მიდამოს, მერე ხელის კანკალით ამოიღებს ფულს, სასოებით რამდენჯერმე გადათვლის, ხელის კანკალითვე თვალცრემლიანი გაუწვდის გამყიდველს და გულსაც გადააყოლებს: "როგორ მიჭირს შენთან განშორება, ძვირფასო!" მისჩერებია გამყიდველს ხელებში _ ხურდას ხომ ზუსტად აძლევს? ამ ხურდას თვითონაც ერთი ხუთჯერ გადაითვლის, ჩადებს საფულეში... ამოიხვნეშებს და სულსაც ამოატანს!.. უკვე წამოსულია, კისერი მაინც იქითკენ აქვს მიღრეჯილი... თვალებში განშორების დარდია: ერთხელ კიდევ და უკანასკნელად: "მშვიდობით, საყვარელო თუმნიანო!"

თანამეინახეთა სიცილში დიდიმმა წამოიძახა:

_ დაუკრეფავში გადახვედი, აი! არა, ამათი ერთად წასვლა არაფრით შეიძლება! ცოლი გზაში შეახრამუნებს!

_ ჩემს მეორე ნახევარს ვუსურვებ, ჯანი და ოპტიმიზმი არ მოჰკლებოდეს, გაძლება ჰქონდეს ქმარ-შვილის, ყოველგვარ წვრილმანს გულთან ახლოს ნუ მიიტანს... რას იზამ, ხან წვიმს, ხან დარია, ოჯახშიც ასეა და ამას უკვე შევეჩვიეთ... ამ სადღეგრძელოთი ასევე ყველა აქ დამსწრის და არმყოფის შვილებსა და შვილიშვილებს ვუსურვებ უღრუბლო ზეცას, მზიან დღეს, ნათელ მომავალს... ხანდახან თუ მცირე ღრუბელი გამოჩნდება და პატარა ჩრდილი დაეცემა სადმე, ამის გადატანაც შეგვეძლოს შესაფერისად, ღირსეულ ადამიანებად დავრჩეთ და ერთმანეთის სიკეთით გავიხაროთ!

"_ _ იცოცხლე, ჩემო იასონ, კარგი კაცი ხარ! _ რა ჭრელი სუფრაა _ საჭმელები ნაირ-ნაირი, სახეებიც ნაირ-ნაირი, ტანსაცმელიც... _ დარბაზის რია-რია მღლის _ მამაჩემი ისევ ჯიჯღინებს _ კესანე მოქუფრულ ღრუბელს ჰგავს _ არ ერიდება, ასე ხმამაღლა რატომ მსაყვედურობს? _ მაკა დიდია უკვე, ნუ ატუტუცებო _ იქნებ კესანეს თავის დროზე მოფერება აკლდა ბავშვობაში და ამიტომ არის ასეთი უკმეხი? _ არა, უფრო ალბათ ბუნებამ თავისი გაიტანა _ ქინურიძეებისკენ არის აშკარად _ გარეგნულადაც როგორ ჰგავს არჩილს _ უფრო ქალურია, უფრო ლამაზიც, მაგრამ ამგვარი თავის თავში შეყვარება, ეგოცენტრიზმი ძალუმად იგრძნობა _ არც ცდილობს ამის დაფარვას! _ ვერც უხერხულობას გრძნობს _ ემოციური სიყრუეა აბა რა, სხვას რომ არავითარ ანგარიშს არ უწევ... _ დედის მიმართ მაინც გამოიჩინოს სითბო _ როგორ უძლებს ქმარი? _ აფერუმ მის ვაჟკაცობას, ორდენი ეკუთვნის! _ ხუმრობის ხალისიც არ დაჰკარგვია _ კიდევ კარგი, მაკა დედას არ დაემსგავსა _ ცოცხალი ბავშვია _ ორი ბოთლი ლიმონათი დალია, ეტყობა, მოენატრა _ ნამცხვარიც რამდენიმე ნაჭერი შეჭამა _ დედამისი რას მიბრიალებს თვალებს, უნდა ბავშვს და ჭამოს, მოშივებულია _ არ რცხვენია, საჯაროდ რომ შენიშვნას მაძლევს? _ დღეს მაინც შეეკავებინა თავი _ საერთო სუფრაა და არც აქ არის ერთობა _ დანაწილებულია რამდენიმე ჯგუფად _ კაცებიცა და ქალებიც გახალისებულნი არიან _ ალფეზი ქანდაკებასავით გაშეშებულა, არავის ელაპარაკება, ზის ბუსავით _ ქალები ჭორაობენ _ ქეთინო და ირმა, ელენე და ესმა _ იასონის მშობლები რა გუგუ-

ლებივით წყნარად სხედან _ როგორ უძლებენ ნეტა კესანეს ხუშტურებს? _ დათუ-ნა და ბაკური უფრო ხშირად ფეხზე დგანან, რაღაც საკითხების მოსაგვარებლად მიმოდიან _ მაგარი დატვირთვა დააწვათ დღეს _ ოფიციანტები თითქმის გაანთა-ვისუფლეს შრომისგან _ სტუმართა გაცილებაც მათ კისერზე იქნება _ იასონი დარ-ჩეს ბოლომდე, მისი დედ-მამაც... _ დაიწყო გაწევ-გამოწევა _ კესანე ალბათ თავი-სას მიაღწევს... _ _”

_ მეგობრებო! _ ჩაერია იწილო-ბიწილოში თამადა, _ ნება მიბოძეთ, გაგახსე-ნოთ, რომ დღეს იას გამო ვართ აქ შეკრებილნი და მის ნებას ვცეთ ყველამ პატივი... მოდით, იას ვთხოვოთ, გადამწყვეტი სიტყვა თქვას და ჩვენც უსიტყვოდ დავემორ-ჩილოთ... ია, რას გვიბრძანებ, როგორ მოიქცეს იასონი, წავიდეს თუ დარჩეს?

_ მე უხერხულ მდგომარეობაში ვარ... _ შეიშმუშნა ია. _ თვით იასონს მივან-დოთ გადაწყვეტილების მიღება; ასე, მე მგონი, სამართლიანობა არ დაირღვევა. ისე კი, მე მოხარული ვიქნები, თუ კესანე გადაიფიქრებს წასვლას... თუ არადა, ია-სონი დატოვოს.

კესანემ წასვლა არ გადაიფიქრა, ბავშვი ცოდოა, თან ხვალ სკოლაშია წასასვლე-ლიო, იასონმა კი დარჩენა ამჯობინა, მით უმეტეს, რომ მის მშობლებს არსად ეჩქა-რებოდათ.

იამ დათუნასთან ერთად კესანე და მაკა ქუჩამდე მიაცილა. გამომშვიდობები-სას მაკა დიდედას ჩაეხუტა, დიდხანს იყვნენ ასე...

“_ _ რა ლამაზია ღამის ქუჩა, მანქანათა მოციალე ფერად-ფერადი შუქები, ჩამ-წკრივებული ლამპიონების გრძელი რიგით განათებულ ხეთა ნორჩი სიმწვანე _ ცა თითქმის არც ჩანს, ისეა ჩამუქებული _ გარეთ სულ სხვა ჰაერია, სასიამოვნოა და-ხუთული დარბაზიდან გარეთ გამოსვლა... _ ყოჩაღ, კესანე, როგორ მოიფიქრე ამ-ხელა ჩანთის წამოღება? _ ინსტრუქციაც ალბათ წინასწარ მოიფიქრა: თუ რამე საჭ-მელი დარჩება, ამ ჩანთაში ჩამილაგეო, დათუნას თხოვა _ ახლა გაადვილდა საქ-მე, ჩანთას იასონი წაიღებს _ _”

სუფრასთან დაბრუნებულნი ია და დათუნა პატარა სპექტაკლის მოწმენი გახ-დნენ.

ირმას თავისი ლექსების კითხვა გაეჩაღებინა.

რამდენიმე ლექსს დამსწრეთ ტაში დაუკრეს _ გაზაფხული, სიყვარული, მარ-ტოობის სევდა...

კარგად იყო გარითმული _ ჯვარედინად, ეტყობოდა, ირმას ცდა არ დაეკლო.

იას შეხედულებით, ლექსები მხატვრულობით ვერ დაიკვეხნიდა _ ერთი ორი-გინალური სახე ან ფრთიანი სტრიქონი ვერ დალანდა. კითხვით კი ირმა მშვენივ-რად კითხულობდა, პათეტიკურად, ხმის თავისუფალი მოდულაციით, არტის-ტულ მგზნებარებაზე პრეტენზიით. თემები კი იყო სხვადასხვა, მაგრამ ერთფე-როვნებას ვერ გაექცა, თითქოს ერთ დიდ, დაუსრულებელ ლექსს კითხულობდა.

_ ძალიან კარგი, ჩემო ირმა, _ ბოლოს გაბედა და შეაწყვეტინა დეკლამაცია დი-დიმმა, _ დანარჩენი მერე იყოს, მაგის დრო კიდევ გვექნება, ახლა კი...

_ არა, არა, არ გამაგონო! _ არ დაუთმო ირმამ, _ სწორედ ახლა მომივიდა შთა-გონება და გთხოვ, ნუ ჩამამწარებ... მაცალე, ბიჭო!

და ირმამ განაგრძო საკუთარი ლექსების კითხვა.

_ ღმერთო, შენ მიშველე, ბოლომდე აპირებს წაკითხვას? _ უჩურჩულა გიამ იას; ირმას ხელში ეჭირა ჩანთიდან ამოღებული სქელი რვეული.

ერთი სული ჰქონდათ, როდის შეწყვეტდა ირმა კითხვას, ის კი სულ უფრო შედიოდა ეშხში. თამადა ერთი-ორჯერ კიდევ შეეცადა აბობოქრებული ირმას გაჩერებას და იძულებული გახდა, დამარცხების ნიშნად ხელები მაღლა აეწია _ ქალი თავისი ხელოვნებით სუფრის გამშვენიერებას ცდილობდა და ჩხუბს ხომ არ დაუწყებდა...

ექსტაზში შესულმა ირმამ რვეულის თითქმის ნახევარი წაიკითხა, როცა გამოსავათებულ მსმენელებს მხსნელად გია მოევლინათ.

_ ირმა, ერთი წუთით... მშვენიერი ლექსები გქონია, ძალიან კარგია, ნაღდი პოეტი ყოფილხარ! აუცილებლად წიგნად უნდა აკინძო და გამოსცე! _ როგორღაც მოახერხა და ჩაეჩხირა მორიგი ლექსის დასრულებისას გია. _ ნება მომეცი, ერთი ლექსი მეც წავიკითხო, შენ მანამდე ცოტა ამოისუნთქე, ყელი დაასვენე...

რატომღაც ყველა მოელოდა, რომ გიაც საკუთარ ლექსს წაიკითხავდა, მან კი წყნარი წამღერებით დაიწყო: _

“უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.
მაგრამ სულ სხვაა სიყვარული
უკანასკნელი...”

გიამ ლექსი ბოლომდე წაიკითხა და მაშინვე გალაკტიონის მეორე ლექსიც მიაყოლა _ “მე და ღამე”; შემდეგ, ხარჯი სარჯიაო _ და გოგლას “ნინოწმინდის ღამე”...

დიდი ვერაფერი დეკლამატორი გახლდათ გია, ამ მხრივ ირმას აშკარად ჩამოუვარდებოდა, მაგრამ როცა მესამე ლექსის ჩათავების შემდეგ ირმას თხოვა, გააგრძელე შენი ლექსების კითხვაო, ქალმა აღარ ინდომა _ არა, საკმარისიაო...

_ კარგია, რომ პოეტები არსებობენ ამქვეყნად! _ თქვა გიამ.

_ და მხატვრები! _ დაამატა გვარამ ვარამაისძემ.

ირმამ უცებ მოიწყინა, მოიღრუბლა.

იამ ქიმუნჯი უთავაზა გიას, სუფრაზე სიამტკბილობას ნუ გვირღვევო.

გია შეეცადა “შეცდომის” გამოსწორებას და ირმას დაუყვავა:

_ რატომ შეფუცხუნდი, ირმა, როგორ, შენ თავს არ თვლი პოეტად? ერთი კრებული ხომ გამოეცი, შენი ლექსების მეორე წიგნი რომ გამოვა, პირველი ეგზემპლარი მე უნდა მაჩუქო, სამაგიეროდ, გპირდები, შენს პორტრეტს გავაკეთებ... თუ გინდა, ჯერ პორტრეტს შევქმნი და შენი კრებულის თავფურცელზე მოათავსე..

_ გეყოფა, გია, რა მოგივიდა? _ წასჩურჩულა იამ. _ ირონიასაც თავისი საზღვარი აქვს, რას ერჩი, მოკალი გოგო და ეგ არის.

_ ბოდიში, ბოდიში, ჩუმადა ვარ...

"_ _ არავინ იცის, რომ მეც ლექსებს ვწერ _ რა ვიცი, იქნებ მე მგონია ასე და სინამდვილეში ბავშვური ტიტინია... _ ერთი-ორი მეც რომ წამეკითხა ახლა, ნეტა გია რას იტყოდა? _ _"

თამადას არც ამჯერად გამოჰპარვია უხერხული მდგომარეობა სუფრის ამ უბანზე:

_ მეგობრებო, ერთიც ვთქვათ და საქმე წინ გავიგდოთ... სანამ მორიგ სადღეგრძელოზე გადავიდოდე, წინდაწინ ოფიციალური განცხადება უნდა გავაკეთო, რომ ვინმემ პრეტენზია არ გამოთქვას ჩემს მიმართ. ჩემს მოვალეობაზე მინდა მოგახსენოთ. აი, ძაღლი რომაა ჯაჭვით დაბმული პალოზე, გარშემო უვლის და ყეფს, ყეფს... დიახ, მე ის ძაღლი გახლავართ ამ პატივცემულ სუფრაზე, ჰოდა, როცა სადღეგრძელოს შემოგთავაზებთ, შეიძლება, ყეფაზე უარესადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ნუ დამძრახავთ _ მეც ჯაჭვით ვარ დაბმული, ეს ჯაჭვი ჩვენი ამ დღევანდელ სალხინო სუფრაზე შეკრების მიზეზის, ყველასთვის საყვარელი იას სიყვარულია. ამ სიყვარულის ჯაჭვით სულ იას წრეზე უნდა ვიარო. თავი ბევრი ლაპარაკით რომ არ მოგაწყინოთ, მოკლედ მოვჭრი: ყველა ჩემი სადღეგრძელო მეტ-ნაკლებად იასთან იქნება დაკავშირებული. დიახ... მე მინდა, ამ სადღეგრძელოთი მადლობა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებმაც დიდ-პატარა წვლილი შეიტანეს იას გამოფენის მოწყობაში. იმათ ვადღეგრძელებ, ვინც ეს იასთვის დიდად მნიშვნელოვანი ღონისძიება დააფასა, ძალ-ღონე არ დაიშურა, გაუმართა ხელი. ისინი ბევრნი არიან: გია, ბაკური, დათუნა, რომელთა მხრებზეც გადაიარა ძირითადმა სიმძიმემ. ღმერთმა ნუ მოუშალოთ, მრავალი ასეთი კეთილი საქმე გაეკეთებინოთ წარმატებით. სამივეს ვუსურვებ, აგრეთვე, დიდ მიღწევებს საკუთარ შემოქმედებაში. ესენი არიან, ასე ვთქვათ, მთავარი მოქმედი პირები, მაგრამ, მათ გარდა, კიდევ მრავალ ადამიანს უდევს წილი, ღვაწლი მიუძღვით _ მხატვართა კავშირიდან, ამ საგამოფენო დარბაზის განმკარგულებელნი; აი, თუნდაც, სურათებს რომ ჩარჩოები სჭირდებოდა, მათ გამკეთებელ ხელოსნებს გაუმარჯოს; მერე ხომ გადმოტანა სჭირდებოდა _ ვინც დატვირთა-გადმოტვირთა, მერე კედლებზე დაჰკიდა... მანქანა _ მის შოფერს გაუმარჯოს, აგერ მშვენიერი ბუკლეტია დაბეჭდილი, კატალოგი, _ მბეჭდავ-პოლიგრაფისტებს გაუმარჯოს, შიგ მოთავსებული წერილის დამწერს, ბატონ გვარამს გაუმარჯოს... დიდი მადლობა, ყველას ვერ ჩამოვთვლი, დღეგრძელობას და კიდევ მრავალ კეთილ საქმეში წარმატებას ვუსურვებ... იდღეგრძელეთ!.. ეს მესამე სადღეგრძელოა?.. ბოდიში, მეოთხე ყოფილა... მეოთხეა _ სამოთხეა!.. ალავერდს გადავდივარ ბატონ შიოლასთან!

შიოლა ლიაშვილს თვალები მიელულა და ცოლის ქიმუნჯმა გამოაფხიზლა. გაკვირვებულმა დააჭყიტა თვალები, აცმაცუნა ულვაშები და მაგდანას მიაჩერდა.

ამ დროს ცოლ-ქმართან მივიდა დათუნა, რაღაც უჩურჩულა ორთავეს, შემდეგ მაგდანამ და დათუნამ შიოლას წამოდგომაში წაეშველნენ. იაც მივიდა მათთან და სანამ ქუჩაში გავარდნილი დათუნა ტაქსს დაიჭერდა, მამა და დედინაცვალი გარეთ გაიყვანა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ სუფრასთან დაბრუნებულ იასა და დათუნას ჩოჩქოლი შემოეგებათ...

X. ატენი
(იას დღიურიდან)

სამი ქალი _ მე, ნათელა ნარიაშვილი და ესმა ჭყავაძე _ წამოვედით პლენერზე სამუშაოდ. მე და ნათელა რა ხანია, სულ ერთად დავდივართ, ალბათ ათიოდე წელი იქნება. თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო გვაქვს შემოვლილი, ძალიან შევეწყვეთ ერთმანეთს. ამჯერად ესმაც შემოგვიერთდა (დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ).

ჩავედით გორში, სასტუმროში კარგად მიგვიღეს, მშვენივრად მოგვაწყვეს. დავთქვით, ხვალ, დილით ადრე ატენის ხეობაში უნდა წავიდეთ, ვიმუშაოთ და საღამოს სასტუმროში დავბრუნდეთ. და ასე, ერთი კვირის განმავლობაში მოვივლით უფლისციხეს, მეტეხს, ერთაწმინდას, რკონს... მოკლედ, რასაც მოვასწრებთ.

ამ დილით ადრიანად წამოვხტით, სახელდახელოდ წავიხემსეთ მე და ნათელამ და ესმას ნომრის კარს მივუკაკუნეთ (მან ცალკე მოინდომა ყოფნა) _ უკვე წასვლის დროა, გიცდითო. ჩამიჩუმი არ ისმოდა... მერე ბრახუნი ავტეხეთ. კარგა ხნის შემდეგ ძლივს გავაღებინეთ კარი. გამოყო თავი _ გაბურძგვნილი, პირდაუბანელი. თვითონაც ჩაუცმელია. გავსკდით გულზე. შევაფუცხუნეთ, აბა ჩქარა, გვაგვიანდება, ავტობუსი გაგვასწრებსო... შენც არ მომიკვდე, ისე ნელა ირჯება, თითქოს არ იცოდეს, დრო როგორ მოკლას. მე და ნათელა მის წასაღებ ბარგს ვაქუჩებთ, ისიც არ მოუმზადებია წინდაწინ. მოკლედ, მოგვეშალა ნერვები... ჩაი აღარ დავალევინეთ, სირბილით გავეშურეთ ავტოსადგურისკენ. თუ დავაგვიანებთ, მთელი დღე დაგვეკარგება. თვითონ ესმა ზანტად მოიზლაზნება, თან ბუტერბროდს იღეჭება (საერთოდ, მაგარი "ჭამისტია"), რამ დაბადა ასეთი დამბლა? მეო, ამბობს, შინ თორმეტ საათზე ადრე არ ვდგებიო, სად მიგეჩქარებათ, სხვა მანქანას გავყვეთ, ატენში ავტობუსები ხშირად დადისო, თუ არადა, ტაქსით არ ჯობს წასვლაო? ამან მთლად გაგვაცოფა. რად გვინდა ტაქსი, როცა ავტობუსითაც მშვენივრად მივალთ? ტაქსის ფულიც სად გვაქვს... თვითონ, ეტყობა, მიჩვეულია: შინიდან მხატვართა სახლში უთუოდ ტაქსით უნდა მობრძანდეს, თუნდაც სულ არ ეჩქარებოდეს. მოკლედ, შევაგდეთ, აქოშინებულებმა, ავტობუსში ჩვენი ესმას ოთხმოცი კილოგრამი, ბარგიც ავათრიეთ და ავტობუსიც დაიძრა.

გზაში ნელ-ნელა გადაგვიარა გაბრაზებამ, წინ სასიამოვნო სამუშაო დღე გველოდა. მთელი ყურადღება ფანჯრისკენ გვქონდა გადატანილი _ ატენის ხეობაში შემოდგომას მთა-გორები ლამაზად აეფერადებინა. სოფელში ყოველი მტკაველი მიწა გამოყენებულია და ვაზის თალარები საავტომობილო გზის თავზეც კი აქვთ გაშენებული. კლდოვან ფერდობებზე მდინარე ტანადან სარწყავი არხები გაუჭრიათ, რომლებშიც ისეთი წმინდა წყალი მიედინება, რომ ქალაქის წყალსადენსაც შეშურდება. გამოჩნდა ატენის სიონის ოქროსფერი კრისტალი-მონოლითი _ მუქი კლდეებით შემოსაზღვრულ ვიწრო ხეობაში ნათელ ლაქად გამოიყოფა.

ტაძართან ახლოს ავტობუსიდან ჩამოვედით. გავიხედ-გამოვიხედეთ, მერე, მუშაობის დაწყებამდე, შევუდექით ხედვის კარგი წერტილის ძებნას: “აქედან რა მშვენიერი პანორამაა!”, “თან ეს თეთრი ქულა ღრუბლები პირდაპირ დაბარებულებივით არ განლაგდნენ ამ ლამაზი ხეობის თავზე?!” სამუშაოდ მომზადების შემდეგ, ფუნჯის ხელში აღებამდე, თითოეული უკვე თავისთვის დიდხანს ფიქრობს კომპოზიციურ გადაწყვეტაზე, ფეროვანი მასების განაწილებაზე... “აი, ეს მთა იმ ტყის დიდ მასივს აწონასწორებს, თან ეს მდინარე დიაგონალურად ჰკვეთს სივრცეს; მარჯვნივ და მარცხნივ კარგად ჯდებიან ბუჩქნარიანი ფერდობები”. აი, ასე ვარჩევთ საბოლოო ადგილს და ვიწყებთ მუშაობას, თან ვმუსაიფობთ და ეს სრულებითაც არ გვიშლის ხელს: “შეხედე, რა ლამაზი ყვავილია, ღმერთო, რა გადასარევია! რა ჰქვია ნეტავი? შეხედე, შეხედე, კაჭკაჭი როგორ შეფრთხიალდა ჰაერში, რომ ჩავსვა კომპოზიციაში, ხომ გააცოცხლებს? რა მასშტაბის ავიღო? სილუეტურად ჯობს მივცე თუ მოცულობრივად?” ხან ფილოსოფიურ თუ ცხოვრებისეულ საკითხებსაც ვეხებით. ზოგჯერ წავიჭორავებთ კიდეც _ ქალები ვართ! ყველაზე უფრო ის გვაწუხებს, რომ, როცა ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით, გვეუბნებოდნენ: “ჯერ იმუშავეთ, გამოცდილება შეიძინეთ, გამობრძმედილ ოსტატებს მიუახლოვდით დონით და მერე მოითხოვეთ ყურადღებაო”. ახლა კი, როცა ხანში შევედით, თითქოს ოსტატებიც გავხდით, გვეუბნებიან: “თქვენ უკვე ყავლი გაგივიდათ, თქვენი დრო წავიდა, ადგილი ახალგაზრდებს უნდა დაუთმოთ, მათია მომავალი-ო”. სწორია ამგვარი მიდგომა? გრძნობ რაღაც სიცივეს, გულგრილ დამოკიდებულებას, თუმცა ფორმალურად თითქოს ყველაფერი რიგზეა _ შენს ნამუშევრებს იღებენ გამოფენებზე, ზოგჯერ იძენენ კიდეც, მაგრამ ყურადღებას, დაინტერესებას შენი პიროვნებით და შემოქმედებით ვერ ხედავ და გული გწყდება... რისთვის ჯახირობ? რაღა დაგრჩა წინ? პერსონალური გამოფენის პერსპექტივაც კი აღარ გახარებს, იმდენი სირბილი, ნერვების წყვეტა გჭირდება. არ ჯობს, მაგის მაგივრად რამდენიმე ახალი ნამუშევარი შექმნა? მოკლედ, დავიღალეთ, ასაკს თავისი გაქვს...

ჯობს, ჩვენს მოგზაურობას მივუბრუნდე.

თავისუფლად ვგრძნობ თავს, მხოლოდ ერთი საზრუნავი მაქვს _ დრო გემრიელად გამოვიყენო, დავისვენო და კარგი ეტიუდი გამომივიდეს. მაგრამ აქაც რომ არ გამოჩნდეს ნერვების ასაწეწი, როგორ იქნება... ესმამ ერთ ადგილს მიაგნო, დადგა თავისი საეტიუდე და დაიწყო ჩანთიდან მასალების ამოღება. “ახლოს არ მოხვიდეთ, ეს ადგილი ჩემია!” _ გვიყვირის. ოჯახაშენებულო, ვინ რას გართმევს, თანაც ეს გარემო ყველასია; ვერ ხედავ, რომ ჩვენ უკვე დიდი ხანია, ჩვენი ადგილიც შევარჩიეთ და უკვე ვმუშაობთ კიდეც... დავაპირე, აღარ გამეცა ხმა, მაგრამ ნათელამ შეუტია და მაგრადაც გაჯორა, მეც ვეღარ მოვითმინე და შევაწიე ორიოდე ტკბილი სიტყვა. მერე კი ვინანე _ არ უნდა ავყოლოდი წუთიერ აღელვებას. საღამომდე ესმასთვის ხმა აღარ გაგვიცია, შუადღეზე ცალკე მიირთვა თავისი ბუტერბროდი.

მიყვარს ნათელასთან გვერდიგვერდ მუშაობა. თან ვსაუბრობთ, შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ, დაუფარავად ვაკრიტიკებთ ერთმანეთს, თან ეტიუდიც გემრიელად იწერება. ადარებ შენს ნამუშევარს მეგობრისას და ბევრი რამ მისი ნაპოვნიდან ჭკუაში გიჯდება, მაგრამ მაინც ჩემებურად გავიაზრებ და სხვანაირად ვაკე-

თებ, მასაც შიგადაშიგ ვურჩევ რაღაცას და ასე მიდის საქმე. ბოლოს, ჩვენი ნამუშევრები სრულებით არ ჰგავს ერთმანეთს, თუმცა ორივე პრაქტიკულად ერთი წერტილიდანაა გაკეთებული. ჩვენ სხვადასხვა ტემპერამენტი, სხვადასხვა ხედვა, სხვადასხვა ფერის აღქმა გვაქვს. მე, მაგალითად, მიზიდავს სულ წინა პლანის საგანგებოდ გამოყოფა _ ხეს, დიდ ქვას, ღობეს ან სხვა რამეს ჩავრთავ ხოლმე, თუნდაც ნატურაში ის "კადრში" არ ხვდებოდეს. ეს საგნები ერთგვარ "მასშტაბს" წარმოადგენს სიღრმეში განლაგებული სხვა პლანებისთვის _ მიყვარს, როცა თვალი გრძნობს სივრცეს, სიღრმეში პლანების ბუნებრივ მონაცვლეობას. ჩემი ხე-ბუჩქებისა და ბალახის სიმწვანეც თავისებური ელფერისაა _ ნათელა იმასაც კი მეუბნება, რომ მარტო ამ მწვანითაც შეუძლია შეუცდომლად მიხვდეს, რომ სურათი ჩემი შექმნილია. ჩემი ცაც თავისებურია, კოლორიტითაც და ფაქტურითაც _ დრამატულიაო, ამბობენ ხოლმე: დაძაბული, მუქი, კონტრასტულად განათებული ღრუბლებით. საერთოდ კი ფეროვანი გამა ჩემი სურათებისა თავშეკავებულია; კონტრასტებს, მკვეთრ დაპირისპირებებს გავურბი და როგორ იმუხტება დრამატიზმით ჩემი პეიზაჟები ჩემთვისაც გაუგებარია... საერთოდ, თავისთავად გამოდის ალბათ ასე, მე საგანგებოდ არაფერს ვაკეთებ ამისთვის, არ ვფიქრობ ამაზე. ჩემს პეიზაჟებში უფრო ხშირად მონაცრისფრო-მომწვანო-მოცისფრო კოლორიტი ბატონობს, აგრეთვე ხშირია სადაფისფერი, რუხი ფერები. სამაგიეროდ, მიყვარს სადმე მკვეთრი ფეროვანი აქცენტის ჩასმა, მაგალითად, ქალიშვილის სტაფაჟური ფიგურისა ალისფერ წითელ კაბაში ან ძროხის ნათელი თუ მუქი ლაქისა. ბევრ რამეს ადგილს ვუცვლი, თუ ნატურაში მისი მდებარეობა "ხელს მიშლის". ნათელას უფრო ფერადოვანი, ზოგჯერ ზედმეტად მჭახე (ჩემი შეხედულებით, რასაკვირველია) გამა აქვს _ ამძაფრებს ფერებს, ჭარბად ხმარობს შეურეველ, სუფთა ყვითელ, ზაფრანისფერ, წითელ ფერებს... მისი ცა კაშკაშა ლურჯია, სიმწვანე _ ხასხასა ზურმუხტისფრად ელავს. კომპოზიციას ნაკლებ ყურადღებას უთმობს, მისი სტიქიაა ფერი. საგულდაგულოდ არჩევს ხოლმე ფერებს და ყურადღებით აკვირდება, რომ ორი ერთნაირი ფერის ლაქა არ იყოს სურათში. მე ამგვარ რამეებს არ ვაქცევ ყურადღებას, ფორმალურ კანონებს კი არა, ჩემს გრძნობას, მის კარნახს ვემორჩილები. სამაგიეროდ, დიდ დროს ვანდომებ გამომსახველი, მეტყველი კომპოზიციური გადაწყვეტის მოძებნას და დახვეწას. ეტიუდებიდან შინ მიბრუნებული თითქმის ყოველთვის ისევ განვაგრძობ ფიქრს, ვარჩევ კომპოზიციას, ვეძებ, ვაანალიზებ, ახალ ვარიანტებს ვთხზავ... მერე სურათზე ვმუშაობ, ხშირად _ რამდენიმეს ვაკეთებ, მეტ-ნაკლებად განსხვავებულს ერთმანეთისგან. ხან უკეთესი გამომდის პირვანდელ ვარიანტზე, ხან _ უარესი. ნათელას, აგრეთვე ქეთინოს და სხვებსაც, მაგალითად, ვერაფრით აიძულებ, რომ სურათი გაიმეორონ ან ახლებური ვარიანტი გააკეთონ. რაც ერთხელ შეუქმნიათ, იმისადმი ინტერესი უკვე ამოწურული აქვთ და ხელს არ მოჰკიდებენ, თუნდაც მილიონი მისცე. ამიტომ მათი ეტიუდური მანერით შესრულებული სურათები ყოველთვის მცირე ზომისაა. მე კი ყოველთვის სურვილი მაქვს, "გავათამაშო" მოტივი, მასში მრავალგვარ შესაძლებლობებს ვხედავ და მსიამოვნებს უკვე ცნობილში ახალ-ახალი მხარის წარმოჩენა. ბევრჯერ მქონია შემთხვევა, რომ კარგა ხნის წინ შესრულებულ სურათს მივბრუნებივარ და გადამიკეთებია, ან, უფრო ხშირად, მის საფუძველზე განსხვავებული ახალი სურა-

თი შემიქმნია... ისე კი, ნათელას ნამუშევრებიც მომწონს, თუმცა ჩემსას სრულებით არ ჰგავს. მე მამდიდრებს მის გვერდით მუშაობა, ისიც ამბობს, რომ მისთვისაც სასარგებლოა ჩემს გვერდით მუშაობა. ჩვენ განსხვავებული ინდივიდუალობისა და გემოვნების მხატვრები ვართ, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის, პირიქით, შემოქმედებითად გვეხმარება. მხატვრებში სხვანაირადაც ხდება, სხვა ყაიდის მხატვარს უსაფუძვლოდ განაქიქებენ, რა უნდა მაგას ხელოვნებაშიო...

ისევ გავაბი ჩემებურად ლათაია. ჰო, კარგად ვიმუშავეთ, საღამოსპირისთვის ეტიუდები დავასრულეთ, მე რამდენიმე ჩანახატიც გავაკეთე. რა თქმა უნდა, დავიღალეთ, იმდენად ფიზიკურად არა, რამდენადაც ნერვიული ენერგია დაგვეხარჯა. მაინც კმაყოფილები ვიყავით. ჩემთვის სურათების საბოლოო დამუშავება ყოველთვის შინ ხდება, სახელოსნიში, როცა ეტიუდის გამოყენებით სურათს ჰქმნი _ აუჩქარებლად, დინჯად; შეგიძლია დახვეწო, კორექტივები შეიტანო, დასვენებული თვალით ასწონ-დასწონო ყველა კომპონენტი... როგორც ვთქვი, წავიჭორავეთ კიდეც, აქეთ-იქითაც გავიხედ-გამოვიხედეთ: ვაკვირდებოდით სოფლის ცხოვრებას, ხალხს, ხმებს...

ავტობუსის გასვლამდე ერთი საათი იყო დარჩენილი, როცა ფაციფუცით დავიწყეთ ყველაფრის ალაგება-ჩალაგება. ყოველთვის ასე ხდება: დადიხარ, დადიხარ, ზოგჯერ საათობით ეძებ საინტერესო მოტივს, შთამბეჭდავ ხედს; მიაგნებ, იმუშავებ და მხოლოდ წამოსვლის დროს შეამჩნევ, რომ ბევრად უფრო საინტერესო უამრავი მოტივი გარტყია გარს. ალბათ ფორმაში შედიხარ, თვალი უფრო გამჭრიახი ხდება. არადა, დროც აღარ გაქვს, ისე წასვლაც გენანება, პატარა ჩანახატებს საჩქაროდ მოაცოდვილებ... ახლაც ასე დამემართა, რაღა მექნა? სახელდახელოდ ვთხაპნი _ ვცდილობ საჩქაროდ "შავად" რაღაც მოვახლაფორთო, რომ შემდეგ შინ საგულდაგულოდ დავამუშაო. შინ აღმოაჩენ, რომ ეს ბოლო ნაცოდვილარი, რომელსაც ნახევარ საათზე მეტი დრო არც კი მოანდომე, ბევრად ჯობს მის წინ გაკეთებულს, საათობით რომ ჩაჰკირკიტებდი... ამიტომ გვიყვარს მე და ნათელას რომელიმე ამოჩემებულ ადგილას მრავალგზის მისვლა _ ასჯერაც რომ მივიდეთ, მაინც ვერ ამოვწურავთ იქაურ "სიმდიდრეს". მერე გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი _ ყველას ხომ განსხვავებული ფერადოვნება და ხიბლი აქვს.

დიახ, შემიმჩნევია: ზოგჯერ, როცა თითქოს თამაშ-თამაშ, დაუძაბავად, განსაკუთრებული შედეგის მიღწევაზე ფიქრის გარაშე "ატყეპებ" მონასმებს, საბოლოოდ მშვენიერი რამ გამოგდის, შენ რომ არც მოელოდი! ისეც ხდება, რომ უბრალო ჩანახატის გაკეთებასაც ვერ ასწრებ _ მხოლოდ დაიმახსოვრებ დანახულ მიმზიდველ ხედს და მერე შინ, ცხელ გულზე სასწრაფოდ ჩაუჯდები სურათს _ სანამ ემოციურად განიცდი მოტივს, გახსოვს ძირითადი ფეროვანი გამა და მასები... ამ დროს ხშირად გამომდის კარგი ნამუშევარი _ ეტყობა, ნატურის დიქტატი არ მთრგუნავს, თავისუფალი შემოქმედი ვარ. შემოქმედი უნდა იყო, შემოქმედი და არა გადმომხატველი!

თუკი ვხედავ, რომ რაღაც მშრალი გამომივიდა, მეტისმეტად დაწვრილმანდა, ნატურასთან იგივეობის მიღწევის სურვილმა შემბორკა _ სურათში ყველაფერი მკვდარია... მოვიკრებ გაბედულებას, ვიღებ ფუნჯს და დაურიდებლად, "შემთხვევითი" მონასმებით გავაცოცხლებ, "გავათავისუფლებ ხუნდებისგან", ავამღერებ.

მოკლედ, ავტობუსის გასვლამდე თხუთმეტი წუთი დარჩა, როცა ესმას შევეხმიანეთ... გავიხედეთ _ ჩვენი ესმა ძველებურად არხეინად ზის გასაშლელ სკამზე და მუშაობას განაგრძობს. გაცეცხლებულები მივვარდით, რას გვიშვები, ქალო. თითქოს ახლა გამოფხიზლდა, აწრიალდა, ვერაფერს თავი ვერ მოაბა. საღამოსპირს პატარა ქარმაც დაუბერა, უჭირავს ესმას ხელში სველი აკვარელი და არ იცის, რა ქნას, სად დადოს. ისევ ჩვენ დავტრიალდით, საჩქაროდ ჩავჩურთეთ მის ჩანთაში ყველაფერი და გავიქეცით. უკვე დაძრული ავტობუსი ყვირილით გავაჩერეთ, ავცვივდით შიგ მე და ნათელა და შოფერს შევეხვეწეთ, ცოტა კიდევ მოეცადა. როგორც იქნა, მოღოღდა ესმაც სველი აკვარელის ქაღალდის ფრიალით, აქოშინებული ამოეტია ავტობუსში და ისეთი დატანჯული სახე ჰქონდა, ისეთი საწყალი იერი, რომ მაშინვე დაუთმო დასაჯდომი ადგილი ვიღაც ღვთისნიერმა ახალგაზრდამ. ესმაც დაბრძანდა, მუხლებზე დაიდო ფირფიცრის ნაჭერი ჯერ კიდევ სველი აკვარელით, თორემ ცუდად იყო საქმე _ გორამდე ამ ჭედვაში თუ არ დაეჭმუჭვნებოდა, წაეთხაპნებოდა მაინც და მთელი დღის შრომა წყალში ჩაეყრებოდა. მერე, გორში ჩასულებმა, სასტუმროში გულდასმით გავაანალიზეთ მისი ნამუშევარი და საუკეთესოდ ვცანით _ მშვენიერი გამოუვიდა. ფერში მეტად სასიამოვნო იყო და კომპოზიციაც მახვილი შეერჩია, მეტყველი. ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა კიდეც, რადგან ის მიჩვეული იყო შინ ფანტაზიით, წარმოდგენით თხზვას სურათებისა და ნატურიდან პეიზაჟის შექმნა აფრთხობდა, ბუნების ფერთა და ფორმათა ამოუწურავი მრავალფეროვნება აშინებდა და ფსიქოლოგიურად თრგუნავდა _ ასეთ სიმდიდრეს რა მოერევა, მარტო მის აღქმას და გაანალიზებას ერთი კვირა არ ეყოფაო... არა, ნამდვილად ნიჭიერი ქალია ესმა და ჩვენც გაგვიხარდა, რომ ნატურიდან მუშაობას ალღო აუღო. ბუნება დიდი და კეთილი მასწავლებელია, ოღონდ უნდა შესძლო მისი გაკვეთილების შეთვისება; ბუნება ამოუწურავია, იმდენ თემებსა და მოტივებს გიკარნახებს, ისეთ ფანტაზიებს გაგიღვიძებს, რომ ასი სიცოცხლეც არ გეყოფა უთვალავი ჩანაფიქრის რეალიზაციისთვის. რა თქმა უნდა, მონა არ უნდა იყო, ისე მხატვარიც არ გეთქმის _ არ უნდა დაგჯაბნოს ბუნების ფანტაზიურმა სილამაზემ და ულევმა მრავალფეროვნებამ. შენ შენი ხატი უნდა შექმნა, ბუნება მხოლოდ თავდაპირველ ბიძგს გაძლევს საკუთარი ფიქრის, გრძნობის, რწმენის გამოსამჟღავნებლად.

ასე კეთილად დასრულდა ჩვენი პლენერზე მუშაობის პირველი დღე. შემდეგ კი, სამწუხაროდ, წვიმიანმა ამინდმა კარგა ხნით სასტუმროში გვაყურყუტა... რამდენიმე დღის შემდეგ შინ დაბრუნება გადავწყვიტეთ.

10. დიტო

სუფრასთან დაბრუნებულ იასა და დათუნას ჩოჩქოლი შემოესმათ...

იას შემოეგება დიტო დაბლატოტაძე _ არჩილის მეგობარი მხატვარი, ცნობილი როგორც თავისი შემოქმედებით, ასევე _ ბახუსისადმი ტრფიალითაც. შერჩენია ძველებური "არისტოკრატიული" მანერები: იას მიულოცა პერსონალური გამოფენის გახსნა, მოიხარა, ხელზე მოწიწებით ეამბორა... იამ შენიშნა: ხელი უკანკალებს,

რაღაცნაირად მომჩვარულია _ ჭაღარა წვერულვაშმოშვებული, თმებაბურდული... შავი ხალათი და ჭუჭყიანი, გახუნებული პულოვერი აცვია, ზევიდან _ გაზინთლული რაღაც ლაბადა, რამდენიმე ადგილას დახეული და იღლიაგამორღვეული... ტალახშემხმარი, ფერდაკარგული, დაბრეცილი ფეხსაცმელები... ასე შეუმჩნევლად როგორ შემოვიდა, საიდან მოხვდა სუფრასთან? როგორ ვერ დაინახა მისი მოსვლა?

დათუნამ დიტოს ხელი მოჰკიდა მკლავში, წაიყვანა და იმ სკამზე დასვა, რომელზეც მანამდე კესანე იჯდა; ჭიქაში ღვინო ჩამოუსხა. დიტომ დათუნას დანაოჭებული სახე მიაპყრო, ხრინწიანი ხმით იკითხა:

_ არაყი არ გაქვთ?

დათუნა გავარდა, ნახევარლიტრიანი ბოთლით არაყი მოარბენინა, პატარა ჭიქაში დაუსხა.

დიტომ არაყი სულმოუთქმელად გადაჰკრა, აკანკალებული ხელით მაშინვე დაისხა ისევ _ ნახევარი სუფრაზე დაეღვარა _ და მეორე ჭიქა უფრო დინჯად დალია, ტუჩები სახელოთი მოიწმინდა.

დათუნამ თეფშზე საჭმელი გადმოუღო, დიტომ ზრდილობის გულისთვის ოდნავ მოციცქნა ქათმის ბარკალი. გამოცოცხლდა, თვალები თითქოს დაეწმინდა...

“_ _ როგორ მოგვაგნო? _ რა ხანია, აღარ მინახავს, სულ წასულა ხელიდან... _ წინათ არჩილთან თითქმის ყოველდღე მოდიოდა _ რა კეთილი ბიჭი იყო: უშუალო, მომხიბვლელი მოსაუბრე, ლამაზი, ღიმილმშვენი _ ყვავილების გარეშე არ მოვიდოდა, განსაკუთრებით ვარდების მოტანა იცოდა _ როგორც მახსოვს, რამდენიმე მისი ნაჩუქარი სურათიც გვქონდა, რა იქნა? _ კესანე, კესანე... _ ნიჭიერ მხატვრად იცნობდნენ დიტოს, არჩილს არ ჩამოუვარდებოდა, შესაძლოა, ეჯობნა კიდეც... _ ახლა რას დამსგავსებია? _ მეგობრებმა დაღუპეს, სმას გადააყოლა თავისი ნიჭი _ თუმცა... არჩილი რატომ არ გალოთდა? ან დიდიმი?.. _ ისინიც ხომ ლხინის არანაკლებ მოყვარულნი არიან?.. _ რა გამხდარია, საწყალი, მკვდრის ფერი ადევს... _ _”

დიტო ხელებს იქნევდა, სიტყვად გაიკრიფა; ხანაც მოეშვებოდა, მერე ისევ აღგზნებული ლაპარაკობდა, ვერ ისვენებდა. ბოლოს, რატომღაც, ალფეზ უფასეიშვილი ამოიჩემა.

_ ჩვენს დიდ მხატვარს, ჩვენს უდიდეს მხატვარს, ბატონ ალფეზს ჩვენი სალამი!.. მიხარია თქვენი ხილვა, ბედნიერი ვარ, მინდა, მოგეხვიოთ! დიდება თქვენს სახელს, შთამომავლობა არ დაივიწყებს თქვენს ამაგს... ჰა-ჰა-ჰა!... ვინ არიან ეს დავით კაკაბაძეები, ლადო გუდიაშვილები... ქონდრისკაცები... ჩვენ ვართ, რაც ვართ!.. მოვსპოთ უნდა ყველა ესენი, არ არიან სიცოცხლის ღირსნი... ფორმალისტები, აბსტრაქციონისტები, გაქსუებული ბურჟუები... რა უნდათ მაგათ აკადემიაში... წამლავენ მომავალ თაობას... გავაგდოთ!.. ყოჩაღ. ალფეზ უფასეიშვილო, ყოჩაღ!.. დაჰკა მაგათ, არავითარი დანდობა ხალხის მტრებს!.. ჰა-ჰა-ჰა!.. ახლა რომელი დავიჭიროთ?.. ჰა-ჰა-ჰა!..

აჭარხლებული ალფეზ უფასეიშვილი ერთხანს გასუსული უსმენდა, მერე აწრიალდა, წამოხტა და უსიტყვოდ დატოვა სუფრა _ არავის გამომშვიდობებია...

მას დათუნა დაედევნა.

_ რა ჰქენი? _ ჰკითხა დაბრუნებულ დათუნას იამ.

_ ტაქსი დავიჭირე და შოფერს ფულიც მივეცი.

_ ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს, მაინც ოთხმოცს მიტანებული მოხუცია...

იას დიდიმი გამოეხმაურა:

_ კარგი ერთი, ია, რაც ამ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ იყო, ბოდიში და, იგივე ნაგავია ახლაც... ძალიანაც კარგი, ნეტა ცოტა ადრეც წაბრძანებულიყო. საერთოდ, რას მოდიოდა...

აქ საუბარში ირმა ჩაერთო:

_ რას ერჩით ბატონ ალფეზს, გააფუჭა რამე თავისი მოსვლით? სხვათა შორის, ჩემზე და თქვენზე არანაკლები მხატვარია _ აღიარებული და დაფასებულიც, დამსახურებული მხატვრის წოდებაც მიანიჭეს; შარშან მინისტრთა საბჭოს პრემია "ხუთწლედის მატიანე" დაიმსახურა!..

გიამ ღიმილით შეაწყვეტინა:

_ დიახ, დიახ, ჭეშმარიტებას ბრძანებ, ჩემო ირმა, მსახურია და პრემია მართლაც დაიმსახურა... აღარ მახსოვს, ოცდახუთ თებერვალს თუ შვიდ ნოემბერს _ გაიღვიძებ დილით, ჩართავ, ჩემო ბატონო, რადიოს ან ტელევიზორს და დიქტორი ხავერდოვანი ხმით საზეიმოდ გვამცნობს ოფიციალურ ცნობას: "საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებით თუ გადაწყვეტილებით ამა წლის პრემია "ხუთწლწდის მატიანე" მიენიჭოს საქართველოს სესერეს მეტისმეტად დამსახურებულ მსახურს მხატვარ ალფეზ, _ მერე მამის სახელი, _ უფასეიშვილს ფერწერულ ნამუშევართა გამაოგნებელი სერიისთვის "ჩვენ ახალ საზოგადოებას ვაშენებთ", რომელშიც შედის სურათები: "მოწინავე მწველავის ფეფელო ფაიზაღაშვილის ბედნიერება", "დამკვრელი ტრაქტორისტი ბარნაბ ნაბარაშვილი მოწინავე ვახტზე", "რაიკომის მდივანი ბონდოია ყარაულაძე ათვალიერებს მილიონერი კოლმეურნეობის "კომუნიზმის შუქურის" საჩვენებელ ნაკვეთს"...

_ შენი დასაცინიც გახდა? _ უსაყვედურა გიას ირმამ, _ იმას მაინც ეცი პატივი, ნახევარ საუკუნეზე მეტია, მხატვრობას ემსახურება!

_ ვირთხა სულ წისქვილში ტრიალებს, მაგრამ მეწისქვილედ ვერასდროს ივარგებს, _ შეაგება პასუხი გიამ.

"_ _ გიასგან მთლად ლამაზი არ გამოვიდა ალფეზის გატრიზავება... _ აქ სხვა ადგილია, სხვა რამისთვის ვართ ერთად _ ზურგსუკან ჩემზეც ხომ არ ქილიკობენ, ქალი დაბერდა, რაღა დროს მაგისი პერსონალური გამოფენაო _ იქნებ მართლაც უნიჭო ვარ და მეგობრები ზრდილობის გულისთვის არ მეუბნებიან პირში სიმართლეს? _ არა, ამას ვერ დავიჯერებ, ასე არ დამამცირებდნენ... _ გარდა ამისა, ზოგი რამ მეც მესმის, მე მგონი, მეტ-ნაკლებად შემიძლია გავარჩიო ცუდი და კარგი, მათ შორის ჩემი ნამუშევრებიც... _ _".

ირმა რაღაცას გაცხარებით უმტკიცებდა გიას, მაგრამ დიდიმმა დაბეჯითებით თხოვა ორივეს, დავამთავროთ დისკუსიები, ჯობს, საქმეს მივხედოთო; სავსე ჭიქას წამოავლო ხელი, წამოიმართა:

_ ბოდიშს ვიხდი, სხვისი არ ვიცი და თამადას ნამდვილად არ შეშვენის სხვათა კრიტიკა, ამას თვითკრიტიკულად ვაღიარებ, გთხოვთ შემინდოთ... უხერხული სიტუაცია კი წარმოიშვა, მაგრამ, მეორე მხრივ, ნუ გადავყვებით ახლა ბატონ ალფეზის წაბრძანებას, რამდენადაც, როგორც ფრთიანი გამონათქვამი გვამცნობს, ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის... ჩვენს შემთხვევაშიც იგივე შეგვიძლია დავადასტუროთ: ჰაერი გაიწმინდა, მეგობრებო, სუნთქვაც უფრო ლაღი გახდა და ამიტომ ახლა მინდა, კიდევ ერთი გემრიელი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ... ისევ მომიწევს ჩვეული რიგის დარღვევა _ დიტო დაბლატოტაძეს ვადღეგრძელებ, ამ ჩვენი თავისუფლების თუ განთავისუფლების მიზეზს! დათუნა, ერთი წუთით აააწევინე თავი, არ ჩაეძინოს.. დიტო, დიტო, მისმენ?.. ჰო, შენი ჭირიმე... ოქრო კაცი ხარ, ჩემო დიტო, ჩვენი უფროსი მეგობარი, უნიჭიერესი მხატვარი, შესანიშნავი პიროვნება... მართალია, როგორც იტყვიან, ცხოვრების ნიჭი არ აღმოგაჩნდა, ვერ მოერგე რაღაცნაირად ამ ჩვენს დღევანდელობას, ვერ გაუგე... თუ არ მოისურვე, გაგეგო და შეგუებოდი... სხვანაირი კაცი გამოდექი, ჩემო დიტო, ჩვენო უფროსო მეგობარო, ჩვენზე პატიოსანი შინაგანად და ჩვენზე პრინციპულიც _ რაღაც საკუთარი სამყარო შექმენი, განმარტოვდი, ჩაიკეტე შიგ... გაექეცი სიყალბეს, სიცრუეს, გაუტანლობას, მზაკვრობას... ვერ შეეგუა შენი ალალი, სუფთა სული ყველაფერ ამას, სულიერი სიმშვიდე არჩიე ყველაფერს. შესაძლოა, ყველას არ მოსწონდეს შენი ქცევა, ლაჩრობად ჩაგითვალოს შენი გაქცევა წუთისოფლის ვნებათაღელვისგან, მაგრამ უნდა პატივი ვცეთ შენს არჩევანს... იმ ათ-თხუთმეტ წელიწადში, რაც შენ ფერწერაში იმუშავე, ბევრი რამ შესძელი, ბევრი მოასწარი, რაც სრულიად საკმარისია, რომ დიდ მხატვრად გაღიაროთ... მე სახელოსნოში მაქვს დიტოს ერთი პატარა სურათი, შეიძლება, ეტიუდადაც ჩავთვალოთ. იცით, რა ოსტატობით არის გაკეთებული? ძალიან თამამად, ლაღად _ თვალს ვერ ვაცილებ ხოლმე. ვინც ჩემს სახელოსნოშია ნამყოფი, ყველა დამეთანხმება _ შედევრია. ბევრი აქვს უკეთესი სურათებიც, ისინი გაფანტულია სხვადასხვა ოჯახებში, ბევრიც დაიკარგა... დათუნა, ვერ გამოაღვიძებ?.. დიახ, ჩვენი ახალგაზრდა თაობა, სამწუხაროდ, არ იცნობს დიტოს შემოქმედებას, ეს კი ძალიან დასანანია... ბევრი სხვა რამეც არის დასანანი, მაგრამ ახლა, ამ ლხინის სუფრაზე, არ მინდა, ასეთ რამეზე ვილაპარაკო. მოდით, მეგობრებო, ერთხმად ვადღეგრძელოთ ჩვენი უფროსი ძმა და მეგობარი, დიდი ხელოვანი დიტო დაბლატოტაძე!

_ ჩვენ კი ვადღეგრძელებთ, მაგრამ რას გაიგებს, მიიღო უფალმა, _ თქვა გიამ.

საუბარმა საერთო ხასიათი მიიღო.

_ ერთი სურათი აღარ აქვს შინ, ცარიელი კედლები ჰქონია.

_ სულ დაყიდა, ზოგი ერთ ბოთლ არაყში გაცვალა.

_ სურათები კი არა, მაგიდა და სკამი აღარ შერჩა.

_ არჩილის ძმაკაცია, ერთად სწავლობდნენ, ახლაც ეგ პატრონობს, თორემ სულ დაიღუპებოდა.

_ რას პატრონობს, თუ ძმა ხარ, მე თვითონ რამდენჯერ მინახავს, ქუჩაში გდია გატრეტილი მთვრალი.

_ მაგას არჩილი კი არა, ქრისტე ღმერთიც ვეღარაფერს უშველის... ერთხელ ძლივს მივიყვანე შინ, მანქანა არავინ გამიჩერა. გავგიჟდი, პირველად რომ შევედი

მის ოთახში _ სულ მთლად ცარიელი, სულ მთლად... კუთხეში ერთი ლეიბი გდია ძველი, უზეწრო, ტურტლიანი, _ იმაზე ძინავს... ერთიც ბოთლი აქვს წყლისთვის, მეტი არაფერი... ჭერიდან შიშველი ნათურაა ჩამოკიდებული, ისიც ალბათ დიდი ხნის წინ გადამწვარი...

_ სიმბოლურია, არა?

_ ეჰ, ნიჭიერი ბიჭი იყო, ეგ თაობა მართლა ძალიან ძლიერი გამოდგა.

_ ნებისყოფა თუ არ გაქვს, წასულია შენი საქმე.

_ შარაფისტმა ძმაკაცებმა დაღუპეს, უნებისყოფობამაც, რა თქმა უნდა.

_ ძმაკაცები კი არა, მტრები არიან...

_ გალოთდები აბა, რა იქნება: ერთი შეგხვდება: "წამო, მთელი ღამე ქვევრში ვიცურაოთ!" პირველს თუ თავი დააღწიე, ახლა მეორეს გადაეყრები: "ჩემი ხელით დაწურული რქაწითელი დავაჭაშნიკოთ, ჯანში წავა!" მერე მესამე ჩაგაჯინდება: "არყები მაქვს ნაქები, ზედ დასაყოლებელი ლუდიც!" მერე მეოთხე ძმაკაცი გამოტყვრება, გამოფხიზლებას არ გაცლის: "ამ საღამოს უსიტყვოდ ჩემთან ხარ, ღორის მწვადები ავაშიშხინოთ, ზედ დავაყოლოთ, რაც ღმერთმა გვიბოძა: კაი ღომი, კაი სულგუნი, კაი საცივი, ღვინო ხომ _ უკეთესს ვერც ინატრებ!... აჰ, უარს ვერ მეტყვი, ჩემი ხელით გაზრდილი ღორია, ჩემი ხელით ვუყრიდი სიმინდს და ჩემი ხელით დავკალი..." ეუბნები, ექიმიდან მოვდივარ, მითხრა რაღაც საშინელებები: უმკაცრესი დიეტა თუ არ დაიცავი, წინდაწინ ანდერძი დაწერეო _ კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, თირკმელები, ელენთა, ნაწლავები... თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ქოლეცისტიტი, გასტრიტი, კოლიტი, პანკრეატიტი... ტი-ტი-ტი... მოგიკვდა მომგონი! პროფესორი მგონია ჩემი თავი, გეფიცები ყველაფერს! ცოლი მეჯიჯღინება, დიდიმ, აწი თუ შენ დალიე, სულელი ყოფილხარ, ან გული რამდენ ხანს გაგიძლებსო. მე ვეუბნები, ქალო, აბა რა ვქნა, ასეთია ჩემი საქმე, თუ ხალხში არ გავერიე, ისე შეკვეთას ვინ მომართმევს შინ, პური რით ვჭამოთ? პურ-ღვინის გარეშე საქმე არ კეთდება, რათ უნდა ამას ბევრი ჭიჭინი...

_ მაგარი ჯანი ჰქონია დიტოს, ამდენ ხანს გაძლო.

_ ყველა თვითონ ირჩევს თავის ცხოვრების ნირს, გზას, ნურავის ნურაფერს დააბრალებს... აგერ არჩილის მაგალითი: მისი ძმაკაცია, სულ სხვა გზით წავიდა. დალევს, როგორ არა, მაგრამ სმას არ გადაჰყვება. ნებისყოფა აქვს.

_ აბა, დიანამ როგორ დააბა?

_ დიანა ვის არ დააბამს, ასეთი კაცი ჯერ არ დაბადებულა.

_ უხერხულია აქ ამაზე ლაპარაკი...

_ ამბობენ, დიანას დიტოს ოცდაათამდე სურათი აქვსო, სულ საუკეთესოები.

_ კი, შეიძლება მეტიც, მე თვითონ მაქვს ნახული, როცა დიტოზე წერილს ვწერდი. მათ შორის დიანას ხუთი პორტრეტია, ყველა თხუთმეტი-ოცი წლის წინ შესრულებულები. პეიზაჟებიც აქვს _ ძველი თბილისის სერია, სრულიად განსხვავებული სხვათაგან, მეც რომ არ მოველოდი _ ნოსტალგიური, მოვერცხლისფრო-მოცისფრო გამა ჭარბობს; ჯამბაზების სერია; ძალიან საინტერესო, უპირატესად კომპოზიციურად, ნატურმორტები... ყველაზე მეტი მაინც პორტრეტია. სადღაც მოდილიანი _ გრძელი კისრები და დეფორმაცია, სადღაც ფიროსმანაშვილი _ გარინდება, საკუთარ თავში ჩაღრმავება, სადღაც _ ვან გოგივით პასტოზური, ნერვიული

მონასმები... მაგრამ ჯამში ყოველთვის იცნობ _ დიტოა! დიტო და მეტი არავინ! როგორც ვთქვი, მოვერცხლისფრო-ცისფერი ცივი ტონალობა ჭარბობს, შავი კონტურები და უცებ _ სადმე, ერთ-ორ ადგილზე! _ რაღაც თბილი, ღუღუნა წითელი ან ნარინჯისფერი _ აფეთქებასავით, კონტრასტულად... ხასხასა, შუქიანი... უდიდესი გემოვნებით არის შეხამებული _ დიდი ოსტატია, დიდი. ფერი, კომპოზიცია, საერთო განწყობა... ძალიან ემოციური მხატვარია. ნატურმორტებშიც კი იმდენი გრძნობაა...

_ დიტოს მეორე ცოლი რას შვება?

_ დიდი ხანია, გასცილდა და გათხოვდა კიდეც, ათ წელზე მეტი იქნება.

_ რა ლამაზი ბიჭი იყო, არისტოკრატიულად დახვეწილი, ამაყი... მახსოვს, ულამაზესი თვალები ჰქონდა _ ლურჯი, ლურჯი... ნეტა არავის აქვს მისი პორტრეტი შექმნილი?

_ შენ იყავი, ესმა, შეყვარებული და შენზე უკეთ ვინ შეძლებდა მაგას?

_ მხოლოდ მე? ქვეყანა იყო გადარეული. გოგოები დაფეთდებოდნენ ხოლმე, როცა ეგ, მხარგაშლილი, კოხტად შემართული, ამაყად გამოივლიდა. ელეთმელეთი ემართებოდათ! მაღალი, გამხდარი, დაკუნთული... სიარულიც თავისებური იცოდა _ ლაღი, მოხდენილი.

_ ახლა მთლად ძვალი და ტყავი გამხდარა, ვერ ვიცანი, რაში უდგას საცოდავს სული...

_ სადღეგრძელოშიც აღვნიშნე: დასანანია, ახალგაზრდა მხატვრები და საერთოდ საზოგადოება კარგად არ იცნობენ დიტოს მხატვრობას.

_ ნამდვილად ასეა, თითქმის არ იცნობენ.

_ მერე, რას შვება მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობა?

_ რას და წოდებებს და სახელოსნოებს ანაწილებს, მეტი რა ქნას. ეგერ, ხომ ნახე, ალფეზი როგორ გამოგვეცხადა აქ, ორდენებითა და მედლებით იყო დახუნძლული საახალწლო ნაძვის ხესავით; ეგეც არ იკმარა და რაღაც ჟეტონები და საიუბილეო სამკერდე ნიშმებიც მიუმატებია _ შორიდან მარშალი გეგონება.

გიამ საუბარი პრაქტიკულ სფეროში გადაიტანა:

_ მეგობრებო, რა იქნება, დიტოს სურათების ერთი, თუნდაც მცირე, გამოფენა გავაკეთოთ? მე მგონი, წინააღმდეგი არავინ იქნება, მხატვართა კავშირი თუ არ დაგვეხმარება, ხელს მაინც არ შეგვიშლის.

_ ბატონი ალფეზი დაგვეხმარებოდა, _ თქვა ირმამ, _ მაგრამ თვითონ დიტომ გააქცია აქედან... ასეა, არ უნდა ჩააფურთხო იმ ჭაში, რომლიდანაც წყლის დალევა მოგიწევს.

_ ალფეზი?.. ალფეზი რა საქმის გამკეთებელია, _ უპასუხა გიამ.

_ აბა, შენ ხარ საქმის გამკეთებელი?

_ ამ შემთხვევაში მართალი ხარ, _ დაეთანხმა ირმას გია, მერე იას შეხედა: _ ამ ბოლო დროს, ვატყობ, არჩილი მჟავე სახით მხვდება... არადა, დიტოს საუკეთესო სურათები შინ ჰქონია მის მეუღლეს. ამ საქმეში ვერც დათუნა დაგვეხმარება... ბაკურ, შენ რას იტყვი? ალღოიანი და დაუზარელი ყმაწვილი ხარ, პატარა გამოცდილებაც გაქვს უკვე, მოდი, ითავე ამ კეთილი საქმის გაძღოლა, დიტო კია ღირსი, მისი ნამუშევრების ერთი პერსონალური გამოფენა მაინც გაიმართოს... რას იტყვი?

_ დიდი სიამოვნებით... თუკი რამე შემიძლია... _ უპასუხა დარცხვენით ბაკურმა.

_ ჩვენ ყველანი, ვისაც ახლა აქ ხედავ, და დარწმუნებული ვარ, უამრავი სხვა ადამიანიც, მხარში ამოგიდგება, _ დააიმედა გიამ.

_ ქვეყანა არ არის მხოლოდ ბატონ ალფეზზე ჩამოკიდებული, _ თქვა გვარამ ვარამაისძემ. _ კატალოგს ბაკურთან ერთად მე შევადგენ, წერილსაც დიტოს შემოქმედების შესახებ ჩემს თავზე ვიღებ, თუ უკეთესი ვინმე არ გამოჩნდა. მართალი მოგახსენოთ, ადრე მაქვს დაწერილი დიტოზე, არსად გამომიქვეყნებია; ახლა გადავხედავ, იქნებ ცოტა რამ წავუმატო კიდეც...

_ კატალოგს მე დავაბეჭდვინებ, _ ჩაერთო ისევ დიდიმ დიმპიტაური. _ მთავარია სურათების მოძიება. სხვა ყველაფერი _ მოსაწვევი ბარათი, აფიშები, დარბაზის შოვნა და სხვა _ მოგვარდება, მოვუვლით ამ საქმეს.

_ დიტოს ბევრი მეგობარი ჰყავს, ისინიც არ დაგვზარდებიან დახმარებას, _ თქვა ესმა ჭყავაძემ.

_ კი, არჩილი, ოთარ კილასოშვილი, ბახვა ღურჭულაძე... _ დაიწყო ჩამოთვლა იამ.

_ ბახვა? _ ჩაიცინა დიდიმმა, _ ბახვა დიტოს არ ჩამოუვარდება. ერთხელ სადღაც მაგრად გამოიბრუჟა და, როგორც ამბობენ, შინ თვითმცლელი მანქანით მიიტანეს. ჩამოცალეს ბახვას სახლთან... გამოვიდა ჭიშკრიდან დედამისი და მოთქმას მოჰყვა: "ვაი შენს დედას, რას ჰგავს ეს უბედური, რატომ იკლავს თავს! ვინაა ნეტავი, ვაი შენს დედას!" მერე დაუძახა მეორე შვილს, ბახვას ძმას, მიდი, მიხედე, ვიღაც უბედურია, ჩვენი სახლის წინ არ მოკვდესო. გამოვიდა ძმა, დახედა და _ ეს ხომ ჩვენი ბახვააო... დედამისს გულზე შემოეყარა.

_ ჩემო ბაკურ, ამ დღეებში შევხვდეთ ერთმანეთს, _ უთხრა ბაკურს გიამ, _ მოვილაპარაკოთ ყველაფერზე, ნუღარ გადავდებთ, გადადებული _ გადაგდებულიო, ხომ გაგიგია. შენ მოგიწევს სურათების მოძიება და ამ დროს და მერეც ბევრი, ძალიან ბევრი სირბილი, ათასგვარ ხალხთან შეხვედრა, თხოვნა-მუდარა, ზოგჯერ _ დიპლომატიური ნიჭის გამომჟღავნებაც... მოკლედ, საკმაოდ გაწვალდები, სანამ ამ გამოფენას გვირგვინს დავადგამთ... მაგრამ შენ მარტო არ იქნები, ჩვენ ყველანი, აქ მყოფნი, შენს გვერდით გვიგულე დამხმარეებად და მრჩევლებად, უპირატესად _ მე, შენი მონა-მორჩილი... ვქნათ ეს მადლი და მარილიც დროზე მოვაყაროთ.

ამ დროს დიტომ თავი ასწია მაგიდიდან, ვიღაცას ეძახდა, ხელს უქნევდა; დაიწყო ხმამაღლა გინება, რატომ გამირბიხარო... შემდეგ ისევ ჩამოდო თავი მაგიდაზე და გაირინდა.

_ რა ვქნათ, გია, რით ვუშველოთ? _ აფორიაქდა ია, დანარჩენი ქალებიც შეწუხდნენ.

_ იქნებ ჯობს, ეძინოს? _ თქვა ქეთინომ.

_ არა, გავაღვიძოთ, აქ უხერხულია, _ უპასუხა დიდიმმა და განაგრძო: ერთი ჩემი მეგობარი, ბიქტორა და მეორე _ თემო, ერთად სვამდნენ. ამ თემომ უთხრა ბიქტორას: "მე ვიძინებ, შენ უყურე დეტექტივს ტელევიზორში, სამი ტიპია დასაჭერი. პირველს დიდხანს იჭერენ; როცა დაიჭერენ, არ გამაღვიძო. მერე მეორეს გამოუდგებიან, ვერც იმას იჭერენ უცებ, არც მაშინ გამაღვიძო... როცა მესამეს გასკვანჩავენ,

აი, სწორედ მაშინ იქნება ჩემი გაღვიძების დრო, გაიგე?”. მე მგონი, მესამე კი არა, უკვე მეოთხეც დაიჭირეს და დროა, დიტო გავაღვიძოთ, ბიჭები წაიყვანენ...

_ მე ვიცი, სადაც ცხოვრობს, _ თქვა გიამ, შემდეგ სკამი დატოვა, დათუნასა და ბაკურს უხმო.

სამივე გვერდზე მიდგა და მცირე თათბირის შემდეგ ახალგაზრდებმა დიტო წამოაყენას, აქეთ-იქიდან მხრებში შეუდგნენ და ქუჩაში გაიყვანეს.

გია ისევ იას გვერდით დაჯდა, დაამშვიდა _ ყველაფერი მოგვარდა, დათუნა და ბაკურიც მალე დაბრუნდებიანო.

_ აბა, ყველამ მიირთვა დიტოს სადღეგრძელო? _ თავისი ჭიქა შეავსო დიდიმმა და პასუხისთვის არ დაუცდია, განაგრძო: _ ქალბატონებო, ერთ წამს გვაცალეთ, დისკუსია მერე გააგრძელეთ...

_ პურ-მარილის ხარჯს ვინ იკისრებს? _ იკითხა ირმამ; დიდიმს სახეზე შეატყო, თამადამ ვერაფერი გაიგო და დაამატა: _ დიტოს გამოფენას თუ გავმართავთ...

ქეთინომ ფიცხლად შეაწყვეტინა:

_ რას ამბობ, ქალო, მთელი ქალაქის ლოთები შეიყრებიან იქ!

_ არ არის აუცილებელი ბანკეტის გამართვა, ძალიან საძნელო საქმეა, _ დაეთანხმა ია.

_ მივიდეთ მაქამდე და რაღაცას მოვახერხებთ... _ დიდიმმა ჭიქა მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანა, მაგრამ სათქმელის გაგრძელება გიამ არ აცალა:

_ შეიძლება იქვე, საგამოფენო დარბაზში პატარა ა ლა ფურშეტით შემოვიფარგლოთ. მთელი მსოფლიო ასე აკეთებს და რაღა ქართველებმა ვიცით ყველაფერი გადაჭარბებული...

_ მოკლედ, შემდეგში მოვაგვაროთ ეგ საკითხი, _ თქვა დიდიმმა და განაგრძო: _ მართალი მოგახსენოთ, ჭირივით მეჯავრება ღვინო, ჰოდა, რას ვუშვებით ჩვენ მტერს? მეც ვცდილობ, ფიზიკურად გავანადგურო! ამიტომ ხშირად ვყლაპავ მას და ძალიან მიკვირს, ჩემი და ბევრი სხვის შრომამ ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ ძალისხმევას ვაგრძელებთ!.. ახლა სერიოზულად ვისაუბროთ, ჩემო ბატონო. ჭრელი სუფრაა და სულ ამერია დავთარი... მისმინეთ, მეგობრებო!.. დიდი დანაშაული არა, მაგრამ ჩემი მხრივ დაუდევრობა კი გახლავთ, რომ ჩვენი ძვირფასი მშობლების სადღეგრძელოს წარმოთქმა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ასე დამაგვიანდა... ჩვენი იას მამის, ბატონ შიოლას თამადობით, შენს მშობლებს გაუმარჯოს! ბატონმა შიოლამ ორი სანაქებო შვილი გაზარდა, თავის დროზე მეცნიერებასაც დიდი სამსახური გაუწია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი გახლავთ, აგრეთვე _ დამსახურებული პედაგოგი, უმაღლეს სკოლაში ბევრი მოწაფე გაუზრდია, დიდი ამაგი დასდო მათ სწავლა-აღზრდას... სხვათა შორის, ბატონ შიოლას მეუღლეც, ქალბატონი მაგდანა, მისი ყოფილი სტუდენტია. ქალბატონ მაგდანასაც სულითა და გულით ვადღეგრძელებ, დიდებული ადამიანია, დიდსულოვანი, კეთილი პიროვნება _ დედინაცვალი ეთქმის, მაგრამ იას ნამდვილად დედასავით უყვარს და პატივს სცემს... აქვე მინდა, იას დედაც ვახსენო, ქალბატონი ნატალია, სამწუხაროდ, ჩვენგან და ძვირფასი ოჯახიდან უდროოდ წასული... ღმერთმა მისი წმინდა სული ნათელში ამყოფოს... სამწუხაროდ, ვერ მოესწრო მისი ორი შვილის გაბედნიერებას, შვილიშვილებს... შალვა იაზე ხუთი წლით

უფროსია, თუ არ ვცდები, და მას უფრო უკეთ ემახსოვრება დედამისი... იას ძმა ამჟამად ქუთაისში ცხოვრობს, დიდებული ოჯახი აქვს და, რამდენადაც ვიცი, ხვალზეგ აპირებს ჩამოსვლას დის გამოფენასთან დაკავშირებით, მთელი ოჯახით, რასაკვირველია. კარგი ვაჟკაცია, როგორც მოგახსენეთ, ქუთაისში მოღვაწეობს და იქ ყოფნისას რამდენჯერმე შევხვედრივარ და მის მშვენიერ ოჯახში მიქეიფია კიდეც... მშობელს რა აქვს საოცნებო, რა მოუტანს ყველაზე დიდ ბედნიერებას? კარგი შვილები, მათი წინსვლა და კარგად ყოფნა, ცხადია... და მოდით, მეგობრებო, მშობლების სადღეგრძელო შევსვათ, ჩვენი ბედნიერი მშობლებისა!..

_ არსებობს კი საერთოდ ბედნიერი ადამიანი? _ ხმამაღლა გამომწვევად იკითხა ქეთინომ.

_ თუ ბედნიერება არ არსებობს საერთოდ, მაშინ არც ეს სიტყვა იარსებებდა, _ უპასუხა დიდიმმა.

_ შენ თუ არაფერი გაწუხებს, იმიტომ გგონია თავი ბედნიერი? _ მაშინვე შეეკამათა ირმა.

დიდიმს არაფერი უთქვამს, არ უყვარდა პაექრობაში ჩაბმა და შეხლა-შემოხლა.

_ ნეტა დადგება ისეთი დრო, როცა ყველა ბედნიერი იქნება? _ ჩაერთო საუბარში ესმა ჭყავაძე. _ ყველა თავისუფალი, ყველა თანასწორი...

_ ეგ ზღაპარია, ჩემო ესმა, _ უთხრა გიამ. _ ტყუილად ნუ მოელი, რომ როდისმე დადგება დრო აბსოლუტური თანასწორობისა, სამართლიანობისა, ძმობისა და მეგობრობისა... ასეთი რამ არასდროს მოხდება. თვით ბუნება ეწინააღმდეგება ერთფეროვნებას _ ყველა ადამიანის გათანაბრებას, თანასწორობას. სტატისტიკა გვარწმუინებს: უამრავი ბავშვი სხვადასხვა მიზეზით დაბადებისთანავე კვდება, ბევრი ერთ წლამდე ასაკსაც ვერ აღწევს... ორ, სამ, ხუთ, თხუთმეტ, ოც წლამდე _ და ასე შემდეგ... რამდენი იბადება ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლით, ზოგი გენეტიკურად თანდაყოლილი ავადმყოფობით ან ხინჯით... ადამიანები იბადებიან სრულიად განსხვავებული ინტელექტუალური მონაცემებით, სხვადასხვა ფსიქიკური, ფიზიკური და სხვა თვისებებით... უკვე ამ მცირე ჩამონათვალითაც კი ჩანს, რომ ადამიანები ვერასდროს იქნებიან თანასწორნი...

_ დიდი მადლობა, პროფესორო! _ დაცინვით წამოიძახა ირმამ.

_ მეცნიერების განვითარება მოსპობს ბევრ ავადმყოფობას, მავნე გენატიკურ გავლენებსაც ალბათ მნიშვნელოვანწილად აგვაცილებს, _ თქვა გვარამ ვარამაისძემ.

_ კი, ბატონო, ბევრი რამის შველა შეიძლება, მაგრამ პრინციპულად შეუძლებელია ყველა ლამაზი იყოს ან ყველას ჰქონდეს კარუზოს ხმა... საყოველთაო "ბედნიერი ეპოქა" არასდროს დადგება, ყოველ შემთხვევაში, ყველასთვის. ან განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ერთნაირ გარემო პირობებში ცხოვრობს? ზოგის სამშობლო კუთხეა ზღვისპირეთი, მე, მაგალითად, მთას არაფერი მირჩევნია... ხშირად ამბობენ, საზოგადოებისგან განსხვავებით, ბუნებაში ჰარმონია სუფევსო, _ სად ჩანს ეს ჰარმონია? აქაც გააფთრებული ბრძოლაა არსებობისთვის... საზოგადოებაშიც წინააღმდეგობრიობა, კონფლიქტურობა, შუქ-ჩრდილი იყო ყოველთვის და იქნება მარადის, სანამ არსებობს კაცობრიობა... განვითარება კონფლიქტების,

დაპირისპირების შედეგია, ამას გვეუბნება ისტორია. საყოველთაო თანასწორობის იდეა ფრიად მიმზიდველია, მაგრამ, სამწუხაროდ, ქიმერაა, უტოპიაა.

_ შენ რა რეაქციონერი ყოფილხარ, ბატონო გია! _ წამოსძახა ისევ ირმამ.

_ რაც მოგახსენეთ, რეაქციული შეხედულება კი არ არის, ფაქტის კონსტანტაციაა, მას ვერ გაექცევი. ცხადია, უთანასწორობა ადამიანთა შორის არ უნდა გახდეს ვიღაცის დამცირების და დაჩაგვრის მიზეზი. ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება და ხელშეწყობა მისი უნარის თუ ნიჭის გამოვლენისა და განვითარებისა... საზოგადოდ, თუ იდეალს წარმოვიდგენთ, თითოეული პიროვნება და მთლიანად საზოგადოებაც უნდა ყოველმხრივ ეცადოს, შეუმსუბუქოს მდგომარეობა იმ ადამიანებს, რომლებიც ასე თუ ისე იჩაგრებიან _ ზოგი ბუნების მხრივ, ვთქვათ, ფიზიკური თუ გონებრივი არასრულყოფილების გამო, ზოგნი _ სოციალური, ასაკობრივი თუ სხვა მრავალი მიზეზით... მაგრამ, მე მგონი, როგორც ვთქვი, "ოქროს საუკუნე" ოცნების სფეროში დარჩება ყოველთვის.

_ ზოგისთვის "ოქროს და ბრილიანტის საუკუნე" აგერ, დღესვეა დამდგარი, ჩვენ რიგითი წევრები ვართ, იგი კი თამადა ბრძანდება, სუფრის თავში ზის! _ იხუმრა ქეთინომ.

_ უფროსი ვარ, მაშა! _ გაიჭიმა დიდიმიც. _ ამა სუფრის თავკაცობა ფაფის ჭამა ხომ არ გგონიათ! მობრძანდი, ქეთევან, უდიდესი სიამოვნებით დაგითმობ ჩემს თანამდებობას, მაინც ქალები ხართ უმრავლესობა ამ სუფრაზე... ა?.. არ გინდა?... ჰო, ახლა ერთ ძველ ამბავს გიამბობთ, ბებიაჩემის მონაყოლია. სოფელში თურმე ერთი გელია ხუნდიაშვილი იყო, ჯერ მთლად ბავშვი და სულ დაბღვერილი დადიოდა. ერთხელ უფროსმა ძმებმა ყანაში სამუშაოდ წასვლისას ეს გელია შინ დატოვეს უფროსად, აბა შენ იცი, ქალებს როგორ მიეხმარები, სახლ-კარს როგორ მოუვლიო. გელიამ იგრძნო, უფროსი ვარო, ჰოდა, დიახაც შეიფერა _ ქალები არ გააკარა არც სამზარეულოს, არც ბაღჩას, ყველაფერზე იძახდა: "დეიღუპეთ იქით!" ქალები ეხვეწებიან: "გელიას ვენაცვალეთ, საჭმელი ხომ უნდა გავაკეთოთ, ფქვილი უნდა ავიღოთ..." "დეიღუპეთ იქით!" _ თვალებს აბრიალებს გელია. "გელია, ბიჭო, ქათამი უნდა დავკლათ!" "დეიღუპეთ იქით!" მოკლედ, საღამოს დაღლილ-დამშეული ძმები დაბრუნდნენ შინ და უთხრეს: "გელია, ეს რა გიქნია, ბიჭო, საჭმელი რატომ არ მოამზადებიე..." გელია არც ძმებს შეეპუა: "დეიღუპეთ იქით!" _ როლში იყო შეჭრილი. დაიდეს ძირს ძმებმა ჩვენი გელია და მიბეთქვეს გემრიელად. ახლა კი იყვირა გელიამ, მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამო... მეც ხომ არ მიმზადებთ მსგავს რამეს, ცუდი უფროსი გამოდექი, ვერ უძღვები სუფრასო, ა? ბედნიერი ვიქნები, თუ გაულახავად გადამაყენებთ!

_ ბედნიერება არ არსებობსო, ბატონმა გიამ ბრძანა... _ დაიწყო ირმამ, მაგრამ გიამ შეაწყვეტინა:

_ ეგ მე არ მითქვამს!.. კარგ მთქმელს, კარგი გამგონეც უნდა... ჩემი აზრით, ცხოვრებას შუქ-ჩრდილი ალამაზებს და, გარკვეული აზრით, მარად ბედნიერი ადამიანი ანომალიაა...

_ ჰო, კარგი, კარგი, _ გააჩუმა ირმამ, _ დამიწყო აქ ფილოსოფოსობა! აგერ, ა, ბატონო, ბედნიერი ადამიანი, ჩვენი დიდიმ დიმპიტაური, მეტი ბედნიერება რაღა გინდა: გადასარევი ცოლ-შვილი, დიდებული სახლ-კარი _ უკეთესს რას ნახავ

ადამიანი, ხასიათიც ჩინებული _ ერთი გაბრაზებული თუ გინახავთ ან განაწყენებული ვინმეზე... ბედნიერი კაცია! ა, აგერ, შენს ცხვირწინ გიზის, გაახილე თვალი! დიდიმ, შენ მაინც უთხარი, მოკაკვოს თითი! რას გაჩუმებულხარ?!.

_ რა გითხრათ... _ გაუჭირდა საკუთარ თავზე რამის თქმა დიდიმს, შემდეგ თითქოს რაღაც სიმძიმე მოეხსნა მხრებიდან, ამოისუნთქა და ძველებურად ლაღად, ღიმილით განაგრძო: _ კი, ბატონო, ჩემზე ბევრი იტყვის ირმასავით: ა, ბედნიერი კაცი, აწყობილი აქვს საქმე გიტარასავითო _ სახლი, კარი, ცოლი, შვილები, შვილიშვილები... კარგი შვილებია ადამიანის ბედნიერებაო, ახლა არ ვთქვით? ორი ქალიშვილი მყავს, მოგეხსენებათ, ორივე გათხოვილი, ძვირფასი სიძეები, როგორც იტყვიან... გოგოებმა უმაღლესი დაამთავრეს, სიძეებმაც... ვითომ სადღაც მუშაობენ კიდეც, მაინც ყველანი, გულახდილად რომ ვთქვა, ჩემს კისერზე სხედან დღესაც. კი არ ვამადლი, ღმერთმა დამიფაროს! პირიქით, მიხარია, რომ რაღაცით ვჭირდები მათ, შემიძლია დავეხმარო, ვიზრუნო მათზე _ ეს მე მსიამოვნებს კიდეც... მაგრამ მეორე მხარეც არსებობს, არც ისეთი... როგორ გამოვხატო, არ ვიცი, ცუდად არ გამომივიდეს... არაჩვეულებრივი ფილმი რომ არის _ "არაჩვეულებრივი გამოფენა", _ ჩემს თავზე გადაღებული მგონია. რამდენჯერ მიფიქრია, ა, ახლა ამოვისუნთქავ პატარას, ჩემს საქმეს მივუბრუნდები-მეთქი... ამ სუფრაზე ტყუილს ვერ ვიტყვი, დამემოწმებით, აკადემიაში სხვებზე ნაკლებ არ ვსწავლობდი, რაღაც პატარა იმედებსაც ვიძლეოდი... მაგრამ გაგიგონია? ვინ გაცალა... ჯერ შვილების სწავლა-განათლებას და ჩაცმა-დახურვას უნდა გადაჰყვე, იქით _ სახლის აშენება და მოწყობა გწყვეტს წელს, აქეთ _ ათასი საოჯახო წვრილმან-მსხვილმანი... თქვენც კარგად მოგეხსენებათ ყველას, ოჯახი რამხელა ტვირთია. არა, მე ვინმეს კი არ ვადანაშაულებ, თუ ამაზე მიდგა საქმე, უპირველესად საკუთარ თავს უნდა ვუსაყვედურო.. ზოგი ახერხებს იმასაც და იმასაც, მე ვერ შევძელი. ერთხანობას იფიქრებ, ახლა კი მეშველაო _ ჯერ ერთი ქალიშვილი გათხოვდა, მერე _ მეორე ჩაბარდა პატრონს... თურმე ერთიც შენი დასაბინავებელია და მეორეც... სიძეები კარგი მყავს, ვერ დავემდურები, მადა ორივეს სანაქებო აღმოაჩნდა, განსაკუთრებით უფროსი ქალიშვილის ქმარს _ ბოდიში და, მელასავით იყურება, რა წაგღლიტოს... ამასწინათ ამიხტა _ მანქანა მომეციო. კი არ მენანება ეგ ოხერი, მაგრამ როგორ დავრჩე უმანქანოდ, ხომ მომეჭრა ხელები, ჩემი დღე და მოსწრება სულ რაიონებში დავწანწალებ, იქნებ სადმე შეკვეთა გავაჩალიჩო და ორი კაპიკი მივიტანო შინ, ისევ მათთვის... ავუხსენი, მაგრამ ესმის? კიდევ გამიხურა, მანქანა მინდაო. მე ვუთხარი: "შვილო, მე ისეთი მანქანა გაგატანე, რომ არც ხევში გადაგჩეხავს, არც სიმთვრალისას გიღალატებს, მშვიდობიანად მიგიყვანს შინ _ შეჯექი და იხმარე შენს გემოზე!" ბოდიში ამ სუფრასთან, ყველანი ჩემიანები ხართ... ხომ ვარ მართალი?!. მე თუ მკითხავთ, ადამიანი მაშინ არის ბედნიერი, როცა რაღაც დიდი უბედურება არ არის მის თავს... აი, დღეს კი ნამდვილად ვხედავთ ერთ ბედნიერ ადამიანს მაინც _ იას! იმას უნდა ჰკითხოთ, რა არის ბედნიერება!

_ ია, ხარ ბედნიერი?_ სხვებს დაასწრეს და თითქმის ერთდროულად წამოიძახეს ესმამ და ქეთინომ.

_ ია, როდის ხარ ბედნიერი? _ ოდნავ დაგვიანებით შეუერთდა მათ ირმა.

_ რა ვიცი... _ დაფიქრდა ია. _ ბედნიერი ვარ, როცა საყვარელ ადამიანს უნდა შევხვდე... როცა კარგ გამოფენას ვნახავ... როცა ეტიუდებს ვაკეთებ პლენერზე... ძალიან ძნელი და რთული კითხვაა და მხოლოდ ასე, მარტივად შემიძლია გიპასუხოთ. განსაკუთრებით მიხარია, როცა კარგი პეიზაჟი გამომდის, მაშინ აღარაფერი მახსოვს მუშაობის გარდა, ერთიანად აფორიაქებული ვარ, სიხარულით და... რა ვიცი... მღელვარებით ამაღლებული...

_ ბედნიერი უნდა იყო, უნდა შეძლო, რომ ბედნიერი იყო, ესეც თავისებური ნიჭია, _ თქვა გიამ. _ ძველთაძველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ადამიანები ხშირად უგულვებელჰყოფენ მას.. ბედნიერია ის, ვისაც უნდა, რომ ბედნიერი იყოს, ბედნიერება მნიშვნელოვანწილად შენს ხელთაა...

_ აგერ გვყავს ბედნიერების უდიდესი სპეციალისტი, აწი აღარაფერი გვიჭირს! _ ჩვეულებისამებრ გამოეხმაურა გიას ნათქვამს ირმა.

_ როგორ ატყობთ, რომ სურათი გამოგდით? _ ამ თემაზე ბევრჯერ უსაუბრია გვარამ ვარამაისძეს იასთანაც და მრავალ სხვა მხატვართანაც, მაგრამ ისევ და ისევ ცდილობს, ერთხელ კიდევ მოისმინოს და უკეთ გაიგოს თვით მხატვრის თვალსაზრისი. _ როდის ხართ კმაყოფილი? საერთოდ, როგორი უნდა იყოს კარგი პეიზაჟი?

_ სურათი, კერძოდ _ პეიზაჟი, რა თქმა უნდა, რაღაცას ასახავს, გარემო რეალობას და ამასთანავე შენს შინაგან არსს, განწყობას, გრძნობას... და კარგი როდის გამოდის, როგორი ასახვისას? ამის გარკვევისას იწყება სირთულე... საერთოდ, კარგისა და ცუდის პრობლემა რთულია თავისთავად და ბევრ სხვადასხვა ფაქტორთან და გარემოებასთან არის დაკავშირებული, ამასთანავე _ ძალიან სუბიექტურია... რა ვიცი... მე ჩემს გუმანს, შინაგან იმპულსს, შესაძლოა, ქვეცნობიერადაც, უფრო ვემორჩილები. წიგნებში შეიძლება წაიკითხო, სასწავლებელშიც გმოძღვრავენ: სურათი უნდა აკმაყოფილებდეს რაღაც კრიტერიუმებს, მონაცემებს, მათ კრებულს _ ფეროვანს, კომპოზიციურს, იდეურს, ფორმისა და შინაარსის ჰარმონიულ ერთიანობას, ორიგინალურიც უნდა იყოს და ასე შემდეგ _ ამაზე უთვალავი წიგნია დაწერილი. მხატვარიც ცდილობს ყველა ეს მოთხოვნა დააკმაყოფილოს, ესე იგი, სურათი ფერში იყოს ლამაზი, კომპოზიციურად მეტყველი, შეკრული, იდეურად მოწინავე და გამართული... ანუ ყველა ფორმალური მოთხოვნა შესრულებული იყოს და... შესაძლოა, სურათი არაფრად ვარგოდეს!.. არ გიჩქროლებდეს გულს, არ გახალისებდეს, არ გიამებდეს სულს _ გულგრილს გტოვებდეს. ეს არის ყველაზე დიდი ცოდვა სურათისთვის. თუ სურათი არ გამოვიდა, გინდ ყოფილა და გინდ არა _ ტყუილად დაიხარჯა მასალა, ნერვიული ენერგია, დრო...

_ არ ყოფილა საშველი და ეგ არის, _ თქვა ქეთინომ, _ აბა, რა ვქნათ, როგორ უნდა ვიმუშაოთ სურათზე?

_ რა ვიცი... მე მაინც მგონია, რომ მხოლოდ მაშინ ჩნდება წარმატების მიღწევის შესაძლებლობა, თუკი საერთოდ არ ფიქრობ ამგვარ ფორმალურ და ტექნიკურ საკითხებზე.. შენ უნდა მიენდო შენს გრძნობას, რაც მთავარია, უნდა ეცადო, შენი განწყობა, რამაც ხელში ფუნჯი აგაღებინა, რაც შეიძლება სრულად გადაიტანო ტილოზე და ის გრძნობა თვითონ გიკარნახებს, რომელი ფერები შეარჩიო, როგორ გაანაწილო ისინი, როგორ ააგო სურათი კომპოზიციურად... ყველაფერი ეს მაშინ თა-

ვისით მოვა, რა თქმა უნდა, ზოგჯერ _ ზოგჯერ კი არა, ხშირად _ მრავალი ცდისა და შერჩევის შემდეგ. ერთდროულად თითქოს ორი არსებაა ამ დროს შენში _ ერთი მთელი გრძნობით მღერის და მეორე კი მკაცრად აკონტროლებს, მკაცრი მსაჯულია, რომ ყალბი ნოტი არ გაგეპაროს...

_ მისტიკაა!. _ წამოიძახა ირმამ.

_ არაფერი მისტიკის მსგავსი ამ პროცესში არ არის, _ თქვა გვარამ ვარამაისძემ. _ ქალბატონ იას თქმული შეიძლება სხვაგვარად ასე გამოვხატოთ: შედეგს მიზანი მიგაგნებინებს, შენი სათქმელის ადექვატურად გადმოცემის სურვილი, თუმცა ეს მიზანი შეიძლება მნიშვნელოვანწილად ინტუიციურიც იყოს... ხომ ასეა, ქალბატონო ია?

_ დიახ, დიახ... ეს დიდი, დიდი ხანია, ცნობილია, თუმცა ზოგიერთი არ იზიარებს ან, ყოველ შემთხვევაში, ცხოვრებაში თუ შემოქმედებაში არ იყენებს. ჩემი შეხედულებით, მხოლოდ ცხოვრებისეული სისავსის შესაბამისი ანუ მხატვრული გადმოცემითაა შესაძლებელი კარგი სურათის შექმნა... იმის თქმა მინდა, რომ ტექნიკური ვირტუოზულობა, ფორმისმიერი ოსტატობა დიახაც სასურველია და აუცილებელიც, მაგრამ სრულებით არ არის საკმარისი კარგი სურათის შესაქმნელად... რამდენი შემთხვევა ვიცით, რომ ძალიან მოკრძალებული, ზოგჯერ პრიმიტიულობამდე მისული ხერხებით შექმნილი სურათი ჩვენში იწვევს ნამდვილ ხელოვნებასთან ზიარების გრძნობას... ბევრი ფუჭი ვირტუოზულობით შექმნილი ტილო კი მხოლოდ გაკვირვებას იწვევს ტექნიკური ოსტატობის დონით... რამდენი მალაპარაკეთ, არ მეგონა, თუ ამდენი შემეძლო, ერთმა ჭიქა ღვინომ როგორ ამამჩატა.

_ ნამდვილი წამმართველი და ყველაზე დიდი მასწავლებელი _ შენი გრძნობაა! _ დაეთანხმა იას გია. _ აქედან გამომდინარეობს მეორე დასკვნა: კარგ მხატვარს მდიდარი გრძნობათა სამყარო აქვს _ ეს არის მთავარი მიზეზი კარგი სურათის შექმნისა. და, რა თქმა უნდა, მხატვარს უნდა გააჩნდეს განსჯის უნარი. აქაც მჟღავნდება საერთო კანონზომიერება: ადამიანები ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან... რაც ერთს, ერთი შეხედვით, თამაშ-თამაშ გამოუდის, მაგალითად, ერთ სეანსში კარგი პორტრეტის შექმნა, მეორისთვის დაუძლეველია, გინდაც თავი შეაკლას... რას იზამ, ბუნებამ ასე დააწესა.

_ გია, შენს ნათქვამს დავაზუსტებ, _ თქვა იამ, _ მუშაობის სისწრაფე პირდაპირ არ არის დაკავშირებული ნაწარმოების ხარისხთან და ხელოვანის ინდივიდუალობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ჯოაკინო როსინი თავის სახელგანთქმულ ოპერებს განსაცვიფრებლად მოკლე დროში, ზოგჯერ სულ რამდენიმე კვირაში, წერდა, ბეთჰოვენი კი თავის დიდი ფორმის ნაწარმოებებზე ხანგრძლივად მუშაობდა, უამრავ ვარიანტებს ჰქმნიდა, დაუსრულებლად ხვეწდა... მთავარი მაინც ნიჭია.

_ ყველა ადამიანს რაღაცის ნიჭი აქვს, ამიტომ ერთიმეორეს ვერ შევადარებთ, _ გიას გასაკვირვებლად, იას დაეთანხმა ირმა და ირიბად – გიასაც.

_ რაც შენ ბრძანე, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ჩვენ სხვა რამეზე ვლაპარაკობდით, _ უთხრა გიამ ირმას.

_ მაინც რაზე?

_ რაზე და იმაზე, ჩემო კარგო, რომ მაგალითად, ალფეზ უფასეიშვილი, თავისთავად არცთუ მთლად უნიჭო, შეძლებს როდისმე იას დონის სურათი შექმნას? თუნდაც ერთის? აი, ამაზე, მაინტერესებს, რას გვეტყვი? ალფეზს, შესაძლოა, სხვა რაღაცის უფრო დიდი ნიჭიც აქვს, ღმერთმა კეთილად მოახმაროს, მაგალითად, გემრიელი ჩახოხბილის გაკეთების, ან ჯილდოების კოლექციის შეგროვების, ან, რა ვიცი, მხატვართა კავშირში თანამდებობის კიბეზე მაღლა ფორთხვის...

_ მეგობრებო, მშობლების სადღეგრძელო მივირთვათ! _ პატარა ხანძრის ჩაქრობას უმალვე შეუდგა თამადა.

"_ _ თუ შენიშნა ვინმემ, მე რომ საყვარელ ადამიანზე უნებურად წამომცდა? _ გიამ ნამდვილად, დანარჩენებმა ერთ ყურში შეუშვეს და მეორეში გამოუშვეს, ალბათ მთლიანად ჩემი ნალაპარაკევიც... _ ჩემს დღეში ამდენი არ მიქაქანია! _ არც არავის აინტერესებდა, გარდა გიასი და გვარამ ვარამაისძისა, ირმაც უგულისყურად მისმენდა; გიამ მართებულად შენიშნა, მთავარი ძარღვი საუბრისა ირმას გამორჩა _ ასეა: შენ რაღაცა გაღელვებს, დღედაღამ მასზე ფიქრობ, მთელი შენი ცხოვრების აზრი ამაშია, სხვები კი არც ცდილობენ, გაგიგონ... _ არ არის აუცილებელი, მთლიანად დამეთანხმონ, შემეკამათონ მაინც, კამათი ხომ გვამდიდრებს... _ თუმცა, ყველას საკუთარი საფიქრალ-საზრუნავი საკმარისად აქვს, ზოგს _ სატკივარიც და სხვებისთვის არ სცალია... _ ვერც გაამტყუნებ... _ ის კი არ გვეპატიება, რომ ზოგჯერ ტკბილი სიტყვაც კი გვენანება სხვის სანუგეშებლად, უფრო სწორედ, გვეზარება, არ ვიცით მისი ფასი... _ ეგოისტურია ადამიანის ბუნება, რას იზამ, ალბათ ამაშია იმ უამრავი პრობლემის თავიდათავი, რომლებიც ასეა მომრავლებული და ცხოვრებას ართულებს _ თუმცა, ეს სირთულე ალბათ გარდუვალია და წეღან რომ საყოველთაო ბედნიერებაზე და კეთილდღეობაზე ლაპარაკობდნენ, იმისი არ იყოს, ცხოვრება ყოველთვის რთული და პრობლემებით დახუნძლული იქნება _ ამას ვერ უშველის პროგრესი, ცივილიზაციის განვითარება _ ერთი საკითხები თუ გაიოლდება და გამარტივდება, სამაგიეროდ, ახლები წარმოიშვება, სრულიად გაუთვალისწინებელნი, მოულოდნელნი და ძველებზე არანაკლებ მტკივნეულნი... _ ასეა და ასე იქნება მარადის და ამას უნდა შეეგუო _ უნდა ფილოსოფიურად შეხედო ადამიანთა მრავალგვარობასაც, ინტერესთა განსხვავებულობას, ზოგჯერ პათოლოგიურ გადახრებსაც, უცებ გამოტყვრენილ სირთულესაც და ასრერიგად სასიამოვნო ბედნიერ წუთებსაც... _ ახლა უნდა ვიგრძნო მე თავი ბედნიერად: ჩემს მეგობრებთან ერთად ვარ, რომლებიც ჩემს სიხარულს იზიარებენ, მეტი რაღა მინდა? _ მცირედი სიკეთით დაკმაყოფილებაა ალბათ ბედნიერების წყარო და სიბრძნეც ამაშია... _ ზოგჯერ თუ პატარა ღრუბელი გამოჩნდება მოწმენდილ ცაზე, რა უჭირს, ტრაგედიად არ უნდა გადააქციო; შემდგომ ხომ კონტრასტით მზის გამობრწყინებას უფრო მეტი სისავსით შეიგრძნობ... _ ახლაც რაღაც გაუგებრობაა, გაცხარდნენ ირმა და ქეთინო... _ _"

_ მე კი მგონია, ბედნიერება სიყვარულშია! _ მართლაც ძალზე ცხარობდა ქეთინო.

_ შენ ამბობ ამას? არ გამაცინო! _ რატომღაც ბრაზობდა ირმა.

ქეთინოს მხარი დაუჭირა ესმამ:

_ ირმა, რატომ ფიცხობ, გენაცვალე, მას ასე სწამს და უფლება არ აქვს, თავისი შეხედულება გამოთქვას?

_ ქეთინო _ შეყვარებული? _ არ იშლიდა თავისას ირმა.

_ რა გიკვირს, არ ვიცი? კოღო და ბუზია შეყვარებული და ადამიანისგან გიკვირს? მერე რა, რომ გაუთხოვარია, აი, მეც სულ შეყვარებული ვარ! _ უკანასკნელი არგუმენტი მოიშველია ესმამ.

"_ _ კიდევ ერთი შეცდომა: ირმა და ქეთინო ერთმანეთისგან შორიშორ უნდა დამესვა _ თუმცა, ირმა ყველასთან მოახერხებდა კამათის გამართვას _ კამათი კარგია, თუკი ორივე მხარე მდიდრდება რაიმეთი; შეხლა-შემოხლას აზრი არ აქვს, როცა მხოლოდ მოწინააღმდეგის გაბიაბრუება გინდა _ გულის მოფხანის სურვილს არ უნდა დაემორჩილო... _ ახლა სიყვარულზე წაიკიდნენ _ _"

თამადამ სიმღერა წამოიწყო:

_ "ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა, ოვრანინა, მე შროშანი მეგონაო, ოვრანინა..."

დიდიმს არავინ აჰყვა, მანაც ცოტა კიდევ გააგრძელა და გაჩუმდა.

_ ბატონო თამადა, სადღეგრძელოები აგერია, _ უსაყვედურა გიამ.

თამადა მიუხვდა ჩანაფიქრს _ იქნებ სხვა თემაზე გადავიდეს საუბარიო და მიუგო:

_ მერე რა? ცხოვრებაც კი არეულია! ურთიერთობები არის არეულ-დარეული... მე დიქტატორი კი არ ვარ, უნდა მოვალხინო ხალხი, გავამხიარულო, გავართო...

ქალები ერთმანეთს არ უსმენდნენ, თითოეული ცდილობდა, ხმის აწევით ეჯობნა "მოწინააღმდეგისთვის".

_ ქალბატონებო, ქალბატონებო! _ ხმას ძალა დაატანა მშველელად მოვლენილმა გვარამ ვარამაისძემ, _ არ გაინტერესებთ, ჩემი სიყვარულის ამბავი მოგიყვეთ? თეორია ყოველთვის ამარტივებს მოვლენებს, აუხეშებს, ფერსა და სურნელს უკარგავს, ამიტომ მისი ბრმად მინდობა არ შეიძლება _ მთავარია პრაქტიკა!.. მისმენთ?.. მაშინ ახალდამთავრებული მქონდა ინსტიტუტი, მოვეწყვე სამუშაოდ საპროექტო ორგანიზაციაში... იქ მხაზველად მუშაობდა ერთი გოგო, ნუნუ დავარქვათ თუნდაც. გოგო კი არა, ვარსკვლავი გინახავთ? გვერდით, მეზობელ ოთახში იჯდა. დღეში ორმოცდაათჯერ შევდივარ იქ, თვალს ვერ ვწყვეტ, ისეთი ეშხიანია; რომ გაიღიმებს, გგონია, ცაში გაფრინდები... სხვა განყოფილებებიდან, სხვა სართულებიდანაც არ აკლდა სტუმრები იმ ოთახს. ის კი არა, მეზობელი ორგანიზაციებიდან, სხვა შენობებიდანაც მოდიოდნენ მის სანახავად... ყოველი დღე ჩემთვის დღესასწაულია _ ნუნუს ვნახავ!.. ერთი, მეორე _ ვერაფერს ვუბედავ... რას ეტყვი, რომ შეხედავ, ენა გებმება! არ ვიცი, სხვებსაც იგივე ემართებოდათ თუ რა იყო, ვატყობ, არავინ ჰყავს, ასე ვთქვათ, მეგობარი _ რამდენჯერ ჩუმად გავყოლილვარ უკან სამუშაოს დამთავრების შემდეგ. შაბათ-კვირასაც რამდენჯერმე დავუდარაჯდი ჩუმად მის სახლთან _ ჩემდა გასაკვირველად, ვერაფერს ვამჩნევ, რომ ვინმესთან დადიოდეს... ამასობაში ნელ-ნელა შევეჩვიე, ლაპარაკსაც ვბედავ, უფრო თავისუფალი ვარ... გავუბამ მუსაიფს, ისიც გამომყვება; რაღაც-რაღაცეები გამოვკითხე. თურმე დაუსწრებელზე სწავლობს პედაგოგიურზე, უფროსი და ჰყოლია გათხოვილი, აქ ჩემზე ერთი თვით ადრე მოსულა სამუშაოდ... რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთხელაც გავბედე და კინოში ერთად წასვლა შევთავაზე. სული კინაღამ გამძვრა,

სანამ პასუხს გავიგონებდი _ დამთანხმდა! ბიჭოს! კინაღამ გავგიჟდი!.. ჰო... მერე თეატრში დავპატიჟე, ოპერაში. ოპერა არაო, მითხრა, კონცერტზე წავიდეთ ფილარმონიაშიო. რა კონცერტი იყო, აღარ მახსოვს, ცოტა ადრე შევხვდით ერთმანეთს და შევედით ფილარმონიის ბაღში... შემოდგომაა, ფოთოლცვენა, მაგრამ თბილა. ჩამოვჯექით სკამზე... მე თვალს ვერ ვაშორებ, არ მჯერა, რომ ნუნუს გვერდით ვზივარ და მარტონი ვართ... ვლაპარაკობთ ათას სისულელეზე, მაგ დროს, ხომ იცით, ფილოსოფიურ თემებზე ვინ იცხელებს თავს, ჰოდა, უცებ გახსნა პატარა ხელჩანთა, ამოიღო იქიდან ორად გაკეცილი ქაღალდის ფურცელი და სიცილით გამომიწოდა, წაიკითხეო. გამოვართვი, გავშალე _ სასკოლო რვეულიდან ამოხეული ორი შუაფურცელი იყო, ოთხი გვერდი, აქედან სამი გვერდი _ თითქმის ბოლომდე ნაწერი. დავიწყე კითხვა. ვიღაც, _ ახალგაზრდა კაცია ალბათ, _ სიყვარულს უხსნის. მე ვუთხარი, არ მინდა, უხერხულია, პირადი წერილია, შენ გწერენ, მე კი არა-მეთქი. არა უშავს, ისეთი არაფერია, მაინც წაიკითხე, გაერთობიო. ვკითხულობ, ვატყობ, განათლება აკლია ამის დამწერს _ უამრავი გრამატიკული შეცდომითაა სავსე, სასვენი ნიშნები ხომ საერთოდ არ არის ნახმარი, თითო-ოროლა წერტილის გარდა. ეგ არაფერი, მთავარი ის იყო, რომ გულწრფელობა ეტყობოდა, ალალი გულით იყო ნაწერი; მომეწონა კიდეც, ისე თავისუფლად და ლაღად დაეწერა იმ ჩემთვის უცნობ ბიჭს. ნიჭიერი ყმაწვილის დაწერილი ჩანდა, ისიც ეტყობოდა, რომ ხანგრძლივი ფიქრის და დიდი გრძნობის შედეგი იყო ეს წერილი, ძალიან სუფთად, ალბათ რამდენჯერმე გადათეთრებული. ბოლოში კი ეწერა: მე სრულიად დარწმუნებული ვარ თქვენს ქალურ კდემამოსილებაში და იმედი მაქვს, შემისრულებთ ერთადერთ თხოვნას, რომ ამ წერილს არავის წააკითხებთო... გავშრი, ძალიან მეწყინა, ცუდ ხასიათზე დავდექი. კაცი ენდო, გული ალალად გადაუშალა, ამან კი... ხომ ძალიან სასაცილოაო, მკითხა ნუნუმ. მე ვუთხარი, ეგ წერილი დახიე და გადააგდე, აღარავის წააკითხო-მეთქი... არაო, ისევ სიცილით მეუბნება, შევინახავო... მოკლედ, დანა პირს არ მიხსნიდა, ისე ვიჯექი იმ კონცერტზე, ჩამშხამდა ყველაფერი... ერთი სული მქონდა, სახლამდი როდის მივაცილებდი, ხმის გაცემაც არ მინდოდა. იმის მერე ნუნუს ოთახში აღარ შემიხედია... თუ შემთხვევით შემხვდებოდა სადმე, მარტო გამარჯობას ვეტყოდი და ჩავუვლიდი გვერდზე, არც კი შევხედავდი...

_ მერე? რით დამთავრდე ეგ ამბავი? _ იკითხა ესმამ.

_ არაფრით. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ჩვენი დაწესებულებიდან წავიდა, ამბობდნენ, გათხოვდა კიდეცო... კიდევ კარგი, მისთვის წერილი არასდროს მიმიწერია! _ ღიმილით დაამთავრა გვარამმა.

_ სიყვარული ტკბილი მონობაა! _ თქვა დიდიმმა და ისევ წამოიწყო სიმღერა: _ “ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა, ოვრანუნი...”

ამჯერად თამადას ქალები აჰყვნენ, გიამაც ბანი შეაშველა.

_ მშვენივრად გამოგვივიდა, ასე არ ჯობს? _ თქვა დიდიმმა, მერე ირმას მიმართა: _ ირმა, გენაცვალე, მაქაც ერთად იყავით, შეხმატკბილებულად... კაცო, ორასკაციან სუფრაზე ვაგონებ ყველას და შენ რატომ არ გესმის ხოლმე?

ყველას გასაკვირველად, ირმამ არაფერი უპასუხა. სუფრაზე უხერხულმა სიჩუმემ დაისადგურა.

_ სიყვარული, ისევე, როგორც ბედნიერება, სილამაზე და სხვა მსგავსი ზოგადი ცნებები, რთული ფენომენია, _ სიჩუმე დაარღვია გვარამ ვარამაისძემ, _ ის ყველას თავისებურად ესმის. არსებობს უამრავი თეორია, დაწერილია სქელტანიანი ტრაქტატები სიყვარულზე, ქალის სილამაზეზე ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში _ ჯერ ლათინურად, სხვათა შორის, კათოლიკე ბერების მიერ, _ შემდეგ იტალიურად, ფრანგულად... საკითხი საბოლოოდ დღესაც არ არის გადაჭრილი და, მე მგონი, ის საერთოდ პრინციპულად გადაუწყვეტელია...

_ რა არის ამაში ტვინის საჭყლეტი, _ ისევ ვერ მოითმინა და წამოიძახა ირმამ, _ ლამაზი არის ლამაზი, ნუთუ ძნელი გასარჩევია ულამაზოსგან?

_ თუ ქალებზე მიდგა საუბარი, ირმას ვერ დავეთანხმები, _ ღიმილით ჩაერია საუბარში გია. _ ყველა ქალი მშვენიერია, არიან ლამაზი ქალები და არიან ძალიან ლამაზი ქალები, სულ ეს არის განსხვავება!..

მთელი სუფრა სიცილით უყურებდა, როგორ ცდილობდა ირმა რაღაც საწინააღმდეგო ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა და მხოლოდ უხმოდ აცმაცუნებდა ტუჩებს...

გვარამ ვარამაისძე ძველ თემას დაუბრუნდა:

_ ბატონ გიას აზრს ბევრი მომხრე ჰყავს მამაკაცებში. ამის მიუხედავად, უდავოა ისიც, რომ, როგორც მოგახსენეთ, სილამაზე პირობითი თუ შეფარდებითი ცნებაა... კატეგორიულად რაიმეს მტკიცება აქ არ არის მართებული. მე მიკვირს, მართალი გითხრათ, ქალთა სილამაზის კონკურსებს რომ ატარებენ მთელ მსოფლიოში, როგორი სერიოზულობით ეკიდებიან, ყოველგვარი ჰუმორის გარეშე...

_ ამ საქმეში სარეკლამო სააგენტოები, მოდის სამყარო და სხვებია ჩარეული, _ თქვა გიამ.

_ გასაგებია, ამგვარ, ბოდიში და, შეჯიბრებებში დიდი ფულის სუნი ტრიალებს, კომერციული წამოწყებაა... მაგრამ როგორ შეიძლება, წინასწარ რაღაც მკაცრი შეზღუდვები დააწესო კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის? დადგენილია ზუსტი კრიტერიუმები: გულმკერდის, წელის, თეძოების ზომა, ფეხების სიმაღლე, საერთო სიმაღლე და წონაც კი ლიმიტირებულია _ მოკლედ, მე ის გოგოები მეცოდებიან, მართალი მოგახსენოთ... მათ ისე არჩევენ, როგორც დოღში მონაწილე ცხენებს ან ძაღლთა გამოფენის მონაწილეებს. როგორ, თუ ქალი ერთი სანტიმეტრით დაბალია დადგენილ ნორმაზე, ის აღარაფრად ვარგა? რამდენი ქალი შეგვხვედრია ჩვენ ყველას _ პატარა, მინიატურულიც კი _ და ჩასაყლაპი!

_ მე სრულიად გეთანხმებით, ბატონო გვარამ, _ თქვა გიამ, _ სილამაზის კონკურსები თავისი პროკრუსტეს სარეცელით მართლაც სასაცილოა. კი, იყოს, ბატონო, ამგვარი კონკურსებიც, მაგრამ გასართობად, დროის გასატარებლად, მკაცრი შეზღუდვების გარეშე... არადა, ამ კონკურსების ჩატარების ატმოსფერო ნამდვილად არაჯანსაღი მგონია _ ინტრიგებით, საქმეების "ჩაწყობით", ისტერიკებით, გულწასული ლამაზმანებითა და მათი აღელვებული ნათესავ-მეგობრებით...

_ ბოლოს და ბოლოს, ზოგს დარბაისელი ქალი მოსწონს, ზოგს _ ანცი; ზოგს _ ქერა, ზოგს _ გამხდარი, ზოგი _ მულატებზე გიჟდება... _ განაგრძო გვარამმა. _ ჩინელს სხვაგვარი წარმოდგენა აქვს ქალის სილამაზეზე, ინგლისელს _ სხვა... როგორ გინდა, მათი შეფასების საზომები ერთმანეთს მიუსადაგო? ერთ ქვეყანაშიც კი

სილამაზის ცნება დროთა განმავლობაში ცვალებადობას განიცდის... მოდასავითა-ა, ერთი სიტყვით. ახლა რომ ლუი XIV დროის დაპუდრული პარიკით გაიარო ქუ-ჩაში, ხომ გამოიძახებენ სასწრფო დახმარების ბრიგადას...

_ მე მგონი, ხელოვნებაში სხვაგვარადაა საქმე, _ თქვა გიამ, _ მაგალითად, ია თავისებურად მუშაობს, მისი პეიზაჟები ნამდვილად თვითმყოფია, არ ჰგავს თუნ-დაც იმ ქართველი პეიზაჟისტების ნამუშევრებს, რომლებიც ომის წინ მოღვაწეობ-დნენ, მაგრამ ვერც იმას იტყვი, უკეთესია თუ უარესი _ იმათ თავ-თავისი მიდგომა ჰქონდათ, თავ-თავისი ღირსება აქვთ მათ პეიზაჟებს... ია კი არ აუქმებს ან აუმჯო-ბესებს, არა, მის პეიზაჟებს საკუთარი ფასი აქვს... ყველამ ვიცით, ჭეშმარიტი ხე-ლოვნების ნიმუში არ ძველდება, არ ემორჩილება "მოდის" ცვალებადობას, მას მა-რადი ღირებულება გააჩნია.

_ ზოგჯერ ხდება, რომ ზოგი ხელოვანი, დიდი ხელოვანი, დავიწყებას მიეცემა, _ თქვა გვარამმა. _ ამას თავისი მიზეზები აქვს, გემოვნება, სტილი ხომ იცვლება: მოგეხსენებათ, არის ინდივიდუალური სტილი, ხელწერა და არის ეპოქის სტი-ლიც... მაგრამ დიდი ხელოვნება საბოლოოდ არასდროს მოკვდება. ბახის მაგალი-თი ავიღოთ... XIX საუკუნეში ხელმეორედ აღმოაჩინეს და დააფასეს მისი გენია. ან მეორე გენიოსი, ვივალდი _ ბახზე ადრე მოღვაწეობდა და დიდი გავლენაც იქონია მის შემოქმედებაზე. ვივალდი კიდევ უფრო გვიან, XX საუკუნეში "აღმოაჩინეს"...

_ მუსიკა _ სილამაზეა! უმუსიკოდ როგორ უნდა იცხოვრო? _ თქვა იამ. _ საცო-დავია ადამიანი, რომელსაც მუსიკა არ უყვარს... მე რამდენიმე ასეთ ადამიანს ვიც-ნობდი, მუსიკას ხმაურად აღიქვამდნენ, ნებისმიერ მუსიკას.

_ მე ჯაზს ვერ ვიტან!.. ნერვებს მიშლის!.. _ განაცხადა ირმამ. _ ველურების მუ-სიკა მგონია.

_ მე კი მომწონს! _ შეეპასუხა ქეთინო. _ შინ, როცა ვმუშაობ, თითქმის ყოველ-თვის ჯაზურ მუსიკას ვუსმენ. ჯაზი დიდი ხელოვნებაა, მაგრამ ყველასთვის არა.

_ თუ არ მიწყენთ, თქვენს ნათქვამს დავაზუსტებ... _ უთხრა ქეთინოს გვარამ ვარამაისძემ. _ დიახ, ჯაზი დიდი ხელოვნებაა და არ არის ისეთი მარტივი, რომ ველურთა მუსიკა უწოდო, მაგრამ ის ამავე დროს ძალიან დემოკრატიული ხე-ლოვნებაა. და რამდენი გენიოსი მოღვაწეობდა ჯაზში, ყველას ვერც ჩამოთვლი. ნამდვილად _ დიდი, დიდი ხელოვნებაა, XX საუკუნის ერთ-ერთ სიმბოლოდაც კი მიაჩნიათ.

_ მე უფრო ოციანი და ოცდაათიანი წლების, კლასიკური პერიოდის ჯაზი მომ-წონს, ვიდრე თანამედროვე, _ თქვა გიამ. _ იქ მეტი მელოდიურობა და მეტი უშუა-ლობაა. მერე და მერე, მხატვრობასავით, ჯაზშიც შეიჭრა რაციონალიზმი, უფრო "ცივი" გახდა, ემოციურობამ იკლო.

_ კაცია და გუნება, _ თქვა გვარამ ვარამაისძემ, _ მე ყოველგვარი მუსიკა მომ-წონს, ყველას თავისი გამორჩეული იერი აქვს, თავისი ფერი, სუნი და გემო, რო-გორც მხატვრობაში სხვადასხვა მიმდინარეობას. ის კი მართალია, რომ XX საუკუ-ნის მეორე ნახევარში ხელოვნებაში ინტელექტუალიზმი ჭარბობს, ემოციურობამ სადღაც ქვემდინარებაში გადაინაცვლა, მაგრამ არ გამქრალა. მე მგონი, ამან გააღა-რიბა ხელოვნება. ისეთი დიდი სახელები მხატვრობაშიც და მუსიკასშიც აღარ ჩანს. როცა ემოციურობა საბოლოოდ გაქრება, მე მგონი, ხელოვნებაც მოკვდება.

_ სწორი ბრძანდებით, ბატონო გვარამ, _ თქვა იამ, _ სხვადასხვა სტილები თუ მიდგომები ერთმანეთს ხელს არ უშლიან; თუ ხანდახან ებრძვიან ერთმანეთს, ამით მხოლოდ ამდიდრებენ ერთიმეორეს და საერთოდ ხელოვნებასაც.

_ დიახ, ასეა... თუ ქალბატონ ირმას ლუი არმსტრონგი არ მოსწონს, ნუ მოუსმენს, არავინ აძალებს, _ თქვა გვარამმა. _ მოუსმინოს მაშინ მარიო ლანცას ან კლაუდიო ვილას, ბრწყინვალე მომღერლებს. მე, მაგალითად, დიდი ფონოთეკა მაქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხური მუსიკისა, განსაკუთრებით მიყვარს რუმინული და უნგრული სიმღერები და ცეკვები, ესპანური, ლათინური ამერიკის... ფრანგული და იტალიური ესტრადაც მომწონს. რა თქმა უნდა, უამრავი ქართული ხალხური სიმღერის ჩანაწერიც მაქვს, დაუსრულებლად შემიძლია ვუსმინო.

_ თათრული ბაიათებიც გაქვთ? _ დამცინავად შეეკითხა ირმა.

_ დიახ, დიახ, მაქვს, და თქვენ წარმოიდგინეთ, დიდადაც ვაფასებ. თქვენ რომ არ იცნობთ, იმიტომ გგონიათ მთელი ეს ეგრეთწოდებული აღმოსავლური მუსიკა რაღაც ერთფეროვან, მოსაწყენ რამედ. ის თუ იცით, რომ XX საუკუნეში და ცოტა უფრო ადრეც ამ მუსიკამ დიდი გავლენა იქონია მრავალი ევროპელი კომპოზიტორის შემოქმედებაზე, _ ეს უკვე მრავლისმთქმელია და მოდით, ახლა ამაზეც ნუ დავიწყებთ დავას, როგორც ქალის სილამაზეზე ვქენით. ალბათ, ისევ ვერ შევთანხმდებით...

_ მთავარია, დრო გემრიელად გავატაროთ, ქალბატონებო და ბატონებო, _ დროზე ჩაერია თამადა, _ ტკბილი სიტყვა ვთქვათ და კარგი ღვინო ვსვათ!.. ლამაზ ქალებს ლამაზი სიტყვები ვაჩუქოთ!..

_ მე მგონია, მთავარი ქალის შეფასებაში, იცით, რა არის?.. ხიბლი!.. ან ეშხი! ეშხი!.. _ განაგრძო ძველი თემა გვარამმა. _ ეს რა კარგი ორი სიტყვა გვაქვს ქართველებს! შესაძლოა, სხვებს გაუკვირდეს და შენ კი მოგხიბლოს სრულიად ჩვეულებრივმა ქალმა რაღაც შინაგანი ძალით, აი, გამოუთქმელი რაღაცით... მიმიხვდით?

_ ამჯერადაც გეთანხმებით, ბატონო გვარამ, _ თქვა გიამ. _ ალბათ ქალის მიმზიდველობაში მთავარია მისი პიროვნება მთლიანობაში, როგორც გარეგნული, თვალშისაცემი, ასევე დაფარული, შინაგანი სილამაზე, სულის სილამაზე... მე მგონია, ზოგ შემთხვევაში ქალის მოქცევის სითბომ, ლაპარაკის გულითადმა ნირმა, ხმის განსაკუთრებულმა ელფერმაც კი შეიძლება დაგიმონოს და სულ დაგავიწყოს, რომ ქალი გარეგნული მონაცემებით ფორმალურად სილამაზის კონკურსის კანდიდატი ვერ იქნება.

_ გეთანხმებით მეც! _ წამოიძახა გვარამმა.

_ როგორ შეხმატკბილებულად გალობთ, _ შეაწყვეტინა ირმამ გვარამს, _ საინტერესოა, თქვენ როგორი ცოლი გყავთ, შემახედა ერთი!

საუბარში ია ჩაერთო:

_ ირმა, მაგ კითხვაზე მე გაგცემ პასუხს... ბოდიში, ცოტა სხვანაირი კითხვაა... ბატონ გვარამს მშვენიერი მეუღლე ჰყავს, ჰყავს აგრეთვე სამი, ერთიმეორეზე უკეთესი შვილი, ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი... კმაყოფილი ხარ ჩემი პასუხით?.. მეც ვეთანხმები ბატონ გვარამს და გიას, ადამიანში უნდა შერწყმული იყოს გარეგნული და შინაგანი სილამაზე, ამაზე უთვალავჯერ თქმულა და დაწერილა კიდეც...

_ ჭეშმარიტად, ქალბატონი ია, _ თქვა გვარამმა, _ როგორც კარგ სურათში!.. ეს იგივეა, რაც შინაარსისა და ფორმის ერთიანობა; ერთიც მაღალ დონეზე უნდა იყოს და მეორეც, ერთმანეთს შეხმატკბილებულნი და განუყოფელნი... ამაზე მხატვრები უკვე საუკუნეები და, ალბათ, ათასწლეულებია ფიქრობენ და მსჯელობენ... აქ ზოგს ჩვენი პაექრობა, შესაძლოა, ბავშვურ ტიტინად მოეჩვენოს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ბევრ შემოქმედს ელემენტარული რაღაც-რაღაცეები ავიწყდება... საგაზაფხულო გამოფენაზე შეიძლებოდა თვალნათლივ დავრწმუნებულიყავით ამაში.

_ კაცო, ამ ორმა კაცმა რომ აქ დისპუტი გამიჩაღეთ, თქვენს მეტი არავინაა აქ? _ ვითომ გაწყრა თამადა. _ აღარ დაამთავრეთ მეცნიერულ-პოპულარული ლექცია? საქმეზე გადავიდეთ, მეგობრებო! გთხოვთ, შეავსოთ სასმისები!.. სიმღერაც შემოვძახოთ! ია ჩემო, რომელი სიმღერა გესიამოვნება? ჩემი ან ჩვენი ნამღერი თუ არ დაგაკმაყოფილებს, აგერ რესტორნის მომღერალს შევუკვეთავ... ორკესტრს არა უშავს, მომღერალი, მე რომ მკითხოთ, სუსტია.

_ არა, მადლობელი ვარ, დიდიმ, პირიქით, სულ რომ გაჩერდებოდეს ეგ ორკესტრი, ამას ვნატრობ _ მეტისმეტად ხმაურიანია, _ უპასუხა იამ. _ მომღერალი მართლაც არაფრად ვარგა, უხმო მომღერალი მე არ მწამს.

_ ხმის ტემბრი მაინც ჰქონდეს გამორჩეული, თუნდაც ხრინწშეპარული, ახლა ხომ მოდაშია, _ თქვა გვარამმა.

_ კი, ბატონო, ოღონდ მუსიკალური პიროვნება უნდა იყოს, მუსიკალობაა თავიდათავი. ბევრს აქვს ლამაზი ხმა, მაგრამ მომღერლად არ ვარგა.

_ ასევე, ბევრს ერთი შეხედვით თითქოს აქვს მხატვრობის უნარი, მაგრამ მხატვრად არ ვარგა, _ დაუდასტურა გვარამ ვარამაისძემ. _ ხელოვანი რომ იყო და შეგეძლოს, სხვას გადასცე შენი ნაგრძნობი, ააღელვო, კიდევ რაღაც არის საჭირო, სიტყვებით, ლოგიკურად ამას ვერ ახსნი.

_ ამას წინათ რომ ვახსენებდით _ ხიბლიო, ალბათ ამ სიტყვით უნდა დავკმაყოფილდეთ, _ თქვა გიამ.

_ მე კი გული მწყდება, რომ ხმა არ მაქვს, სიმღერა არ შემიძლია, _ თქვა იამ. _ ხანდახან როგორი ჟინი მომივლის, რომელიმე ჩემი საყვარელი სიმღერა წავიმღერო... ვაგლახ!..

_ თქვენი სურათები მუსიკალურია... ცხადად ვგრძნობ, რომ მუსიკა უცხო არ უნდა იყოს თქვენთვის, _ უთხრა გვარამმა იას.

_ სულ მეჩვენება, რომ ჩემში მუდმივად მუსიკა ჟღერს, განუწყვეტლივ ბორგავს, მიედინება... _ უპასუხა იამ. _ თვალებს რომ დავხუჭავ, შემიძლია დაუსრულებლად მივყვე ჩემს წარმოსახვაში, ჩემს სულში ამღერებული მუსიკის ჩემს ნებაზე თუ ჩემდა უნებურად მიხვევ-მოხვევას, ამაღლება-დადაბლებას, აჩქარება-დამდოვრებას... მოულოდნელი აფეთქებები, ნახტომები, სირბილისა და სიმკვეთრის მონაცვლეობა... თავდავიწყება და გონებით მკაცრი წარმართვა, მეთვალყურეობა _ არ მბეზრდება ელვარე, ფერადოვან ნაკადს მიყოლა. ხანდახან ბავშვივით ვფიქრობ, ნეტა ჩემგან როგორი კომპოზიტორი გამოვიდოდა-მეთქი... ვნანობ, რომ მუსიკის შესწავლის შესაძლებლობა არ მქონია ბავშვობაში.

_ როგორი მუსიკა მოგწონთ?

_ სხვადასხვანაირი, გააჩნია განწყობას...

_ სახელოსნოში მუშაობისას თუ უსმენთ მუსიკას? ვინ გიყვართ ყველაზე უფრო? _ არ ეშვებოდა გვარამ.

_ სახელოსნოში? ზოგჯერ კი, იშვიათად... მუსიკას, ნებისმიერი ჟანრისას, საცეკვაოსაც კი, მთელი არსებით მივეცემი, შინაგანად ჩავეფლობი ხოლმე და იმავდროულად სხვა რამის კეთება მიჭირს... ამიტომ მუსიკის მოსმენის დროს ყოველივე გარეშესგან უნდა გამოვერთო, სხვანაირად არ შემიძლია. ვიცი, არიან მხატვრები, მუდმივად მუსიკის თანხლებით მუშაობენ, მე კი, მაგალითად, აი, ახლაც ვღიზიანდები რესტორნის ორკესტრი რომ უკრავს და გარშემო კი ყაყანია, ხმაური... დაბალი დონის ორკესტრია, ჩემი შეფასებით, მაგრამ მაინც.

_ ძალიან მიკვირს, ქალბატონო ია, რომ ჩვენ აქამდე მუსიკაზე არასდროს გვისაუბრია, _ უთხრა იას გვარამმა. _ ახლა აქ საამისო ადგილი არ არის, მაგრამ რაკი ამ თემაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთს კიდევ გკითხავთ: თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

_ ამ მხრივ სრულებით არ ვარ ორიგინალური _ ბახი, მოცარტი, შუბერტი, შუმანი, ლისტი, შოპენი, ვერდი, პუჩინი... ფალიაშვილი... უამრავი გენიოსი იყო მუსიკაში, რომელი ერთი უნდა დაასახელო... მაგრამ უმაღლესი მწვერვალი, ჩემი შეხედულებით თუ ჩემი გემოვნებით, მიუწვდომელი მწვერვალი მაინც ბეთჰოვენია... სხვებს თუ სიამოვნებით უსმენ, ბეთჰოვენი სულიან-ხორციანად აგაფორიაქებს, უმძლავრესი მომნუსხველი ძალა აქვს, ისე დაგმუხტავს, გგონია, მთებს დაძრავ ადგილიდან... როცა სურათზე მუშაობისას შევფერხდები, ბეთჰოვენს მოვისმენ ხოლმე და მერე ისევ აღვივსები ენერგიით, გიჟივით ვებდღვნები ხოლმე ტილოს _ რა უნდა იყოს ისეთი, რომ მე ვერ გავაკეთო, ყველაფერს შევძლებ!.. ღმერთია, ღმერთი!..

_ ნამდვილი ვულკანია! _ დაეთანხმა გია.

_ მისი გრძნობა გავარვარებულ ლავასავით მოედინება და შთანთქავს გზაზე ყველაფერს! _ აიტაცა გიას ნათქვამი გვარამმა.

_ მიყვარს, მიყვარს! _ წამოიძახა იამ. _ ზოგჯერ როგორი ნაზიც არის, ფაქიზი, შეყვარებული, ელეგიური, ზოგჯერ _ მხიარული, ცელქი, ხუმარა... და ყოველთვის მომნუსხველი!..

_ ია, არჩილი მოვიდა... _ მოულოდნელად გადაუჩურჩულა გიამ.

_ რაა? _ უცებ ვერ გაერკვა ია.

_ ბატონ არჩილს სიცოცხლე, მობრძანდი, ბატონო Aარჩილ! _ გაისმა დიდიმ დიმპიტაურის ბუხუნა ხმა.

იამ მისი ყოფილი მეუღლე დაინახა, უხერხულად გაღიმებული და ერთ ადგილზე გაჩერებული.

და ამ დროს მოულოდნელად დარბაზში სინათლე ჩაქრა...

XI. არჩილის ცხოვრების გზა
(ეტიუდი)

არჩილ (პასპორტით _ ენუქი) ქინურიძე, ნიჭიერი მხატვარი, ჯანსაღი მსოფლაღქმიდან, განზრახ მოუხეშავი, ოდნავ პრიმიტიული, უშუალო ფერწერიდან მიდის სნობიზმამდე, შორდება თავის მაცოცხლებელ ფესვებს, ღალატობს საკუთარ ბუნებას, გარდაიქმნება: თითქმის ექვსი ათეული წლის ასაკში უცებ იწყებს კიდევ ერთ "ახალ პერიოდს" _ კოლაჟებისა და აბსტრაქტული კომპოზიციების შექმნას _ იძენს ახალ "მეგობრებსა" და "დამფასებლებს", სინამდვილეში კი უფასურდება, ფერმკრთალდება როგორც პიროვნება და როგორც ხელოვანი _ მთავარი უბედურება ის არის, რომ თვითონ ვერ ხედავს საკუთარი ფერისცვალების ტრაგიზმს, იმდენად შეიცვალა მისი სულიც და ახალი მდგომარეობა სავსებით აკმაყოფილებს: გაქებენ და გადიდებენ, ახალ სურათებში კარგ ფულსაც გიხდიან, მეტი რაღა გინდა? _ ვერ გრძნობს, რომ ნელ-ნელა კვდება, როგორც მხატვარი, უღალატა თავის თავს, თავის ოცნებას _ ჰქონდა კი ნამდვილი ოცნება? _ გაჰყიდა თავისი ნიჭი, ამას ვერ ამჩნევს და არც ადარდებს _ თვითკმაყოფილება, სხვა მხატვართა არაფრად ჩაგდება და მათზე ღვარძლიანი ხუმრობა _ პაექრობა ნაცნობ ხელოვნებათმცოდნესთან _ უკიდურესი შეუწყნარებლობის შერწყმა უკიდურეს სუბიექტურობასთან _ "რასაც მე ვფიქრობ, ის აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, სხვათა აზრი სისულელეა და არ მაინტერესებს, მორჩა და გათავდა" _ "მადლობელი უნდა იყონ, თუ მაგათთან ერთად გამოვიფინე, შეხედონ, ნახონ ნამდვილი დონე!" _ ატყუებს მის უზარმაზარი ზომის აბსტრაქტულ კომპოზიციებში გადახდილი დიდი თანხები, ატეხილი აჟიოტაჟი მისი შემოქმედებითი ფერისცვალების გარშემო _ თვითონაც ხელს უწყობს ხმაურს: "ჩემი სურათები საზღვარგარეთის თხუთმეტ ქვეყანაშია კერძო კოლექციებში!" _ არ იკლებს არავითარ სიამოვნებას: ნადირობა, მოგზაურობები, ქალები, ქეიფები... _ მაგრამ პირველ ადგილზე მისთვის ყოველთვის პროფესიული შრომაა და გართობა-დასვენებაში ზომა ყოველთვის იცის, არასდროს ხდება მონა თავისი გატაცებებისა _ ბევრს მუშაობს, თუმცა ყოველთვის სწორი მიმართულებით ვერა, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში _ საოცარია, ადრინდელი ნამუშევრები ბევრად საინტერესო იყო _ საბედნიეროდ, მის ყოფილ ცოლს, იას, შემორჩა ორი ათეული მისი ადრინდელი ნამუშევარი, დანარჩენები გაიფანტა _ მათ არჩილი არ აფასებდა, აგდებით მოიხსენიებს ახლაც, მარტივი, უბრალო ჰგონია: მათ შექმნაში დიდ ძალ-ღონეს არ ვხარჯავდი, თამაშ-თამაშ მაქვს გაკეთებულიო _ ბოლო პერიოდისა, პირიქით, რთული, მისი ჭეშმარიტი სახის და დონის წარმომჩენი ჰგონია: "მათ ერთი-ორი თუ გაუგებს, დანარჩენებისთვის ჩინური იქნება, არ არიან მზად, ჩაწვდნენ მათ სიღრმეს" _ "იშვიათად გამაქვს გამოფენებზე: ჯერ ერთი, დამთავრებას ვერ ვასწრებ და უკვე ხელიდან მგლეჯენ, ფასს არ კითხულობენ; მეორეც, არც ღირს მათი საჯაროდ გამოფენა: ვისთვის, ბრმებისთვის?" _ საოცარია, თვითონ რამ დააბრმავა, ბოლოდროინდელ ცრუფილოსოფიურ "ფერწერულ ფანტაზიებს" ადრინდელი პერიოდის "მარტივი" სურათები (ნატურმორტები, პეიზაჟები და პორტრეტები) ბევრად ჯობს, შედარებაც არ შეიძლება _ იმ პორტრეტებში

გამოსჭვივის სატირულ-ირონიული ნაკადი, რომელიც შემდეგ, სამწუხაროდ, დაშრა მის შემოქმედებაში (მაგრამ არა გამონათქვამებში: გულს იფხანს კოლეგების შემოქმედების ქირდვით, ღვარძლიანი დაცინვით) _ ფერწერაში სატირული პორტრეტი იშვიათი ხილია, შეეძლო, თავისი გამორჩეული სიტყვის თქმა (ნაწილობრივ მოახერხა კიდეც) _ ეს მეტად რთული საქმეა: კარიკატურაში არ უნდა გადავარდე, არ გაამარტივო ამოცანა და ნამდვილი ფერწერული პორტრეტი შექმნა და არა გაფერადებული შარჟი _ ვაგლახ, მხოლოდ ადრეული ნამუშევრებია ასეთი, როცა ვიღაც-ვიღაცეების სოფისტურ მოსაზრებებს ანგარიშს ნაკლებ უწევდა და თავის უშუალო გრძნობას მიენდობოდა, საკუთარ, ჭეშმარიტ რაობას შესაშური უბრალოებით, უშუალობითა და სიძლიერით გადმოსცემდა _ ია გვიან მიხვდა ყოველივეს, გვიან აეხილა თვალები დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ; ამაში განსაკუთრებით დაეხმარა საკუთარი პრაქტიკა, ის, რომ თვითონ სერიოზულად გაიტაცა ფერწერამ _ რატომ წავიდა არჩილის ხელოვნება დაღმავალი გზით, ამის სიღრმისეულ მიზეზებს კი ძნელად ხვდება _ არჩილიც არ ცდილობს ამის გარკვევას, რადგან ამ უკუსვლასაც ვერ ამჩნევს _ კომპრომისებზე კი ხშირად მიდის: რეგულარულად ხატავს დაკვეთით ბელადთა პორტრეტებს, თემატური გამოფენებისთვის შეკვეთილ პომპეზურ სურათებს; ამავე დროს, საკუთარ თავსაც დასცინის, საქმოსანი გავხდიო _ ახლა რომ "აბსტრაქტებს" აკეთებს ვიღაცეების (ფულიანი ხალხის) გემოვნებისა და სურვილების გათვალისწინებით, ესეც ხომ იგივე "ბელადების ხატვაა" _ მყიდველის გულს იგებ, შენს სახეს კი ჰკარგავ, ღალატობ საკუთარ მოწოდებას, ნიჭს აუფასურებ! _ ოცწლიანი ერთობლივი ცხოვრების მანძილზე იამ თითქოს კარგად შეისწავლა არჩილის ყველა თვისება, კარგიც და ცუდიც, მაგრამ ხშირად აკვირვებდა ქმრის მოულოდნელი "ფოკუსები" _ არჩილის შინაგანი ბუნება აუხსნელი წინააღმდეგობებითაა გატენილი, ახასიათებს ურთიერთგამომრიცხავი თვისებები: სისასტიკე (უყვარს ნადირობა, ცოლის უმიზეზოდ აბუჩად აგდება...) და სირბილე (უყვარს ძაღლები, ბავშვივით ეფერება, ზრუნავს მათზე); უანგაროდ ეხმარება ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვრებს (ამათ საოცარი ალღოთი გამოარჩევს) სიტყვითა და საქმით, ხშირად მატერიალურადაც, სახელოსნოს მიღებაში, გამოფენის მოწყობაში, შეკვეთის მიღებაში, აგრესიული თავდამსხმელებისგან დაცვაში სიტყვითა და საქმით და ასე შემდეგ... მეორე მხრივ, კარგ მხატვრებსაც კი ზოგიერთს არაფრად აგდებს, ჩემს გვერდით მათი სურათების გამოფენა როგორ შეიძლებაო; ღვარძლიანია, გამოფენის გარჩევაზე შეუძლია, ყველა გააცამტვეროს; ათას საქმეს მიედ-მოედება, ოჯახის პრობლემები კი მისთვის არ არსებობს... _ მხატვარ ცოლს დასცინის, ფერწერა რა შენი საქმეაო _ თავდაპირველად ეხმარებოდა, სადიპლომო სურათიც სანახევროდ არჩილმა გაუკეთა, ცოლი ამ დროს ფეხმძიმედ იყო _ მერეც ხამუშ-ხამუშ ასწავლის, "მეტრია" _ ია ყველაფერს არ უჯერებს, თავისებურად აკეთებს _ ქმარმა ვერ "მოარჯულა"; დასცინის ცოლს, უვიცი ხარ და სწავლაც არ შეგიძლიაო _ კიდევ კარგი, იამ თავი დაანება ფერწერას, ორი შვილის გაზრდა და ქმრის მოვლა აღარ აძლევდა ამის საშუალებას _ კონფლიქტები არ ყოფილა, ია ყოველთვის უთმობდა _ არჩილს ქვეცნობიერად უნდოდა ცოლის ინდივიდუალობის დათრგუნვა-დამორჩილება _ ია მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ხვდება ამას _ ცოლის რბილი ხასიათის მიუხედავად, ქვეცნობიერად იგ-

რძნო მასში ძლიერი პიროვნება: მის ჯერ უმწიფარ ნაცოდვილარში რაღაც თავისებურებები იგრძნობოდა, რაღაც საკუთარი ძარღვი თუ Fფესვი _ ეს ქმარს იზიდავდა და ამავე დროს, აღიზიანებდა კიდეც _ უმიზეზოდ აუხირდებოდა _ ორი ძლიერი ინდივიდუალობა ებრძოდა ერთმანეთს _ არჩილის ერთ-ერთი და, ვარდო, ცდილობს წაჰკიდოს ერთმანეთს ცოლ-ქმარი _ იასთან გარეგნულად დათაფლულია, მაგრამ ძმასთან აძაგებს რძალს _ ია ვერ მიხვდა, რა მიზნით აკეთებდა ამას _ ვარდო ყალთაბანდია: რამდენიმე ქმარი გამოიცვალა, ყველა გააცუცურაკა, ბინები გაუყიდა და ცარიელ-ტარიელი დატოვა _ ყოფილი ქმრები მოსაკლავად დასდევენ _ არჩილს უხდება კონფლიქტების ჩაქრობა, სასამართლოებში სირბილი, დის ვალების გასტუმრება _ ნერვიულობს და შემოქმედებითად ვეღარ მუშაობს _ ბოლოს, ყველაფერს ცოლს აბრალებს, იპოვა განტევების ვაცი _ დროდადრო იას სურვილი აქვს შემოქმედებითი მუშაობისა _ ქმარი დასცინის, აბუჩად იგდებს მის მისწრაფებებს _ ბოლოს, არჩილი გადაეყარა ყოფილ მენატურე ქალს და ცოლ-შვილი მიატოვა _ მოუსვენარია ბუნებით, ვერ იტანს ერთფეროვნებას, ერთ ადგილზე დიდხანს ყოფნასაც კი: სულ სახეტიალოდ მიუწევს გული, ახალ-ახალი შთაბეჭდილებებისკენ _ მხატვრობაშიც ასეა: ერთიანი, მყარი სტილი არ აქვს, მუდმივ ცვალებადობაშია _ რაღაცას საკუთარს რომ მიაგნებს, მხოლოდ ერთი ან, დიდი--დიდი, ორი წელი ამუშავებს მას, მერე მოყირჭდება, უეცრად ზურგს აქცევს და სულ მთლად ახლის, განსხვავებული მიდგომის ძიებას იწყებს _ თითქმის ყოველ წელს "ტყავს იცვლის" _ ნირი არც ახლა შეუცვლია, როცა 60 წლის ასაკს მიაღწია: ყველასთვის მოულოდნელად, კოლაჟებითა და აბსტრაქტული კომპოზიციებით გატაცების პერიოდი დაეწყო _ საერთოდ, პარადოქსული პიროვნებაა..

11. არჩილი

სინათლე ჩაქრა და უკუნი სიბნელე ჩამოწვა. მხოლოდ ახლაღა გამოჩნდა: ვიტრინის სქელ და ფართო შუშებს იქით უამრავი შუქი ციალებდა, წინ და უკან მოძრაობდა, ერთმანეთში ირეოდა; ავტომანქანათა გრიალ-გუგუნი ყრუდ აღწევდა; ყურებმა დაისვენა _ რესტორნის ორკესტრი დადუმდა, მოქეიფეთა ყაყანიც მინელდა.

მოულოდნელად იამ მხრებზე ხელის მოხვევა და პირის კუთხეში ტუჩების შეხება იგრძნო... რა ბავშვობაა?.. გაეღიმა, უფრო იმაზე, რომ თვითონაც კოცნით უპასუხა. გიამ თუ ცოტა დალია, მას რაღა დაემართა? თურმე შეძლებია, გრძნობა და სიხალისე შეენარჩუნებინა...

უცებ განათდა _ ოფიციანტებმა შემოიტანეს ანთებული სანთლები შანდლებით და მაგიდებზე ჩამოარიგეს.

სანთელთა ალები ცოცხლებივით ირხეოდა, აცეკვდა შუქ-ჩრდილებიც კედლებზე, გაბრწყინდა თვალები განათებულ სახეებზე, ათინათები ათამაშდა ბოთლებზე, ჭიქებზე, თეფშებზე...

_ ახლა იწყება ნამდვილი ლხინი! _ ბრძანა ბატონმა თამადამ, მერე მაგიდასთან უძრავად გაჩერებულ არჩილს მიმართა: _ მოდი, კაცო, სტუმარი ღვთისაა!

არჩილს დაბნეული იერი ჰქონდა, მზერა მიმოატარა მაგიდასთან მსხდომთ:

_ დიტოს ვეძებ...

_ დიტო დათუნამ და ბაკურმა უკვე წაიყვანეს შინ... _ დიდიმ დიმპიტაურმა თავისი ადგილი დატოვა, არჩილთან მივიდა და ხელი გაუწოდა: _ მოდი, კაცო, ცოტა ხნით მაინც დაბრძანდი...

არჩილმა გაუღიმა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მსუბუქად ატაკა წამოზრდილ მუცელში:

_ რას შვები, შე ძველო, მაყუთს ღუნავ ძველებურად? _ პასუხისთვის არ დაუცდია, გაეშურა ფეხზე წამომდგარი გვარამისკენ, მოწიწებით ჩამოართვა ხელი; ერთგვარი ყოყმანის შემდეგ, იასთანაც მივიდა, დაიხარა, აკოცა: "მომილოცავს!" _ გიას და დანარჩენებს მხოლოდ თავი დაუკრა... ერთხანს გაჩერდა, წასასვლელად გაიქაჩა, მაგრამ დიდიმმა არ გაუშვა. უხერხულობის განცდისგან რომ თავი დაეღწია, ჩამოუარა სუფრის წევრებს და ახლა სათითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა... დიდიმმა თავისუფალი სკამი გამოუწია, თითქმის ძალით დასვა.

იას გაუკვირდა: არჩილის დანახვისას ერთი ბეწო მღელვარება არ განუცდია, მხოლოდ სიბრალული...

"_ _ როგორ დაბერებულა! _ უკანასკნელად რამდენიმე წლის წინ მოვკარი თვალი ქუჩაში და მასთან შედარებითაც საგრძნობლად შეცვლილა _ მოსუქებულა, კეფაზე შერჩენილი თმა სულ მთლად გასთეთრებია... _ კბილები რომ ჩამოსცვივნია, რას უყურებს დიანა, ქმრის ფული მხოლოდ სურათებისთვის ემეტება? _ თუმცა, თვით არჩილია ბუნებით საოცრად დაუდევარი _ ახლა რომ ტყავის ადამისდროინდელი ქურთუკი აცვია, მგონი, თხუთმეტი წლის მაინც არის... _ სრულიად გულგრილად ვაკვირდები, მხოლოდ ცნობისმოყვარეობით _ თვითონ რაღაც მობუზული ზის, ჩემსკენ ერთხელაც არ გამოიხედა _ გაურბის ჩემს მზერას? _ როგორც სრულიად უცხო ადამიანს, ისე აღვიქვამ _ ნუთუ ამ ადამიანთან ვიცხოვრე ოცი წელიწადი ერთ ჭერქვეშ?!. _ _"

_ აბა, მეგობრებო, ჭიქები ხომ შევსებულია? ახლა იწყება ნამდვილი ქეიფი _ ძველებურადა, ჩვენებურადა!.. სანთლების შუქზე!..

_ ასე უცებ როგორ მოახერხეს სანთლების მოტანა? _ გაუკვირდა ირმას.

_ არიან კლიენტები, რომლებსაც უყვართ სანთლების შუქზე ქეიფი, _ აუხსნა დიდიმმა. _ მართლაც, სულ სხვა ეშხი აქვს!

_ სხვათა შორის, ხალიჩების დათვალიერებისას უხდება კიდევ სანთლის შუქი, _ თქვა გვარამ ვარამაისძემ.

_ რატომ, ელექტროდენის შუქზე უკეთ არ ჩანს? _ იკითხა ქეთინომ.

_ ხალიჩები ძველად სანთლის შუქზე იქსოვებოდა და იმიტომ. მთავარი კიდევ ის არის, რომ, თუ გინდა ხალიჩის სილამაზის სრულად აღქმა, მისი ხიბლის შეგრძნება, სანთლის თბილ შუქზე უნდა ეზიარო მის მშვენიერებას და მისი ფერადოვნებით დატკბე, სხვა გემო აქვს. გარდა ამისა, სანთლის ალი რომ თამაშობს, ორნამენტიც თითქოს ცოცხლდება...

_ მეჯავრება ხალიჩა, შინ როგორ გავაჩერებ! _ შეაწყვეტინა ირმამ. _ მტვრის ბუდეა, ალერგია მაქვს!

_ დამუხტულია და მტვრის ნაწილაკებს იზიდავს... _ დაუმატა ესმამ.

_ ეგ კი არ არის მთავარი, მთავარი ის არის, რომ ხალიჩა ნამდვილად დამუხტულია, შინაგანი ენერგია აქვს მის ფერს, ორნამენტს, მის ხაოიან რბილ ზედაპირს... და ჩვენც გვმუხტავს ენერგიით, კარგი, დადებითი ძალით გვავსებს.

_ არა, მაინც არ მინდა! _ თავისას გაიძახოდა ირმა.

_ ირმა, შენ რომ გათხოვდი, მზითევში ხალიჩა ხომ არ გაგატანეს? _ ჰკითხა გიამ ღიმილით.

_ რომ მქონდეს, შენ გაჩუქებდი უეჭველად! _ დაცინვით უპასუხა ირმამ.

დიდიმ დიმპიტაური ისევ წამოდგა ფეხზე:

_ აბა, მეგობრებო, სიჩუმე იყოს! ახლა ბატონ არჩილს მოვუსმინოთ!.. არჩილ, უკვე ამერია დავთარი, ვგონებ, მეხუთე თუ მეექვსე სადღეგრძელოა, ჯერ შემოსწრებულისა დალიე _ გაჯარიმებ ორი ჭიქით!

_ ბოდიში, ბოდიშს ვიხდი, მანქანითა ვარ და... _ თქვა არჩილმა, _ კარგი, ერთ ჭიქას დავლევ, მეტს ვერა... თქვენს აქ თავშეყრას გაუმარჯოს, ვულოცავ იას გამოფენის გახსნას... კარგად იყავით ყველანი!

მოკლედ მოჭრა, დაჯდა და ჭიქას ოდნავ დააკარა ტუჩი. ერთხანს თავჩაქინდრული იჯდა, მერე თავი ასწია, ირმას გაჰკრა კბილი:

_ სახალხო მხატვრის წოდებაზე აღარ უნდა წარგადგინონ?

ირმას ხმა წაერთვა, მის მაგივრად ქეთინომ უპასუხა:

_ მხოლოდ შენს შემდეგ, არჩილ... რა ხანია, გამოფენებზე შენი სურათების ხილვით აღარ დავმტკბარვართ, ალბათ პერსონალურისთვის ინახავ და გინდა, ქვეყანა უცებ გადარიო... ახლა, საგაზაფხულოზე, როგორ მოხდა, რომ გვიკადრე და ორი შედევრის გამოტანით გაგვაბედნიერე?

_ გენიოსმა, როგორ იკადრე ცხვრების ფარაში გარევა? _ მაშინვე დაამატა ესმამ. _ შენს სურათებთან დიდი კამათი გვქონდა, ხალხსაც მეტი რა უნდა, თითოს ათი ათასად გაყიდი. სახალხოს წოდებას ალბათ სწორედ იმიტომ გაძლევენ, რომ სურათებს აღარ ჰფენ...

"_ _ ახია არჩილზე, სამართლიანად კბენენ გოგოები _ აბა, რა ეგონა, ცხვირი რომ აქვს ზეცას მიბჯენილი, მაგის მეტი მხატვარი ჯერ არ დაბადებულა ქვეყნიერებაზე? _ კი, კარგი მხატვარია, დიდად ნიჭიერი, მაგრამ საზღვარგარეთ რომ დადის, ნუთუ ერთხელაც არ შესულა რომელიმე მუზეუმში? _ შედევრებითაა გადაჭედილი კედლები და გენიოსი მხატვარიც იმდენია, თვლა ჭირს... _ გული მწყდება, საგაზაფხულო გამოფენაზე გამოტანილი მაგისი სურათები არ მომწონს, არ არის მისი ნიჭის შესაფერისი, თითქოს მისი არც არის... _ _"

არჩილი ახლა ესმას გადაწვდა:

_ ნახევარი იმ ათი ათასიდან შენთვის მომიცია, მზითევში... თუ გინდა, სურათს ისე გაჩუქებ, ერთი ნაღდი სურათი მაინც გექნება შინ.

_ მე მაჩუქე რა! _ შეეხვეწა ირმა ირონიით. _ ნუ გეშინია, დიანას მე მოვუვლი, ის წინააღმდეგი არ იქნება. თუ იმ სურათს ვერ შეელევი, მაშინ სხვაზეც ყაბულსა ვარ, დიანასგან დაწუნებული გექნება ერთი-ორი...

_ ჯერ ესმა დგას რიგში, _ უპასუხა არჩილმა, მერე ესმას მიუბრუნდა: _ როდის გაგათხოვოთ, ქალო, ნუ დახოცე ბიჭები შენზე ოცნებით... დროზე ამოარჩიე!

“_ _ არ უყვართ არჩილი, განსაკუთრებით ქალებს _ რა ვიცი, მეგობრები კი ყოველთვის თითქოს ბევრი ჰყავდა _ ვერ გავიგე, გულს რატომ იფხანს სუსტებზე? _ ჩემზედაც უთქვამს: სასაცილოდ რატომ იგდებს თავს, ის ხომ არ ატყუებს, რომ ჩემი ხათრით პატივს სცემენ; დაანებოს ტილოს ტყუილად თხიპნას და გაფუჭებას თავიო... _ ახლა ჩემი სურათები მაგისაზე ნაკლებ არ ფასობს და მითხრეს, გაკვირვებულია და ბრაზობსო _ იქნებ მეც არ ვარ მთლად ობიექტური, მაგრამ მეჩვენება, რომ ქვევით-ქვევით მიდის... _ მოდას აჰყვა, სამხატვრო კომბინატიდან მიღებულ შეკვეთებშიც ხმარობს ფეროვან და კომპოზიციურ პირობით ხერხებს _ მოსკოვშიც ვითომ მოდას აჰყვნენ და “მაძიებელი” მხატვრები სჭირდებათ! _ სინამდვილეში, ჭეშმარიტად არაორდინარულ, დამოუკიდებლად მოაზროვნე მხატვრები აღიზიანებთ, ურჩევნიათ, მოსაწყენი, მაგრამ “სწორად”, “წესებით” გაკეთებული სურათი, რომელიც ამავე დროს კონიუნქტურასაც ალღოს უღებს და ხარკსაც უხდის! _ არჩილიც გახდა “სწრაფი რეაგირების” მხატვარი, როგორც ირონიულად უწოდებენ ზოგიერთს, ერთგულად მიჰყვება “დროის მოთხოვნებს”, “იდეურად გამართულ” სურათებს აცხობს... _ ფულიც უნდა და “ნოვატორის” იარლიყიც... _ ნეტა რა უჭირს ისეთი, რომ თემატური გამოფენებისთვის დაკვეთით გაკეთებულ სურათებზე სხვებსაც ამუშავებს? _ მე, მაგალითად, შემრცხვებოდა ასეთ სურათზე ჩემი სახელის მოწერა... _ სასაცილოა, “მეამბოხის” სახელიც უნდა, ამავე დროს არ ერიდება “ფოკუსებსაც”... _ მაღიზიანებს მისი ბოლოდროინდელი ჯამბაზობა _ ბევრს მოსწონს ამგვარი “თვითნებობა”, მისი “უმაღლესი დონე”, იგი ხომ “მხატვარია მხატვრებისთვის” _ სრულიად დაცლილია უშუალობისა და ბუნებრიობისგან... _ მე ეს არ მიზიდავს _ ეს არის მაყურებლის აბუჩად აგდება და დიდი წინაპრების შეურაცხყოფა, უპირატესად კი _ საკუთარი თავის უპატივცემულობა... _ ეს რომ პირდაპირ უთხრას პირში ვინმემ, ნეტავ როგორი გამოძახილი იქნება არჩილის მხრივ? _ არ მახსოვს, რომ არჩილს ჩემთან სახელოვნო საკითხებზე სერიოზულად ელაპარაკოს, სულ მთლად უტვინო თუ ვეგონე _ მის მეგობრებთან საუბარს კი ხშირად შევსწრებივარ სხვადასხვა თემაზე, ოღონდ თითქმის ყოველთვის მხოლოდ ტექნოლოგიურ და ტექნიკურ საკითხებზე... _ იმპრესიონისტები, პიკასო, დალი... _ წამდაუწუმ ამ სახელებს ატრიალებდნენ, მაგრამ, როგორც ახლა ვხვდები, მხოლოდ სიტყვის მასალა იყო მათთვის, სერიოზულად არ იცნობენ დასავლეთის მხატვრობას და არც აღმოსავლეთისას... _ ფილოსოფია, ესთეტიკა, პოლიტიკა, მუსიკა, პოეზია არ აინტერესებს _ საერთოდ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ზერელე ბუნების კაცია _ თითქოს ხალხური ხელოვნების ტრფიალია, მოგზაურობისას შეაგროვა თიხის ჭურჭელი, თექა, ფარდაგები... _ მე მგონი, შინაგანი მოთხოვნილებით კი არ აკეთებდა ამას, სხვა მხატვართა სახელოსნოებში ნახა ამგვარი საგნების კოლექციები და მიბაძა მათ _ ასევე, ნიკო ფიროსმანაშვილის თაყვანისცემაც ზერელეა, მოდას არ ჩამორჩა... _ გვარამ ვარამაისძე ისევ ჩემს გამოფენას დაუბრუნდა... _ _”

_ ჩვენ აქ ვსაუბრობთ, ბატონ თამადას მონათხრობი თავშესაქცევი ამბებით ვერთობით, _ დიდი მადლობა მას ამისთვის, _ მე კი, მართალი გითხრათ, სულ ქალბატონ იას გამოფენაზე ვარ ისევ, სულ იქ ვტრიალებ შინაგანად... ასზე მეტი სურათია და ყოველი მათგანი ცხადად მახსოვს, თითქოს ჩემი შექმნილი იყოს, მე-

ტიც _ ზუსტად შემიძლია დაგისახელოთ, რომელი სად ჰკიდია... თითქმის ყველა სურათი ადრეც მაქვს ნანახი, მრავალჯერ შესწავლილი და აწონილ-დაწონილი... ქალბატონო ია, თქვენ მადლობა კი გადაიხადეთ კატალოგში მოთავსებული ჩემი წერილისთვის, მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ: ახლა რომ ვუყურებ და ვაფასებ, ბევრ სისუსტეს ვხედავ... უამრავი დაუხვეწავი ადგილია, გამეორება, უზუსტო ფორმულირება, მრავალსიტყვიანობა... მხოლოდ ამასაც არ ვგულისხმობ. რაც მთავარია, ქალბატონ იას შემოქმედებითი იერსახე უფრო სრულყოფილად შეიძლებოდა წარმოჩენილიყო. ის თავისი დონით, რაობით ამას სავსებით იმსახურებს და ალბათ ჩემზე უკეთესი შემფასებელი და დამფასებელი ეკუთვნოდა... მთლიანობაში რომ ვნახე გამოფენა, მრავალი ახალი აზრი გამიჩნდა, ახალი შეფასებები წარმოიშვა თუ უფრო უკეთ, უკეთეს სიტყვიერ სამოსელში ჩამომიყალიბდა, ალბათ ბევრი რამ უკეთ დავინახე. მე, საერთოდ, ბევრჯერ მიყვარს გამოფენების ნახვა, ჩაძიება, ნელ-ნელა ვერკვევი _ რა ვქნა, ასეთი ვარ, ზანტი, უფრი სწორედ _ ნელი... ახლა ვფიქრობ და თანდათან ვხვდები, რომ ქალბატონ იას პეიზაჟებში რომ ასეთი სიცინცხლეა, ხალისიანი ფერადოვნება _ თავშეკავებული ფეროვანი გამის მიუხედავად, ეს ჩემს წერილშიც მაქვს აღნიშნული, _ ეს ერთი პარადოქსია... უფრო სწორედ, საიდუმლოა, როგორ აღწევს ამას მხატვარი და მეორეც, რასაც ვგრძნობდი ადრეც და მხოლოდ დღეს გამოიკვეთა ჩემთვის ხელშესახებად _ ამ პეიზაჟებში მხოლოდ ლირიზმი და დრამატიზმი კი არა, კაეშანიც, სევდის ელფერიც არის... გარეგნული სილაღის მიღმა ტემპერამენტიანი ფერწერის ქვეშ, ნაღველი იმალება... რაც უფრო ჩაუღრმავდები, მეტ გრძნობათა სიმდიდრეს ხედავ, მეტად და მეტად იხიბლები... არც ისე ადვილია ამ სურათებში კარგად გარკვევა და, მით უმეტეს, სიტყვებით გადმოცემა, რისი თქმაც გსურს... ამას ვერ ვახერხებ. ერთხელ კიდევ ვიტყვი მხოლოდ, რომ გარეგნული სილამაზე არ არის მთავარი ამ პეიზაჟებში, იქ რაღაც სხვა სულიც ტრიალებს... არადა, ღმერთმა დამიფაროს, რაიმე მისტიკური ვიგულისხმო, ასე ნუ გამიგებთ... ის ცაში არ დაფრინავს, ხილულ, რეალურ ნიადაგზეა ამოსული ის მშვენიერი ყვავილი, რომელსაც ქალბატონ იას ხელოვნება ეწოდება. ეს ხელოვნება ეფუძნება საკუთარ აღქმას, პირადად დანახულსა და განცდილს, მას არ იტაცებს რაღაც განყენებული, ფილოსოფიური წარმოდგენებით სპეკულაცია, არც მავანთა თეორიული ნააზრევით საზრდოობს, არც თუნდაც გამოჩენილ შემოქმედთა პრაქტიკული ნაყოფით შთაგონება იზიდავს... ყველაფერზე საკუთარი აზრი აქვს, სამყაროსთან, ბუნებასთან უშუალო ურთიერთობა და მისგან მიღებული იმპულსები წარმართავენ ძირითადად მის შემოქმედებას. ეს არის მისთვის მთავარი. მისი შემოქმედების მასაზრდოებელია, როგორც მოგახსენეთ, გარემოცვა, რეალურად არსებული, მის მიერ აღქმული და გააზრებული, გარემოში ხედავს ამოუწურავ მრავალფეროვნებას, სიმდიდრეს, ხიბლავს იგი და რად უნდა ვიღაცის ან რაღაცის გადამღერება? ამიტომ არის იგი პეიზაჟისტი, ბუნებაა მისი ღმერთი! დიახ, აი, სწორედ ეს მრავალფეროვნებაა ალბათ მიზეზი (და რა თქმა, მხატვრის აღქმის სიღრმე), რომ მისი სურათების საერთო მაჟორულ ტონალობაში უცებ მინორსაც აღმოვაჩენთ... ქალბატონ იას პეიზაჟების გახსნილობა, გადამდები ემოციურობა ნუ მოგვატყუებს _ არის კიდევ სხვა ფენაც, ასე ადვილად რომ ვერ ჩავწვდებით... ეს პეიზაჟები არ არის მხოლოდ და მხოლოდ თვალის სასეირო თუ

სალხინო... მე მიჭირს, სიტყვებით სრულად ვერ გადმოვცემ... ერთი სიტყვით, სულ ვუბრუნდები ქალბატონ იას პეიზაჟებს, იმიტომ, რომ სიღრმე აქვთ და ახალ-ახალ მომენტებს აღმოვაჩენ... ბოლომდე ვერა, ეს შეუძლებელია; ნაღდ სურათზე რა უნდა თქვა, სიტყვები უძლურია, მხოლოდ მინიშნებას თუ მოახერხებ...

"_ _ მადლობელი ვარ გვარამისა, ასეთ ყურადღებას რომ იჩენს ჩემს მიმართ _ ძირითადად ყველაფერი სწორი ბრძანა, ზოგ მის მოსაზრებას მთლად ვერ დავეთანხმები _ ახლა არ ღირს დისკუსიის გამართვა _ თვითონაც მიხვდება ბევრ რამეს კიდევ, რაც ახლა ცოტა ცალმხრივად აქვს გაგებული... _ შემდეგი ჩემი გამოფენა უეჭველად განსხვავებული უნდა გავაკეთო _ მხოლოდ პეიზაჟებით კი არ შემოვიფარგლები: მექნება პორტრეტებიც, ზოგისთვის ფრიად მოულოდნელი ფანტაზიური კომპოზიციები, ნატურმორტები და ალბათ სხვაც _ მნიშვნელოვანწილად ახლებურადაც იქნება ყველაფერი გაკეთებული, ვგრძნობ, რომ სულ უფრო მიტაცებს პირობითობა, განზოგადება, წარმოსახვით თავისუფალი თამაში... _ ჯერ მთლად ნათლად არ მაქვს წარმოდგნილი, კონკრეტულად ეს განწყობა რა ფორმებში გამომჟღავნდება, ეს მუშაობის პროცესში გამოიკვეთება _ ძირითადი ყურადღება, რა თქმა უნდა, მაინც პეიზაჟს უნდა დავუთმო, იქაც, ვგრძნობ, ბევრი სიახლე მომელის... _ _"

_ ბარაქალა, ქებათა ქება პეიზაჟს! _ წამოიძახა უცებ არჩილმა და უხმოდ ტაშიც დაუკრა.

ყველა გაშრა. აშკარა იყო, ამ ირონიულ გალაშქრებაში რაც იგულისხმებოდა.

ია ვითომ ვერ მიხვდა, ვისი მისამართით იყო ნასროლი ისარი; გონებით ცდილობდა, არად ჩაეგდო მომხდარი...

"_ _ მე რატომ დამინდობდა, მისთვის ქვეყნიერებაზე მხოლოდ ერთი დიდი მხატვარი არსებობს _ არჩილ ქინურიძე, დანარჩენები, ადრინდელებიცა და დღევანდელებიც, დიდი არაფერი... _ ის მიკვირს, მისი გამოხდომა ხომ ბატონ გვარამსაც შეეხო, მის სიტყვებს გაუკეთა ესოდენ ირონიული "კომენტარი" _ ვითომ პატივს სცემს, მაგრამ ნუთუ ბოღმამ ასე დააბრმავა? _ ღმერთო, როგორ მიხარია, რომ მასთან აღარაფერი მაკავშირებს! _ ან მე რა დავუშავე? _ ეს კაცი ხომ ერთ დროს მიყვარდა, მისგან შვილები გავაჩინე... _ რას მერჩის? _ რატომ არიან ადამიანები ასე სასტიკნი სწორედ შინაურების მიმართ? რატომ იფხანენ მათზე გულს? _ ალბათ ფსიქოლოგიური მომენტია, ახლობლებზე "გამარჯვება" მეტ შვებას ჰგვრით... _ თუ სიმხდალეც? უცხოსგან საპასუხო რეაგირებას მოელიან, შინაურებისგან და სუსტებისგან დაუსჯელობა ათამამებთ... _ რა ვუთხრა? _ ადრეც ყოველთვის უპასუხოდ ვტოვებდი მის გამოხდომებს, ახლა, მით უმეტეს, არ გავაფუჭებინებ საღამოს... _ _"

_ მადლობთ, ბატონო გვარამ... _ გარეგნულად სრულიად მშვიდად დაიწყო იამ. _ მე ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია თქვენს მიერ აქ გამოთქმული მოსაზრებები. გეთანხმებით, ჩემი პრაქტიკა ძირითადად ინტუიციას ემორჩილება, გრძნობას... ახლა მოდაშია ლაპარაკი თანამედროვე სტილზე, ახალ აზროვნებაზე... თითქოს ეს იყოს მთავარი... (ია ირიბად არჩილისკენ გაიხედავს წამით)... პროფესიონალ ხელოვნებათმცოდნეთა და კრიტიკოსთა ლეგიონი ზოგჯერ მხატვრებს თავგზას უბნევენ... როცა ვმუშაობ, მე ტექნიკაზე არ ვფიქრობ, არც რაღაც წესებზე, თეორიებზე

და ასე შემდეგ; ჩემთვის მთავარია, რის თქმა მინდა და ამის მიხედვით თავისთავად იბადება ტექნიკური ხერხებიც, თავისთავად გამოიკვეთება ჩემეული სტილიც, თუკი ის მაქვს...

_ გაქვთ, ნამდვილად გაქვთ, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ, _ შეეხმიანა გვარამ ვარამაისძე. _ სტილს ვერ ისესხებ, ის შემოქმედის პიროვნებას გამოხატავს, ამიტომ ის ერთადერთია, განუმეორებელია... თუმცა, არსებობს სტილი უფრო ფართო ასპექტით, მაგალითად, რაიმე მიმდინარეობის ან ეპოქის სტილი. მაგრამ მათში პიროვნული სტილებიც გამოიყოფა...

_ არ ღირს ახლა ამ საკითხებზე გამოდევნება, _ დაიბუხუნა თამადამ. _ აქ ყველანი ერთი ჯურის ხალხი ვართ ძირითადად, მხატვრები ვართ და, რა თქმა უნდა, ხელოვნების საკითხებზე გრძელი ლაპარაკიც არ მოგვწყინდება, მით უმეტეს, სწორედ ამ ამბავმა შეგვყარა ჩვენ დღეს ამ მაგიდასთან... იას... ხომ კარგადაა ყველაფერი? _ დიდიმ დიმპიტაურმა ბოლო სიტყვებით ამ დროს გამოჩენილ დათუნასა და ბაკურს მიმართა.

დათუნა, ეტყობა, არ ელოდა მამასთან აქ შეხვედრას, დიდიმს მოკლედ უპასუხა, ყველაფერი მოგვარებულიაო, არჩილს, როგორც უცხოს, ისე ჩამოართვა ხელი...

"_ _ რომ არ წასულიყო არჩილი ოჯახიდან, რა იქნებოდა? დღესაც მეყვარებოდა? _ ალბათ... მისი უხიაგობის მიუხედავად... _ ეტყობა, სადღაც სუსტი ქალი ვარ, მდინარებას პასიურად მივყვები _ ბევრს ძლიერ პიროვნებად მივაჩნივარ, კარგად არ მიცნობენ... _ თუმცა, მე კი ვიცნობ საკუთარ თავს? ალბათ ბოლომდე არა _ არც კი მიოცნებია, რომ ნამდვილი მხატვარი გავხდებოდი და პერსონალურ გამოფენასაც კი გავმართავდი, პროფესიონალის დონეს მივაღწევდი... _ ბევრი რამ აღარ მახსოვს, თითქოს არც ყოფილა, მაგრამ ვერ ვივიწყებ არჩილის ხითხითს, სულ ყურში ჩამესმის: "შენ ჩემი ჩრდილი ხარ... შენ ჩემი ჩრჩილი ხარ..." _ იქნებ სწორედ ეს ხიხითი იყო ჩემი მასტიმულირებელი, ისიც მაძლევდა ძალას, რომ სულ წინ-წინ მევლო... _ გია სულ სხვაა: კი არ ვითრგუნები, მასთან ძლიერად ვგრძნობ თავს, ამაღლებულად; ესეც სტიმულს მაძლევს, ოღონდ სულ სხვანაირად... გიაც ირონიულია, მაგრამ მისი ირონია არასდროს არის დამამცირებელი, "შხამიანი", თუკი გაკილავს, ყოველთვის სამართლიანად... _ თუმცა, ზოგჯერ ვერ მოზომავს, რას იზამ, ისიც ადამიანია... _ მიხარია, რომ იგი გვერდით მიდგას და თავს მყარად ვგრძნობ... _ ალბათ ეს გრძნობაც აისახა ჩემს სურათებში, ეს გრძნობაც საჭირო იყო ჩემი წინსვლისთვის... _დათუნა არ დაჯდა საკუთარ სკამზე არჩილის გვერდით, ბაკურს დაუთმო... _ _"

გვარამ ვარამაისძე ამბავს ჰყვებოდა:

_ ...შაქრია მჭედელს ცოლი სქელ ლობიოს აკეთებდა ხოლმე, მთის სოფლებში კი, სადაც მას იწვევდნენ ხარებისა და ცხენების დასაჭედად, ლობიოს თხელთხელ შეჭამანდს აკეთებდნენ. ერთხელაც შაქრია სამუშაოს დასასრულის შემდგომ მიიპატიჟეს სუფრაზე, წინ ასეთი ლობიოს შეჭამანდი დაუდგეს _ შაქრიას სიტყვით, სულ რამდენიმე ცალი ლობიო დაცურავდა მთელ მათლაფაში. შაქრიამ მკლავების დაკაპიწება დაიწყო. "რას შვები, შაქრია ბატონო, მკლავებს რად იკაპიწებ?" _ ჰკითხა მასპინძელმა. "აემ მათლაფაში უნდა გავცურო, იქნებ ლობიო მოვიხელთო!" _ უპასუხა შაქრიამ. მხატვრებიც ამ შაქრია მჭედელივით არიან _ მძიმე

შრომა უწევთ, რომ ყოფიერების, ასე ვთქვათ, თხელ-თხელ ყოველდღიურობაში თითო-ოროლა გემრიელი რამ მარცვალი მოიძიონ და სურათი შექმნან... ცხადია, ყველა ცდილობს, მაგრამ ისიც არ არის საიდუმლო, რომ მხოლოდ ერთეულები ჰქმნიან ღირსეულ რასმე...

_ ჰოდა, ჩემს თავს უფლებას მივცემ, როგორც თამადა, სწორედ ერთ-ერთ დიდ ხელოვანს მივესალმო, _ ჩამოართვა სიტყვა ფეხზე წამომდგარმა დიდიმ დიმპიტაურმა. _ ჩვენს უფროს ძმასა და დიდებულ მხატვარს, ბატონ არჩილს ვადღეგრძელებ... არ გეგონოთ, რომ დაგითვრათ თამადა და სადღეგრძელოები აერია... ან წესი და რიგი არ ვიცი... ჩვენ მხატვრები ვართ და თავისუფლება ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია, ამიტომ როგორც თამადას და როგორც მხატვარს სრული უფლება მაქვს, ეს სადღეგრძელოც შემოგთავაზოთ... მით უმეტეს, ბატონი არჩილი გამორჩეული პიროვნებაა, დიდებული შემოქმედია და მთელი ჩვენი საზოგადოება დიდად არის დავალებული მისგან... აქ მყოფნიც მადლიერების გრძნობით ვართ გამსჭვალულნი, მისი ხელოვნება ჩვენთვის ყველასთვის მისაბაძი მაგალითია...

“_ _ გეტყობა, ჩემო დიდიმ, კარგა ხანია, გამოფენებს აღარ ეკარები, მაგისთვის აღარ გცალია _ არც არჩილის ბოლოდროინდელი ნამუშევრები გინახავს... _ ნეტა რას იტყოდი, დღეს გახსნილ საგაზაფხულო გამოფენაზე რომ მოსულიყავი? _ დიდიმ და არჩილი ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ყველაფრით, მაგრამ ერთი საერთო ნიშანი კი აქვთ: მათ ცხოვრებაში ფული პირველ ადგილზეა _ ამიტომ: დათმობა და კომპრომისები ყოველ ნაბიჯზე... _ ჰო, კიდევ ერთიც: ორივე ქალებს დაემორჩილა _ მართალია, დიანა და იზიდა დიდად განსხვავებულნი არიან _ თამადა ჩემს სახელს ახსენებს... _ _”

_ ...ჩემი დაიკო ია არ მიწყენს, _ განაგრძობდა დიდიმი, _ თუ არჩილთან ერთად მის მშვენიერ მეუღლესაც ვადღეგრძელებ, _ მათ ვერ დავაცილებ, _ დიანა ღმერთქალია! მეც კი შემაცდინა ამ ოცი თუ მეტი წლის წინ და მისი პორტრეტი გამაკეთებინა. ნაღდი შემოქმედებითი პორტრეტი იყო, ასე მახსოვს... ასეთ ქალს აუღელვებლად როგორ დახატავ! მაშინ მთლად ახალგაზრდა იყო... მასეთი სურათი ალბათ მეტი აღარც შემიქმნია. ჩემს სახელოსნოში რომ შემოიხედოთ, სულ რამდენიმე სურათი მაქვს ჩემი, ისიც სწორედ იმდროინდელი. ზოგს არა უშავს თითქოს, მაგრამ ნამდვილი, ნაღდი სურათი ერთიც არაა, ეტიუდები უფროა... ერთხელ ვთხოვე დიანას, დამიბრუნე, რამდენიც გინდა, დამიფასე, გაძლევ შენს პორტრეტში-მეთქი; სასაცილოდ არ ეყო...

“_ _ არჩილი ბაკურს ელაპარაკება... _ მიკვირს ასეთი მკვეთრი ფერისცვალება _ რაღაც დაღლილი ჩანს, ასაკსაც თავისი გააქვს, სამოცი წლის ხდება... _ ყოველთვის აქტიური იყო, ახლა ძველებურ ხალისსა და ქილიკში ნაღველი გამოკრთის... _ მისი მოსვლის შემდეგ სუფრამაც ხალისი დაჰკარგა, ერთი ყალბი ნოტი მთელ მუსიკას აფუჭებს... _ თუ საერთოდ დაიღალნენ ყველანი? _ დაიშალნენ ცალ-ცალკე ჯგუფებად და ერთმანეთში პუტუნებენ _ არჩილი და ბაკური ნეტა რაზე ლაპარაკობენ? _ ალბათ ქსენიას ბიჭზე... _ რა ჰქვია?.. _ ჰო, კანდიდი... _ ქსენია, არჩილი, ვარდო... ყველანი ერთიმეორეზე უარესი რამ დაბადა? _ მთელი ოჯახი, სულ ერთმანეთს კვანტს უდებენ და ეტყობა, მათი შვილებიც ვერ არიან მთლად დაწყობილი ჭკუის... _ ბაკური და დათუნა, ეს ორნი, კიდევ კარგი, არ დაემსგავსნენ მათ... _

აღარ მობეზრდა დიდიმს არჩილის ქება-დიდება? მთლად ტაქტიანად ვერ იქცევა... _ თუ იმედი აქვს, არჩილი სამხატვრო კომბინატიდან შეკვეთის მიღებაში დაეხმარება?.. _ არჩილი ახლა იასონს ელაპარაკება, ალბათ კესანე და მაკა რომ ვერ ნახა აქ, გაუკვირდა და მათ ამბავს ეკითხება... _ ახლა კი ისევ ბაკურს ელაპარაკება, ეტყობა, იმ კანდიდს მართლაც ვერ აქვს საქმე ბრწყინვალედ... _ უნდა გავიგო, სინამდვილეში რა მოხდა... _ იასონის სკამი განთავისუფლდა... _ _”

იასონმა თამადას ორიოდე წუთით სუფრის დატოვების უფლება სთხოვა, შემდეგ დარბაზიდან გავიდა.

და იამ, მისდა გასაკვირადაც, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: წამოდგა, არჩილთან მივიდა და იასონის სკამზე დაჯდა...

არჩილი გაკვირვებული და ოდნავ შეცბუნებული ჩანდა... იას ისევ შეეცოდა...

_ ქსენიამ დამირეკა... რა დაემართა მის ბიჭს?

_ კანდიდს? _ ოდნავ დაუმშვიდდა სახე არჩილს, ეტყობა, რაღაც სხვა თემაზე საუბარს მოელოდა, შემდეგ უხალისოდ განაგრძო: _ როგორც გაზარდეს, ნაყოფსაც ისეთს იმკიან... გათამამებულია, მამამისმა მანქანა უყიდა, ზევით-ქვევით უაზროდ დაყიალობს ძმაბიჭებთან ერთად, თვეში ერთხელ მაინც ამტვრევს... გამიწყალეს გული, ტელეფონის ზარის მეშინია, სულ მგონია, ფულს მთხოვენ ისევ...

_ მართლა?

_ ქსენიას ეგ მოკლავს თუ მოკლავს: ცალკე _ მოსალოდნელი უბედურების შიში, ცალკე კიდევ _ ხარჯი... სახლში შუაღამეზეც კი ვერ ნახავ, სულ მასავით აცვენილ ძმაკაცებთანაა...

_ რას მეუბნები!..

_ ბაძავს სქელჯიბიანი მამიკოების შვილებს, არაფერში უნდა ჩამორჩეს, არაფერს იკლებს... რამდენი საუკეთესო სურათი მაქვს ნაჩუქარი მილიციის განყოფილების უფროსისთვის, გამომძიებლებისთვის... დიანამ რომ გაიგოს, არ ვიცი, რა მომელის, მაგათ კი ნაღდად ააფეთქებს... ისედაც არ ეხატებიან გულზე.

_ ახლა რა მოხდა?

_ კარგს რას იზამდა. სამი კაცი დაჭრა, მილიციაში ზის. ძველბიჭობაზე დებს თავს, ლაწირაკი... ქსენიას უნდა, ახლაც ფულით გამოიხსნას. მთლად ვერ უშველის, არ იქნება ეგ ამბავი, ხალხი დაჭრა... რამდენიმე წლით მაინც ჩააყუდებენ, მერე რომ გამოვა, უარესს იზამს. მოკლედ, არ არის საშველი. ვითომ ვარდო არ მეყოფოდა, შემიკლა ხელში, ვეღარ აუვედი მაგის ვალებს...

“_ _ წინათ არ იყო ასეთი გულახდილი, ეტყობა, ამოუვიდა ყელში... _ მართლა მეცოდება მისი დების გადამკიდე _ რა ურჯუკი ხასიათი აქვს და დებს კი მაინც ჯობს... _ მათ შესახებ ცუდს არასდროს მეტყოდა ხოლმე, ერთი საყვედური არასდროს დასცდენია, თუმც მაშინაც უმწარებდნენ სიცოცხლეს _ მე ხომ ყველაფერი ვიცოდი, მაინც არაფერს ვაგრძნობინებდი, ქსენიასა და ვარდოზე ძვირი არასდროს წამომცდენია, პირიქით... _ არც ავი და არც კარგი ქვეყნად არ დაიფარება _ შეცვლილია არჩილი: ცხვირი კი ჰქონდა ყოველთვის მოზრდილი (ამ მხრივ დათუნა დაემგვანა), მაგრამ ახლა განსაკუთრებით დიდი მეჩვენება და... რაღაცნაირად გვერდზე მოღრეცილი _ საოცარია, ადრე რატომ არასდროს შემიმჩნევია? _ _”

_ ქალბატონო ია!..

იამ თავი ასწია, გაიღიმა _ მას ხასხასა იასამნების დიდ თაიგულს უწვდიდა იასონი.

_ თქვენ, ჩემო საყვარელო სიდედრო, ჩემი კუთვნილი სკამი დაუკითხავად დაისაკუთრეთ და ამისთვის ამ ყვავილებით გაჯარიმებთ!..

იას გაეცინა, წამოდგა, ჩამოართვა თაიგული და იასონი გადაჰკოცნა.

იასამნის სურნელმა სუფრის ყველა სუნი გადაფარა.

_ ბრძანდებოდეთ, _ უთხრა იასონმა იას, _ მე და ჩემი მშობლები გტოვებთ, შინ მივდივართ... მადლობა დიდი... მოხარული ვარ, კარგი დღე იყო თქვენთვის და ბოლოში კი ცოტა კაეშანი შეგეპარათ, შეგატყვეთ... იასამანს ჯადოსნური თვისება ჰქონია, გაგახალისათ, აწი მეცოდინება თქვენი უგუნებობის წამალი!..

ასეთი მასლაათი გაუბა სიძემ და ია მადლობელი იყო მისი გულისხმიერებისა; დაღლისა თუ ნერვიულობის გამო, ერთხანს მართლაც ცხვირჩამოშვებული იყო...

იასონისა და მისი მშობლების გაცილების შემდეგ ია თავის ადგილს დაუბრუნდა.

_ რაო ბატონმა არჩილმა? _ ჰკითხა გიამ; გამოართვა თაიგული და დათუნას ხელით ანიშნა, ამის ჩასადგმელი რაიმე ჭურჭელი მოიტანეო.

_ მაგის დისშვილი დაუჭერიათ, სროლა აუტეხია და სამი კაცი დაუჭრია.

_ რას ამბობ, იმიტომ გქონდა ისეთი შეწუხებული სახე. ეგ რომელია, ალბათ ქსენიასი, ხომ? ვარდოს...

_ ჰო, ვარდოს ერთი შვილი ჰყავს, ბაკური. ქსენიასაც ჰყოლია ბიჭი, მე არც მახსოვდა, ახლა თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლის ყოფილა. არეული ოჯახია... უფროსი ქალიშვილი ქმარს არის გაცილებული, უკვე კარგა ხანია, ათ წელზე მეტიც იქნება... მეორე ქალიშვილის ამბავი არ ვიცი, ვიცი, რომ გათხოვილია, ყოველ შემთხვევაში, იყო. ვარდოს ამბავი მთელმა ქალაქმა იცის და ალბათ შენც იცი...

_ თუ შეამჩნიე, არჩილი როგორ უხმაუროდ წავიდა, სამადლობელო არც დაულევია... ბაკურმა გააცილა.

_ მართლა? _ იამ გაიხედა და სადაც არჩილი იჯდა, ახლა ცარიელი სკამი დაინახა. _ დიდიმის გარდა, სხვას არ უდღეგრძელებია...

უცებ მთელი დარბაზი ელექტროშუქმა გააჩახჩახა.

დარბაზში მხიარული ყიჟინა და ტაშისცემა გაისმა. ერთი კუთხიდან, სადაც ახალგაზრდები ლხინობდნენ, სტვენაც კი გაისმა.

_ არჩილის წასვლას ელოდნენ? _ გაეცინა იას...

XII. კონტრასტული წყვილადი პორტრეტი
(ძველი ჩანახატი)

ნაკლებად ცნობილ მხატვარ ქალს, ლარისა ბებიაძეს (რომლის ნიჭიც ბევრად მეტ დაფასებას იმსახურებდა), ერთი ხანია, აწვალებდა ჩანაფიქრი: უნდოდა შეექმნა წყვილადი პორტრეტი, ესე იგი, ორი პიროვნების პორტრეტი ერთ სურათში; ამასთანავე, სურდა, ეს ორი ტიპი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ყოფილიყო, ეჩვენებინა მათი დაპირისპირებაც და იმავდროულად _ რაღაცით უნდა

შეევსოთ ერთიმეორე. ქალი და კაცი... მოხუცი და ახალგაზრდა... მაღალი და დაბალი...

ბევრი ვარიანტი მოსინჯა და მიგნებაზე კი _ ნურას უკაცრავად. ეს აღიზიანებდა, ვერც თავი დაანება _ ჯიუტი იყო და სიძნელე იზიდავდა კიდეც.

ბოლოს, თითქოს რაღაცას მიაგნო: ერთი ინტელიგენტია, დახვეწილი, მეორე _ უხეში, მუტრუკი. დაიწყო მუშაობა და მალე მიხვდა, რომ ამჯერადაც არაფერი გამოუვიდოდა _ სურათი სურათი უნდა იყოს, მხატვრობის ენით ლაპარაკობდეს და არა ლიტერატურისა, თხრობა თუ ილუსტრაციულობა ისევ ჩიხში მოამწყვდევდა, სწორხაზოვანი, უსიამოვნო დიდაქტიკის ელფერი დაღუპავდა სურათს. თანაც კომპოზიციურ გადაწყვეტასაც ვერაფრით მიაგნო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან სანამ ჩანაფიქრი საბოლოოდ არ გამოკრისტალდება, კომპოზიცია არასგზით გამოგივა.

ამგვარ ძიებაში რომ იყო, 50 წლის შესრულდა კიდეც.

მარტის ბოლო იყო, ამ დროისთვის უჩვეულოდ წყნარი და თბილი ამინდი დაიჭირა; ვერხვებსა და ალვებზე კვირტები დაიბერა და დასკდა კიდეც; ნუშები და ატმები, შემდეგ კი ალუბლებიც ვარდისფერი და თეთრი ყვავილებით გადაიპენტა.

როგორც ამბობენ ხოლმე, მრგვალი თარიღი შესრულდა და ნათესავ-მეგობრების დაჟინებით, ბანკეტით აღნიშვნა გადაწყვიტა სასტუმრო "კალმახის" რესტორანში.

შეიკრიბნენ უახლოესი მეგობრები და ნათესავები: მხატვრები, ქალიშვილი და სიძე, სიძის მშობლები, მეუღლის ძმა ცოლით, ნაცნობი ხელოვნებათმცოდნე, რომელმაც ერთ დროს დაწერა წერილი მისი პერსონალური გამოფენის შესახებ და მას შემდეგ მეგობრობენ, ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, ბჭობენ სხვადასხვა საკითხებზე. უნდა ყოფილიყო აგრეთვე ოფიციალური პირი _ მხატვართა კავშირის წარმომადგენელი ქალი, რაღაც თანამდებობა რომ ეკავა იქ, მაგრამ არ მობრძანდა.

ეგ არაფერი, უფრო საწყენი ის იყო, რომ არ ჩანდა მისი ყველაზე ახლო მეგობარი _ ირინე ფადიშაჰაძე, მისი კბილა და ისიც მხატვარი, რომელთანაც ერთად აგერ ორ ათეულ წელზე მეტია, დადიოდა ეტიუდებზე, ბევრჯერ ყოფილა შორეულ მოგზაურობებშიც შემოქმედებითი მივლინებით. დღეს კი არ მოვიდა... რატომ? აი, ეს აღელვებდა და აფიქრებდა ლარისას. ნუთუ ამასწინანდელი ჭორის გამო? გავრცელდა ხმა, რომ ლარისას მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება. შეხვდა ძველი მეგობარი _ ირინე _ და არც მისალმებია, ბოღმით მიახალა: "ახლა ალბათ აღარ იკადრებ უბრალო მოკვდავებთან საუბარს!", ჩაიარა და ლარისა გამშრალი, ხმაჩაგდებული დატოვა. შემდეგ, როცა ჭორმა ლარისას ყურამდეც მიაღწია, მიხვდა ირინეს უცნაური ქცევის მიზეზს და გული ეტკინა. იმ ზაფხულს ერთად აღარ წასულან სამუშაოდ, რაც ძალიან დაეტყო ირინეს ნამუშევრებს. ფერში ახლაც, როგორც ყოველთვის, ძალიან კარგი გამოსდიოდა, მაგრამ კომპოზიციური ამორფულობა, უფრო სწორედ _ უსუსურობა, აუფასურებდა სურათებს: კომპოზიცია გააზრებული და მოძებნილი, მოწესრიგებული არ იყო, შემთხვევითობა აქუცმაცებდა მას. წინათ მიუჯდებოდა ხოლმე გვერდით ლარისას და მის კომპოზიციურ მიგნებებს თითქმის უცვლელად, პირდაპირ გადაიტანდა საკუთარი ნა-

მუშევრის შექმნისას; თვითონ ვითომ ეძებდა საინტერესო მოტივს, დიდხანს დადიოდა აქეთ-იქით, მაგრამ ბოლოს მაინც ლარისას გვერდით აღმოჩნდებოდა ხოლმე მოკალათებული. დამახასიათებელი იყო, რომ, თუ ლარისასთვის ნატურაზე მუშაობა ერთ-ერთი ეტაპი იყო სურათის შესაქმნელად (როცა რაიმე არ აკმაყოფილებდა ნატურიდან შექმნილ პეიზაჟში, მერე შინ იწყებდა ძებნას ახალი კომპოზიციური სვლებისა, ფეროვანი ორკესტრირებისა; რამდენიმე ვარიანტსაც ასრულებდა, სანამ დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას მიაღწევდა), ირინესთვის ნატურიდან შესრულებული სურათი საბოლოო იყო, დასრულებული, _ კომპოზიციისა თუ სხვა რამის "გაუმჯობესება" აზრადაც არ მოსდიოდა...

ლარისა ხომ ნაწყენი იყო ირინეზე, ახლა მისი აქ არყოფნა კიდევ უფრო სწყინდა. არადა, ორჯერ დაურეკა, დაჰპატიჟა...

აი, ასეთი ფიქრები აეკვიატა ლარისას, როცა საზეიმო სუფრას უჯდა რესტორან "კალმახის" საბანკეტო დარბაზში და მეგობრების მილოცვებს ისმენდა. ოფიციანტებს მარდად მოჰქონდათ საჭმელ-სასმელი; სუფრის თამადა, ლამაზი, მჭერმეტყველი და ამასთანავე ჩინებული მოქანდაკე კობა ამიდაძე ახალ-ახალ სადღეგრძელოებს სთავაზობდა თანამეინახეთ.

ლარისა თან ყურს უგდებდა სუფრის ხან საერთო, ხან ორ-სამ ადგილას ლოკალურად აღმოცენებულ ლაპარაკს, ამასთანავე გაბოლილი და ხმაურით გადატვირთული დიდი დარბაზის სხვა კუთხეებსაც ათვალიერებდა. საერთოდ, მუდმივ ჩვევად გადაექცა, ყოველთვის ფხიზლად დაკვირვებოდა გარემოს, მხატვრის თვალით შეეფასებინა, თუნდაც ათასჯერ ჰქონოდა ნანახი. ახლა კი, როცა მისთვის საკმაოდ უჩვეულო გარემოში მოხვდა (რესტორანში უკანასკნელად როდის იყო, აღარც ახსოვდა), ხარბად ისრუტავდა ახალ შთაბეჭდილებებს, თუმცა ბევრი რამ ეხამუშებოდა. დარბაზში ისეთი ზრიალი იდგა, ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა: სასტუმროს ბინადარნი _ მივლინებულნი, შოფრები, სხვადასხვა ჯურის გაურკვეველი საქმიანობის გაქექილი ხალხი, ვიღაც ბიჭბუჭები, ხმამაღლა მოკისკისე, ჭარბად დახატულ-დაფერადებულ გოგოებთან ერთად... დანა-ჩანგლის თუ ჭიქა-თეფშის წკრიალს და ლაპარაკ-ზუზუნს დროდადრო ახშობდა ღრიალით ჩართული ორკესტრი. ვინ ცეკვავდა, ვინ ბღაოდა რაღაც სიმღერას, იყო ფიცი-მტკიცი; ერთგან ფეხზე ამდგარნი მღეროდნენ, მეორეგან შემთვრალი ახალგაზრდები უმიზეზოდ მოხითხითე ქალიშვილების გაცნობას ლამობდნენ.

მერე ლარისამ ყურადღება საკუთარი სუფრის წევრებზე გადაიტანა. ყველანი ლაღად გრძნობდნენ თავს, მადიანად ილუკმეზოდნენ, სვამდნენ, ხალისიანად საუბრობდნენ, მხოლოდ ლარისა იჯდა მოწყენილივით. რამდენჯერ გაიფიქრა, რომ აქ ყოფნით ტყუილად კარგავდა დროს, მაგრამ რა ექნა, უნდა მოეთმინა, მეგობარ-ამხანაგების განაწყენება არ შეიძლებოდა _ ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ერთხელ მოიყრება ნახევარი საუკუნისა და ეს თარიღი უნდა აღინიშნოს... ტვინის ერთ კუნჭულში კი მუდმივად ფუთფუთებდა ფიქრი ჯერ დაუწყებელ წყვილად პორტრეტზე...

ლარისამ ყურადღება მიაქცია: მოპირდაპირე მხარის კედელთან ორი კაცი დგას უკვე დიდი ხანია და რაღაცაზე გაცხარებით საუბრობს. რა ისეთი საკითხები ჰქონდათ გადასაჭრელი? არც რომელიმე სუფრაზე სხდებიან და არც რესტორნის მომ-

სახურე პერსონალის წევრები ჩანან... მაინც, ვინ არიან?.. კარგა ხნის თვალთვალის შემდეგ ლარისამ შეამჩნია, რომ ეს ორი პიროვნება საინტერესო კომპოზიციას ჰქმნიდა: ერთი მოსაუბრეთაგანი იდგა მუქ კედელთან და მისი განათებული ფიგურა და სახე ბარელიეფივით ამოზიდული იყო შავ ფონზე. მეორე კი _ თეთრ ფონზე (ვიტრინის დიდ შუშაზე ჩამოფარებული იყო თეთრი ფარდა) მუქ სილუეტად გამოიყოფოდა. ლარისამ თავისი მომავალი სურათის კომპოზიცია "მზამზარეულად" დაინახა და მაშინვე გამოცოცხლდა. სუფრას მიუბრუნდა, რომლისგანაც კარგა ხანს თითქმის გამოთიშული იყო და ხალისიანად ჩაება მის მდინარებაში. ცოტა ღვინოც მოწრუპა.

ქმარმა შეხედა და თვალებით ანიშნა, რას შვები, წნევამ არ შეგაწუხოს მერეო, მაგრამ ლარისას მეტი აღარ დაულევია;ქმარს უღიმოდა, ნურაფერს დარდობო. შთაგონება უხილავ ზვირთად აგორდა მის სულში და თითქოსდა მისდა უნებურად სულ უფრო იკრებდა ძალას _ უკვე იცოდა, რა გზით უნდა ევლო, რომ სურათი გამოსვლოდა. რა თქმა უნდა, ყოველი წვრილმანი ჯერ არ ჩანდა, მხოლოდ ძირითადი კონტური იყო ჩანაფიქრისა მონახული, დანარჩენი მერე, უშუალოდ მუშაობის პროცესში მოვიდოდა. ერთი სული ჰქონდა, როდის აღმოჩნდებოდა შინ, სახელოსნოში, რომ რაც შეიძლება მალე აეღო ხელში ფანქარი და ჯერ გრაფიკულ ჩანახატებში მოენახა კომპოზიციური გადაწყვეტის ვარიანტები.

შუქ-ჩრდილი... რესტორანში დანახული შუქ-ჩრდილი ჩვენი ყოფის, საერთოდ, ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანია, მისი განუყოფელი ატრიბუტია ათაბაბიდან და ასე იქნება ქვეყნიერების დასასრულამდის. ალბათ არც ღირს ახლა ამაზე მაინცდამაინც წუხილი, რადგან რას უშველი ვაი-ვიშით? ამ ამბავს ფილოსოფიურად უნდა შეხედო და კარგიც დაინახო მასში: შუქ-ჩრდილი გაგრძნობინებს ცხოვრების გემოს, ყველაფერს დაგანახვებს მოცულობრივად, კონტრასტულად, მთელი სიგრძე-სიგანით. დიახ, შუქ-ჩრდილი, ტკბილ-მწარე, კონტრასტული დაპირისპირებაა, გემოს რომ აძლევს ყველაფერს. აგერ მის წინაა ცოცხალი მაგალითი: მისი თანაკურსელი, შესანიშნავი პიროვნება _ გერონტი, ყველა რომ ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა, ლოთობამ დააკნინა, დააჩაჩანაკა და მის ნიჭს გაფურჩქვნის საშუალება მოუსპო. რა დარჩება ქართული მხატვრობის საგანძურში მისი შემოქმედებიდან? სტუდენტობის ჟამს შექმნილი მართლაც საინტერესო რამდენიმე ტილო. თითქმის არაფერი... აი, ახლაც სულ რამდენიმე ჭიქა ღვინო დალია და მაშინვე თითქოს გამოითიშა, მისთვის შუქ-ჩრდილი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ერთი მდგომარეობა, სხვას ვეღარ იტანს...

წყვილად პორტრეტში _ მუქ ფონზე ვინც იქნება, თეთრი ტანსაცმელი ეცმევა, ღია ფერის ფონზე მყოფს _ მუქი... ვიტრინის შუშის იქით გამოჩნდება ქუჩა ნაირფერი მანქანებით; ხალხი მიმოდის; იქნება ნატურმორტიც _ ვიტრინის ყვავილები...

ლარისამ ინანა, რატომ ამჯერად თან არ მაქვს ჩემი განუყრელი სახატავი რვეული. გამოსავალი მოძებნა _ პასტიანი კალმისტარი მეზობლად მჯდომ ძველ მეგობარს, მხატვარ გიორგის გამოართვა და ქაღალდის ხელსახოცზე დაიწყო ჩანახატის კეთება. სწრაფად მუშაობდა, ფრიად სიამოვნებდა ხატვის პროცესი და უნებურად მის სახეზე დაძაბული და კმაყოფილი ღიმილი კიაფობდა.

_ თუ შეიძლება, ერთი წუთით შევხედავ! _ გამოართვა ჩანახატიანი ხელსახოცი გიორგიმ ლარისას და ფრიადაც განაცვიფრა, განაცხადა:

_ აი, რას ნიშნავს ნიჭი! ხომ უბრალოდაა ყველაფერი გადაწყვეტილი და ლაკონიურობით, ერთგვარი ასკეტიზმითაც კი, რა გამომსახველობაა მიღწეული... ძალიან, ძალიან მომწონს. მაპატიეთ, ცოტა უხეშად თუ გამომივა, მაგრამ ეს ჩანახატი უნდა წაგართვათ, სამახსოვროდ ვიტოვებ _ ჩარჩოში ჩავსვამ და საპატიო ადგილს მივუჩენ ჩემს კოლექციაში!..

12. "ხელოვნებაა ჩვენი სულის პური!"

დათუნამ იასამნებით სავსე დიდი ლარნაკი იას წინ, მაგიდაზე დადგა.

_ ყოჩაღ, დათუნა! _ თქვა გიამ, _ ნეტავ ასე მალე სად იშოვა ასეთი ლამაზი ლარნაკი? ია, შეამჩნიე? იასამნები ყვავილიან-ფოთლებიანად წყალში დაუსველებია: თან მტვერი გადარეცხა, თან გააცოცხლა თვითონ მცენარეებიც და მათი ფერიც... ყოჩაღ!

_ ალღოიანი ბიჭია, _ თქვა იამ, _ მეგონა, ცხოვრება გათელავდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯიუტი გამოდგა...

"_ _ კესანეც ალღოიანია, ოღონდ ძმისგან განსხვავებული... _ თავიდანვე ალღო აუღო ცხოვრებას... _ არასდროს არაფერი შეეშლება, ქვიდან წვენს გამოადენს _ მე არ მინდა ამგვარი ალღო, ამგვარი "ბედნიერება": ცხოვრებაში ერთი მიზანი მქონდეს, სად რას გამოვრჩე... _ _"

თითქოს დენის მოსვლას ელოდნენო, ქალებმა _ ირმამ, ქეთინომ და ესმამ _ ცხარე კამათი გამართეს; ელენე ღიმილით უყურებდა მათ და ხმას არ იღებდა.

_ ...ქართველი კაცი ეგეთია: როგორც კი თანამდებობას მიაღწევს ან სახელს მოიხვეჭს, მაშინვე ცოლს უნდა გაეყაროს _ "აღარ შეეფერება"! ახალ ცოლს ირთავს, უფრო "მაღალი დონის", _ ამბობდა ირმა.

_ კაცებს ჭკუა ვინ მისცა! _ ადასტურებდა ესმა.

_ აბა, მარტო თქვენა გაქვთ ჭკუა? _ ჩამქრალი პაპიროსის ანთება დავიწყებია ქეთინოს. _ კაცი და ქალი რამ გაყო, ქალი ცოტა გინახავთ შტერი?

"_ _ გააჩნია, ვინ რა თვალით შეხედავს, როგორ შეაფასებს... _ კესანეს ალბათ მიაჩნია, რომ მე ნამდვილად შტერი ვარ, ამ ხნის ქალი გათხოვებას ვაპირებ... _ მე, მაგალითად, ვერაფრით შევგუებულვარ კესანეს უკიდურეს წუწურაქობას... _ ქალების დავაში რომ ჩაერიო ახლა, ორივე მხარე შენ შემოგიტრიალდება და... _ ელენე ჭკვიანია, რა წყნარად ზის _ საქმე გამოელიათ? ილაპარაკონ ხელოვნებაზე, მხატვრები არ არიან? _ სიამოვნებთ თვით დავის პროცესი, ენის ფხანა... _ როგორც მე მსიამოვნებს სურათზე ფიქრი... _ დაცალცალკევდა სუფრა, რამდენიმე ჯგუფად დაიშალა _ დიდიმს თითქმის დაავიწყდა თამადობა, მუსაიფობს გვარამთან... _ ძნელია ქალთა სუფრაზე თამადობა! _ დაიღალნენ ყველანი, ხალისი დაიკარგა _ ქალები ცალკე ბჭობენ, კაცები ცალკე... _ _"

გია: _ ალბათ დაშლის დროა, ძნელი იყო შენთვის ეს დღე, დაიღალე...

ია: _ შენთვისაც... რომელი საათია?

გია: _ ათის ნახევარია. ბიჭებიც ცოდოები არიან. რა ბრწყინვალე ყმაწვილია ბაკური!

ია: _ მიკვირს სწორედ, ვარდოს შვილი თუა, არ მგონია.

გია: _ როგორ გაზარდა ასეთი?

ია: _ ბედნიერებაც ისაა, რომ არ გაუზრდია, მაგისთვის სად ეცალა.

გია: _ ბედნიერი ქალი ხარ, სიძეც მშვენიერი გყავს...

ია ლარნაკში ჩადგმულ იასამნების თაიგულს უყურებს. ახსენდება: ამ დილით გიას მიერ მირთმეული ვარდების თაიგული.

"_ _ ნატურმორტი, კლასიკური ნატურმორტი რომ გავაკეთო? _ აქეთ _ ყვითელი ან თეთრი ვარდების თაიგული მაღალ (თუ დაბალ?) ლარნაკში, იქით _ იასამნების თაიგული ასევე ლარნაკში (თუ წითელი, მუქი წითელი ვარდები?)... _ ამ ორ ჯგუფს ყვავილებისა გაერთიანება უნდა _ "ხიდად" რა გამოვიყენო? _ მაგიდაზე შეიძლება კიდევ სხვადასხვა ნივთები იყოს განლაგებული _ საზეიმო სუფრაა? თუ ჩვეულებრივი, საყოველდღეო? _ ვარიანტები... _ თუ პირობითი ხასიათის გარემოცვა? _ შეიძლება, სუფრასთან ისხდნენ ქალი და კაცი! _ შუაში, მათ შორის, ბავშვი?.. _ თუ ორივე კაცი იყოს?.. _ უამრავი ვარიანტია გადასამუშავებელი, უამრავი _ ფეროვანი გადაწყვეტის ვარიანტები, პლასტიკური მოდელირების ხასიათის ვარიანტებიც... _ _"

დიდიმ და გვარამ საუბრობენ...

დიდიმ: _ ბედია ყველაფერი...

გვარამ: _ ბედი? ბედიც და... ფულიც! დაბადებიდან სიკვდილის კარამდე _ ყველგან კაცი გჭირდება: საავადმყოფოში _ თუ კარგად არ მოგიარეს ღლაპს, დროზე ადრე გაემგზავრები საიქიოს; საბავშვო ბაღში _ ჯერ ხომ იქ მოწყობაა დიდი პრობლემა, მერე _ თუ მომვლელებს მშობლები არ სცემენ პატივს,

სულ ჩაფსმული ივლი და გაცივებული, მშიერიც, რა თქმა უნდა... სკოლაში, სულ რომ ვარსკვლავებს წყვეტდე ციდან, თუ დირექტორს წინდაწინ ძღვენი არ მიართვი, ოქროს მედალს ვერ მიეკარები და ვერც ვერცხლისას, მე მგონი; უმაღლესში თუ მოხვდი "ჩაწყობის" გარეშე, ცოტა ამოისუნთქავენ მშობლები, იქ უფრო მაჩანჩალა სტუდენტებზე "ნადირობენ": თუ ჩაიჭერი ან სტიპენდიის დანიშვნა გინდა... მერე სამუშაოზე მოწყობა _ კარდინალური საკითხია, ნაცნობობის გარეშე არაფერი გამოგივა... როცა დაოჯახდები, ბინა ხომ გინდა _ ოცნებაა; უნდა მთელი ნათესავ-მეგობრები ჩარიო საქმეში, მთლად უკეთესი იქნება, თუ ფულს ჩარევ _ ნაღდი ფული ნაღდი წარმატების საწინდარია!.. მფარველი თუ არ გეყოლა, სამსახურში ერთ ადგილზე გაიყინები, დისერტაციის დაცვას განიზრახავ _ თემასაც არავინ დაგიმტკიცებს თუ არ გაძვერ-გამოძვერი... არადა, ხედავ, შენს ფრჩხილადაც რომ არ ღირს, უკვე მზად არის, სადოქტორო ხარისხსაც გამოჰკრას ხელი... წყალწყალა მონოგრაფიებს პანტიპუნტით აცხობს.

დიდიმ: _ გავაგრძელებ... იუბილეს ჩაწყობა-მოწყობა გამოვტოვოთ, თავისი მისასალმებელი წერილებით ჟურნალ-გაზეთებში და სიტყვებით რადიო-ტელევიზიაში, პირდაპირ სამწუხარო ამბებზე გადავიდეთ... შენი ნეკროლოგის გამოქვეყნება შენი მეგობრების მარიფათზე და მონდომებაზეა დამოკიდებული _ მისი ზომა, წონა და ადგილი... ასევე შენი საფლავის ადგილი, მისი გაფორმების დონე და

იმ ადგილიდან გადაშლილი ლამაზი ხედი _ შენი ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობაზე... მხატვრობას რომ ჩამოვცილდი, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი: სულ ინტრიგები, სახელისა და გავლენისთვის ბრძოლა, ამბიციურობასთან შეჯახება... ყოველ ფეხის ნაბიჯზე წინააღმდეგობას აწყდები, დაპირისპირება ან გულგრილობა მაინც უნდა გადალახო... მე კი, მართალი გითხრა, მხოლოდ ერთ დაპირისპირებას ვცნობ: ცარიელი ჭიქისა სავსე სასმისთან... ეს წინააღმდეგობა ადვილი გადასაჭრელია: "მერიქიფევ, დაასხი!"

"_ _ საოცარია, ხალხი წინდაწინ ფიქრობს და ითვალისწინებს, როგორი ხედი გადაიშლება მისი დასაფლავების ადგილიდან... _ არ არის აუცილებელი, ჩამავალი მზით დაფერილი ხედი ლამაზად ჩანდეს ან მაღალი ქედის დათოვლილი მწვერვალები _ სილამაზე ყველგანაა, ოღონდ დანახვა უნდა... _ შეხედე, მოინდომე და დაინახავ: შენი ჩვეულებრივი ქუჩა რა მშვენიერია _ ან გაიხედე ფანჯარაში: რაც გინდა ჩანდეს, თუნდაც მეზობელი სახლის აგურის ყრუ კედელი, მაინც შეიძლება სილამაზის დანახვა... _ პეიზაჟი... _ ეტყობა, ბუნებრივი მიდრეკილება მაქვს პეიზაჟისტობისადმი _ ბევრი სხვა რამეც მაინტერესებს და მინდა, ძალები მოვსინჯო _ ძალიან ცნობისმოყვარე ვარ, ყველაფერს მინდა, გემო გავუგო, მაგრამ მთავარი ჩემთვის ყოველთვის პეიზაჟი იქნება _ მსურს, ჩემი საქმე ვაკეთო, თავფეხიანად მასში ვიყო ჩაფლული და ხელი არაფერმა შემიშალოს... _ ნატურმორტი?.. პორტრეტი?.. _ პორტრეტი მიჭირს... _ გინდა თუ არა, უპირველესად მსგავსებას უნდა მიაღწიო, სულ ამაზე ვფიქრობ და ეს მბოჭავს _ ჩემგან განსხვავებით, ზოგს ბუნებით აქვს ბოძებული უნარი: სრულიად დაუძაბავად, თითქოს თავისთავად აღწევს მსგავსებას _ მე ბევრი წვალება მიწევს ამისთვის და იქნებ სწორედ ამიტომ მიტაცებს: წინააღმდეგობის გადალახვა ტანჯვასთან ერთად დიდსიამოვნებას მანიჭებს _ თუკი, ცხადია, სხვა მხრივაც წარმატებულია პორტრეტი _ პეიზაჟის შექმნის დროს კი მე ბუნება მხოლოდ პირველად ბიძგს მაძლევს, მერე კი თავისუფალი ვარ _ შემიძლია, სრულიად მივენდო ჩემს ფანტაზიას და გემოვნებას... _ არაფერი მიშლის ხელს, ასოციაციურ "თამაშს" გავყვე _ ხანდახან სურვილი მომივლის: წიგნი ხომ არ დავწერო ჩემს მუშაობაზე? ეს ალბათ უპირველესად მე თვითონ მჭირდება, გააზრება და ჩაწერა დისციპლინირებულს გხდის, გეხმარება, მეტი წარმატების მისაღწევად... _ შევძლებ? _ ვცდი... _ "ფანტაზიური რეალიზმი": რეალობა, ბუნება და მისი "გადადნობით" განხორციელებული სურათი: ინდივიდუალური, თვითმყოფი ხედვით და, შესაბამისად, სტილისტურადაც... _ ურთიერთდამოკიდებულება ჩემს წინ აღმართულ საინტერესო ხედსა და შემდგომ ტილოზე დაბადებულ სურათს შორის რთულია, მრავალმხრივი _ ნატურა ერთია და სურათი კი, ამ კონკრეტული ხედით შთაგონებული, ათასი და მეტი შეიძლება იყოს, ყველა თავისებური _ სურათს ვაქსოვთ იმაზე ნაკლებს და იმაზე მეტს, რაც ჩანს და შეიძლება აღიქვა _ ბუნება ამოუწურავია, მას ფორმებისა და ფერების სიმდიდრეში ვერ შეეჯიბრები, უეჭველად დამარცხდები: სურათი უსიცოცხლო, "მკვდარი" გამოვა _ ცხადია, სურათში ნაკლებს ვდებ ხილულზე: ვარჩევ, ჩემი აზრით, მთავარს; მეორე მხრივ კი, მეტსაც ვდებ, რადგან ვაქსოვ ჩემს სულს, გრძნობას, განწყობას, ფიქრს... აღტაცებას იმით, რომ ასეთი ადგილი არსებობს, მე შემიძლია, მისი ხილვით გავიხარო და ეს სიხარული ტილოზეც გადავიტანო _ დიდხანს მიმყვება ეს სიხარული,

ამითაც ვარ ბედნიერი და შემიძლია, ეტიუდის საფუძველზე შემდგომ სურათი შევქმნა სახელოსნოში _ დიდ ან თუნდაც საშუალო სიდიდის პეიზაჟს პლენერზე ვერ ვქმნი, ამისთვის მე ბევრი დრო მჭირდება თუნდაც გასააზრებლად და ერთ სეანსში ვერ ვამთავრებ... _ მეორედ რომ მიხვიდე იმავე ადგილზე, სულ სხვა პეიზაჟი დაგხვდება: შეცვლილია ამინდი, განათება, ღრუბლები და სხვა; დღის განმავლობაშიც კი ყველაფერი იცვლება... _ რაც მთავარია, ჩემი განწყობა არის განსხვავებული _ ამიტომ ვცდილობ, შინ მალე მივიდე და სურათის დამთავრებას ჩავუჯდე ან, თუ ეტიუდი გავაკეთე, მის საფუძველზე უფრო მოზრდილი სურათის შექმნას, სანამ ნატურაზე მიღებული შთაბეჭდილება არ გაფერმკრთალებულა _ ამიტომ განვიცდი მტკივნეულად, როცა სხვა რაიმე საქმეა გასაკეთებელი, ათასი საყოფაცხოვრებო წვრილმანი მაღიზიანებს... _ ხშირად პურის ნატეხითა და ჭიქა ჩაით ვკმაყოფილდები, ოღონდ მუშაობაში ხელი არ შემეშალოს... _ ბევრი ამას ვერ მიგებს, საკუთარი შვილიც კი _ კესანეს ჰგონია,, სურათის შექმნა თამაშ-თამაშ შეიძლება... _ არიან ასეთი ყაიდის მხატვრებიც, მე სხვაგვარი ვარ _ თუ გინდა, ნამდვილი სურათი გამოგივიდეს, კიდევ ერთი ლამაზი ხატი დაიბადოს, უნდა შეძლო, ბევრი სირთულე და ტკივილიც გადალახო... _ ძნელია ამის მიღწევა: ბევრი ქაოსია ირგვლივ, ადამიანთა მრავალსახეობა, ნაირგვარ ინტერესთა შეჯახება _ იძულებული ხარ, ყველასა და ყველაფერს ანგარიში გაუწიო და ზოგჯერ ძალაუნებურად მხარიც აუბა _ ამით ხშირად საკუთარ მეობას ჰკარგავ, საკუთარ თავს ღალატობ! _ აი, დღეს რამდენი რამ მქონდა გასაკეთებელი და გამოტყვრა: გამოფენა, ბანკეტი... _ ათასი ფიქრი, საუბარი სხვადასხვა რამეზე, წოწიალი აქეთ-იქით... _ ალბათ ესეც საჭიროა, მაგრამ მე მერჩივნა, კიდევ ერთი სურათი შემექმნა: ეს გამიხარდებოდა ყველაზე უფრო, ყველაზე უფრო ეს მესიამოვნებოდა... _ კიდევ კარგი, გამოვიმუშავე უნარი, ხელის შემშლელი გარემოების მიუხედავად, “ფუჭი” დროც ჩემი შემოქმედებისთვის სასიკეთოდ გამოვიყენო _ უნდა მარად დადარაჯებული იყო, თავისით ხომ არაფერი მოდის _ აი, დღეს რამდენიმე სურათის იდეა დამებადა... _ ამ ჩემთვის სრულიად უინტერესო ბანკეტიდანაც შევძელი, სარგებელი “გამომედნო” _ ერთი: ნატურმორტი; მეორე: ნატურმორტი პლუს პორტრეტი, უფრო სწორედ, წყვილადი პორტრეტი, კიდევ უფრო ზუსტად _ წყვილადი პორტრეტი ნატურმორტის ელემენტებით... _ პორტრეტი არჩილის სტიქიაა... _ წყვილადი პორტრეტი, შესაძლოა, უფრო რთული შესაქმნელია, ვიდრე ერთი პიროვნების პორტრეტი, მეორეს მხრივ, უფრო იოლიც: “სიღრმის” მაგივრად “სიგანეში” შეგიძლია წახვიდე და შენი გაუბედაობა თუ ოსტატობის უკმარობა შენიღბო “თამაშით”: სიუჟეტით, დაპირისპირებით თუ სხვა “მომგებიანი” სვლებით... _ წარმატების მისაღწევად უამრავი გზა არსებობს, არც ერთი არ არის დასაწუნი, თუკი სურათი საინტერესო გამოვა _ რთულია ცხოვრება! _ ყველგან დაპირისპირება, წინააღმდეგობრიობა... _ ხელოვანი და ხელოსანი, ხორციელი და სულიერი... _ წყვილად პორტრეტს ბევრი ფიქრი დასჭირდება, ჩემთვის უცნობი კონტინენტია _ ჩვენ აქ ახლა ვქეიფობთ, სადღაც კი გლოვობენ, ჭირის სუფრაა გაშლილი... _ რა საზარელი ცნებაა: “ჭირის სუფრა”... _ გლოვას სუფრა და გემრიელად ჭამა-სმა არ უხდება, რატომ შემოგვრჩა აქამდე ეს, ჩემი აზრით, ამაზრზენი ჩვეულება? _ არც არავინ იღებს ხმას მის წინააღმდეგ... _ იქნებ ეს ორი შეუთავსებელი ცნება _ “გლოვა” და “სუფრა”

_ იმიტომ არიან ერთად, რომ საჭირონი და აუცილებელნიც არიან ერთმანეთისთვის? _ დაპირისპირებული ცნებების დიალექტიკური ერთიანობა: ქალი _ კაცი, დღე _ ღამე, ნათელი _ ბნელი, სიკეთე _ ბოროტება, სიმდიდრე _ სიღარიბე... _ ბრძოლა-დუღილის გარეშე ალბათ უფერული იქნებოდა ცხოვრება, არც პროგრესი და წინსვლა არსებობს წინააღმდეგობრიობის გარეშე... _ დიდიმი რაღაც სადღეგრძელოს ამბობს... _ აღარავინ უსმენს, გარდა გვარამისა, ეტყობა, დისციპლინა და მოვალეობის გრძნობა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი... _ ამიტომაც ასწრებს ბევრს, ღმერთმა ხელი მოუმართოს _ საერთოდ, დიდად ნიჭიერი კაცი ჩანს: პროზა ხომ მისი სტიქიაა, პროფესიონალ ხელოვნებათმცოდნეებიდანაც ბევრი ვერ შეედრება, მისი შექმნილი პეიზაჟებიც ძალიან მომეწონა: ეტყობა არაპროფესიონალის ხელი, ერთგვარი გაუბედაობა ფუნჯისა პლუს დიდი გემოვნება პლუს უშუალობა, მშვენიერი ნამუშევრებია! _ თვით ამბობს, სურათებს მხოლოდ იმიტომ ვხატავ, მინდა, მხატვრების განცდები შიგნიდან შევიცნოო, მაგრამ ნიჭი მაინც "ვერ დაფარა"! _ დიდი შედეგის მისაღწევად კი მაინც სრული პროფესიული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდო ამ საქმეს, ყველაფერი სხვა უკანა პლანზე უნდა დააყენო... _ ჩემი "წყვილადი პორტრეტისთვის" უკანა პლანზე რა მოვიფიქრო? _ მე ნატურიდან იმიტომ ვხატავ, რომ უკეთ დანახვა ვისწავლო, ხედვა ვისწავლო და არა მხოლოდ ეს, კიდევ ბევრი რამ _ ნატურაზე ყოველდღიური მუშაობა პლუს ფანტაზია, ანალიზი, გააზრება _ ეს არის აუცილებელი: ყოველდღიური სწავლა, სწავლა, სწავლა სიცოცხლის ბოლომდე! _ ეს დიდი შრომაცაა, მაგრამ სრულებით არ მიმძიმს, პირიქით, ძალიან მსიამოვნებს! _ მსიამოვნებს იმის შეგრძნებაც, რომ ვმდიდრდები, ვიზრდები: უკეთ ვხედავ, მეტს ვამჩნევ, უფრო ღრმადაც და ამიტომ მეტის გაკეთება შემიძლია და უკეთესადაც ვახერხებ... _ ამაზე მეტი სიხარული ჩემთვის რაღა შეიძლება იყოს! _ და საკუთარ თავს ხშირად ვაქებ გუნებაში: "ყოჩაღ, ქალო! თურმე რა შეგძლებია, ადრე ამის წარმოდგენაც კი გაგიჭირდებოდა!" _ _"

გიას ხმა ჩაესმა:

_ ია, რაღაც კარგი გაგახსენდა ალბათ, სულ გაბადრული სახე გაქვს; სადღაც შორს, ძალიან შორს ფრინავდი?

_ რა ვიცი, ათასგვარი აზრი მიტრიალებდა თავში, ხან _ სამწუხარო, ხან _ სასიამოვნო... ვცდილობ, უფრო კეთილ ამბებზე ვიფიქრო, მაშინ საქმეც უფრო ხალისიანად კეთდება, უკეთესადაც გამოგდის. ახლა ერთ სურათზე ვფიქრობდი, მსგავსის გაკეთება მე ჯერ არ მიცდია... აი, ნახე...

და იამ ქაღალდის ხელსახოცზე დაიწყო მომავალი სურათის კომპოზიციური სქემის გამოსახვა პასტიანი კალმისტრით: ცალ მხარეს _ ქალი თაიგულით ხელში, მეორე მხარეს _ კაცი, ისიც თაიგულით... უეცრად, ამ წამს მოუვიდა აზრად ეს კომპოზიცია, როგორც კი კალამი შეახო ქაღალდს _ მაშინვე საიდანღაც ამოტივტივდა... მამა და დედინაცვალი? დიდიმ დიმპიტაური და მისი ცოლი?..

_ გამოვა რამე? _ ჰკითხა გიას.

_ რასაკვირველია, ეჭვიც არ მეპარება!.. შენ თუ რამე ჩაიფიქრე, სანამ არ გამოგივა, არ შეეშვები... გვარამ ვარამაისძეს, ვატყობ, ერთი სული აქვს, მოვიდეს და დახედოს შენს ნამოღვაწარს _ სულ აქეთ იყურება, დიდიმთან საუბარიც კი შეწყვიტა.

_ ამაზე უფრო საინტერესო გამოილია? _ დაირცხვინა იამ და თავი ასწია, ირგვლივ მიმოიხედა.

დიდი საბანკეტო დარბაზი ფუტკრების გაღიზიანებულ სკასავით ზუზუნებდა. რა ჭრელი საზოგადოებაა შეყრილი ამ არცთუ მაღალი რანგის რესტორანში: სტუდენტები, ხელმოკლე შეყვარებულნი, სარეისო ავტობუსების შოფრები და სხვები; გაურკვეველი საქმიანობის შუახნის კაცები ჭარბად დახატულ-დაფერადებულ, გამომწვევად ჩაცმულ ლამაზმანებთან ცეკვავენ... ყველაფერი მობეზრდა უკვე იას და ყველაფერი აღიზიანებს _ ორკესტრის ვულგარული, დამთრგუნველი, ჭიჭყინა ხმა, თამბაქოს ბოლით გაჯერებული ჰაერი თვალებს სწვავს, სუნთქვაც ჭირს; ხმაურსა და აურზაურში აქეთ-იქით მარჯვედ დასრიალებენ ოფიციანტები... ნეტავ დროზე დამთავრდეს ეს ბანკეტია თუ ჯვარცმა...

შუქ-ჩრდილი ყველგანაა და ყოველთვის: საყოველთაო უზრუნველ დროსტარებაში ორი შუახნის კაცი მიმდგარა კედელთან და ხელების შლით ერთმანეთს გაცხარებით რაღაცას უმტკიცებს... რა ვერ გაიყვეს? მოქეიფეთ არ ჰგვანან, არც რესტორნის პერსონალიდან უნდა იყვნენ, მაშ ვინ არიან?.. ყურადღება გვიან მიაქცია: სცენის პლასტიკური ხატი, მეტად ორიგინალური და შთამბეჭდავი იყო! მარცხნივ მდგომს მუქი შარვალ-პიჯაკი ეცვა და კონტრასტულად გამოიყურებოდა გაჩირაღდნებული ღია ფერის კედლის ფონზე; მარჯვნივ მდგომს კი თეთრი სამოსი ეცვა და ისიც რელიეფურად იყო გამოკვეთილი მუქ ფონზე _ რატომღაც სქელი ფარდის ჩამოფარება დავიწყებოდათ და უზარმაზარი ვიტრინის შუშის უკან ღამის ქუჩა ჩამუქებულიყო, ავტომანქანების მოციალე სინათლეებით და აჩრდილებივით გამვლელ-გამომვლელით... თუ უნდოდათ, მუშტარი მოეზიდათ ქუჩიდან გაჩახჩახებულ დარბაზში მოქეიფეთა ხილვით?

იას უაზრობად, დროის ფუჭ ფლანგვად მიაჩნია აქ ყოფნა, ყველაფერი აღიზიანებს: დარბაზში სულ უფრო ხურდება ლხინი და დროსტარება; ორკესტრი თითქმის განუწყვეტლივ ღრიალებს, მოცეკვავეთა ფეხების ფლასტუნი, სიცილი და ზოგან _ არეული სიმღერაც... ერთგან შემთვრალი ახალგაზრდების გაწევ-გამოწევაა, მეორეგან _ უმიზეზოდ აკისკისებული ქალიშვილები თავპატიჟს იდებენ, ჯერ ცეკვა ადრეაო...

მაგრამ იას უკვე აღარაფერი ესმის და ვეღარაფერს ხედავს: მზამზარეული კომპოზიცია აღმოაჩინა! ჩანთიდან ისევ შავი პასტის კალამი ამოიღო, ქაღალდის ხელსახოცი გაშალა და გულდაგულ დაიწყო ახალი ჩანახატის კეთება... კომპოზიციას ნელ-ნელა ავსებდა, მაგრამ მეტისმეტად დეტალიზაციას და დაწვრილმანებას გაურბოდა _ იცოდა, ეს მხოლოდ პირველი მონახაზი იყო, ბევრი რამ შემდგომი გააზრების პროცესში შეიცვლებოდა _ ორი მოპაექრე კაცი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ორი პიროვნება ურთიერთდაპირისპირებულიც უნდა იყვნენ, მაგრამ იმავდროულად რაღაცით უნდა შეავსონ ერთმანეთი... კომპოზიციის ერთგვარი პირობითობა ამოცანას ძნელად გადასაწყვეტს ხდის _ ამგვარი მიდგომა მისთვის ახალია, უჩვეულოა. სიძნელე ზოგს აფრთხობს და თრგუნავს, მას კი აღაგზნებს და ხალისს მატებს!. რას იტყვის ამჯერად გია?

_ მშვენიერია! თქვენგან გვარიანი გრაფიკოსი დადგებოდა!

იამ აიხედა _ თავს გვარამ ვარამაისძე დასდგომია და კეთილი ღიმილით დასჩერებია მის ჩანახატს.

_ მართლა მოგწონთ?

_ ქაღალდის ეს ფურცელი თამამად შეიძლება, მუყაოზე დააკრა და პირდაპირ ჩარჩოში ჩასვა!.. ჯერ, რასაკვირველია, დასჭირდება უთოთი გასწორება ნაკეცის მოსასპობად და ჩარჩო კი აუცილებლად შუშიანი უნდა იყოს... ერთი არის საწყენი _ უკეთეს მასალაზე უნდა შეგექმნათ!

_ მაშინ, შესაძლოა, არც გამოსვლოდა ასეთი, _ თქვა გიამ, _ მე ისე ვარ მიჩვეული უბრალო მასალებს, თუ კარგი ხარისხის ვატმანის ქაღალდი შემხვდა, ცუდი ნამუშევარი გამომდის... ალბათ იმიტომ, რომ შებოჭილი ვარ, მეშინია, არ გავაფუჭო.

_ რა თქმა უნდა, თავისუფალი უნდა იყო, განბორკილი, ისე ხეირიანს ვერაფერს შექმნი, _ ეთანხმება გვარამ ვარამაისძე.

_ ეს ჩანახატი თქვენია! _ იამ ფურცელი გაუწოდა გვარამს.

_ როგორ გეკადრებათ! ეგ ხომ, ვატყობ, მომავალი დიდი სურათის ესკიზია...

_ არა უშავს, შინ სხვას გავაკეთებ; იდეა მკვიდრად ზის ჩემში, თანაც უფრო თავისუფალი ვიქნები ზეპირად მუშაობისას.

_ რაღამც ასეა... გთხოვთ, თარიღი დაუსვათ და ხელიც მოაწეროთ. მხატვრები, _ ეს თქვენ არ გეხებათ, ქალბატონი ია, _ უმეტესწილად საოცრად დაუდევრები არიან, არ აფასებენ და არ უფრთხილდებიან ამგვარ მოსამზადებელ ესკიზებს, ჩანახატებს, სადღაც მიაკარგავენ ან სულაც გადააგდებენ... ბევრი მათგანი კი ნამდვილი შედევრია, მიუხედავად უპრეტენზიულობისა და ხშირად შემთხვევით ხელში მოხვედრილ, უხარისხო მასალაზე შესრულებისა... უღრმესი მადლობა, დიდი საჩუქარი მიძღვენით! ისე, მართალი მოგახსენოთ, ამ ქაღალდის ხელსახოცს ისეთი უსწორმასწორო ფაქტურა აქვს, ნაჭდევებით გაკეთებული ხლართები, რომ ეს თავისებურ მომხიბვლელობასაც ანიჭებს ჩანახატს... იქნებ არც ღირდეს გაუთოვება, მხოლოდ ნაკეცებს გავასწორებ.

გვარამი თავის ადგილს დაუბრუნდა, დანუყრელი დიდი პორტფელი გახსნა და ახალი შენაძენი ფრთხილად ჩადო სხვა ქაღალდებს შორის.

_ გვარამ მშვენივრად არის, ჩემსავით ორ ჭიქაზე მეტი არ დაულევია, _ თქვა გიამ, _ შენი სიძე კარგა გვარიანად შეჭიკჭიკდა, ჩვენს თამადას კი ყველაზე მეტად მოეკიდა ღვინო... წვეთს არ ტოვებს.

_ ეტყობა, დიდიმს ცოტა ღვინოც ჰყოფნის, _ უპასუხა იამ. _ კიდევ კარგი, ახალ სადღეგრძელოებს აღარ ამბობს...

_ დრო ხომ არ არის, დავიშალოთ? _ ჰკითხა გიამ. _ მოდი, დიდიმს უფლებას ვთხოვ, ერთი სადღეგრძელო მაჩუქოს... ბატონო თამადა, შეიძლება, ერთი სადღეგრძელო მე გადმომილოცოთ?

_ არავითარ შემთხვევაში! _ მაშინვე ფეხზე წამოდგა დიდიმ დიმპიტაური. _ მე ბოდიშს ვიხდი სუფრის წინაშე, რომ სიმტკიცე ვერ გამოვიჩინე და, ასე ვთქვათ, რკინის ხელით არ წარვმართე ჩვენი ლხინი... ნუ გგონიათ, რომ დავთვერი და დავთრები ამერია... არა. აქ ჩვენ ყველანი ერთი ყაიდის ხალხი ვართ, ძალიან კარგი ადამიანის და ძალიან კარგი მხატვრის საპატივცემულოდ შევიკრიბეთ, სიყვა-

რულმა და პატივისცემამ გაგვაერთიანა... უმეტესობა ჩვენი მშვენიერი და საყვარელი მანდილოსნები გახლავან და მე მინდოდა, ყველას ლაღად გეგრძნოთ თავი... ყოველდღიურობა ისედაც სულს გვიხუთავს და ეს ერთი საღამო მაინც გავატაროთ საკუთარ გემოზე, ვისაც როგორ გაუხარდება... თავისუფლება ყველაზე დიდი სიკეთეა და მე ვერ შეგზღუდავთ... გინდათ _ დალიეთ, თუ არა, მაშინ ლიმონათი მიირთვით.... ჰო, იმის თქმა მინდოდა... ბევრი სადღეგრძელო გამოვტოვე ან გამომრჩა, ბევრი ძვირფასი სადღეგრძელო; არც ამაზე დამძრახავთ ალბათ... ერთი კი აუცილებლად უნდა ვთქვა, სანამ ჩემს ძმას, გიას, მივცემდე სადღეგრძელოს თქმის უფლებას... დიახ, ხელოვნებას გაუმარჯოს, ხელოვნებას ვადღეგრძელებ, ურომლისოდაც ადამიანი ადამიანი აღარაა... ხელოვნებაა ჩვენი სულის პური და თქვენ კი ხართ ის პიროვნებები, რომლებიც ამ გემრიელ, სურნელოვან პურს აცხობთ... მართალია, ზოგი ტორტს აცხობს _ ლამაზ, ტკბილ ტორტს, ზოგს მჟავე ან მწარე კერძების მომზადება იზიდავს, _ ასეთებიც არიან, _Yყველას თავ-თავის ადგილას გაუმარჯოს!.. არ დავფარავ, მეგობრებო, რომ პირადად მე ყველაზე უფრო მაინც კარგი ცომისგან და კარგად გამომცხვარი პური მიყვარს _ მას არაფერი შეედრება! ესაა ჩვენი ყოველდღიური საზრდო, ურომლისოდაც ვერ გავძლებთ, რომელიც არ მოგვბეზრდება არასდროს... აი, ასეთ გემრიელ პურს გვიცხობს ჩვენ დღევანდელი ჩვენი გმირიც _ ია! მის დიდ და მაღალ ხელოვნებას გაუმარჯოს და ამასთანავე ვადღეგრძელებ თქვენს ხელოვნებასაც, მისი მეგობრების ხელოვნებასაც, სულ წინსვლასა და ბედნიერებას გისურვებთ!

დიდიმ დიმპიტაურმა ჭიქა გამოსცალა, ხვნეშით დაჯდა და ღრმად ამოისუნთქა.

სუფრა მიწყნარდა. სხვა მაგიდებიდან მოდენილი ხმები გაურკვეველ ერთიან მოზუზუნე ფონად აღიქმებოდა, რომელსაც ზევიდან ექარგებოდა რესტორნის პატარა, მაგრამ ხმაურიანი საკრავიერი ანხამბლის საცეკვაო ჰანგი.. თამადას სადღეგრძელოს მხარი კაცებმა არ აუბეს, ქალებიც ჩუმად იყვნენ, ეტყობა, მოიფხანეს გული ქაქანით და ახლა თითოეული თავისთვის იყო, საკუთარ ფიქრებში ჩაღრმავებული.

_ რას მოგიწყენიათ, ხალხო! _ დაიბუხუნა უცებ თამადამ და დასჭექა სიმღერა: _ “ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა, ოვრანინა, მე შროშანი მეგონაო, ოვრანინა...”

დიდიმს არც ამჯერად აჰყვა ვინმე, გარდა იასონისა; ეს უკანასკნელიც _ უღიმღამოდ, თითქოს ნაძალადევად... ცოტა წაიმღერეს და გაჩუმდნენ.

_ ბატონო თამადა, ახლა მაძლევ ერთი სადღეგრძელოს თქმის უფლებას? _ წამოდგა ფეხზე გია სავსე ჭიქით ხელში და, დიდიმის თავის დაქნევით დასტურის შემდგომ, განაგრძო: _ მეგობრებო, დღეს ჩვენთვის ყველასთვის ღირსშესანიშნავი დღეა, დიდად გავიხარეთ და ვისიამოვნეთ... რამდენადაც შეგვეძლო, პატივი მივაგეთ და გავახარეთ ჩვენი იაც, ახლა კი იმ დრომაც მოაღწია, როცა მადლობა უნდა მოვახსენოთ და დავასვენოთ ჩვენი თამადაც _ სუფრის გაძღოლა დიდი შრომაა... ჩვენც დავიღალეთ ყველანი, ბევრი მღელვარე წუთიც გადავიტანეთ, რა თქმა უნდა, მაგრამ თამადამ _ განსაკუთრებით... მე მინდა, ჩვენი დიდიმ დიმპიტაური, დიდიმ დიდი ვადღეგრძელო. არაფერი შეეშლებაო, ასეთ კაცზე იტყვიან _ ყველანი დამეთანხმებით. დიდთან _ დიდი, პატარასთან _ პატარა... ყველას გვიყვარს,

ძმასავით გვიყვარს. ამას სუფრის წესი და ზრდილობა არ მალაპარაკებს, ნაღდად ასეა. დიდიმ ჩემო, არ ვიცი, ძმაო, დღეს ვისი ზეიმი უფრო იყო, იასი თუ შენი? შენ მეფობდი სუფრაზე, სიტყვა არავის ათქმევინე, ამოსუნთქვის საშუალება არ მიეცი... ერთი ამბავი, მეორე, მესამე... მერე _ ანეგდოტი, მერე _ ზღაპარი... ზღაპარიც ხომ მოყევი?... სიმღერაც მოსინჯე, მაგრამ შენი შესაფერი, შენი ამყოლი, სამწუხაროდ, ამ სუფრაზე არავინ აღმოჩნდა... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მოკლედ, ამოგვხადე სული! რა თქმა უნდა, ეს საყვედური არ არის, ვხუმრობ, ცხადია, და ღმერთმა ნუ მოგვიშალოს შენნაირი მომლხენი და სიცილით გამახალისებელი, დიდიმ დიდო. მართლაც დიდი ხარ, მხოლოდ ტანით კი არა, დიდი პიროვნებაც ხარ, დიდი ადამიანი... ახლავე მოგახსენებთ, რის თქმაც მინდა. მე ამაში შენს მხატვრობას არ ვგულისხმობ და, იმედია, ეს ჩემი პირში ნათქვამი არ გეწყინება, ჩვენ ხომ სამი ათეული და მეტი წლის მეგობრობა გვაკავშირებს და პირფერობა არ შეგვშვენის... შენ მხატვრობაში არ ან ვერ თქვი შენი სათქმელი _ ამას თავისი მიზეზები აქვს, რომლის ფსიქოლოგიურ გარჩევას მე აქ არ შევუდგები... თორემ ნიჭი გქონდა, ძმაო, სხვაზე არანაკლები, თუ მეტი არა _ აქ უკვე იყო ეს გარემოება აღნიშნული. პირველად რომ გამოჩნდა შენი ნამუშევრები გამოფენებზე, დიდ მომავალს გიწინასწარმეტყველებდნენ, კარგად გვახსოვს ის დრო. მერე სად წავიდა, სად დამარხე ის ნიჭი, რატომ ვერ მოუარე _ ამას შენ თვითონ თუ გასცემ პასუხს, სხვა ვერა... მე მგონი, შენც გაგიჭირდება... შრომა კი არ გეზარებოდა, ამას ვერავინ უტყვის დიდიმ დიმპიტაურზე, თუმცა... რაც მოგახსენეთ, იქნებ არც უნდა მეთქვა, ეს არ არის მთავარი... მთავარია, რომ შენი დიდობა სხვა მხრივ წარმოაჩინე, სხვა სფეროში... თუნდაც დღევანდელი სუფრის გაძღოლა _ განა ეს არ იყო დიდი ხელოვნება? იქნებ უფრო საჭიროც, ვიდრე ჩვენი ნაცოდვილარი, თავს რომ დიდად ვიწონებთ... ხელოვნებას სიხარული და შვება უნდა მოჰქონდესო _ დიდმა კოტე მარჯანიშვილმა ბრძანა, განა შენ ამას არ აკეთებ? შენც დიდი ხელოვანი ხარ, იმით ხარ დიდი, რომ შეჰქმენ საკუთარი თავი, ისეთი, როგორიც ახლა ხარ... ხომ ვთქვი, მარტო გარეგნობას არ ვგულისხმობ... შეხედეთ ერთი: ახოვანი, თუმცა დრომ ტანი ოდნავ დაუმძიმა, მაინც დიდებულია, მეფურად ჩამოსხმული... მეფის ქანდაკების გაკეთება თუ დაგჭირდეთ, აგერაა მზა მოდელი! სახეც ნახეთ: ვაჟკაცურად ჩამოქნილი, კეხიანი მოზრდილი ცხვირი, მშვენიერი გრუზა ქოჩორი, უკვე კეთილშობილად შევერცხლილი! რაღაც კინოშიც გათამაშეს, არა, დიდიმ?.. ჰო, ეპიზოდური როლი, მაგრამ მაინც.. დარბაისელი თამადა, სადღეგრძელოების ოსტატი, მხიარულების უსტაბაში!.. თავის ხუმრობაზე არც გაიღიმებს, ისე წარბშეუხრელად ამბობს... იცის პოეზიის ფასიც! მიკვირს, ირმას რატომ არ გაეჯიბრა. მე რომ დამიჯეროს ვინმემ, დიდიმის მიერ წაკითხულ ჩვენი დიდი პოეტების ლექსებს მაგნიტოფონზე ჩავიწერდი და რადიოს ჩანაწერების "ოქროს ფონდში" მივუჩენდი ადგილს _ რა ხავერდოვანი, მოდულაციებით მდიდარი ხმა აქვს. სიმღერა? ახლაც ულამაზესი ბანი აქვს, თავის დროზე შეეძლო, კარგი მომღერალი დამდგარიყო... შეიძლება, მწერალიც გამოსულიყო, ბევრი ეუბნება: "ე, ბიჭო, თხრობის იშვიათი ნიჭი გაქვს, დაწერე ეგ შენი ნაამბობი, გამოჩენილი მწერალი-ჰუმორისტი იქნები! სცენაზეც გამოდი, მარტო სუფრით და მეგობრების წრით ნუ შემოიფარგლები!" არა, არ უნდა, სრულიად აკმაყოფილებს დღეს, ამ წუთს რომ მეგობარ-ამხანაგებს ამხია-

რულებს, ეს არის მისთვის საკმარისი ჯილდო... ის არც დაფნის გვირგვინზე ფიქრობს და არც უკვდავებაზე: “მე რომ აღარ ვიქნები, რა თავში ვიხლი სახელია თუ რაღაც ჯანდაბა _ ნაღდია ის, რაც ახლაა, რაც ამ წუთს ცოცხლობს!” “ხვალემ იზრუნოს ხვალისა!” _ აი მისი დევიზი. ჩემო დიდიმ დიდო, შენ ისეთი სურათები არ შეგიქმნია, რომ ორიგინალურობის პრეტენზია განგეცხადებინა, შენ შენი ცხოვრებით და შენი საკუთარი პიროვნების ჩამოყალიბებით შეჰქმენი ხელოვნების ნიმუში _ შენ თვითონ ხარ ხელოვნების ნაწარმოები!.. ცნობილია: ზოგი შემოქმედის პიროვნება ბევრად დიდია, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ნაწარმოებები; ხდება პირიქითაც _ შემოქმედება ჩრდილავს მხატვრის პიროვნებას... უფრო ხშირად კი, რასაკვირველია, შემოქმედებით ნაღვაწში აისახება მისი შემქმნელის სახეც, რაობაც და სიდიდეც...

“_ _ არჩილის შემთხვევაში: მისი ხელოვნება დიდად მეტია და მნიშვნელოვანი, ვიდრე თვით არჩილი, მისი პიროვნება... _ _”

_ აწი, აწი აპირებს დიდ ხელოვნებას შეეჭიდოს! _ შეაწყვეტინა გიას გვარამ ვარამაისძემ. _ ჩვენ ვისაუბრეთ ამ თემაზე და...

_ კეთილი, კეთილი! _ თავის მხრივ შეაწყვეტინა გიამაც, _ ყველანი დიდი სიხარულით შევეგებებით ამ ამბავს; თუკი ინტენსიურად იმუშავებს, ერთ-ორ წელიწადში კარგ პერსონალურ გამოფენასაც გამართავს და მის აღსანიშნავად გამართულ ბანკეტზე დიდიმ დიდს დიდ წარმატებასაც მივულოცავთ! მისი დონის თამადის მოძებნა კი გაგვიჭირდება სუფრის გასაძღოლად, მაგრამ არა უშავს, გვეპატიება... აბა, მეგობრებო, დრო რომ ყაირათიანად ვხარჯოთ _ ვხედავ, ელენე სულ ცმუკავს, სულ გაქცევაზე უჭირავს თვალი, მაგრამ მეტისმეტად მორიდებულია და ვერ ბედავს ხმის ამოღებას... ჰოდა, დრო რომ მეტისმეტად არ გავწელოთ, მოდით, ყველანი წამოვდგეთ და ერთხმად ვუსურვოთ დღეგრძელობა ჩვენს დიდიმს, მთელ მის საყვარელ ოჯახთან ერთად, კარგად უმყოფოს გენიალური სილამაზის მეუღლე _ იზიდა, მშვენიერი ქალიშვილები, სიძეები... უმრავლოს შვილიშვილები, გაუზარდოს სახელოვან ადამიანებად!.. ეჰ, გული მწყდება, ვერ შევძელი სრულად გადმომეცა, რისი თქმაც მსურდა... დიდიმ, ყოველმხრივ წარმატებას და შემოქმედებით გამარჯვებას გისურვებ! დიდი მადლობა!

ყველანი ფეხზე წამოდგნენ, მათ შორის თამადაც; ასწიეს ჭიქები და ერთმანეთში აირია მისალმებისა და მადლიერების გამომხატველი სიტყვები...

როცა ყველანი დასხდნენ, მხოლოდ გაღიმებული თამადა დარჩა ფეხზე მდგარი.

გვარამ ვარამაისძემ მიბაძა მას და ჭიქაც ასწია:

_ ბოდიშს ვიხდი მეგობრებო, ორიოდე სიტყვა მეც მინდა ვთქვა... იქნებ მცირე საყვედურიც გავურიო ჩემს სადღეგრძელოში, გთხოვთ, მაპატიოთ... ბატონ დიდიმს ვადღეგრძელებ, დიდი ხანი არ არის, რაც ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ფრიად კოლორიტული, გამორჩეული პიროვნება გახლავთ ბატონი დიდიმი... მე დანაშაულად მიმაჩნია, როცა ნიჭიერი ადამიანი, _ კომპოზიტორი იქნება, მხატვარი, მწერალი თუ სხვა, _ თავისი შესაძლებლობების ერთ მეათედს ან უფრო ნაკლებსაც კი იყენებს. გადის წლები, ათეულობით წლებიც კი, და მხატვრული პროდუქცია მისგან არ ჩანს. თუ შენ თავი პროფესიონა-

ლად მიგაჩნია, ვალდებულიც ხარ, ნაყოფიერი იყო. რა თქმა უნდა, შედეგი ყოველთვის არ იქნება უმაღლესი ხარისხის, დრო თავისას იტყვის და გაცხრილავს, დარჩება ღირსეული და ფასეული... მაგრამ თუ საერთოდ არაფერს შექმნი, რაღა იქნება ასარჩევი?.. ეს საერთო მოსაზრებებია, ცხოვრებაში კი, შეიძლება, სრულიად სხვაგვარი რამ ხდებოდეს... კერძოდ, არის შემოქმედთა კატეგორია, რომლებიც, ასე ვთქვათ, "გვიან მწიფდებიან"... როგორც რასულ ჰამზათოვმა თქვა, არის გაზაფხულის ხილი, ზაფხულის ხილი და შემოდგომაზე შემოსული ხილიც... ბუნებაში სწორედ შემოდგომაზეა მეტი წილი მოსავლისა... ბატონი დიდიმიც, ეტყობა, სწორედ ბუნების კარნახს მიჰყვებოდა თავიდანვე, იგი გრძნობდა, რომ მისი "რთველი" ორმოცდაათი წლის შესრულების შემდეგ უნდა შემდგარიყო. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ძალიან გემრიელი და მაწიერი "რთვლობა", რადგან ბატონ დიდიმისთვის დამახასიათებელ ბუნებრივობას, უშუალობას, სიხალისესა და სიცოცხლის ტრფიალს, რაც ასე სჭირდება შემოქმედს, დაემატება სიბრძნეც, გამოცდილებაც... ბატონო დიდიმ, მადლობას მოგახსენებთ ჩვენი სუფრის დამშვენებისთვის, დღეგრძელობასა და თქვენი კარგი ოცნებების ასრულებას გისურვებთ, გაგიმარჯოთ!

დიდიმ დიმპიტაურმა სავსე ჭიქა მაღლა ასწია:

_ გია ჩემო, მართალი ხარ, დღეს, მგონი, ჩემი იუბილეა და მე აქამდე არ მიმხელდით... ალბათ ვერ გავიხსენე, სკლეროზი მჭირს... ხუმრობა იქით იყოს და, მართლაც ახალგაზრდა აღარ მეთქმის, სექტემბერში ორმოცდაათი წლის ვხდები... დიდი ლხინი უნდა გავმართო _ ყველას გეპატიჟებით! მას მერე წვეთ ღვინოს აღარ დავლევ, თქვენ იქნებით ჩემი მოწმეები და მსაჯულებიც... და ვიწყებ შემოქმედებით მუშაობას! მე გიამ დამინდო, დიდ პიროვნებად შემრაცხა: თუმცა ხელოვნებას უგანე, თვით შენ წარმოადგენ ხელოვნების ნიმუშსო. მე პირობას გაძლევთ: დავუბრუნდები ხელოვნებას, უეჭველად დავუბრუნდები, რომელსაც ამ ოცდახუთი წლის წინ ვუღალატე _ ღმერთო, რა უცებ გაფრინდა ეს წლები! არ ვიცი, რა გამომივა, მაგრამ მე ჩემსას შევეცდები... ამბობენ, დაწყება არასდროს არის გვიანიო. მომწიფებული ვარ, ვგრძნობ ამას, რაღაც შინაგანი იმპულსებიც არ მასვენებს, ერთიორჯერ ვითომ დავიწყე რაღაც... აქამდე სად იყავი, ოჯახაშენებულოო, მკითხავთ. სად ვიყავი და ოჯახის უღელში შებმული, ვერ შევძელი ორი საქმის კეთება _ ნაღდი მხატვრობა გვერდზე დამრჩა... თქვენ აქ ყველანი შემოქმედი ხალხი ხართ, გიჭირთ, მაგრამ ვაჟკაცურად უძლებთ, ათასგვარ ცდუნებას იცილებთ, ცხოვრების მძიმე ჭაპანსაც ეზიდებით... მე კი ხელოვნებაში ჯერჯერობით არაფერი მესაქმებოდა _ მე, როგორც ადრეც მოგახსენეთ, მხატვარი-საქმოსანი გახლავართ, მხატვარი-ხელოსანი... ამ ქვეყანაზე ასეთი მხატვრებიც საჭირონი ყოფილან _ ყველას თავთავისი ადგილი აქვს, ხელოვანსაც და ხელოსანსაც... აქეთ-იქით დავწოწიალობ, დავწანწალებ, უფრო ხშირად რაიონებში დავდივარ შეკვეთების საშოვნელად, ასე ვთქვათ, მაგით ვჭამ ძირითადად პურს, მაგით ვარჩენ ოჯახს. გიამ კი მისაყვედურა, ამბებით დაგვღალეო, მაგრამ, გინდათ, მოგიყვეთ, როგორ, ასე ვთქვათ, ვმოღვაწეობ ჩემს მიერ არჩეულ დარგში? ადვილი არ გეგონოთ, თავისებური ცოდნა და ფხა სჭირდება... ჩავალ ჩემი მანქანით რაიონში... რასაკვირველია, მაშინვე რაიკომის მდივანთან შევალ, ან რაიაღმასკომის თავმჯდომარესთან, ან

რომელიღაც საკონსერვო ქარხნის დირექტორთან... თითქმის ყველას ვიცნობ მთელ საქართველოში ასეთ ხალხს, შორიდან მაინც, ან საერთო ნაცნობი თუ ძმაკაცი არ შეიძლება არ გამოჩნდეს... ეს ყველაფერი შეძლებისდაგვარად წინდაწინ უნდა გაიკითხ-გამოიკითხო. პირველად მაინც რაიკომის მდივანთან ჯობს მისვლა, ისაა ადგილობრივი მეფე. ჰოდა, შედიხარ კაბინეტში, დიდის ამბით მოკითხვას გადასცემ საერთო ნაცნობებისგან, თვითონ მასაც მოიკითხავ... მერე ეუბნები: "ჩემო კარგო იმანო, მშვენიერი კაბინეტი გაქვს, დიდი გემოვნებით მოწყობილი, მაგრამ უკეთესი ხომ არ გეკუთვნის?.. მხატვრული თვალსაზრისით, ვერ არის მთლად სრულყოფილი, _ ამას გეუბნები, როგორც სპეციალისტი". "რაშია, მეგობარო, საქმეო", _ იკითხავს კაბინეტის პატრონი. მეც არ მიჭირს პასუხის გაცემა _ გაწვრთნილ_გამოცდილი თვალი მაქვს, გაზეთებსაც რეგულარულად ვკითხულობ, ყურადღებას ვაქცევ, რა დღესასწაული მოდის, რა იუბილე მზადდება... "აი, ბატონო, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელის პორტრეტი პატარა ზომისაა, არ შეეფერება, არ ეკადრება ამოდენა ქვეყნის გამგებელს"... ან მზრუნველად ვეუბნები: "აი, შეხედეთ, ჩვენს ლეონიდ ილიჩს, თქვენი კაბინეტის პორტრეტზე ორი ორდენი აკლია, ჩამორჩით ცხოვრებას... ორდენების მიხატვა ადვილი საქმეა, მაგრამ საერთოდ ეს პორტრეტი ვერ ტოვებს სათანადო შთაბეჭდილებას. ნება მიბოძეთ, ახალი პორტრეტი გაგიკეთოთ, უმაღლესი დონის პორტრეტი! უმოკლეს ვადაში მოგიხსნით მაგ პრობლემას, ყველას თქვენი შეშურდება!" აი, ასე, ჩემო ბატონო... დღესასწაული მაშინ მაქვს, როცა მთავრობა იცვლება, აგრეთვე საპირველმაისოდ და საშვიდნოემბროდ. ყველაზე დიდი მოთხოვნილება ლენინის პორტრეტებზეა, თვალდახუჭულმა შემიძლია, დავხატო... ერთს ვკითხე, რა მოხდა, კაცო, მაინცდამაინც ლენინი უნდა ჩამოჰკიდო კაბინეტში-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? ჩვენი პარტიის მეთაურები ხან ერთია, ხან _ მეორეო და ვეღარ აუვედი პორტრეტების გამოცვლასო; ლენინის პორტრეტს ჩამოვკიდებ და მოვისვენებო... მართლია ის კაცი, მაგრამ მეც რომ მომასვენებს, ლუკმაპური რით ვიშოვო?... ასეა, მეგობრებო, ჩემი საქმე... მალე, მალე მოვისვენებ ამგვარი პორტრეტებისგან, მხოლოდ შემოქმედებით პორტრეტებს შევასრულებ. რა ვიცი, იქნებ სხვა ჟანრშიც ვცადო მუშაობა...

_ დიდიმ, შენ დიდი პატივი მეცი, შენს ამაგს ალბათ ვერ გადავიხდი, _ უცებ წამოიძახა იამ. _ ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაწყვეტინე, არ დაგავიწყდეს, რის თქმაც გინდოდა... მე რომ არ დამავიწყდეს, ახლა მინდა, შემოგთავაზო... ერთი საქმეც უნდა დაგავალო და უარს ნუ მეტყვი!

_ რაც კი შემიძლია, მიმსახურე, ჩემი თავი გენაცვალოს!

_ ჩემი პორტრეტი მინდა, გააკეთო!

_ აუჰ, ეს რა მითხარი!

_ ჰო, შენ შემოგევლე, მე კიდევ შენს პორტრეტს გავაკეთებ!.. ყაბულსა ხარ?..

_ რა ვიცი... ვნახოთ, ვნახოთ... _ თითქოს დაეთანხმა დიდიმ დიმპიტაური და თავისი სამადლობელი სიტყვა განაგრძო...

"_ _ დავიწყოთ ერთად მუშაობა და მერე ვეტყვი, რომ წყვილადი პორტრეტის გაკეთებას ვაპირებ, მისი და იზიდასი! _ შემოდგომამდე სხვა ბევრი რამეც მაქვს გასაკეთებელი, მათ შორის ერთი-ორი წყვილადი პორტრეტიც _ წყვილადი პორტრეტის იდეას დამუშავება სჭირდება, დახვეწა, სხვადასხვა მიდგომების მოსინ-

ჯვა _ დიდიმი სტანდარტულად კი მუშაობდა, მაგრამ ტექნიკურად დაოსტატებულია და ამ მხრივ დიდად დამეხმარება... _ წესით, დიდიმის პორტრეტი არჩილს გამოუვიდოდა კარგად, ოღონდ ოცი წლის წინ! _ სამწუხაროა _ კიდევ კარგი, მხოლოდ ახლა ვიწყებ პორტრეტის ჟანრში მუშაობას სერიოზულად, როცა ასე თუ ისე გამიცნეს, იციან ჩემი შესაძლებლობები, თორემ, ვინ იცის, არჩილი პირდაპირ პლაგიატობას დამწამებდა _ _"

_ ია, ია! _ ჩაესმა ამ დროს იას დიდიმის ხმა. _ მე მინდა, ბოლო სიტყვა ჩვენს სუფრაზე შენ მოგცე: შენით დავიწყე და შენითვე დავასრულებ! აბა, ჩემო ია, გვითხარი გამოსათხოვარი ორიოდე სიტყვა.

_ რაღა უნდა ვთქვა კიდევ... დიდად მადლობელი ვარ, ჩემო დიდიმ, ყველაფრისთვის... დღეს მართლაც ბედნიერი დღე გამითენდა... საერთოდაც, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ბედნიერი ქალი ვარ! ბედნიერი ვარ იმით, რომ ვარ ძალიან მდიდარი... რითი ვარ მდიდარი? ვინც აქ ხართ, თქვენით!.. ჩემი შვილებით, ჩემი სურათებით, ისინიც ხომ ჩემი "შვილებია"! ჩემი ოცნებებით ვარ მდიდარი!.. ბედნიერება თავისით არ მოდის, ამისთვის ძალა უნდა გქონდეს, ნება უნდა გქონდეს, ყოველ წამს საკუთარ თავს ებრძოლო, საკუთარ სისუსტეს... ისე დამარცხდები. იმითაც ვარ მდიდარი, რომ ჩემთვის ცნება "სულ ერთია" არ არსებობს. გარდა ჩემი ახლობლებისა, მათი კარგად ყოფნისა, მე მტკივა ჩემი ქვეყნის სატკივარი, ჩემთვის სულ ერთი არ არის ჩემი ხალხის ჭირიც და ლხინიც; ჩემთვის სულ ერთი არ არის ყოველი ადამიანის ბედი თუ უბედობა... მე მინდა, ძალიან მინდა, ყველა კარგად იყოს ყოველმხრივ... მე არა ვარ გულგრილი, მე მინდა, ყველამ, ვისაც ნიჭი აქვს და ამის წადილი, ყველამ, ყველამ შეძლოს, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა... ეს ხომ ჩვენი საერთო სიმდიდრეა!.. ჩემიც, შენიც... ყველასი!..

კარი მეოთხე. ღამე

XIII. იას დღიურიდან და ჩანაწერებიდან

გულწრფელად მიხარია, თუკი გამოფენაზე კარგ ნამუშევარს ვხედავ. ამ ხნის მოვიყარე და მაინც ზოგჯერ ეჭვი მიპყრობს: მაქვს კი უფლება, სხვათა ნაღვაწი განვსაჯო? მეტიც _ ვარ კი მე თვითონ მხატვარი, ნაღდი მხატვარი? რომ ავიღებ ხელში ძველ მხატვართა ალბომებს, ღმერთო ჩემო, რამდენი გენიოსი იყო (და ალბათ დღესაც არის) _ აურაცხელი რაოდენობის, მიუწვდომელი ოსტატობის და უდიდესი და განუმეორებელი სულიერი სიმდიდრის! ღირს კი მათ შემდეგ ხელში ფუნჯის აღება? რას იტყვი ახალს? ვერაფერს! ყველაფერი თქმულია _ ათასჯერ, ათიათასჯერ გაკეთებულა უმაღლეს დონეზე _ შენ კი, საცოდავო, რას ფაფხურობ, რაღაცას კნავი საცოდავად, სასაცილო არ არის? კიდევ უფრო სასაცილოა, როცა ვუყურებ, ჩემი კოლეგები როგორ ჭამენ ერთმანეთს (ცხადია, ყველანი არა), შურით სკდებიან, ვინმეს წოდება მათზე წინ თუ უბოძეს ან პრემია თუ მისცეს... "რატომ

იმას და არა მე?” შურით დაბრმავებულნი, თუ ძალა არ შესწევთ “შურისძიებისა”, გესლს მაინც ანთხევენ გულის მოსაფხანად... საბრალონი! ვინ გიშლის, თუ რამე შეგიძლია, უკეთესი გააკეთე!

მაშ, რატომ ვწვალობ ამდენს, რატომ ვერ ველევი ფუნჯსა და საღებავებს? ჩემთვის თვით შრომის პროცესი უმაღლესი კმაყოფილების მომტანია; შედეგს ზოგჯერ თითქოს არა უშავს, ზოგჯერ კი (ხშირად!) _ იმედის გამაცრუებელია... ასეთ დაწუნებულ, “სუსტ” ნამუშევრებს მაინც არ ვყრი, ვინდობ _ მათში ხომ ჩემი სულის ნაწილია. მუშაობის დაწყებისას არ უნდა იფიქრო, წარმატებას მიაღწევ თუ არა. იმიტომ ვმუშაობ, რომ თვითონაც მიხარია და, იმედი მაქვს, ზოგჯერ სხვებსაც ვახარებ...

* * *

ადამიანს რომ არაფერი ახსოვდეს, უბედური იქნებოდა; ადამიანს რომ ყველაფერი ახსოვდეს, უბედურზე უბედური იქნებოდა.

* * *

მხოლოდ რეალობაზე დაყრდნობა (ნატურალიზმი) ან მხოლოდ ფანტაზიის ფრთებით აფრენა (აბსტრაქცია) _ დამღუპველია ხელოვნებისთვის.

* * *

ორი რამ იბრძვის ადამიანში: სიამოვნების მიღების სურვილი და მოვალეობის გრძნობა. უნდა შეძლო, ეს წყვილი, ხშირად ურთიერთოპოზიციური, ისეთნაირად შეარიგო, რომ საზოგადოების წინაშე ვალიც მოიხადო და საკუთარი თავიც არ დააზარალო.

* * *

შემოქმედი ყოველდღიურს უნდა ეხმიანებოდეს, მაგრამ ასახავდეს, როგორც მარადიულს.

* * *

როცა ჩვენთვის მავანს ვახასიათებთ, ძალაუნებურად უფრო ცუდად წარმოვიდგენთ მას, ვიდრე სინამდვილეშია _ ობიექტურობას ვცილდებით, მის ნაკლს ქვეცნობიერად ვაზვიადებთ, რათა ჩვენ უკეთესი გამოვჩნდეთ... ასე ხომ არ მემართება მეც არჩილის მიმართ?

* * *

გრძნობა შემოქმედთან თვითონ მოდის, ხოლო სიტყვები, ბგერები, ფერები _ უნდა მოძებნო; ზოგს გრძნობა მაშინვე გაპოვნინებს (აუცილებლად _ გონების დახმარებით), ზოგს _ დიდი ძიებისა და წვალების შემდეგ მიაგნებ.

* * *

ხელოვნებაში რომელი ჯობს _ უბრალოება თუ სირთულე? ცალსახად გადამწყვეტი პასუხის გაცემა ძნელია, თუ შეუძლებელი არ არის... გააჩნია როგორია ეს უბრალოება და როგორია ეს სირთულე *კონკრეტულად.* შესაძლოა, ეს უბრალოება უკეთესი იყოს იმ სირთულეზე და პირუკუ _ შესაძლოა, ამ სირთულემ აშკარად დაჯაბნოს ის უბრალოება. უბრალოება და სირთულე _ არ არის ესთეტიკური კატეგორიები, ისინი არ განსაზღვრავენ ხელოვნების ნაწარმოების ღირსებას თუ ნაკლოვანებას. გადამწყვეტია პიროვნული ასპექტი _ შემოქმედის ნიჭი: ლადო ასათიანი უბრალოდ წერს, "ფოკუსების" გარეშე, მაგრამ დიდი პოეტია. ფიროსმანაშვილიც "უბრალოა", მაგრამ გენიოსია.

სისადავე, ლაპიდარობა, ეკონიმიური სტილი _ დიაღაც კარგია, მაგრამ არ უნდა გავაფეტიშოთ. აბსოლუტური ჭეშმარიტება მხოლოდ ერთი არსებობს: აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს! ამიტომ კონკრეტული ნაწარმოები უნდა შეფასდეს; ერთ შემთხვევაში შეიძლება მომგებიანი იყოს მკაცრი ეკონომია, გრაფიკული სტილი, მეორე შემთხვევაში _ ფერწერული, ფერადოვანი, გააჩნია შემოქმედის ნიჭის თავისებურებას და სათქმელის ხასიათს. მეტიც: ერთ ნაწარმოებშიც კი შეიძლება თანაარსებობდეს, ერთმანეთს ავსებდეს ორგვარი მიდგომა _ ამ შემთხვევაშიც კონკრეტულად უნდა განვიხილოთ ესე თუ ის ნაწარმოები.

პიკასო მრავალგვარია _ "უბრალოც" არის და რთულიც _ ორივე შემთხვევაში შედევრებს ჰქმნიდა.

* * *

პიკასო _ ლასო (ქამანდი), ძლიერი, შეუბრალებელი ხელით ზუსტად ნასროლი მნახველის დასაბორკავად: მარად მოთუხთუხე, ულევი და უთვალავი სიურპრიზების ამომფრქვევი მხატვარი-ვულკანი, რომლის მთავარი ყელიდან ლავასავით მოედინება ძირითადი პროდუქტი _ ფერწერა, ასევე აქვს მრავალი, საოცრად ხვავრიელი "პარაზიტული ყელიც": სცენოგრაფია, ქანდაკება, გრაფიკა, კერამიკა, პოეზია...

ვინ შეიტანს ეჭვს _ უდიდესი ოსტატია, მაგრამ უფრო ინტელექტუალებისთვის, _ უბრალო, რიგითი მაყურებლისთვის ის გაუგებარია, უინტერესო; მასა გულგრილია და უარყოფითად განწყობილიც კი მისი ნოვაციების მიმართ. სამაგიეროდ, მხატვრები განსაკუთრებით არიან აღტაცებულნი პიკასოთი, მისი ვულკანური ტემპერამენტით, რომელიც გარშემო ყველაფერს ფერფლავს, ყველაფერს ანგრევს და მერე იმ ფერფლიდან და მიწიდან ღმერთივით ყველაფერს თავიდან ძერწავს და აგებს. პარადოქსი: ეს "ვულკანი" ცივი გონებით, როგორც ქირურგი, ატარებს "პლასტიკურ ოპერაციას" _ ცნობისმოყვარეა, ბავშვივით აინტერესებს: რა გა-

მოვა? რაციო აშკარად ჯაბნის ემოციას, მხატვარი არ მიენდობა (და არ ენდობა) გრძნობას _ სკეპტიკური მზერით აანალიზებს საგანს, შემდეგ _ სინთეზი (არ არის შემთხვევითი მისი გულგრილობა პეიზაჟისადმი)... ჯერ დანაწილება-დასახსვრა, შემდეგ _ თავმოყრა. პიკასოს ნაღვაწში აშკარად ჩანს ანალიზური მიდგომა, მისი მხატვრული აზროვნება უმეტესწილად კონსტრუქციულია; იგი აგებს ფორმას რო-გორც კონსტრუქტორი + თამაში + ირონია და სარკაზმი + ეპატაჟი-გაბითურება + უშუალობაც! + ბავშვურიც, პრიმიტივისტულიც... გატაცება აფრიკული ნიღბებით და ქანდაკებით, ანრი რუსოთი და ა. შ.

ზერელე მზერით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისთვის მთავარია _ ფორმა! ფორმას თავისთავადი ღირებულებაც აქვს მისთვის, ამიტომაც მივიდა ბოლოს დე-კორატიულ-გამოყენებით ხელოვნებამდე _ კერამიკამ გაიტაცა.

პიკასო _ ტრადიციონალისტი და პიკასო _ ავანგარდისტი, წამიერი და მძაფრი რეაქცია ყველაფერზე: გარემო რეალობასა და ზმანებებზე, წაკითხულსა და დანა-ხულზე, ძველ ოსტატთა შედევრებზე და ანტიკურ ხელოვნებაზე, კორიდასა და მოხეტიალე ცირკზე, ძველ და ახალ პოეზიაზე, პრიმიტივსა და გადაყრილ "ჯარ-თზე"...

იმდენად წინააღმდეგობრივი, რთული, მრავალსახა მხატვარია, იმდენად ნაყო-ფიერი და "სხვადასხვა", რომ ერთიან "ყალიბში" ვერ ჯდება, ვერ ეტევა, არ ემორ-ჩილება გარკვეულ "ფორმულას", კანონზომიერებას _ დაცინვით უარყოფს ყოველ-გვარ ნორმატულობას. ტოტალური უპატივცემულობა _ ტრადიციებისადმი, "ძვე-ლებისადმი", ამასთანავე _ მათით აღტაცება და გამოყენება საკუთარი ინტერპრე-ტაციებისთვის. უყვარს შოკირება, გაოცება უჩვეულობით, მოულოდნელად მაყუ-რებლის აღქმაზე ნერვიული დარტყმა-თამაში; ერთდროულად სასტიკიც, დაუნ-დობელიც არის და მგრძნობიარეც, თანაზიარი სხვისი ჭმუნვა-დარდისა.

ტრაგიკული მსოფლაღქმა _ მრავალფეროვნება _ ნაყოფიერება _ სიღრმე _ XX საუკუნის ტრაგიზმი _ მხოლოდ ფორმას ხედავენ და არა სულს მხატვრისა, რო-მელმაც ეს ფორმა წარმოშვა _ მხატვრები ყველაზე ხშირად პიკასოს ბაძავენ და სულ ტყუილად, მისი სული რომ არ აქვთ? _ ჩემს ცნობისმოყვარეობას იწვევს და მასთან "შეუთავსებლობის" მიუხედავად, ბევრ რამეს ვიძენ, მისი შემოქმედების შესახებ განსჯა მამდიდრებს _ მისი შემოქმედება ესაა ჯანყი, ტკივილი, ტანჯვა, გრძნობათა სიმძაფრე _ დაუკმაყოფილებლობა _ მარადი სურვილი განახლებისა _ ესპანელი პიკასო და ქართველი გუდიაშვილი ერთხანობას ერთდროულად მოღ-ვაწეობდნენ პარიზში და რა დიდი განსხვავებაა მათ სურათებს შორის, თუმცა ორივესი ტკივილით, მძაფრი ირონიითა და ტრაგიზმით არის გამსჭვალული _ ლადოს არ ახასიათებს ასკეტიზმი, სიმკაცრე და სისასტიკე _ პიკასოს მბორგავი სული მარად დუღს, ნაპერწკლებს ისვრის, ყველაფერს გადაადნობს, რაც მისი სუ-ლის ქურაში მოხვდება და შემდეგ საკუთარ ყალიბში ჩამოასხამს _ ანალიზურია მისი მიდგომა, პატარა ბავშვივით სურს, ყველაფერი გაიგოს "სათამაშოს" (ადამია-ნის, საგნის) აგებულების შესახებ, არ კმაყოფილდება ერთი ხედვის წერტილიდან აღქმით, სხვადასხვა წერტილებიდან "სტერეოსკოპულად" ჭვრეტს, "მოცულობრი-ვადაც" მოქანდაკესავით და ქირურგივით ნატურას "ჭრის", ანაწევრებს, სახსრავს _ და არა მხოლოდ რეალურ საგანს თუ ადამიანს: სიზმრისეულსაც, სახეშეცვლილს,

სახასიათო ნიშნების გამძაფრების ექსტრავაგანტურობით, დეფორმაციით, დაკუთხვით _ თვით არსებობა ადამიანისა არის ტრაგიზმით აღსავსე _ ბრძოლა (კორიდა) _ წინააღმდეგობრიობა-დაპირისპირებულობა (ქალი და კაცი, მხატვარი და მოდელი, ტორერო და ხარი...).

* * *

დიდად მაინტერესებს, მიტაცებს პიკასოს განსაკუთრებულობა (როგორ შეიძლება, არ დაგაინტერესოს!), მაგრამ სრულებით არ იწვევს ჩემში მიბაძვის სურვილს _ სრულიად სხვა "პლანეტის" ბინადარი ვარ: ჩემთვის მთავარია ემოცია, გრძნობა.

როცა ამბობენ, ესა და ეს ნაწარმოები მიბაძვით არის შექმნილიო, ჩვეულებრივ ამ დროს გულისხმობენ არაშემოქმედებით მიდგომას, პასიურ გადამღერებას... ისე კი, ფართო გაგებით, ყოველი შემოქმედება მიბაძვის აქტია, ოღონდ მიბაძვაც არის და მიბაძვაც. თუ შენ რაღაც საწყის მასალას, იმპულსს, ბიძგის მიმცემს მოახტი ვითარცა თავისუფალი მხედარი და წაიყვანე ახალი მიმართულებით გზის გასაგრძელებლად, მაშინ შემოქმედი ხარ, ხოლო თუ პირიქით მოხდა და შენ თვით დაიდგი უღელი და გაკვალული გზით სხვამ გატარა, ცხადია, მხატვრად არ და ვერ იწოდები.

ბაძავ წარსულის შემოქმედებს, ბუნებას _ ყველაფერს, რასაც შენს სულსა და გონებაში კვალი დაუტოვებია, _ ეს არის ის წყარო, საიდანაც შენ იღებ შემოქმედებით იდეებს, წარმოდგენებს, _ ნებსით თუ უნებლიეთ შენს მთლიან პიროვნებაში დალექილი ხატები, გემოვნება, მისწრაფება და ათასი სხვა რამ _ მიმბაძველს გხდის, გინდაც აბსტრაქციონისტი იყო და "სრულ თავისუფლებას" ეტრფოდე. მთავარია, შენი პიროვნული, განუმეორებელი ხიბლი ჩადო, შენს შემოქმედებით ნაღვაწში იყო თავისუფალი და თამამიც _ პიკასოს უამრავი ნამუშევარი აქვს სხვათა ნამუშევრების მიხედვით, მათ შორის "ასლებიც" ცნობილი მხატვრების სურათებისა, მაგრამ მათშიც ის *პიკასოდ* რჩება (ამიტომ ჩავსვი სიტყვა "ასლები" ბრჭყალებში) _ ეს ასლები კი არა, თავისუფალი ვარიაციებია ამა თუ იმ სურათის თემაზე.

უფერული ნამუშევარი, გინდაც განუმეორებელი იყოს, უფერულ ნამუშევრად რჩება, ძლიერი ნამუშევარი _ ძლიერ ნამუშევრად, გინდაც ის აშკარა მიბაძვით იყოს შექმნილი; მთავარია *შედეგი!*

* * *

მიბაძვა? შინაგანი ნერვი, "ზამბარა", არჩილისგან სრულიად განსხვავებული მაქვს! ჩემთვის ყოველთვის მიუღწეველი იყო (და ალბათ შინაგანად უცხოც) არჩილის გროტესკულ-აგდებული, "დარდიმანდული" მიდგომა, "არასერიოზულობა", თითქოს დაცინვაც კი _ ამაში მჟღავნდება მისი არტისტიზმი! სამაგიეროდ, მე, თუ არ ვცდები (ბევრჯერ უთქვამთ კიდეც ჩემთვის), მეტი გრძნობა, მეტი ლირიზმი მახასიათებს. ორივეს სურათები გამსჭვალულია დინამიზმით, მაგრამ რაოდენ

განსხვავებული ბუნებისა! ფეროვანი გამაც განსხვავებული გვაქვს: მე _ უფრო "ცი-ვი"კოლორიტი მიზიდავს, მიყვარს ცისფერი, მოვერცხლისფრო, მომწვანო... არ-ჩილს _ უფრო მწვავე, "უხეში", "აგრესიული", მჟღერი... მაგრამ საბოლოოდ, ჩემი სურათები არანაკლები დეკორაციული გამომსახველობით ხასიათდება, ამასთანა-ვე მეტი ემოციური გულში ჩამწვდომობით, მეტი დამაჯერებლობით... იმედი მაქვს, რომ ასეა!

* * *

როცა რაღაც მიზეზის გამო სურათის შექმნას შუა გზაზე მივატოვებ, მერე მი-ჭირს მისი დამთავრება: ამ სურათთან დაკავშირებით მქონდა მრავალი იდეა, წარ-მოდგენაში ხესავით დატოტვილი იყო მრავალი ვარიანტი... ახლა კი, როცა რაღაც დროის შემდეგ ვუბრუნდები სურათს, გაგრძელება მიჭირს _ ის "ტოტები" ჩამოს-ხეპილია დავიწყების წალდით, ცარიელი ტანი დარჩა ხისა და გასაგრძელებელ გზას ვეღარ ვხედავ... ხშირად აღარც ვაგრძელებ სურათზე მუშაობას. ზოგჯერ მე-ორენაირადაც ხდება: ვატყობ, დავმუხრუჭდი, გაგრძელებას ვერ ვპოულობ, ჩიხი-დან გამოსასვლელად ამ შემთხვევაში დასვენება, სხვა რამეზე გადართვა მარგებს.

* * *

რას ვაფასებ ყველაზე მეტად ადამიანში? თავმდაბლობას და უანგარობას.

* * *

ვნახე აპოლონ მუსაგეტაძის გამოფენა. ერთი წრე მოვიარე დარბაზებში; უამრა-ვი ხალხი, ვერც დაათვალიერებდი ხეირიანად, თუმც ჩემთვის ესეც საკმარისი იყო: მარტივი, მაქსიმუმ ერთუცნობიანი განტოლება; გარეგანი _ ბევრი, შინაგანი _ ცოტა... წიხლს მაჭერს, გინდა თუ არა, ძლიერი ვარ, მაღიარეო, მე კი არ მჯერა. მისი ფერწერა აგრესიულია, მჭახე დეკორაციულობით სურს დაგტოროს, მასში ჩაღრმავებასა და გააზრებას არ თხოულობს _ მარტივია. თუ პოეტურ სულს ვერ ვხედავ, ვერც მხატვარს ვხედავ.

* * *

როდის იგრძნობს მხატვარი თავს მომწიფებულად, ნამდვილ მხატვრად? ანუ როდის გრძნობს თავს თავისუფლად, შეუბორკავად, ნამდვილ შემოქმედად? ალ-ბათ მაშინ, როცა აღარ მიაჩნია თავისთვის სავალდებულოდ იმ მრავალრიცხოვანი დაუწერელი თუ დაწერილი კანონების დაცვა, რომლებიც მანამდე მის რიდს და მოწიწებას იწვევდნენ. რასაკვირველია, საჭიროა ამ წესებისა თუ კანონების ცოდნა, ესაა საძირკველი მხატვრის ფორმირებისთვის, მაგრამ შენ მაინც შენი ფუძე უნდა შექმნა, საკუთარი კვალი გაავლო ყამირზე, ისე უსახო და სხვებისგან გამოურჩევე-ლი დარჩები. ეს ეხება არა მხოლოდ საყოველთაოდ მიღებულ იდეებს, ტრადიცი-

ულ შეხედულებებს, მემკვიდრეობით გადმოცემულ შემოქმედებით "ბარგს", არამედ "გრამატიკასა" და "ორთოგრაფიასაც" კი. სადაც საჭიროდ მიიჩნევ, იქ არ უნდა მოერიდო "თვითნებობას", მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ამას აუცილებლობა გკარნახობს, ჩანაფიქრის უკეთ გადმოცემის სურვილი და არა ფუჭი ორიგინალობისკენ მისწრაფება.

რაც უფრო "მწიფდება" მხატვარი, მით მეტ ტევადობას იძენს მისთვის ყოველი მონასმი; ამიტომ მეტი ფასი ედება მის თვალში გამოხატვის უბრალებას, რითაც მიიღწევა მეტი გამომსახველობა და სიძლიერე, ვიდრე გართულებული, ზიზილ-პიპილებით გადატვირთული სახეთქმნადობა.

* * *

უთვალავია სხვადასხვა ადამიანის სიარულის ნირის, იერის გამოვლინება:

_ თითქოს ვიღაც უნდა გალახოს _ მიქანაობს და ხელებს ფართოდ იქნევს, აი, ახლა გაუქანებს მუშტს და სიფათში სთხლიშავს!

_ თითქოს ვიღაცას ეპარება _ მუხლებში მოხრილი, თავი კისერში ჩამძვრალი, ნელი ჩაჩუნით...

_ თითქოს ცეკვავს _ მოკლე-მოკლე ნაბიჯებით თითის წვერებზე დადის;

_ თითქოს აღლუმზე გამოდის: მკერდი _ წინ, თავი _ ამაყად მაღლა ნიკაპაშვერილი, მტკიცედ მიაბიჯებს, ძლიერად იქნევს ხელებს;

_ გემივით მიცურავს _ მდოვრედ, ამაყად, მედიდურად _ გარშემო ვერავის ამჩნევს...

_ ნაცემი ძაღლივით _ წელში მოხრილი, აქეთ-იქით შემკრთალ მზერას მიმოატარებს, სურს, უჩინარი გახდეს, დაილიოს, მოკუნტული მიცუხცუხებს...

და ასე შემდეგ....

ყველაფერი ეს ესკიზებში გავაკეთო. ნუთუ კარიკატურისტის მისწრაფებები გამომაჩნდა? არ ველოდი! არა, გადაჭარბებებისა და დეფორმაციების გარეშე გავაკეთებ, მაინტერესებს, რა გამომივა? იქნებ პეიზაჟებშიც ჩავსვა სტაფაჟურ ფიგურებად.

* * *

რომ გაფრინდე _ ძალა უნდა გყოფნიდეს, ფრთები უნდა გქონდეს... მიკვირს და მიხარია: 50 წლისა სულ უფრო ახალგაზრდად ვგრძნობ თავს, თითქოს ახლა ვიწყებ ცხოვრებას... თითქოს ახლა მებუმბლება ფრთები, ძალაც მემატება და ვგრძნობ, მალე ავფრინდები! თავბრუც კი მეხვევა, როცა წარმოვიდგენ, რამდენი რამ მაქვს კიდევ გასაკეთებელი და ბევრს შევძლებ, მეტს შევძლებ აწი!..

* * *

ხელოვანი არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, რა სახის ხელოვნებას ქმნის _ ყველასთვის გასაგებსა და მისაღებს თუ ელიტურს, დახვეწილი გემოვნებით დაჯილდოე-

ბულთათვის. ფორმა თავისით უნდა მოვიდეს, სათქმელმა უნდა მოიტანოს, ის ორგანული, ბუნებრივი უნდა იყოს შემოქმედისთვის. უბრალოება არ გამორიცხავს სირთულეს _ ნიკო ფიროსმანაშვილის სურათები შინაგანად ძალიან რთულია, მათ სიღრმეს ვერ ჩაწვდა მრავალი ფრიად განსწავლული და სახვით ხელოვნებაში გაწაფული პიროვნებაც კი. მაგალითი უამრავი შეიძლება დავასახელოთ.

* * *

პოეზიას ორი მშობელი ჰყავს: რეალობა და ფანტაზია.

პოეზია ურჩი, გაუხედნავი კვიცია, რომელიც ვერ იტანს მხედარს _ ვერც მათრახიანს და ვერც შაქრიანს.

პოეზიის ნაზი ყვავილი ყველგან ამოდის: უდაბნოს ქვიშაში, თოვლიან მწვერვალზე, ლაქაშებიან ჭაობშიც კი _ ვერ იტანს მხოლოდ ორანჟერეის დახუთულ ჰაერს.

მე

მე...
ვინ ვარ მე?
ეს ჩემთვის ყველაზე ძნელი კითხვაა...
არადა, თითქოს ყველაზე კარგად
ჩემს თავს ვიცნობ თითქოს!
ცნობილია:
ძალიან ახლოს რომ ხარ
რაიმე საგანთან,
მისი მთლიანობაში აღქმა
ძალიან ჭირს ან შეუძლებელიცაა.
ასევეა ყოველი ადამიანიც:
საკუთარ თავს ძნელად შეიცნობს,
ჯობს, სხვებმა თქვან
მის შესახებ რამე _
ერთმა, მეორემ, მეათემ...
და მაშინ იქნებ
ოდნავ მაინც გამოიკვეთოს
პიროვნების კონტური.
ვინ ვარ მე?
ეს კითხვა დაბადებიდან
არ მასვენებს
და ის აწუხებს ყოველ სხვა ადამიანსაც...
ვინ ვარ მე?

მე მღილი ვარ,
უღიმღამო, უჩინარი, უწყინარი,
და მე ღმერთიც ვარ:
ამოვატრიალებ დედამიწას,
მთვარეს უბეში ჩავისვამ,
ვარსკვლავებს ასკილივით მოვკრეფ
და ხელისგულზე ციცინათელებივით დავიხვავებ...
ზღვაში ზვიგენის ზურგზე გავიზრდები,
ცაში არწივს წავართმევ ფრთებს,
მიმქროლავი რაში რიჟრაჟს შემასმევს,
ველებს მივეალერსები ხელის გადასმით,
ნიკორასავით წამოვწვები
და
ქედებზე მოვიფხან ზურგს, _
აი, ვინ ვარ მე!
და მაინც... ვინ ვარ მე?
ცოდვილი თუ წმინდანი,
მოკვდავი ხორცი თუ მარადი სული,
წყლის წყნარი წვეთი თუ უსაზღვრო ოკეანე?
ვინ ვარ მე, ვინ?
ერთი მბჟუტავი სანთელი
თუ მძლავრად მოგიზგიზე მზე?
ველზე ნიავისგან მოცახცახე ციცქნა ბალახი,
თუ უსიერ ტევრში ფესვგადგმული უტეხი მუხა?
ხან _ მფლობელი და გამგებელი ზღვისა და ხმელისა,
ცაში ავარდნილ-აფრენილი სიხარულის ყიჟინით,
ხან _ უპოვარი, გლახაკი მათხოვარი,
ქვესკნელს დამარხული და უჩინარი...
ვინ ვარ მე?
ვინ ვართ ჩვენ?
აღმშენებელნი?
დამანგრეველნი?
კეთილნი?
ბოროტნი?..
გავძახი სამყაროს,
ჩავძახი საკუთარი სულის ქვევრსაც...
და ყოველი მხრიდან ათასი ექო მპასუხობს:
არ ვიცი-ი-ი...

მწუხრი

გიას

ვსხედვართ ოთახში ორნი ჩუმად
და ვიყურებით ფანჯარაში...
მწუხრია...
მწუხარე გაყრა დღისა და ღამის,
თუ პირიქით _ ნაზი შეყრა მათი...
მზე _ ცის ბრდღვიალა თვალი _
დაგვემშვიდობა რა ხანია,
დღე _ თეთრი მტრედი _
ნელ-ნელა იკეცავს ფრთებს,
ღამე კი _ შავი ყორანი _
პირიქით, ფართოდ შლის, აფარებს გარემოს...
მწუხრია...
ვსხედვართ ოთახში ორნი ჩუმად
და თვალებით ვისრუტავთ გარემოს...
ჯერ კიდევ გაარჩევ: სულ ახლოს
ალვები ასხმარტალებენ უხმოდ ფოთლებს,
იმის იქით _
ჟანგისფერი გორები წყნარად იტალღებიან,
ზედ შეფენილი ეზოები, სახლები, ხეები
ნელ-ნელა ითქვიფებიან ბინდში;
ცა მუქდება...
ემშვიდობება ნათელს
სულიერი თუ უსულო _
მშვიდად, უშფოთველად...
თალხი ეფინება მთა-ველს,
უტყვი სევდით ივსება სული _
და სიამითაც...
მწუხრი...
კიდევ რამდენი
კარგი სიტყვა
გვაქვს ქართველებს:
ჭირნახული, მრავალჟამიერი,
წუთისოფელი, ციცინათელა...

რას მეთამაშები, ვარსკვლავო?

ძილის წინ
ჩემს ფანჯარაში
ერთი ვარსკვლავი იჭყიტება...
თვალს მიპაჭუნებს,
ვუყურებ,
მიყურებს...
რა უნდა ნეტავ?
რას მეთამაშები, ვარსკვლავო?
შენ ხომ ძალიან, ძალიან შორს ხარ,
ისე შორს, რომ წარმოდგენაც მიჭირს...
და მაინც
შენ ჩემი ვარსკვლავი ხარ,
იმიტომ, რომ
ამ წუთას ამოგარჩიე
და მხოლოდ მე გიყურებ ალბათ მთელ ქვეყნიერებაზე...
ჩვენ ერთმანეთს ვესაუბრებით _ მზერით,
აქამდე არ გიცნობდი, ჩემო ვარსკვლავო,
ბევრი სხვა კი გიცნობდა ჩემამდე:
აგწერეს კიდეც, ზომა-წონა, სიდიდე დაგიდგინეს,
ვარსკვლავთა კატალოგში ადგილიც მიგიჩინეს _
მოგცეს ნომერი,
სახელი კი ალბათ _ არა,
რადგან არც ისე კაშკაშა ხარ,
რომ საკუთარი სახელი დაიმსახურო...
ცივად ციმციმებ,
თუმც, შესაძლოა,
რამდენიმე მილიონი გრადუსით იყო გახურებული
ცელსიუსით...
ცეცხლის ბურთი ხარ ალბათ
და მხოლოდ იმიტომ არსებობდი და არსებობ
მილიონობით წელია,
რომ ახლა, როცა არ მეძინება,
შემოგეჭყიტა ფანჯარაში
და მე, _
ერთი ატომი უსასრულო სივრცისა, _
გაგეხალისებინა...
და დავფიქრებულიყავი:

რა პატარა ვარ და საცოდავი,
ერთი ციდა,
ჩემი თვალები კი იტევს
ცის ცარგვალზე მოციმციმე
პატარა ვარსკვლავს, _
ჩემს ვარსკვლავს...
რამდენი ფიქრი დაგესევა,
როცა ცას შესცქერი,
ყველაფერი რომ აღწერო,
მრავალი დიდი ტომი დაიწერება,
ფილოსოფიური უსასრულო პოემისა...
აქ შევჩერდები, თორემ
უსაშველოდ გრძელი ლექსი გამომივა,
მე კი დილით ადრე უნდა ავდგე,
ალიონის ეტიუდი უნდა გავაკეთო,
სხვა ათასი საქმეც მაქვს დიდ-პატარა...
ამიტომ დაგემშვიდობები
და მადლობას შემოგწირავ,
რომ არსებობ და ანათებ,
ჩემს სულში მრავალ ფიქრს აღძრავ
(განდიდების მანიით შეპყრობილთათვის
უებარ წამლად ივარგებ!)...
თვალები მელულება...
მე ვიძინებ,
შენ კი განაგრძე შენი გზა, _
სანამ ლექსს ვთხზავდი,
დედამიწა შემოტრიალდა რაღაც კუთხით
და შენ ფანჯარას გასცდი _
ახლა სხვა ვარსკვლავი მიპაჭუნებს თვალს...
მშვიდობით...

უძილობისას

ღამეა ჩემი სატრფო...
არცერთს არ გვძინავს _
შავტუხა ღამე ნაზად მიღიმის
და მეჩურჩულება:
_ ნუ ფიქრობ ბევრს...
მაინც ვერაფრით ჩამწვდები,
რატომღა იწვალებ თავს?
მე ისეთი ვარ,

როგორიც გგონია, რომ ვარ...
მე ვარ იდუმალი
და ამით მიმზიდველი,
რად გინდა, ვითომ ამოხსნა
ჩემი ხიბლის საიდუმლო
და ჩემზე გული აგიცრუვდეს?
დე, ვიყო შენთვის
მარადის შეუცნობელი
და სანატრელი მიჯნური...
მომენდე: ზოგჯერ
ზედმეტი ფიქრი
სიტკბოებას აფერმკრთალებს!
მართალი ვარ,
ვარსკვლავებს ვფიცავ...

მშიერი ღამე

მშიერი ღამის ღრმა ფუღურო
უღონოდ ღმუის, _
გაღივებულა ვარსკვლავები
და გაღადღადებულნი იღიმებიან...
მათი შარავანდი _
ჩუმი შუმი შუქი,
შიმშილით გაშავებული ღამის ღრუს ღრღნის;
კაშკაშა შიშველი მნათობნი
უსასრულო მღვიმის სიღრმეში
ღუღუნებენ:
“ჩვენ, ვარსკვლავები,
ვართ ოქროს ღილები
მოღუშული ღამის
ღოღნაშოსფერ კაბაზე”...

პესიმისტური

სულო, დაჭრილო ხოხობო,
ბარდებში შეფარებულო,

გულო _ მუჭში მომწყვდეულო,
ბედო _ ეულო, წყეულო,
ფიქრო _ ჩიტო გალიაში,
ფუჭად ჰქნევ იმედის ფრთებსა,
სულო _ შენ მოგიკვდა რაში, _
შიშის ნემსით დარდებს კემსავ...

ღალატი _ ღალატია ყოველთვის!

ძველების სიბრძნე გვასწავლის:
სიმართლეს იცნობ ძნელადა _
შენ რაც ნათელი გეგონა,
თურმე ყოფილა ბნელადა...
    და პირიქით!

დღეს რაც კეთილად მიგაჩნდა,
ხვალე გამოჩნდა ცუდადა,
შენ რომ გეგონა ვაჟკაცი,
თურმე უვლია მრუდადა...
და პირიქით!
ადრე ნაგმობი სიმკაცრე
მერე ჩანს გამართლებული,
სირბილე, ახლა რომ მოგვწონს,
ბოლოს არ არის ქებული...
 და პირიქით!

მაგრამ უნდა ვთქვა გამწყრალმა,
მოცდისთვის აღარ მცალია:
გამცემი არის გამცემი,
უნამუსოა ძალიან,
ღალატი ღალატად რჩება
დღეს იყოს თუნდა ხვალია!

ამ ჭეშმარიტსა სიბრძნესა
არასდროს გასდის ყავლია,
საუკუნეებს გაუძლო,
როგორც ხევის კლდე სალია, _
ვინც სიკეთის გზას ივიწყებს,
ვაჰ, მისი ცოდო-ბრალია!

ცხოვრების ცხარე ცხენი

ბედაური წლები ჭენებ-ჭენებით მიილტვიან უსასრულობისენ,
შენც მიჰქრიხარ ერთ-ერთის დღეთა ფაფარს ჩაფრენილი!
ადრე _ ომახიანი შეძახილებით აფიცხებდი,
ახლა _ მისი მარადი დაუდგომლობა გაკრთობს!..
ერთი მოჭიხვინე წელი კი მეორეს მისდევს, _
დაუსრულებლად,
დაუნდობლად,
დაუდეგრად...
წლის ბოლოს კი _ ერთი ნახტომით,
როგორც ცირკის მოჯირითე მხედარი, _
ერთი დავარდნილი ცხენიდან ახალშობილზე ისკუპებ ხოლმე...
ასე გარბიან წლები-ცხენები,
თანაბრად,
ნარნარად,
შენთვის კი _
სულ უფრო სწრაფად და სულსწრაფად:
რა მალ-მალე იცვლი წლებს-ცხენებს!..
უფრო და უფრო გიძნელდება
მორიგი წლის მოხტუნავე ზურგზე შერჩენა,
შემოდგომის ფერმიხდილი ფოთოლივით...
და არ იცი _
რომელი ჰყრის ტლინკებს უცებ,
მკვეთრი მალაყით ყალყზე დადგება
და გადმოგაგდებს შეუბრალებლად...
მოადენ ზღართანს მიწაზე,
თუმც აღარც ტკივილს იგრძნობ,
აღარც _ სინანულს,
თვალებში სხივჩამქრალი...
მხოლოდ სხვებში დატოვებ სინანულს:
თუ ნიჭი გქონდა _
სიყვარულის
ან
სიბრალულის....

მარტი

წამოგვეპარა გაზაფხული ლურჯთვალება,
მწვანე კაბას შიშველ ტანზე იცვამს,
მზეს უცინის, ყველაფერს ეალერსება...
ქარი უწეწავს ხეთა თმებს _
გარბის, გარბის მოუთმენლად,
შიშველი კანჭები ანათებენ...
ხან _ თოვლშერეული წვიმით ამღერდება,
ცისარტყელას დაიბნევს გულზე,
ხან _ ქარაშოტად ცეკვა-ცეკვით, დავლურით
დაუვლის-გადაუვლის მთა-გორებს...
ხან _ ალერსიანია, მზრუნველი,
ხანაც _ ავი, კაპასი დედინაცვალივით:
ზამთრის გამონაცვალ კაბას ჩაიცვამს,
ანჩხლობს და ნიავქარობს...
“გაგიჟდა ეგ ოჯახქორი!” _ ქოქოლას აყრიან:
ხან _ ნაღდი თოვლის ნამქერს წამოუშენს,
ხან _ ატმისა და ყვავილთა თოვას!

წვიმა-მაწანწალა

ფეხაკრეფით მოიპარება წყნარი წვიმა...
წინდაწინ ქარის წუილს წაიმძღვარებს,
წამში წამოწინწკლავს,
წამოჭორფლავს წერტილებით მიწას, _
უსირცხვილო, უნიფხვო მაწანწალა-წანწალა:
წვივმაღალი, წელწვრილი, წერწეტა;
იწევს წარბებს, წრიალებს,
წინამასწარა წაიმეტიჩრებს, _
წამოიწვდის წვრილ-წვრილ ჭავლებს,
უცებ გაწიწმატებული წივილით წამოუშენს,
წყება-წყება წაუთაქებს სახურავებს,
წაიბუტბუტებს-წაიბუზღუნებს: “მწადია, წაგლეკოთ!”
წაეთამაშება, წურწურით იწმაწნება ხეთა რტოებში,
წარამარა წეწავს, წკიპურტებით წაკინკლავდება
ბალახებთან,
გზაში მგზავრებს ვისაც კი წააწყდება-წაასწრებს,
წაეხუმრება _ წუწავს წაღმა-უკუღმა უწესოდ, _

აწუწუნებს მხრებაწურულებს, შეწუხებულებს...
მეც ვწუხვარ:
ერთ წამში წვიმა შეწყდა...
წაეხირა,
წაეხეტა...
წერას ვწყვეტ.
სადღაც
წკანწკარებს
წვეთების
მრავალწერტილი...

ალვა

აზიდულა ალვა სერზე,
როგორც კოხტა ბიჭი ცერზე, _
არც კი უფიქრია მალვა
და რტოთ მოშრიალე ტალღამ
არ იცის, რა არის დაღლა.

ტანკენარო ტურფა ალვავ,
ალბათ გენატრება გავლა, _
გადახვიო ხელი ტირიფს,
უშენობით შორით ტირის...

მოწყენილი ქუჩა

შუადღეზე მოწყენილია ცარიელი და წყნარი ქუჩა:
არ ახარებენ თვალს მოკისკისე ქალიშვილები,
არც ხელჩაკიდებულ პატარებს მიაჩანჩალებენ დედები,
არც ყმაწვილები დააგელვებენ ყიჟინით ველოსიპედებს...
უცებ ვიღაც უზრდელი ისვრის ფანჯრიდან გამოხრულ ძვალს.
საიდანღაც იმ წამსვე გაჩნდა ორი ფერდებშევარდნილი ძაღლი:
ერთი _ შავი და მეორე _ თეთრი
(თითქოს დღე და ღამე შეხვდნენ ერთმანეთს).

ორივენი იმ ძვალს მივარდნენ და, ცხადია, ვერ გაიყვეს,
მერე, მიხვდით ალბათ, ერთმანეთს ეცნენ გააფთრებით...
და მოწყენილი ქუჩა აღარ იყო ცარიელი და უხმაურო, _
დადგა მტვრის ბუღი და სიჩუმე ღრენამ გაფხრიწა!

მაშინვე გაიმართა თავების გამოფენა:
ფანჯრებში გამოჩდნენ ცნობისმოყვარე თვალები
დიდთა და პატარათა, ქალთა და კაცთა, _
სახლთა კედლები ჩარჩოებში ჩასმული პორტრეტებით გაივსო.
შემთხვევამ ჩვენც გადმოგვიგდო გასართობი ძვალი-
სანახაობა,
რომელიც, ძაღლებისგან განსხვავებით, ყველამ ძმურად გავინაწილეთ,
ჩხუბი არ მოგვსვლია და იქნებ ამიტომაც
მოწყენილი ქუჩა ისევ მოწყენილად დარჩა...

ორობის სასწაული

ღობესთან წინ წაწეული,
ვხარობ ტოტით მოწეულით:
ყვავილების ძოწეულით
ნაკვერჩხლებს ჰყრის ბროწეული!

ცეცხლთან

ცახცახებს ცეცხლი ცოცხალი,
ცინცხალ ჩინჩხლებს ჰყრის ჩქარ-ჩქარა,
ალი _ ალქაჯი, ალმასი,
ღაჟღაჟა ღრჯოლი თაკარა, _
ჩიფჩიფებს ვნებით დამთვრალი
კუნძს ჩახვეული აფთარი:
“მოგსპობ,
მოგაშთობ,
ცას შეგაბოლებ!”
რაც უფრო ავობს,
მით უფრო მათბობს!

ლექსისი ლექსი

რა არის ლექსი?
რაღაც ფაფუკი, თბილი, ალერსიანი არსება?
თუ გულის ტკივილი, მწვავე ჩხვლეტა მკერდში?
დღის კისკასი კისკისი,

თუ ღამის ჩუმი ღმუილი?
იქნებ _ ლამაზი ღრუბელი, ჩამავალი მზით აფერადებული?
ან შხაპუნა წვიმის სიმღერა სახურავებზე?
თუ მწვანე ბალახზე აბრჭყვიალებულ წვიმის წვეთში
არეკლილი ცისარტყელას ხიდი?
წვეთია თუ ოკეანე?
ლექსი შენ თვითონ ხარ, თუ _ სამყაროს უსასრულობა?
ბუნდოვანება, ბინდი, ბურუსი,
თუ გამოკვეთილობა, ნარნარი სილუეტი, მკვეთრი კონტური?
ლექსი – ფიქრის იალქანი?
გრძნობის უხილავი მდინარება?..
ვინ იცის, რა არის ლექსი?
ყველამ იცის და _ არც არავინ!
ლექსი არის ყველაფერში,
ლექსი არის უპირველესად შენში,
და თუ ის შენშია,
ის არის ბალახებში გაკვალულ ბილიკშიც,
ცაში ეულ ბატკნად მობალახე ღრუბლის ქულაშიც,
ბავშვის გულღია ღიმილშიც
და გველის გასრიალების თავზარდამცემ, ელეგანტურ
მიმოხრაშიც...
ლექსი არის უცხო ჩიტი,
უეცრად სულში საიდანღაც მოფრენილი,
ხანაც _
საკუთარ სულის თონეში გამომცხვარი თბილი პური!
უცნაურია ლექსი!
ხან ყოფიერების ნაცრისფერ უდაბნოში
მოულოდნელად ოცნების ნაზ ყვავილად ამოიზრდება,
ან დროების ზანტი მდინარებიდან
ჰაერში ამომხტარ სიხარულის ვერცხლისფერ კალმახად
ასხმარტალდება
და გულს წამიერად აგიჩქროლებს...
ალბათ ლექსი მაშინ არის ლექსი,
როცა მასში არის
სიყვარულიცა და სიძულვილიც,
ტკივილიცა და შვებაც,
გოდებაცა და სიმღერაც,
ხუმრობაში გამოსჭვივის ცრემლი
და გლოვაში _ იმედი...
დიახ, ყველაფერს,
რაც გულს მოხვდება,
პოეზიის მადლი აცხია!

გამრჯობა მზეო!

გამარჯობა, მზეო!..
დიდება შენს ამობრძანება-ამობრწყინებას!
მზეო _ ლოყაწითელო, ღაჟღაჟავ,
კეთილად მოღიმარევ, კისკისავ, გიზგიზავ, _
ელვარე, მხიარული თვალით ამოიჭყიტავ,
მგზნებარე მზერით გადმოხედავ გარემოს,
თბილი სხივებით ჩაეხუტები,
ულევ ოქროს მოაბნევ არე-მიდამოს...
და რა ზღვა სიხარული მოეფინება ყველგან!
ყველას საპასუხო ღიმილით უნათდება სახე,
როცა ცაზე ამობრწყინებულს გიხილავს!
თუმცა, შენს ბრიალა თვალს მზერას ვინ გაუსწორებს! _
ირიბად გაგხედავენ,
უხარიათ, რომ ხარ!
და ხარ დიდი, ნათელი, თბილი, ტკბილი,
თვინიერი, უშფოთველი, დიდებული, ნეტარი,
ზოგჯერ _ მცხუნვარეც;
მთელი დღე ფრთამოუღლელად
აღმოსავლით დასავლისკენ ილტვი,
ტრიალ-ბზრიალით მიგორავ,
ბაჯაღლო ბორჯღალო!
უზომოდ ცნობისმოყვარე ხარ,
მთლიანად კაშკაშა თვალად ქცეული _
ყველგან მოაფათურებ ალერსიან ხელებს-სხივებს,
სად არ იჭვრიტები:
ტყის უთვალავი კუნჭული უნდა მოინახულო,
ხვრელ-ნაპრალებში უნდა ჩაძვრე,
მთა-ველი მიათვალიერ-მოათვალიერო,
წყალშიც ანცად იჭყუმპალავო _
მდინარის ფსკერზე ნაირფერი კენჭები თვალო,
ზღვაშიც არაფერი დაგრჩეს ფერგემოგაუსინჯავი _
თევზთა ქერცლის ვერცხლი
თუ მარჯნის ძოწი...
ცელქი ბავშვივით გახალისებს ყველაფერი,
რაც ბზინავს, ბრწყინავს,
თვალს ახარებს
(ისევ და ისევ შენით!), _
ყველას გინდა კეთილად გაუღიმო,

მიეფერო, აკოცო;
სხივად დაახტები მხიარულად _
და ცქვიტად ისევ ახტები-აირეკლები ბურთივით,
თვითონ ბურთო,
დაჰგზავნი მოთამაშე-მოთამთამე-მოლივლივე წყლის სარკი-
დან
თუ ყოველი კრიალა ზედაპირიდან
ცქრიალა ცინცხალ ათინათებს...
გიყვარს _ სიცილი!
გიყვარს _ ალერსი!
გიყვარს _ თამაშ-სიმღერა!
ცეკვა-ცეკვით მიგორავ,
ტრიალ-ბზრიალით მიბორჯღიალობ, _
ყოველთვის სავსე, კმაყოფილებით მაძღარი,
მარად მოუსვენლად მიილტვი,
ყველგან სიხარული მიიტანო!..
რამდენი შენი სხივების მადლით ავსილ-გაზრდილი
გბაძავს შენ _
ფორმის სრულყოფილებაში,
ფერის სიმცხუნვარეში:
ფორთოხალი _ ვარვარა ბურთი,
პომიდორი _ ოქროს ვაშლი,
ხურმა _ გემრიელი, ტკბილი შენსავით _ თაფლის ძუძუ
(მიყვარს ძალიან!),
ონტკოფო _ ხარბია, ორმაგი მზეა,
დიდის შიგნით პატარაც დამალულა, ცუგრუმელა!
მზეო, კვერცხის მფეთქავი გული ხარ,
გადმოღვრილი ცის ლურჯ ტაფაზე!
შენ კაშკაშებ გვირილის გვირგვინში,
ბრიალებ მზესუმზირის წამწამებში,
ზაფრანა ხომ შენი სურნელით გვათრობს-გვზაფრავს!
პეპლების ფრთებზე ბრდღვიალებ,
ფარშევანგის კუდზე ცისარტყელურობ!..
მზეო _ რჩოლია, წითურო ბუღავ!
მზეო _ მამლაყინწა-მამლაყვერავ!
მზეო, შენ ლომი ხარ,
მძვინვარე, გავეშებული მეფეთმეფე,
რომელიც ცეცხლოვანი ღია ხახით
ნთქავს დროსა და სივრცეს
და ვერაფრით გამძღარა!..
მზეო, შენ ქალიც ხარ, დედაკაცი _
ნაყოფიერებისა და სილამაზის,

სრულყოფილებისა და სიკეთის სიმბოლო!..
მზეო _ ნატვრისთვალო!
მზეო _ დოვლათო და ბარაქავ,
შენი ნაკოცნი ავარდისფრებს ატმის ნაზ ლოყას,
ყოველ თესლში ხარ ჩაბუდებული
და მერე ათასად, ათიათასად იბარტყებ!
შენ ქარვის მარცვლად ეკიდები
რქაწითელის დაგრეხილ ტანს!
მაქსიმ გორკის ნათქვამია:
“ღვინოში ყველაზე მეტი მზეა!”
ალბათ ამიტომ გვიყვარს ქართველებს
სუფრის გაშლა ბუნების წიაღში, _
მწვანე ბალახზე,
მოტიკტიკე ნაკადულის პირას,
გაბარჯღული კაკლის, მუხის თუ წიფლის ჩეროში,
რომ შენც შეგეძლოს, მზეო,
გამოჭიატდე ხშირ ფოთლებს შორის,
აკიაფდე მაღლა აწეულ სავსე ჭიქაში, _
შინდისფრად თუ ლალისფრად,
მაყვლისფრად ან ქარვისფრად, _
რომ თვალი და გული გაახარო!
და შემდეგ სითბოდ და სიამედ,
ტკბილ ჟრუანტელად ჩაიღვარო ჩვენს სხეულში,
ნეტარებად გაჯდე ჩვენს ძარღვებში,
აამაღლო, ფრთები შეასხა ჩვენს სულებს!..
თუ ქარვაშია ყველაზე მეტი მზე?
ქარვა ხომ ფისი _ სურნელოვანი ცრემლია,
შენი მხურვალე სიყვარულით ოქროსფრად ჩამოღვენთილი
ფიჭვის ხორკლიან ტანზე,
მერე რომ ადიდებულ-აზვირთებული მდინარით
გაიტყორცნება ზღვაში
და იქ განამარხდება გრილ ფსკერზე...
თუ ზღვისპირა დიუნებზე შემომტევი წყლითა და ქვიშით
დაიფარება წიწვოვანთა წაქცეული ტანები?
ბოლო მაინც ერთია _ ფისი ქარვად უნდა გარდაიქმნას
(ასიათასობით წლის შემდეგ),
ქარვა კი იქცეს:
ლამაზი ქალის გულსაბნევად
ან ბეჭდის თუ სამაჯურის თვლად,
საყურედ, გულსაკიდად,
ან, უკიდურეს შემთხვევაში, _
დაფხვნილ-გაფიცხებულ-დაწნეხილი, _

მუნდშტუკად, მძივად, ხშირად კი _
ქოლგის მოხრილ სახელურად
და ძნელი გასარკვევია,
ტურფას ნატიფი ხელი ათბობს ქარვის სახელურს
თუ სახელური _ ხელისგულს...
იქნებ ქარვისფერ თაფლშია ყველაზე მეტი მზე?
რა ნეტარი სიამე მოგვიცავს,
თუნდაც ერთი კოვზის დაგემოვნებით!
თითქოს მზე ჩაგვეღვრება სულში
(გინდაც თოვლიან-ბურუსიანი ამინდი იყოს)!
მზეო,
სანატრელო გვირგვინოსანო!
დიდებულო, დიდბუნებოვანო!
შენ ყველგან ხარ,
ყველას სულში ანათებ!..
სიცოცხლის დედა-მშობელო,
მზრუნველო გამზრდელო,
რა უხვი ხარ, რა სავსე პირთამდე
სინათლით, სიკეთით _ მადლით!
ვისაც კი შეხედვით დაასაჩუქრებ,
ყველა სითბოთი იმუხტება,
თვით ხდება პატარა მზე _
ყველანი შენი შვილები ვართ!
მზეო,
დედის ხელივით თბილსა და ალერსიან სხივებს
გადაგვისვამ ხოლმე თავზე,
შენ ყველასი ხარ,
შენ ერთი, ერთადერთი ხარ,
ვინც ვერავინ წარგიტაცა და დაგიმარტოხელა,
ვერც მიგისაკუთრა _ ვერავინ დაგეპატრონა!..
აგერ მთვარეზეც კი დაადგეს ფეხი ადამიანებმა,
ხვალ და ზეგ ვენერასა და მარსის ჯერიც მოვა,
და დაიწყებენ მათ დანაწილებაზე ზრუნვას;
შენ კი,
მარად ცხელ, მფეთქავ გულს სამყაროსი,
ვერავინ ვერასდროს შეგეხება!
მხოლოდ შორიდან გეალერსებიან, პლატონიურად _
და ეს არის ჭეშმარიტი ტრფობა,
გაუხუნარი, მარად ცინცხალი...
დიახ, სიამით გვთანგავ _
ყოველთვის, ყოველთვის, ყოველთვის:
როცა დილით რიჟრაჟს თან მოჰყვები,

მერე აღმაღლდები ცით,
აღმობრწყინდები
მეფური ძლევამოსილებით,
სინათლის ოკეანით დატბორავ ქვეყნიერებას;
შუადღეზეც,
როცა მზრუნველად თავს დასტრიალებ
ყოველ ბალახს,
თითოეულ მღილს, _
იზარდეთ!
იმრავლეთ!
იხარეთ!
იბედნიერეთ!
ყველა ჩვენი ძარღვი შენით ფეთქავს, _
შენით სულდგმულობს მძლავრი მუხაც
მუმლიც
და ის სიოც,
რომლის ნელი ქროლვაც
მუმლს ღრუბელივით მიდენის!..
და საღამოსაც,
როცა ნელ-ნელა აიკრეფ დაღლილ სხივებს,
დაისი სევდიანად გვემშვიდობება
ფერთა ხავერდოვანი ზეიმით...
ყოველთვის საყვარელი ხარ!
ყოველთვის სასურველი ხარ!
თვალებს დავხუჭავ და...
ვგრძნობ, როგორ ივსება თავი სინათლით,
სითბოთი იჟღინთება მთელი სხეული...
რამდენი სიტყვა უძღვნიათ შენთვის,
რამდენი სიტყვა დაუხარჯავთ შენს ხოტბაში,
რამდენი ლოცვა აღუვლენიათ შენდამი, ყოვლისშემძლესადმი!
ყველას ღიმილით აუყვავდება სახე შენი ხსენებისას,
ყველა თვითონაც თბება შენზე ენამზეობაში, _
როგორც მე ახლა!
მაშ, მიიღე მოწყალედ კიდევ ერთი ქებათა ქება,
ოქროსფაფრიანო ლომო!
ოქროსნაწნავიანო ტუფავ!
ქვეყნიერების კეთილო თვალო!
სამყაროს მფეთქავო გულო!
მზეო,
სიყვარულო!..

13. გზა

რესტორან "საბურთალოდან" ვაჟა-ფშაველას გამზირზე გამოსულები მალე თითქმის ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. დიდიმის მანქანის საჭეს დათუნა მიუჯდა; შესთავაზა დედას, შინ მიგიყვანო, მაგრამ იამ უთხრა, ფეხით გავლა მირჩევნიაო. შემდეგ შეეხვეწა, ბიჭო, დღეს მაინც დამიჯერე, ჩემთან მოდი, ვისაუბროთ, ერთი ღამე მაინც გაათენე შენს სახლშიო. დათუნამ იუარა, მე შიოლასა და მაგდანასთან წავალო...

_ რატომ გითხრა უარი? _ ჰკითხა გიამ იას. _ გამიკვირდა, როცა სურათებს ვტვირთავდით მანქანაში, მაშინაც ქუჩიდან ეზოშიც კი არ შემოვიდა.

_ იქაურობა არჩილს აგონებს, _ მოკლედ აუხსნა იამ.

ია და გია ნება-ნება მიუყვებოდნენ გაჩირაღდნებულ პეკინის ქუჩას. უკვე საკმაოდ გვიანი იყო, გამვლელნი იშვიათადღა ჩანდნენ, მსუბუქი მანქანები უწყვეტ ნაკადად მისრიალებდნენ აქეთ-იქით.

საუბარიც ძალდაუტანებლად მიედინებოდა; თუკი პაუზები გაჩნდებოდა, არც ისინი იყო უხერხულობის მომტანი _ მათ ერთად ყოფნა სიამოვნებდათ და უსიტყვოდაც კარგად უგებდნენ ერთმანეთს.

უხმოდ მიედინებოდა საფერავისფერი ღამეც, მუქ კახურ ქუდად გადმომხობოდა გატრუნულ ქვეყნიერებას... ხმაურიანი ქუჩა, გაჩირაღდნებული ლამპიონები, მაღაზიათა დიდი ვიტრინები, განათებულ თუ ჩამუქებულ ფანჯარათა ჩარიგებული ოთხკუთხედები თითქოს კიდევ უფრო უსვამდნენ ხაზს მოსვენებას მინდობილი ქალაქის მშვიდ, თანაბარ სუნთქვას. ჩაივლიდა ტროლეიბუსი, ბუგელებიდან გაჰყრიდა ნაპერწკლებს; მანქანათა ძრავების ხმა საერთო ღუღუნად აღიქმებოდა და ნელი ნიავით აქანავებულ ხეთა ახალგაზრდა ფოთლების ჩურჩულს ფარავდა. გრილოდა და გიამ იას თავისი პიჯაკი მოახურა მხრებზე, ხელი მოხვია:

_ კმაყოფილი ხარ?

_ კი... მე მგონი, არც სხვები დარჩნენ უკმაყოფილონი... გული იმაზე მწყდება, რომ ყველანი არ იყვნენ: დემნა ნიცუბაშვილი, ალე ბალამწარაული, ნატო ბანატოშვილი... სად დაიკარგნენ? გავიკითხ-გამოვიკითხე და მათ კვალს ვერ მივაგენი. ძალიან მინდოდა, ჩვენი ჯგუფიდან ყველანი მოვგროვილიყავით.

_ მეც ხომ მთხოვე მათი მოძებნა... დემნა რუსეთშია წასული, იქ მოღვაწეობსო, ალე და ნატო კი დაიკარგნენ _ არც მხატვართა კავშირში იციან მათი გზა-კვალი, არც _ სამხატვრო კომბინატში... ეტყობა, თავი დაანებეს მხატვრობას. გამოფენებზე მათი ნამუშევრები როდის ვნახე უკანასკნელად, აღარც მახსოვს... შენც კაი ოცი წელიწადი არ ჩანდი გამოფენებზე, უფრო სწორედ, შენი ნამუშევრებით, თორემ დიდ გამოფენებს ერთს არ ტოვებდი დაუთვალიერებელს.

_ კარგი გამოფენის ნახვა ჩემთვის დღესასწაულია. ერთნაირად მიყვარს ბუნება და სურათები...

_ როგორ შეიძლება ერთნაირად გიყვარდეს დედა და დედინაცვალი?

_ ჰა-ჰა-ჰა, სწორია!.. მაგრამ... დედინაცვალსაც გააჩნია. მაგდანა დედასავით, რა თქმა უნდა, ვერ მეყვარება, მაგრამ დიდ პატივს კი ვცემ. ნამდვილად მეცოდება, კარგი ადამიანია, უსიტყვო; მამაჩემი, ეტყობა, მაგასაც დროზე ადრე მოინელებს...

_ შენ როგორღა უძლებდი არჩილს?

_ ჰო, მეც... მაგდანას ვგავარ რაღაცით... მისი პორტრეტი მინდა, გავაკეთო, ცოტას მაინც გავახარებ... თუ შევძელი. ბევრ რამეს ერთდროულად ვეპოტინები. პორტრეტი ჩემთვის საერთოდ ძნელია, ყოყმანი მიპყრობს, თითქოს უსიერ ტყეში შევდიოდე, სადაც არც გზა ვიცი და ბილიკიც კი არ ჩანს... მეშინია, გზას ვერ გავიკვლევ, დავიბნევი... პეიზაჟი ჩემთვის სულ სხვაა! აქაც ბევრ გამოცანას ვხედავ და მე მიტაცებს მისი საიდუმლოებების ამოცნობა, მაგრამ შიში არ მაქვს, ყოველთვის დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან სასურველ შედეგს მივაღწევ. ბუნებაში ლაღად ვარ, თავისუფლად ვგრძნობ თავს, ერთი სული მაქვს, სანამ ეტიუდის შექმნას დავიწყებდე... არჩილი რომ სანადიროდ დააპირებდა წასვლას, ასე აწრიალდებოდა ხოლმე მისი ძაღლი. მე პასიურად არ შემიძლია ბუნებას ვუყურო და დავტკბე _ ვერ ვძლებ, მინდა აუცილებლად ჩავერიო, ჩემებურად ფერებით ავამეტყველო, ჩემი სიტყვა ვთქვა..

_ ძველ კითხვას შევატრიალებ: ბუნება გირჩევნია თუ სურათი?

_ ხუმრობით მეკითხები, მე კი სერიოზულად გიპასუხებ... თუმცა... ასეთნაირად კითხვის დასმა არ მიმაჩნია მართებულად; ეს იგივეა, ბავშვს რომ ეკითხებიან, დედა უფრო გიყვარს თუ მამაო. ბუნებისა და ხელოვნების ნაწარმოების დაპირისპირება არ შეიძლება. ბუნება ხელოვნების წყაროა, მით არის შთაგონებული, როგორც კრიტიკოსები წერენ, მათ თავთავისი ადგილი უკავიათ _ ერთი მეორეს ვერ შეცვლის, ორივე საჭიროა. რა ვიცი, არა მგონია, ისეთი ადამიანი გამოიძებნოს, ვისაც კარგი სურათი-პეიზაჟი არ მოეწონება.

_ იყო დრო, პეიზაჟს მხატვრობაში დევნიდნენ, ებრძოდნენ...

_ ტვინნაღრძობი, ხომ იცი, ყოველთვის მოიძებნება; ბუნება მეტისმეტად ხელგაშლილია და ასეთ პიროვნებებსაც შობს.

_ არა, მე ცალკეულ პიროვნებებზე კი არ გეუბნები... ცნობილია, პეიზაჟის, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის, ცნება, მისი თავისთავადი ღირებულების შეცნობა, ძალიან გვიან მოხდა, სულ რამდენიმე საუკუნეა; სახვითი ხელოვნების ისტორია კი საერთოდ ალბათ ათჯერ მეტ დროს მოიცავს... მეცხრამეტე საუკუნემდე, და ბევრისთვის მას შემდეგაც, პეიზაჟი მესამე თუ მეოთხეხარისხოვან ჟანრად ითვლებოდა.

_ უნდა დააზუსტო: შენ აღმოსავლურ ხელოვნებას არ გულისხმობ _ ჩინურს, იაპონურს..

_ რა თქმა უნდა. აგერ ჩვენთანაც, ოციან, ოცდაათიან წლებში პეიზაჟს ათვალწუნებით უყურებდნენ... თუ ეგრეთწოდებული ინდუსტრიული პეიზაჟი იყო, კიდევ ჰო, დაუშვებდნენ გამოფენაზე.

_ მადლობა ღმერთს, ეგ დრო წავიდა.

_ დრო კი წავიდა, მაგრამ... მე მინდა, გაგაფრთხილო, ადრეც უნდა მეთქვა... არ გაგიკვირდეს, თუ შთაბეჭდილებათა წიგნში უცნაური რაღაც-რაღაცა და, მათ შორის, ლანძღვა-გინებაც წაიკითხო... ხომ იცი, თითო სოფელში თითო გიჟი არ დაილევაო, თბილისი კი რამდენ სოფელს დაიტევს, ა?.. ბევრი სულ ვერ გაგიგებს, ან ცუდად გაგიგებს... შენ რომ თქვი, აი, ისეთი ტვინნაღრძობი დღესაც შეიძლება შეგხვდეს, არ დაზარდება და დიდის გულმოდგინებით ჩაგიწერს, რომ დიდად გაკ-

ვირვებულია შენი უნიჭობის ხარისხით _ როგორ არ გრცხვენია, ასეთი სუსტი ნამუშევრები გამოფინე და თავი მოიჭერიო; ნამუსზე შეგაგდებს და გირჩევს, დროს ნულარ დაკარგავ ბავშვურ გართობაზე, სხვა საქმეს ეწიე, _ ასე უკეთესი იქნება შენთვისაც და სხვებისთვისაც... ძალიან ცუდ მაგალითს აძლევ ხელოვანთა მომავალ თაობასო და ასე შემდეგ. ლამის უზნეობაში ჩაგითვალოს გამოფენის მოწყობა.

_ რა საშინელებაა... არ მჯერა! თუმცა... მეც წამიკითხავს ამგვარი რამ, ბევრისთვის ჩაუწერიათ.

_ არის ადამიანების კატეგორია, რომელთაც სიამოვნებთ საზიზღრობის ჩაწერა. რას იზამ, გულთან ახლოს არ უნდა მიიტანო.

_ არა, ამგვარ ხალხზე კი არ ვამბობ, გულწრფელადაც ცდებიან; ამგვარი ჩამწერის ემოციური სიყრუე პირდაპირ პროპორციულია მისი კატეგორიულობისა _ არ ვარგა და მორჩა! მეც ბევრი რამ არ მომწონს ხოლმე გამოფენებზე, მათ შორის _ პეიზაჟებიც, მაგრამ მიწაში არ დამიმარხავს არავინ... მე ჩემი გემოვნება მაქვს, ვიღაცას _ სხვა, შეიძლება, მე ვცდები, რა ვიცი... თუ არ მომწონს მავანის შემოქმედება, არ შევალ მისი გამოფენის სანახავად, განქიქებას კი არ დავუწყებ _ არ არის "ჩემი" მხატვარი, რა მოხდა მერე...

_ რა თქმა უნდა... ვიღაცამ შეიძლება, ჩაგიწეროს, სრულიად გულგრილი დავრჩი, ამგვარი სურათები ათასჯერ მინახავს, ყელში ამომივიდაო. სხვაგვარი უკიდურესობაც შეიძლება შეგხვდეს და არც ის გაგიკვირდეს. გამოგაცხადებენ გენიოსად, ცოცხალ კლასიკოსად: "ოჰ, ეს რა ნახა ჩვენმა თვალებმა!"; "მსოფლიო სენსაციაა!"; "ასეთი მხატვარი ჯერ არ დაბადებულა!"; "რა ბედნიერებაა, რომ არსებობს ასეთი, ღმერთის ტოლი მხატვარი _ ია ლიაშვილი!" ყოველ წინადადებას ბოლოში სამ-სამი ძახილია ნიშანი დაამშვენებს...

_ კარგი რა!

_ თუმცა ერთ შეფასებას მეც ვუერთდები: ჩემთვის ნამდვილად დიდი ბედნიერებაა, რომ, ჯერ ერთი, არსებობს ასეთი ქალი _ ია ლიაშვილი და მეორეც, რომ არსებობს ასეთი მხატვარი _ ია ლიაშვილი! გულწრფელად გეუბნები და სხვამ რაც უნდა, ის თქვას! თუ გინდა, შთაბეჭდილებათა წიგნშიც ჩაგიწერ!

_ რაღა დროს კომპლიმენტებია, ათი წლის შვილიშვილი მყავს!

_ დამიჯერე, ჩემი აღმოჩენა არ გახლავს: არიან ქალები, თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ასაკში გაშლილ ვარდს ჰგვანან; ზოგი ოცდახუთი-ოცდაათი წლის ასაკშია, ასე ვთქვათ, დაღვინებული, მომხიბვლელად დასრულებული; არიან ისეთებიც, რომლებიც, რაც ხანში შედიან, მით უფრო დახვეწილნი ხდებიან, უფრო ლამაზდებიან! მათი შინაგანი სილამაზე დროთა განმავლობაში გარეგნობაშიც აშკარად გამოჩნდება _ გამომჟღავნდება სიდარბაისლე, ნაკვთთა დახვეწილობა...

_ ჰა-ჰა-ჰა, როგორ გამაცინე!.. დიდი მადლობა!.. მე რომელ ტიპს მივეკუთვნები? ამ ბოლო დროს ქათინაურებში დაოსტატდი.

_ შენთან საპირფერო რა მჭირს! შენში რა მომწონს, იცი? ჯერ არ მითქვამს... ერთი ვერ დავსხედით და ვერ ვისაუბრეთ დალაგებულად, როგორც საჭიროა... სულ ფაციფუცში ვართ, რაღაც წვრილმანებში ვჩირთიფირთობთ, მთავრისთვის დროს ვერ ვპოულობთ... სულ სადღაც გვეჩქარება, ათასი გადაუდებელი საქმე ყელში გვიჭერს და გვახრჩობს...

_ აღარ მეტყვი, ჩემში რა მოგწონს? ამ ბებერ ქალს მოთმინების ძაფი გამიწყდა.

_ შენ და შენი სურათები, ასე მგონია, არ ჰგავხართ ერთმანეთს... ამ მხრივ არ ვეთანხმები გვარამ ვარამაისძის შეხედულებას. შენ პიროვნულად "ჩაკეტილი" ხარ, მაინცდამაინც ახლოს არავის მიუშვებ შენს გრძნობებთან, გიჭირს შენი საფიქრალის თუ სადარდელის სხვისთვის გაზიარება... ასე არ არის? რა ვიცი, ოცდათორმეტი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ, არავის დაახლოვებიხარ... ყველას უყვარხარ, მაგრამ, როგორც ვატყობ, ახლო მეგობარი არ გყავს, განდეგილივით ხარ...

_ შენ?

_ დიდ გმირობად ჩამეთვლება! როგორ მოვახერხე, არ ვიცი! მართალი გითხრა, არც მიცდია შენი გულის მოგება, როგორღაც თავისთავად მოხდა ჩვენი დაახლოება, ბუნებრივად... მაინც დიდი დრო დავკარგეთ, სანამ ერთმანეთს ვიპოვნიდით.

_ ჰა-ჰა-ჰა!

_ რა გაცინებს?

_ ახლა მართლა კარგ ხასიათზე ვარ! მერე, მერე? როგორი ვარ?

_ ჰო, სიტყვაძვირი, თავშეკავებული ქალბატონი ბრძანდები, რასაც ნამდვილად ვერ დაიჯერებს ახლანდელი შენი განწყობილების შემხედვარე უცხო პიროვნება... შენი სურათები კი "გახსნილია", მაჟორული, ასე ვთქვათ, "ღიმილიანი"... საოცრად კონტრასტულია მის შემქმნელ პიროვნებასთან _ ალბათ მე ფსიქოლოგიის რომელიღაც კანონს ვეწინააღმდეგები, მაგრამ ასე ვფიქრობ...

_ დიდად გმადლობ!.. ვერ გავიგე მე შენი: ხან ცაში ამტყორცნე, ღრუბლებს გამატოლე, ახლა კიდევ ცხვირჩამოშვებულ, კუშტ, უკარება არსებად დამხატე... რომელ შემთხვევაში ხარ მართალი?

_ რა ხართ ქალები!@ ყველგან გამოჩხრეკთ წინააღმდეგობას... შენ რა, მარტივ პიროვნებად მიგაჩნია შენი თავი? მე _ არა. შენ თვითონ არ გაქვს შეცნობილი საკუთარი თავი ბოლომდე, რა გასაკვირია, სხვამ ვერ შეძლოს, ღრმად ჩაგწვდეს. თუმცა... ზოგჯერ გარედან უკეთ ჩანს, გარეშე თვალი უკეთ ხედავს, ესეც ხომ სიმართლეა.

_ გავანებოთ თავი ამ წვრილმან ფილოსოფოსობას, შენ ეს მითხარი, დიდიმის თამადობა როგორ მოგეწონა?

_ ოქრო კაცია დიდიმი, კიდევ უკეთესი იქნებოდა, სერიოზული მხატვრობისთვის რომ იმის მეათედი დრო დაეთმო, რასაც ქეიფებში ხარჯავს...

_ გული ხომ არ დაგწყდა, შენი სადღეგრძელო რომ ცალკე არ დალია?..

_ იმ ასაკიდან უკვე დიდი ხანია გამოვედი, მასეთ წვრილმანებს როცა ყურადღებას ვაქცევდი. ხუმრობა იქით იყოს და, ცოტა ხანში, მე და შენ სულ ერთად გვადღეგრძელებენ.

_ მე უფრო მგონია, ერთად გაგვლანძღავენ...

_ ხომ გითხარი, ყეყეჩ და ღვარძლიან ხალხს რა გამოლევს. ყველაფერს ჯობს, საერთოდ არ მიაქციო ყურადღება ზოგ-ზოგის ნალაყბევს: "ძაღლი ყეფს _ ქარავანი მიდის"...

_ მეც დიდი ხანია, სხვების ქირქილს არ ვაქცევ ყურადღებას. არჩილმა კარგად გამომწვრთნა...

_ მაგარია არჩილი.

_ დიდიმმა არჩილის სადღეგრძელო დალია, შენი კი _ არა; შენ კი უფრო გეკუთვნოდა, იცი, რატომ? ბევრი მიზეზის გამო. დიდიმის ადგილას რომ ვყოფილიყავი, შენს სადღეგრძელოს აუცილებლად ვიტყოდი.

_ ეგ არაფერი, ჩემზე უკეთესებიც იყვნენ იქ, იმათზეც არაფერი თქმულა. ყველას თავისას მიაგებდა დიდიმი, მაგრამ ვერ მოასწრო, რაღაც ექვსი-შვიდი ჭიქა ასწია. სხვა მასშტაბებს არის მიჩვეული, გრძელ ლხინს, საღამოს რომ ჩაუჯდებიან და დილამდე შეუბერავენ.

_ დიდიმი მაგდენს ვეღარ შესძლებს, ხომ ნახე, კინწი მოსწყდა... ჰო, მაცალე! მე რომ თამადა ვყოფილიყავი, შენს სადღეგრძელოს ასე ჩამოვაყალიბებდი, ასე ჩამოვასხამდი _ ეს სიტყვა უფრო მოუხდება. ჯერ იმას ვიტყოდი, რომ ყველაზე დიდი წვლილი ჩემი გამოფენის მოწყობაში ბატონ გია ფირფილაძეს მიუძღვის...

_ ეგ ხომ ითქვა!.. თქვა დიდიმმა!..

_ მაცალე! ხომ იცი, თამადას სიტყვას არ აწყვეტინებენ!.. ჰო, რომ არა მისი დაჟინებული და, მართალი მოგახსენოთ, მომაბეზრებელი და გულისგამაწვრილებელი ხვეწნა-მუდარა, გამოფენის გამართვაზე არც ვიფიქრებდი... ახლაც დროდადრო ეჭვი გამკრავს: ღირდა კი ამდენ წვალებად, ხალხის შეწუხებად, უამრავი დროის ფუჭად დაკარგვად?

_ რას ამბობ, ამდენი იმუშავე, შესანიშნავი სურათები შექმენი, რამდენიმე ასეული! რატომ უნდა ჩაკეტო ისინი ცხრაკლიტულში? ეს უაზრობა იქნებოდა.

_ ჰო, კარგი, ბოდიში, სულ სხვა რამეზე გადავედი... შენს სადღეგრძელოში აუცილებლად აღვნიშნავდი შენს უანგარობას, რომ ხარ, ასე შეიძლება ვთქვათ, "ყველას მამიდა" _ მოუსვენარი, ფუსფუსა, სულ სხვებისთვის ირჯები, რაღაც საქმეებს გამოჩხრეკავ, სხვების გასაკეთებელსაც შენ აიკიდებ... იდეალისტი ბრძანდები, ეს ოღროჩოღრო ქვეყანა გინდა, სიკეთის თესვით გაასწორო... და არად აგდებ, რომ საკუთარ საქმეს სცდები, არც შესაფერისად აფასებენ შენს თავდადებას, უშურველობას... შესაფერისად კი არა, საერთოდ არ აფასებენ, პირიქით _ ვიღაც-ვიღაცეებს წყნარ ცხოვრებას უშფოთებ, შემოდგომის ბუზივით მომაბეზრებელ ბზუილად აღიქვამენ შენს აქტიურობას... ზოგნი მტრადაც კი გრაცხენ და შემოგიტევენ _ შენ რა, სხვებზე მეტი გინდაო? შენ კი არ ჩერდები, არ ეპუები, უკომპრომისო ხარ, "ეკლიანი", კონფლიქტების არ გეშინია...

_ რას ამბობ, ია, რომელი მოჩხუბარი და შფოთისთავი მე მნახე, შეხლა-შემოხლა და უსიამოვნება ჩემზე მეტად ვის ეჯავრება... ვერ ვიტან უსამართლობას და ამიტომ ვარ იძულებული, შენი თქმით, ეკლები ავისხა... შენ კი მტრედივით ღუღუნა ხარ, მშვიდი, უშფოთველი... რა გინდა ჩემთან? ხასიათთა შეუთავსებლობაზე რას იტყვი?

_ შენ რომ გგონია, არც ისეთი უწყინარი ვარ! იცოდე, ფრთხილად იყავი _ როცა ამინდი ფუჭდება ან ქარი ამოვარდება, ავი ძაღლივით ვიღრინები; ცოტა ხანში გულში ჩხვლეტვებიც მეწყება... ნუ შეშინდი, ამას ნახევრად ხუმრობით გეუბნები! დღემდე, რამდენადაც მახსოვს, სერიოზული უთანხმოება არ მოგვსვლია, არ შევლაპარაკებივართ ერთმანეთს... მე მართლაც ბავშვობიდან ასეთი ვიყავი: ვერიდებოდი უსიამოვნებას, ამიტომ ყოველთვის დამთმობი ვიყავი. არჩილისგან ხომ

რამდენი დამცირება მახსოვს და აშკარა შეურაცხყოფაც, მასთანაც კი არასდროს მიჩხუბია...

_ არ გწყინდა?

_ როგორ არა, ოღონდ გარეგნულად არ გამოვხატავდი, გულს არ ვიფხანდი... საერთოდ, ხმას არ ვიღებდი, ზოგჯერ მთელი კვირა არ ველაპარაკებოდი; მხოლოდ თუ შემეკითხებოდა. მოკლედ ვუპასუხებდი: "ჰო", "არა"...

_ ფერწერაში კი კატეგორიული ხარ, შენს ნებას უტეხად გამოხატავ! ხომ მართალი ვყოფილვარ, როცა ვამბობდი, შენ და შენი ფერწერა არ ჰგვანან-მეთქი ერთმანეთს!

_ მე არ ვარ ბრიყვულად თავდაჯერებული და თუ ვინმეს რჩევა ჭკუაში დამიჯდება, სულაც არ უარვყოფ კატეგორიულად.

_ ეგ კარგია... მე სხვა რამეს გეუბნები: თუ რჩევას არ ეთანხმები...

_ თუ არ ვეთანხმები, რა თქმა უნდა, არც გამოვიყენებ, რა არის აქ საკამათო ან გაუგებარი?

_ მე იმის თქმა მინდოდა, რომ პრინციპული ხარ ფერწერაში...

_ ცხოვრებაში უპრინციპო ვარ?

_ ბოდიში, ბოდიში, ალბათ ზუსტად ვერ ჩამოვაყალიბე ჩემი მოსაზრება... მე იმის თქმა მინდოდა, რომ... მოკლედ, ხელოვნებაში ანალიზური ჭკუა გაქვს და მტკიცე ნებისყოფა, ჭკვიანი ხარ, ჭკვიანი... ამაზეც ხომ არ დამიწყებ დავას?

_ ჰა-ჰა-ჰა!..

_ ჰო, აი, ქალები რომ მიდიხართ პლენერზე ერთად სამუშაოდ, რატომაა, რომ ყველანი შენ მოგჩერებიან პატარა გოგოებივით და ყოველ შენს სიტყვას ხარბად იჭერენ? ჩემი თვალით მაქვს ნანახი!

_ მე არასდროს არავის ვახვევ თავზე ჩემს შეხედულებას...

_ სწორია! იმიტომ, რომ რბილი ხასიათი გაქვს, უაპელაციო ტონით არ მისცემ რჩევას... ეტყვი: "მე ასე მგონია, მაგრამ მთლად დარწმუნებული არ ვარ, შესაძლოა, სხვანაირად ჯობდეს და არ იქნება ურიგო, ამაზე კიდევ ვიფიქროთ..." და ასეთი ნათქვამი უფრო ჭრის!

_ მე ასეთ ფსიქოლოგიურ მომენტებზე არ ვფიქრობ...

_ არც გჭირდება! იმიტომ რომ ეს შენი პიროვნული თვისებაა, შინაგანი ბუნება... აქედან გამომდინარეობს სხვებთან შენი ურთიერთობის სტილიც.

_ ძალიან ღრმად შევტოპეთ... შენ, გია ფირფილაძეს, კარგ, წესიერ ადამიანს, სხვათა გამგებსა და ავ-კარგის გულით გამზიარებელს, საკუთარი პრობლემები რატომ წამოგეჭრა? რატომ ვერ გადაჭერი?

_ ჰო, რა ვიცი, ვხვდები, რასაც გულისხმობ... ჩიტო... ჩემს ცოლს, _ ყოფილ ცოლს, _ სხვათა შორის წყნარად დავშორდი. ძნელი წარმოსადგენია: ერთხელაც არ გვიჩხუბია! ის თავისთვის იყო, მე _ ჩემთვის... თითქოს ცალ-ცალკე ორბიტები გვქონდა და ერთმანეთს ვერასდროს შევხვდებოდით. ყველას ძალიან გაუკვირდა, როცა განვქორწინდით. ზოგი შეგვნატროდა: შეხედეთ, აი, ბედნიერი წყვილიო. ყველას თავისებური წარმოდგენა აქვს ბედნიერებაზე, ერთი ჩემთვისაც ეკითხათ...

_ აბა, რატომ ითხოვე?

_ ცხონებულმა მამიდაჩემმა ჩადგა ჩემს ცოდვაში ფეხი: ჩიტო მისი მეზობელი იყო, მის თვალწინ გაიზარდა. შემიჩნდა: ასეთია, ისეთია, მეოჯახეა, წესიერი, უკეთესს რას ინატრებო. მეც კარგა ხანია, ვიცნობდი; შესახედავად მშვენიერი გოგო იყო, ხასიათითაც წყნარი, კარგი ოჯახის შვილი.. ჰოდა, მეტი რაღაა საჭირო, დამიყოლიეს _ ხომ იცი, როგორც ხდება...

_ ქორწინებათა უმრავლესობა მაგ სქემით ხორციელდება.

_ უბედურებაც ისაა, რომ ამ მშვენიერ და თითქოს ყოველმხრივ სწორ და კარგ სქემაში რაღაც ბოლომდე ვერ არის გათვლილი _ ეს "რაღაც" კი ზოგჯერ მთავარი აღმოჩნდება ხოლმე.

_ სიყვარული ყოველთვის არ აღმოცენდება, მაგრამ ეჩვევი და... ბავშვი რომ გყოლოდათ, იქნებ არც დაცილებულიყავით.

_ თავიდან არ ინდომა, ჩემგან მალულად აბორტი რამდენჯერმე გაიკეთა, მერე კი ძალიანაც უნდოდა, მაგრამ უკვე საქმე გაფუჭებული იყო, არაფერი ეშველა; ბევრი იმკურნალა, მაგრამ დავრჩით უშვილონი...

_ რამდენი წელი იყავით ერთად?

_ ცხრა.

_ კარგად გაგიძლია.

_ რა გაძლება უნდოდა. ნელთბილად ვიყავით და ბოლოს, ყოველგვარი ჩხუბისა და უსიამოვნების გარეშე, ჩვენ-ჩვენი გზით წავედით.

_ გული არ დაგწყდა?

_ პირველ ხანებში ერთგვარად გაორებული გრძნობა მქონდა _ განთავისუფლებისა და რაღაცის დაკარგვისაც... დიდხანს ვფიქრობდი ამაზე. თუმცა ცოლქმრობის საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენს შორის მტკიცე ძაფები, როგორც ჩანს, არ გაბმულა, მაინც გამიძნელდა კავშირის გაწყვეტა... ალბათ საბოლოოდ ასე ჯობდა.

_ თვითონ?

_ თვითონ თუ განიცადა? რა ვიცი, გულგრილი პიროვნება იყო საერთოდ, არაფერი აღელვებდა... ჩემი შეხედულებით, ცოტა ჩერჩეტი თუ ქერქეტი, ბრძანდებოდა... ჰო, მისთვის ცხოვრებაში მთავარი იყო ყოველთვის ლამაზად ჩაცმულ-დახურული ყოფილიყო, მოვლილი, აი, ქალები რომ ყოველთვის "ფორმაში ყოფნას" უწოდებთ. კიდევ _ გემრიელი ჭამა-სმა და მეტი არაფერი... იქნებ ჰქონდა კიდეც ცხოვრებაში რაღაც სხვა ინტერესები, მე არაფერი შემიმჩნევია, არც ჩემთვის გაუმხელია _ არ ვიცი. არც ჩემი საქმიანობა აინტერესებდა, არ მახსოვს, ერთხელ მაინც ეკითხოს, გია, რას აკეთებ ახლა, რას აპირებ სხვას... ერთი-ორჯერ გამოფენის სანახავად წავიყვანე, ძლივს დავიყოლიე, ჩემი ნამუშევრებიცაა-მეთქი... თავბედი ვიწყევლე, ნახევარი საათით ძლივს გავაჩერე, ვერაფრით დავაინტერესე. გამომიყვანა გალერეიდან, სამი საათი მასეირნა რუსთაველზე, ქალების ჩაცმულობას აკვირდებოდა...

_ სხვათა შორის, მე არ ვარ მაინცდამაინც გადარეული მოდურ ჩაცმულობაზე, არც ახალგაზრდობაში ვიყავი, მაგრამ რუსთაველზე გასეირნება მეც ძალიან მიყვარს, ლამაზად მორთული ლამაზი ქალების ხილვაც არ მომწყინდება!

_ ჰა-ჰა-ჰა!.. არც მე!.. რუსთაველზე ლამაზი გოგოების გამოფენაა! განსაკუთრებით ამ დროს, გაზაფხულზე, მძიმე პალტოებს რომ გაიხდიან!

_ უყურე ერთი ამ მუსუსს!.. რამდენი წელია, რუსთაველზე არ გამისეირნია, როდის წავიდეთ?

_ ხვალვე. შენი გამოფენიდან წავიდეთ პირდაპირ, შემდეგ, თუ გინდა, კინოში შევიდეთ.

_ არა, თუ მპატიჟებ, მე ოპერა მირჩევნია. ჩანახატებს ქუჩაშიც გავაკეთებ და ოპერაშიც...

_ გენაცვალე, ერთი დღე აღარ უნდა დაისვენო?

_ კარგი, მაშინ მანამდე ლაღიძის წყლებში შევიაროთ, ხაჭაპური მივირთვათ.

_ კეთილი... სანამ შენი გამოფენა იქნება, ყოველდღე გავიარ-გამოვიაროთ რუსთაველზე.

_ ახლა ისე ვარ მომართული სამუშაოდ, მეშინია, მუხტი არ დავკარგო. გამოფენაზე ნახევარი საათით მივალ ხოლმე, ისიც დღეგამოშვებით.

_ დღე იმუშავე, საღამოსპირს შენს გამოფენაზე გაიარე, მერე _ გავისეირნოთ...

_ ვნახოთ, ახლა მუშაობის ხასიათზე ვარ, სხვას ვერაფერს ვატან გემოს, ეს გამოფენაც კი მაღიზიანებს.

_ მეც ძალიან ბევრი დრო დავკარგე. ადგილი არ მაქვს, რომ სერიოზულად ჩავუჯდე და წყნარად, დალაგებულად ვიმუშაო.

_ თითქმის ყოველდღე გაზეთებში შენი კარიკატურებია დაბეჭდილი, გრაფიკოსთა გამოფენებზეც ყველაზე მეტი ნამუშევარი შენ გამოგაქვს...

_ ნეტა განახა, როგორ ვმუშაობ... რედაქციაში სადმე თავისუფალ მაგიდას მოვძებნი, დავიდებ ფურცელს და ვიწყებ წინასწარ მოფიქრებული ნახატის პირველ ვარიანტს... მერე მეორეს, მესამეს... და ყველაზე გახურებული მუშაობის დროს მაგიდის პატრონიც გამომეცხადება!

_ შინ?

_ შინ რა? ხომ იცი... ჩემი დის სამი შვილი, ქმარი, დედამთილ-მამამთილი... იქ მხოლოდ ღამის გასათევად მივდივარ.

_ დიდი ბედოვლათი ვიღაცა ხარ, ოროთახიანი ბინა რომ ჩიტოს დაუტოვე, გადაგეცვალათ ორ თითოოთახიანში.

_ ათი წელია, ჩემი დაც ამაზე მეჯიჯღინება... დამცინის, რაინდი ხარო, მწუხარე სახის რაინდიო.

_ შენში მართლაც არის რაღაც დონკიხოტური... იცი უცნაური აზრის აკვიატება. რა ხანია, გეხვეწები, გადმოდი ჩემთან, მეც მიჭირს მარტო ყოფნა...

_ გადმოვალ, გადმოვალ, ხომ გადავწყვიტეთ. მე შენ გეტყვი და, იმდენი ბარგი მაქვს, ხელმწიფის სასახლეში ვერ დაეტევა.

_ რაც შენ ნამუშევრები დაგიგროვდა, ათ მეფის სასახლედ და მეტადაც ღირს... კერკეტი კაკალი ხარ, დღესვე დარჩი, ახლა!

_ არა, დღეს შინ რომ არ მივიდე, შეეშინდებათ... გვიან დარეკვაც არ მინდა.

_ მაშინ როდის?

_ ერთ კვირაში შეგვეძლება ხელის მოწერა და მერე ვნახოთ...

_ ფერწერაში მუშაობა მენატრებაო, თუ გენატრება, დროს რატომ წელავ?.. მეც ხელი მეშლება, მომაცილე ეს ერთი საფიქრალი... დღეს ჩემი დღეა, პირობა უნდა მომცე! შენი დელიკატურობა უაზრო ჯინიანობად ნუ აქციე!

_ კარგი, კარგი, ხვალ ჩემს დას ყველაფერს ვეტყვი და ჩემ ჩემოდნიანად გეახლები...

_ მოხარული ვარ, მომილოცავს!.. როგორც იქნა!..

_ მეც... მოდი, ერთი გაკოცო!..

_ დღეს ერთხელ... არა, ორჯერ უკვე...

* * *

_ ადრე სულ სხვებზე ვზრუნავდი, სულ ფაციფუცში ვიყავი _ ქმარი, ბავშვები... როგორ წარმოვიდგენდი, რომ მარტო დავრჩებოდი... როცა არჩილი წავიდა, მეგონა, ზეცა ჩამოინგრა... რა სულელი ვიყავი!

_ ბოლო მოეღო შენს მარტოობას... ორი ფერმწერი ერთ ოჯახში – მეტისმეტი ხომ არ იქნება?

_ პირიქით! ასე არჩილი მსჯელობდა... ნეტავ დათუნაც ჩემთან იყოს, ფერწერაში დავაწყებინებდი სერიოზულად მუშაობას. ხომ ნახე მისი ადრინდელი ეტიუდები?

_ კარგია... არასდროს არის გვიან... ძალიან მომწონს შენი ბიჭი, ვის დაემგვანა? არც შენ გგავს ხასიათით და, მით უმეტეს, _ არც არჩილს... მისი ეტიუდები მართლაც მშვენიერია, ფერწერა არ უსწავლია, მაგრამ ვატყობ, ფორმის თანდაყოლილი გრძნობა აქვს, აი, როგორც ზოგიერთ მომღერალს ბუნებრივად დაყენებული ხმა აქვს... ფერში ცოტა ფორსირება ეტყობა, მაგას ეშველება, მუშაობაში დაიხვეწება. რა ვიცი, იქნებ მე მეჩვენება ასე.

_ არა, სწორი ხარ... მეც მასე დავიწყე, სხვათა შორის, ბევრს ვწვალობდი, გაუთავებლად ვასწორებდი, მაინც არაფერი გამომდიოდა; ბევრი ნამუშევარი საშინლად ნაწვალები გამოვიდა და გავანადგურე... მერეც ჩუმად ვხლაფორთობდი ჩემთვის, როცა არჩილი დიდი ხნით წავიდოდა ხოლმე. დათუნას ბუნებრივად, თითქოს თავისთავად გამოსდის კარგად... რამდენადაც ვიცი, არც დათუნას უჩვენებია მამისთვის თავისი ეტიუდები.

_ აბა, როგორ მოხვდნენ შენთან?

_ პოლონეთში წასვლის წინ მომიტანა... ზოგი განსაკუთრებით მომწონს, ეტიუდი კი არა, სურათია. მეც ზოგი ჩემი ეტიუდი სურათს მირჩევნია.

_ სურათი მაინც სხვაა, სხვა დონეა.

_ კი, ზოგადად, ძირითადად ასეა... ზოგიერთ ჩემს სურათს რომ ვუყურებ, მგონია, რომ ვეღარ შევძლებ მსგავსის გაკეთებას, თითქოს სხვამ, ჩემზე დიდმა მხატვარმა შექმნა. სულ იმის შიში მაქვს, ვაითუ იმ სიმაღლეს ვეღარ მივაღწიო...

_ უფრო მაღალზე უნდა იფიქრო.

_ არა, არა!.. იმაზე საერთოდ არასდროს ვფიქრობ, რომ რაღაცაზე უკეთესი გავაკეთო. უნდა იმუშაო და როგორი გამოგივა, წინდაწინ ამაზე ფიქრი სისულელეა. ისედაც დაძაბული ვარ სურათის დაწყების წინ...

_ ძალიან ღელავ?

_ რაღაც წინასწარი მონახაზები მაქვს, რა თქმა უნდა, რა მინდა გავაკეთო, როგორ... შენ რომ ასეთი ძლიერი გგონივარ, სხვებისთვის მისაბაძი, სამაგალითოც კი, იცი, რა ჭოჭმანს განვიცდი ახალი სურათის დაწყების წინ? ჩანაფიქრი ერთია და შესრულების გზა _ ათასი... რომელს უნდა დაადგე? იწყებ ვარიანტებზე მუშაობას. ამ დროს ეტიუდი ძალიან მშველის. მმუხტავს და პირველ ბიძგს ის მაძლევს, მერე და მერე _ გავხურდები და ორბიტაზე გასული ვარ! იმდენად აღვიგზნები, მონასმების გაკეთებას ვერ ვასწრებ, გონებას გრძნობა უსწრებს წინ, მინდა ათი ხელი მქონდეს, ათივე ხელით ერთდროულად დავიტანო საღებავი... შენ კიდევ ამბობ, ანალიტიკოსი ხარო, ცივი გონებით აკეთებო... კი, ჩემს უკან თითქოს მეორე "მე" დგას ჩემი, ცივი გონებით აკონტროლებს "რაკეტას", რომ ორბიტას არ ასცდეს და მიზანს მიაღწიოს... ცარიელ გრძნობას თუ გაჰყევი, ვინ იცის, სად გაგიყვანს... გრძნობა და გონება ბუნებით ერთმანეთის მოწინააღმდეგეები არიან, მაგრამ უერთმანეთოდ კარგი სურათი არ გამოვა... ჩემს შემთხვევაში ასეა, რა ვიცი, იქნებ სხვა სხვაგვარად ფიქრობს, განსხვავებული მიდგომაც არსებობს. ცხადია, ზოგი მეტ მნიშვნელობას შინაგან იმპულსს, გრძნობის უშუალოდ გადმოღვრას ანიჭებს, სხვები ანალიზური წვდომით, თუ ასე შეიძლება ითქვას, მეტი ანგარიშიანობით ქმნიან... ისე, ხანდახან უნდა "გააფრინო" კიდეც, "ორბიტას" ასცდე... რა ვიცი, იქნებ არჩილი მართალიც არის, მაგრამ მეჩვენება, მეტისმეტად გაიტაცა გონებისმიერმა ვარჯიშმა, კოლაჟების კეთებას გადაჰყვა... აბსტრაქტულ კომპოზიციებს ადრეც აკეთებდა; გართობის მიზნით, დასასვენებლად ან სავარჯიშოდ _ რატომაც არა? მაგრამ ძირითადი ყურადღება დაუთმო ასეთ, ჩემი აზრით, არასერიოზულ საქმეს, დროის ფუჭი, და მავნეც კი, ხარჯვაა...

_ ახალი საზღვაო გზები, და კონტინენტებიც კი, გზას აცდენილმა ავანტიურისტებმა აღმოაჩინეს!

_ დიახ, ზოგჯერ!.. ბუნებამ ავანტიურისტებიც გააჩინა, ვერ ეგუება ერთფეროვნებას... მხატვარშიც ალბათ უნდა იყოს ავანტიურისტის რაღაც ნაწილი.. ზოგჯერ... არა, ზოგჯერ კი არა, ძალიან ხშირად, რაღაც ძალა გთრგუნავს, შეუცნობელი უაზრო შიში: "ვაი, მე რომ ასე ვერ შევძლებ? მხატვრობაში გენიოსებს თვლა არ აქვს... ღირს კი ჩირთიფირთი და ტყუილად ჭინთვა? რაღაც საცოდაობა გამომივა და გულს ტყუილად გავიტეხ"... არა, არ უნდა აჰყვე ამგვარ განწყობას! რამდენი დიდებული ხელოვანი ალბათ ამგვარი ჭოჭმანით იყო ოდესღაც აღსავსე, ჰოდა, კარგი იქნებოდა, თავის გულისთქმას რომ აჰყოლოდა და ფუნჯი ხელიდან გაეგდო?..

_ მეც მეშინია, ფერწერაში ოც წელიწადზე მეტია, ერთი სურათი არ გამიკეთებია...

_ უნდა სინჯო!.. იშრომო!.. იწვალო!.. ბოლოს კი, შესაძლოა, რაღაც გამოგივიდეს კიდეც! ხომ გითხარი, ზოგი ჩემი სურათი ნამდვილად მომწონს და მიკვირს _ როგორ შევძელი? ზოგჯერ ეჭვიც მიპყრობს: შემდეგაც შევძლებ კიდევ ასეთი დონის მიღწევას? უკეთესზე აღარ ფიქრობ... მერე თავიდან იცილებ ასეთ აზრებს, მუშაობ, მუშაობ... თვითონ მუშაობის პროცესიც გიტაცებს _ ბოლოს რა გამოვა? ყოველი სურათის დაწყება ავანტიურაა _ ან გამოგივა, ან არა... მერე სურათს სურათი ემატება და კარგა ხნის შემდეგ, როცა კედელთან მიჯრით მიწყობილ ნამუშევრებს

გადმოალაგებ და გადაათვალიერებ, ხედავ: ტყუილად არ გიშრომია, ზოგს არა უშავს, ზოგიც _ მშვენიერია! და გიხარია!.. გიხარია!.. თან გულში ფიქრობ: “ერთხელ, ორჯერ, სამჯერ თუ გამომივიდა სურათი, შევძელი, ახლა რა ღმერთი გამიწყრება, გავაგრძელებ მუშაობას, კიდევ ვცდი... გამოვა _ ხომ კარგი, არადა თვით პროცესიც სურათის დაბადებისა ხომ სიამის მომგვრელია... წვალობ, იტანჯები, ეძებ, ნერვიულობ _ და იმავდროულად სიხარულს, აღმაფრენას, კმაყოფილებას განიცდი!

_ ზოგისთვის კი პეიზაჟი მხოლოდ ლამაზი ხედია!

_ თუ პეიზაჟში მხოლოდ ლამაზი ხედია და მეტი არაფერი _ ეს ხომ საშინელებაა!.. შიგ კიდევ მეც უნდა ვიყო _ ჩემი თვალი, გული, ფიქრი, განცდა... რა ვიცი, კიდევ რა.. სურათი _ მთლიანად მე ვარ! ჩემს პეიზაჟში მე ვარ, არჩილის პეიზაჟში _ არჩილია...

_ მე ერთ დროს აღტაცებული ვიყავი არჩილის პეიზაჟებით. არის მათში რაღაც სპეციფიკური _ ირონია!.. სასაცილოა, არა? კარიკატურა ხომ არ არის, სად პეიზაჟი და სად ირონია, მაგრამ მე სწორედ ამას ვხედავდი, ამას ვგრძნობდი მის პეიზაჟებში... და ეს ძალიან მომწონდა _ ერთგვარი აგდებული დამოკიდებულება თითქოს, არასერიოზული, ერთგვარი დაუდევრობა, დარდიმანდობა თითოეულ მონასმში, ფერში, მთლიანად სურათის კომპოზიციურ აგებულებაში... თითქოს შემთხვევითი, ძალიან თავისუფალი მონასმი, “მოხეტიალე”, არამყარი კონტური, ალაგ-ალაგ რომ საგანს სცილდება, “აშიშვლებს” მას... თითქოს საგანს გაქცევა სურს, ამოხტომა თავისი გარსიდან... მხატვარი დაუფარავად გეუბნება: თამაშ_თამაშ, აგდებულად ვაკეთებ სურათსო! ბავშვივით გულახდილად აცხადებს: “მე ასე მომწონს და ასე ვაკეთებ, შენ კი მოგეწონება თუ არა, ბოდიში მომითხოვია და, სულ ფეხებზე მკიდია”... ვირტუოზული ოსტატობა შენიღბულია ბავშვური მოუხეშაობით... ეს პიკანტურობას სძენს ჩემს თვალში მის სურათებს, მიუხედავად კრიტიკული გრძნობის მხრივ მრავალი სისუსტის დანახვისა... მაგრამ: მოხსნი ამ “სისუსტეებს” და სურათიც დაიღუპება, ხიბლისგან დაიცლება _ აი, ასეთი პარადოქსია.

_ პორტრეტებიც ასე აქვს გაკეთებული. მე მგონი. მისი პორტრეტები კიდევ უფრო ძლიერია, მოუხდათ ირონიული, ზოგჯერ გროტესკამდე, დაცინვამდე მისული მიმართება.

_ მე, შეიძლება ითქვას, პროფესიონალი კარიკატურისტი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ არჩილის პორტრეტები ნამდვილად არ არის კარიკატურები... ან _ არ არის მხოლოდ კარიკატურები... კარიკატურის რაღაც ელემენტები, რა თქმა უნდა, ჩანს, მაგრამ... როგორ ვთქვა... კარიკატურა მაინც ერთგანზომილებიანია თავისი ფორმითაც და შინაარსითაც, არჩილის პორტრეტები, ღიმილთან ერთად, სხვა რაღაცითაც გიზიდავენ... სხვა რაღაცასაც იწვევენ... თანაგრძნობას, სიბრალულს... აღარას ვამბობ ფერის სიმდიდრეზე, ფორმის სიმდიდრეზე.

_ არა, არჩილს სიბრალულის გრძნობის გამოწვევა არ შეუძლია...

_ რატომ მსჯელობ ასე კატეგორიულად?

_ მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე... მე მას კარგად ვიცნობ, მეტისმეტად კარგადაც.

_ მე მგონი, ცდები. მხატვრის პიროვნება, შესაძლოა, ყოველთვის არ "ემთხვეოდეს" მის ნამუშევარს, ნამუშევრის პათოსს... ბუნებით ძუნწი მსახიობი, შესაძლოა, სცენაზე ბრწყინვალედ თამაშობდეს ხელგაშლილ პიროვნებას... კარის მეხოტბე პოეტი შეიძლება, პრინციპულობაზე და საკუთარი მეობისადმი ერთგულებაზეც წერდეს ლექსებს... დავუბრუნდეთ არჩილს. მისი პორტრეტები მაინც ფერწერაა, ფერია იქ მთავარი. ფერები ლაღად აქვს გამოყენებული... წითელი, მწვანე და ლურჯი ფერებიც კი აქვს, თანაც ჭარბად, თანაც პორტრეტში! სრულიად არანატურალური, ადამიანის სახისთვის უცხო და თითქოს მოუღებელი; და მაინც არ ვგრძნობთ უხერხულობას, არ გვეხამუშება, დიდსულოვნად ვპატიობთ რატომღაც... კი არ ვპატიობთ ამგვარ თავისუფლებას, თუ გნებავთ, თავხედობასაც _ უბრალოდ, მისი სტილისტიკისთვის, მისი მიდგომისთვის ეს აუცილებელიცაა. ფერთა გამომწვევი დისჰარმონიულობა ბუნებრივია არჩილისთვის, ის რომ მოაცილო, "გაასწორო", "გააკეთილშობილო" _ არჩილის სახეც დაიკარგება, სურათი დაიღუპება...

_ სუფრაზე ვიღაცამ, მგონი გვარამმა, თქვა, რომ სურათი უნდა მღეროდესო, რაზე მღერის, რას მღერის არჩილის სურათი?

_ ალბათ, შაირებს... არა, არც ისეთი უბრალოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, მისი მუსიკა პოლიფონიურია, რამდენიმე ფენა გამოიყოფა...

_ მე მგონი, არჩილმა ადრევე ამოსწურა თავისი შესაძლებლობები ამ გზაზე, ახალი გზა კი ვერ მოძებნა, ან იქნებ არც ჰქონია სურვილი ამისა.

_ შესაძლოა, ასეცაა. ათასი, ათიათასი გზა არსებობს კიდევ, მაგან კი ჩიხში გაუხვია. ეს პოპ-არტები, აბსტრაქციები და კოლაჟები...

_ მაგენი დიდი ხანია, მთელ მსოფლიოში ამოწურულიცაა და ბოლომდე გამოწურულიც. სერიოზულად მაგით გატაცება...

_ მეც მაქა ვარ: გასართობად ან სავარჯიშოდ _ კი, ბატონო! ერთგვარი თამაშიცაა, მეც კი გავაკეთებდი შიგადაშიგ, რატომაც არა: ფორმათქმნადობის ჟინს მოვიკლავდი, ყველას რომ გვაქვს შინაგანად ამის მოთხოვნილება მეტ-ნაკლებად. ადამიანის გენში ზის ეს მოთხოვნილება ჩასახვისთანავე, პატარა ბავშვების საყვარელი საქმიანობა ხომ არის სველი სილისა ან თიხისგან ფანტაზიური ციხე-ქალაქები აშენონ, თოჯინები და ცხოველები გამოაქანდაკონ... ალბათ ხაზების, ლაქების, ფერების შეხამებას, ფორმების თამაშს, მონაცვლეობას თავისთავადი ღირებულებაც აქვს, თავისებური მიმზიდველობა, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც წმინდა დეკორაციულობით, ფორმისმიერი ძიებით ამოიწურება... ამგვარ თამაშს შეალიო ძირითადი დრო და ძალა _ საკუთარი თავის გაღარიბებას ნიშნავს, საკუთარი თავის გაძარცვას. არჩილის ერთი თბილისური ზამთრის პეიზაჟი გადაწონის ერთად აღებულ მის ყველა კოლაჟსა და აბსტრაქტულ სურათს.

_ მე გული მწყდება, რომ არჩილი მოდას აჰყვა, მეგობრებმა მოწამლეს. მოდის აყოლა ხელმოცარულთა საქმეა, ნიჭიერმა კაცმა თავისი გზით უნდა იაროს...

_ "გზა სიარულმა გალია, სალი კლდე _ წყლისა ჩქერამა, გოგო და ბიჭი დალია ერთმანეთისა ცქერამა"...

_ კიდევ, კიდევ! მიყვარს, როგორ კითხულობ ლექსებს! ირმა როგორ გააჩუმე!..

_ კიდევ _ სხვა დროს, შენს საყვარელ აღმართსაც მივადექით.

_ მართლა მიყვარს, ხომ იცი, ჩემი ქუჩა. მთელი ციკლი შევქმენი და შემდგომაც ვაპირებ გაგრძელებას _ სამი-ოთხი სურათის ჩანაფიქრი მაქვს კიდევ.

_ რამდენიმე შენს გამოფენაზეცაა, კარგი იქნებოდა, მთელი ციკლი გამოგეფინა, ოცამდე სურათი გვერდიგვერდ ჩამოგეკიდა _ სულ სხვაგვარად გამოჩნდებოდა, მდიდრულად.

_ ჩვენ ხომ ვიფიქრეთ მაგაზე... მერე უარი ვთქვი: სხვა სურათები ვამჯობინე, პატარა გამოფენაა შედარებით და ერთგვაროვანი არ გამომივიდეს-მეთქი... ვნახოთ, მომავალში უფრო დიდი გამოფენის მოწყობის შესაძლებლობა თუ მექნა... მანამდე კიდევ შევმატებ. ეს აღმართი ჩემი შთაგონების ნამდვილი წყაროა.

_ უჰ, როგორ ბნელა აქ, პატრონი არ ჰყავს ამ ქუჩას? ორი ჭაღარა ბებერი მივჩანჩალებთ აღმართში...

_ არა, შენ ჯერ ბიჭი ხარ. ბიჭურად ხომ ხარ გაკრეჭილი, სიხალისეც ბიჭური გაქვს; ყველაფერი გულთან ახლოს მიგაქვს, უშუალო ხარ, დაუზარელი... ზევით უფრო სინათლეა, აქ რამდენიმე ნათურა ჩანს გადამწვარი. მართლა ცუდი გზაა.

_ უბედური ოღროჩოღრო... ასეთ აღმართში მანქანები როგორ ადიან? ალბათ ამიტომაც გაიქცა აქედან არჩილი!

_ ჰა-ჰა-ჰა!..

_ აქ მოტოციკლეტსაც კი გაუჭირდება ასვლა, განსაკუთრებით _ ზამთარში...

_ მოტოციკლი რაღამ გაგახსენა?

_ ბავშვობიდანვე მოტოციკლების გიჟი ვიყავი. შეჯიბრებებშიც კი ვმონაწილეობდი, მოტოკროსში. დიდი წარმატებისთვის არასდროს მიმიღწევია, მაინც ვერ შევეშვი _ როგორც ოლიმპიელები ამბობენ, ჩემთვის მთავარი მონაწილეობა იყო და არა გამარჯვება.

_ ვაჟკაცური სპორტია. ახლა მახსენდება: რამდენჯერმე აკადემიაშიც მოხვედი მოტოციკლით... გაზინთლულ ტყავისქურთუკიანი, დიდი სათვალეებით და ჩაფხუტით; გოგოები გიჟდებოდნენ შენთვის, ხშირად ასეირნებდი შენი ბღუილა რაშით... მე არასდროს ვმჯდარვარ, ალბათ შიშით მოვკვდებოდი. თუმცა, არც დრო მქონდა, ლექციებზეც კი იშვიათად დავდიოდი; მაშინაც ბოლოს თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი _ შინ პატარა კესანე მელოდებოდა.

_ ჩემი ცოლი რომ მშიშარა იყო, მტრისას, კატეგორიულად ამიკრძალა საერთოდ მოტოციკლისთვის შეხედვაც კი, შეჯიბრებებში მონაწილეობას ვინ ჩივის.

_ რას ერჩი, ჭკვიანი ყოფილა.

_ ზამთარში კარგი იქნება აქ დაგორება. შენ არ გიჭირს?

_ ამ ზამთარს ბევრჯერ ამოსულხარ აქ, არ გახსოვს?

_ მახსოვს, მახსოვს, წელს მშრალი ზამთარი იყო, უთოვლო. ჩვენი ზამთარი რომ დადგება, _ ოცი-ოცდახუთი წლის მერე, _ მოხუცებმა ზევით როგორ უნდა ავფორთხდეთ? ჩამოფორთხება _ კიდევ უარესი...

_ ცხოვრების გზაც ხომ უსწორმასწოროა... შენ არ ამტკიცებდი, რომ ასე იქნება მარადის, თანასწორობა ქიმერაა? მართლა, რა სიბნელეა... მომკიდე ხელი...

_ მომეცი ხელი... შენ კიდევ მაბრალებ, მთა და ბარი გინდა გაასწოროო, ასეთი გზა გირჩევნია? უსწორმასწორო გზა, აღმართიანი, ხან _ ბნელი, ხან _ ნათელი...

_ გზა _ სიმბოლო სიცოცხლისა, ცხოვრებისა...

_ სიბნელე ფილოსოფიურად განაწყობს ადამიანს... გააგრძელე!

_ მიყვარს ღამე! არა, მხოლოდ ღამე კი არა, დილაც, შუადღეც, საღამოც... ყველა მიყვარს, ყველა ლამაზია, მაგრამ ღამეს განსაკუთრებული რაღაც აქვს კიდევ _ იდუმალი დროა! შიში... ჭიანჭველები რომ დაგივლის მთელ ტანში, მერე რაღაც მოგეჩვენება და თმები ყალყზე დაგიდგება... გული სადღაც დაგეკარგება, მერე ავარდება სისხლი შხუილით თავში და გულსაც ისეთი ბაგაბუგი გააქვს, იძულებული ხარ, გაჩერდე... მაგარი აღმართია... უჰ... ბავშვობიდან მოჰყვება ადამიანს სიბნელის შიში, რაღაც ხიფათს ელის, ათასი მოჩვენება აფრთხობს...

_ აკი ღამე მიყვარსო? შე მართლა მშიშარა!..

_ ამ ქუჩაზეც ბევრჯერ მიჭამია შიში... მიდიხარ ქუჩაში, ღამეა, არც ისე ბნელა, მაგრამ შინაგანი შფოთითაა დამუხტული გარემო... უცებ უკანიდან ფეხსაცმლის ფრთხილი, შემპარავი ფლასტუნი გესმის დაძაბულად მიყურადებულს _ ვიღაც "აგეკიდა"! გული ლამის საგულედან ამოხტეს, ნაბიჯს უმატებ, გაქცევასაც იკადრებდი ამ ხნის ქალი, მაგრამ აღმართი გაგიშვებს? უმწეობა თავზარს გცემს და ამ დროს აღმართში მოღრიალე მანქანის ხმა გესმის, მშვენიერ მუსიკასავით გეჩვენება, მერე მისი ფარების შუქზე შენი "მდევრის" წაგრძელებული ჩრდილი გეცემა, უსაშველოდ იწელება და გისწრებს, კედლებს მიასკდება _ თითქოს უზარმაზარი მტაცებელი ფრინველი დაგეცა და შავი ფრთებით დაგფარა...

_ შენ მაგარ საშინელებათა რომანს დაწერდი.

_ მშიშარა ვარ, არ იცოდი?

_ მოვედით... ეს ერთი, ბოლო ღამეც გაძელი მარტომ.

_ შემოდი რა!.. ჩაის დაგალევინებ...

_ რას ამბობ, სუფრიდან ახლა მოვდივართ, გასკდომაზე ვარ... შემოვიდოდი, მაგრამ დამაგვიანდება, ჩემი და ალბათ წუხს უკვე... შენც დასვენება გინდა. პიჯაკი მომეცი... დღეს მესამედ გაკოცე, ხვალამდე...

XIV. გუგულა

გუგულას _ სულ რამდენიმე გვერდი?

გუგულას?!.

გუგულას პიროვნებასა და მისი ცხოვრების გზას უფრო მრავალტომიანი რომანი ეკადრებოდა!..

ამჯერად მცირედით დავკმაყოფილდები.

მიჭირს, ძალზე მიჭირს _ რით დავიწყო?

ჯერ გარეგნობა (ახალგაზრდობაში, თუმც დიდად მერეც არ შეცვლილა): საშუალო ტანის, პუტკუნა; წაბლისფერი, ლამაზად ხვეული, აბრეშუმივით რბილი, ხშირი თმა; თეთრყირმიზ სახეზე _ თაფლისფერი, ალალად გამომზირალი, ბავშვური თვალები... თოჯინას ან ლამაზ ფერიას დაემსგავსებოდა, რომ არა ოდნავ კეხიანი ცხვირი! მართალი გითხრათ, ეს ჯიშიანი ცხვირი კიდეც უხდებოდა!

თამამი იყო, მეტად თამამი. როცა გიტარაზე უკრავდა და ყელმოღერებით მღეროდა დამწვრის სიმღერებს, რომელ მამაკაცს არ მოხიბლავდა!

ბევრი მოხიბლა კიდეც...

სწავლა-განათლებაზე თავიდანვე მწყრალად გახლდათ, სამაგიეროდ, პურღვინო ხიბლავდა ძლიერ _ თავის გამოსაჩენადაც და კუჭისთვის პატივის მისაგებადაც.

როგორღაც ისე მოხდა, რომ ერთი ლხინის სუფრაზე ბრგე კახელი ბიჭი მოაჯადოვა და მას სოფელში გაჰყვა...

ორი წლის შემდეგ გუგულა ჩუმად გამოიპარა ოჯახიდან _ ქმარმა გაიგო, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჰყვარობდა. ერთი წლის შვილიც თან წამოიყვანა, თბილისში დაბრუნდა.

შვილი საბავშვო სახლში მიაბარა, თვითონ პატარა ოთახი იქირავა დიდუბეში, მუშტაიდის ბაღის გვერდით, და ერთი ხნიერი თანამდებობის პირის ხარჯზე ცხოვრობდა. ცოტა ხანში დაჰკრა ფეხი და ახლა აბაშაში ამოჰყო თავი _ იქაური ახალგაზრდა გაიცნო, ახალი უნივერსიტეტდამთავრებული...

მეორე ქმართან თითქოს კარგად გრძნობდა თავს, შვილიც შეეძინა _ ამჯერად გოგო, _ მაგრამ ქმრის უწყინარ მშობლებს ვერ შეეთვისა. ნელ-ნელა შეაჩვია ენა და აშკარად ხშირ-ხშირად ლანძღავდა ხოლმე _ ცუდად მემსახურებითო, ქალბატონობა მოინდომა. ერთხელ კი, როცა ყვირილით ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, ქმარმა შინიდან გამოაპანღურა _ წადი, საიდანაც მოსულხარო და გაბრაზებულმა ცხვირ-პირიც კი დაულილავა.

გუგულა თბილისს დაუბრუნდა, ბავშვი აბაშაში დაატოვებინეს. ისევ იქირავა ოთახი, მალევე გაიჩინა "პატრონი" _ ჯიბესქელი საქმოსანი, რომელიც გუგულას მანქანით მოაკითხავდა ხოლმე კვირაში ორ-სამჯერ. გუგულას მუშაობის დაწყება აზრადაც არ მოსვლია. ფული სამყოფი ჰქონდა, გემრიელად ჭამდა და სვამდა, კოხტად იცვამდა და იხურავდა; იყიდა უამრავი გრამფირფიტა _ მისი ოთახიდან მთელი დღე საცეკვაო მუსიკისა და პოპულარული სიმღერების ხმა ისმოდა; ხშირად თვითონაც მღეროდა გიტარის თანხლებით.

გუგულა ისევ დაფეხმძიმდა, მისმა მარჩენალმა სხვა ქალი გაიჩინა...

გუგულას ძნელი ხანა ეწვია. წინათ თუ უამრავი წამსვლელ-მომსვლელი ჰყავდა, მთელი დღე სუფრა იყო გაშლილი, ახლა დობილებიც შემოეფანტნენ, აღარც მეზობლები უტალახებდნენ კარის ზღურბლს... შიმშილი შემოეჩვია, ძალიან გაუჭირდა.

გუგულამ დაბადებული ბავშვი საავადმყოფოშივე მიატოვა და სხვა უბანში გადაბარგდა, რკინიგზის სადგურთან ახლოს. ახალი "მფარველი" მაშინვე იშოვა. საოცრად ხელმოჭერილი გახდა, შავი დღისთვის ფულის შექუჩება დაიწყო.

ახლა უკვე ფრთხილობდა, მაგრამ მაინც ისევ დაფეხმძიმდა. ექიმს დროზე მიაკითხა და ნაყოფი მოიშორა.

ისევ გათხოვდა ხნიერ კაცზე. ქმარს მივლინებებში უწევდა სიარული და ერთ-ერთი ხანგრძლივი მივლინების შემდეგ თბილისში დაბრუნებული, ბინაში უცხო ხალხმა არ შეუშვა _ გუგულას გაეყიდა და თვით სადღაც გადაკარგულიყო.

ასეთი ილეთი კიდევ რამდენჯერმე ჩაატარა. გაცუცურაკებულებმა, რა თქმა უნდა, უჩივლეს და გაიჭიმა სასამართლო პროცესების გრძელი ჯაჭვი...

გუგულას დედამ და და-ძმამ _ ქსენიამ და არჩილმა _ ოჯახიდან მოკვეთეს _ ჩვენი სახელის შემარცხვენელი ხარო (უფრო იმისი ეშინოდათ, გუგულას შეჭმული ფულები ისევ და ისევ ჩვენი გადასახდელი არ გახდესო).

ამ დროს გუგულას ჰორიზონტზე გამოჩნდა გედეონი _ ორმოცი წლის შავულვაშიანი, მოხდენილი ვაჟკაცი, ჯერაც უცოლო. ერთ-ერთ სუფრაზე შემთხვევით გვერდიგვერდ მოხვდნენ. გუგულამ თავბრუ დაახვია გედეონს _ ცეკვით, სიმღერით და, ამავე დროს, თავდაჭერილობით. გუგულამ ქალური ინსტინქტით შეუცდომლად იგრძნო, როგორ უნდა მოქცეულიყო გედეონთან _ პაემანს ვითომ დიდი ჭოჭმანის შემდეგ დათანხმდა, ოდნავი დაბნეულობაც საუცხოოდ გაითამაშა _ ბავშვივით გულუბრყვილო გამომეტყველებით თვალებს მორცხვად ხრიდა.

გედეონმა მოუხშირა გუგულასთან სიარულს, უსაჩუქროდ არასდროს მიდიოდა. ერთხელაც გუგულამ დაათრო და მეორე დილით გაღვიძებულმა გედეონმა, გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ საწოლზე გუგულას გვერდით იწვა...

მას შემდეგ გედეონი ხშირად რჩებოდა ქალთან ღამ-ღამობით, ბოლოს კი სულაც მასთან გადაბარგდა. კარგი თანამდებობა ჰქონდა _ ინჟინერ-მშენებელი იყო, სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილე. ფული არ აკლდა, ხშირად მოჰყავდა გუგულასთან ძმაკაცები საქეიფოდ. საკუთარი ერთოთახიანი ბინა ერთთავად გამოკეტილი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს გედეონმა თავისი ქვრივი და ბაბალე და მოწაფე დისშვილები გააგზავნა გუგულას მიერ ნაქირავებ საცხოვრისში _ ცოლს ვთხოულობ, იმას ეხათრება ჩემს ბინაში გადმოსვლა და თქვენ როგორმე დაიყოლიეთო.

დას ძალიან აინტერესებდა საყვარელი ძმის რჩეულის ხილვა _ როგორც იქნა, მოესწრო! _ და ფრიად კმაყოფილიც დარჩა ძმაზე ათი წლით უმცროსი გუგულას გარეგნობითაც, კდემამოსილებითა და გულითადობითაც _ მისულებს გაშლილი სუფრა დახვდათ. ხორაგით სავსე მაგიდა მეფის საკადრისად მოეჩვენათ. თან ღიმილიანი გუგულა თავს მზრუნველად დასტრიალებდათ და ტკბილი ღუღუნით სთავაზობდა ხან ერთ, ხან მეორე კერძს. ხოლო, როცა გუგულამ გიტარა აიღო ხელში და Eეშხიანად შემოსძახა რამდენიმე სიმღერა, ბაბალესა და მისი შვილების გული მთლიანად მონადირებული იყო...

მერე დაქირავებულ სატვირთო მანქანაში ჩაალაგეს გუგულას ხაბახუბა, გუგულა და ბაბალე შოფრის გვერდით მოთავსდნენ და დაიძრნენ. ბაბალეს გოგო და ბიჭი ფეხით წამოვიდნენ _ გედეონის სახლამდე სულ ახლოს იყო. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ გედეონის ბინაში მისულებს გუგულამ ერთსაც და მეორესაც ხუთთუმნიანები აჩუქა. გედეონის ერთოთახიან, აივნიან ბინაში ისევ გაიშალა სახელდახელო სუფრა...

გუგულასთვის კვლავ დაიწყო "ახალი ცხოვრება". ცხადია, არც ახლა მუშაობდა სადმე. მულს არ მოეწონა რძლის სახელი და ვარდო დაარქვა, ახალი პასპორტი აღებინა და გვარიც გედეონისა ჩააწერინა. გუგულა ქინურიძე ერთ დღეში ვარდო მაჩუტაძე გახდა _ სასამართლოში მომჩივანთათვის ის გაუჩინარდა...

ქმარი კარგად შოულობდა ფულს და კვირაში ერთხელ მაინც ქეიფს მართავდა, ძმაკაცებს და "საჭირო ხალხს" პატიჟებდა. რატომღაც გაჭირვებული ქვრივი და,

ბაბალე, და დისშვილები გედეონს არასდროს ახსენდებოდა, თუმცა ისინი იქვე ცხოვრობდნენ, იმავე ეზოში, ერთი ბეწო ოთახში.

გედეონი ყოველმხრივ ბედნიერად გრძნობდა თავს. მშვენივრად ააწყო ცხოვრება, ჯიშიანი ძაღლიც კი შეიძინა _ მედალოსანი პოინტერი _ და კვირაობით სანადიროდ და სათევზაოდ დადიოდა ქალაქგარეთ, ამფსონებთან ერთად. თუ, რასაკვირველია, იმ დღეს ფეხბურთის მატჩი არ ტარდებოდა თბილისის "დინამოს" მონაწილეობით. თავგადაკლული გულშემატკივარი იყო, თვითონ ხომ შეხვედრას არ გამოტოვებდა და თავისი თანამშრომლებიც უმშვენებდნენ გვერდს ტრიბუნაზე, შემდეგ კი საქეიფოდ მიდიოდნენ გედეონთან. მრავალჯერ იმდენი ნანადირევი მწყერი თუ დაჭერილი თევზი მიუტანია გედეონს შინ, რომ მთელი დიდი ეზო კი არა, სხვა ეზოებიდანაც კი დამძღარა ხალხი, მთელი ქუჩა შემწვარ-მოხრაკულის სუნით იყო გაბრუებული, ბაბალესა და მის შვილებს კი ერთი ლუკმაც არ შეხვედრიათ...

მალე გედეონმა, რომელიც ტრესტის მმართველი გახდა, ოროთახიანი ბინა მიიღო დიდუბეში (ყოფილი ტრესტის მმართველის ბინა, რომელიც დააწინაურეს და ახალი, უკეთესი ბინაც მისცეს) და იქ გადავიდა ცოლთან ერთად. ძველი ერთოთახიანი ბინა გაყიდა, სივიწროვეში მყოფი დის ოჯახისთვის არ დაუტოვებია. ბაბალეს უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, არც გუგულა-ვარდოსთვის უთქვამს რამე, თუმცა კარგად იცოდა, რომ სწორედ რძალმა აითვალწუნა რატომღაც ის და მისი შვილები. ეს "რატომღაც" არც ისე ძნელი მისახვედრი იყო _ წუწურაქი გუგულა--ვარდო შიშობდა, რომ ღარიბი მული და მულისშვილები თხოვდნენ, ხელი გაემართა მათთვის... ის კი არა, ერთხელ გუგულა-ვარდომ გედეონს ბაბალეს ბიჭი სულ ტყუილად გაალახვინა, არ მიჯერებსო. ბაბალეს ეს ამბავი ძალიან ეწყინა, მაგრამ საყვარელ ძმას მაინც არ ეჩხუბა, მხოლოდ თხოვა, რომ ნუ დაჩაგრავდა ობოლ დისშვილებს, თუნდაც იმიტომ, რომ სიბერეში, შესაძლოა, სწორედ მათი მოსავლელი გამხდარიყო (როგორ გამართლდა ბაბალეს წინათგრძნობა!).

გუგულა გაკეთდა შავი დედალივითო, გუგულა ქერის ორმოში ჩავარდაო, _ ასეთმა ხმებმა მიაღწია გუგულა-ვარდოს ნათესავებამდე. დაირაზმნენ ვარდოს დედა, უფროსი და, ქსენია, ქმრით და ძმა, არჩილი _ ბატონი სიძის სანახავად (მანამდე გუგულას არც ელაპარაკებოდნენ კარგა ხანს). ფრიად მოეწონათ ხელგაშლილი, პურღვინიანი გედეონიც, ძვირფასად მოწყობილი ბინაც. ახალმა სიძემ მხატვარ ცოლისძმას დაჰპირდა, სახელოსნოს აგაშენებინებ, ეგ ჩემთვის ძნელი არ არის, სამშენებლო ტრესტს ვხელმძღვანელობ, თან უამრავი გავლენიანი ძმაკაციც მყავსო; ქვისლს კარგი ადგილის შოვნას დაჰპირდა უნივერმაღში, ხოლო სიდედრს _ ახალი კბილების შესანიშნავ პროთეზს შეგიძენო...

სამაგიეროდ, გედეონის სამივე დამ (ორი მათგანი სოფლად ცხოვრობდა) და დისშვილებმა სულ დაივიწყეს მისი ოჯახისკენ მიმავალი გზა. გედეონი ნათესავების ქორწილსა თუ გასვენებასაც კი აღარ ესწრებოდა.

დიახ, გედეონი ბედნიერი გახლდათ, მაგრამ... მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ერთი გარემოება ნელ-ნელა მწარე საფიქრალს მატებდა ოჯახს _ გუგულა-ვარდოს შვილი არ უჩნდებოდა! ცოლი ათი წლით უფროს გედეონს სდებდა ბრალს, ბებერი ხარო, იმას კი უმალავდა, რომ უამრავი აბორტი ჰქონდა გადატანილი და, ცხა-

დია, ექიმთან გასინჯვაზეც გადაჭრით ამბობდა უარს... ამას ისიც დაერთო, რომ გედეონსა და მის დებს წერილი წერილზე მოსდიოდათ, რომელშიც გუგულა-ვარდოს წარსული დაწვრილებით იყო აღწერილი. დები გულს იფხანდნენ, გედეონი კი არაფერს იმჩნევდა, თუმცა შინაგანად აფორიაქებული იყო. ქმრის მორიდებულ შეკითხვებზე გუგულა-ვარდო თავს იკატუნებდა, ტიროდა და წუწუნებდა, რა დავუშავე შენს დებს, რომ გამწირეს და ასეთი საშინელი ცილისწამება შეთხზეს ჩემზეო. სინამდვილეში დები ათასში ერთხელ თუ შეხვდებოდნენ ძმას, მაშინაც არაფერს ეუბნებოდნენ, როგორ წერილებსაც იღებდნენ რძლის წარსულის ფერადოვანი აღწერით _ გედეონი უყვარდათ და ეცოდებოდათ...

წელი წელს მისდევდა, გედეონი ისევ დააწინაურეს, მშვენიერი სამოთახიანი ბინაც მისცეს ახალ სახლში, საბურთალოს დასახლებაში. გუგულა-ვარდო კიდევ უფრო დამშვენდა, თუმცა, ცოტა არ იყოს, ოდნავ ზედმეტად გასუქდა; ოთახები ძვირფასი ავეჯით გააწყო, კარადები უცხოური სერვიზებითა და ბროლის ძვირფასი ნაკეთობებით გაავსო. გედეონის ერთი გაჭირვებული სოფლელი დის შვილიშვილი, თექვსმეტი წლის წყნარი, უენო ქალიშვილი ჩამოაყვანინა ქმარს და მოახლედ დაიყენა (უცხოს ოჯახში როგორ შეუშვებდა: ჯერ ერთი, ჯამაგირი უნდა ეძლია და მეორეც, საშინლად ეშინოდა გაძარცვისა). გოგო მთელი დღე მუხლჩაუხრელად საქმიანობდა _ ჰგვიდა, წმენდდა, რეცხდა, საჭმელს აკეთებდა _ ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდა. ბიცოლა ჰპირდებოდა, ნახე, რა მდიდრულად გაგათხოვო, შენთვის კარგი ბიჭი უკვე შერჩეულიც მყავსო. კარგა ხანს ატყუებდა ასე საბრალოს, სანამ გოგო არ გაიპარა _ ვიღაც შოფერს გაჰყვა ცოლად, თავს უშველა. ერთ თვეში გედეონის ოჯახში ახალი მოახლე გაჩნდა _ ისიც სოფლელი, ოღონდ ობოლი.

ასე აეწყო გუგულა-ვარდოს ცხოვრება: ქალბატონივით ჭამა-სმა, მშოვნელი ქმარი, მოწყობილი ბინა... გუგულა-ვარდო ერთ-ერთ სოფლელ მულს, რომელიც შედარებით შეძლებული იყო, შეურიგდა, ზაფხულში რამდენიმე თვეს მასთან ატარებდა. სოფლელებს უყვარდათ ქალბატონ ვარდოს ჩამობრძანება: ბავშვებს თითო ღერ კანფეტს ჩამოურიგებდა, დიდებს მოდიდან გასულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს გაუნაწილებდა...

მამხილებელი წერილები კი მოდიოდა და მოდიოდა...

გუგულა-ვარდოს ფიცხი ბუნება ნელ-ნელა თავშეუკავებლობაში გადაიზარდა და არცთუ იშვიათად ქმარს სულ უბრალო რამეზე აუშარდებოდა, ხმასაც აუწევდა. თუკი მოთმინებადაკარგული გედეონი იშვიათად იგივეს იკადრებდა, მაშინვე ატირდებოდა, ისტერიული შეძახილებით გაგორდებოდა დივანზე. შეშინებული ქმარი დაუჩოქებდა, ეფერებოდა, ატირდებოდა კიდეც და ეფიცებოდა, რომ აწი მისი მონა იქნებოდა და ყველა სურვილს უსიტყვოდ აღასრულებდა...

წელი კი წელს მისდევდა...

გედეონი ძველებურად ხშირად მართავდა წვეულებებს, კარგა მოზრდილი ღიპიკოც წამოეზარდა. ოჯახში ბარაქა მატულობდა.

გუგულა-ვარდოს ნაძალადევში Yყველასგან მიტოვებული მოხუცი დედა გარდაეცვალა. გუგულა-ვარდო, მისი უფროსი და, ქსენია და ძმა, არჩილი, ვერაფრით მორიგდნენ სახლისა და ეზოს გაყოფაზე. ბოლოს, გადაწყვიტეს ყველაფრის გა-

ყიდვა და ფულის განაწილება. არც ამან უშველათ _ ისე დალანძღეს ერთმანეთი, ისე ამოთხვარეს ლაფში, რომ ერთმანეთს აღარ ელაპარაკებოდნენ და სახელის გაგონებაც კი ნერვებს უშლიდათ. განსაკუთრებით გუგულა-ვარდო იყო გაკაპასებულ-გაალმასებული, სულ ცოფებს ჰყრიდა და არც უშვერ გინებას აკლებდა დასა და ძმას, მათ მონაგარს, სიძე და რძალიც არ ავიწყდებოდა...

გედეონი საპენსიო ასაკიდან ჯერ კიდევ შორს იყო, რომ უცებ თვალთ ძალიან დააკლდა. დაუდგინეს დიაბეტი, მაღალი წნევა... რასაკვირველია, ხელმძღვანელ თანამდებობაზე ვეღარ იმუშავებდა. ერთხანს სამადლოდ ინახავდნენ ძველ მუშაკს, მერე იძულებული გახდა, დროზე ბევრად ადრე, ავადმყოფობის გამო, პენსიაში გასულიყო. ოჯახს ფული შემოაკლდა. ცოლი დასცინოდა გედეონს და თათხავდა კიდეც; ის კი არა, ქალბატონის შემხედვარე, მოახლეც კი აგდებულად და უკმეხად ელაპარაკებოდა ხოლმე...

ერთხელაც, სანატორიუმში მკურნალობის შემდეგ სოჭიდან თბილისში დაბრუნებულ გედეონს ბინა გაყიდული დახვდა...

სანამ ვარდოს გზა-კვალს დაადგენდა მილიცია, სანამ სასამართლო პროცესი გრძელდებოდა, გედეონი ბაბალემ შეიფარა. გამართლდა დის მიერ ადრე, თხუთმეტი წლის წინ ნაწინასწარმეტყველევი; დისშვილებს ეცოდებოდათ უპატრონოდ მიგდებული უსუსური ბიძა და ისინი უვლიდნენ...

გუგულა-ვარდოს კი არც ამჟამად მოჰკლებია გემრიელი ჭამა-სმა და კარგად ჩაცმა-დახურვა. მართალია, ფულის ახალი შემომტანი ჯერჯერობით ვერ იშოვა, სამაგიეროდ თავის სიცოცხლეში პირველად დაიწყო შრომა-საქმიანობა: ჯერ ავეჯის, ძვირფასეულობის, სხვა რაღაც-რაღაცეების ყიდვა-გაყიდვა დაიწყო, უმთავრესად _ ბინების; შუამავლობაში დაოსტატდა და გვარიანი მოგებაც აქვს. გარდა ამისა, ექიმბაშობაშიც სცადა ბედი და საკმაო წარმატებითაც: თავისივე რეცეპტებით, ბალახბულახით, ბუასილისა და კუჭის დაავადებების წამლებს ამზადებს გასაყიდად და გულუბრყვილო მუშტარიც არ აკლია. თუ შეძლებული, კარგბინიანი მთხოვნელი გამოუჩნდა, არც გათხოვებაზე იტყვის უარს _ ჯერ არც ისე ასაკოვანია და მშვენივრად შენახულიც _ ძალიან კარგ ფერუმარილს მხოლოდ გასაყიდად კი არ ამზადებს. ყოველი შემთხვევისთვის, იმაზეც იზრუნა, რომ სიბერეში ვინმე უპატრონებდა _ თითქმის მივიწყებული შვილი საბავშვო სახლიდან გამოიყვანა და ძმას თხოვა, მიეხედა მისთვის...

14. ვარდო

იამ შინ მისვლისთანავე გიას ნაჩუქარი თეთრი კაბა გაიხადა, ხელ-პირი და ფეხები თბილი წყლით დაიბანა და მაშინვე საწოლს მიაშურა. დაღლილი იყო, გადაღლილიც კი, მაგრამ, ამის მიუხედავად, რატომღაც ვერაფრით დაიძინა. განვლილი დღის სურათები ამოტივტივდებოდნენ, ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს... მერე სხვა ფიქრებიც აედევნენ...

“_ _ თითქმის მთელი ცხოვრება ჩაკეტილი ვიყავი ოჯახის ნაჭუჭში _ გვიან გავახილე თვალები, გვიან დავინახე ქვეყანაც, ხალხიც... გარემოც... _ მეძინა?.. _ ყო-

ველდღიურობაც ახლა სულ სხვანაირად წარმომიდგება _ და ყველაფერს უფრო ძალუმად შევიგრძნობ, მთელი სიცინცხლით, ფერადოვნებით, მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით... _ გვიან "მოვმწიფდი", გვიან გაიხსნა ჩემთვის საწუთროს მთელი სირთულე, წინააღმდეგობრიობა _ უფრო დავდინჯდი, ახლა აღარაფერი მაკვირვებს და ბევრ რამეს, ჩემთვის ადრე სრულიად მიუღებელს, ახლა უფრო შემწყნარებლურად ვუყურებ... _ უფრო რბილი გავხდი? _ თუ სიბერის, ცხოვრებისგან დაღლის ნიშანია ეს? _ შუქ-ჩრდილს, სიტკბო-სიმწარეს გაღიზიანების ან აღშფოთების გარეშე ვხვდები... _ ან იქნებ სიბრძნე მომემატა? _ ალბათ ყველაფერი ერთად, ცოტ-ცოტა... _ მივხვდი, რომ ბევრი რამ გარდაუვალია, ასეთია ცხოვრება... _ არა, ხელი არ ჩამიქნევია, ძალა კიდევ შემწევს საბრძოლველად, პესიმისტი არასდროს ვიქნები... _ თუ ჩემი ფერწერა არის ერთგვარი ნავსაყუდელი, თავშესაფარი, ფსიქოლოგიური "ქოლგა" ცხოვრებისეული ქარტეხილებისგან?.. _ არა, ეს სიმხდალე არ არის, ყველა ბრძოლას თავისი კანონები აქვს... _ ბრძნული ანდაზაა: "თავს ზევით ძალა არ არისო" _ ალბათ დავიღალე კიდეც, ასაკს თავისი გააქვს _ მაინც ვიბრძვი... _ რაღაცისთვის ხომ დავიბადე, თუკი შემიძლია, რატომ არ უნდა გავაკეთო? _ შვილები? _ უკვე დიდები არიან, მოუვლიან საკუთარ პრობლემებს... _ კესანე... _ დათუნას მდგომარეობა თითქოს უფრო მეტად უნდა მაწუხებდეს, მართლაც არ მშორდება მასზე და მის ოჯახზე ფიქრი, მაგრამ კესანეზე ფიქრი ბევრად მტკივნეულია... _ სულ ერთსა და იმავეზე მტკივა გული: რატომ ჰგონია, რომ ბოლო ამოსუნთქვამდე მისი მსახური უნდა ვიყო, ყველაფერი შევწირო?.. რატომ ჰგონია, აღარაფერი მინდა, საკუთარი მოთხოვნილებები და სურვილები აღარ გამაჩნია, ყველაფერი წარსულში დამრჩა, მომავალი არაფრის ახლის მომტანი არ არის ჩემთვის? _ მეც ხომ ადამიანი ვარ, პიროვნება, ჯერ სიცოცხლეში ბევრი რამ მიზიდავს; უცნაურად ნურავის მოეჩვენება და ორმოცდაათი წლის ქალს სიყვარულიც მწყურია... _ ის ძველი სიყვარული ისე გაფერმკრთალდა, აღარც კი მჯერა, თუ ოდესმე არსებობდა... _ მიკვირს, მაგრამ ასეა _ გამარჯვების, წარმატების, აღიარების სურვილიც მაქვს _ ყველას აქვს და არც სხვებში მაღიზიანებს, თუკი პატიოსანი შრომით ცდილობენ ამის მიღწევას _ საკმარისად ვიშრომე სხვებისთვის, მადლობა ღმერთს, ვალი არავისი მმართებს... _ არ მაქვს უფლება, ჩემს საყვარელ საქმეს მივხედო?.. _ ხვალ?.. _ ძილი გამიკრთა... _ რა ვქნა?.. _ ტყუილად წოლას, ხომ არ ჯობს, სახელოსნოში ავიდე? _ კონტრასტული წყვილადი პორტრეტის ახალ ვარიანტს მაინც მოვხაზავ სქემატურად... _ იქ, სახელოსნოში არის ჩემი ნავსაყუდელი... _ _".

უკვე ლოგინში წამომჯდარი იყო და საშინაო ხალათი უნდა ჩაეცვა, რომ ვიღაცამ კარის ზარი აახმიანა.

"_ _ მალე შუაღამე იქნება, ვინ უნდა იყოს? _ ღირს გარეთ გასვლა? _ კეთილი საქმისთვის ამ დროს იშვიათად თუ ვინმე მოვა... _ ნეტავ გია ყოფილიყო აქ ახლა... _ სახლი-სახელოსნო კარგია, სიმყუდროვეა, მაგრამ ჩემს ბავშვობისდროინდელ დიდ თბილისურ ეზოსაც თავისი უამრავი კარგი მხარე ჰქონდა _ აქ მეზობლებს თითქმის მოწყვეტილი ვარ... _ _"

შიშს თუ არა, უსიამოვნო რაღაც გრძნობას მაინც სძლია, სახლის კარი გამოაღო და იქიდან შეეხმიანა:

_ რომელი ხარ?

_ ვარდო ვარ, ვარდო! _ გაისმა ნაცნობი ხმა.

არჩილის და! ამჯერად უმცროსი...

იამ ინანა, რომ ხმა გასცა, მაგრამ თითზე კბენა გვიანი იყო; რაღას იზამდა, ეზოს ელექტრონათურა ჩართო, ჭიშკრისკენ გაემართა და კუტიკარი გააღო...

_ ისე დავრეკე, ჯერ მოსული არ მეგონე...

"_ _ იცოდა, რომ ბანკეტი მქონდა _ საიდან?.. დადარაჯებული ჩანს... _ ნეტა რა უნდა?.._ _"

_ ხომ მშვიდობაა?

_ კი, კი!.. _ საჩქაროდ დაამშვიდა ვარდომ და ამან იას ეჭვი კიდევ უფრო გაუმძაფრა.

_ მობრძანდი...

დიდ სასტუმრო ოთახში ვარდო მაგიდასთან დასვა სკამზე, თვითონ კი დივანზე მოკალათდა, მისგან მოშორებით _ სულ არ აღელვებდა, რომ ამ ხაზგასმულ განცალკევებას სტუმარი ცუდად აღიქვამდა.

ვარდო ოთახს ათვალიერებდა, განსაკუთრებით _ სურათებს კედლებზე, ია კი _ ვარდოს...

"_ _ მთლად კესანესავით უყურებს სურათებს, ორივეს ეტყობა ქინურიძეების ჯიში... _ რაზე შეიწუხა თავი ამ შუაღამეს? _ ნეტავ რამ გადარია დები ქინურიძეები? ერთი დილაუთენია მირეკავს, მეორე შუაღამეს მომადგა _ ეტყობა, არ ეშინია ბნელ ქუჩაზე სიარული _ მე რა უნდა გამჭირვებოდა ისეთი, რომ ამ ჩაბნელებულ აღმართზე მარტო ამოვსულიყავი... _ აბა ჰე, ამოშაქრე ახლა, რა მუცლის გვრემა გჭირს... _ _"

_ შენ არ გეცოდინება, ქსენიას ბიჭი დაკავებულია...

ია არ გატოკებულა, ჩუმად მისჩერებოდა სტუმარს.

"_ _ ორმოცდაათს უკაკუნებს და გარეგნულად ბევრად ნაკლებს მისცემ... _ სახე გადატკეცილი _ არჩილი მაგ ხნისა მთლად გაჭაღარავებული იყო, ვარდოს ერთი თეთრი არ ურევია თმაში _ შეღებილი ხომ არ აქვს? _ არა, შეღებილს სხვა ელფერი აქვს, მხატვრის გაწაფულ თვალს ეს არ გამოეპარება _ ნეტა ახლა თუ ჰყავს ქმარი?.. _ თუ ჰყავს, მასავით გამძრომ-გამომძრომი თუ გაუჩერდება... _ _"

_ რა დაემართა?

"_ _ არაფერს ვეტყვი დილით ქსენიასთან სატელეფონო საუბრის შესახებ... _ საერთოდ, არ ავყვები ლაპარაკში, შევეცდები, რაც შეიძლება სიტყვაძვირი ვიყო... _ _"

_ ყმაწვილური ქარაფშუტობა... სროლა აუტეხია, სამი ბიჭი არის მსუბუქად დაჭრილი. ქსენია თავს იკლავს, მოგვსპო კანდიდმაო. შეიძლება, ყოველ თვეს მილიციასთან გქონდეს საქმე? ახლა ექვსი ათასი სჭირდება სასწრაფოდ, სად აქვს ამდენი გაღატაკებულ ოჯახს?

ვარდო მონაცრისფრო-მოცისფრო დიდი თვალებით მიაცქერდა იას, ია მშვიდად იჯდა.

"_ _ ქსენიამ კი მითხრა, ხუთი ათასიო?.. _ რომელს დავუჯერო? _ ლამაზი თვალები აქვს ვარდოს, საერთოდაც კარგი შესახედავი ქალია ამ ასაკშიც კი, რომ იტყ-

ვიან, კარგი შენახულია... _ ქინურიძეებში გამორჩეულია გარეგნობით... _ და ბევრი სხვა რამითაც! _ რამდენიმე ქმარი ამ ათი წლის წინ ჰყავდა უკვე გამოცვლილი, როცა არჩილს დავცილდი; მას მერე რა ჰქნა ნეტავი? _ ბაკური რომელი ქმრისგან ჰყავს? _ ვარდო გარეგნულად ძალიან ჰგავს ძმას, თუმცა არჩილი მასავით ლამაზი არ არის და, შეიძლება ითქვას, ბევრად ტლანქი ნაკვთებიც აქვს... _ კესანე დაემსგავსა ვარდოს... _ არა, ვარდო უფრო მატყუარად სახენათელია, შუბლგახსნილია, შეიძლება, ადვილად მიენდო... _ ლაპარაკიც როგორი სასიამოვნო აქვს, ვინც არ იცნობს, იფიქრებს, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამსო _ ნეტა როდის ამოღერღავს, რისთვის მობრძანდა? _ ალბათ ამასაც ფული უნდა... _ ტყუილად იქარგავს ენას, მე არაფერს ვკითხავ _ რა ჯიშ-ჯილაგის არიან ეს ქინურიძეები, დალაგებული ოჯახი არ აქვს არც ერთს! _ ახლა მეშინია, კესანეს არ გაეყაროს ქმარი, ისე ეჯიჯღინება საწყალს ყოველდღე _ ძალიან პრეტენზიულია კესანე _ გაიბღუზა ჩემზე, ბაკურიანში რომ არ წავყევი მოახლედ და უკვე რამდენი თვეა, შვილიშვილს არ მანახვებდა, იასონი რომ არა, მომანატრებდა მაკას... _ _”

_ სამწუხაროა... ექვსი ათასი რა ამბავია.

_ დიახ... თითო-თითო ათასი _ დაზარალებულებს, დანარჩენი _ გამომძიებელს.

_ როდის დაიჭირეს ქსენიას ბიჭი?

_ ე-ე... სამი თუ ოთხი დღის წინ...

_ მილიციის რომელ განყოფილებაშია?

_ მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

_ როგორ არ აქვს, აბა, სად უნდა მიხვიდე სიტუაციის გასარკვევად?

_ ორჯონიკიძის რაიონულში... იქნებ უკვე სხვაგანაც გადაიყვანეს...

“_ _ ტყუილების გუდა... _ _”

_ ქსენია რას აპირებს?

_ ისეა გამწარებული, დანა რომ დაარტყა, წვეთი სისხლი არ გამოუვა. გადაჰყვა მაგ ბუშს, ქუჩაში გაზიდა იმ მამაძაღლმა ყველაფერი...

_ ბუშს?

_ ჰო, არ იცოდი? ჩვენს შორის დარჩეს და, ქსენიასი კია არა, ნორას ბიჭია ეგ.

_ ნორასი?

_ ქსენიას უმცროსმა გოგომ გააკეთა, მაშინ თექვსმეტი წლისაც არ იყო... ქსენიამ და სოკრატმა თავის სახელზე ჩაწერეს კანდიდი, ბიჭი მაინც არ ჰყავდათ. აცვენილია, ჯვარს აცვა ქსენია.

_ იქნებ ჯარმა უშველოს...

_ ჯარში არ წავა, ცოლი ფეხმძიმედაა.

_ ვინ ცოლი?

_ ციცო... ერთი წყნარი გოგო გამოუძებნა ქსენიამ, იქნებ შინ გავაჩეროო, ჩვიდმეტი წლისას შერთო. დათვრება, მერე ცოლს სცემს. ერთი თვის წინ გაექცათ მშობლებთან _ უკვე მერამდენედ. ქსენია მივა, ხვეწნა-ვედრებით და მობოდიშებით წამოიყვანს რძალს, ის კიდევ რამდენიმე კვირას გაძლებს და ისევ გარბის. კანდიდს გააქვს ოჯახიდან ყველაფერი, ყომარსაც თამაშობს. ამას კიდევ ამხელა ხარჯი დაემატა... ქსენია გადარევას არის.

_ არჩილი არ ეხმარება?

_ არჩილსაც ძალიან უჭირს, თორემ დას როგორ არ დაეხმარებოდა... მეც რა შემიძლია, ხომ იცი, მარტოხელა ქალი ვარ, ხანდახან პურის ფულიც არ მაქვს... ბაკურსაც არჩილი ინახავს, მე არ მაძლევს კაპიკს... რა დავუშავე, არ ვიცი...

" _ _ რა დაუშავე და, მის თავზე გადაიარა, რაც შენ იყალთაბანდე _ ერთი დღე არსად გიმუშავია, ათიათასებს კი ატრიალებდი... _ სულ აფერისტობაში გაატარე ეს წლები, ყოფილ ქმრებს ყველას მოტყუებით ბინები გაუყიდე, მოსაკლავად დაგდევდნენ და არჩილს უხდებოდა შენი ვალების გასტუმრება _ ეტყობა, არჩილსაც ყელში ამოუვიდა გაუთავებელი ჩხუბი და სასამართლო პროცესები და, მგონი, კარგა ხანია, არც გელაპარაკება... _ ყოჩაღ ბაკურ, სულ რომ არ ჰგავხარ დედაშენს!.. _ მახსოვს, ადრე ვარდოს როგორი მყრალი ენა ჰქონდა, თავის დასაც კი არ ინდობდა, ჭორავდა, არადა, ქსენია მასთან შედარებით ანგელოზია _ ახლა, ეტყობა, დის ლანძღვა ხელს არ აძლევს... _ _"

_ ...დავდივარ, დავწოწიალობ, იქნებ ორიოდე მანეთი ვუშოვო ქსენიას... რა ვქნა, თავს ვიმცირებ, მათხოვრობა დავიწყე...

"_ _ მათხოვარი კი არა, თავიდანვე ყაჩაღი იყავი _ სად წაიღე იმდენი ფული? _ სულ ბნელ პიროვნებებთან გქონდა კავშირი... მატყუარობას არც ახლა იშლი, მაგრამ მე ვერ გამაცურებ... _ ხომ ვიცი, არჩილს რომ უჭირდეს, დიანა ჩემს სურათში იმხელა თანხას არ გადაიხდიდა _ მე რომ სისულელე ჩავიდინო და ქსენიასთვის გადასაცემად ფული მოგცე, თვითონ ჩაიჯიბავ, ეჭვიც არ მეპარება _ თუმცა, ის ფული ხომ დათუნას აქვს, აქ ხომ არ დარჩება ქსენიას თუ ნორას ბიჭის გულისთვის... _ _"

_ ... ვიცი, შენ არსად მუშაობ, არც პენსია გაქვს... დათუნა თუ გეხმარება? _ მზრუნველი ჭირისუფლის ხმით ეკითხება ვარდო.

_ რატომ გაინტერესებს?

"_ _ არცერთ კითხვაზე პასუხს არ ვაღირსებ _ ამნაირებს უარესიც ეკუთვნით _ ამ შუაღამისას არ შემომივარდა შინ? _ თავხედი! _ წესით, ჭიშკართანვე უნდა გამებრუნებინა უკან _ _"

_ ქსენიას ცოტას ვერ შეეწევი? თუ ნაღდი ფული არ გაქვს, იქნებ ერთი-ორი სურათი გაიმეტო...

_ ამ ხუთი წლის წინ რომ ჩემი ხუთი სურათი წაიღე, გაგიყიდიო, იმის ფული სად არის? ნახევარი ქსენიას მიეცი, ნახევარიც მე დამიბრუნე.

"_ _ ჩემისთანა გამოუცდელი და მიმნდობი თუ მოტყუვდა მაშინ, ახლა ნურას უკაცრავად _ ვირტუოზი ხარ ნამდვილად, ერთ-ერთი ქმრის ბინის სამჯერ გაყიდვა როგორ მოახერხე? _ ახლა სად ცხოვრობ, ლამაზო?.. _ მაინც ჩერჩეტი ვარ, რამდენიმე თვის წინ რა ბეწვზე გადავრჩი! კინაღამ დაგთანხმდი, როცა ტელეფონით დამირეკე, დროებით შენთან ვიცხოვრებ, შენ მარტო ხარ და მოწყენილი აღარ იქნებიო... არ ვიცი, რა დამემართა, როგორ მომნუსხე, კინაღამ დაგთანხმდი... ბედად ერთი რამ გამახსენდა! იჩქარე და ამან მიშველა: შენი ტელეფონის ზარამდე რამდენიმე დღით ადრე რამდენჯერმე ვიღაც-ვიღაცეები მოდიოდნენ, გავიგეთ, ამ მისამართზე ბინა იყიდება და გვინდა, ვნახოთო... _ _"

_ ჩემს ბაკურს გეფიცები, შენი სურათები ჩემს მეგობარს გავატანე, მოსკოვში წაიღო, იქ უცხოელებზე გაასაღებს... ამერიკულ დოლარებს ჩამოიტანს, მაგრამ, ხომ იცი, ამას დრო სჭირდება.

_ რამდენი? თითქმის ხუთი წელი გავიდა.

"_ _ ვარდო იშვიათი ფსიქოლოგია! _ ვგრძნობ, როგორ მაკვირდება და უკვირს: "ნუთუ ეს იაა?" _ ვერაფრით გადამრთო თავის ტალღაზე, ვერ მომაქცია თავისი ნების ქვეშ _ იბნევა, არ მოელოდა ალბათ ჩემგან მისი ზეწოლის ასე რბილად, მაგრამ ჯიუტად აცილებას... _ უკვირს ჩემგან: "საიდან ამგვარი ირონია?" _ გარეგნულადაც ვიცავ ზრდილობის წესებს: არავითარი ყვირილი, უსაფუძვლო პრეტენზია, უხეში სიტყვები... _ კარგად მიცნობს, ადრეც რბილი ხასიათის ქალი ვიყავი, წონასწორობას არასდროს ვკარგავდი, კონფლიქტურ სიტუაციებსაც ყოველთვის თავს ვარიდებდი _ ჩემისთანა მგრძნობიარე ადამიანს ალბათ ამანაც გამაძლებინა, რომ მრავალ ფსიქოლოგიურ დარტყმას გავუძელი: დედის ადრე გარდაცვალება, ქმართან გაყრა, უხიაგი ქალიშვილი, მონატრებული ვაჟიშვილი და შვილიშვილები რამდენიმე ათასი კილომეტრის დაშორებით... _ _"

_ დღეს შენი გამოფენა ვნახე, იქ დიანაც იყო... დათუნამ არაფერი გითხრა?

ვარდოს ამ სიტყვებმა ია განაცვიფრა და დააბნია კიდეც...

_ მერე, რატომ არ დააბარე, თუ რამე გინდოდა... ან ბაკურისთვის გეთქვა.

"_ _ ეტყობა, არ გქონდა იმედი, რომ შუამავლობით რაიმეს მიაღწევდი, თორემ არც შვილის ჩართვას მოერიდებოდი და არც ძმისშვილის... _ აღფრთოვანებული ვარ, როგორ არ იტეხ იხტიბარს, არ გინდა, დაიჯერო, რომ კოვზი ნაცარში ჩაგივარდა _ რა ნიჭი გაქვს გარდასახვისა, რა ულევი ფანტაზია, გაჭირვებული, თითქმის გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსხლტომისა! _ კარგად გაკვირდები და ცოტა გავერთობი კიდეც, როგორც კატა თაგვს, ისე გაგეთამაშები _ ვითომ არ შეგზღუდავ, გაქცევ-გამოქცევის საშუალებას მოგცემ _ ვნახოთ ერთი, კიდევ რა სვლას მოიფიქრებ... _ ვატყობ, დათუნასაც და ბაკურსაც თხოვე, შენი გამოფენაზე მისვლის შესახებ ჩემთვის არაფერი ეთქვათ... _ რა გინდოდა იქ? _ ჩემი ნახვა რომ გდომებოდა, მომიცდიდი... _ _"

_ არა, არაფერი მითხრეს, არც დათუნამ და არც ბაკურმა. ალბათ დაავიწყდათ, ძალიან ბევრი სამუშაო ჰქონდათ.

_ ლამაზი გამოფენა გაქვს, მე მასეთ რამეში ვერკვევი.

"_ _ ჭეშმარიტად!.. _ სურათებში ნამდვილად კარგად ერკვევი, კესანესი არ იყოს... _ _"

_ ბაკური ხომ კარგად მოგეხმარა?

"_ _ მადლობა ღმერთს, შენ არ დაგემგვანა _ ახლა გაგახსენდა ისიც? _ ტყუილად ფაფხურობ, შენი შვილის სახელის გამოყენება გულს ვერ ამიჩუყებს... _ _"

_ ბაკური მშვენიერი ბიჭია.

_ ძალიან ძლიერი სურათები გაგიკეთებია ამ ბოლო დროს, არც კი ველოდი. არჩილის სურათებსაც კი სჯობს.

"_ _ მარტივად გინდა მიზნის მიღწევა? _ მაამებლობის ბედაურს გააჭენებ და შეეცდები, ჩემი წინააღმდეგობა ისე გადალახო... _ მერე. მერე, კიდევ რას გვიბრძანებ? _ _"

_ მართლა მოგეწონა?

_ ბაკურს გეფიცები! არჩილის სურათებს აჯობე!

"_ _ როგორ გამომცდელად მომჩერებია, ეტყობა, მორიგ სვლაზე ფიქრობს... _ _"

_ უფრო თბილია, ძალიან თბილი სურათებია, სულ მინდა, ვუყურო...

"_ _ მაგაში კი ხარ ალბათ მართალი, გუმანი არ გატყუებს _ ყოველ შემთხვევაში, არჩილის ბოლოდროინდელ ნამუშევრებს აშკარად ეტყობა დაღლა, შინაგანი ენერგიის გამოფიტვა, გარეგნული ხერხებით ფონს გასვლის მცდელობა... _ გააგრძელე, გააგრძელე, ლამაზო... _ სხვა გზით რომ წასულიყო შენი ცხოვრება, იქნებ მშვენიერი ხელოვნებათმცოდნე ყოფილიყავი, ვინ იცის? _ _"

_ ჩვენზე ახლობელი ვინ გყავს, ჩემო ია, მე შინ არ უნდა მეკიდოს შენი ნაჩუქარი რამდენიმე სურათი მაინც?

"_ _ აჰა, საკმაოდ სუსტი სვლა გააკეთე, ძვირფასო, ვერ გაამართლე ჩემი იმედი... _ ჯერ ის მიბრძანე, ბინა თუ გაქვს საკუთარი? _ ბაკურიც კი მის ერთ თანაკურსელთან ერთად ნაქირავებ ოთახში ცხოვრობს... _ _"

_ ვარდო, ჯერ ეს მითხარი: შენი ძმის რამდენი სურათი გიკიდია სახლში?.. ახლა გამახსენდა: ძალიან რომ მიჭირდა, თანაც დათუნა პოლონეთში იყო წასასვლელი, ჩემს ხუთ სურათთან ერთად, არჩილის ორი სურათიც გამომართვი, რამდენიმე დღეში მოგიტან ფულსო... მას შემდეგ რამდენი _ ხუთი? ჰო, ხუთი წელი გავიდა, რამდენი უნდა ვიცადო კიდევ?

"_ _ არ მოვდუნდე, სიმტკიცე, სიმტკიცე! _ როცა არჩილმა მიმატოვა, არც ვარდოს და არც ქსენიას ერთი სიტყვაც კი არ დასცდენიათ ჩემს გასამხნევებლად _ როგორ მიჭირდა, როცა დათუნა პოლონეთში იყო წასასვლელი _ რა მეშველებოდა, გიას რომ არ მოეცა ჩემთვის ფული, დღესაც არ ვიცი, ვისგან ისესხა და არც დამიბრუნებია... _ დროა, გამოვაჩინო ბრჭყალები და ეს გაჭიანურებული სტუმრობა დავასრულებინო _ სრულიად უაზროდ მეჩვენება ვარდოზე დახარჯული დრო, ფსიქოლოგიური პორტრეტის გასაკეთებლადაც კი არ მიზიდავს... _ არჩილი გააკეთებდა, ადრეული არჩილი, ცხადია, ვარდოს საკადრის ირონიულ-გროტესკულ პორტრეტს _ მართლაც "მისი" ნატურაა თუ მოდელია _ რა ლამაზად და დიდი გემოვნებით აცვია, თითქოს უბრალოდ, მაგრამ კოხტად _ ძალიან ძვირფასი კაბა ჩანს, ლაბადაც, ფეხსაცმელებიც _ ელეგანტურია, არისტოკრატიულად დახვეწილი _ ვინც არ იცნობს, ადვილად შეაყრის თვალებში ნაცარს: მინისტრის თუ არა, მინისტრის მოადგილის ცოლი მაინც ეგონება... _ თან ტირის, პურის ფული არ მაქვსო... _ _"

_ ბაკურს გეფიცები, არჩილს მივეცი ის ფული! არ გითხარი?

_ არა... როდის მიეცი? ის სურათები არჩილის კი არა, ჩემი იყო, მე მეკუთვნოდა, ჩემგან წაიღე... მოიცა, ახლავე დავურეკავ არჩილს.

_ გვიანაა...

_ არა უშავს, მხატვრები გვიან იძინებენ. თუ მას მართლა მიეცი, უეჭველად დამიბრუნებს. დღეს ვნახე არჩილი და ეს ამბავი რომ მცოდნოდა, ვეტყოდი... მაშ, რამდენი მიეცი არჩილს? რამდენად გაასაღე, არ გახსოვს? ჩემი საყვარელი სურათები იყო, არჩილის ნაჩუქარი...

ია ტელეფონთან მივიდა:

_ რა ნომერი აქვს არჩილს?.. არ იცი? მაშინ მის ერთ ნაცნობს დავურეკავ, გვარამ ვარამაისძეს, ის მეტყვის...

სანამ ია ნომერს აკრეფდა და გვარამს ელაპარაკებოდა, კარის ჭრიალმა მიიპყრო მისი ყურადღება. ასწია თავი _ ვარდო ფეხაკრეფით გაპარულიყო...

იამ ეზოში სინათლე აანთო და თვითონაც გარეთ გავიდა. ვარდო ჭიშკრის კუტიკარს ეჯაჯგურებოდა; როცა იქაურობა განათდა, იმარჯვა, საკეტი გააღო და გაუჩინარდა.

ია ეზოში გავიდა და ღიად დატოვებული კარი მიხურა; მანამდე ვარდოს ფეხსაცმელების პაკიპუკს გასძახა;

_ ნელა იარე, ციცაბო დაღმართია!

ოთახში მიბრუნებულს, გაეღიმა.

"_ _ ვიღაც კაცი დავლანდე... _ ალბათ უცდიდა _ მანქანის კარის მიჯახუნებაც გავიგონე... _ უნდა მეთქვა ვარდოსთვის: "მადლობელი ვარ, ერთი მსახიობის თეატრი წარმოადგინე და მხოლოდ ერთი მაყურებლისთვის! თეატრში ვერ ითამაშებდი?" _ _"

XV. არავის უნდა ჰგავდა!

ყველანი გვეუბნებიან: "იყავ თავისუფალი!" და თითქმის ყველანი ცდილობენ, მოგისპონ საკუთარი მეობა, არ მოგცენ საშუალება, სრულად გამოავლინო შინაგანი თავისთავადობა, განუმეორებლობა _ უნდათ, გახდე უსახო, გამოურჩეველი, ჩაეტიო რაღაც შეხედულებებისა და ტრადიციების ხისტ ჩარჩოებში..

თავიდან ჯერ ფერ-ხორცით ხარ სავსე, ტვინიც აზრებითა და ემოციებით მდიდარია _ გაჭედილია ელვარედ, როგორც ბროწეულის ნაყოფი შემოდგომაზე. მერე ჩვენი გარემო, "კეთილისმყოფელნი" და "კეთილმოსურნენი" გვართმევენ საკვებს (მათ შორის _ ინტელექტუალურსაც) და ნელ-ნელა გვაკნინებენ, გვაჩაჩანაკებენ, გვართმევენ საკუთარ "ადლს" სიგრძე-სიგანის გასაზომად; ამკრთალებენ, ფერადოვნებას უკარგავენ, ახუნებენ-არუხებენ, ჩამოათლიან "ხორკლებს", აგლუვებენ პიროვნებასაც... ყოველმხრივ ამცირებენ, სანამ სრულფასოვანი პიროვნების მაგივრად მხოლოდღა მისი ფიტული დარჩება _ უღონო, უხერხემლო, დონდლო, _ ნაპირზე გარიყულ მედუზასავით...

"იყავ თავისუფალი!" _ ხუმრობაა ნაღდად: რამდენი ათეული წელია, ტვინი გამყინვარების ეპოქაში "ცხოვრობს", უფრო ზუსტად _ არსებობს; ზის ჩარჩოში მომწყვდეული, ზის კი არა _ მოკუნტულია საწყალობლად, სავალალოდ... ხანდახან თავმოყვარეობა შეგვახსენებს თავს და თავს წამოჰყოფს ეგრეთწოდებული "საკუთარი აზრი", მაგრამ მაშინვე შეშინებული "კეთილგონიერება" ჩასცხებს მუშტს შიგ ცხვირ-პირში და "ადამიანიც" (ეს სიტყვა ტყუილად არ ზის ფრჩხილებში) ჩირგვებში, უფრო სწორედ, სოროში დურთავს თავს...

თავისუფალი ვიყო? მერე ხომ არ გავაფრენ? ეგ კარგია, ჩემო კარგო, თუ მართლა გააფრენ _ გიჟი თავისუფალიაო, ნათქვამია. პასუხს ნებისმიერ ქმედებაზე ვერავინ მოგთხოვს....

რომელი ჯობს: არავის ჰგავდე და გიჟი დაგიძახონ, თუ იყო უსახური, ნაცრისფერი, რიგითი ჯარისკაცის სიბეჯითით მიაბიჯებდე ფეხაწყობით საერთო მწყობრში?

თუმცა, არსებობს თავის გამოჩენის მრავალი სხვა, უცნაური გზაც.

ერთხელ ტელევიზორში ვიხილე: სანკტ-პეტერბურგში თურმე არის ერთი კაცი, რომელიც ძალიან ცდილობს, ჩაცმა-დახურვითა და ქცევის გარეგნული ნიშნებით ჰგავდეს... ლენინს! ატარებს მისი ყაიდის წვერ-ულვაშს, ახურავს კეპი, აცვია "ლენინის" ჟილეტი და პიჯაკი... მერე, ისევ ტელევიზორში, ვნახე ერთ-ერთი მიტინგის ჩვენებისას: ამგვარი "ლენინი" მოსკოვშიც ჰყოლიათ.

მე კი მეტროში შემხვდა შუახნის კაცი _ "სტალინი": დიდი ულვაშები შავგვრემან სახეზე, ხაკისფერი კოზიროკიანი ქუდი, "სტალინის" შარვალ-ხალათი, პრიალა ჩექმები... მაინცდამაინც არ ჰგავდა სტალინს, მაგრამ მსგავსებისკენ მისწრაფება და ამით ყურადღების მიპყრობის სურვილი კი აშკარად ჩანდა... მაგრამ მერე სულ მთლად გააფუჭა საქმე: ეტყობა, დაცხა, ცოტა ხნით ქუდი მოიხადა ცხვირსახოცით შუბლზე ოფლის მოსაწმენდად და აღმოჩნდა, რომ... სრულიად მელოტი იყო!

ცოტა ხანში ტელევიზორში სხვა "სტალინიც" ვნახე _ აზერბაიჯანის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს...

რამდენჯერმე უფრო უცნაური "მსახიობების" მოწმეც ვიყავი.

ერთ-ერთ ტრესტში (ჩემი სამსახურიც იმავე შენობაში მდებარეობდა) მუშაობდა შუახანს გადაცილებული, საკმაოდ იმპოზანტური გარეგნობის, ახოვანი მამაკაცი, რომელიც ამერიკელ "ძია სემს" განასახიერებდა: უულვაშო სახეზე ჰქონდა შავად შეღებილი სოლივით წვერი, პირში ყოველთვის მსხვილი სიგარა ჰქონდა გაჩრილი, თავზე კი ქვაბუნა-შლაპა ეხურა. ნეტავ რად უნდოდა "ამერიკელობა"?

კიდევ უფრო უცნაური იყო მეორე ჩემი "ნაცნობი".

დიდუბეში რომ ვცხოვრობდი, წერეთლის გამზირზე, დიდ სასურსათო მაღაზიაში, "გასტრონომში", ხშირად ვხედავდი ჩია ტანის გამხდარ კაცს. ცალ თვალზე შავი სახვევი ჰქონდა, მეორე, გადმოკარკლული თვალი ავად იმზირებოდა; ეცვა რაღაც უცნაური, "ტროპიკული" ჭრელი ხალათი, განიერი გალიფე და ვიწრო ჩექმები საოცრად მრუდე ფეხებზე... მოკლედ, ოპერეტის ყაჩაღს ჰგავდა! ჰო, გრძელი და კეხიანი ცხვირი და შავი, წვრილი ულვაშებიც არ დამავიწყდეს... აშკარად ეტყობოდა, რომ ამ "მეკობრეს" უნდოდა, სხვათა ყურადღება მიეპყრო, თუნდაც ამგვარი ხერხით, ისევე, როგორც, "ამერიკელ ძიას", "ლენინსა" და "სტალინს", _ ჩანს, სხვა მხრივ ვერაფრით გამოიჩენდნენ თავს.

გამახსენდა: წამიკითხავს, რომ იეთიმ გურჯის გარდაცვალების შემდეგ, მისი ერთი უზომოდ თავგამოდებული თაყვანისმცემელი იეთიმივით გამოეწყო, მას ბაძავდა ყველაფერში (ცხადია, ლექსების წერისა და სიმღერის გარდა) და, რაც მთავარია, ყველას "მეორე იეთიმ გურჯად" ეცნობოდა...

ზემომოტანილი მაგალითები უკიდურესი ხასიათისაა, ისე კი, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა ხარისხით საზოგადობის ყურადღების მიპყრობისადმი მისწრაფება თითქმის ყველა ნორმალურ ადამიანს ახასიათებს და ხშირად შემოქმედებითი მუშაობის მძლავრ სტიმულს წარმოადგენს. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, სურთ, გამოირჩეოდნენ უგვანო საქმეთა მეშვეობითაც: დანაშაულით, პოლიტიკა-

ნობით და სხვა, _ ახალ ჰეროსტრატეთა მაგალითი უამრავი შეიძლება გავიხსენოთ.

ხშირად ავიწყდებათ: ყოველი პიროვნება განუმეორებელია და შენი თავისთავადობისა თუ გამორჩეულობის წარმოჩენა სულ არ არის საჭირო რაღაც საგანგებო ხერხებით. ბრძენი ლევ ტოლსტოი გვირჩევდა: იყავ გულწრფელი და იქნები ორიგინალურიო.

უპირველესად _ იყავ ერთგული საკუთარი თავისა!

15. არ გადადო საქმე!

ვარდოს წასვლის შემდეგ სასტუმრო ოთახში შებრუნებული ია ერთხანს სარკის წინ გაჩერდა, საკუთარ გამოსახულებას დააკვირდა.

“_ _ დავიღალე... _ დღეს კიდევ მინდოდა რაღაც-რაღაცეების გაკეთება, მაგრამ არ ღირს... _ ხარბი ვარ, დრო არ მყოფნის, სულ საქმითა და ფიქრით ვარ დაკავებული _ ერთხელაც იქნება და... ტვინში სისხლი ჩამექცევა ან ინფარქტი მეწვევა და მოვისვენებ... _ რა ამაზრზენი აზრები მომდის თავში... _ ახლა ნამდვილად ჯობს, დავისვენო, არ შეიძლება, მარად დაძაბული იყო _ სანამ დასაძინებლად წავალ, ერთი აუცილებელი საქმე მაინც უნდა მოვითავო: ფურცელზე ჩამოვწერ, დღეს რა თემებიც დამებადა... _ ბოლო იყო “კონტრასტული წყვილადი პორტრეტი”, ქაღალდის ხელსახოცზე რესტორანში გაკეთებული ესკიზი _ ეგ არ დამავიწყდება, რომც დამავიწყდეს გვარამ ვარამაისძე შემახსენებს _ ახალ ვარიანტს გავაკეთებ, კარგ ქაღალდზე, თორემ გვარამმა რომ ის ნაჯღაბნი მართლაც ჩასვას ჩარჩოში და კედელზე დაჰკიდოს, სირცხვილია _ თუმცა, რატომ არის სირცხვილი? არცთუ ურიგო გამოვიდა, შეიძლება, ახალი ისეთი კარგი აღარც გამომივიდეს _ ზოგჯერ შემთხვევით ხელში მოხვედრილ ქაღალდის ნაგლეჯზე სახელდახელოდ, ჰაიჰარად გაკეთებული ჩანახატი ბევრად უკეთესი გამოდის, ვიდრე ის, რომელსაც საგულდაგულოდ ჩაუჯდები, დიდხანს უამრავ ვარიანტად უტრიალებ, დაამუშავებ, თითქოს დახვეწ და იმ პირველ, დაუდევრად გაკეთებულ ჩანახატს კი ვერც მიუახლოვდები... _ ვერ გაიგებ, ხან ასე გამოგდის, ხან ისე _ ახლა აღარაფრის თავი მაქვს, მხოლოდ თემებს ჩამოვწერ, ზოგიერთი უბის წიგნაკშიც მაქვს ჩანიშნული... – დროა, ერთი დიდი საერთო რვეული მქონდეს ჩანაფიქრების ჩასაწერად _ იქვე შეიძლება პატარ-პატარა საინტერესო ამბებიც აღვნიშნო, დღიურის მსგავსი რაღაც გამოვა _ რამდენჯერმე მაქვს კიდეც დაწყებული, სხვადასხვა ფურცლებზე, სასკოლო რვეულებში... _ ჰო, სახელოსნოში, სკივრში რომ ფოტოებს ვეძებდი, იქ ვნახე ყავისფერყდიანი საერთო რვეული, სწორედ ისეთი მჭირდება _ ავალ სახელოსნოში, რვეულს ავიღებ, თანაც სკივრში ჩავალაგებ ამოყრილ მასალებს _ დიდ დროს არ წაიღებს, პირდაპირ ჩავყრი და მორჩა, სხვა დროს მივხედავ _ არ მიყვარს დაუმთავრებელი საქმე _ მერე საერთო რვეულში გასაკეთებელი სურათების სიას ჩამოვწერ და მაშინვე დავწვები... _ _”

ასე მიჰყვებოდა ფიქრთა მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს ია და იმავე დროს სახელოსნოს კიბეზეც ადიოდა. სახელოსნოში დიდხანს არ გაჩერებულა, სკივრში მასა-

ლები ჩაალაგა და დიდ ოთახში დაბრუნდა. მაგიდას მიუჯდა, ყავისფერყდიანი საერთო რვეული წინ დაიდო და პირველ გვერდზე, სულ ზევით, თარიღი დაწერა, შემდეგ მაგიდაზე დადებულ ფურცელს დაუწყო თვალიერება.

“დილის ნატურმორტი” _ აჯღაბაჯღა ასოებით იყო დაწერილი და ქვევით კი _ ამ დილით გაკეთებული ჩანახატი: მაგიდის მრგვალი კიდე, ლურჯი სუფრა, ჭიქა ლამბაქით, საპურე, საკარაქე...

“1. დილის ნატურმორტი.” _ დაიწყო ჩაფიქრებული სურათების სიის ჩამოწერა იამ, შემდეგ ქვევით მიუწერა:

“2. კონტრასტული წყვილადი პორტრეტი.

3. მაკას პორტრეტი.”

შეჩერდა, ჩაფიქრდა... შემდეგ გააგრძელა:

“4. იასონის პორტრეტი.”

“ვინმეს რომ გავუმხილო, არ დამიჯერებს... _ რა უგულოა კესანე ან როგორ გამიბედა? რამდენიმე თვე მაკას არ მანახვებდა... _ ჩემზე გაბრაზებული იყო, ზაფხულში ბაკურიანში რომ არ წავყევი... _ იგონებ, მაღალი წნევა სულაც არ გაწუხებსო _ კი, ბატონო, მაღალი წნევა მუდმივად არ მაქვს, მაგრამ ნუთუ მე არ ვარ ჩემი თავის პატრონი, უფლება არ მაქვს, ჩემს საქმეს მივხედო? _ ყოჩაღ, იასონ, კვირაში ერთხელ შაბათობით მაინც მოჰყავდა შვილიშვილი ჩემთან, ეს რომ კესანეს გაეგო! _ ნეტავ როგორ მოეწონება, იასონის პორტრეტს რომ ნახავს? იმასაც გაჰყიდის? _ მთავარია, მე დავრჩე კმაყოფილი... _ ან გამომივა, ან არა, ყოველ შემთხვევაში, ცდას არ დავაკლებ, რომ პროფესიულ დონეზე მაინც იყოს; თუ ვერ დავძლიე, შემდეგ ვარიანტს გავაკეთებ... _ იასონი კარგი მოდელი იქნება, მომთმენია და არ გამექცევა მომქანცველი სეანსების გამო _ ჯობს, ახლავე, გაზაფხულზე გავაკეთო მაკას და იასონის პორტრეტები, შემდეგ სიცხეები დაიწყება, გავლენ ქალაქიდან, ალბათ ისევ ბაკურიანში წავლენ... _ წაიყვანს თავის საწყალ მოხუც დედამთილს მოახლედ და მზარეულად, თითქოს თვითონ უკიდურესად გადატვირთული იყოს ათი წლის შვილის მოვლით... _ მეხუთე... მეხუთე რა ჩავწერო?.. _ ჰო, “ცისვაზი”!.. _ არა, ჯერ სხვა... _ _”

“5. მთაწმინდის აღმართი. აპრილის დილა.

6. ცისვაზი.

7. მაგდანას პორტრეტი.

8. მამის პორტრეტი”.

“_ _ რაღაც კიდევ მინდოდა ჩამეწერა... _ ვერ ვიხსენებ... _ არადა, მთელი დღე მასზე ვფიქრობდი, დილიდანვე, როგორ ამომიფრინდა თავიდან... _ რამდენჯერ დავთქვი, როგორც კი რაღაცას ჩავიფიქრებ, მაშინვე ჩავიწერო, ხშირად კი მავიწყდება... _ რა სქელი რვეულია, დიდხანს მეყოფა თემების ჩასაწერად _ რამდენი გვერდია? _ _”

იამ დაიწყო რვეულის გადაფურცვლა და, რამდენიმე ცარიელი გვერდის შემდეგ, უცებ... უცებ აღმოაჩინა, რომ თითქმის მთელი რვეული ნაწერით შევსებული იყო!.. მხოლოდ რატომღაც რვეულში წერა უკუღმა, ბოლოდან იყო დაწყებული და თითქმის რვეულის ბოლომდე მისული. რატომ ეგონა ეს რვეული სუფთა? როცა ფოტოებს ეძებდა, რამდენჯერმე მოხვდა ხელში; მაშინ, ეტყობა, ყურადღება არ მი-

უქცევია შემდეგი გვერდებისთვის, მხოლოდ თავში გადაფურცლა და გვერდზე გადადო, იფიქრა, პლენერზე რომ გავალ, რაღაცეებს ჩავიწერ შიგო, შემდეგ კი დასახატი სურათების სიისთვის მოინდომა გამოყენება. ნაწერია შავი მელნით, მსხვილი ასოებით, გაკრული, ძნელად გასარჩევი ხელით... ვიღაც უკუღმართის ნაჯღაბნს ჰგავს... არჩილის ნაწერია!.. მერე ვიღაცას ფანქრით საფუძვლიანად უსწორებია, წესრიგში მოუყვანია ორთოგრაფია და პუნქტუაცია, დაუსრულებია სანახევროდ დაწერილი სიტყვები, გამოუყვია აბზაცები... მაგრად აუჭრელებია! არც არის გასაკვირი: არჩილის გაბმულ ნაწერში წერტილსა და მძიმეს ვერსად ნახავდი; ამიტომ ძნელი იყო გარკვევა, სად თავდებოდა ერთი წინადადება და სად იწყებოდა მომდევნო... ვინ გატანჯა ნეტავ? საიდან მოხვდა ეს რვეული სკივრში? მოულოდნელი იყო მისი აღმოჩენა! რაღაცეები კი წაიღო წასვლის შემდეგ არჩილმა, ეს რვეული კი, ეტყობა, დარჩა! პირველ გვერდზე, თავში, დიდი ასოებით გამოყვანილია სათაური: "არტემიდე", ხაზგასმულია ორჯერ და მის ქვეშ წერია: "რომანი". მერე იწყება ტექსტი.

"_ _ ვინ წარმოიდგენდა, თუ არჩილი რომანის დაწერას განიზრახავდა? _ მოკლე წერილის დაწერა ეძნელებოდა, რის იმედით შეეჭიდა რომანს? _ მასე თუ ვიმსჯელებთ, მე რის იმედით შევეჭიდე ფერწერას? _ ნეტა რა გამოუვიდა? _ წავიკითხო თუ არა? მაქვს კი უფლება, დამწერის ნებართვის გარეშე გავეცნო ნაწერს? _ ცხადია, არა, მაგრამ სათაურის ქვეშ რომ "რომანი" წერია? რომანებს ხომ სხვათა წასაკითხად წერენ... _ _"

სანამ ია გულში მერყეობდა, თვალები თავისთავად ხარბად გარბოდნენ აჯღაბაჯღა სტრიქონებზე:

"ამბობენ, ადამიანის ბედი შეიძლება ერთ წუთში სულ უბრალო რამემ სრულიად შეცვალოსო. ამ აზრის ჭეშმარიტებაში ერთ მშვენიერ დღეს დავრწმუნდი.

მარტის ქარიანი დღე იყო. შეკვეთილი დიდი ტილო მქონდა დაწყებული, უკვე სანახევროდ თითქმის გაკეთებული. ერთ თვეში თემატური გამოფენისთვის მზად უნდა მქონოდა. სამუშაოს გული ვერ დავუდე. ცუდ ამინდში სულ ასე მემართება. დავყიალობდი სახელოსნოში, არც შინ წასვლა მინდოდა. ვფიქრობდი: "რა მეჩქარება, ბიჭებს დავუძახებ და ერთობლივი ძალებით, სტახანოვურად, ერთ კვირაში მოვათავებთ საქმეს! მერე დავსხდებით და ხოშიან ქეიფს გამოვაცხობთ, გოგოებსაც დავპატიჟებთ!" მოვქექე თაროებზე, იქნებ სადმე ბოთლში არაყი იყოს ჩარჩენილი-მეთქი. ტყუილად ვიწვალე, მხოლოდ მტვრით გავძეხი. სიგარეტიც გამითავდა.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. კაკუშა იყო, ჩემი ძმაკაცი: აკადემიაში ვარ, ერთ საათში ბოლო ლექციას ვამთავრებ, მერე კარგ საშარაფო ადგილზე ერთად წავიდეთო.

"ჩიტს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას უცდიდაო" _ ხვეწნა რაღად მჭირდებოდა. დავთქვით, სამხატვრო აკადემიაში გავუვლიდი.

ჩემი მანქანით წავედი. მერე ვინანე: საქეიფოდ მივდივარ, ტაქსის დაჭერა ჯობდა.

აკადემიაში მე და კაკუშა ერთად ვსწავლობდით. ახლა თვითონაა პედაგოგი. ფერწერა დაამთავრა და ხატვას ასწავლის, საკვირველია. თვითონაც გრაფიკაში

მუშაობს, ფერწერაში ვერ იხეირა. ვეძებ ახლა, რომელ აუდიტორიაში უნდა იყოს. ერთგან შევიხედე. დიდ ოთახში თხუთმეტიოდე სტუდენტი შიშველ ნატურას ხატავს. რამდენჯერ მიმუშავია ამ დახუთულ, უფანჯრებო ოთახში! ამაღლებულზე, პოდიუმზე, ახალგაზრდა შიშველი ქალი იდგა გაშეშებული. მისი ტანის სითეთრე ელექტრონის შუქზე მარმარილოსავით ანათებდა. ვიცანი: არტემიდე! გამეგონა, მენატურედ მუშაობსო, მაინც გამიკვირდა. ასეთი ღვთიური სილამაზის ტანი თუ ჰქონდა, არ მოველოდი! ჩაცმული ბევრჯერ შემხვედრია, კოხტა გოგო ყოო, მაგრამ გახდილი ნამდვილი ღმერთქალი მეგონა. ქალების მეტი რა მინახავს, ბევრთან საქმეც მქონია. ერთხელ დავინტერესდი და თვლა დავიწყე. ოცდაათამდე რომ მივედი, მერე თავი დავანებე. ახლა სხვა იყო, ელდა მეცა. თავში სისხლი ამივარდა, ისე ავღელდი. მეც გავშეშდი მენატურესავით, გონება თითქოს წამერთვა. გულს ბაგაბუგი გააქვს, გარშემო სხვას ვეღარაფერს ვხედავ. ასეთი რამ რომანებშიც არ წამიკითხავს. ვიღაც მეუბნება: “რა მოგივიდა, გენაცვალე, გამატარე!” გამოვფხიზლდი, თურმე კარის ზღურბლზე ვდგავარ. გზა დავუთმე, დერეფანში გამოვედი, ვიღაცას დავეჯახე. “გაახილე თვალები, გძინავს?”

ვიფიქრე, ისევ შევალ აუდიტორიაში-მეთქი, მაგრამ რაღაცის შიშმა ამიტანა. ვერ გადამეწყვიტა, შევსულიყავი თუ არა. ამ დროს დაირეკა ზარიც. გამოჩნდა კაკუშა, ჩავსხედით მანქანაში და წავედით.

სუფრაზე გავიკითხე არტემიდეს ამბავი. კაკუშამ თქვა, მაგარი ქალიაო. თავისი პორტრეტების კოლექცია ჰქონია. მხოლოდ გამოჩენილ მხატვრებს თანხმდება პოზირებაზე. ბევრს შიშველიც დაუხატავს. ვიღაც ჩანჩურა ქმარი ჰყავს თურმე, ახლახანს გასცილებია. ცოლს ვერ აპატია ამდენი ღალატი. ჩემი ჩაძიებით კაკუშა ძალიან დაეჭვდა. ბოლოს მითხრა, შენც გაქვს შანსიო. გამიკვირდა, საიდან-მეთქი. მითხრა, ამას წინათ შენზე უთქვამს, ვინ არის, ძალიან მომწონს მაგის გაკეთებული პორტრეტებიო. ამის გაგონებაზე ოფლმა დამასხა... მაგრად დავთვერი, ცოლი შინ არ მიშვებდა. მიკვირს, მანქანა არ დავამტვრიე...”

იამ კითხვა შეწყვიტა.

“_ _ ნამდვილ ამბავს აღწერს თუ მოგონილია? _ ძალიან უღიმღამოდ კი წერს _ რა ძალა ედგა, თავს რატომ იწვალებდა _ ღირს კითხვის გაგრძელება? _ _”

ტელეფონის ზარმა გაიხმიანა.

_ დიახ...

_ ირმა ვარ... ბოდიში, ასე გვიან გაწუხებ...

_ არა უშავს, გისმენ, ირმა.

_ ეჰ... დიდიმი აღარ გვყავს, გოგო...

იას სული შეუგუბდა, გულისცემა აუჩქარდა... ძლივს წარმოსთქვა:

_ რას მეუბნები...

_ ახლა დამირეკეს, ათი წუთი იქნება... გიასთან...

_ არა, გიას ტელეფონი არ აქვს... რა მოხდა?

_ გული... უცებ გათავებულა, უბედური. ლაპარაკი მიჭირს...

_ უიმე, რაღა ვქნათ... ნუ, ნუ ტირი... დათუნას დავურეკავ... ჩემი ბრალია...

_ არა, არა, ია... დიდიმის დღეები დათვლილი იყო... იზიდას უთხრეს ექიმებმა, შენს ქმარს რამდენიმე თვის სიცოცხლე აქვს დარჩენილიო... ღვიძლის გადაგვარება ჰქონია, ციროზი. ვერ შეამჩნიე, სახეზე რა ფერი ედო?

_ რას ამბობ...

"_ _ არა, ეტყობა, ჩემგან პორტრეტისტი არ გამოვა... _ როგორ ვერ შევნიშნე? _ კი გამიკვირდა, ისე ვერ ითამადა, როგორც მოველოდი, სუფრის სადავე მიშვებული ჰქონდა... _ მისი და იზიდას წყვილად პორტრეტს ტყუილად შევეპოტინე... _ _"

_ ...ბედნიერი კაცი ყოფილა, გახანგრძლივებული აგონია ასცდა... დაურეკავ დათუნას?..

_ კი, აუცილებლად, მერე ალბათ გიას გავუვლით და... ვინ არის იქ ახლა?

_ სიძეები უნდა მისულიყვნენ... ქალიშვილები... შენ რა გინდა, გოგო... კარგი, აღარ დაგაკავებ...

დათუნასთან დაკავშირება გაძნელდა.

"_ _ მამას ალბათ გამორთული აქვს ამ დროს ტელეფონი... რაღა ვქნა?.. _ _"

აიღო უბის წიგნაკი ნაცნობთა ტელეფონებით, გადაფურცლა _ თითქმის სულ ქალთა ტელეფონების ნომრებია... კაცებიდან? დიმპიტაური დიდიმ, ვარამაისძე გვარამ... ახალი ჩანაწერი: კენკებაური დიმიტრი... კურდღელია იასონ... კუტიპურაშვილი დავით... ლიაშვილი შიოლა... რამდენიმე გვარი კიდევ _ ზოგი გადახაზულია, აღარც არის ამქვეყნად, ზოგი კი, ძველი, ვეღარ გაიხსენა, ვინ იყო.

გადაწყვიტა, დიმიტრი კენკებაურთან დაერეკა. თუ ჯერ ისევ დათუნასთან დაკავშირება სინჯოს? დაურეკა და ამჯერად მოულოდნელად გაუმართლა _ ტელეფონის ყურმილი დათუნამ აიღო.

_ დათუნა, მამაჩემს ძინავს უკვე?.. არა, არ გააღვიძო, ნუ შეაწუხებ... ახლავე აგიხსნი... დათუნა, უბედურება მოხდა, დიდიმი მოულოდნელად გარდაიცვალა... გულმა უმტყუნა... შეგიძლია, მოხვიდე? მერე გიასაც გავუაროთ... საწყალ დიდიმს რაღას ვუშველით, მაინც მივიდეთ... იზიდა მეცოდება... მარტო არ იქნება, მაგრამ მაინც მივიდეთ...

_ ახლა ტაქსს სად იშოვი, ორი საათი დაიწყო...

_ დიმიტრი კენკებაურს რომ დავურეკო? ტაქსის შოფერია, დღეს რომ გავიცანი... დიდებული ადამიანია, არ დაგვზარდება...

_ დღეს მუშაობდა? ახლა მაგის მანქანა გარაჟში იქნება ან მისი მეწყვილე მუშაობს... შენ მაგაზე ნუ დარდობ... მომეცი დიმიტრის ტელეფონის ნომერი და მე თვითონ დავურეკავ შენი სახელით... შენ შინ დარჩი, რად გინდა ამ შუაღამეს წოწიალი, დაისვენე... ბოლოს და ბოლოს, ტელეფონით შეიძლება ტაქსის გამოძახება, ან ქუჩაში დავიჭერ კერძო მანქანას... გიასაც გავუვლი... ხვალ დილით დაგირეკავ...

ია სავარძელში მიესვენა. დაწოლა გადაიფიქრა, აფორიაქებულს, რა დააძინებდა. ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში...

"_ _ საცოდავი, საცოდავი..... _ არც კი მჯერა, რომ აღარ არის ამქვეყნად _ ასე მოულოდნელად, უცაბედად... _ რას იფიქრებდა თვითონ: ახლა აპირებდა ნამდვილი შემოქმედების დაწყებას _ მისი სიცოცხლის ფილოსოფია მარტივი იყო: სიამოვნებაში გალიე დღენი! _ სულ იმეორებდა საწყალი: "მიყვარს ქეიფი! ლხინის დროს გულგახსნილი ვარ, ამ დროს მთელი ქვეყნიერება მიყვარს! ყველაფერი ჩემი

მგონია!” _ რა დროს ასეთ რამეზე ფიქრია... _ არა, კეთილი ხსოვნა მაინც ხომ დარ-ჩება: მისებრი მეგობრების მოყვარული ადამიანი იშვიათია _ დამაკავშირებელი და შემაკავშირებელი იყო ჩვენი სამეგობროსი _ დანარჩენები? _ დათითოკაცე-ბულნი, მხოლოდ საკუთარ საქმეში ჩაფლულნი... _ მეც მასეთი არ ვარ? _ ახლა იმას ვდარდობ, რომ რამდენიმე დღე გამიცდება, ასეთი განწყობით ვერ ვიმუშა-ვებ... _ განა ამგვარი ფიქრი სისულელე არ არის? _ ეგოისტია ადამიანის ბუნება... _ ადამიანი ყველაზე დიდი განძია ამქვეყნად, ამას ვერ ჩავწვდით, ვერ გავითავი-სეთ... _ ვნანობ, რომ დიდიმს ვერ მოვეფერე სიცოცხლეში, მისგან რამდენი სითბო და სიკეთე მახსოვს _ ვერც მის პორტრეტს გავაკეთებ... _ იქნებ ვცადო, ფოტოთი მაინც? ან მახსოვრობით? _ ეს იქნება მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ჩემი პატარა მცდელობა... _ გიას ტელეფონი არ აქვს, როგორ გამამხნევებდა ახლა მისი ხმა... _ ვერც სახელოსნოს ეღირსა, ვერ არის მებრძოლი ბუნების... _ _”

ია სავარძლიდან წამოდგა, გაიარ-გამოიარა ოთახში. შემდეგ სათვალე გაიკეთა და მაგიდაზე დადებული ფურცელი გადაათვალიერა _ გადაიკითხა სია შესაქმნე-ლი სურათებისა.

“_ _ სულ რვა სურათი უნდა გავაკეთო... _ რომ ვერ ვიხსენებდი, რაღაც გამომ-რჩა-მეთქი, დიდიმის პორტრეტი იყო... _ ახლა ღირს, მივაწერო მეცხრედ?.. _ მაინც მივაწერ, მერე ვნახავ, რა ხასიათზე ვიქნები _ კიდევ ხომ არ გამომრჩა სურათის ჩა-ნაფიქრი?.. _ დათუნამ რა ქნა ნეტავ, რატომ არ რეკავს?.. _ _”

თითქოს იას ფიქრებს ეხმიანებოდაო, დათუნამ დარეკა.

_ დედა, ბატონი დიმიტრი კენკებაური უკვე ჩემთანაა, თავისი საკუთარი მანქა-ნაც ჰყოლია... ჰო, გიასთან გავივლით და... _ არა, არა, დავრეკე იქ და მითხრეს, ქა-ლები უშენოდაც საკმაოდ არიან... _ ირმაც მისულა, ახლოს ცხოვრობს... _ ჰო, კარ-გი, ჩვენ წავედით, შენ დაწექი და შეეცადე, დაიძინო... ხვალ მოვალ და ერთად მი-ვიდეთ, ახლა დაისვენე...

ია დაწვა, მაგრამ რული არ მიეკარა მის თვალებს. დიდხანს იტრიალა ლოგინ-ში, ბევრი რამ გაიხსენა: დედის გარდაცვალება დიდი ხნის წინ, მერე ერთი თვის შემდეგ ბებიაც დაჰკარგა... რამდენიმე ახლობლის დაღუპვა, მეზობლების, ნაცნო-ბების... თვალწინ სულ დიდიმის გაღიმებული სახე წამოტივტივდებოდა ხოლმე... შემდეგ სინათლე აანთო, ჩვეულებისამებრ ძილის წინ წიგნის წაკითხვა სცადა... მალევე მიხვდა, ტყუილად ცდილობდა, რომ რაიმე გაეგო წაკითხულიდან _ თვა-ლები მხოლოდ მექანიკურად მიუყვებოდნენ სტრიქონებს...

არა, ისევ ადგომა და რაღაცის გაკეთება ჯობდა. სასტუმრო ოთახში კვლავ მი-უჯდა მაგიდას და მერამდენედ გადაავლო თვალი გასაკეთებელი სურათების სი-ას.

“დილის ნატურმორტი”...

მაგიდა უკვე ალაგებული იყო, თავიდან გაწყობის სურვილი კი არ ჰქონდა.

პორტრეტები: მაკასი, იასონის, შიოლასი, მაგდანასი... დიდიმისა... არა, უნატუ-როდ ვერაფერს დაიწყებდა.

“ცისვაზი”...

ესკიზი უნდა დაასვენოს, რამდენიმე გრაფიკული ვარიანტიც მოსინჯოს კომ-პოზიციისა და მერე მოზრდილ ტილოზე დაიწყოს ზეთის საღებავებით მუშაობა _ ესეც მერმისისთვის გადაიდოს.

“მთაწმინდის აღმართი”...

ამასაც ჯერ ნატურიდან ესკიზის გაკეთება დასჭირდება.

არა, ჩანს, ვერაფერს გააკეთებს ახლა... ამ სიაში კიდევ რაღაც აკლია, ვერაფრით გაიხსენა... დილიდანვე აკვიატებული კი ჰქონდა...

უცებ გაუნათდა გონება: დილის სიზმარი!

საძინებელ ოთახში გავიდა, საწოლის გვერდზე, პატარა მაგიდაზე დადებული ფურცელი აიღო, სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, სათვალე გაიკეთა...

“სამოთხის ბაღი” _ წაიკითხა ამ დილით სიზმრის შემდეგ ქაღალდის ფურცელ-ზე ნაჩქარევად მიწერილი ეს ორი სიტყვა.

დიახ, ამგვარი დასახელების სურათის შექმნის სურვილიც დაებადა მაშინ _ ფანტაზიური, ფერადოვანი, მარავალფიგურებიანი, ალეგორიული დიდი სურა-თისა ან, შესაძლოა, პანოსი... მისთვის უჩვეულო იქნება ეს სურათი, ბევრი რამით უჩვეულო; უპირველესად იმით, რომ პირველად შეეცდება, უნატუროდ, მთლია-ნად წარმოსახვით შექმნას... მასში უნდა იყოს ზღაპარი და სინამდვილე, შუქი და ჩრდილი, სიცოცხლე და სიკვდილი _ ყველაფერი, რითაც სავსეა ცხოვრება, რაც აწუხებს და ახარებს მას... ალბათ ახლა, ორმოცდაათი წლისას, მოეძალა ეს სურვი-ლი წუთისოფლის სირთულისა და მრავალფეროვნების გადმოცემისა, რაც წმინდა პეიზაჟურ სურათში ძნელად მისაღწევია... “კონტრასტული წყვილადი პორტრე-ტის” შექმნის სურვილიც ამ განწყობით არის განპირობებული _ იქაც უნდა, ცხოვ-რების დიალექტიკური წინააღმდეგობრიობა წარმოაჩინოს, მისი სირთულე და მრავალფეროვნება _ გრძნობს, კიდევ უამრავი სურათის იდეა წამოტივტივდება შემდგომაც _ ეს არის მდიდარი, შეიძლება ითქვას, ამოუწურავი, მარადი თემა... “სამოთხის ბაღს” კი მიუძღვნის იმ ადამიანთაგან ერთ-ერთს, რომლებიც ჩვენგან სამუდამოდ წავიდნენ და დაგვიტოვეს ტკბილ-მწარე ხსოვნა...

იამ ქაღალდის სუფთა ფურცელი აიღო და ფანქრით მომავალი სურათის ესკი-ზის პირველი ვარიანტის შექმნას შეუდგა.

XVI. რა რომანია ეს?
(რეცენზიის მაგიერ)

პეპინო გუერაძის რომანი, _ უკეთ რომ ვთქვათ, ვაი-რომანი, _ გაუგებარი ორმა-გი სათაურით “ია ანუ ერთგულება” (რომელსაც ქვესათაურად უპრიანია, ჰქონო-და: “მოცლილი კაცის ფუჭი ჯახირის უდღეური ნაყოფი”), უპირველესად ერთ კითხვას ბადებს: ავტორს საკუთარი თავი თუ არ ეცოდება, მკითხველს რაღას ერ-ჩის? თუმცა, არა გვგონია, ყველაზე გამძლე მკითხველმაც ორი-სამი გვერდის დაძ-ლევის შემდეგ ეს რომანის სუროგატი შორს არ მოისროლოს და ზედ ორი-სამი შე-საფერისი სიტყვაც არ მიაყოლოს...

“ძველებური” სათაური აქვს ამ ვითომ-რომანს, მაგრამ ავტორი კი პრეტენზიას აცხადებს “ავანგარდისტობაზე” _ ცდილობს, ნაძალადევი “თანამედროვე” ხერხების მოშველიებით დაგვარწმუნოს, რომ დღევანდელობას უწყობს ფეხს. ეს, ბოდიში და (პირში უნდა ვუთხრათ ავტორს) დომხალი _ უსასრულო, უთავბოლო, მომაბეზრებელი დიალოგებით, ისედაც დუნე, არაფრისმთქმელ მსჯელობებში სრულიად ზედმეტი, გარეშე ჩანართებით (ვითომ “გამდიდრებით” თუ “გამრავალფეროვნებით”!) _ ერთ ანდაზას მაგონებს: “ისედაც არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო”! ამორფული სიუჟეტი, ყოველ სტრიქონში _ ბანალური ჭეშმარიტებების ღეჭვა, ხასიათების მაგივრად _ უნიჭო კარიკატურები: კესანე ქინურიძე, ვარდო, შიოლა ლიაშვილი, დიანა, ირმა, დიდიმ დიმპიტაური, დიტო დაბლატოტაძე, ალფეზ უფასეიშვილი და სხვები და სხვები... თუნდაც ნახევარსაუკუნოვან ასაკს მიღწეული მთავარი გმირის ღიმილის მომგვრელი გამიჯნურება რად ღირს!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, როგორც იტყვიან, ჩიტი ბრდღვნად არ ღირს! ამ წიგნზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია, იგი კრიტიკის მიღმა დგას. ამით ერთგვარად გამართლებულია ზემოთქმულის არააკადემიური ტონიც.

დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს ძნელად დასაძლევ 364 გვერდს; რაც შეეხება ღირებულებას, როგორც მოგახსენეთ, კაპიკია მისი ფასი.

ბარდღა ბურდღაშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქ. სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

16. “სამოთხის ბაღი”
(ეპილოგის მაგიერ)

არ მინდა, ჩემი თხრობა ნაღვლიან ჰანგზე დავამთავრო _ ერთ პატარა ამბავსაც მოგიყვებით...

ნუშო ნუშიშვილის ცხოვრების გზა არაფრით იყო გამორჩეული, მხოლოდ მისი სიცოცხლის მიწურული გამოდგა უცნაური.

ცხადია, არაფერი განსაკუთრებული არ იყო იმაში, რომ ნუშო ქმარმა ადრე მიატოვა, ვიღაც ქალს გადაეკიდა რუსეთში და საცხოვრებლად იქ გადაბარგდა, ორი შვილის ამბავსაც კი არ მოიკითხავდა. ნუშომ დიდი ტანჯვა-წვალებით გაზარდა მიხო და ნატო, ორივეს უმაღლესი განათლება მიაღებინა, მერე მათ დაოჯახებას და ოთხ შვილიშვილსაც მოესწრო. ნუშო მარტო ცხოვრობდა ძველებურ თბილისურ აივნებიან ეზოში, მეორე სართულის ერთოთახიან ბინაში. შვილები ეხვეწებოდნენ _ ჩვენთან იცხოვრე, რა გინდა მარტოს, გამოყრუვდები; ხან ერთთან იყავი, ხან _ მეორესთან, შვილიშვილებთან ყოფნა არ გირჩევნიაო? მოხუცი ნუშო არ თანხმდებოდა, უყვარდა სიმყუდროვე, მარტოობა. კვირაობით შვილიშვილები აკითხავდნენ, მათთან შესახვედრად წინდაწინ დიდის ამბით ემზადებოდა: ყიდულობდა კანფეტებს, სათამაშოებს, აკეთებდა მათ საყვარელ კერძებს, აცხობდა ნაირ-ნაირ ნამცხვრებს. დანარჩენ დღეებში ნუშოს სავსებით აკმაყოფილებდა ერთი

ფრიად პეწენიკი და თავნება ქალბატონის საზოგადოება _ ეს გახლდათ კატა, სახელად ციცო, ნუშოს საუკეთესო მეგობარი. რასაკვირველია, ციცოზე ლამაზი და ჭკვიანი კატა ქვეყნიერებაზე არ მოიძებნებოდა. ვინც კი ესტუმრებოდა, მაშინვე ციცოზე ჩამოუგდებდა საუბარს.

_ იცი, რა კაქია?!. _ ენის მოჩლექვით აიყვანდა ხელში კატას, იხუტებდა ლოყაზე. _ ჩემი ოჯახის წევრია!..

ნუშო დიდის რუდუნებით უვლიდა ციცოს კნუტებს და, რასაკვირველია, ამ კნუტებზე მშვენიერი, ხატულა კნუტები მთელ ქვეყნიერებაზე არ მოიძებნებოდა.

_ იცი, ციცო რა დედაა? ალერსიანი, მზრუნველი...

მერე დგებოდა ტრაგიკული წუთი, როცა ნუშო იძულებული იყო, წამოზრდილი კნუტები გაეჩუქებინა.

დიდი ყოყმანისა და შერჩევის შემდეგ ჩააბარებდა კნუტებს ახალ პატრონებს, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ცხარე ფიცილის შემდგომ, რომ ნუშოს "შვილობილებს" შეიყვარებდნენ და უფლისწულებივით მოუვლიდნენ... ჩაიწერდა მისამართებს, ტელეფონის ნომრებს... დარეკვით და კნუტთა ამბის გაგებით არ კმაყოფილდებოდა. "როგორ არიან, არ უნდა ვნახო?" _ ეუბნებოდა გაკვირვებულ მიხოსა და ნატოს. დროდადრო ჩამოუვლიდა და ესტუმრებოდა მათ, უამრავ სასუსნავსაც მიუტანდა თავის გაჩუქებულ "შვილებს".

ერთხელ ციცო ჩვეულებისამებრ სასეირნოდ გავიდა და აღარ დაბრუნებულა. ქალბატონმა ნუშომ ძალიან განიცადა საყვარელი არსების დაკარგვა. აფორიაქებული იყო, სად არ ეძება, ვინ არ შეაწუხა, გაზეთშიც კი რამდენჯერმე გამოაცხადა _ მპოვნელს დასაჩუქრებას დაჰპირდა...

დრო გადიოდა, ციცოს ხატება კი არა და არ ტოვებდა მოხუცი ქალბატონის წარმოსახვას... სულ ეჩვენებოდა, რომ, აი, ახლა გამოჩნდებოდა მისი ფისო _ გამობრძანდება დედოფალივით, თვალებფოფინა, ყურებდაცქვეტილი, კუდაპრეხილი... ამრეზილია, აზიზად დგამს თათებს, თითქოს ჭანჭყობში მიდიოდეს და არა მოკრიალებულ იატაკზე, არავის ზედაც არ უყურებს...

და ნუშო ეტყვის: "მოდი აქ, შე უსვინდისო შენა! რა არის, რატომ მიმატოვე? სად დასეირნობ-დახეტიალობ, ნამუსი სულ დაჰკარგე? მოდი ერთი, მოგეფერო! რა ხანია, არ ჩამიხუტებიხარ!.."

მაგრამ ვაგლახ, მოხუცი ტკბილი ბურანიდან მალევე გამოერკვეოდა და ღრმად ამოიხვნეშებდა.

ოდესღაც ნუშო _ თითქმის ნახევარი საუკუნის წინ! _ სამხატვრო სტუდიაში სწავლობდა, მაგრამ შემდგომ, სხვადასხვა გარემოებათა გამო, მხატვრობისთვის ვერ მოიცალა და, მართალი გითხრათ, არც ჰქონია სურვილი, ფუნჯისთვის მოეკიდა ხელი; გარდა იმისა, რომ საბავშვო ბაღში მუშაობდა მზარეულად და ოჯახსაც მიხედვა სჭირდებოდა, მიაჩნდა, რომ ძალიან ბევრი ძლიერი მხატვარი მოღვაწეობდა საქართველოში და მის ნაცოდვილარს ზედაც არავინ შეხედავდა. ახლა კი ქალბატონი ნუშო სამხატვრო კომბინატში მივიდა თავის ძველ მეგობართან, იშოვა ბლომად ტემპერის საღებავები, ფუნჯები, პალიტრა, გამხსნელები...

შინ მისულმა ტანთ არც კი გამოიცვალა, მაშინვე აივანზე გავიდა და კედელზე ნახშირით თავისი დაკარგული მეგობრის ესკიზური პორტრეტი მოხაზა. შემ-

დეგ ბინაში შებრუნდა, სამზარეულოში ცოტა წაიხემსა და დაბნელებამდე მოასწრო და ტემპერის საღებავებით კატის მშვენიერი გამოსახულება თითქმის დაასრულა.

მეორე დილით თავისი ნახელავით კმაყოფილი დარჩა, მხოლოდ ალაგ-ალაგ წვრილმანი შესწორება-დაზუსტებანი შეიტანა. შემდეგ ეზოში ჩავიდა და შორიდანაც შეათვალიერა ახლადშექმნილი ფრესკა.

_ ნუშო ბებო, ეს ვეფხვია? _ ჰკითხა მეზობლის მოსწავლე გოგონამ, იამ, რომელიც საოცარი ცნობისმოყვარეობით გამოირჩეოდა.

_ ჰო, შვილო, ვეფხვია, ნამდვილი ვეფხვი! _ ღიმილით უპასუხა ქალბატონმა ნუშომ.

მართლაც, დიდებული ნამუშევარი გამოვიდა! მეორე სართულის აივნის კედელს ამშვენებდა ადამიანის სიდიდის კატის გამოსახულება: ციცო დარბაისლურად იყო დაყუნცული, სვეტებივით წინა თათებს წინიდან ფუმფულა კუდი შემოხვეოდა; უზარმაზარი ყვითელ-მწვანე თვალები; დაცქვეტილი კოხტა ყურები; თითქოს ღიმილით (თუ დაცინვით?) მოკუმლი პატარა პირი და ამაყად გაფხორილი ულვაშები!..

მშვენიერი სტილიზებული ფისო დახატა!

დიახ, ადამიანის სიმაღლის ფისო იჯდა და უზარმაზარი, მწვანედ ანთებული თვალებით გასცქეროდა ეზოს.

მეზობლებში ხმა დაირხა: არაჩვეულებრივი ცხოველი გამოჩნდა ნუშოს აივნის კედელზეო.

გამოეფინა ეზოში ხალხი ფანტაზიური ცხოველის სანახავად...

დაობდნენ, რა იყო: ვეფხვი? ლეოპარდი? ჯიქი? ფოცხვერი? თუ ნამყენი კატა?.. ერთი რამ კი ცხადი იყო _ არავინ დარჩა გულგრილი ახალმოვლენილი უცხო არსების მიმართ...

და ფრთაშესხმულმა ნუშომ გააგრძელა შინაგანი იმპულსით, სამანმოშლილი ფანტაზიით გამოჩეკილი ახალ-ახალი ცხოველების ხატვა. კატის გვერდით მალე დასახლდნენ და დაუმეგობრდნენ: ჯერ დათვი, მერე მელა, კურდღელი, სხვადასხვა ფრინველები, უცხო ლამაზი ყვავილები, უცნაური, ფერად-ფერადი ნაყოფებით დახუნძლული ხეები, დიდ-დიდი, ჭრელხატულა პეპლები, მაღალ ფეხებზე შემდგარი პალმები... ერთმანეთის შესახვედრად მიფრინავდა ორი ცისარტყელურა სამოთხის ჩიტი, მიწაზე კი დაგოგმანებდნენ ფარშევანგები მარაოსავით გადაშლილი მოზეიმე კუდებით... ამ დიდებულებას კი ზემოდან ამაყად და მედიდურად დასცქეროდა ყვითელ-ჭრელი, გრძელკისერა ჟირაფი! არა, იმის ზევით კიდევ, სულ ბოლოს, მხატვარმა მიახატა შვიდფერი ცისარტყელა _ დიდებული სამოთხის ბაღის ერთი კუთხიდან მეორემდე!

უცნაური რამ იყო _ ყურადღებას იპყრობდა თავისი ხალასი ფერადოვნებით, ერთგვარი გულუბრყვილო პირდაპირობითა და ბრძნული უშუალობით!

ყველას ღიმილს ჰგვრიდა ეს კედლის სურათი: ცხოველები თითქოს შენი მეგობრები იყვნენ _ კეთილი, მხიარული მეგობრები (თვალები უცინოდათ!), ცეტი და ცელქი, ძალიან საყვარლები!

კატის გამოსახულება ყველაზე დიდი იყო, თანაც სურათის შუაში გამოჭიმული _ თავით თითქმის წვდებოდა ცისარტყელას, _ დანარჩენები მასთან მისული მეგობარ-ამხანაგები იყვნენ, რომ ერთად ემხიარულათ... კატა ციცოც ბედნიერი იყო ამდენი მისი ჭკუის ამფსონის ერთად თავშეყრით _ არ მოიწყენს!

ქალბატონმა ნუშომ სიცოცხლეში მხოლოდ ერთი სურათი შექმნა, მაგრამ გამორჩეული _ ჭეშმარიტად თავისებური შედევრი!

ბევრს მისწვდა ხმა "სამოთხის ბაღის" შესახებ და საგანგებოდ მოდიოდნენ ამ საოცარი სურათის სანახავად. პირდაპირ ეზოდან შეეძლოთ ეხილათ მოხუცი მხატვრის შთაგონების ნაყოფი.

გამოხდა ხანი და ქალბატონი ნუშო იმქვეყნად გაემგზავრა თავის ციცოსთან შესახვედრად (თუ, რასაკვირველია, კატებს სამოთხეში უშვებენ). შვილებმა ბინა გაყიდეს, ავეჯი და თანხა გაინაწილეს.

ერთი კვირაც არ იყო გასული ბინაში ახალი მფლობელის შესახლებიდან, რომ... ბავშვებმა ეზოდან დაინახეს: ვიღაც პირგაუპარსავმა, ახმახმა კაცმა ნახევარ საათში თეთრად გადაღება მთელი კედელი _ უცებ დაცარიელდა, განაცრისფერდა ეზო და ერთგვარად გაფერმკრთალდა მთელი სამყაროც...

მაგრამ "სამოთხის ბაღის" ბრწყინვალება მაინც არ ჩამქრალა საბოლოოდ _ მრავალი ადამიანის მახსოვრობაში იგი წლების განმავლობაში დარჩა, როგორც გაუხუნარი მოგონება ბავშვობის ტკბილი ზღაპრისა...

სურათის გადაღებვიდან თითქმის ორმოცი წლის შემდეგ კი მხატვარი ია ლიაშვილი შეუდგა მუშაობას დიდ ტილოზე "სამოთხის ბაღი (ნუშო ნუშიშვილის ხსოვნას)".

სურათის ცენტრში ღერძად დგას ხნიერი, ფიქრებში წასული ქალბატონი და თავაწეული შესცქერის შვიდფერ ცისარტყელას, ირგვლივ კი ატეხილი ტყე მეფობს; ტყე კი არა, ბაღია, რამდენადაც ხეები _ ზოგი ყვავილებით დაფარულა, ზოგი უხვად დახუნძლულა ნაყოფით... ტოტებზე გაწოლილან ჯიქი და ფოცხვერი, დახტიან მხიარული მაიმუნები, ბალახბულახის ყვავილოვან, ფერადოვან ხალიჩაზე ერთმანეთში ირევიან ვეფხვი და ლომი, დათვი და მგელი, ფოცხვერი და ჟირაფი, სირაქლემა და ირემი, ნიანგი და სპილო... მათ ზევით ჰაერში დაფრინავენ ფერად-ფერადი თუთიყუშები, ჭრელი კაჭკაჭები, ნისკარტკაუჭა, მძლავრფრთიანი არწივები... იქვე პატარა ტბაც არის, რომლის მოსარკულ ზედაპირზეც ლამაზად ყელმოღერებული თეთრი და შავი გედები დასრიალებენ...

ყველა ბედნიერია და საოცრად მეტყველი, კეთილი თვალებით შესცქერიან ერთმანეთს და სამყაროს...

1997-2001 წწ.